

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՎԵՐՈՒՄՆԵՐ

ՁԵՆՈՒՄ

№ 10 (18)

1925

პროლეტარულ ყვლა ქვეყანას, შერთვით!

ქვეყნული
ბიბლიოთეკა



№ 10 (18)

ქრველთვიური სამხატვრო სალიტერატურო
და სამეცნიერო ჟურნალი


ოქტომბერი

თბილისი 1925 წელი



სარედაქციო კოლეგია: {
3. ბახტაძე.
8. ქახიანი.
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {
საქართველოს კომუნისტ-
ური მთავარ-მართველობა.





საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა



რ. კ. ბ. ც. გენერალური მდივანი.
ი. ბ. სტალინი—ჯუღაშვილი.

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

გველის პერანგი

როგაძის

გოეტეს—
რომლის „ტყის მეფე“
წაკითხვამდე ვიგზნე
შეიდი წლის ბავშვა—
გოეტეს თვალს
რომანი „გველის პერანგი“
როგორც სიყვარული.

მკვებანი

თავი პირველი

ჩემი ძმა
არყოფილი
ვითარ მიყვარდის
უმეტეს მზისა
და უმეტეს ხმალისა
რამე თუ იყო იგი
სხვა ჩემი.

სიტყვა ამოჭრილი პამადანში
ნახულ ხელიკისფერ ქვაზე.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ—სერი მდუნელაჰ.
სერიდან სამხრეთ დიდი ქვის ლომი წითური: თითქო მზით ნაყვავილევი.
ქვის ლომი: კირსილისაგან ჩამოსხმული. კირში—მზის ხურუსი დასილაში—მზის
თესლები. ქვის ლომი ფარია ქალაქის. სპარსეთის ტიტველ ნაპალეებიდან საცა



გახელებული მზე აებორცობის ტინს იკლავს ხანდახან ლომის გვერდებზე და-
ვარდება სუნთქვაზე ვერულ ხვევებში და გრიალის ბრაზიანი ღვარი შორსშორს
დიდს მანძილზე არღვევს ირანის მყუდროებას, არის ამ გრიალში უცნაური
სითაყადე: უტები და ზეიადი. ქვის ლომი ხმალია ჰამადანის. დიდი შუადლის
ეამს როცა საგნები თავის ლანდებს ჰკარგავენ ქვის ლომთან მიდის სნეული:
უნაყოფო თუ ათაშანგით დადაღული. უნაყოფო იღებს ფალლოსს გახურებულ
ქვასთან და თხოვს წითურ ლომს თესლებს. ათაშანგისანი შუახეებს ფალლოსს
მზით გასუდრულ ქვას და ელის პირგამეხილ ნადირისაგან კურნებას. ცხელ
ქვიზაზე თითქო პეშვებით ესხმიან შელოცვანი: კაცმა არ იცის რა ენახე.

სერი მამუსელაჰ: „ადგილი სალოცავი“. მაღალი სერიდან ველი: სიგრიძით
ხუმოვტი მილი და სიგანიტ ცხრა. უწყვეტი რიგი ბაღების და მდუღოების. ხში-
რად: ტანაშოლტილი ხე ალვისა. აქაიქ: უცნაური ხე „harvend“ ფანტასტური
ფორმებით. ზოგან: ლარდარტყმული ხეივანი. ველი ჰამადანის: ზვირთებივით
მოშვებული ელვენდის კალთებიდან და ამორცვილი თანდათან აშალეებით.
მალოზზე სერები და სერებზე ქალაქი: ნაგები როგორც ტერრისა. მამუსელაჰ:
სერი უმიღლესი. აქ იყო გამართული ციხე—(თუ დაეუჯერებთ „ისტორიის მა-
მას“): ლეგენდარულ დეფოკის მიერ ფუძედებული. ჰეროდოტე აგვიწყრს. ციხის
ირველი: ზვიდი გალაგანი ერთიმეორეზე მაღლა კონცენტრიული რკალებით.
პირველი გალაგანი: თეთრი. მეორე შავი. მესამე მეწამული. მეოთხე ლურჯი.
მეხუთე წითელი. მეექვსე და მეშვიდე წვეტები მოეცხლილი და მოოქრული. მე-
შვიდე გალაგანის შუაგულში: მეფის სასახლე. ნაშენი კედრისა და კიპაროსი-
საგან. დამძიმებული ვეცხლით და ოქროთი. გადახურული ვეცხლის კრამი-
ტით. ჰეროდოტე აგვიწყრს და მოსწონს. ეხლა: მხოლოდ გეოგრაფიული წერ-
ტილი პატარა ნაშთით—(„ტაბტ არდეშირ“). ქვის პლატფორმა. წინამხარე თეთრ
ოთხკუთხიან ქვისაგან ნაშენი. უკანით: უბრალო ქვა და სილა კირით. დინატო-
ვარი პირველ სასანიდის არდეშირ ბაბეგაას.

ჰამადან: ძველი ეკატანა.

ქალაქი გაფენილი ელვენდის ჩრდილო კალთებზე.

ელვენდ: „ორონტას“ ძველი გეოგრაფიის. გრანიტის მასსა: რომლის თზე-
მი თითქო მთვარეა განახევებული.

ქალაქის კიდურიდან ზვიდი მილის მანძილზე: კლდე. კლდის ძირას მდი-
ნარე კლდიდან მოხეთქილი. მდინარის ნაპირიდან ორმოცი ნაბიჯის სიმაღლე-
ზე ნაპრალი „გენჯ-ნამეჰ“. ნაპრალები ორი დაფა პორფირის: წარწერებით. და-
ფების ზევით კიდევ ნაკადულები. ელვენდ დასერილია ხალასი ლელებით. სპარ-
სი დარწმუნებულა: ელვენდის კლდეებში სიბრძნის ქვაა დამალული. მას ისიც
სჯერა: რომ ნაკადულოვან მთაში უცნაური ბალახი იზრდება ყოველი სენისა-
გან მკურნაეი. სპარსმა იცის: ელვენდზე ჯადომცენარეც იზრდება რომლის შე-
ხება უბრალო ლითონს მეწამულ ოქროდ აქცევს. ხოლო არ იცის მან: რომ
„გენჯ-ნამეჰ“ რომელიც ორიათასბუთასი წლის სიგრძეზე მუნჯი სიტყვებით გა-
დაჰყურებს ჰამადანის მიდამოს—თვითონ სასწაულია საარაკო. ერთ დაფაზე
სწერია:



დიდი ღმერთია აურამაზდა
რომელმა ეს მიწა შექმნა
რომელმა ის ცა შექმნა
რომელმა კაცნი შექმნა
რომელმა სიამენი შექმნა
კაცთათვის

რომელმა შეფედ დასვა დარიუს
ერთადერთ შეფედ მრავალთაგან
ერთადერთად მრავალ მხარეთაგან
მე ვარ

დარაიავუშ მეფე
უდიდესი შეფე მეფეთა
მეფე ქვეყანათა
მრავალ დგმათა
მეფე ამა დიდი მიწის
მიერთაჲც
ვისტასპას ძე
ახემენიდ

სიტყვები: თითქო ხმლები. წარწერა დარიუსის—(522-486 წწ. ქ. წ.). ამ პათოსს ჰქონდა ძალა. დარიუსის ხელისუფლების ქვეშ იყო მრავალი მხარე. სპარსეთი. სირია. მესოპოტამია. ფინიკია. პალესტინა. ეგვიპტე. ბაბტრია. ხორეზმი. ხმელთაშუა ზღვიდან ვიდრე ჩინეთამდე.

ვისტასპას ძე ახემენიდ: ღერბი ჰამადანის.

ჰამადან: ძველი ეგპტანა: საუნჯე ახემენიდების დინასტიის.

ეგპტანა: საზაფხულო სამყოფელი ახემენიდების.

„ახემენიდ“: თვითონ სიტყვის ფონეტიკას მოაქვს დამასკის რკინა.

ეგპტანიდან გასცა კიროსმა მანიფესტი როგორც შიშველა ხმალი.

ელენდ... ელენდზე წარწერების ახლო მზის საკურობეველია.

ესლა მხოლოდ ნაშთი. მინგრეული.

ალბად მისთვის დაინგრა—

რომ ჰამადან თვითონ არის საკურობეველი მზის.

- ვისტასპას ძე

ახემენიდ:

მზის ღერბი ჰამადანის.

• • •

თიხისაგან ნაშენი მინგრეული კედლები. ამ კედლების რიგებით შედიხარ ქალაქში. მიზგითი „მესჯიდ-ჯუმახ“: უკვე სასტიკად მოძველებული. მის წინ: მაჟდან—საცა გაშლილია ბაზარი. ყოველ დღით მზის ამოსვლამდე ბარებით ხელში აქ თავს იყრიან მიწის მუშები. ურიგდებიან და მიჰყავთ სამუშაოდ ველებზე „მესჯიდ-ჯუმახის“ ახლო: ეხო—საფლავებით ავსილი. აქ არის აკლდა-



მა ესთერის და მარდოხაას: აგურისაგან ნაშენი აკლდამა ორვეჯელენაჲს შენობის თაჲზე ელლიპსითური გუმბათი. არქიტექტურა—არა უადრესაჲს: სხვათაგანების შემოსევის. აკლდამაში ნედინარ ქვის კარით. ქვაში ნახვრეტია. ნახვრეტში ხელს გაჰყოფ და კარს გააღებ. პირველი ნახევარი: თითქო საწყობი სიკვდილის სიმბოლოების. მათ შორის—ხის საკაცენი. მეორე ნახევარი: განსასვენებელი. ორი სარკოფაგი შეეწითელა ხის საბურავით. ზედ: ჰებრაული წარწერები ამოჭრილი. აქ განისვენებენ ესთერ და მარდოხაა. კედლებზე: წარწერები ტალმუდიდან: ზოგი ჰებრაულად ზოგი არაბულად. წარწერები—თიხისაგან ჩამოსხმული. წარწერებს ანათებენ გუმბათში გამოჭრილი პატარა სარკმლები. მოდიან სალოცავად არა მარტო ჰებრაელები: მაჰმადიანებიც. კედლებზე ფურცლებს აკრავენ. ფურცლებზე: „მე ესა და ეს შვილი იმისა ამა და ამ ქალაქიდან ვინახულე წმიდა ადგილი და ვილოცე“. ესთერ და მარდოხაა! როგორ შეჭრილან ჰებრაელები მიდიელთა სამთავროში! შენობის გუმბათზე ყანჩს ბუდე გაუკეთებია... არის ეს: ირონია საუყუნეთა შორის გადასულ ეკატანის თუ—ჰუმორი ჰებრაულ აკლდამის: არ იცის ყანჩა. მან მხოლოდ ის იცის: რომ გუმბათზე აკანქული და კუნჭში გამყურე—იგი თავის პოზით მიმინოს ედავება ამაყი ყელახიდვით რომ უხის ფეოდალს ხელზე..

შოგადაშიგ ქალაქში: სიძველის ნაშთი მრავალი. მიზვითი ძველი. ნატეხი ძველი ბაზრის. საფლავის ქვები. კოშკები ნგრეული. წარწერები „culliek“ ყოველ კუთხეში. ცილინდრული ქვები პერსეპოლის ფაგურებით და წარწერებით. ძველი ფულები: სასანიდების თუ ახემენიდების თუ სხვების. ნაშთი მრავალი. და მაინც: მოგზაური ვაკეირვებულია. რამდენჯერ გადაუხანავს ისტორიის სახნის ეკატანას მეკრდი. შედარებით ამ „ხენასთან“ ნაშთი ცოტა დარჩენილა. მაგრამ საკვირველია ისიც: რომ ეს სიციოტავე ნაშთებისა თუ პირდაპირ უნაშთობა კიდევ უფრო ამძაფრებს ჰამადანის ძველობას. არის ადგილი ხასიათის გარე. თითქო ჯერ კიდევ უხასიათო. თითქო ახლად თვალახელილი. არის ადგილი—ხასიათი თავიდან ბოლომდე: ისტორიას მხოლოდ სურნელი დაუტოვებია მის ნიადაგში ვასრესილი. ჰამადან ხასიათია უკანასკნელი კენჭითაც. აქ თვალის გადასულ ლანდებს ზედავს. თუმცა თვალი დაცდილია საჭირო რომ ლანდები არ დაფეთოს. აქ მიწის ბელტიც შორეულის სურნელს ასხურებს. წარსულს მხოლოდ იყნოსავ. სხვარიგ მას ვერ აითვისებ. გადასულს სურნელის გზებზე თუ მოაბრუნებს... ერთი შეხედვით: თიხისაგან ნაშენი სახლები და ვიწრო ქუჩები. მაგრამ ვინ იცის: თიხაში ეგებ მოქუყულია მოკძალება დროის მიმართ—(დრო ყველაფერს ანგრევს: თიხა ისედაც ინგრევა). სივიწროვე ეგებ აშხელს სიერცის მიმართ შიშს: შენობები მკიდროთ შექუჭულან. ყველაფერი თითქო ერთფერი: ნაცარი თუ ღველფი იმისდამიხედვით თუ მზე რა გუნებაზეა. ყოველი—მცირე და პატარა: ალბად ბედის მორჩილი. მხოლოდ აქა იქ უერად ასხლტდებიან მიზვითები როგორც დაქოზფილი ქალები ორჩოფებებზე: რომლებიც სავსე მთვარეს ნოყიერებას ევედრებიან. და ჰაერში სიტყვები თითქო თავისთავის წარმომტქმენნი: ლა ილაჰ ილლა ალლაჰ...

ქუჩები. ვიწრო ქუჩები. მიხვეულმიხვეულები. მიკბულმოკბულები. ქუჩის



ერთი პირიდან შესაძლოა გადახტე მეორეზე. ერთი სახლიდან მეორეში აფუსფუსი. ხალხის მასა: როგორც ჭიანჭველები სხვადასხვა ბუდიდან. კაცები ყველგან: რგვალი კვახის მზგავსი ქულებით. სიცხეშია ცი — ნახევრად თუ მთლად გადახორცილ თავებზე. სახეები: შორეულის მასკები. თვალები იცქირებიან უწყვეტად სიშორიდან. ძველი რასის ხამდვილი ნიშანი. უმხერ — და თითქო კაცი შორსაა. საჭიროა კარგი ხანი და კარგი ცდა: რომ სპარსში მხერა იხილო თანდათან მოახლოებული. აქაიქ კუთხეებში სემიტების პროვილეპიც შეგვევითებიან. ესენი ჭებრაელებია. მათი მხერაც შორიდან მოდის. მაგრამ სველი თვალეები ოდნავ ილიმებიან და ამ შორეთს თითქო მალავენ. არის რაღაც საიდუმლო ჭებრაელის გამობედვაში: თვალეებში ირონია და ბაგეზე სევედა. თვალეებით თითქო გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცი — საიდუმლო. ტუჩებით თითქო გამცნვეს: ღეროშია გაშროს ჩევი ხეიდრი. გაბრუნდება. უკანიდან თვალს გააყოლებ: მხერაში გრჩება დანაოქებული მიმქალი ყვითელი ყურები. ეს ხაზი იქ უფრო გამახვილებულია სადაც ჭებრაელთა რიცხვი ცოტაა: როგორც ჰამადანში. აქვე გხედებიან სომხებაც. წაქანებულ შებლს არტყია საშინელა სიჯიუტე. უკმები ძრაობა ამხელს ხასიათის სიკორძეს. ღჯუ ხე: მუხლმაგარი მაგრამ გილუნული და გაბრუნდული.

მტვერი და წვირე — ყველგან. არ არის საიფქრალი: თითქო სპარსელს მტვერი შევარდეს ან წვირე. ეგებ სპარსელმა იცის: რომ ბოლოს მტვერად იქცევა ყოველი. ქვეყნის უქანასკნელ არსთან — შორიდებაა სავალდებულო. ეგებ სპარსელმა იცის: რომ წვირეს წყალი წაილებს და გააქრობს უკვალოდ. უდაბურ მკერდებით რძენაწოვარმა მართლაც იცის წყალის საიდუმლო. იგი მას აღიდებს: წყალს ყველაფერი შეუძლია. წვირე ღელეში ჩაყრილი თუ გახსნილი ათი ალაბის მანძილზე უკვე აღარ არის წვირე. იგი გაწმენდილია. ასე ფიქრობს სპარსელი. ჰამადანს შუა გულში ჩაურბენს მთის ანკარა მდინარე. მდინარეს მიაქვს ქალაქის სიბინძურე. ჰამადანს არ ეშინია უქანასკნელის.

ყოველ კუთხეში ყვებანა სავეტ ხალხით. დათლილი თითები და კრიალოსნები — ქარვის და გიშერის. ყველგან ჰამიში. მოსწვეს ერთი და გადასცემს მეორეს მოსაწვე ტარს. მეორეც მოსწვეს და გადასცემს მესამეს. მესამე მეოთხეს. მეოთხე მეხუთეს. მეხუთე მეექვსეს. მეექვსე მეშვიდეს. ასე: სანამ ტარი პირველს არ დაუბრუნდება. ამ რიგათ ჰქმნიან მაგიურ რკალს. აქ იჭერენ თვალთა ზმანებას. აქ არის საიდუმლო აღმოსავლეთის თანაყოფისა თუ ერთყოფისა. სხვაობა და ზიზღი მეორისადმი მოხსნილია: ერთი ტარი ყველა ტუჩებისათვის. ერთი მეორის გზით სხვაში გადადის და სხვების გზებით თავის თავს უბრუნდება. მაგიური ძალა კრებულში თავდახსნის თუ თავდახსნის. აჭრელბულ ზმანებას ზშირად პირი ეხსნება. იწყებს რომელიმე საგმირო ამბავის თბრობას: „წავიდა რუსტან დღესა ერთსა და მივიდა ზორაბთან“... მეორე აგძელებს. მესამე საადის მოიგონებს შაირით. მეოთხე შირაზის ვარდებს გადაჰყენს. მეხუთე ისპაჰანის ბულბულს ააფრენს. ამ რიგად: სანამ სიმთვრალე სიტყვას ემორჩილება. თუშცა მისი უხილავი მხეცი უკვე იმრიზება და იგრუნება.



ჯგუფის განზე ვინმე პირდაღებული გამოჩნდება ცონძანაზე განუყოფელი. თბა აბურძენილი. ლაშებზე დორბლი. თვალეზში ცხელეების კიაჯა. თაქანსა კისკალი ოდნაე. ამღერეული. ეს დერევიშია. ყველას უცქერს და არავის ხედავს. თითქო უზილავს უსმენს და ელის მისგან ნიშანს. ჩამოწევა სიბუმე აუტანელი. უფერად აეარდება პირდაღებული კაცი და იწყებს საშინელ კივილს. საშინელი კაცი კივილს ახვევს თუ ამსხვრევს გააფთრებულ ცეკვაში. სივრცე ჭრელი ზმანებით აყვანილი ეხლა უცხო სიტყვებში ეხვევა. კაცი ვერ გაიგებს თუ რას ამცნევენ უკანასკნელნი. ყველაფერი ირევა და გადადის დღეულ ფანტასმაში. ანაზღად თეთრი ვირი გამოჩნდება დატვირთული. მალალი. ცხენის ოდენა. ცნობილი ჰამადანის ვირი. ბიჭი უკან მოსდევს და გაიძახის: ფენირ! ფენირ! ჭრელი ზმანება ჰქრება. თეთრი მალალი ვირი სტოიკური სიდარბაისლით ჩაივლის ქვეით. სიფხიზლეს უბრუნდებიან ისევე. განზე მარჩიელი ქალი გამველეებს უზმობს.

დუქნები. ფარდულეები. თითქო კიდობნები.

ქიშმიში. ზეთიხილი. თხილი. ნიგოზი. ბრინჯი.

ფსტაჰ ნეღლი და ფსტაჰ მოხაული. უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშეშირი. ათასნაირი... ქიტები. თასები. დოქები. თუნგები. მოხაზულები ნაირნაირ. მრავალი.. სირმები. სამკედები. არშიები. გრებილები. თვალისმოპკრელნი.. ნობები, ხალები. ხალებში: ჰამადანის „მუმუდ“. ფარდავები. ფლასები. კილობები. აურაცხელი.. ხორასანის რკინები. შაჰ-აბაზის ხმალები. შუბები. შვილდები. ისრები. უნაგრები. მოსართავეები. ღვედები. თასები. ამულეტები. კუთხეში ნინაატურა ხატული. იქვე „კურანი“ საფიანის აფერადებულ ყდაში. გვერდით თვალი პატროსანი მრავალი. საკუთრივ: იაგუნდი. ლალი. ფირუზი. ქარვა. იასპი. ზურმუხტი. კუთხეში—გალია და შიგ იადონი თუ ბულბული. ათასი და ათათათასი სხვა რამ. არეული ერთი მეორეში. და უეცრად—ქალი მწვანე მოსასხამით კოკებამდი. თავზე: ზაფრანისფერი მანდილი ოდნაე აკრელებული. ფეხებზე: მწვანო ქოშები წითური ქუსლებით. ოდნაე პირახნა თითქო უნებლიე—და სახე: რბილი მარმარი რომელსაც ძვალის ფერი გადაჰკრავს. უცაბედი გამოხედვა—და თვალები: ფართონი დიდრონი ნუშისებრ მოხაზულნი. თვალებს გადაუვლის ჰინდური მუქი ზურმუხტის წყალი. მოსასხამი ირხევა მალალი ტანის მოსხლექილი გავლით და ნაცადი თვალი არჩევს სხეულს ტანგარის სტატუსს მკვეთრ აღნაგობით. გაიწევე უნებურ ლამაზისაკენ და ჩვენება ჰქრება სიზმარივით სადღაც ბრბოის ხრიალში. და მოგონება— „ათასერთი ლამის“. და გავრძელება— იმავ ლამის...



ხმული. კირში—შვის ხერხეში და სილაში—შვის თესლები. ქვეს [ქვეს] ქარი-ქალაქის. სპარსეთის ტიტველ ნაბრალეზიდან საცა ვახულებულს შუქ [შუქ] სენსიკობის ფინს იკლავს ხანდახან ლომის გრგვინვა გადაეარდებდა სუნთქვა შეკრულ ხევებში და გრიალის ბრაზიანი ლვარი შორსშორს დიდს მანძილზე არღვევს სა-შიშარ მყუდროებას. არის ამ გრიალში რალაც უცნაური სითაფადე: ზვიადი—ქედმაღალი—უტეხი. ქვის ლომი ხმალია ჰამადანის. დიდი შუადლის ემს როცა საგნები თავის ლანდს ჰკარგავენ ქვის ლომთან მიდის სნეული: უნაყოფო თუ ათაშანგით დახსნილი. უნაყოფო იღებს ფალოოსს გახურებულ ქვესთან და თხოვს ლომს თესლებს. ათაშანგიანი შეახებს ფალოოსს შვით გასუდრულ ქვეს და ელის ნადირისაგან კურნებას. გაფეცებულ სილაზე თითქო პეშეებით ესმიან საიდუმლო შელოცვანი: კაცმა არ იციან რა ენაზე...

ქვის ლომთან ზის უცხო კაცი.

იგი არ არის სნეული: არც უთესლობით და არც ათაშანგით. არც დიდი შუადლეა ეხლა როცა საგნები თავის ლანდებს ჰკარგავენ. ღამეა მთავართ გა-ნათებული. ზაფხული. 1917 წელი. საგნები ლანდებს არ ჰკარგავენ თავისას—მაგრამ მთავარის ჯადოშუქები თვითონ იტყვიან ლანდებად. იშვის ქვეყნის მეორე პირი: უსახელო—უსხეულო—ხელუხლები—ორალი. უცხო კაცი არ არის: არც სპარსი არც ოსმალი არც შინდუ არც ებრაელი არც სლავი არც ფრანგი არც გერმანელი. არც ქართველი? ჰკავს მხოლოდ ინგლისელს. ისიც პირვლი შეხედვით. ქვის ლომთან ზის უცხო კაცი და ერთვის მთავართ მოთოვლილ ფან-ტასმებს. დიდი თეთრი სასიციხო ჩაფხუტი განზე დაუღვეს. სწორი ნათელი სა-ზე თითქო მთავარის პროფილს ეგვიბრება. უცხო კაცი გაზხერს ჰამადანის მიდამოს და სრულიად გაბრტყებული მოკონებაში გადადის მთლად. ჰამადანიც ხომ მოკონებაა თვითონ. იკონებს:

ორიათასი წლის წინად ალექსანდრემ თავის ბუცეფალი შეავლო ეკატა-ნის სინაგრეებში. ერთი დაკვრათ აიღო ძველი ქალაქი როგორც ათასწლებში ნასურვი დედოფალი. სძლია უძლეველ ახემენიდებს და თვითონ იტყა ახემენი-დად. ხმალის ელვარებაზე გამართა დედოფალთან ქორწილი და გაეარდნილ ურაცხენს შეშლილ ჩლიქებზე ნაპირ გადალახული ლხინი მიაბა. ეკატანის ყვი-თელ კალთებში გაჰვინა „ორრქიანი“ უთვალავი კარავი და ყოველ კარავში ჩამოუშვა ლელედ მოსხლტელი ვარსკვლავი. მზე თითქო დაჰკოდა დიდებულმა გალაღებული მახვილით. და მის მუწამულ საშოდან მოხეტქილი რუებით აავსო მეომართა მოწყურებული აზარფეშები. ათიათას მხედარს შერთო ათიათასი მცირევაზიელი მხეველი. ერთ ღამეს გადაიხადა ქორწილი. არასოდეს ღამე ასე არ გადაჩეულა. არის სადმე პათოსი უფრო მეტი? იყო ნგრევა და სიმთვრა-ლე. იყო ძლევა და ზეიმი. ეკატანში ამ ღამეს კაცური ვასკილდა კაცურის კიდურს. ლიეის ტაძარში „ორრქიანი“ ამონ-რას ძედ გამოაცხადეს. ეგებ ჰამა-დანის ღამის ნიშნად.

უცხო კაცს აკონდება სხვარამ: თითქო შესადარი. არის გადმოცემა ასე-თივე მწველი. საუკუნეების წინად სოლეიმან ბრწყინვალემ (თუ მუჰამედ დამ-პკრობელმა? მაგრამ გიდები სოლეიმანს არჩევენ. ალბად ხმოვანებისათვის) —



საუკუნეების წინად სოლეიმან ბრწყინვალემ ქაფიანი ცხენი შეაგდევინა ტანტი-
ნოპოლის ააა-სოფიას ტაძარში. გაშმაგებული ცხენი ატორტმანდა წმინდა ტა-
ძარის ლეზბიათანის მუცელში და აყირაგებული ტორებით მიაწყდა მაგარ სვეტებს.
მოსხლტა უკან რისხვადალეული ცხენი--და თეთრ სვეტზე ცეცხლის ნატერფა-
ლიდან სისხლის რუჭ გადმოეშვა. ამბობს ასე გადმოცემა. ამ სვეტს ახლაც ამ-
წნეცა სისხლის დალი, თითქო ნალმოხსნილი. უცხო კაცს აგონდება სოლეიმან
ბრწყინვალის ცხენის ტორი და წამსავე ფიქრი გაურბენს: ალექსანდრე დიდის
შეგარდნა ეგბატანაში თითქო სოლეიმან ბრწყინვალეს ცხენის შეგდებაა ააა-
სოფიის ტაძარში. თვითონ ეგბატანა სოლეიმანის ცხენის დალია სისხლით აღ-
ბეკვლილი ტაძარის მაღალ სვეტზე. არის აქ რაღაც უჩვეულო გახელება. საში-
ნელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო. ვნება და გადალაბვა. კაცური მართ-
ლაც სცილდება აქ კაცურის კიდუს. ეხლაც: ჰამადანი დალია ალექსანდრეს
ბუცეფალის ნალის; სისხლიანი--ყვითელი--ქანჯიანი ოღნავ--ხავსიანი. მაგრამ
მაინც მხოური. ჰამადანი: გახელებული ნალის ნატერფალი. ქვის წითური ლომი:
მზითვააღებული ფარი ჰამადანის.

უცხო ვაცი შეიძრა, შორიდან--ცხენების თქარაიქური. უცხო კაცი ხე-
დავს: ცხენოსანთა გუნდი მოჭქრის ქალაქისაკენ. წინ მოხუცი: სამოცდაათ წე-
ლზე მეტი. ცოცხალი თვალები და აღმასივით მქრელი აზრი. მოღურჯო მოსას-
ხამი გრძელი რომელიც ქენების დროს ფრთებად იშლება. თავზე--თეთრი ჩაღ-
მა. ემირ აელან--მხლებლებით და მცველებით. აღბად ჰამადანის გუბერნატორ-
თან თუ მიეშორება რომ უკანასკნელს საყვედური მიახლოს. მთვარის ნათელ-
ში კორტევი ფეერიულ ჩვენებად იფინება. ალექსანდრე დიდის ხსენება თუ აწ-
ვალებს ფეოდალს, მაგრამ რა იცის ფეოდალმა მაკედონელის გადალაბვა. ფეო-
დალმა აა იცის: რომ ევროპაში ხალხები ერთი მეორეს სასიკვდილოდ ასკდ-
ბიან, ფეოდალმა რა იცის; ჩრდილოეთიდან რევოლუციის გუგუნი რომ მოის
მის. პეტერბურგი აღბად მას არც გაუგონია! ქალაქი: რომელიც პეტრე დიდის
სიფილიტურმა გახელებამ ფინის ტბებიდან ამოატივტივა. ქალაქი: რომელიც
დოსტოვესკის ეპილეპსიამ პოტემოსის კუნძულად გადმოანთხია. ქალაქი... ეს
ქალაქი მას არაფერს ეუბნება. ემირ აელან და ამოკალიბსი--სად შეხედებიან
ერთმანეთს. სამი მილის მანძილზე კი შევერინში რუსის შტაბი დალონებულია
წინაგრძნობით. გენერალი ნ. ნ. ბარათოვი--ოსი თუ კახაკი თუ ორივე ერთად--კაცი
ტანმოაზრილი წვრილი ქვეიანური თვალებით--ჩაკმული ჩერქეზულად--ეხლა დარ-
დითაა დაკოდილი: თუ დაირღვა დიდი იმპერია რუსეთის. დაფარულ ფიქრებში
კი ზომებს იგონებს.

მოდის თანადროულობის სიფხიზლე. იჭრება ხალხთა სიმკაცრე. უცხო კა-
ცი იქით აქეთ იხედება. ალექსანდრე დიდის ლანდი საღდაც გადაიკარგა. წი-
თელი ლომი ქვაა კირიან სილისაგან შემდგარი. ჰამადანი აყალო მიწა და
წვირიანი ქალაქი.

არჩიბალად მცეში ბრუნდება ბინისაკენ. უცრად აგონდება ხელიკისფერი



ქვის ნატეხი გუშინ რომ ნახა. ტვინს დალავენ ქვაზე ამოკრილეთ ~~საქონელი~~
 ყვები: საქონელი

„ჩემი ძმა
 არყოფილი
 ვითარ მიყვარდის
 უმეტეს მზისა
 და უმეტეს ხმლისა
 რამე თუ იყო იგი
 სხვაა ჩემი“.

ხარხეშალი ნელკაპიანი

თავი მეორე

—მიწას რომ დასცილდები...
 —ბედნიე მიგატოვებს...
 ძველი ფრაგმენტი.

ტყით მიდის ვინმე. უცნაურ ბალახს ფებს დააბიჯებს. წამსავე აერევა გონება. განაგრძობს ვლას. ჰგონია: უკან მიდის. ჰკარგავს მიმართებას. გაიხდის ტანსაცმელს. გადააბრუნებს. ჩაიკვამს გადაბრუნებულს. გონზე მიდის. უბრუნდება გზნება მიმართების. გზას გაუდგება. არის დაცდილი თქმულება ასეთი არჩიბალდ მეკევი წყეს. ჯერ კიდევ ლამეა. მთვარეს ელევა ფანტანსები. მაგრამ არჩიბალდს არ სძინავს. ან უკეთ: ნახევარ ძილში სიცხადის პირასაა გამოსული მისი შეცნობა. იცის—სად არის. არ იცის მხოლოდ მიმართება. არეულია. ამრეზილი. აღრენილი. თუ პირიქცა უცნაურ ბალახზე გადავილიღვით. შკადადიდან ჰამადანამდე რუსის რაზმს კახაკ პალიდს მეთაურობით რომ გამოჰყვა—ეგებ ასეთი ბალახი შეხედა. ან თვითონ ეს გზა „ბაგდად-ჰამადან“ ეშმაური ბალახი თავად. არც იქით—არც აქეთ. არც წინ—არც უკან. არც ზემოდ—არც ქვემოდ. გზნება პიროვნების ფანტანსტურ ობობას ქსელშია მოკცული: ყოველი კიდური პირს იცვლის და საყრდენი მუხლი გამჭრალია. ირღვევა პიროვნება: ორად სამად ოთხად ხუთად. უფრო ორად. ერთი: მეორის განზე დგას. ერთი უყურებს. მეორე მოკმედობს. არჩიბალდ მეკევი თვალს ადევნებს არჩიბალდ მეკევს. შიში ერევა: რომელიც ხან ერთს ბზარაკს და ხან მეორეს.

აგონდება არჩიბალდს ნახობობი. ძნებთან არის ვინმე მოსვენებული. მზე მაგრად აცხუნებს. გვერდით ცხენი გარინდლულა. უცრად ძნებთან მგდომარე თვალს მოჰკრავს ვილიცას. ისიც ძნებთანაა მოსვენებული. მისი გვერდითაც ცხენი გარინდლული. იცილებს საცოდავი: ორეულს გამოიცილობს თავისას. წამოვარდება. ცხენს მოეველება. გააჰყენებს. ესმის თქარათქური. მისი ცხენისაა ეს თქარათქური-თუ? ჰა: უკანიდანაც მოისმის. ალბად ორეული თუ მოსდევს. შიში აიყვანს. ცხენიც გიყვდება. გზაზე დავარდნილს ნახულობებ ნახცრად გონწასულს. პირზე დუფი გადმოსვლია.



არჩიბალდ მეკეში წამოდგება. გავა აიუანზე. გადახედავს მისი-
რე აგრძელებს ფანტასმების თოვას, თუმცა უკვე ცხრება. მგზავს მისი მხარე-
ნეულის და სიციხადის გაყრისა უფრო სასტიკია. ეწინია: ჰამადანის თავზე თა-
ვის ორეული არ დაინახოს. შევარდება ოთახში, ლოგინზე დაეკემა. ბურანი
მოიკავს. შეცნობა ნემსივით დაკოტავებული მიდის შორით შორს: თითქმის
იკარგება. მაგრამ ნემსის შეცნობა თავის თავს უცქერს. არჩიბალდ მეკეში
თვალსაღვენებს არჩიბალდ მეკეს შორეულში.

არჩიბალდ მეკეში მზავარია. 1914 წელს პარიზის Salon d'Automne მიი-
ღებს მის ნახატს. ტილო არაა დიდი. უბრალო ლანდშაფტი. სიციხით ამწვარი
ველი. ფართო მდინარე მოთეთრო. მდინარის პირას შავი ხარები მრავალი.
წყალს დაწაფებიან მწყურვალენი. თავები მალა აუწევიათ: უკანასკნელ ჩქე-
ფის ჩასანერწყვად. მაგრამ თვალები უცნაურს ხედვენ: ლანდს თუ ლანდებს მდი-
ნარზე გადაფრენილს — თითქო სხვაქვეყნიურს. საოცარი გამობედვანი. ნახატი
იქცევეს ყურადღებას. მერები საშინლად დარბილებულნი. თეთრი: ოდნავ მტრე-
დისფრად გადასული. შავი: თითქო ჰვირვალ წყალში მუქი გიშერი. მეწამული:
როგორც მზევარეში დაფრქული ბროწეული. კომპოზიცია — ეთ გადაგრაგინილი
მუხა. ფაქტურა: მიწა პირველყოფილი. ნახატი გამოდის ეურნალზე რეპროდუქ-
ციით. იქვე ავტორის პორტრუტიც. ნახატი იქცევეს ყურადღებას. მაგრამ პორ-
ტრეტიც იტაცებს თვალს. სახე: ნელი. სვალები: რუხი ფერის ოდნავ ლაგვად
გადაკრული, ცხვირი: სწორი — მხოლოდ ორბულ აქვდილი შუაზე. თმა: შავი ორად
გაყოფილი. მთელს მეტყველებაში: სასტიკი სინელე. მაგრამ ბოლოს შეამჩნევ
მაინც: შენელებით ატეხილობაა უჩვეულო დაკავებული.

არჩიბალდ მეკეს მოდის მოსაწვევი ბარათი ამერიკულ მილიარდერისა-
გან. ფერგაუს ურუოორ უცნაური კაცია. მას აქვს ვილლა ხმელთაშუა ზღვის
პირას გამართული. მის ხასიათში სპლინია დაბუდრებული. იგი იწვევს ყოველ
ზაფხულს რჩეულ პირებს ევროპის ყველა კუთხეებიდან. ჰქმნის მათთვის ახალ
ქვეყანას. ცხოვრობს შექმნილი ქვეყნით. ერთობა: ჰკლავს სპლინს დროგამოშე-
ბით. თან ფიქრობს: ღმერთმა ალბად მისთვის გააჩინა ქვეყანა რომ მას სპლინი
მოერიდა. ფერგაუს ურუოორ ჰკლავს სპლინს დაფინებით სანამ სპლინი თვითონ
არ მოჰკლავს მას. სიკვდილის ეამს ფერგაუს ურუოორ უთუოდ დარწმუნდება.
რომ ღმერთიც მასთან ერთად გარდაიცვალა თვისონ.

არჩიბალდ მეკეში მოწვეულთა შორისაა. რჩეულნი ასორნოცდიათამდეა-
მხატვრები. მუსიკოსები. არტისტები. პოეტები. მომღერალნი. დამკვრელნი. ფი-
ლოსოფოსები: მხოლოდ ისინი რომელთაც აზრის სხვაობივი მობრუნება იციან
და სტილით წერა. რომანისტები. მონდენები: ლორდ გარის ტიპის დორიან
გრეადან. ქალები და კლრტიზანები: უკანასკნელნი მანონ ლესკოს ტიპის. ეროვ-
ნებით: ინგლისელი. ფრანგი. გერმანელი. იტალიელი. ესპანელი. ნორვეგიე-
ლი. დანიელი. შვეციელი. პოლანდიელი. შოტლანდიელი. რუსი. პოლონე-
ლი. ბერძენი. რუმინელი. მრავალი სხვა კიდევ. პროფილები ნაირი: ძველი რო-




მასლიდან ამდროულ ჰებრაულამდე. შიგადაშიგ: ხეტტური, ეგვიპტური, კრეტური, ფინიკიური, ხალხები კედებიან—პროფილები რჩებიან. **სიხალისეობა**

ვილლა—მხატვრული სტალით აგებული. ქვა: გრანიტი, სიმაგრე კლდეების, უხარმზარი. შიგნით—დარბაზი შავალფერი: თეთრი, ყვითელი, მწვანელი. შუაგულში საკონკრეტო. სამასამდე ოთახი საცხოვრებელი, თვითივე სტუმრისათვის სამი: საწოლი, სამუშაო, საპირფარეშო—როფით, ყველა კომფორტით მოწყობილი. ელექტროს დვარი, წყალი დაეშრეტელი, აუხები, თავლები ინგლისური და არაბული ჯიშის ცხენებით, ეტლები, აეტომობილები: ოცდახუთი, ხუთი ჰაერობლანი, სამი გემი, ვილლას ირგვლივ ათქვირებული ბალები რჩეული ყვავილებით და მცენარეებით—ათი ვერსის კვადრატის სივრცეზე, ხეივნები სხედასხვა სტილის, ასფალტით გაგლეხილი ტაშირი: ლაუნ-ტენისისათვის, ორკესტრი სიპებიანი: ასორმოცდაათი კაცი საგან შევდვარი, დამკვრელები ზანგები ყველა, გარდა დირიჯორისა, დროსტარება და ქეიფი, პრემიამილებულნი მხარულები, საკმელებით შედავება ძველ რომაელებს, ათასნაირი სასმელი: ტოკაჲ, ხერესი, შამპანური განთქმულ ფირმების, კონიაკი სხედასხვა, შარტრეხი, შერიბრენდი, კოქტაალი, ბალებში შალალი კოშკები გარშემო აიენებით, გადასახედავები ზღვისაყენ, განსამარტოვებული ადგილები, მრავალი სხვა: ფერგაუს ურვოორის ფანტაზიის დამცხრომი.

ფერგაუს ურვოორ კმაყოფილია ასეთი კეთხის შექმნით, ეხლა ესმის მის ღმერთის სიტყვა ყოველი გაჩენის დღის შემდეგ: „ეს კარგია“. ყვითური სახე რომელსაც ბალანი არაოდეს უნახავს უღიმის ნაოკშეყრილი, ხელი ტანი აყვანილია კმაყოფილებით, წვრილ ქვეიანურ თვალებში კიაფობს ოდნავ სიმაყუფერგაუს ურვოორს ერთი რამ აწუხებს მხოლოდ: რომ მას არ შეუძლია მთელი ეს ვილლა მთელი მისი მორთულობით მთელი მისი მიდამოებით მთელი მისი მცხოვრებით—ზღვის ზედაპირზე გადაიტანოს და შექმნას მისგან მკურავი კონტული, მაგრამ ხელი ამერიკელი ყვითელი და ქოსა მაინც მოხარულია: რომ შექმნა არე ახალი რასის შერჩევისათვის, ფერგაუს ურვოორ დაჯერებულია: ამ კეთხეში შესვლებიან ერთიპორეს: გონება ყოვლის გამკები, ინტუიცია იღუშალის მიზნედრი, ერთი წარმომიზი შთაგონებით ატაკების, სხეული მწყურვალი მეორე სხეულის: ორივე-აესილი სილამაზით, ნდომი კიდურების გადამლახავი, ფერგაუს ურვოორს ფრიდრიბ ნიცშე არ უკითხავს, ან რად უნდა მისი წაკითხვა, ფერგაუს ურვოორს ჰკონია: რომ იგი ჰქმნის ნამდვილ საზიელს ზეკაცის მოკლენისთვის, იგი განზე დადის, სტუმართა ჯგუფებს შორიდან უქურებს გვერდულა მხერით, ხანდახან თუ გაერევა ჯგუფებში როვოორც ყილა ასტრალია, მის უცვლელ სახეზე რომელიც გადასულ ფარაოს მუმის უფრო წაგავს იშვითად ირონიულ ღიმილს თუ შეაჩნეე, ისიც—ოდნავ, სეედა: სანამ მის სახეს მიღწედეგს—კვირტშივე კვდება: ფერგაუს ურვოორის ნება ამერიკული სიჯიუტითა არის გაქვდილი..

ჯგუფები ხეივნებში.



ბასი წაკეთებათ.

— გაიხსენეთ სილს-მარია..

— ნიცშეს რომ ხილვა თავს დაეცა..

— დიახ. იღვა საშინელი?. ნიცშეს დემონის ჩურჩულით რომ მოესმა. ყველაფერი ბრუნდება: იმავე რიგით და იმავე თანყოლით. ნული ობობა მთვარის შუქში მცოცავი. თვითონ მთვარის შუქიც. მე.. შენ..

— „მარადი სილის საათი ყოფისა ბრუნდება მუდამ და შენც მასთან ნატამალო მტვერისა“.. მგონი ასეა..

— მარადი მობრუნება ეწინააღმდეგება ზეკაცის იდეას.

— როგორ?!

— „კაცი ისაა რაც ძლეულ უნდა იქნას“. ზეკაცი მეტია ვიდრე კაცი. თუ კაცი თავის თავს უბრუნდება—სადღაა „მეტი“?! მარად ბრუნვაში კაცი მხოლოდ კაცს დაუბრუნდება..

— გაეწყდებათ ერთი: ზეკაცი დიონისოა კაცში შობილი.

— თუნდ ვერე იყოს..

— დიონისო იმთავითვე მარადშობილია და ახლადშობილი. თავის ცხადებისას იგი მუდამ მეორდება: იგივეა და თან სხვა, ყოველი მისი აქტი თაურია ახალის და თან ხსოვნა ყოფილის..

— ეს მაშინ: თუ ყოფის ორი პლანით ავიღებთ..

— ერთი პლანის ყოფით ნიცშეს ვერ გავივებთ..

— როგორ?!

— ორფიკების რკალი ხომ გახსოვთ: „რკალი დაბადებთა და სიკვდილთა“. მობრუნება: გაელაა იმ რკალში. კაცი თავის თავს უბრუნდება რომ თავის წინაყოფას თავს გადაეზარდოს..

— ეს ხომ ძველი ეგვიპტის სწავლაა..

— დიდ პითაგორის მიერ გამართული..

— ნიცშე?!

— ნიცშემ მხოლოდ გუმანი მიიტანა..

— მაშ ეს არის სილს-მარიას ხილვაა...

1. „ესპრი ფრანსე“ არის ის: რაც სილლოგიზმში არ ეტყვა და სილლოგიზმის გარე რჩება..

2. მართლაც: ვის შეუძლია ასეთი თქმა: „ერთად ერთი საპატიო საბუთი დმერთისა ის არის რომ იგი არ არსებობს“..

3. მგონი სტენდალის თქმაა..

2 დიახ. ნიცშეს პირდაპირ ეხარბება ეს თქმა და დღესდღეობა: ამის თქმა შედეგად მხოლოდ ზარატუსტრას შემქნელს..

1. რასაკვირველია: სტენდალს რომ არ ეთქვა პირველად.

3. ეს არ არის პარადოქსი..

2. პარადოქსი გათელილ ადგილებს აყირავებია..



1. ეს არც კეჭამახვილობაა..
3. რომელიც შუათანა ხალხს ახასიათებს..
2. თუ არის გამონაკლისი?!

1. არის კი?!

2. აბა დაუგდეთ ყური. პუშკინი ფრანგულ დრამის უსმენს პეტერბურგში-
ვევლას მოსწონს ერთი მსახიობი ქალი. პუშკინს არ მოსწონს და უსტვენს. ვი-
ლად შესძახებს: „დუფურაკი.“

3. რა მაგარი სიტყვაა..

2. პოეტი შეუტევს: მე რომ არა ვარ „დურაკი“—ეს იცის მთელმა რუსეთ-
მა: ოდგან მე ვარ ალექსანდრ პუშკინ. დათუ ამ წამს სილა არ გაგარტყია—
ეს მხოლოდ მისთვის: რომ არტისტს არ ეგონოს თითქო მე ტაშს ვუკრავ..

ყველა: ხა-ხა-ხა-ხა-ხა..

1. შესანიშნავია..

3. ცოტა გძელი რომ არ იყოს..

2. შედეგია მაინც..

3. სლავი და ასეთი შიმპანური აფეთქება?!

1. არა. აქ აფრიკის სიტყვა უფრო ალექსილი...

— ქალის სილამაზე არაფერს ნიშნავს.. მთავარი—სურნელებია.. აღმოსავ-
ლეთის ეროტიული ლირიკა სურნელია მხოლოდ გალობილი..

— შესაძლოა მართალიც იყოს.. მაგრამ თვითონ სურნელს უმეტესად სი-
ლამაზე ასხურებს როგორც ვასრესილ ყვავილს.. სურნელი არაა: ქალის მუხლი
შეხეულ ატლასიდან რომ მოსჩანს მწიფე ჭარვასავით დაყურსული?!

— რა არის „ლალატი“?! ამაზე ლორდ გარრი გიპასუხებთ დორიან გრე-
დან. „ახალგაზღვებს სურთ არ ულალატონ და არ შეუძლიათ. მოხუცებს უნდათ
ლალატი და არ ძალუქთ“..

— ჰა-ჰა-ჰა.. „რომანზე“ კიდევ უკეთესად იტყვის: „შეცვარებულნი იწყე-
ბენ მით რომ თავის თავს ატყუებენ და ათავებენ მით რომ სხვებს ატყუებენ.
ამას რომანს უწოდებენ“..

— ჰა-ჰა-ჰა..

— სამყარო რომ სისტემაში მოაგვარო საქირთა ერთდროულ წარმოი-
დგინო იგი. სისტემაში სამყარო „მყოფადია“ ყოველთვის: ანუ ერთად მოცემული
თუ აღებული..

— მაგრამ სამყარო „მყოფადი“ რომ არაა მარტო. იგი „ქცევადიცაა“.
მისი სრული ვაგებინათვის აუცილებელია „დროში“ აიღო იგი..

— სწორეთ აქ არის კვანძი.. ლეიფორმა პლატონმა—(მაპატიეთ ეს ახი-
რებელი ეპიტეტი რომელსაც ათას წლებში მხოლოდ პლატონმა გაუძლო)—
პლატონმა „მყოფადი“ იდეათა სფეროში გადაიტანა: ხოლო „ქცევადი“ მოელე-
ნითა შორის დასტოვა. ამით ნახა გასაფალი..



— არისტოტელემ სამყარო პროცესში იხილა. მაგრამ პროცესსა-მეტრატულ დროში წარმოიდგინა: „ყოველი პროცესის იმთავითვე მიღწეული მიზანია“. თუ მიღწეულია....

— მაშინ სამყარო იგივე „მყოფაღია“..

— ეს იგივე ფინალიზმია პლატონის.. მხოლოდ სხვა სახით..

— სწორეთ ამისთვის ებრძვის ბერგსონი ორივეს.. სინამდვილე ევოლუტიურია.. აქ ყოველი მომენტი წაზრდაა სინამდვილის.. მაშასადამე; სრულიად ახალი.. ჯერ არყოფილი..

— რამოდენიმედ ჰეგელიც ებრძვის ფინალიზმს.. სამყაროს „ქვეაში“ ღმერთი „არ არის“—მაგრამ ღმერთი „იქნება“.. რადგან „იქმნება“..

— თუ არ არის რა იქნება?!

— გამოდის: ორმაგი შეგნება სინამდვილის: დროში და დროის გარე..

— არა. დროში და მარადში..

— ევ სულ ერთია.. წინანდევობა მაინც რჩება..

— წინამდევობას მხოლოდ პატარა „რაციო“ ხედავს..

— დიდი გონება?!

— დ დი გონებისათვის იგი მოხსნილია..

— მაგალითად?!

— ვოეტჰე და მისი აპერცეპცია.. „Urphenomen“-ში მოცემულია მოვლენა ერთბაშად მის დენაში.. აქ თვალი დროში-გავილეს ხედავს როგორც დროის—გარემოვს.. ეს თვალი გენიაა თვითონ..

— მაგ თვალი მხატვრული აპერცეპციაა და არა სისტემა..

— რა საჭიროა „სისტემა“?!

ინგლისელი: რაა „დრო“—ასეთი დაჟინებით რომ ლაპარაკობენ?! დრო ფლეგმა შეანკესეების სენის ნაპირებზე თევზებს რომ ელიან .

ფრანგი: ლამაზი ჭერივი როს შეამჩნევს რომ მას შაეები შეენის—იკოდეთ „დრო“ იბადება..

ირგელიე სიცილი..

იტალიელი: პუშკინის პასუხი ძალიან გაეარდა..

გერმანელი: ჰაიზინიბ ჰაინეს კიდევ უფრო ბასრი კეკა აქვს..

ხმა: მაგალითი?!


გერმანელი: შაფერბერზე სწერს: განკითხვის დღეს—როცა შთავარ ანგელოზების საყვირები დასძახებენ— შაფერბერ მკედრეთით არ აღდგება—თუ ანგელოზებმა სმენას ოდნავ ულაატეს..

რუსი: დიდებულია..

იტალიელი: ჰიპერბოლაა სემიტური..

ფრანგი: მაგრამ მაინც შედეგრი..

ფერგაუს ურეოროს ყველაზე მეტად ერთი სტუპარი იზიდავს: ჰებრაელი ზიმან. იზიდავს და თან ეშინია. ორეული თუა მისი? არა: ზიმან სხეანაირია-





ვერ წარმოიდგენ: რა აწუხებს მას და ან რა აბარებს. მან მხედველად დაიწყო: ეს ასეა. ეს ცოდნა ყოილა ასტრალის ცოდნა თუა—(აქ თუ ნახულობს მსგავსებას ფერგაუს ურეოორ). არავითარი სინედლე და არავითარი სინოყიერე. არც თესლი და არც საშო. მხოლოდ რეტორტა და აპტეკის სასწორი. ან და: ალგებრა და გუტაპერჩის ბასტარდი. ზომან ხანდახან „ლირიკაში“ გადადის: ძველი რასის რომანტიული მელანქოლია თუა. მაგრამ მისი ლირიზმი ჰისტერიაა მხოლოდ ნოზეტე ასტრალის. ხედავ ზომანს და შთაბეჭდილება ასეთია: მისი სხეული თითქო ტანსაცმელია მისთვის. შესაძლოა ლამობით კიდევ სცილდებოდეს მას. ხომ გინახავთ განხე ჩამოკიდებული მელანქოლიური პიჯაკი. ზომან ზმირად ამ ცალიერ პიჯაკს გავს—(ეს თუ აფეთებს ფერგაუს ურეოორს). გასაგებია: თუ მის სხეულს კულტი არ აქვს, ხანდახან იმასაც გაიფიქრებ: რომ მისთვის სიკვდილიც არ არსებობს. მოერევა სპლინი და ზომანიც გამოძერება მისი სხეულიდან. ეს იქნება მისი „ილასარული“: სხვა არაფერი (ალბად ეს აშინებს ფერგაუს ურეოორს). შესაძლოა ამ დროს კიდევ გაეღიბოს: თუმცა ზომან ნაკლებ იღიშება..

ისევ ჯგუფები...

ისევ ბაასი.. ხეივნების ჩრდილები საამოა...

ზომან: რამდენად წინ მიდის კულტურა იმდენად აეტანელი ხდება ერთი ადამიანი მეორისათვის. კოსმიური ვითარება ინდივიდუალის გზით მიდის. სხვაობა: უთანხმოება. მეტი სხვაობა—მეტი უთანხმოება. სანამ ჯოჯი ერთფერია მშვილობა სუფევს. მაგრამ საკნაოა: თეთრი ცხენი უცხო ჰიზინით მოველინოს შავ ცხენთა ჯოჯს—რომ უკანასკნელი სრულებით აიშალოს. დადგება დრო: ერთი ვერას გაიგებს მეორისას. ამის ნიშნები მრავალია.

რუსი: ანას დოსტოევსკიც ამბობს. ხომ გახსოვთ მისი საოცარი სიტყვები „დანაშაული და დასჯის“ ფურცლებიდან?

ფერგაუს ურეოორ განცვივრებულია..

არჩიბაიდ მეკეში ურს უგდებს..

ზომან: აქ იმალება მოწყენის ფენომენი..

რუსი: ალბად მისთვის მიხედა დოსტოევსკი მოწყენის ფენომენს ასეთი გამჭრელი ინტუიციით..

ფრანგი: აბანო და ობობა. სახეები მარადისობის. ბოლოს და ბოლოს: მოწყენა. არა?!

პოლონდიელი: ობობა ნიცმესაც აწვალბდა. ღმერთი დიდი ობობაა „ზარატუსტრას“ აეტორის წარმოდგენით. და ღმერთი მისთვის..

პოლონელი: მოწყენაა უდავო..

იტალიელი: ობობა მაღალარმესაც აწუხებდა. ბოდლერს კიდევ უფრო. „ავუვილებში“ ობობა მოწყენის ქსელსა ქსოვს. „სპლინი და იდეალი“: რა უცნაური სათაურია ბოდლერის წიგნში.. „იდეალი“ აქ მარადისობა თუა!.

რუსი: დოსტოევსკის აბანოს უახლოვდება..



ქართული

ზიზან: მოწყენის სათავე მონახულია..

ფერგაუს ურვოორ იმრიზება „მოწყენის“ გავონებაზე, სხობს მისი საფუფ-
ბულ სპლის გახურებული ნემსი სჩხელიტეს.

არჩიბალდ მეკეჟს მხოლოდ ის აკვირვებს: რომ მოწყენაზე ჰებრაელი ლაპა-
რაკობს. ჰებრაელი და მოწყენა?!

ზიზან: შესაძლო რომ იყოს კაკობრიობის კოლლექტიური პსიხიკის გა-
ზომვა— უთუოდ დაეინახავდით: რომ კულტურის ზრდასთან ერთად მოწყენაც
მატულობს .

ინგლისელი: ფორმულა არ არის სწორი. მოწყენა უქმედობის ნაყოფია
მოწყენას ჰკლავს ქმედება. უკანასკნელი ძარღვია ყოველი კულტურის..

ფერგაუს ურვოორის სახეზე ნათელი გადაიბრუნა..

ზიზან: მართალი დაკვირვებაა. მოწყენა თან ახლავს უქმედო ჰამლეტს.
მაგრამ მოქმედებას ახლავს ფარული მხარეც. მოქმედება უსვენარობის ნაყოფია.
უსვენარობა კი მოწყენიდან გამოდის. ბოლოს და ბოლოს: თვითონ ქმედება
მოწყენის ნაყოფია. მართალია: ქმედება მოწყენას ჰკლავს. მაგრამ ეს მხოლოდ
მისთვის: რომ იგი უფრო გაახელოს..

?!. ?!. ?!.

ზიზან: არ გჯერათ?! მაშ ისმინეთ. კულტურა ქმედებაა. მაღალი კულტუ-
რა — მაგარი ქმედება. ჩვენ შეგვიძლია ამჟამად აეროპლანით გადაელახოთ სიერ-
ცე. იყო დრო: როცა ჯრმებს მივაჭრიალებდით. ავტომობილის ხანაში ეტლით
მოგზაურობა მოსაწყენია. აეროპლანის ხანაში ავტომობილი ურმის ზღაზენად
მოგვჩვენებთ: დადგება დრო: თვით აეროპლანიც უსვენარობას გამოიწვევს.
იგიც მოსაწყენი გახდება.. უთუოდ..

რუსი: ბოლოს და ბოლოს?!

ფერგაუს ურვოორს ეშინია სიტყვა „ბოლოსი“.

ზიზან: სრული ნირვანა..

ფერგაუს ურვოორის სახის ნირვანა აფუფდება საფუფარვით. ძნელია გა-
მოცნობა: შიშით თუ შორეული ატაკებით.

ფრანგი: რა გზით?.

ზინამ: კულტურის გეზი დროისა და სიერცის ძლევაა. დღეს პარიზში ჩა-
ვალთ ერთ დღეში. ვიპოვოთ თანდათან ტენზიური პროგრესი. ერთი დღის
მაგიერ ხუთი საათი. ხუთი საათის მაგიერ ერთი საათი. შემდეგ ათი წამი ბო-
ლოს ერთი წუთი. კიდევ მეტრ: ნდომა და ასრულება ერთი იქნება: გაჭრება
მანძილი. მანძილთან დროც დაივსება.

გერმანელი: თუ ჩვენი ძრაობა სინათლის სიმაღეს დაეწია.

ზიზან: დაეწევა უთუოდ. დაეწევა.

ამერიკელის სახე ნირვანიდან ღიმილით გამოდის: მისი რასსა მართლაც
დაეწევა სინათლის სიმაღეს.

ზიზან: გაჭრება მანძილი. დაივსება დრო. ვათავდება სიკოცხლე.

ამერიკელის სახე ისევ ღჯუ ნირვანაში გადადის.

რუსი უკვირს: რომ ჰებრაელი სიკოცხლის ვათავებაზე ლაპარაკობს.



მეკეში: სიცოცხლე არ გათავდება.

გაკვირვება.

ამერიკელის სახე ნირვანიდან იმედით იღვიძებს.

ზიზან: სიცოცხლე გათავდება, რადგან გასაქანი არ იქნება, რადგან გაქანებაც არ იქნება საჭირო.

მეკეში: სიცოცხლე არ გათავდება, სხვა ფორმას მიიღებს, გაქანება გასაქანში მხოლოდ მატერიალისათვისაა საჭირო, სულისათვის არც ზომის გარეშეა, წამი შესაძლოა მარადს უღრიდეს, ამ სხვა არც გამოცნობა ძნელია.

ზიზან: მაგონდება კირილლოვის სატყევები დოსტოვესკიდან, თუ არც ვცდები...

მეკეში: არ ცდებით, გიყი იყო, ზეკატორ არეში გადასვლის წამს ადამიანის პიროვანი არსი ვერ დაიტევს, აუცილებელია კიდურის გადაღახვა, ამ გადაღახვის ეამს შესაძლოა გიყის გაფართოებულ თვალეზმა გამოიანათონ.

ფერგაუს ურვოორის სახე ამოტივტივდება საფუარიდან, ეხლა მართლაც ზიზან აიტანს, მაგრამ გვერდით ზურჯული მოესმის: „ეს წამი ჯერ კიდევ შორსაა“ — და ხმელი ამერიკელი უვითელი და ქოსა ხელეგს იშვუშნის მალულად.

რუსი: მე ვიმეორებ ნათქვამს, სემიტები ღმერთს ხედავს თვალდახურული, არიელი ღმერთის ხედავს თვალახილული, სემიტს ხატი არ უნდა, არიელი ცოცხლობს ხატით, სემიტს არ ჰქონია სახეითი ხელოვნება, არიელის ხელოვნება უმთავრესად სახეითია, ვიმეორებ: სემიტები შეიქრა ევროპის კულტურაში, სემიტები არღვევს სახეობას, ფუტურისტები, ორფისტები, სუპრემატიტები, სინბრონისტები, კუბისტები, ყველანი სემიტის გეზით მიდიან.

გაკვირვება, მხდლოდ ფერგაუს ურვოორის ნირვანა არ ირღვევა იტალიელი: კუბისტების თუ ფუტურისტების თუ სხვების სისხლში უმეტეს შემთხვევაში ერთი წვეთიც არაა სემიტური.

რუსი: მე ვლაპარაკობ ხასიათზე და არა სისხლზე, სისხლით არიელი შესაძლოა სემიტები იყოს ხასიათით.

ჰოლლანდიელი: სისხლის მეტაფიზიკა, დამამკირებელია ადამიანის ღირსების.

რუსი: არაოდეს.

ჰოლლანდიელი: თვალდახურული ხედავს ვიზმე ღმერთს თუ თვალახელილი—ეს სულ ერთია.

რუსი: რას ამბობთ?!

ჰოლლანდიელი: სულ ერთია, ოღონდ კი ხედავდეს.

რუსი: ეს კი, მაგრამ..

ჰოლლანდიელი: საფიქრალი მხოლოდ ისაა: რომ ამდროულ ხელოვნებაში ღმერთს ვერავენ ხედავს—არც თვალდახურული და არც თვალახელილი.

ფერგაუს ურვოორის გაფითრება ეტყობა, თითქო სივრცით ფიქრობს: შორეულზე თუ ლაპარაკობენ.

ჰოლანდიელი: რელიგია სხვაა და ხელოვნება სხვა.



მარკინეშვილი

პოლონდიელი: მართალია—მაგრამ კარშეკეტილი არცაა ელფიყრანთიყო-
რეს ხედებიან შებრილი რკალებით.

პოლონელი: ხელოვნება თავისთავადია.

პოლონდიელი: მხოლოდ გარკვეულ არეში.

ფრანგი: ხელოვნება ხელოვნებაა და სხვა არაფერი. შერთავ სხვა რამეს—
მიიღებ მხოლოდ ბუშს.

პოლონდიელი: მე სახეში მაქვს მისი შინამხარე. ძველად სურათი „ხატი“
იყო უთუოდ.

მეკეში: ყოველ შემთხვევაში სამყაროს ნატეხი.

რუსი: ხელოვნება სიტყვაა რომლითაც ზენაარსს ელპარაკებია.

ფრანგი: და რომელსაც იგი არ ისმენს.

ზიმან: თუ „ვერ“ ისმენს?! ზენაარსი მოკვდა. ნიციშეს დაეჯერება.

რუსი: ეს მას ხელს არ უშლიდა ერთი ბარათის ქვეშ ხელი მოეწერა „ჯვარ-
ცმულის“ სახელით.

ფრანგი: მაშინ იგი უკვე შეშლილი იყო.

სიტყვა „შეშლილი“ ნემსივით ესობა ურვოვორის სპლინის ფლაუსს. ფერ-
გაუს ნერვიულობს.

არჩინალდ მეკეშს აგონდება უთვალავი შეხვედრა და უთვალავი ბაასი.
ერთი პოეტი ამტკიცებს: პოეზია რითმამ მოჰკლა. საბუთები: პოეზია საგ-
ნებისა და რითმების ირრაციონალი აბრუნებაა, რითმა ირრაციონალია: მაგ-
რამ ბოლოს და ბოლოს ენაში გამოანგარიშებული. საჭიროა: ურითმოდ მოვი-
დეს ირრაციონალი. მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ფანტაზიის ძლიერება. მეორე
მოუთხრობს: შიველი ეხლანდელი ლიტერატურა პიპიხონდრიაა და მელანქოლია.
პოეზიაში შეიჭრა სიფილისი და აამღერა ამოკალიპსი. ამოკალიპსის ავტორი
უთუოდ სიფილიტი იყო. შესამე მხარს უჭერს მეორეს—ხოლო დასძენს: ქვეყნის
გათავების მოტრეები უფრო ებილეპსიიდანაა წარმოშობილი. თვითონ ეპილეპ-
სია კი პიპიხური ნიშანია რომელიმე კულტურის გათავების: რომელსაც ზოგიერ-
თი წინასწარ გრძნობს ავადური ატეხილობით. მეოთხე აცხადება: სიფილისიც
და ეპილეპსიაც „წმინდა ავადობაა“. მეხუთე ლირიკას ეხება და უბნობს: ლი-
რიკა კვდება—რადგან ეხლა ერთიმეორის პიროვანი ყოფა კაცს არ აინტერეს-
ებს. პოეტებს მოსდევენ რომანისტები. ისინიც კრიზისს უთითებენ. პსიხოლო-
გიური რომანი კვდება: რადგან სულერაია—სულში რაა ვერ გაიგებ. ავანტა-
ურის რომანსაც ბოლო მოეღება: რადგან ბოლოს და ბოლოს ავანტაჟურაც მო-
საწყენია. ისტორიული რომანი მონოგრაფიაში გადადის. ექსოტიური რომანი
მხოლოდ „უნახავს“ აკვირებს. შემდეგ არ იცი რაა უფრო კარგი: ტიპი თუ
ხასიათი თუ პიროვნება. რომანისტებს მოსდევენ დრამატურები. დრამა სულ
დაღუპულია. ანტიური ტრავედია ეხლა შეუძლოა: ეპოქაა სხვა. დრამა შექსპი-
რის ცალმხრივია: ხასიათში ერთი ელემენტი ან მომენტი არ სჭარბობს. განსა-
კუთრებით: მეოცე საუკუნეში. ბაურგერის ან მეშჩანის დრამა წერილმანია:
ვის აინტერესებს ეხლა ჰერა მანსის ან მოსაფ ფრანსუას ფიქრები ან საქმე-



ბი?! ადამულტერი კბილები მოსაკვეთია. შემდეგ: მუსიკოსები. სწავლებლობა ნი-
ქი დაეცა. სიმფონია „მთელის“ კონკოზიციია და მთელი ესლა მსიხიქანი არ
არის. ინსტრუმენტიც მოძველდა: როილის რეფორმა საჭიროა კარგი იქნება
ავრუთვე: თუ ორკესტრისათვის ბუნების ხმაურს გამოვიყენებთ—განსაკუთრებით
მდინარისას. ასე ამრიგათ: გაუთავებული ბაასი. დავა. პროექტი. თეორია.

ფერგაუს ურეოორის ვილლა არ არის მარტო პარნასი. აქ „ადამიანური
მეტად ადამიანური“ აქაღული არ არის. თუმცა არც პარნასი უარყოფდა.
ეროსს—მაგრამ ფერგაუს ურეოორის ვილლა ეროსისათვის უფრო მოხდენილია.
შეცვარება. შორიდან ტრფიალი. შურვილი. იკვი. ხანდახან დღეელიც. ყველაფერი
უზარმაზარ მუხების ქვეშ ჩრდილია. მზე ეჭრება ფოთლებში და ფერები ცია-
ლობენ. ყარამვილი. ზაფრანა. ქეიშა. სქელი ფოთლების ზურმუხტი—ფონად.
ან და: სკა გახელებული. ან და: პური აქაღოვებული. ან და: სილის სველი ლაქ-
ვარდი ზღვის პიოას. ან და: თვითონ ზღვა: ხან მზის ამოსვლისას ხან მზის და-
ყუდებისას ხან მზის ჩასვლისას. ათასფერი აბრეშუმების შრიალი და ათასფერი
ატლასის შმუშენა. თვალები: ზოგი მოყვითალო. ზოგი ნისლური. ზოგი—საფირო-
ნი. ზოგი—გიშერი. თიბები: სხედასხვა ღეღეები. ტანი ასხეტილი. ტანი კერი-
ვი. ტანი მოქნილი. ტანი ალექილი. ტანი აშოლტილი. ერთად ყველა: საგსე
ჩინით და ატეხილობით. ესენი ქალებია. მათ გარს უვლიან აკერიეებული ზეა-
დები. მარადი დედალი და მარადი მამალი. ერთის ღტოლვა მეორისადმი.
ნდომა მარტოსი: თვითოსი. ხენეშა წყვილის. კოსმიურ ტალღების შეეხეთქება
და ბოლოს შთქნარება გულდაფუშტასი.

ფერგაუს ურეოორ კმაყოფილია. გვერდული მზერით უცქერის წყვილებს და
და გულში კითხულობს იაგვეს სიტყვას მეექვსე დღის შექმნის ბოლოს: „კარ-
გია ფრიად“. ფერგაუს ურეოორ: ხმელი ამერიკელი ყვითელი და ქოსა—სქეს და-
კარგულია თვითონ. მით უფრო ბასრია მისი მზერა წყვილებს რომ სინჯავს.
ხანდახან ნერწყვიც მოდის და სველ სურვილსაც გრძნობს. მაგრამ სურვილი
კვირტშივე კედება.

არჩიბალდ მეექვსე ებლა უფრო დამშვიდებით უცქერის შორეულ არჩი-
ბალდ მეექვსე: მეორე არც ისე გადაკარგულია.

იელისის დამღევს სიცხე მწვავეა. ქეიფი ჩრდილოებშია გამართული. ფერ-
გაუს ურეოორ დაბადების დღეს ზეიმობს. ზეიმი სამი დღე გრძელდება. ლხი-
ნი თითქო ორკესტრია: რომლის ამღერებულ ტანს ალესილი დანით გადასჭრის
ხოლომე: ხან ლამაზი ქალის სხეული რომელიც შამპანურის ქაფია—ხან თვითონ
შამპანური რომელიც ლამაზი ტანის აფეთქილი წყურვილია—ხან მოხდენილი
სიტყვა რომელიც ნაკვეთი სონეტია—ხან გამჭრელი თვალის თვალში თვალგაყ-
რა რომელიც შიშნებითი რკალია წყვილების გადაღვედვის. ლხინი ორკესტრია
თითქო. მაგრამ ნამდვილი ორკესტრიც სმენას უტკბობს მოღბინეთ. ცეკვა, მღე-
რა. დაკრა სოლისტების, სიმღერა სოლისტების, ლექსები პოეტების, სმურები.



სმურები. და ყველგან სახელი—„ფერგაუს ურგოორ“. ხმელეთზე ამერიკელი კოცხ-
 ლდება: სიყვითლე მჭრალ სითეთრეში გადადის. სიქოსე თითქო პირის მო-
 პაოსულობაა ახალი. გუდაფშუტას თვალეზი მხოლოდ მინაბულობაა. ფერგაუს
 ურგოორ კოცხლდება: ხალისიანი—ხალასი ხდება. მონკოლს მოხდენილად ატა-
 რებს. ღიმილი ტუჩებს უახლებს, ფრაკი მარჯვედ აქვს. თოვლივით თეთრ პე-
 რანგზე თხილის კაკლის ოდენა ბრილიანტი უბრწყინავს. და თვითონაც ბრწყინ-
 ნავს როგორც ბრილიანტი. ორკესტრი ეჩინაობს. ესტრადის თავანზე ტილოა
 კინოსათვის. მოლხინეთ არც უბედური მიწის პლანეტა ავიწყდებათ. ტილოზე
 გაირბენს: ხან ბოქსერი. ხან ტენორი. ხან კოკოტი. ხან ლედი. ხან დეპუტატი.
 ხან პრეზიდენტი. ხან კაპიტანი. ხან დამნაშავე. ხან მოდის მანეკენი. მოლხინეთ
 ამბებიც აინტერესებთ. და—იმავე ტილოზე გაირბენენ რადიო დეპეშები. ჩინეთ-
 ში ეს. გერმანიაში ეს... ქრონიკა—ქრონიკა: მეტაფიზიური დეტალები პლანეტის.
 შეჩერება—და ისევ: სონეტები სიმღერები ცეკვები სმურები. უკანასკნელი—ყვე-
 ლაზე ურიცხვნი და ყველაზე მოსაწყენნი. მხოლოდ ერთი სმური იქერს სენას...
 „კაცი შექმნილია.. მაგრამ თვითონ ჰქმნის სამყაროს“. ფერგაუს ურგოორ თავს
 მალა ასწევს: ალბად მასზე ლაპარაკობენ... „ეს მკნელი სულია ადამიანის“...
 ფერგაუს ურგოორ ვერ ერკვევა... „სული ჰქმნის და აერთებს“... ფერგაუს ურ-
 გოორს ეწინაა ფლეგმა არ მოაწვეს... „სული“ დარღვია მიწის პლანეტის“... ფე-
 რგაუს ურგოორ პლანეტის ხსენებაზე ყურებს აცქვეტს: ის ხომ პლანეტის მბრძ-
 ნებელია... „ჩვენ ვქმნით ახალ სულს“... ფერგაუს ურგოორს ესმის მხოლოდ
 პირველი სამი სიტყვა რომლიდან: მეორეს სიტყვა გამარჯვების კურსივით უმარ-
 თავს მას უბანლო წარბებს. „ჩვენ ვქმნით ახალ რასას... ჩვენ“. და ფერგაუს
 ურგოორ უცრად კინოს ტილოსაგენ გაიხედავს. სხვებიც. ტილოზე: „ერცპერ-
 ცოგი ფრანც ფერდინანდ მოჰლა სარეგოში სერბიელმა პრინციპიმ“... აპოლე-
 ქსიური სხეული რომ დაეცემა ღრანკი მოექცევა და ცალი თვალი ჩაეფშუ-
 ტება: ტანის ერთი მხარე ცახცახით ლაფავს სიცოცხლის ძალას. ზეიშ წვეთი
 თუ დაეცა: ღრანკი მოექცა და ცალი თვალი ჩაეფშუტა: სხეულის ერთი მხარე
 —მარჯვენა თუ მარცხენა—სიცოცხლეს ლაფავს. ფერგაუს ურგოორ ტილოზე კი-
 თხულობს როგორც ძველი ნაბუროდონოსორ: „მანე ტეკელ ფარეს“ და თვითონ
 გუდაფშუტა იფშუტება ვით გუდაფშუტა.

არჩიბალდ მეკეში გველნაკბენივით შეიბრზევა: ძველი ბაბილონის მაგიური
 სიტყვები სმენაში ტყვიასავით ჩაესხმიან. ეს არ „გაონდება“. ეს ახლა ხდება.
 ბაბილონი ჰამადანიდან ახლოსაა. გრძობს ციეს ოფლს.

სამი დღის შემდეგ ვილლა ხმელთაშუა ზღვის პირას უდაბურია. ფერგაუს
 ურგოორ—ჩამჭრალი გუდაფშუტა—ისევ ამდგარა. ხმელი ამერიკელი ქოსა და
 ყვითელი ისევ სპლინითაა გაესებული: თუმცა ძალზე დამკნარა. მილოლავს ცა-
 ლიერ ხეივნებში. ფერგაუს ურგოორს უწინ მხოლოდ ის აწუხობდა: რომ მთე-
 ლი ეს ვილლა მთელი მისი მორთულობით მთელი მისი სტუმრებით მთელი
 მისი მიდამოებით—არ, შეუძლია მას გადაისროლოს ბადესავით თვითონ ზღვა-



ში და გახადოს იგი მკურავ კუნძულად. ფერგატუს ურვოვან ქვეყანაში რომ ეს ნდომა ცუდათ აუსრულდა: ვილლა რაღამაც აიტაცა და უდებტორში დაავდო როგორც უსარგებლო ბალასტი. სტუმრები სადღაც გადავარდნენ: თუ თავს უშველეს. დარჩა თვითონ—მარტო: წინანდელი—აფუებული სპილენით. ფერგატუს ურვოვან მილოღავს ხეივანში როგორც გაღაბული მუხლუხო და აგონდება კვუამახვილი ჰებრაელი: „მოწყენა სათავეა ყოველის“. პირში—სიმლა—შე. თავში.—გაბრლება, ყურში—კოლოს ზუილი. ხეზე—ქიკინობელა, ზღვა—ნაცრისფერი კალა. სიჩუმე—გაგუდვა მხოლოდ. მოწყენა: მხოლოდ მოწყენა. ფერგატუს ურვოვან ნაბიჯს უმატებს. ხეივნის ბოლოში ვილაც ზის. ამერიკელი გრძობს უცნობ სიხარულს. უცხოში იდაყვ დაყრდნობილია. ფიქრი შორი... შორი... ფერგატუს ურვოვან უახლოვდება.

— მოსაგ არჩიბალდ მეკეში...

— სერ ფერგატუს ურვოვან...

— თქვენ აქ...

— დავჩი...

— თქვენ მარტო...

— მე მარტო...

— ყველა გაიფანტა...

— ძირებმა გაიტაცეს...

— თქვენ?

— მე ძირები არა მაქვს...

ფერგატუს ურვოვან გაკვირვებულია. გაკვირვება ფერს ჰმატებს ხმელს ამერიკელს. ყველას ძირები აქვს. მასაც აქვს ძირები. თუ დაუძახა ამერიკამ—გაპყვება ძაბილს. თუმცა სპლინსაც ვაიყოლებს თან ან თვითონ გაპყვება. მაგრამ ეს მხატვარი—ფფესოვ? ხედავს: სახე შეცვლია. შუბლი მოღუშული, თვალები შორს წასული. ტუჩები უძრავი. ურვოვანს უხარია: აღბად ამას სპლინი მორვეია.

მოსაგ მეკეში? არ ფიქრობთ ეხლა: რომ ის კვუამახვილი ჰებრაელი მართალს ამბობდა: „მოწყენა სათავეა ყოველის?“ მე ვგონებ—მართალია.

— შესაძლოა...

— თქვენ უგუნებოთ ხართ...

— შესაძლოა...

— მოწყენა... მოწყენა...

— არა: სევდა უფრო.. ნაღვლი...

არჩიბალდ მეკეშს გული ეხუთება. ჰამადანი თუ ჰხუთავს. ადგება. გაავა იეიანზე. ჰამადანს სძინავს როგორც დაკიდულ ბალს სემირამისას. ყვლოფერი ზმანება: ლანდი. მოჩვენება. ეგებ-მეც. მაგრამ მოჩვენება უსისხლოა: ჩემი გული ჯი ფართქალობს როგორც დაისრული ჩიტი: ბრუნდება. ისევ ლოკინი და ძილი თვალილია... გარეთ დოგი „აღლან“ იღრინება: ლანდებს თუ ხედავს: ჰამადანი სიზმარეულია. ან შესაძლოა: არც მას სძინავს. ან თუ სძინავს ნახევრად. შეიძლება ისიც იგონებს: ნაღვლობს: სადაა მისი ფესვები? ისევ ბურანი



ერევა. არჩიბალდ მეკეში-ნომერი მეორე-ისევე გამოდის სიკვდილზე, არჩიბალდ მეკეში-ნომერი პირველი-სიზმარეთიდან მას თვალსადევნებს...

სამი წელი. აუტანელი. ძაბილი ვილადან: „ახალი რასსა“-სადღაც შორს შორს: თითქო მოგონებული. ეხლა აი სხვა პაროლი: „ლათინთა გენია“. „სლავების იდეა“. „გერმანიის სული“. „ბრიტანეთის ხელმწიფება მსოფლიოს გამრიგებელი თუ მომრიგებელი“. სხვა კიდევ მრავალი. და თანე: სისხლი. ელექტა. სიმშლილი. მოჭრილი ფეხები ცალკე დასაფლავებული. ტირილი მოჭრილ ფეხების როცა მექანიურ ფეხებს აკოებენ. სედა უკანასკნელთა თანაყოლებული დამარხულ ფეხებთან. სიკვდილი ნაყოფის. ძქძუების ატირება დედების. ძმის დაკარგვა. მამის დაღუპვა. მეგობრის გაქრობა. გამოთხოვება მეომრების სანგრებთან. ცალი თვალის დავსება და მეორის ცრემლი დაობლებულის. დაბრმავებულის დაბრუნება საცოლესთან. საცოლეს ტირილი და უნუგეშობის გაღრმავება ამ ტირილზე. შორეული კენესა სადგურზე—საცა ბარათებს ეოიან. ერთისაგან ბარათი არ არის თუ აღარ არის. აღარც მეორისაგან. არც მესამისგან. და კვილი კვილი: დედის-დის-მამის. მოკლულთა სია. დაჭრილთა სია. სიების კითხვა გაზეთებში: **საგრაფობა** სამმართველოსთან თუ სოფლის კანცელარიასთან. ძებნა ნაცნობი გეარისა და სახელის. ცხოველის გზნება: ნეტავ ჩემი არ ამოვიდეს... სხვა—სხვა* არის: ჩემთვის ერთია. გამხეტეება და გულის გაცილება. კიდევ სხვა მრავალი. კიდევ სხვა მრავალი.

არჩიბალდ მეკეში არავინა ჰყავს: არც დედა არც ძმა დაპ არც სხვა ნათესავი. არც მამა?! სადაა—ვინ იცის. მეკეში: თაბრუდახვეული. ატომი სხეულის გარე: რეტდასხმული. მოხეტე სევდითა და ნალვლით. ვერ გაჩერება ერთ ერთ ფრონტზე. ნდომა გადაკარგვის თუ დაკარგვის. თხოვნა მეგობრის ლორდ კარტის მიმართ. მოქცევა კორესპონდენტად გენერალ ტომსონთან მესობოტამიის არმიში. შეხვედრა კაზაკ პალიას რაზმს რომელმაც საშინელი სივრცეები გადალაბა და შეუერთდა ინგლისელ წინაპირა რაზმებს. თხოვნა იმავ ლორდისადმი და მესობოტამიიდან სპარსეთში შეიძოსვლა პალიას რაზმის ნაწილიან ერთად.

არჩიბალდ მეკეში მოგონებით მიდის საღაც შორს. მესობოტომია-სპარსეთი: ეს უახლესი გზაა. მაგრამ სწორედ ამ გზის მოგონებით გავლა უშორესია: მესობოტომია: აკვანი კაცობირობის. აქ თვითონ ნიდავშია ასეთი გუნება. აქ თითქო ყველაფერი ბავშვაა ჯერ კიდევ. მაგრამ რამდენი გაუვლია ამ ბავშვს. სწორედ ბავშვის ხანის მოგონებაა რთული: რადგან მისი ხანა უჭქელესია ყველა ხანაზე. დიდი ტოლსტოჯ ჰოო რა მართალია: პირველი წლიდან მეხუთე წლამდე ხანი უფრო გრძელია ვიდრე მეხუთე წლიდან მეათხმოცე წლამდე. უკენიალესი სინამდვილე. ვინ იცის: ეგებ უკან-პირველი წლის უკან-საშოსკენ-უკანასკნელი. ბნელ წიაღში—ხანი კიდევ უფრო მეტია. უთუოდ მეტია. არჩიბალდ მეკეში „ძირები“ არ აქვს: აქ იგი „უძირია“. მიდის უკან: შორშორს დაუსრულებლივს ყველაფერი ლანდი. ყველაფერა ნასახი. გუნება-რომელსაც სიკვადეში ვერ დაიპერ. გუნება-რომელსაც ვერც სიზმარეთში დაიპერ. ეგებ მაშინ დაიპირო:



როცა სიცხადე ზინეულს ვადავკრის, არის აქ საიდუმლო... მხოლოდ, ამ დაუს ზედავ ძილიდან გამოსული მაგრამ ჯერ კიდევ არ გასწავლილი მამოინ გული ისე იწყებს ფეთქას თითქო იგი მთელი საშუაროს პულსი იცოს: ვერ ეტევა საჯულენი, ჰსურს-შეეხოს ძვერით იმ უჩინარ დაუს, წინ გაქანდება, უნდა შეეხოს. შეხება და გულის გაჩერება ერთია: დაფი წყდება-გულიც წყდება, ადამიანი სიკედილს ისუნთქავს... და უეცრად გამოეღვიძება, წამოვარდება, ჰაერი აღარ ჰყოფნის, გარედ ვავარდება, გული საშინლად უცემს, გარეთ: ცის დალი დააჩერდება და შეიანებს, აქ არის „ის“ გუნება, ეს გუნებაა ვალბობილი მე-სოპოტამიაში. გაბრუნებული ბელტი, მიყურებული ქვა, მდორე მდინარე, მთელე-მარე ჩაოვგი, მოწყენილი კენჭი, ფრთებდახრილი ტოტი, განაბული ნიბლია, სველთვალეებიანი უშობელი... ყველაფერი ამ გუნებას ატარებს, აქ არის პირველი მიწა: პირველი სიციხლე, და როგორც ასეთი: საცოცხლე ახლო—საშოსთან—ანუ სიბნელესთან თუ სიკედილთან, არსად არჩიბალდ მეკემს ასეთი გუნება არ უგრძენია, გუნება-თითქო სრულიად გამდნარი ბაგდადიდან ვიდრე „ტა-ი-გი-რიმე“: საცაა უკვე სპარსეთის საზღვარი გამოჩნდება.

არჩიბალდ მეკეში მრდის ეხლა შორიდან: რომელიც თანდათან ინთქება თითქო ბავშის დღეებში, გზა საშინელი, ათასი საფრხე, მაგრამ გზა მიმზიდავი როგორც ხანდახან თვითონ სიკედილი, აგონდება მრავალი, ტივროსის საოკე რომელშიაც კენჭებს ათვალადი, ეს იშვიათად ხდება ყვითურად მღერე მდინარეში, შეიბ-ბენ-ევირის სახლი, თავილა ცხენებით, თავდასხმა, შვიდი ცხენის წართმევა, შეიბ-ბენ-ევირის რისხვა ვეფხისა და ბოლოს მისი ცრემლი ბავშისა, სოფელი კეთროვანთა სადაც ყველა კეთროვანს ავზენიან და საიდანაც არ არის ამბის მთხრობელი: ცოცხლად სიკედილის სამთავრო, ხმელი დაჯღვარ-კული კუნელა და მის ტოტზე ჩამოკიდებული კეთროვანი ჩამოხზობილი, ღიად დარჩენილი თვალეები თავისმკვლელის- რომელთა უსინათლო გამოხედვაში სწანს მთელი საშუარო ცოდვილი და საცოდავი, თავდასხმა ქურთების ღამით, გააფთ-რებული თავდაცვა, კახაკების დატრიალება თოჟნაკრავ მგლებივით, დაჭრა, არჩიბალდ მეკეშის რკინეული სინელი და მისი ცხრა თვალიანი „კოლტი“ „აილ-ლანის“ ყეფა საშინელი, კოლტის დაცლა და მეორე კოლტისათვის მობრუნება, მოვარდნა უზარმაზარ ქურთის გაშიშვლებულ ხმალით, ერთი წამი და არჩიბალდ მეკეში უნდა დიეკეს მოკვითილი, მაგრამ „აილ-ლანის“ შეტევა და ერთი ნახ-ტომით ქურთის ხრამში ვადავდება, შემდეგ: ისევ კოლტი და კახაკების ყიყინა, თან „აილ-ლანის“ საშინელი ყეფა რომელიც ვრიალით ვადადის ყრუ ხეობა-ში, ქურთებს „აილ-ლანი“ ვეფხი ჰკონიათ მთვარის სინათლეზე აფორაჯებული და ხიფილით საიდაც ვადაეარდებიან... არჩიბალდ მეკეში ამ წამს აზმორებს: რკინასავით იმართება რადაც მის ტანში, შემდეგ ისევ ბურანი მოიცავს და თვალთა ძილს მიეკემა.

ტყით მიდის ვინმე, უცნაურ ბალახს ფებს დააბიჯებს, წამსავე გონება აფრევა, ჰკონია: უკან მიდის, ვანავრძობს სელას, ჰკარავს მიმართებას, ვაიხ-ლის ტანსაცმელს, ვადააბრუნებს, ჩაიცვამს ვადაბრუნებულს, გონს მოდის.



უბრუნდება გზნება მიმართების. გზას გაუდგება. არის დაცვრეხნა მსაქმელება ასეთი.

არჩიბალდ მეკეში წევს. ჯერ კიდევ ლამეა. მთვარე ჩასვლას აპირებს. ლანდები მალე ვაპქრებიან. არჩიბალდ მეკეშს არ ძინავს. ან უკეთ: ნახევარ ძილში მისი შეცნობა სიცხადეხეა გამოსული. იციის სად არის. არ იციის მხოლოდ მიმართება. არეულია. ამრეზილი. აღრენილი. ფეხი თუ დააბიჯა უცნაურ ბალახს და გუნება გადაუბრუნდა. ბაგდადიდან ჰამადანამდე მრავალია ასეთი ბალახი. ან თვითონ ეს გზა „ბაგდად-ჰამადან“ ეგების ეშმაური ბალახია თვითონ. არც იქით არც აქეთ. არც წინ არც უკან. არც ზემო არც ქვემო. გზა აბნეული ატონი: რეტდასხული. ტანსაცმელი გადაიბრუნოს? ტანსაცმელი ვაბდილი აქვს. ან საით ვაბრუნდეს? ეგებ მობრუნება იგივე გადაიბრუნებაა. ეძებს თავის თავს. ვერ ნახულობს ფესვებს. არც ძმა არც დამ არც დედა არც სხვა ნათესავი. არც მამა? მამის ხსენებაზე მარჯვენა ხელს გულთან მიიტანს. გულზე ჩამოკიდებული აქვს ზაფრანის ფერი ბოლჩა. ეს არ არის ჯვარი. არც ხატი. არც აოილი. აქ შეკრულია მამის მედალიონი... წყაროს ხანდახან ამორეცხენ. ცალიერდება მისი ტანი. კუთხეში წყაროს თვალი მოხეტქს ცინცხალი. წყაროს ტანი ფართოდება: თითქო მუცელს ივსებს გამშრალს... არჩიბალდ მეკეშის გული ივსება ტანცალიერ წყაროსავით. წამოდგება: ჰსურს მთვარის ჩამავალ სინათლეზე დახედოს საყვარელ სახეს. აივანს მიმართავს—და უეცრად მის წინ კარებში ვილაც. კაცი მალალი. ნათელი შუბლი. თაფლისფერი თვალები. ჰალარაშერეული წერი. მოკუმული ნიკაპი. ორბის ცხვირი. თვალებში: სიმშვიდე... სიმშვიდე... გახელებამდის. კაცი ვაგს უღიმის. უნდა რალაც უთხრას. წამოიწივს ხელმოსახევეად... „მამა“... იკივლებს არჩიბალდ. ხელებს მოხვევს. ხელებში რჩები მხოლოდ ლანდი. „მამა!..“ იკივლებს კიდევ არჩიბალდ. „ალღან“ წამოვარდება. მოიხედ-მოიხედავს: მტერი არ არის. ყელზე მოეხევეა ტორებით. არჩიბალდ ტირის. მას გვერდით დოგი ეალერსება: უშველებელი—ხატულა-მოთეთრო და ყვითური ლაქებით ასპიდისფერ ტანზე. თვალები: ერთი რუხი და მეორე ყვითელი. არჩიბალდ ტირის. „ალღან“ ეალერსება. ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი.

გული ხელის გულზე

თავი მორა

შესვი გული პეშვებით.

წვეთიც არ დაიქცეს.

გული გულს შეერთვის.

ნაწერი პაპირუსზე.

ჰამადანიდან მიჰქრის ავტომობილი. შოფერი კუნთებდახეწილ ეოკეციეაი შეზრდია „ფორდს“. ქედები თეთრ ზოლს აყოლებენ: ერთი—ინგლისური თეთრი ჩაფხუტი სავრილო და მეორე—ჩალმა სპარსული თუ აღმოსავლური. ერთის



მუხლებზე ვეებერთელა დოვს თავი მოუსვენია. გზა მიდის ქალაქის სადგურ ალბულალის იქით მდებარეობი ვაშლილა სოფლებით. ბევი ორი მდინარის: კარასუსი და დარაგაზანის, კულებადის მდებარე მთებთან/გაიჭრის საზღვარი ჰამადანისა და ხაშვისი. სოფელ რამაზანთან გზა მიდის მორჩილ მდინარის პირას. ხიდს გაივლიან, ოდნავ მოშორებით მდინარის მარცხენა ნაპირას მოხეტის ცივი წყარო. გოგირდიან-კირიან-რკინეული. რამაზანიდან დაწყებული თანდათან მატულობს აღმართი. სადგურ მანიანთან—საცა ეხლა „ქალაქთა კავშირის“ საკვები პუნქტია—აღმართი მუხლს იმაგრებს და ჩაქნეულ ხრამის ვასწვრივ მიდის სულ მალა და მალა ყარაგანის მალალ უღელტეხილის მიმართ. ორი კილომეტრის მანძილზე ყარაგანის უღელტეხილიდან—სადგური სულტანბულილ. აქაც—საკვები პუნქტი. ფორდი ძალას იკრებს რომ ალახოს ეს დიდი აღმართი. ხანდახან დაიქშენს როგორც თოფნაკრავი შეცი. შოფერი ასეთ დაქშენას უნდო თვალთ უყურებს. მან იცის კარგად: ქვეყანაზე არ დაბადებულა ჯერ ისეთი ქალი რომელიც იყოს ისეთი კაპრიზიანი როგორიც არის ავტომობილის მანქანა. ათვალთვებს: ყველაფერი რიგზეა. გაუშვებ და რამოდენიმე საათის შემდეგ—ნერვიულობა კირვეული. სულტანბულილს უახლოვდებიან. ფორდი ქშენს სხეანაირად: რიტმი თუ ეშლება. შოფერი არას ამბობს: სულ სადგურისაკენ იყურება. აღბად იმას ფიქრობს რომ იქამდე უფენებლად მიავდოს მანქანა. რამოდენიმე წამი და სულტანბულილის კარებთან ფორდი საშინლად ამოიხენეშებს და ერთბაშად დავარდება: შეჩერდება. პირველი „აღლან“ გამოხტება და ღობეს მიაშურებს. შემდეგ—არჩიბაღდ მეკეში. მას მოჰყვება ჩალმიანი კაცი. მეკეში ტანად მალალია. მაგრამ ჩალმიან კაცთან შედარებით თითქმის დაბალი სჩანს. ჩალმიანს მოსხმული აქვს ტანზე გმელი და მეტად განიერი მოსასხამი ქაობის. ბალახის ფერის. ფეხებზე—მოყვითალო ქოშები. მალალი კაცი მხრებში ოდნავ მოხრილია: მეკრდი არ აქვს მაგარი. ცხვირი მოგრძო და ცოტად გაბრუნდული მარცხნით. თვალები სადღაც შორს ჩამჯდარი გოგირდის ფერი მქრალად შემწვანებული. ნელი. ბეჯითი. გამკვრეტი და გამხვრეტი. სახე ქორფლიანი და ნაცყავილვეი. ასეთი სახე ასეთი თვალებით გველს აჩერებს ცხელ სილაზე. ნარევი ტიპი: სპარსი თუ ჰინდუ თუ გვიპტელი. რა ხნისაა—ძნელია გამოცნობა. უღვაშები—თითქო ახლად ამოსული. თხელი მოკლე წვერი ინით შეღებილი ოდნავ.

შოფერი ფორდს სინჯავს. მეკეში და ჩალმიანი სიერცეებს გადაჰყურებენ. მოსჩანს ჰამადანი როგორც გახელებით დარტყმული სისხლიანი ნალი. მარცხნით—ავექს მთები: პირტიტეულა გიგანტები. მეკეში დატყვევებულია უცნაურ სანახაობით. მას ყოველთვის აფრთოვანებდა მუხის ფოთლებში ჩამხვებული მზის ღელე მწვანე მოლზე რომ კიაფობს ხალას ტალღებად. მას აფრთოვანებდა ყოველთვის და უფრო მეტად: თუ მუხის ფოთლები მდინარეს დასცქერიან თავს და მზის ღელე ჩრდილებში დახვეწილი მდინარის მავალ ტანს ეფრქვევა პეშებით. აქ არის ჯადოსნური შეერთება: ყვითელის—მუქლურჯის—ნისლოვანტყვიისფერის. და თანვე ფერთა დენა შეუჩერებელი: მზის ღელე—ფოთლის რხევა—წყლის შრიალი. მეკეში ვასცქერის ახიდულ კლდეებს და ყველგან ამ



ჯადოსნური მურების ფოთლებს ხედავს. ფოთლებს: ზოგს სქველანად და ზოგს ნარნარსა და მცირეს—ზოგს გძელსა და დაშვებულს. ხაჭანს და კარამფილი ერთი მეორეს ეჯიბრებიათ. ყარამფილი ძღვეს, ასპიდი და ხვითო ერთმანეთს ეჯიბრებიათ. ხვითო ძღვეს. ბოლოს: ხის ბაყაყი „ეასაკა“—რომელსაც სხეადასხვა სიმუქისას მიმოაზნევენ საზღაპრო ფარმეგანგების აქრელეებული ბოლოები.

— ეხლა მესმის: თუ რამ შეტყუნა სპარსული ხალხა.

— ეს მხოლოდ წინა კარია. ყაზენის იქით ნახეთო..

შოფერი ათავენს შეკეთებას. მეკეში და ჩალმიანი მთებს გსკვერიან. „ალღან“ უეცრად დიყუფეს. „ქალაქთა კავშირის“ ავტომობილი გაირბინს გვერდით. მეკეში მოკრავს თვალს მოწყალების დაძს და თითქო ხრამს მიადგაო— შეირხევა ძთელი ტანით. „ხელიკისფერი თვალები“. ნუ თუ?!. არა... აქ რა უნდა?!

— რა დაგემართათ?!

— ისეთ ფერს მოვკარ თვალი—რომ...

— სად?

— იი იმ მთის კალთებზე. კუთხეში.. თითქო შვინდი: ვეშაპის ლივლიკა ტანზე გადასმული.

— საოცარია...

ავტომობილი მხადაა. სულტანბულაღიდან დაღმართით გზა ეშვება ხევში რომელსაც მთისმდინარე გაურბის. მდინარის მარჯვენა მხრით ჩრდილოდასავლედან სამხრეთაღმოსავლით გაწოლილია დაპობილ ნაპრალების ქედი როგორც პრეისტორიული მაიმონტის ხერხემალი. უაზლოედებიათ სადგურ აევას. აქ რუსის შტაბი იდგა როცა ჰამადანი თურქებს ეჭირათ. მდინარე აევს ხაფხულში თითქმის მთლად ამომშრალა. დაკლილი მეკედების მწუხარება: ეს ტანამომშრალი წყალი. მზის სისხლისმსმელმა დრაკონმა თუ ამოხვრიდა. ქვების ლოდები უხარმახარი ორას მეტრიან კალაპოტში. მდინარე აევს მიღის სოფელ აბზასაბადის ახლო და უერთდება ხარრუდს. ხარრუდის ნაპირას—ცხელი გოგირდის წყარო ორმოცდაერთ გრადუსიანი. გზას განაგრძობენ. წინ—მდაბლობი. სოფლები: ნოვენდ საფთაბად რაჯან დეხეან. მდინარე აბგარ. ზედ ხიდი. ბაღები: ხილისა და ვაზის. ნანგრევები.

ფორდი ხენეშის. ხანდახან დაიქშენს და შოფერს ფერი ეცვლება. „ალღან“ს ეყვინთება. ჩალმიანი ნირვანაში ყვინავს. არჩიბალდ მეკეშს ხელიკისფერი თვალები აგონდება. ოღა.. ნუ თუ?! არა აქ რა უნდა?! ტიტველ კლდეებს თვალები რომ მოაცილა—ხედვაში ვასაქას ფერი შერჩა. ალბათ ამ ფერმა დაუნისლა თვალები და მხერა აერია. მაგრამ რად არის მწვავე თვითონ მოღანდებაკი?! ფორდი ხენეშის ხანდახან. დაიქშენს და შოფერს ფერი ეცვლება. „ალღან“ს ეყვინთება. ჩალმიანი ნირვანაში ყვინავს. არჩიბალდ მეკეშს „ხელიკისფერი თვალები“ ეღანდება. მზე ესვენება. გადამწვარ არეს მეწამულის ფერი ეფინება შენელებული. არჩიბალდ მეკეში თერება საოცარ სიერცეებით.

— აქ აღამის თვალია საკირო. /



მარკინაშვილი
გინჯალიძისა

— დიახ: ადამის თვალი!..

ბელიკისფერ თვალებმა სადგურ მანიახს მინათეს. საცვები პუნქტი თითქო ყვითელი სოკოა გადატრუსულ ტრამაღზე, ავტომობილის შეკავებულ ხრიალზე ჯარისკაცი გამოდის სპლიმორფული. მოსულებს ეგებება და თან ქოჩორს იქეკავს. ტანი თეთრებით მოსილი მოსხლეტით ხტება ავტომობილიდან. ეან გუჟონს აქვს ერთი „დიანა“. ქალი დაღურსულ თვალებით შველს უცქერს მაღალს. შველი თითქო მოჯადოებულია ქალის თვალებით. უახლოვდება ქალს თავაწედილი: ცხელი პირით თუ სურს ქალის ტუჩებზე ნადირის კოცნა ადაღოს. ავტომობილიდან გადმომხტარი ტანი გუჟონის დიანას ნიაგაეს. გძელნი ფლორენციულნი ფეხნი თეთრი ნაკადულის ორ შავარ ტვირად ჩამოხეთქილნი. არა: სხვაა. გადმომხტარი ტანის თეძოები უფრო განიგოია. კიდევ ერთიც. თეთრებით მოსილი ტანის მკერდი მეტადაა აკვრივებული. მკერდზე: ორი სქელი ვარდი შირახის. ძველად ქალწულის ძუძუებზე მკანდაკი სასხვერპლო თასებს ასხამდა თიხისავან. არის ასეთი გადმოცემა. ამ მკერდის ძუძუები თასებია თვითონ.

ჯარისკაცი უყუჩად დგას.

— გამგეს დამიძახე!

მოესძის ჯარსკაცს ქალის ხმა. მიდის.

ქალი შედის პუნქტის შენობაში. თითქო მოკვეთილი—ლოგინზე დაფარდება. თავსაფარს იგლეჯს და გვერდზე გადაისერის. თიხები: მოკლე და ხშირი: თითქო სპარსულ ხენნეკდ გადმოშვებული მზის ტყერი. შუბლი მაღალი: ბოტიჩელის ქალების. ცხვირი აწეული ოდნავ. ბაგე მოკუმული: თითქო მრისხანე. ტანი ვერ სხვენებს.

შემოდის ბანგელიანი კაცი. აღმოსავლური პროფილით. თვალები თითქო ქონით თუ ქონში იკრემლებიან. ცხვირი—სტაფილო. სახეზე: საფანტისხელა ფერისმკამელები მუქლურჯად. ფერისმკამელები ზოგან ამოვარდნილან და ნაცვაილევის კვალს სტოვენენ. გამგეს მთქნარება კარებში უთავდება.

— ეხლავ გამომიძახეთ რწმუნებული ტელეფონით ..

— ყაზეინიდან?

— ყაზეინიდან...

— გამოვუძახებ..

ბანგელიანი კაცი გადის.

ლოგინზე გაშხვართული ტანი ფიქრობს: „ის“ იყო უთუოდ.. მაგრამ საიდან განაღდა?!.. ირანის პლატომ მოღანდება იცის.. არა: უთუოდ „ის“ იყო.. რად არ შეაჩერა ავტომობილი?!. რად არ გადახტა?!. რად არ შეეგებება?!. ქალის გულს ქალიც ვერ გამოიცინობს.. გაშხვართული ტანი ავარდება.. გაიხედავს: ტიტველი სივრცე უხმო.. ვინ რას ეტყვის?!.

ბრუნდება გამგე:

— ერთი საათის შემდეგ დაგელაპარაკებათ..

გამგე გაბრუნებულია.

ქალი სამხარეულოსაკენ გადის. იქ შოფერი ხედება. მახუთიან ხელით



სპარსულ ლავაშს კეცავს და საშინლად ილუკმება. კაცმა აბრეცუნებურძენია ტრაპიზონიდან თუ სომეხი როსტოვიდან თუ აისორი ურმინდანი! გვერდულა ცქერა. ცხვირი შუაზე განეხილი. დაბალი და დაბორცვილი. ქროლა თვალები წვრილი.

— სტეპკო! ეხლაე უნდა გავბრუნდეთ უკან.

— არ შემიძლია..

— მიზეზი?!

— მანქანა დალილია..

— შენ გამოაცოცხლებ..

— მეც დალილი ვარ..

ქვეყანაზე ჯერ ისეთი ქალი არ დაბადებულა რომელიც ავტომობილით იყოს კაპრიზიანი. ქვეყანაზე არც ისეთი ავტომობილი გამოუშვიათ ქარხნიდან რომელიც შოფერზე უფრო კაპრიზიანი იყოს..

— სტეპკო! ხომ იცი ჩემი ხვეწნა..

ქალი იღიმება.. არსებობს განა სადმე ისეთი კაპრიზი: ლამაზის ღიმილმა რომ არ მოაღბოს?!

— მგონი საკვ აქვს მანქანას დაზიანებული..

სტეპკოს სიტყვებს აღარ აქვთ დაჯერება..

ქალს იმედი ემატება და თან ძალაც..

— შეგიძლია შეაკეთო სამხედრო ნაწილის გარაჟში..

— არც ბენზინი მაქვს საყოფი..

— ბენზინსაც იქ იშოვი.. მე ვიშოვი..

სტეპკო კიდევ ირყევა.. მიწაზე ისე უხერხულად დადის როგორც ალბატროსი ხომალდზე..

— მანქანა წახდება.. მთლად გაფუჭდება..

— რა ღირს „ოპკელ“?!

— ხუთი ათასი.. თუ ექვსი.. არ ვიცი..

— თუ წახდა მე გადავიხდი..

ფულის სიუხეზე სიჯიუტე ტყდება..

სტეპკოს ახლა ღიმილიც ემჩნევა..

უახლოვდება გამკვ:

— ტელეფონთან არის.. გიცდისთ..

— მაშ ასე სტეპკო..

სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს ვით ველურ ვარდს..

ქალი გარბის..

— — —

შეკრად „ალანმა“ უფრები აცვიტა. წამოხტა. დაიყუყა. ყეფა გრილით გავარდა ხვეში. რა იუნოსა?! შორიდან ისმის სიმღერა. შოფერი თავს აწევს. ჩალმიანი გამოდის ნირვანიდან. „ალან“ წინა ფეხებზე ღვას. არჩიბაღდ მეკეში გარინდულია: თითქო კრუში წიწილებით ქორის არჩილი რომ დაინახა. სიმღერა მატულობს: გადადის შორიდან შორს. არჩილბაღდ მეკეში ცახცახია შეკავებული. რა-



ლაც იგზნო: ახლო და შორეული ერთად. ადამიანი სარკეში იხეხებოდა და ხედავდა
 გიჟივით. თვალს ვერ აცილებს თავის სახეს, ვადის ხანი. სახე მტკიცედ მისი
 საღ ქვეყნება. ბოლოს: სარკეში უცხო სილამაზე ვადი ირბენს. ადამიანს შიში აი-
 უფანს. ვინ არის?! ვისი ლანდი?! ჩემი?! სხვისი?! უცხოისი?! ჩემი. სხვისი. უც-
 ხოსი. რარიგ?! რა გზით?! სიმღერა იზრდება და ახლოვდება. არჩიბალდ მეკეშს
 გული უწყდება.

ტაბა: გუნება გეცვალათ!

მეკეში: უცნაური სიმღერაა.

ტაბა: გაურჯების სიმღერას გავს.

მეკეში: გაურჯების...

შოფერი: ქართველები მღერიან.

მეკეში: ქართველები...

მეკეში ფორდის კარს ავლებს ხელს; თითქო გადავარდნა ელის. მამის სიტ-
 ყვა აკონდება: „თავშეკაეება“. ნებას იკრებს: თითქო რკინეულ კალასოდ იქ-
 ცევა მდინარის ლურლირში რომაა გაწოლილი ნაპირიდან. სიმღერა ვადადის
 ტა. ლეზბად: როგორც მზეზე აელვარებული ხმალი. „აღლან“ ყუფს. ავტომო-
 ბილი სოკელს უახლოვდება. ფორდი ხენემის და რიტმს ალვივებს.

მეკეში: რა უნდათ აქ ქართველებს?

შოფერი: შევბუღებაში არიან.

ტაბა: ჰაა—ცხენოსან პოლიციდან.

შოფერი: გზად არიან.

მეკეში: გზაად...

ავტომობილი ჭიშკარს უახლოვდება.

შოფერი: მანქანას წყალი უნდა.

არჩიბალდ მეკეშს მოეშვა დიდი სიმძიმე და მხრებში გაიბართა. თუმცა
 გულის ფეთქამ იმატა უფრო. მაგრამ კალასო მაგარი: რამდენ წყალს გადაუფ-
 ლია მის თავზე. ფორდი ჭიშკართან ჩერდება. ჭიშკარში: ხმელი ახალგაზდა.
 ახალისდება და ჩალმიანს:

— ჰაა ტაბაა ხან: მობრძანდით! მობრძანდით!

— მე მარტო არა ვარ.

— კიდევ უკეთესი გვეწვიეთ!

გადახტენ.

— ჩემი მეგობარი ინგლისელი. არჩიბალდ მეკეში.

— სანდრო ამილახორი.

ქოლის ხეების ჩრდილები. გძლად გაშლილი სუფრა. სუფრის გარშემო:
 უმაწილები—ოცამდე. წამოდგებიან. ესალმებიან ჩალმიანს: „ტაბაა ხან მობრ-
 ძანდით“. ჩალმიანი აცნობთ: „ჩემი მეგობარი არჩიბალდ მეკეში. ცოტა რუსუ-
 ლიც იცის. ცოტა სპარსულიც. მაგრამ თქვენ შორის ზოგმა ფრანგულიც იცის.
 თარჯიმანი არაა საჭირო“. გაისმის სხვადა სხვა გვარი: ქვეყანაძე. ორბელიანი.
 ავალიშვილი. მორბედაძე. მაყაშვილი... როგორ?! კინალამ წამოიძახა მეკეშიმ
 და გაფითრდა. ჩალმიანმა თითქო გაუგო გულისთქმა და მოახსენა: „მაყაშვილი“.



ერთმა წაიჩურჩულა: „შემოკლებით—მაყაში“. მაყაში.. არჩიბუღდნე მკეცში მაგი-
დას ეყრდნობა: რომ არ დაეცეს. ხედავს: ყმაწვილი მალაღობის შეწყვეტის მე-
ტად. კანი: თითქო პერგამენტი. თვალები: ღია და მიბნედილი. რხევაში: ძვე-
ლი რასხა—დასუსტებული კიდევ. მკეცში თითქო შორს იმზირება.

— აპარატთან... დიახ... ოღვა ბალაშოვა... დღესვე უნდა გამოვბრუნდე..
მიზეზი?! პირადათ... არ შეიძლება?! ჩემს მაგიერ სხვა გამოვზაენეთ... ზედმეტ
ხარჯი მგზავრობის?! მე გადავიხდი.. თანახმა ხართ!.. მადლობა!.. დიდი მადლო-
ბა!.. ორი წუთი კიდევ... ყაზვინში დღეს მოვა ინგლისელი.. ჰამადანის გზით..
ჩემი შორეული ნათესავი... გვარი?! მკეცში... ეძიეთ ყველგან... ოკითხეთ... მერე!
ჩემი სახელი და გვარი გადაეცით... სხვა არაფერი... იმედი მაქვს... დიდათ და-
მავალბთ... ეხლავ გამოვდივარ...

— ქეიფი! ქეიფი!

— ლეინო! ლეინო!

— ტაბაი ხან! ლეინო სპარსეთში არ ვარგა.

— გეთანხმებით... ქართული გეჭნებათ...

— გვაქვს... ნამდვილი კახური...

— ტაბაი ხან ლეინოს არ სვამს.

— თქვენთან დაეღვე..

სიხალისე. სიხარული.

მწვადები ჯოლის ზამღურებზე. თასები.

მკეცში თვალთ ზომავს ყველას.

აგორდება:

შეიხ-ბენ-ვეგირს შვიდი ცხენი წაართვეს მესოპოტამიის საზღვარზე. შეიხ-
ბენ-ვეგირ რისხვა იყო ზეცების დროს. ცხენები მაინც დაჰკარგა. ვინც თვალი
მოჰკრა: გულის დაწყვეტა შეამცნო მტვეანივით. ცხენები ბნელი თავიდან გა-
მოიყვანეს. ჯერ სინათლე არც ენახათ. როცა მზის სხაეები მოხედენ მათ თვა-
ლებს—თვალები ახლად ამოხეთქილ წყაროსავით აკიაფდენ. ასეთი თვალები
ჰქონდა ალბათ იმ პირველკაცს რომელმაც პირველმა გამოიგონა ცეცხლი. ტა-
ნით: ალესილები. ასლეთილები. ალუწილები. ნამდვილი რასხა არაბის. რხევა-
ში: სალკუნოებით დახეწილი ძრამბა. სიარულში: ბიოლოგიურად დაოკილი
რიტმი. ბოლოს და ბოლოს: გამართლება ბიოლოგიის. არჩიბაღდ მკეცში ბიო-
ლოგიის გამართლებას მანამდე მართო „ალლანში“ ხედავდა. ეხლა კი მის წინ
ვაეხებიც: სწორეთ იმ არაბულ ცხენებივით დახეწილნი. სწორეთ ისე დაქნილნი.
სწორედ ისე აკერივებულნი. უეცრად მამის ლანდმა გაიჩინა ჯგუფებში და
ცრემლი თვალების უპეებს მოადგა...

სიმღერა! სიმღერა! გაიძახიან.

მღერიან „მზავლემიერს“ კახურს: რომელიც მოდის როგორც ალაშანის
ველი. ჯერ ნელი. მერე ახშირებული. მერე ანწვარი. შემდეგ ნაპირებგადალა-
ხული. ბოლოს: მოქნეული როგორც სალტე. აქ ლხინი ვაგაკის რომელც



ომიდან დაბრუნდა გამარჯვებული. მღეროან „მრავალკამიერს“ ქართლოს: რომელიც იღვრება როგორც ქართლის ველი მდორე. ჯერ ისიც შექმნილი, შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედგაზნექილი. ბოლოს ქედამართული. აქ არის ციხის დაცვა შეციხოვნეთა მიერ: რომელთაც იციან განდობა და გა+ანა. გაუძლებს ციხე ყოველთვის შემოსეულებს?! და სიმღერას ბოლოში გაგუდული ბოლოში გადაჰკრავს ოდნავ. მღეროან „მილალ დელიას“: თითქო დამცხრალ გრივალს იმერთა მთებიდან შენელებით ხევებში ჩაშვებულს. ეს სიმღერა იშვიათია: საქართველოშიაც კი. აქ არის: კახის ლხინი და ხმალი—ქართლის სიმტკიცე და ფარი—სვანის ჯავშანი და „ლილე“—ხეცურის შუბლი და შემართება. მღეროან. მღეროან: თითქო დედოფალი მოჰყავდეთ გაშიშვლებული ერთიმეორეს გადაჰდობილ ხმლებზე.

არჩიხალ მეკეშს ხელიკისფერ თვალებიანი დედოფალი ელანდება. ეგებ ის იყო მართლა? არა.. აქ რა უნდოდა?! სიმღერა თითქო მუხის თავს ეხვევა: არ იცი: საალერსოდ თუ თავწასაკლეჯად. არჩიხალდ მეკეში მუხის შრიალში უსმენს სიმღერას. ნეტავ კიდევ სად მოისმინა?! ნაცნობი რომაა?! სარკეში იხედება. ძროს ვერ ნახულობს. შორსშორს პიროვნების ძირი ირხევა გატიტვლებული: იშლება და იკლავება. რალაც ნაცნობი და თან უცხო: ზმანება თუ დაავიწყდა?! არა: ეს თესლია ალბად: ახლო და შორეული. უეცრად მამის ლანდი გაირბენს სუფრასთან, არჩიხალდ მეკეში მაგიდას დაეცრდნობა რომ არ წაქანდეს.

— — —
მზე ჯერ კიდევ არ ჩასულა.. ავტომობილი ყაზინისკენ მიჰქრის...

ქალის ფიქრები შორს იჭრებიან.. 1914 წელი. აპრილი. ლოხანა.. ბალში გასეირნება.. შეჩერება ვილკელმ ტელის ძეგლთან.. ვაჟი ტრევილით აყვანალი.. ჩუმი და მორცხვი.. მაგრამ სიჩუმეში და მორცხვობაში—რამდენი ძალა და რამდენი გრძნობა?!. ვაჟი შეკრულია ერთი ნდომით.. ქალი ისუნთქავს ვაჟის სიახლოვეს.. ქალს ნესტოები უგანაერდებიან როგორც ბაფანგში გაბმულ ნადირს.. ვაჟი სდუმს.. არას ამბობს.. ან რათ უნდა სიტყვა?! თვითონ სიტყვა არაა ვაშანთული?!. ყოველი კუნთით.. ყოველი ამოსუნთქვით.. ვაჟი ისედაც სიტყვა: მთლად.. ქალი სიხარულია.. მაგრამ რად იღებს ქალი ტანჯულ სახეს?! თვითონაც არ იცის.. ქალის ქვევს ქალიც ვერ გაიგებს.. ესმის ვაჟის სიტყვა სუნთქვა გარღვეული:

— მსურს ვითხრათ..

— ვიცი უსიტყვოდ..

ვაჟი გაოცებით უცქერს..

„სულტანბულალ“.. გაისმის შოფერის ხმა..

წარსული წყდება შორს.. ქალი ერკვევა.. გადახტება.. შუდის სადგურში..

ფურცლავს გამვლელთა წიგნს.. არ არის.. ეკითხება იქ მყოფთ.. ეუბნებიან: გვარი არ უთქვამს.. შეიძლება სხვა იყო?!. არა.. ის იყო.. უთუოდ.. ბრუნდება.. ავტომობილი მიჰქმნის..

ისევ ლოხანა... და შეწყვეტილი სიტყვა ქალის:



— ვიცი უსიტყვოდ..

ვაი გაოცებით უცქერს..

— არჩიბალდ! გწამთ საბედისწერო შეხვედრა?

— მწამს..

— სიკვდილიც რომ ვერ დაშლის..

— მწამს.. მე ამ წამს განვიცდი..

ქალი შეჩერდება: თითქო სხვას შეხედა..

რა ემართება?!.. მაკდურს თუ მოჰკრა თვალი!.. არა.. „დაამონ“ რომ ეძახდნენ ძველად: ახლა ქალის მზრებშია.. დაამონ მოტყუების.. მაგრამ რად არის ასე ტყბილი ტყუილით ცთუნება?!.. ქალი ებრძვის.. მაგრამ ქალის ბრძოლა ცთომასთან გამარჯვებაა ცთომის.. იმთავითვე.. არა.. ქალის მარცხი ცთომასთან ქალის გამარჯვებაა.. ქალს ბრუე ესმის.. ხოლო მარცხი ტყბილია საშინლად..

— არჩიბალდ! ვიცი თქვენი..

— იცით?!

— ნეტავ ერთი წლის წინად შეხვედროდით ერთმანეთს..

ვაიი გარინდული დვას..

ქალი თითქო ნათქვამს ასწორებს:

— არა! რა ვთქვი?! პროვინციელ ჯურსისტის სიტყვა..

— გრძნობის გამოთქმა ხშირად ელემენტარულია..

ქალს ვილაცას ჩურჩული ესმის.. თითქო სხვა ამბობს:

— მქონდა ასეთი შეხვედრა..

— შემდეგ?!

ვაეს ერთომა ემჩნევა.. ქალი ხელისკვრას გრძნობს..

— იგი აღარ არის..

— როგორ?!

— დუელში მოჰკლეს..

ჩურჩული აღარ ესმის.. ვილაც თუ გაფრინდა.. ქალიც თან გადაჰყვა?.. პო: რა ტყბილია უფსკრულის თავზე ქანაობა.. უფსკრულზე ქალს საქანელი არ ჩაუწყდება.. თუ ჩაუწყდება—ვინმე აიტაცებს..

ვაიი გაფითრებული სიერცეს გამზერს..

„აივქ“... გაისმის შოფერის ხმა..

წარსული წყდება შორს.. ქალი ერკვევა.. გადახტება.. შედის სადგურში.. ფურცლავს გამვლელთა წიგნს.. არ არის.. ეკითხება იქ მყოფთ. ეუბნებიან: არ გაჩერებულა. მოჩვენება თუ იყო, არა.. ის იყო უთუოდ.. ხელიკისფერი თვალემბს მზერა არ ცდება.. ბზუნდება.. ავტომობილი მიჰქრის ღრიალით..

შემდეგ ისევ ლოხანნა.. და შეწყვეტილი საუბარი..

— ეხლა მიხვდით?!

— მივხვდი..

ავტომობილის ქშენა მატულობს..

— — —
ცაყა! ცაყა! ცაყა!



მომზრებით უკრავს საზანდარი. ახლოვდება. ცეკვავენ ~~საღმრთა~~ ეს სახელი შეუსაბამოა: ლეკს აქ რა უნდა?! ეს ცეკვა ქართულისა და „გსრღს“ ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერაფერს: რასსა არ ეყოფა. ვაჟი გამოიხზობს მოწყალეების დამს ქართველს (საკვებ პუნქტ აბგერმიდან). რამდენი ვაჟური შეტევა და რამდენი ქალური გარინდება?! რამდენი კამარა სიყვარულის თუ ტრეფილის პოემის?! ბოლოს: თითქო ქალის დატყვევება და აკრილი კამარით მისი გატაცება. მაგრამ არა. ტყვე ქმნილი ქალი ვაჟის მკლავებისათვის მთელი სხეულით გადახსნილი—(თითქო ეს ათამაშებელი სხეული აფეთქილი გულია მარტო)—უეცარი მოსხლეტით ვაჟის რკალიდან გაეარდება ქალწულური დარცხენით. ცეკვა თითქო წყდება: არ თავდება. ეს ბეჭედი ქართული რასის და მისი სირაინდის. ტანაყვანილი უცქერის მოცეკვავეთ არჩიბაღდ მეკეში—(მისი სისხლიც ხომ არ ათამაშებულა?!). ეხლა „მთიულს“ ცეკვავენ. რიტმი სადა—მაგრამ ლამაზი როგორც პირველსუნთქვა ატეხილი ქალების. მარტო ცეცხლი. მარტო ატეხვა. მარტო სიგიჟე. ხალისი პირველმიწის. ლხენისათვის ეს პირველ რიტმი უფრო ლაღია და ზღუდეგადაშლახავი. ცეკვავენ ერთსა და იმავეს. მაგრამ ეხლა—გვარობით. ერთი გვარი ერთი იერით ცეკვავენ. მეორე—სხვარიგად. მესამე—კიდევ სხვანაირად. ირკვევა არა მარტო რასსა მთელის—არამედ ჯიშიც ცალკეულ გვარის.

უცქერის არჩიბაღდ მეკეში მოცეკვავეთ და შამა აგონდება. სტუმრობა გამართა—(რა დღე იყო?! არ ახსოვს). მოიწვია რჩეულნი: ნაცნობნი და მეგობარნი. ამ დღისათვის პირველად გამოეწყო „ჩერქეზულად“. ტანი მაღალი და აწურული. მხარი მსხვილი და კვრივი. შუბლი ღია და თან ამაყი. თვლები თაფლისფერი: გახელების მფარავი. აგონდება შამა: „ლეკურის“ კამარა რომ შეტყრა მზის შუბის გამოეარდნით და დახვეწილი რასის დანელებით. მაგრამ ჩამოვლა.. ჩამოვლა.. ქედმაღალი და რბილი თანვე: ვეფხის დანელება სარკეში ასახული რომელიც თვითონ ვეფხსაც მოსწონს—(აქ მხოლოდ ერთმა ჩამოუარა ასე).. და მეკეში თავს ველარ იკავებს: ცრემლებით გაბუღული სუფრას პირქვე დაეცემა. ჩალმიანი-ჩურჩულით:

- რა გემართებთ?!
 — რაღაც მომაგონდა..
 — გავიაროთ..
 — დროა წაეიდეთ..

დგებიან. ემშვიდობებიან მასპინძლებს. ხმაური წყდება. ხვეწნა: „დარჩით“ ზოგი „აღლანს“ ეალერსება. ტაბა ტაბაჲ დ მეკეში იჩქარაიან. სმენ სადღეგძელოს. აეტომობილთან მიაცილებენ. ეთხოვებიან. არჩიბაღდ ძლივს იკავებს თავს.

- მშვიდობით! მშვიდობით!
- კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს!
- შეეხვებით!

საზანდარი უკრავს გასაცილებელს. ერთი ჯგუფი შემოსძახებს ლაშქრულს. არჩიბაღდ მეკეში და ტაბა ტაბაჲ აეტომობილში სხდებიან. ფორდი დაიღრი-

აღებს. არჩიბალდ უკანასკნელად გადახედავს მაყაშვილს. ფორდი მიჰქრის. უკან წყდება სიმღერა ხმალამართული.



— შელამებულა უკვე..
 — დროს მალე გაუვლია..
 — ქართველთა ქეიფმა დრო არ იცის..
 — რა მოხდენილი ხალხია..
 — შარდენის სიტყვა ხომ გახსოვთ ქართველთა სილამაზეზე..
 — მგონი სპარსეთიც გრძნობდა ამ სილამაზეს..
 — სპარსელთა ვახელება ქართველ ქალთა სილამაზით აიხსნება..
 არჩიბალდ მგეკში ჩაფიქრებულია.. ტაბა ტაბაჲ ისევ ქართველებს უბრუნდება..

— ქართველი ლხინისთვისაა შექმნილი..
 — მისთვის თუ ეზარება შრომა.. ამბობენ...
 — ბევრს ამბობენ: მის სიზარმაცეზე რასაკვირველია..
 — დიახ..
 — ვანა სიზარმაცე კუდია?! ქვეყანა რომ ისუნთქო საჭიროა ოცენბა..
 ხომ გახსოვთ სიტყვა უაჲლდის?!
 არჩიბალდ მგეკს ბევრი რამ ახსოვს, მაგრამ ეხლა ვერ მოიგონებს.

ქალი მთლად წარსულშია.. აგონდება:

მეტი აღარ უნახავს.. ვაფი თითქო გაჰქრა.. რად უთხრა ტყუილი?! თვითონაც არ იცის.. ტკბილი იყო ტყუილით დათრობა.. გამოკდა თუ სურდა.. არ იცის.. რა მწარია გამოღვიძება ჰაშიშით მოგვირღო ხმანებიდან.. წაველის იმ დღეს.. წყევლის მაკდურს.. ვაფი თითქო დაიკარგა.. პარიზში?.. ლონდონში?.. რომში?.. ნიცაში?.. არსად.. შემდეგ ომი და მეწყერები.. ხრამები.. უფსკრულები.. დაცილებანი.. დაკარგვანი.. და ეხლა: სულტანბულაღის უღელტეხილზე.. არა მოქვენება არ ყოფილა.. ათასს ვაფში გამოიცირობს.. რად არ შეიანერა ავტომობილი?! რად არ გადახტა?! რად არ გადაეხვია?! თვითონ კი იცის?! ქალის გული ულოდნელობაშია..

„აბგერმ“.. გაისმის შოფერის ხმა..

ისევ ის სცენა.. არ იციან..

შემდეგ „ზიადეხან“.. იგივე სცენა.. არ უნახავთ..

„სულტანაბად“.. არ იციან.. არ უნახავთ..

ქალი „ყაზვინს“ უახლოვდება..

ფორდი მიჰქრის.. „აღლანს“ ეყვინთება. ტაბა ტაბაჲ ამომაველ მთვარეს უკქრის: თითქო გველი უნდა მზერით გააჩეროს. არჩიბალდ მგეკში სიქრცეში დნება. არაფერს ხეოავს. თუ უსმენს ვინმეს?! მდინარის პირას დიდი ვერხვია. მდინარეს ნაპირი მოუნგრევი და ხის ფესვები გაუჭრიტლებია. ფესვებს ეხეთქება ხერგი. ვერხეს ავიწყდება ფოთილი. ავიწყდება ტოტი. ავიწყდება ტანი.



ვერხვის გრძნობა ფესვებშია გადასული ერთიანად: ტიტველი ვერხვი კარბი-
ბაღლ მცეში გაპყურებს უბზო სიერცეს და არაფერს ზედავს. არჩიბაღლ მცეში
ალბად გატიტვლებულ ფესვებს თუ გრძნობს როცა მათ შუარხევს მდინარით მო-
ხეთქილი ხერგი. რცხენია თითქო სიტიტვლის როგორც ქალწულს. სტკივა ფეს-
ვები. სიტკბოსაც გრძნობს: რომ ფესვები მთლად არ მოწყვეტილან, არჩიბაღლ
მცეში ნებას იკრებს: რომ დასისხლიანებულმა ფესვებმა არ იკივლონ გახლებულ
მენადებივით... „აღლან“ ამთქნარებს. ფორდი ჰქმნს. ტაბა ტაბაა ორსულ მთვა-
რეს უცქერს: თითქო გველი უნდა მზერით დაიჭიროს. არის დიდი მყუდროება
ირანის პლატოსი. ჰაერი ხალასი როგორც კრისტალი ანკარა წყაროს სარკის
ფსკერზე. სიგრილე: ხავსიან სიპების. ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდი-
ლი: უკიდო: უბოლოვო. ვარსკვლავები: თითქო კვერცხის ოდენა ბრილიანტები:
რომელთა გულები ხალისით სკდებიან. და მთლად არც: ერთი უდიდე არსი არ-
ყოფილ მითოსიდან: რომელიც გაღეშილ თვლემიდან ერკვევა. წყდება ერთი
ვარსკვლავი და ცეცხლის ღელეს მეწამულ ზოლად აყოლებს შტრედისფერ სიერ-
ცეს. წყდება მეორე. წყდება მესამე. მთელი მარულა ვარსკვლავების. დიდი
მყუდროება ირანის პლატოსი. მყუდროებას მიარღვევს გაკაპასებული ფორდი.
არჩიბაღლ მცეში შოფერს ზურმუხტით მიმართავს—(ეშინია მყუდროება არ დაა-
ფეთოს)—რომ მანქანა ნელა წაიყვანოს. ტაბა ტაბაა ორსულ მთვარეს უცქერს
და ჩუმიდ ლულულებს თავისთვის:

- რუახპ ელოღიმი..
- რუახპ ელოღიმი?!
- ყველგან რუახპ ელოღიმი. ყველგან..

თითქო ლოკულობს სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი. კორჯლიან ნაყე-
ვილებ სახეს მთვარეს არ აცილებს, არჩიბაღლ მცეში გაშტერებით უყურებს.

- თქვენ ხომ ჰებრაელი არა ბართ?!
- ეს მარტო ჰებრაელმა იგრძნო..

ტაბა ტაბაა ცაზე მიუთითებს. არჩიბაღლ სდუმს, სპარსი თუ ჰინდუ თუ
ეგვიპტელი თავის თავს ებასება ნატები სიტყვებით.

- თვითყული და მთელი..
- მთელი არა: გროვა ცალკეულების..
- არამედ: სხეული თვითყულების..
- თვითყული მარტო: თითქო მთელს გამოყოფილი..
- თვითყული სხვებთან: თითქო მთელში გახსნილი..
- ჰეა. მცენარე. წყალი. ცხოველი, კაცი.
- ყოველი: ამ რივით და ამ სახით..
- ერთი ჰქმნის მეორეს. მეორე მესამეს. მესამე მეოთხეს.
და ასე ბოლომდის—
- სანამ რკალი თავის პირველ რკალს არ დაუბრუნდება.
- საშიშარი რკალი:

გველი რომელიც თავის კელსა კბენს..
ჰველანი ჰქმნიან ერთიმეორეს.. საოცარი..



ყველას?! ვინ ჰქმნის?!

ერთი. დიდი. უსახელო..

რუახპ ელოლპიმ: სუნთქვა უსახელოსი..

დღმილი.. მოწყვეტილი ვარსკვლავი მოწყვეტილ ვარსკვლავს მისდევს.. „აღლან“ თავს წამოყოფს და დაუყვებს.. ყეფა ვარსკვლავებს გაეყიდება.. ვარსკვლავები ინთქებთან, ყეფაც იკარგება..

— „ელოლპიმ“ ხომ მრავლობით რიცხვია?!

— სწორედ მაგ არის საცნაური.. ელოლპიმ: ღმერთები.. ეს ევროპის სისტემებზე მეტია..

ტაბა ტაბაჲ თავისთვის განაგრძობს:

— „და რქვა უფალმა ღმერთმა: აი ადამი—იკვა როგორც ერთი ჩვენგანი“.. (დაბადება III. 22). ჩვენგანი-ელოლპიმ..

— ყველას კი „ერთი“ ჰქმნის.. აქ კი...

— ერთი . უთუოდ ერთი.. უსახელო.. მაგრამ ყოველი ქმნილი მქნელშია თვითონ—(გონება მიდის ზევით და ზევით).. ყოველი მქნელი ქმნილშია თვითონ—(გონება მიდის ქვევით და ქვევით).. ხოლო ქმნილიც მეტია მქნელზე და მქნელიც მეტია ქმნილზე.. რაც რჩება—ისაა საოცარი და საცნაური—(გონებაში „ერთი“ იბადება).. დიახ: ელოლპიმ-ერთი და თან-მრავალი..

— რა არის ეს „ერთი“: მატერია თუ სული?

— ეს დაყოფა ევროპის ანალიტიკაა.. იგი არ არის არც მატერია და არც სული.. ან უკეთ: იგი მატერიაა და სულიც.. ან კიდევ უკეთ: იგი ამ დაყოფის მაღლა დგას: მიღმა იკითხა მზარეს..

— უსახელო.. გამოუცნობი..

— რა საჭიროა გამოუცნობა?! გზნებაა საჭირო..

— ამ თვალხედვით მგონი ყველა სისტემაა მართალი..

— თითქმის..

— მატერიალიზმიც?!

— ასე მგონია...

დღმილი.. ირანის პლატომ სიოც არ იციხს.. „აღლან“ თვლემს: არ ესმის მეტაფიზიკა.. ხანდახან არეს გადაპყურებს გოაცებით: ეგებ „რუახპ ელოლპიმ“ მას უფრო ესმის? ალლო მასში უფრო მეტია.. მუუდროება არ ირღვევა.. „აღლანის“ თვალები ნაკვერჩხლებს ჰგვანან—(თუ ვარსკვლავებს?!).. სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი თავს თავს ებაიანება ნატეხი სიტყვებით.

— წარმომშობი ძალა კოსმიური..

მამა და შვილი ერთად ერთიმეორეში .

მამა: „ერთი“. შვილი: მამა და თან „სხვა“..

მამა: სამყაროს შინაგანი ხერხემალი..

შვილი: განზე დგომა.. გადაცდენა..

მამა: აუცილებლობა.. შვილი: თავისუფლება..

პირველი: მსჯელი და მწყვეარი..

მეორე: შემტევი და უძლები..



- ყველგან: ქვაშიც და მცენარეშიც..
 და ამ შეხლაში: სამყაროს ყოფა..
 და ყველა მამებში: საერთო მამა.. უსახელო..
 პაუზა.. არჩიბალდ მეკეში ეძნელება გარკვევა:
 — ძნელი ცოდნაა.. ახსნა?!
- ცოდნა არ გადაიციმის..
 — მაშ?!
- ცოდნას თვითონ უნდა მიაგნო..
 — მაინც?!
- გახსოვთ მოსეს არჩევა იაგვეს მიერ?!
- როცა იგი მადიამის მხარედან ეგვიპტეში გაემართა...
 — სწორედ.. გზაზე მას თავს დაეცა იაგვე და მოკვლა დაუპირა.. რა ჰქნა
 მაშინ მოსეს ცოლმა?!
- სეფორემ წინა-დაცვეთა თავის ვაჟი და მოჭრილი ხორცი იაგვეს გა-
 დაუგდო..
- რა მიაძახა სეფორემ იაგვეს?!
- არ მახსოვს..
- „შენ ხარ ჩემი საქმარო სისხლით“..
 — მერე?!
- იაგვემ თავი მიანება მოსეს..
 — არ მესმის.. იაგვე—საქმარო?!
- ცოდნა აქაა..
 — რომელი?!
- ვაჟის წინადაცვეთილი ხორცი იაგვეს უბრუნდება: ნიშნად იმისა—
 რომ იგი იაგვეს ნაწილია.. კაცის მქმედი ძალა იაგვეა თვითონ.. იაგვე თესლია
 და სისხლი.. მამა შვილში ჰქმნის იაგვეს.
- საოცრება..
- აქ თითქმის ბოლომდეა საიდუმლო ნათქვამი..
- ევ სწავლა ისრაელურია..
- უფრო ეგვიპტური.. მოსე ეგვიპტელი იყო..
- ტაბა ტაბაა ჩერდება.. თითქო უუსკრულს მიადგა.. მეტის თქმა მაკვდინე-
 ბელია.. არჩიბალდ მეკეში ფესვებში ეშვება კიდევ უფრო გაბრუნებული.. ხანდა-
 ხან უცხო პროფილიც იელვებს: დანიისლული თვალემა გახელებას ჰფარავენ..
 ირანის პლატოზე მყუდროებდა ირანის.. მყუდროებას დაესმის ლუმად არჩიბალ-
 დის ჩურჩული თავისთვის: „მამა—მამა“.. ტაბა ტაბაიფ ამ სიტყვაზე შეირხევა
 და გზას გადახვეული ისევ გზას უბრუნდება:
- დიახ: მამა.. მამა გვარია: შორეული ძახილი.. თითქო უკანა და შვილს
 მოსდევს. შვილი გადახვევია: განზე გარბის.. თითქო თავი უნდა დააღწიოს
 რალაცას.. მამა: სამყაროს გეზია.. აქ ყოველი ელემენტი მთელს უბრუნდება..
 შვილის გზა: ამცდენია—საცდენი—გადამჩხეხავი.. ნეტარ არს შვილი რომელიც
 მამის წილს უბრუნდება.. აქ არის დიდი სიხარული .



— მაშაც ხომ „შვილია“ ვისმეს მიმართ!

— უთუოდ..

— მერე?!

— შე ვიღებ მას როგორც „მამას“.. შვილიც ხომ „მამაა“ ვისმეს მიმართ! დაუსრულებელ დგმაში შე ვიღებ არა ამ მამას და არა იმ მამას—(იგი „შვილიცაა“ იმთავითვე)—არამედ საერთოდ „მამას“ რომელიც არაოდეს „შვილი“ არაა და ყოველ შვილშია როგორც „მამა“.. რუხაბ ელოღვიმ: სუნთქვა ყოველის..

— ბუნდოვანია..

— ეგ მისთვის: რომ დასაყვანით არ იციან „მამა“.. იქ „შვილია“ მხოლოდ: ისიც მოწყვეტილი.. აღმოსავლეთში ჰამლეტ შეუძლებელია: მამას მოცილებული.. აქ არც ფაუსტი: მამას რომ დაეჭებს.. ჩვენში „შვილი“ იმთავითვე მამის წიაღშია.. ეს კანტის თავში არ შევა.. სეფორეს სიტყვა ძლევს მთელ ჰეგელს..

არის დიდი მუუდროება ირანის პლატოსი. ჰაერი ხალასი როგორც კრისტალი ანკარა წყაროს სარკის ფსევრზე. სიგრილე: ხავსიანი სიპების. ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდილი: უკიდოვ უბოლოო. ვარსკვლავები: თითქო კვერცხის ოდენა ბრილიანტები: რომელთა გულები სიხალისით სედებიან. და მთლად არე: ერთი უდიდე არსი არყოფილ მითოსიდან: რომელიც ვალეშილ თელემიდან ერკვევა. წყდება ერთი ვარსკვლავი და ცეცხლის ღელეს მეწამულ ზოლად აყოლებს მტრედისფერ სივრცეს. წყდება მეორე. წყდება მესამე. მთელი მარულა ვარსკვლავების. მეწამული ღელე უკუნეთში ინთქება და თვალი—მისადმი გაყოლებული—მთელს არეს იქერს როგორც უხილავ მარადს: რომლის სხეული ყურით თვალებით პირით ეს მცენარეა ის ქვეა ეს ვარსკვლავია ის ბალახია. მთვარე განცხრომაშია.

ფორდი ნელა მიდის. „ალანს“ ეყვინთება. არჩიბალდ მეკეში გატიტვლებული ფესვებია: როგორც ის ვერხვი მდინარის პირას. ტაბა ტაბაა უხმოდ ცას გამზერს: მირიადი ვარსკვლავი მირიადი თვალებით. მთელი ირანი: ეგვიპტის ზურმუხტის უზარმაზარ სარკეში ასარკული. შოფერიც თუ თელემს... უეცრად ფორდმა დაიღრიალა—(თითქო: რუჟუაააბბჰ ელოლოჰიიმ)—და თბრილისკენ გადაიწია. პირველი ტაბა ტაბაა ვადმოხტა..

— არაფერია.. „ვანზე ვადგომა და ვადიკდენა“... ღიმილით ამბობს აქამდე მუნჯი შოფერი. „ალანს“ უფეს. მეკეში იცინის.

— ნაამბობს მტკიცება თუ სჭირდებოდა.. შვილები ყოფილვართ ვანზე მდგომნი..

— ჰა-ჰა-ჰა..

ჭორფლიანი და ნაცვავილევით ღიმილს აფრქვევს: თითქო მთვარის ხორკლებს.. დაგრაგნილი ხელები შოფერის კურბირატორს სინჯავენ.. არ წამხდარა..

ქალი ჰამადანის ბჭით შედის ქალაქში.. მთვარე აქაც ფანტასმებს ასხურებს.. ქალი მიდის „ქალაქთა კავშირის“ სადგომში.. გამოკითხვა.. არ უნახავთ..



შემდეგ „საერობო კავშირს“ მიმართავს.. არც იქ უნახავთ.. შემდეგ „საერთო ჯვარი“.. არც იქ იციან.. შემდეგ საკომენდანტო.. არც იქაა ცნობა!.. არც მოსულა.. არ ყოფილა.. ქალი თითქო დათეთქვილია.. მიდის ბინაზე.. შევიდეს თავის ოთახში? არა.. უკეთესია გაექცეს მოწყალების დების შეკითხვებს.. გარბის ქუჩა-ქუჩა: როგორც ბროვას ჩამორჩენილი დაჭრილი ავაზა..

ყაზინის ბულვარი: ფართო ქუჩა.. იქითაქეთ ბუმბერაზი ქადრები.. მთვარის შუქებში ათასი ლანდები.. ქადრების თავებზე: გუნდი და გუნდი ყორნების.. სპარსული ყორანს არ ჰკლავს.. აღმათ ასსონანსი თუ არის „ყორანის“: ეგონება ჭართველ შერთამეს.. არა: ყორანი წმინდა ფრინველია.. გუნდი და გუნდი ყორნების ათასწლოვან ქადრების წვერვალეზე.. მთელი ლეგა.. მთვარის ლანდებში კიდევ უფრო საოცარი ლანდები.. ქალი სასტუმროს მიადგება.. ერთს.. მეორეს.. კითხულობს.. არ მოსულა.. არ ყოფილა.. ატყვერებულ ქალს ყორნები თავს დასწახეიან.. ეს კიდევ რა მოჩვენებაა?! უნდა წვევა ესროლოს.. მაგრამ არა: ყორანი სპარსეთში ხელუხლები ფრინველია.. მალაღ ბქეს აწყდება ქალი.. ბქეზე საყრდნობია მალალი: თითქო ესტრადა.. აქ სპარსები აისზე მუსიკით ეგებებიან მზეს.. აქ სპარსები დაისზე მუსიკით აცილებენ მას.. ხეალაქ შეხედებიან.. ზეგაც გააცილებენ.. გაისადაც და მერმისშიაი.. მაგრამ რას ეტყვიან ეს შეხედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს რომელიც სუსხდასხებული ჩიტკით ფართქალობს ქალის აზღულ მეყრდში?! ან რაღას ეტყვის ამერ პატარა გულს მზის ამოსულა ან მისი ჩასულა?! ყველაფერი დაკარგულია.. ყველაფერი..

ქალს ცრემლები აწვეებიან.. მაგრამ ქალი ახალი რასისი ქალწულია.. მის სამშობლოში ძველად სკვითები მტერის თავისქალისაგან თასს აკეთებდენ და ამ უცნაური ხაპით სმიდენ უცხო ღვინოს.. მისი სამშობლო ეხლაც სტეპებია თვალწვდენი.. უკიდურ ველებზე დღესაც გარბის ურაცვიცი ატებილი: წითლრი კიხვინით.. ვინ დაიფრვებს მას?! ოღვა ბალაშოვას სისხლი აწვება.. მხრებში იმართება.. ქალაქი ძილისთვის ემზადება.. მხოლოდ აქაიქ სახლის თავებზე ვაეები დადიან.. აღზად მთვარიან სივრილეს თუ უცდიდენ დასიცხულნი.. ან თუ ვინმეს ელიან.. ქალი დადის როგორც მთვარეული.. ფიქრები ტვინს წვავენ.. საით წავიდა?! სად გადაიქარგა?! ხომ არ გადაჩეხილა?! უცკრად სიმღერა გაახსენდა: აბგერმის ახლო რომ მოესმა.. იქ ხომ არ გადაუხვია?! არა.. შეუძლოა.. იქ რა უნდოდა აზობაღდ მევეშს?! მაგრამ იმედი შეუძლებელსაც ეპოტინება.. ბოლო ფიქრი იქვეწულია მაინც: არა.. ქალი ამორგილია და გამწარებული.. წყველის იმ დღეს ღონანისას.. წყველის ჩურჩულს.. წყველის თავის თავს.. რად უთხრა ტყელი?! რად ამართა თვითონვე დაბრკოლება?! მისთვის ხომ არა რომ უყვა-ს გადალახვა! მის სამშობლოში ხშირად ველის ფაშატი ვავარდება ტყვიისფერი: რომელსაც მოაქვს სივრცის საშეშროება ხმალიარტყმული კიხვინით..

განაპირა ბალიდან სიმღერა მოისმის.. ქალი ყურს უგდებს.. სიმღერა წყდება.. ეხლა თარს უკრავს ვრლაც.. უნდა აიცრა ირანის მზე ტანზე.. უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები.. უნდა გაიკუთო მყუდროებით..



უნდა გადახვიდე ყოფილში.. მხოლოდ შემდეგ გაიგებ თარბს ხმა.. აქ არის გულის დაფერფელა.. აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე სისხლად დაღვარული.. აქ არის ნაღვლი.. მარტო ნაღვლი.. ყველაფერი ისვენებს.. მხოლოდ გული არ ისვენებს.. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული.. აღარ არის მაშინ ჰაერი.. სუნთქვა იხუთება.. სინათლე—სინათლე: ჰკივიან გოგტქვეს თვალები.. ოღვას გულიც ჩერდება ხანდახან: მენადის დაკოდილი გული.. ჰო: რა მძაფრ ნაღვლად ეწვეება მის გულს თარბის ხმა?! ითრევეს გულს სადღაც შორს: ხმანებულში თუ მოჯადოებულში.. სწეწავს.. გლეჯავს.. ისერის ნაკვთიანაკეთად.. მაგრამ გული არ კვდება მაინც.. ფართქალს აგძელებს საცოდავი.. ჰო: რა ტკბილია ფთქა პირველი გულის—აცოცხლების წამს.. ქალი თარს უსმენს.. ეხლა თარის ხმას სიმღერა ერთვის.. ეს არ არის სიმღერა.. ეს ტირილია.. ეს სლოკინია.. ეს კვილია.. ირგვლივ არაფერია.. აღუისხენი შეზმისტარებად ატყორცნილან.. მთვარე ჰფენს ბადეთა ჭვირვალ ქსელებს.. ქალაქს სძინავს.. ხანდახან ყორანთა გუნდები ხეებს ეფინებინან.. კაცი—დაკოდილი სიყვარულით: ჰკივის—სლოკინებს—ტირის.. ზარნაშო თუ არის კაცის პირით მღერალი.. ქალი უსმენს უცნაურ ზარნაშოს და თავის სლოკინს ყელში ახრჩობს.. უნდა ტირილი: ვახელება აკაეებს მხოლოდ.. უნდა იკვილოს მწარედ რაგორც დიონისოს მიმართ ვავარდნილმა მენადამ—მაგრამ იცის: კვილის თან გადაჰყვება და რაღაც აჩერებს თუ ვიღაც აჩერებს..

ყაზინის მიდამოებს მიანგოვეს ვახელებული ფორდი. „აღლან“ წამოხტება უეცრად. უერებს იტყვეტს. საშინლად დაიყვფს. დაცდილი თვალი შეამჩნევს ცახცახს დოგის ტანს. ფორდი ტიტველ გორაკს უახლოვდება ისმის ყმუიოი. „აღლან“ გადახტომას აპირებს. ყმუილი მატულობს. მეკეში „კოლტს“ იღებს. „აღლან“ ყფას უმატებს. ყმუილი შემზარავი, მგლები თუ ტურები?! რა უნდით ამ დროს?! ფორდი გორაკს უსწორდება. გორაკზე მგლებს თუ ტურებს წრე ვაუყვებთბით. მთვარეს შესჭერებიან და ყმუიან დაფინებით და გამწარებით. კოლტი ვავარდება. „აღლანს“ ტაბა—ტაბაა აჩერებს. კოლტის ვრიას მიჰყვება დოგის მაგარი ყფა. ყმუილი ერთი წამით წყდება: თუ მიამალენ. ფორდი გორაკს გასცილდა. ისევ ყმუილი. შოფერი სელას უმატებს. ყფა წყდება. ტაბა ტაბაა ნირვანის ფლევმაში ვადადის. არჩიბალდ მეკეში მთვარეს უყურებს. „აღლან“ ერთი თვითონაც შეუყუფს მთვარეს და მეკეშის მუხლზე თავით დავარდება. შორიდან კიდევ ისმის ყმუილის მსგავსი. ტაბა ტაბაა დოგს ხელს უთაფუნებს.

- ძალღიკ მეელის ჯიშისაა..
- ან თვითონ მგელი ძაღლის ჯიშის..
- მგელიცა და ძაღლიც მთვარეს უყუფენ..
- საკვირველია ეს ყფა..
- როცა ვინმე კვდება ძაღლი ყფას იწყებს უცნაურს..
- ვამიგონია.. რისთვის?!
- მძორის სუნს იყნოსავს..



- მომაცვდავში..
- დიახ.. მისთვის ეშინიათ ამ ყვეფის..
- მთვარე რა შუაშია?!
- მთვარე ლეშია.. ან უკეთ: ლეშის ნიშანი..
- როგორ?!
- მთვარე კვდარი პლანეტაა რომელსაც მზე აცოცხლებს..
- ამ ლეშს უყვებენ ძაღლები?!
- ამ ლეშს უყვებიან მგლებიც..
- საოცარია..
- მათ აქვთ კოსმიური ყნოსვა..
- ჰაა.. ეხლა მესნის..
- რა?!
- თესალიელ კუდიანების ლოცვა..
- ორიგენის მიერ მოყვანილი?!
- დიახ..
- როგორ არი?!

— „მოვედ ჯოჯოხეთისაჲ; მოვედ მიწისაჲ; მოვედ ციურო ჰეკატაჲ; ღმერთქალო დიდი გზების და გადახვევების! შენ — მომცემო სინათლის! შენ — მვლდლო ღამით! შენ — მოძულე სინათლისა! შენ — მეგობარო და თანაზიარო ღამისა! შენ — მოხარულო ძაღლების ყვეფისა და დაღვრილ სისხლისა! მოხეტევე საფლავებზე ლანდებ შორის! შენ — სისხლის მაწყურალო და მომგერელო საშინელების მოკვდავთათვის! ბომბო! გორგო! მრავალსაზიერო მთვარე! იყავ კეთილი თანამყოფი მსხვერპლის შეწირვის ეამს*...“

— საშინელი ლოცვა თუ შელოცვა.. საგულისხმოა: მთვარე — სინათლის მომცემიც და სინათლის მოძულეც.. აქაა მისი ნიშანი. ხომ ხედავთ: თესალიელ კუდიანებს სკოდნიათ: რომ მთვარე მოხარულია ძაღლების ყვეფის.. დიახ! მთვარე მძორი პლანეტაა..

არჩიბალდ მეკეში ისევე მთვარეს უტკერს.. ფიქრები თითქო მთვარეს ესევიან.. რაც არის — არ არის.. მთვარე: ლანდი ამ „არ არის*.. მოჩვენება.. მეორე პირი.. სიკვდილის სუნთქვა: მისი ფერი და მისი გუნება.. სიკვდილის ნიშანი: მძორი.. ყნოსვა მძორის.. ყეფა.. შემზარავი. საშინელი.. ეგებ მართალია ჭორღლიანი ნაყვავილევი: სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი.. მთვარე ხომ მელანქოლიურია.. მაგრამ რად ეტრფიან მას პოეტები?! მისთვის ხომ არა რომ წინაგრძნობენ სიყვარულის დაფერფელას?! რად უმღერიან მას პოეტები?.. ალბად მისთვის რომ წინაგრძნობენ სიკვდილის სურნელს.. უეცრად გაულ ლაფორგის ლანდი აიწურება პოეტებში.. მეკეში ხედავს: იგი ძაღლის დაეინებით უყვებს მთვარეს.. არჩიბალდ მეკეში აღარ გრძნობს გვერდით მჯდომს.. ჭერჩული თავისთვის:

- უყავს.. უყავს..
- ვინ?!
- გაულ ლაფორგ..



საქართველოს
წიგნწერის
კავშირისთვის

- ვინაა?!
- საფრანგეთის პოეტი..
- რა აწვალებდა?!
- კლექი და აპოკალიპსი..
- აკი ვითხარით?!
- რა?!

— რომ მთვარე შორის პლანეტარული ნიშანია.. თუმცა სურნელი აქვს..
პოეტს კოსმიური ყნოსვა ჰქონია..

ფორდი გაბელებულია.. ყველაფერს აბრუებს ირანის პლატოს მყოფროება..
მირიად ვარსკვლავებში მირიად თვალებში მთვარის ფანტასმებში: ირანი თავის
კრიალა ცით თითქო ზღვია დიდი. — (ოომელმაც ჰომერის სიტყვით „არ იცის
რთველი“) — ზღვა ეგვიპტის ზურმუხტის სარკეების.. ყველაფერი ორდება.. მთვარეც
თვითონ: გამცროპია.. მირიად ლანდებში შორიდან ივლავებს ხოლმე ლან-
დი ქალისა ხელიკისფერი თვალებით.. ნუ თუ ისაა?! არა.. აქ რა უნდა?! მთვარის
მონათოვი თუა.. მაგრამ რად არის ასე ტკბილი მოწვენებაც..

სად დაიკარგა?! სად გადაიჩეხა?! მოჩვენება თუ იყო?! არა: ის იყო.. ფიქ-
რები ტვინს ბერტევენ.. სად გაქრა?! უეცრად ჩაღმა შეიკრება ქალის ხსოვნა-
ში.. ჰაა: სპარსი იყო უთოოდ.. ეგებ მასთან სადმე შეუხვია.. გული ეძებს საი-
მედღს: უფსკრულის პირასაც კი: სანამ მთლად არ დაიკლება სისხლით.. მიდის
ქალი.. ბექს მიადგა.. აქედან იხსნა ბა გზა ჰამადანისკენ.. მიდის ქალაქ გარეთ..
არ იცის: საით ან რისთვის.. შოსსე გაფენილია მთვარის ზმანებით.. ხედავს ქა-
ლი . მის წინ: ვაგი . მალალი.. რუხი თვალები ოდნავ ლაგვარდგადაქრული..
ცხვირი სწორი: ცოტათ აქედელი ორბულ.. თმა— შავი: ორიად გაყოფილი.. სა-
ხე: მშვიდი და ნელა.. სახის მეტყველება მაგარი. მთელი სხეული: თითქო გა-
ხელების შეკავება.. ვაგი სღვას ქალის წინ უსიტყვოდ . რად უნდა სიტყვა?! თვი-
თონ სიტყვია ზომ თავად: სტიქიონს რომ იურვენს..

- ვიცი უსიტყვოდ..
- ვაგი შეკოთება ქალია ხმაზე..
- აგონდება ქალს.. თუ ეს ეხლა ხდება..
- მეც.. მეც.. მიყ—ვარ—ხარ..

ქალის კივილი ეფინება მთვარით ატაცებულ სივრცეს როგორც მეწამუ-
ლი ალქაჯის გადაფრება..

ქალის თვლები ფართოვდება.. გული გადაეხსნა ორ მოწყურებულ პე-
შვად . შიგ ლეღე უნდა ჩაესხას ცინცხალი: თორემ გული დატყდება მიწაზე
ფართქალა ბარტყივით..

- ქალი ჰკვივს.. კვივს გადაამხზურებს..
- წინ: ძაღლის ყევა.. მოპქრის ავტომობილი..
- ქალი ქვადება.. უცდის.. ძაღლის ყევა მატულობს..
- ავტომობილი ახლოვდება..
- შოაფერი სვლას ანელებს..

სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი ფლგმას იცილებს..

მეკეში წინ იხედება ნახევრად აძღვარი..

„ალღან“ ყეფს . ავტომობილი ჩერდება..

არჩიბაღდ გადმობტება..

— ოღვაა..

— არჩიი..

„ალღან“ უყეფს ქალს რაყიფის ყეფით.

(ბოლო მესამე თავის. ვაგრძელება იქნება)

თ ე გ ე რ ვ ა ლ ი.

ეპოპეია.

ნაწილი პირველი.

დაიწყო ეს ამბავი ამგვარად:

იყო მარტი, 1921 წელი. ქალაქ ბათოშში.

ამ დღეს ბათომი გასხვანაირდა. ესე იგი ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა. (მენშევიკები) ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება. (საქართველოსი) ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი. და როდესაც გაიყენდა შემდეგი დღე (მეორე დღე)—ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ: ქალაქი ბათომი დაიკავა ბოლშევიკებმა. მოვიდნენ ბოლშევიკები.

მათ დარჩათ ტფილისი. მათ დარჩათ ქუთაისი. და მრავალი ხალხი, რომელიც მოაწყდა ბათომს. (ლტოლვილები) გრძნობდა:

დარჩებოდა ბოლშევიკებს ქალაქი ბათომიც.

გრძნობა იყო კიდევ ასეთი:

ძველად ღელავდა ზღვა. ასქდებოდა წყალი ნაპირს. ნაპირი იყო საზღვარი ატეხილი სტიქიონის. ეხლა შეტრიალდა კანონები უკვლამა. ესე იგი:—აღელდა ეხლა ხმელეთი. პირველი ტალღა გაქანდა მიწაზე ოქტომბერში პეტერბურგიდან. (შეიძლება—მარტში, თუ თებერვალში) როდესაც დაიწყო რევოლიუცია რუსეთის. ოქტომბერში ტალღა გაიშალა. ატორტმანდა რუსული მინდორი. მოაწყდა ეს ტალღა კავკასიონს და შეჩერდა. (მაღალია კავკასიონი) შეინძრა კიდევ ერთხელ. აზვირთდა. აქაუდა. გადმოასხა მთებზე ღვრია წყალი და გაიბნა. ტალღა დაეჯახა ნაპირს. (ზღვას) ზღვისთან გაჩერდა.

ტალღა გადაიქცა ოკეანეთ. ოკეანე-მიწა. ზღვიდან ზღვამდე.

აქ იყო ნაპირი ამ ოკეანესი. და გრძნობდა ადამიანი (მრავალი)—ჩაიძირა ტფილისი.

ჩაიძირა ქუთაისი.

ჩაიძირებოდა (უთუოდ) ბათომიც. ბათომიდან კი—იყო ვზა ორნაირი:

ვზა ზღვისაკენ—ეს იყო სიკვდილი. დაბრჩობა. გადაშენება. ამოძირვა. და



მეორე გზა: გაჩერება ზღვისთან, მიწაზე (მიწაზე მაინც). შეიძლება დასრულებული-
ლის. მაგრამ სიკვდილი მიწის სიყვარულით გამართლებული.

ორივე გზა კი—საშიში. ორივე გზა—უფსკრულეებზე. სიარული დანის პირზე.
ეს იყო ამ დღეს—მარტში.

მარტი ყველგან სტირის ყოველთვის. ბათომში უცნაურად.

ამ დღეს მარტი სტიროდა უარესად.

ბათომი კი სავსე იყო აიესო ბინები. აიესო სასტუმროები. აიესო ვაგონები. ქუჩები. ხალხი მორბოდა: აღმოსავლეთით: იმერეთით. გაფრბოდა—წითელ საშიშროებას. წითელი ფრთა კი მოდიოდა: გაშლილი ბადესავით. ეფარებოდა ლტოლვილს. ეხვეოდა აღმოსავლეთიდან.

იმერეთიდან.

ამინდი (კუდი) ვერ აკავებდა ვერავის. ქუჩად იყო გამოსული მრავალი. (ბათომში) სახეები იყო დაღვრემილი. გაუპარსავი. აწურული.

იღვა სექტივით გულზე:

შიში. სიცივე. წვიმა.

დამოჩანდა ქუჩებში მოწყენილი ავტომობილები. ცხენიანი ურმები. (მიქონდათ ცხელი მჭადი. ჯარისთვის.)

დადიოდნენ—

პატრულები ანუ ჯარისკაცები სოველი და გასვრილი ტალახში; განსაკუთრებული რაზმის ხალხი. (ყაბაღახი. ბლუზა. მოკლე პალტო. მესტები. შაუხერი).

დამფუძნებელი კრების წევრები.

და მრავალი სხვა—საეჭვო და უმკვლელო.

მოქალაქეც დადიოდა აფუქული. იღვა ჯვარედინზე. ჰგავდა:—სოველ ბელურას სარის წვეროზე რომ შემოჯდება ზამთარში.

ზოგი სცხარობდა ჯგუფში. და ილანძღებოდა უსათუოდ. ზოგი უსაქმოდ დადიოდა. ატარებდა მღვრია გულით—მსოფლიო სევდას. გაჩერდებოდა აქ. შესდგებოდა იქ. დასტოვებდა მავარ სიტყვას ერთ ქუჩაზე. დაღვრიდა შხამს მეორეზე. წაყიდოდა.

ზოგი დარბოდა საქმეზე და საქმიანად.

ზაზინაში. პორტში. სადგურზე. საწყობებში.

ლაპარაკობდნენ:

მთავრობაზე—წავა თუ არ წავა. (უცხოეთში) ვაუშვებს ჯარი, თუ დახოცავს ყველას. ამას ლაპარაკობდნენ ჩემად, სანდო პირებში. საშიში იყო. ხმის აწვეა.

მენშევიკებზე—დალუპეს ქვეყანა მაგ შამაძალებმა. მაგათი დედა...

გვარდიაზე—უდიერად იხსენიებდნენ „მაგ ყაჩაღებს“.

არკვევდნენ მთავარსარდალის კვინიტაძის ტაქტიკას.—მაგებდნენ პარტიული კაცები. (მენშევიკები) იქებდნენ მოქალაქენი. ქართველები: მაგ რომ არ ყოფილიყო სულ მოგვეჭობოდა თავი...



სტრატეგიას ენაცვლებოდა საკითხი ანტანტის უსინდისეუბნის შესახებ. მალალი პოლიტიკის იჭერდა ადგილს ამაღლებებელს. ვაჭრობდნენ სარეკორდოთ და უჩვეულოდ:—ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორანები.

იღვა სამუხეზიანი აპარატი ყველა მოსახევენი. ბალის მხრივ უფრო მეტად: ბალთან წვიმაში არავენ დადიოდა. იქ მკუდრო იდგილი იყო. ვერავენ დაინახავდა ამ საიდუმლო საკმეს. ასურათის გადაღება კი საჭირო იყო (აუცილებლად) საგარეო პასპორტისათვის.

სავეს იყო სამიკიტრო „მოდის მნახე“. ცხოვლად ვაჭრობდა რესტორანი „არტელი“. თავგამოდებით უკრავდა იქ—სიმუხიანი ორკესტრი ბერძნების და რუმინელების. ბერძენი პავსტრო ხშირად ასრულებდა „სამშობლოს“ (გამავონე ებ ხმა ტკბილი) და—„ვენიხელისის მარშს“...

ღვინო ისმოდა რიგზე მეტი. სიმღერა კი არ იყო. მრავალყამიერიც კი. ეს იყო საკვირველი, მაგრამ ეს ასე იყო. შესაძლებელი შემთხვევა, (ქვეყანაზე ყველაფერი შესაძლებელი) მაგრამ იშვიათი მეტად.

ფასი დაედო ძალზე ჩემოდნებს. შეიქნა მოთხოვნილება ატმოსფერული. ვილაცა ამას მიხვდა—გაჩნდა მალაზიებში ძველი და ახალი ჩემოდნები. სისხლის ფასად. მაგრამ ჩემოდნები საღებოდა მიინც. ყიდულობდენ. (ყოველი შემთხვევისთვის. ეინ იცის რა მოხდება. ეშშმავს თვალი არ უჩანს).

შემდეგ—

იყო საღლაკ კრებები. თათბირი და ბეობა. ვილაცა ელაპარაკებოდა ვილაცას. ვილაცა სწყვეტდა საკმეს მნიშვნელოვანს და ამას აცხადებდა. ვილაცა არ აცხადებდა არაფერსაც. ვილაცა მითხბოვდა ხელთათმინებს. თივის და ამჟანდებს.

ვილაცა იჯდა ვაგონში და არავის არ ლებულობდა.

საღლაკ კი არიგებდენ—

ფესაცემელებს. პალტოებს. შაქარს. შედედებულ რძეს. ვილაცანი ყველაფერ ამას ლებულობდა. ვილაცა ყიდდა. ვილაცა ყიდულობდა. (ყველაზე საკვირველი იყო ჟიანასქელი ამბავი, მაგრამ ასე ხდებოდა: მყიდველი იყო.)

იტყვირთებოდა გემი რაღაც ნივთებით.

საღლაკ ეძებდენ რაღაცა სიას და სია არ სჩანდა. საღლაკ ქალღღებზე აკრავდენ ბეჭედს და ვილაცა ლებულობდა ფულს. ზოგს მიღებული ჰქონდა. ზოგიც მიღებას აპირებდა. ეძებდა გზებს. გზები სჩნდებოდა.

მილოლავდა ქუჩაზე: ეტლები. ფურგუნები. საბარგო მანქანები. მიჰქონდათ: ნობები. სკამები. კალა. ფესტის ყუთები. თბილი საბნები ბარდინებად შეკრული. ყველაფერს ათოვდა. და სტიროდა გზებზე წვირიანი თოვლი.

ქუჩაზე ყიდდენ დარცხვენილი ხმით „ერთობას“.

ვაზეთის კითხვა დაევიწყებოდა ყველას.

ვაზეთში კი ეწერა საინტერესო ამბები:

„ამბობება კროსშტადტში. პოლკოვნიკი კოზლოვსკის მოწოდება. აღება პეტერბურგის და მოსკოვის დაცლა ბოლშევიკების მიერ“.



შემდეგ — სწერდა საკუთარი კორესპოდენტი, აშბავს თუ არა და დაემატა —
და ტფილისში ახალი ძალაუფლება.

კიდევ ეწერა გაზეთში შრავალი საინტერესო აშბავი. მაგრამ მოქალაქემ იცოდა მეტი და უკეთესი. თვითველ მოქალაქეს ჭონდა შემონახული საკუთარი სენსაცია. ზოგი კი ღრუბელივით საესე იყო სენსაციით.

ჭუჩაზე იყო კიდევ ასე:

შეხვედებოდა ორი კაცი ერთმანეთს.

მიზგალ, ოუ რჩები. — იყო კითხვა. (ესე იგი — მიდიხარ საზღვარ გარეთ თუ რჩები, შე საწყალო, ბოლშევიკების ხელში).

— ვრჩები.

— შენ.

— მეც.

გააქენდა თავს. გაშლიდნ ხელებს. უბმოდ ასჩეჩადენ მზრებს და უბმოდვე შეაქცევენ ერთი მეორეს მოდრეკილ ზურგებს. ეს ნიშნავდა: არის ბედნიერი ხალხი, რომელნიც მიდიან საზღვარ გარეთ. მე და შენ კი ასეთ რისკს ვეწყვეითო.

გულში კი ფიქრობდა:

ერთი-მე კი ავიღე საგარეო პასპორტი და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი, რა ჩემი საქმეაო.

მეორე: მე პასპორტი მზად მაქვს ღენერალ გუბერნატორის კანცელარიაში მივალ და ავიღებ. რას მარგებს სხვისი ყურებაო. და მიდიოდა. პასპორტს მიიღებდა უთუოდ.

ქალაქში დადიოდა ბლავილით აქარღების მანიფესტაცია. იმახდა — „იაშასუნ ქემალ ფაშა“-ო. ახსენებდნ აგრეთვე ქეზიშების. მიდიოდნ ანგორის დროშით. აქარელი მოღვაწეები მოსწანდნ იშვიათად. დადიოდნ ჩემად. თუ ვინმე ქრისტიანი ქართული გამოელაპარაკებოდა — ეტყოდნ ქკუაა საჭირო, კკუაო და ასწევდნ კუდს. რაღაცას მალავდნ. რაში იყო საქმე — არ აშხელდნ. დადიოდნ ერთად მწიფე ინდოურებაით.

არავინ არ იცოდა თუ რა იქნებოდა ხეალ.

ყველამ კი იცოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ეს რაღაც იქნებოდა მეტად არასასიამოვნო მოქალაქისათვის. დაახლოებით ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოხდებოდა პოგრომი. დაარბევდნ მალაზიებს. საწყობებს და მოქალაქეებს.

შემდეგ დაზერეტდნ —

ოფიცრებს. (უთუოდ ყველას)

განსაკუთრებულ რაზმს. (პირწმინდათ)

პარტიულ ხალხს. (ზორბა-ზორბა და მციერს)

მენშევიკებს. (ვინ დააკავებს) და —

სპეკულიანტებს. (უეჭველად)

შემდეგ —

უთუოდ დაჯდებოდა ჩეკა და ყოველდღე თითო-ოროლა კაცს (ვის-ეს შემ-



თხვევისა და გარემოების საქმეა) დახვრეტდა, ან ჩამოახრჩობდა. წყევლიდანვე სამგალითოდ და ტყუის სასწავლად. დაახლოვებით ასე ფიქრობდა: *საქმეა მოქალაქე*. (არაფინ ხმამაღლა ამას არ იტყოდა. ფიქრობდა: რისთვის უნდა გაეაფრთხილო სხვა. თუ წაეხდით, წაეხდით ბარემ ერთად). დანამდვილებით კი სინამდვილე არაფინ არ იცოდა. ცხადი იყო, რომ იღვა შიში, სვეტივით ჩასობილი გულში.

სციოდა. სწვიმდა. ლამდებოდა.

ეს კი საკმარისი არ იყო და ხალხი მიეშურებოდა ქალაქის საბჭოს შენობისაკენ. იქ რალაც დიდი კრება იყო განზრახული. ელოდენ მთაერობას და მთაერობის თანასწორ ხალხს. გაიგებდა კაცი რაიმე ამბავს.

ეს იყო ქალაქ ბათომის ზამთარში. მარტის დღეს.

ამ დღეს წავიდენ მენშევიკები. (მთაერობა) ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება. (საქართველოსი) ამ დღეს დააპირეს ბათომის დაქვეა თათრებმა. მოხდა ამ დღეს კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა შენდევნი დღე, (მეორე დღე)—ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ—ქალაქი ბათომი დაიკავეს ბოლშევიკებმა. მოვიდენ ბოლშევიკები.

* ამ დღეს ცუდი ამინდი იყო ბათომში. და

ამ დღეს ადამიანს არავისი არ სჯეროდა.

II.

სიმონიც მოდიოდა ქალაქის საბჭოს დარბაზისაკენ.

მისი გვარი იყო—ახალკაცი. ოცდარვა წლის. მაღალი. გაპარსული. (შავი უღუგაშები შეკრებილი) ფილოლოგი მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის. მსახურებდა სადღაც სამინისტროში. მაგრამ ეს არ იყო საინტერესო. საინტერესო იყო, რომ იყო კაცი და მიდიოდა ქალაქ ბათომის საბჭოსაკენ.

რას ფიქრობოა სიმონი სიარულის დროს?

სიმონი არაფერზე არ ფიქრობდა. მიდის ადამიანი. გაიარს მინძილს და უეცრივ მოავონდება, რომ ამ ადგილიდან აქამდე მან გაიარა, მაგრამ რა იფიქრა, როგორ გაიარა—ეს არ ახსოვს. არ ახსოვს ვინ შეხვდა. არ ახსოვს რა იფიქრა. ამ წუთებში ის იყო თითქოს მკვდარი.

ასე მიდიოდა სიმონი. და რადგან არაფერზე არ ფიქრობდა—არავითარი სურვილიც არ მოძრაობდა მასში. გაიარა მარინეს პროპექტი. გადაუხვია ფურნესთან. შეჩერდა შუა ქუჩაზე. მიამტერდა დაეკრილ ფურნეს და—უეცრად მოშვიდა. აქედან გაიხსნა ფიქრი. განათდა გონება. და გაახსენდა სიმონს: არ ექამა დღეს სადილი. მოენატრა ძალზე—

ფიქრი (ფიქრი) პური. ცხელი ხარჩო და იმერული ღვინო...

ეხლა, როდესაც იღვა შუა ქუჩაში და ფიქრობდა: თეთრ პურზე, იმერული ღვინოსა და ცხელ ხარჩოზე—უცხად თავი ამოყო განვლილმა დღემ. ამოყო დღემ ბალნიანი თავი. გაიღვლა და გააქრა. და ერთმა წუთამა (როდესაც გონებაში აენთო და გააქრა დღევანდელი დღე) სიმონი დაპლალა საშინლად. იგრძნო სისუსტე და თბილი სიცხე მთელ ტანში. (აბ, იმერული მატე



ღვინო) უცბად შეტრიალდა თავში რაღაც აზრი. გამოჩნდა მეტყველებელი ფიქრისა—ერთი წუთით. და გაანათა სურათმა—უცნობმა. ნისკანმა მხეცა მხეცად დღემ. დეტალები:

გათავდა ყველაფერი. დაიშალა ჯარი. შემოყლენ ბოლშევიკები—იქნება ამაღამ. შეიძლება ხვალ დილით. ზევ ხომ უთუოდ. ლტოლვილნი მოსამსახურენი დღეს აპირებენ ვაკონებიდან გადასვლას, რადგან საშიში გახდა ვაკონებში ცხოვრება. (სიმონიც ბინადრობდა ვაკონში მოედანთან) საჭიროა. ფიქრი საკუთარ თავზე, სანამ კიდევ არის დრო. საკუთარ თავზე ფიქრის...

სიტყვა:—

იქნებ არც ისეა საქმე. ვნახოთ.

ეს იყო სულ ერთი წუთს შუა ქუჩაზე-ფურნესპარდაპირ. გვერდზე კი მოსჩანდა სამიკიტნი და სიმონმა შეუხვია ერთ წათგანში. იქ მან ვერ იპოვა, რაც სურდა: შევწული იყო ყოველი სურსათი. ღვინო კი, აღბად; ჯერ კიდევ იწოვებოდა. მრავალი შეზარხოშებული სახე დაინახა სიმონმა იმ პატარა სამიკიტნოში, სადაც არ იწოვებოდა საქმელი. იყო იქ ხამამღლა საუბარი და ხსენება—*„ჩვენი პატარა საქართველოსი.“*

მეორე დღეებში ასადილა სიმონი.

ნასადილეს არ წავიდა ის საბჭოს შენობისკენ. თავის ბინაზე წავიდა ვაკონში. იქიდან უკვე ბარგს ეზიდებოდა მრავალი. ვინ სად. ვინ სად. მიეკვდლა სიმონი ოთხიოდე ამხანაგს და მოთავსდა ყველანი სასტუმროში. პატარა ოთახი იწოვეს მეგრული მეპატრონესაგან. და იატაკზე გაიშალა საწოლები.

ათი საათი იყო სიმონი რომ ქალაქის საბჭოს დარბაზში შევიდა.

ამბავი იყო იქ ასეთი—

აქსებდა ხალხი კორიდორებს და ყოველ ხერვლს, სადაც შეისვლებოდა. ოთახები (სხედასხვა) დაკავებული იყო მოთათბირე ხალხის მიერ. (ავერ მესამე დღე იყო ამ ოთახებში სწყდებოდა რაღაც საქმე) გაიღებოდა უცბათ კარი. გამოჩნდებოდა თუთუნის კომლში მკურავი ოფლიანი სახეები—დაიხურებოდა სწრაფ კარები. გამოედიოდა ვინმე მოთათბირე. შეხედებოდა კარებში ნაცნობს. ნაცნობი გაყუებოდა. გამოელაპარაკებოდა საიდუმლოდ. აეტუხებოდა შორიანლო მეორე—ნაცნობი ნაცნობისა. კიდევ მეორე. შეიქნებოდა ჯგუფი. დაეკიდებოდა ჰაერში კითხვები—ვინა. რაო. როდის. ვერ იშორებდა მოთათბირე კითხვებს. ვერ იშორებდა შემკითხველებს. გაწეილი ქალაღდივით, რომ ეკვროდნ მას, უპასუხებდა ის. პასუხი იყო მიმიკით მეტი, ვინმე სიტყვით. იყო და არ იყო პასუხი. შემკითხველს სხვა რამ უნდოდა. სხვა რამეს ვერ ამბობდა პასუხი. ამიტომ ჯგუფი იშლებოდა უკმაყოფილო. ეცოდებოდათ მოთათბირე, რომელმაც არაფერი არ იცის...

აქ გაიგო სიმონმა:—

მოსულა მთავრობა ამას წინეთ. ყოფილა მოხსენება მთავრობის: დამწვიდლით. საქმე კარგად მიდისო,—უთქვამს მინისტრს. უთქვამს ისეთის კილოთი, თითქოს—საქმე კიდევ დიდხანს იარს. შორი გზა აქვს საქმეს. ნუ გეშინიათ. არ გაზერებულა საქმე ჯერ. მიდის და კარგადაც მიდისო. შემდეგ რაღაც დაუმა-



ტეზია იგავით. დარჩენილა შთაბეჭდილება—დაიცადეთ. ისეთ რაზეც გაიგებთ ამ ცოტა ხანში, რომ სიხარულისაგან კუჭზე გასტდეთო. მხოლოდ ამასვე უნდა იხსენებდეთ: ჯერჯერობით ეს თქვენი ჰქუის საქმე არ არის. მალე კი ყველაფერს გაიგებთო.

უთქვამს ეს და წასულა მინისტრი.

რაში იყო საქმე?

ვინ იცის რაში იყო საქმე. შეიძლება მოდის ინგლისის ჯარი. იქნება გა-
მოვიდა ანგორა. შესაძლებელია ანტანტის ფლოტი მოადგეს ბათუმს და ხელ
გადმოსახას წითელკანიანი ჯარები. ვინ იცის საქმე დიდი პოლიტიკისა. მხოლოდ
მინისტრმა იცის ეს საქმე და მინისტრი არ აცხადებს რამეს. დეე, ნუ გააპ-
ხელს, ოღონდაც კი იყვეს რაიმე. საზეირო. დეე, შეინახოს მინისტრმა საიდუმ-
ლო. მაგრამ ეჭვი ებადებოდა მრავალს:

რა უნდა იცოდეს მინისტრმა ისეთი, რასაც ჩვენ ვერ ვაიგებთ.

და ეს იჭვი ღრმავდებოდა მოქალაქის გულში. ღრმავდებოდა და იშლე-
ბოდა ამგვარად: რასა ბრძანებთ. არაფერიც მინისტრმა არ იცის ისეთი. უნდა
მხოლოდ დამშვიდება ჩვენი. ნამდვილად კი—გათავებულა, ბატონო, ყველაფე-
რი. წასულია საქმე და ცუდათაც არის წასული.

ფიქრობდა ამას მრავალი ურწმუნო (მრავალია ურწმუნო, რომელსაც მი-
ნისტრისაც კი არ სჯერა) მხოლოდ ფიქრობდა გულში. ხმაშალა კი ვერ
იტყოდა ამას.

შეატყო სიმონმა—აქ კიდევ მოხდებოდა რალაცა. ელოდა ხალხი, რალაც
ამბავს და არ იშლებოდა. მართლაც—გავარდა ხმა—

კიდევ სხდომა საჯარო. კიდევ ამბავი ახალი. საინტერესო და მნიშვნე-
ლოვანი უაღრესად. ამიტომ ჩამკვიდრდა საზოგადოება სხდომების დიდ დარ-
ბაში. ამიტომ—კელავ მოეძალი ტილა დარბაზს.

მაგარი მკლავები ჰქონდა სიმონს. შეატანა. დაიჭირა პოზიცია. (ფანჯა-
რასთან. აქ ჯდომაც შეიძლებოდა. ვახადა პალტო. დააფინა ფანჯარის პირას.
დაჯდა). დარბაზი:

ანათებდა ორი დიდი ლუსტრა. ერთი სამთვალა „ბრა“. (მიაჩნდა სიმო-
ნი ამ სამთვალა სანთისს. და სთქვა—„ბრა“). მარცხნივ—ტრიბუნა. ტრიბუნას
უკან პატარა მაგიდა. უკან—მეორე ოთახში გასავალი კარები. ეს ოთახიც საფ-
სეა ხალხით. ეხლა შემოდინან—აღზად იქაც საიდუმლოება თათბირობდა აქამდე.
გავიდა საიდუმლოება აღზად ოთახიდან. და გაავსო ოთახი მოქალაქემ. აქედან
სურდა მას გაეგონა, თუ რა მოხდებოდა დიდ დარბაზში. ამ კარებთან იდგა
ყმაწვილი—სდარაჯობდა, რომ აქეთ არ გამოსულიყო ვინმე. ისედაც ხომ ტევა
არ იყო დიდ დარბაზში.

ტრიბუნას წინ (ირველივე) რამოდენიმე რიგი სკამებისა. იქ დებულატები
ისხდნენ უკვე. ყველა კარები ღია იყო და კორიდორებიდან შიგ (ყვრებზე)
იყურებოდა ხალხი. დიდძალი. ტევა არ იყო. იდგა სიციბე, როგორც აკვისტო-
ში. მაგრამ (რალაცა მიზეზის გამო) ქუდს არცინ იხდიდა. არც პალტოს. დებუ-



ტატებიც კი. ამ უკანასკნელებს გარდა ყველაფრისა ხელში მჭიდროდ მკვრივის მაგირ: ქოლგები.

ვინ იყო იქ. ყველა—მოქალაქე: უბრალო. ბრაღიანი. ქალი. კაცი. ოფიცერი. ზიშტიანი ჯარისკაცი. სტუდენტი. გვარდიელი. მუშა. ვიპარი.—ყოველგვარი მოქალაქე.

მაგიდასთან გაჩნდა კაცი. პატარა. შავგვრემანი. დაბალი ტანის. ვაპარსული—შეკრეპილი უღვაშები. მოკლე თეთრნარევი თმა. მასვე აყვა—მეორე. მეტად შავი. წვერებიანი. მოგრებილი. ქოლგაზე დაბჯენილი და კიდევ სხვა.—გრძელთმიანი. სათვალეებში. მათ დაიწყეს—საუბარი ჩუმად და ანგარიში.

რა იყო კიდევ.

შავგვრემანმა კაცმა (ქუდი ნისი იქვე იდგა მაგიდაზე. მასაც, ე. ი. კაცსაც, პალტო ეცვა ცოტათი მოგრძო). როდესაც მოათავა სხვა ორ კაცთან სათქმელი—გაიშვირა ხელი დარბაზისაკენ, ისე იგო—დაწყნარდით—ვიტყვი რაღაცასო. ჩამოვარდა ხმები—სსსს—შშშშ, აშისინდა მლულვარება და გახმა. კარებს მოსწყდა უმაწყვილი. გავიდა მეორე ოთახში. გამობრუნდა პატარა ზარით ხელში გადასცა პატარა კაცს. ეს პატარა კაცი უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე. სიმონი ამაში თანდათან რწმუნდებოდა. კაცმა არ დარეკა ზარი: მუქში დაიკაეა და ზარით დაეკრდნო მაგიდას. მოიწმინდა ოფლი. (სიმონს ამ დროს წელზე დაპკრა ქარშა. ქარი მოასქდა ფანჯარას).

გარეთ ქარი იყო. სთოვდა. საშინელი ქარი არ იყო. მაგრამ იდგა სუსხი.

შორიდან (სადღაცადან ქალაქში) მოისმოდა ნელი თოფის სროლა. ხმა შორიდან, ხანდისხან. საშიშ რამეს არ გაედა. აწუხებდა გულს კი. მაგრამ შემაწუხებელი იყო მეტად—ხმები სადგურის მხრიდან. იქ სწიოდნენ ორთქლმავლები. ჯავზნოსნები. და ეს ხმები უფრო იყო საზარელი. უმეტესად ასეთი სიჩუმის დროს. სიმონს ახსოვს ეს ხმები. ეხლაც ეშინია ამ ხმების მოგონება სიმონს.

სიჩუმე კი დარბაზში იყო საშინელი. თითქოს ხალხი გააქვავა ამ შავი კაცის გაშვერილ ხელმა. სახეები ჰგავდა—ოფლიან მარმარილოს. სიცოცხლე სჩანდა მხოლოდ თვალებში. მხოლოდ გაშლილი, პირღია თვალები მოძრაობდა დარბაზში. თვალებში ჩასრესილი იყო—დალილილობა. მოწყენა. მწუხარება. თითქოს—აღსასრულის წინაშე იდგა ყველა. მსჯავრს ელოდნენ თითქოს და აწეული იყო სმენა ამიტომ...

რა იქნება. რა ანბავია. ხომ ყოველ წუთშია რაიმე ახალი მოსალოდნელი რა უნდა იყვას... ბრბრ. გააგრჯოლა სიმონს. შეეშინდა. იქნება ისევ ქარმა—დაპკრა ფანჯარას...

უეცრად (ამ სამარის სიჩუმეში) ჩაპქრა ლაზლაზა ლუსტრა. მოსწყდა სინათლე. თითქოს ყუმბარა გავარდა აქ. შეკრთა ყველა. კერს მიეპყრო—შეშინებულნი. ამ უეცარი გაქრობით. ჩალამდა სახეები, ვიღაც ქალმა—ნელა წამოიკიეღლა უკანა რიგში. ვიღაცამ ამოიოხრა, ვიღაცამ წინ წამოიწია. შეტორტმანდა კვლავ დარბაზი. ისევ აწრილდა. მაგრამ—

— მოქალაქენო...



გაისმა მკედარი ხმა მკედარი კაცის.
მოკვდა დარბაზიცა, დაილურსმა და გაჩერდა გული...

III.

მოქალაქენო შეხედეთ—დღეს დავრჩით პირისპირ ერთი მეორეს წინაშე. დავრჩით ღვთის ანბარად მიტოვებული. თქვენ ხედავთ აქ (მან შემოხაზა ირგვლივ შაერი) თქვენ ხედავთ—აქ აღარ არიან ისინი (მან ხელი გაიშვირა იქით სადაც იყო ზღვა) ისინი, ვისაც დღემდე ეწოდებოდა საქართველოს მთავრობა. ვისაც მოჰქონდა თავი—ხალხის მესვეურად, მის ბელადათ, ხელმძღვანელად ხალხისა, აღარ არიან ისინი დღეს აქ. უკანასკნელი მათგანი სულ შვირე ხნის წინედ კიდევ აქ იმყოფებოდა. წაეიდა ისიც და სთქვა—თუ მოხდეს ისეთი რამ,—მაცნობეთ: მე ვიქნები პორტის რაიონში, ან გემზედო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა ჩვენდამი. ასე გვანუგეშა მან. ასე წაეიდა (მოქალაქენო) უკანასკნელი მათგანი...

სახეები შეინძრა დარბაზში. გაისმა ჩემად—მწ..წ..წწ. წამოისისინა ვილაკამ კბილებში: სირცხვილი... განმეორდა აქ. იქ. ჩემად.

დიახ, მოხდა, ბატონებო, სირცხვილი, მაგრამ სირცხვილი უმალღესი, უნახავი სირცხვილი (ბატონებო). მთავრობა წაეიდა... შეიძლება ესთქვათ—გაიქცა მთავრობა, ბატონებო...

აქ—შეირყა დარბაზი. დაიშალა სიმშვიდე საბოლოოდ. (ჩემი, დარცხვენილი ხნები გათავისუფლდა: ზიზი. „სირცხვილი“. სირცხვილი—ეს განმეორდა ძლიერ).

გაიქცა, მოქალაქენო, და არც კი მოიხედა უკან. დაიეიწყა სინიღისი, ნანუსი. ზნეობა და პატიოსნება. და ასე უსახელოდ მიიტოვა სამშობლო კერა. ასე უსახელოდ მოსწყდა მშობელ მიწას. და დღეს, ბატონებო, დღეს (თავმჯდომარე—ეს იყო თავმჯდომარე—ლაპარაკობდა ნელა. პაუზებით. სკრიდა მოკლე სიტყვებს). როდესაც ისინი ჩვენს შორის აღარ არიან (დაუმატა ვილაკამ დარბაზიდან—„აღარც იქნებიან“. ეს გაუგვირდა ყველას: ვინ იყო ასეთი გაბედული რომ სთქვა—„აღარც იქნებიან“. (ყველამ მიიხედა ხმისკენ. ხმა უჩინარ იქნა თვალები კვლავ მიეხეინა პატარა კაცს ტრიბუნაზე) ჩვენ, ქართველი მოქალაქენი შევიკრიბეთ აქ, რომ ესთქვათ უკანასკნელი სიტყვა. რომ დაესდოთ მსჯავროი მას, თუ რაც მოხდა დღეს. რომ გაეიდეთ ამ დარბაზიდან ერთგვარი გვემით, ერთი ფიქრით და გადაწყვეტილებით. ისინი (მოქალაქენო) წაეიდენ, მაგრამ აქ დარბა საქართველო. (ისროლა ვილაკამ ტაში. გაიზარდა. გაავსო ტაშია დარბაზი მბურვალე მოწონებით). ქართველი ხალხი—მწრომელი ხალხი—აქ არის. და თუ მისი ცრუ მოციქულები წყალში გადაციეიდენენ—ჩვენ გერწამს,—ქართველი ხალხი მათ წყალში არ გადაჰყვება. ეს უნდა იცოდენ იმათ, ვინც დასტოვა დღეს საქართველო.

დიახ, მოქალაქენო, უკანასკნელად შევიკრიბებით დღეს აქ ყველანი, მათ გარდა: ვინც უღალატა ქართველ ერს, ვინც მოიყვანა ის ამ ზღვის პირამდე. მაგრამ



ქართული

თავისი მუხანათობით თვითონვე მოუმხადა საკუთარ თავს...
კრული.

გათავდა საშაოტუნიოთ ეს აზბავი. მაგრამ თქვენ ქართველები ხართ დაიცავით სიმშვიდე. დაატანეთ ძალა თქვენს აღელვებულს გრძნობებს. საჭიროა სიმშვიდე. სიბრძნე მოქალაქეობრივი ასეთ მძიმე დროს. ჩვენ შორი გზა გვაქვს კიდევ. ჩვენ ახალ ცხოვრებას უნდა შეუდგეთ კვლავ და მოიკრიბეთ ახალი ენერჯია, მოქალაქენო. ნუ დაეცემით სულით.

მოშორდა საქართველოს უღირსი შვილები. დარჩა საქართველო განწყენილი. გაუმარჯოს ახალ საქართველოს, მოქალაქენო. სირცხვილი მოღალატეთ. დიდება ჩვენს ერს. დიდება ქართველ ხალხს და მის მომავალს.

ახმაურდა ძალზე დარბაზი. ტაშით. ძახილით. არ დაწყენარდა აღელვებულ გრძნობანი მოქალაქისა, როგორც ფიქრობდა ორატორი. მოეძალა ხალხი დარბაზს. წამოიწია. დარგვა ზარი თავაჯდომარემ. ასწია ქუდი შემდეგ. თითქოს: შეეშინდა ზარის წყარუნის. ქუდის აწევით ფიქრობდა სიწყენარის დამკვიდრებას აღელვებულ დარბაზში. ამ ზღვაში—გრძნობათა აღელვების.

ვილაც კაცი ამოსკურდა ტალღებიდან. ვაფითრებული. მოწყენილი სახით; გაჩერდა უზმოთ ტრიბუნაზე. ხანდისხან (ლაპარაკის დროს, შემდეგ, როცა ლაპარაკი დაიწყო) ჩაუწყებოდა ხმა. თითქოს სიტყვის მაგივრად პირიდან მოსწყებოდა ცრემლი. შეკუდა მას დარბაზი—ზეიმით. ღირსეულად. ცნობილი იყო ეს კაცი—როგორც კეთილშობილი. ხმები—სსსს—შშშშ... გაიშალა. ვილაცამ დაიყვარა უკანა რიგიდან საშუალო ხმით—

— სიჩუნე.

რადგანაც ხმები—სსს—შშშ.. იწვევდა უარეს ხმაურობას. ვახივდა ყველამ—სიჩუნისაკენ. სიჩუნე ჩაქრა უკანა რიგში. უცნაურად დაბინდულიც იყო ეს კრება რალაც საიდუმლო ძალით. იყო რალაც საზღვარი ხმის. მას ვერ ასცილდებოდა ვერაგინ. ამიტომ აკვირებდა ყველას—უეცარი წამომახილი. რახენი. სკამის წაქცევა. ამ დროს იყო ნოსისმა ქუჩიდან—ყვირილი, ჩხუბი. ძახილი—„მოქალაქი მაგ მამაძალი“. შეაკრთო ამან ყელი მეტზე მეტად. დარბაზმა წამოიწია ფეხზე. მაგრამ კვლავ დაეშვა სკამებზე. გაიღუვა ფიქრმა ამ დროს: თუ კი უბედავენ „მამაძალო“, მაშ ის ერთი ყოფილა. ამ ერთს გაუსწორდებიან—გაზეთ ბევრია ხალხი და ჩვენამდე რაიმე საფრთხე ვერ შენიაფიცს. ამიტომ სწრაფ დამშვიდდა ყველა და მიაპრო თვალი ტრიბუნას.

ორატორი განაგრძობდა მღელვარების თესვას.

გულდასმით უსმენდა მას სიმონი. ფიქრობდა ის და გრძნობდა—ისტორიულია ეს საღამო, არ განმეორდება მეორე ასეთი. უჩვეულია ეს აზბავი. მნიშვნელოვანი და სამეცხიერო.

ორატორი მიდიოდა ნელა. ხნავდა ქართველის გულს მოწამლული გუთნის პირით. თითქოს მას ხელში ეჭრა თავისი გული. ამ გულს სწურავდა სისხლისაგან. აწვეთებდა მოქალაქეს თავზე სისხლიანი გული. სტიკოდა გული ამ კაცს. მაგრამ სრესდა მაინც. თითქოს—უნდა სრულიად გამოსწუროს, გამოიშ-



როს, ამოიღოს მთელი სითბო გულისა და გადაავდოს შემსრულებელს მხარისა — ცივ ზამთარში.

— ქართველებო. რა უნდა ვსაუბრობო მე თქვენს წინაშე. ბედნიერი ვიქნებოდით, რომ არ ვიყუე დღეს ცოცხალი. რომ—არ მოვსწრებოდი მას, რაც ვნახე. ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ვიყუე მუნჯი. ქვა—ცივი და უგრძობელი. განა სიკვდილი არ სჯობს იმ სირცხელის, რომლის მოწამენი და მონაწილენი ჩვენ ყველანი ვართ. ქართველი ხალხი მიატოვა მისმა მეთაურებმა. (რა მოხდა—მიატოვა ქართველი ხალხი). ქართველი ხალხი მოატყუეს. გააბახეს. გააუპატიურეს. ღეჩაქი მოხადეს მისივე შვილებმა. მათ ჰქვიოდა—ქართველი მთავრობა. არ გამოჩნდა მათში არც ერთი პატიოსანი ადამიანი. არც ერთი კეთილშობილი მოქალაქე. რომ ჩვენთან მოსულიყო, რომ ეთქვა—უბრალო ამბავი მაინც. ნაცვლად ამისა—გაიპარნენ ისინი. განა კაცი უცოდველია. ვის არ მოსვლია მარცხი. წეცდონა. ვინ არ წაბოროტებულა ცხოვრების მძიმე გზაზე. მაგრამ საჭიროა—კეთილშობილობა. გამბედაობა, აღიარება შეცდომის. რა მოხდებოდა (რა უჭირდათ), მოსულიყვნენ აქ. ეთქვათ—შევცდიოთ ჩვენ. წაივადეთ საქმე და ანგარიში გაცრუვდა ჩვენი. მაგრამ ისევ მოვედით თქვენთან, რადკანაც ორივენი ვერცხთ ამ საქმეში, რადგან—ეს იყო საერთო საქმე. და გასაჭიროც უნდა იქნას საერთო. არ ქნეს. ამის მაგიერ ისინი—წაივადენ: უსირცხილოდ უტიფრად. მიატოვეს თავისი მრევლი. შიშველი და მშიერი ჯარი სიცივეში (მწვეწვე. „სირცხილი“). „ზიზილი მათ“ სიტყვა—„ზიზილი“ არ მოსწონდა სიმონს. თითქოს განგებ ეს ხმა ისმოდა ვანსაკუთრებით. დაეინებით). არამც თუ ეს არ ქნეს—წაივადენ და წაირტაცეს ქონება და სიმდიდრე ერისა. ისედაც ღარიბი და დარბეული ხალხის სიმდიდრე. პერიც კი არ დაუტოვეს მშიერ ქალაქს. ძუძუმწოვარ ბავშვებს წაართვეს რძე—თან წაიტანეს ევროპაში ნაყოფი რძე, მოქალაქენო. განა ეს ყველაფერი ჩვენი არ იყო. (ჩვენი იყო. უთუოდ ჩვენი იყო).

რა ექნათ ჩვენ, მოქალაქენო, დღეს რა გზას ვეწიოთ.

მე მრწამსს საქართველო და მისი უყვდაეობა. (ტაშით ამოიხორა დარბაზმა—საქართველო) მე მრწამსს აგრეთვე, რომ—ვინც დღეს მოშორდა საქართველოს—ის არაა საქართველო. საქართველო სხვა რამ არის. „ქვიშანი დარბაზიანი“. ის არის (დიად ის არის), გადაეცლო და გადაიარა საქართველოზე ამ წყალმა. დარბაზი ნაკვირვით მსუქანი ქვიშა. და ამ ქვიშაზე აღმოცენებულ ახალ ნაკოფს—ველოდეთ, მოქალაქენო. წარუდა წყალი და წარიტანა ქუჭვი ჩვენი ცხოვრებისა და გაქვეა მას თან წყველა, კრულვა, ამბოხი ჩვენის გულისა. (ბატონებო).

ვინა საუბრა მოკვდაო საქართველო—საქართველომ პერანგი გამოიცვალა მხოლოდ. (წარმოიდგინეთ) ჩვენ ვიხილავთ ცხოვრებას უკეთესს. და საქართველოს ცას—გადაფერილს. მხოლოდ—გიყვარდეთ საქართველო თვინიერ ყოველისა. მეტი სიყვარულით და სათნოებით. მწამს—გაიარს წლები. დაცხება გრძობანი, მოვიგონებთ ჩვენ დღევანდელ დღეს და ვიტყვი: თითქოს გასაჭირონი ჩავარდით ერთ დროს, როცა საქართველო ჩიხში ჩაავდო მეთაურებმა. მაგრამ ერი ვამოდვა ძლიერი, ერი გაყვა თავის გზას და ამ გზაზე დასტოვა მან საფლავები. გაუაროთ დღეს ამ საფლავებს. განეგრძოთ ჩვენი გზა—წინ. გავიდეთ აქედან



ქვიტკირის გულით და იმედით, რომ ხეალ ჩვენს თავზე ამოტყევიდა იგივე მზე, რომელიც ათბობდა ქართულ მიწას ათასი წლის წინეთი მძვინვარის დროს ამ ნათელს. ის გაათბობს ჩვენს მომავალს. საქართველო მოკვდა—გაუმარჯოს საქართველოს. დიდება მის.

(„ვაშა“ მოყვა ამ სიტყვებს და გათბა გული. მოვიდა იმედი, ჩაიხუდა გულში, გაშალა ტკბილი სახე. თვალებმა გაიწია დარბაზში—ალტაცებისკენ. ალტაცება დაყარა დარბაისელ კაცს ცხელმა დარბაზმა).

ხელახლა დაისვენა დარბაზმა და მიაპყრო სხე სახეს თვალი. ეს სახე იდგა ტრიბუნაზე. იყო გრძნობა: თითქოს ეს დარბაზი (და საქართველო) ბეჯითად აგლესდა აყალო მიწით ღვინით სავსე ქვევრს. ახადეს ამ ქვევრს თავი— აღმოჩნდა სასმელი მოშხამული და ბეჯითად აგლესდა ამ ქვევრს ხალხი, რომ მოგხადათ სხეა ქვევრი. სხეა სასმელით, რომ არაგის დაელია ეს შხამით მოწამლული ღვინო.

ამიტომ იდგა ტრიბუნაზე კაცი სათვალეებში. ესეც სკრიდა საკუთარ ძარღვეს. ესეც იცლებოდა მოწამლული სისხლით. წვეთავდა სისხლი—სიტყვებით ... ენახე მე ამ დარბაზში სცენა. (ჩუმი სცენა) იდგა აქ მინისტრი. ლაპარაკობდა სიცრულს თურმე. ტკბილ სიცრულს და როცა შემდეგ ჩამოჯდა აქ ტრიბუნის ახლო და ერთმა ურწმუნომ ჩუმით შემოსძახა ქვევიდან—„ჩვენ დაველუბეთ, მაგრამ თქვენც ხომ მოგინელეთო“,--მინისტრი დაეჟაღნა თითის ქნევით ამ კაცს (ურწმუნო კაცს) და ჩუმადვე უპასუხა—„დაებრუნდებით კიდევ. ისევ დაგაჯდებით კისერზედო“, (ამ სიტყვის დაეჯება ამოძახილი—„არასოდეს“. „ტყუილი იმედი“. ზოგმა გაიცინა. შეშრიალდა დარბაზი: „ენახოთ“ „ენახოთ“) ეს ფრაზა (ბატონებო) მეტად დამახასიათებელია გაქცეული პირებისთვის, რომელთა ღალატი (ასეთი მუხანათური) ჩვენ გავივით მხოლოდ ამ წუთში და რომელნიც დღეს უცხოელ გემზე გადაბარგდენ.—ნადავლით: მათ (თქვენ იცით) წაიღეს საგძლათ ხალხის ქონება. სიმდიდრე და სამკაული.

ფიქრობდენ ისინი, რომ საქართველოა მათი სამფლობელო. და ისინიც მეუბნდენ აქ თავისუფლად. თავისუფალი სინდისისაგან, პატიოსნებისაგან, თავისუფალი კანონისაგან. (რისი კანონები) თქვენ იცით ყოველივე ეს და ზედმეტია ლაპარაკი ამაზე. იყვნენ ისინი—კონტრაბანდისტები, კონკრეტადორები და იტყვიოდენ, როგორც ესპანეთის აზნაურები კორტეცების დროს ამერიკაში. მათ მიჰქონდათ ფული ჯარისთვის—ფული ერებოდა. მიჰქონდათ ფული პური-სათვის—იყო ქვა პურის წილ („ჭერი“, „ჭერი“—სიტყვა ვილაცამ. „ცხენები ვიყავით“—ისროლა ერთმა) მათ გაქონდათ უცხოეთში ჩენი სიმდიდრე—არ გვიანხავს ანალები. ესთხოვდით მოეწყით შინაური ცხოვერება—ისინი ამყარებდენ ანარქიას და ტერორს. (ყაჩაღები. მათურისტები) დიხა, ბატონებო—ყაჩაღები. და ეხლა ვახა ყაჩაღურად არ მოიქცენ. ჩენი გკლესიები გადურჩა მონლოლებს შენოსეგას, სპარსელებს, თურქებს და რუსებს: არ გადურჩა ამ ხალხს („სირცხვილი“. „Иисус“, სიტყვა ვილაცამ რუსულად. ვილაც დეპუტატმა) მაგრამ დღეს დაინგრა ეს სიყაღბე და დაეყარა მათ თავზე. ჩაყარდა ეს შენობა ს-



ცრუსა და გადიშალა შავი ბუნება მისი. ამ ტალახში ჩაესვენა მისი-
ლალთ. დეე, ბატონებო, აქ პოვონ მათ ცხონება სულისა. (გაიჩინა ვიქტორმა).

მე გავათავუე, ბატონებო, ხვალ აქ სხვა ხალხი მოვა და ჩვენც აქ დავჩნებით
მათთან—ერთ პერ-ჰევეშ. ჩვენ შევხვდებით ყველანი ხვალინდელ დღეს, როგორც
შეთერის მოქალაქეს. (იმედიანი ჩაბველება, რომ ყველანი ერთად ვიქნებით).

იქნება ყოველ ჩვენგანს მოელის საფრთხე, მოხდეს იქნება ექსცესი სამწუ-
ხაროთ. უბედურება უარესი დაგვეცეს ჩვენ პიროვნულად. მე არ ვიცი რა
იქნება. მინდა ვიფიქრო—ხვალ ეს არ მოხდება. გამოიჩინეთ სიფიზღე ბა-
ტონებო.

უუკრათ ივრიალა კარებთან თოფმა. მალაღი ხმა გაიშალა დარბაზში.
შეკრთა, ზეზე წამოფარდა ყველა, ეცა კარებს—კარში ვერ გავიდა: დერეფნიდან
მოაწყდა ხალხი კარებს. შემოფარდა სიტყვა—„არაფერია. შემთხვევით გავარდა
თოფი“. აირია დარბაზი, გაიტენა თოფივით. დარჩა ტრიბუნას წინ მცირე
აღვილი. ტრიბუნაზე კი-ლარ იყო ორატორი. წავიდა.

(„გვალეთ ფანჯარა. დაეწვიეთ“. „ხომ არ გადიროიეთ—გავცივდებით“. „ამოგ-
წყდებით ყველა“).

დარბაზში გაიზარდა ხმაურობა. შეიქმნა ბზული. მოწოლა. პოზიციების
ძებნა. (ალბათ წისასულელად) ადგა თავმჯდომარე—პატარა კაცი, სთქვა რალაცა
სადღევრტელოსავით. შემდეგ ამოიღო რალაც ქალაღი (იქვე იღო მაგიდაზე)
კაპიკიანი ფურკლის მეოთხედი. ამას ჰქვიოდა—რეზოლიუცია. იქ ეწერა სიტყვა
—უნდობლობა. უარი ქართველი ხალხისა წასულთა მიშართ. ამაზე დასთანხმდა
ყველა—დარბაზში წამოხტა ხელები. მრავალი ხელი გაიზარდა უცბათ. სხვა-
ნაირი შეიქნა დარბაზი: კაცებს ყურების მაგიერათ ამოსვლია ხელები, გრძელო,
თითებიანი ხელები, და თითები აწვეულან სანთლებივით, როგორც აღღგომა
დღეს ეკლესიაში აინთება კანდელი. ეს საქმე ქნა კაპიკიანი ქალაღის მეოთ-
ხედმა, რომელსაც კვიოდა—რეზოლიუცია და რომელზედაც ეწერა სიტყვა—
უნდობლობა. კაპიკიანი ქალაღის მეოთხედი ეჭირა ხელში მაგიდასთან მდგარ
კაცს და ქალაღი თრთოდა ამ კაცის ხელში.

დაეცა ქალაღი მაგადაზე.
ჩამოიყარა ძირს დაღლილი ხელებიც.

IV

- დარბაზი იცლებოდა—მღელეარებისაგან. სიციხისაგან.
მაგიდასთან იდგა ათიოდე კაცი. სიმონმა გაიარა ახლო. ესმოდა ხმები:
— უნდა წავიდეთ. ამაღამვე.
— უნდა გამოუშვათ ისინი. მაშ, აბა როგორ იქნება.
— თათრის ჯარები.
— კომისია.
— ციხე.
— სიმონმა ჩაიარა კიბეები. გავიდა ქუჩად. იქ იდგა ავტომობილი. იდ-
გან ჯგუფად თოფიანი კაცები. სიციხეში აბარტყუნებდენ ფეხებს ქვაფენილზე.



ნახა სიმონმა ამბანაგები და გაეშურენ სამივენი სასტუმროსკენ და ერთი ოთახში ეძინათ ხუთს.

მიდიოდენ ჩუმათ. სთქვა ერთმა.

— ჰაი დედასა, დედასა. მიგვატოვეს... და შეიგინა.

მეორემ ჩაიოხრა.— ეზხ... და გადაახტა გუბეს.

შეჩერდნენ მოსახვევეში. გამოჩნდა თათრების პატრული. ჩაიარა.

— ეს თათრები ხეირს არ დაგვაყრის.

— წავიდეს, მაგათი... გულიანათ შეიგინა მეორემ.

— ვიშოვოთ პური საღმე, — სთქვა სიმონმა.

ექებეს და პური ვერ იშოვეს. ფურნეები პირლია იყო, შიშველი თარობით. შეხედეთ, დარწმუნდით, რომ პური არ არისო. საღლაც თორნეში იშოვეს ცო-მი მკადი.

სიჩუმე იდგა ქალაქში. არავინ სჩანდა. არც მილიციელი. არც ყარაული. კვდარი იყო ქალაქი. სასაფლაოს მსგავსი. სიჩუმე უარესი— ვინემ საფლავების. სიჩუმე ყვიროდა— საშინელებით. მოულოდნელობათ. მეხით. მყვირალა სიჩუმე იდგა ქალაქში.

და მართლაც— გავარდა მეხი. მეხი გავარდა ბალთან, ზღვის პირას. ეს იყო სროლა— წყობით. გამომწვევი სროლა. თავდამსხმელი, ბნელის კუთხიდან. სროლას უპასუხა სროლამ საღლაც ახლო. მას გამოეხმაურა კიდევ სროლა. კი-დევე სხვა ადგილიდან. კიდევ სხვა ადგილიდან. ტრაბ-ტრაბ-რა-რაბ. მოიკო მთელი ქალაქი ტყვიამ და მეხმა. შეჩერდა სამი კაცი. გადახედეს უხმოთ ერთ-მეორეს. შემდეგ გაუჩქარეს— წინ დახედათ ისევ სროლა. გვერდზე— აქაც სროლა. ისროდენ სიტყვებს სამნი გაკვირებულის ხმით:

— რა არის.

— რა ამბავია.

— ბოლშევიკები.

— თათრები.

— გვარდია.

— მთავრობას დაეცენ.

მირბოდა სამი კაცი ლაშეში ტალახიანი გზით. ტალახში ვარდებოდა სიტყვები და უპასუხობთ ცივდებოდენ გზაში. სამი კაცი კი გარბოდა ოთახისაკენ. მიაწიეს. სროლამ უმატა. თითქოს ქუხდა ყოველი საბლი. ყოველი დარაბა. ქუჩა. თითქოს გაიხა ცა და გადმოიბნა ზის იატაკზე კვერცხის ოდენა თხილის კაკლები. ურმობით. მრავალი ფუთი.

— ანარქიაა, — იფიქრა სიმონმა. საშიში ამბავი დაიწყო ქალაქში. რა მოხ-დებდა ამაღამ, როდესაც არ არსებობს— არც უფროსი, არც უმცროსი, არც პატრონი ვინც.

— დაიწყო ანარქია, ფიქრობდა ყველა. ლაპარაკს კი ვერ გაბედავდენ ამის შესახებ. სცდილობდენ შეენელებინათ გულის ცემა: გული ძალზე რეკდა, ხმა მაღლა რეკდა და უშლიდა სმენას. ამიტომ ხუთი კაცი ნელა სუნთქავდა. ოდნავ. დიდის პაუზებით— რომ სუნთქვას არ დაეშალა გაგონება. მიინც გაბედდა

ერთმა ხმის ამოღება. უბასუხა მეორემ. მოეწყო საუბარი. საუბარი შეწყდა, ორ კაცს, ტფილისიდან ჩამოსულს.

იმეორებდენ გაგონილს:

ტფილისში სიწყნარეა. არ არის ზვრეტა. არც შიში ისეთი. ცხოვრება მიდის ჩვეულებრივ. შეირყა კი ცხოვრება, მაგრამ შუშდებდა თანდოიან. მშვიდდება აწი არა უშაყს.

კიდევ რა.

მიეცათ იმედი: იქნება არც ისეა საქმე, იქნება გადავრჩეთ და იქნება (ამას გულის კუნჭულში ფიქრობდა თვითეული. საიდუმლოთ. საკუროათ.) იქნება სამსახურშიაც დაგეტოვონ, ჩვენს ადგილზე დაერჩეთ. ამას ფიქრობდა გულში თვითეული და როცა ამას გაიფიქრებდა-ჩამოეარდებოდა პაუზა ლაპარაკში. გაიფიქრებდა ამას გული. გაიარდა წუთი—განახლებოდა ლაპარაკი.

საუბარი შეიცვალა.

— დასაკლავი არიან ეგ... (ე. ი. მთავრობის ხალხი) მიგვატოვეს, მაგრამ ასე როგორ მიგვატოვეს. წავიდენ, მაგრამ ასე როგორ წავიდენ. აგვრიეს. მოგვშალეს. მოგვწამლეს.

ახსენებდენ ქრთამს. ლალატს და გაიძვრობას. ახსენებდენ ჟორდანიას—მას რომ ყველაფერი ეს სკოდნოდა, სხვანაირად იქნებოდა საქმე.

ზოგს არ სჯეროდა ეს—შეუძლებელია რომ არ სკოდნოდა...

აქ სწყულებოდა ლაპარაკი. რიგდებოდა ყველა იმაზე, რომ მართლაც არ ვარგოდა მთავრობა. კულდი იყო ის თავიდან—ბოლომდე.

მაგრამ უკუდგისი ისაა, რომ ერთს ოთახში მთელი ღამე ლაპარაკობს ხუთი კაცი და ხუთ კაცს სადამო არაფერი არა აქვს. ყველა ერთი მეორეს ეთანხმება და არაა განსხვავება არაფერში. ასეთ დროს მოდის ძილი. და მართლაც ძილში წაიღო ხუთი დაღლილი კაცი.

სიმონს არ ეძინებოდა. იწეა იატაკზე საბანში გახვეული. ეხურა ზევიდან პალტო. უვლიდა სიმონს შორიახლო ძილი. მხოლოდ არ ეკარებოდა თვალს. ფიქრები თუხთუხობდენ მძიმედ. ნელნელა. წისკვილივით. და უჭირდა სიმონს მობრუნება მძიმე ფიქრების.

— მაშ გათავდა ყველაფერი, წახდა საქართველო. დავმარცხდით... დავმარცხდით. რატომ ჩვენ? ჩვენ კი არა-ისინი დამარცხდენ, ვინც გაეცა საქართველოს.

საქართველო.

— რას ვეტყვი საქართველოს?

დააჩერდებოდა თვალთა ფიქრი სიმონს. ჩაჰკითხავდა. არ ასვენებდა. მოვიდოდა, დაჰკენტავდა მწარედ. გაიქცეოდა.

— რას ვეტყვი? არ ვიცი, რას ვეტყვი. ვიცი, რომ აქ დავრჩი, რომ ესაა სინამდვილე და სიმართლეა, ალბად, ეს.

— ხი ხი ხი ხი,—გადიხარხარა, თვალეშმა. ლალატობ?

სიმონი შებრუნდა. წამოიწია. თითქოს ადგომა დააპირა. ისევ ჩაიკეცა და გაეხვია საბანში.



— არ ვიცი, არ ვიცი... ხელ.. ზეგ.. შემდეგ. გავიგებ. *მეფეჩანსტაჟი*
წყალში რომ დაიღლება მცურავი და უძაღლდება ხელის *გამსტაჟი* *მსტაჟი*.
ნელა.. მოღლილი მკლავი სთელის — ერთი, ორი. ერთი.. აღარ ამოდის ხელი წყა-
ლიდან: ცივდება. შეშდება. იღვრება ხელი სანთელივით. იძირება კაცი. მიდის
ძირს. ძირს. რა კარგია დაძირვა. მხოლოდ ძირს, მხოლოდ გაჩერდე სადმე. მხო-
ლოდ ხელი არ გაანძრიო დაისვენო. დაიეიწყო ყველაფერი...
დაეძინა სიზონს.

V

ეს დილა გათენდა ისეთივე უცნაური-გუშინდელი დღე რომ იყო. ამინდ-
მაც გამოიტირა უბედურება თავისი. თითქოს-განთავისუფლდა ზეცა მწუხარე-
ბისგან წუხანდელი მუხის თესვით. დღეს დილით იდგა მზე და ათბობდა ახალ
მთავრობას ქალაქ ბათომში..

წარსული ღამით (სროლა, რომ იყო) ქალაქი ბათომი ვერ აიღო თათარმა.
ვერ მოახერხა თათარმა ბათომში დაბინავება. გათენდა დღევანდელი დღე და
მზეს მიეგება სხვა მთავრობა. არც მენშევიკური. არც თათრული—გაჩნდა მთავ-
რობა ბოლშევიკების. დაჯდა გუბერნატორის სასახლეში—რევკომი.

ამ გვირგვინს გაჩნდა წითელი, ბოლშევიკური მთავრობა და გუბერნატორის
სახლზე აფრიალდა წითელი ფერი. ეს გამოიჩინა საბოლოოდ დღეს—დილით.
და გამოიჩინა ამასთანავე ამინდიც. ესე იგი:

თბილი მზე აღნობდა გაყინულ გუბეებს ქუჩებში. დასავლიდან კი ქროდა
ცივი ქარი, მაგრამ ზღვა ნელა გორავდა კალაპოტში. მთებზე ჩემოწოლილი თეთ-
რი ნისლი ქურღივით აჯდა ზემო აჭარის კალთებს. გადააღაჯა უღელტეხილს
და გაიპარა: გუშინდელი ნისლი იყო. აღბად კრიდებოდა დღის. სხვა
დღის.

დილით სიწყნარე იდგა ქალაქ ბათომის ქუჩებში. არაეინ გამოსულა. (ში-
ში) შემდეგ, მზე რომ გაიშალა სავსებით—მოადგა. მოაწვა ხალხი და ქუჩები
აიღესა მოძრაობით.

დატრიალდა მზეში ქალაქი. და გადაეფარა ქალაქს ერთი ფიქრი. ერთი
სურვილი—უნდოდა მოქალაქეს (შენ, კი გენაცვალოს ჩემი თავი) უნდოდა,
რომ:

— ჩაეგდო ხელში რაიმე ნაგლეჯი ქალაქი. ვარსკვლავიანი. ესე იგი—
მოწმობა რაიმე, ახალი მთავრობისაგან; (რევკომი) რაიმე ქალაქი, საცა იქნე-
ბოდა აღნიშნული, (სულ ერთია რა ენაზე, თუნდა სპარსულად) რომ პატრონი
ამა ქალაქისა (სახელი მისი) ჭეშმარიტად ესე და ეს კაცია. მეტი არაფერი.
მეტი და უმეტესი ამ ქალაქზე იქნებოდა: ბეჭედი ხუთ წვერიანი ვარსკვლავით.
და გარშემო ბეჭედის შეერთებული „პროლეტარები მთელი ქვეყნისა“.

ეს იყო სანუგეარო ფიქრი მოქალაქისა ამ დილით, ეს იყო პირველი თუ
არა მნიშვნელოვანი მეტად. იყო კიდევ სხვა სურვილიც. იღუმალი ზრახვა სხვა-
ნაირი:

უნდოდა ყველას დარწმუნებულიყო, რომ ის ცოცხალია.



მოქალაქეს არ სჯეროდა (დილით რომ გაიღვიძა) რომ ენა [ყნმ] შეეცდარი. და სურდა ამაში დარწმუნებულიყო. თვითონ თავისი თავს სამაშინ ქვეყანა დაეჯერებინა. საპირო იყო სხვისი ნახვა. კითხვა. კითხვა-პასუხი. ამ სურვილმა უფრო გამოავლდა მოქალაქე კარში. გრძობდა მოქალაქე ისტრალურად, რომ ხდება კონსულტაცია ამისა რევეკომთან. ესე იგი: მხოლოდ რევეკომთან დარწმუნდებოდა კაცი—ცოცხალია ის, თუ უკვე ცოცხალი აღარ არის და ეს მშვენიერი დღე. ეს მზე, ეს ბედნიერება—სიხმარი და იმ ქვეყნიური ოცნებაა. 1921 წ. მარტში გარდაცვალებული მოქალაქისა.

რა იყო რევეკომთან?

რევეკომთან იღვა მთელი ქალაქი (ოთხ ფორმულიანი სისტემა) ქალაქს კი თავზე ადგა ცხელი მზე.

ჩამოყალიბდა სურვილები მოქალაქის მზეში:—კონსულტაცია... (მოხდა უკვე ცოცხალი ვეოფილერ) ქალაქი ბეჭდიანა... (?) მაგრამ კიდევ უფრო შორს მიდიოდა მოქალაქე—გაუმადლოა კაცის გული და კაცის გული კი ანგარიშობდა ასე.

იქნება დღეს გამოვიდეს ბრძანება საშინელი და ყველანი დაგვწყვიტონ ბოლშევიკებმა. თუ ეს მოხდა—(სხვა დროა. ყველაფერია შესაძლებელი) გაეწყდეთ ბარემ ყველანი ერთად. იმედი გაქვს, იმედი და კმაყოფილება, რომ მარტო შენ კი არ დავგვრიტეს ამ წყულებმა,—შენთან მოყვა სხვებიც (უკან რომ არ დავკრწება ვისმე—კარგია, ხი. ხი. ხი. ვიხარია).

ფიქრობდა მოქალაქე, რომ ეს არ სჭირდება მთავრობას, (დახვრეტა ამდენი ხალხის) მაგრამ ჯერ-ჯერობით არ იცოდა მოქალაქემ—რა სჭირდება მთავრობას და ეშინოდა ამიტომ. თუმცა იმხნეებდა მოქალაქეს იმედი, რომ სრულის ერთგულობით მოვიდა ის რევეკომთან, გულწრფელის თანაგრძნობით და ერთგულებით. (ღმერთია მოწამე—გულწრფელის ერთგულებით, ყველა).

და ფიქრობდა მოქალაქე:

— ეს მენშევიკები ხომ წავიდენ და წავიდენ. ჯანდაბა მათ თავს. მთავრობა მოვიდა ახალი. მთავრობა ხომ საპიროა. (უთუოთ საპიროა მთავრობა) ჰო, და ეს მთავრობა უკვე არის. ა, ბატონო, ა: ამ სახშია მთავრობა. მოვიდა... დაეანებოთ თავი, როგორ მოვიდა. ხომ კი მოვიდა, ხომ კი არის ამ სახლში და ხომ კი ველი მისგან ვარსკვლავიან ქალაქს...

გადიგრიხებოდა მოქალაქეს ფიქრი, გადუბევედა, გადახტებოდა ამ ადგილს: („როგორ მოვიდა“)

სიმთვრალით აყვებებული კაცი გაუარს ხოლმე, კომისარიატს, თუ ჩვეს შეჭრდება (ინსტიქტიურად—გაჩუღდება) ვასცილდება ამ ნაძრახ ალაგს. თითქოს არაფერი მომზდარიყოს—აღიღინდება ხელახლად.

ასეთ მოვლილს აკეთებდა მოქალაქე, როცა მიადგებოდა ამ სახიფათო საკითხს, მაგრამ გადახტებოდა, განაგრძობდა მსჯელობას—ჰო და მოვიდა. ეტყობა (უთუოდ ეტყობა) რომ არა უშავს. შეიძლება შეურიგდეს კაცი.

მოურიგდება კაცი მას—შემდეგში, მხოლოდ, ეხლა კი—დამანებოს თავი. მიშვას ხელი.



მარკინეული

ეს ნიშნავდა:

მომცეს ქალაღი. ნუ მომკლავს და გამიშვას შინ ნაშენი მშენებლის მიზამს—(ეს მინდა, რა მინდა მეტი ამის ვარდა) ვფიცავ და შეეფიცავ უთუოდ, ერთგულებას... ბოლოს და ბოლოს (გულზე რომ კაცმა ხელი დაიდო) ვის უყვარდა ეს მენაშევიკები. თქვენმა მზემ არ უყვარდა არავის. პო და, არაფერი არ უშავს ამ რეგკომს. იყოს და იყოს. ვეყაბულები, ბატონო, ამ რეგკომს..., ესაა რაცაა...

ასეთნაირად სდღღდა მოქალაქეს ფიქრები რეგკომის წინ. რეგკომის ირგვლივ ზღვა ხალხი იდგა. რეგკომზე ფრიალებდა წითელი ფერი, უფრო ზევით კი თბილი, მზიანი დღე-თავს იწონებდა.

უყვარდა მოქალაქეს ასეთ დღეში სიცოცხლე. ტკბილია სიცოცხლე და უტკბესია მზიანი დღეში, გაზაფხულზე. თბება ძელები და თუ ზურგზე გაცხუნებას მზისუთი სიამოვნება დაგადნება კაცს ზურგზე... და თუ კიდევ—გამთბარ სიცოცხლეზე დააწვეთებ თბილ სიტყვას—შეგიყვარებს შენ ადამიანი მალალის სიყვარულით, რამეთუ სითბო და სიტკბოება შეებს ერთგულებას და სიყვარულს.

ამიტომ—იდგა მოქალაქე, ხელში გვირა მას აფართხალეზული გული, იშვერდა მას სამ სართულიანი სახლისაკენ (რეგკომი) და მოელოდა:

ერთ წვეთს ტკბილ სიტყვას. თუ დაეცემოდა გულს ტკბილი სიტყვა-გაიზღებოდა გული სიყვარულის და ერთგულობის ყვავილად.

ასე იდგა მოქალაქე, რეგკომის წინ დიდ ხანს: ერთი, ორი, ოთხი, საათი... ვანა უჭირდა მას დგომა ასეთი. სტკბებოდა ამით. ხედავდა—შედის კაცი შიგ, (რეგკომში) გამობრუნდების და გამოაქვს: თეთრი ენა—ქალაღი (წერილი და გრძელი) ბეჭდიანი. ბევრი შედის ბევრი გამოდის ბეჭდიანი ქალაღით. დაგვიანებული (გაუბედავი) მოქალაქე მიდის ნელ-ნელა-წინ. თითქოს რეგკომში არც კი უნდოდეს შესვლა. თითქოს მზემ დააცხუნა და ჩრდილში გადის ნელინელ, მაგრამ კარებთან შეჩერდება ჩუმად კიბეზე. ელაცას გკითხება, სთხოვს ელაცას. მიდის. მიდის-ამასთან. იმასთან, სანამ:

— ამხანაგო, ღიმილით უპასუხებს მას (სამხედრო ტანსაცმელში-არაა სამხედრო პირი) მობრძანდით ხეალ ათი საათიდან. მოგართმევთ ყველაფერს. შემდეგ—მზადდება მატარებლები და გაგზავნილი იქნებით თავთავის ადგილზე...

ხანდის ხან თამბაქოს კომლი ეცემა კაცს თვალში. უეცრად. წამოვა თვალთან ცრემლი—სიმწარისაგან. და კაცი მოიგრებს ცხვირს. ასე ეგრძობება ცხვირი მოქალაქეს. ვანა სიმწარით. —სიხარულით: უნდა გაიცინოს, იყვიროს, იბლაგლოს, ატროკინდეს სიხარულისაგან, როგორც მოზვერი, მაგრამ სცხვენია, იკავებს თავს და ამიტომ ეგრძობება ცხვირი მოქალაქეს რეგკომის კიბეზე გამობრუნებულს. და მართლაც—მოხდა კონსულტაცია, ცოცხალია მოქალაქე და იცოცხლებს რამდენიც მის კეთილ სურვილს მოუხდება. ბეჭედს დაკრავენ ხეალ, სახლში გააბრუნებენ... (ჰვი, მიბწკინეთ, ვინ ხართ მადლიანი).

სულ წამხდარი არ ყოულია საქმე, —ფიქრობს ქუჩაზე მოქალაქე. მას უწოდეს: „ამხანაგო“ და ეს უთუოდ კარგი ნიშანია. აღზად არის მასში რამე ამხანაგური. უთუოდ ნავსება ის ამხანაგურის გრძნობით. უყვარ მოქალაქეს მსოფ-



ლიო, მზე, ქუჩა, რეკომი, წითელი ფერი და ყოველივე — ფერადი უფერო. სიყვარულით აღვსილი მიდის. ხედავს—

მიქრინ საესე აეტომობილები. (წითლებით, შავებით, ჩოხით. დაღებულ პირებით საესე) უზარმაზარი წითელი ბაირაღებით. პლაკატებით:

— „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

— „ინტერნაციონალს“.

— „სოციალიზმს“.

— ყველაფერს გაუმარჯოს, — ფიქრობს მოქალაქე. გაუმარჯოს ყველაფერს და ყველაფერს ვენაცვალე, ოღონდ...

გაიარეს წითელ ჯარის კაცებმა. მიდიან დაღალული, დასვრილი, დახეული, მაგრამ გავს კაცს, როგორც გინახავს რუსი. რუსია, მხოლოდ წითელ ვარსკვლავიანი ახურავს ქუდი და მიდის ქუჩაზე თავისთვის... შუა ქუჩაზე მიდის ასეთი ხიშტიანი ჯარი და ქუჩის ყურას კი სდგას ხალხი და უყურებს ხიშტიან წითელ რუსს...

(აბა, სდგას და უყურებს) არა მარტო სდგას—

გაიშალა სახეები ქუჩაზე. მზემ ჰქნა ალბად ეს. (ვინ იცი რა ჰქნა. ვინ იცი რამ ჰქნა) გაჩნდა კი—მორცხვი ღიმილი. ფერი იცვალა ადამიანის სახემ ქუჩაზე. აგერ კი—ქუჩის ყურში (მზეა. ათიოდე კაცი სდგას) ლაპარაკია საოხუნჯო:

ბლუზიანი ვილაც ასახელებს მეორეს. და ამბობს—„შეატყო თურმე, — ცუდათაა საქმე. იუიდა ქათამი. შეაწვევინა და გაუგზავნა ერთ ბოლშევიკს საპრობილეში (მაშინ კიდევ დატერილი იყვნ ბოლშევიკები) ქათამში წერილი ჩასდო. წერილში ეწერა „შეგარგოს ღმერთმა“...“

სიცილია მოსახვევში. მორცხვი სიცილი, მაგრამ არის შინც. იცინიან, იცინიან, წარმოიდგინეთ.

სიმონი იდგა ახლოს. ესმოდა ოხუნჯობა. და როცა გამოიცივალა საუბრის თემა—სიმონმა გადუხვია ბალისკენ.

დღეს მან ზუთი მოწმობა აიღო და ორდერები ტფილისში წასასვლელი: ერთი თავისთვის. ოთხი — ამხანაგებისთვის. ებრძანათ—პირველ რიგში წაბვალთ, სამსახურშიაც დარჩებით. უნდა გამგზავრებულიყვენ ხვალ—ნაშუადღევს. დღეს კი სასტუმროში გამოსარკვევი იყო დეტალები მგზავრობისა.

ნელა მიდიოდა ის ბალის ქუჩაზე. თბილოდა. შვეიდა ბაღში. გამობრუნდა უკან: ცუდი ქარი ქროდა ზღვიდან და მიწა იყო ჯერ კიდევ სოველი. გაჰყვა გზას საკრებულოსკენ. მიადგა საკრებულოს შენობას. მოაგონდა ძველი დღეები. ინგლისელები. ლენერლები—კუკ-კოლისი. სტოკსი.

— კუკ-კოლისი, — გაიმეორა სიმონმა ეს სიტყვა. სასაცილო სახელია: კუკ-კოლისი. სიმონს ნახული უაედა ეს ყაჩაღის მსგავსი, თეთრკბილებიანი ინგლისელი. ბატონი იყო ის აქ. დასცინოდა ყველაფერს. აქაურ მთავრობას და მის ხალხს ბათუმში.. ესენი დადიოდენ მათთან—მორიდებით, კრძალვით (ბრიტანეთის იმპერია).

— სეოლოჩი, — სთქვა რუსულად სიმონმა და წავიდა. გაიარა ცოტა და შეკრ-



თა უცბად, თათქოს—სილა გაარტყა ვინმემ, ან ცხელი წყალს დაეფარა: მერ-
თა იმიტომ, რომ გაუყვირდა—როგორ სთქვა მან ეს სიტყვა: „სეზონისა“ ვინ
იყო სეოლოზი: ლენერალი კუკ-კოლისი, თუ ისინი ვინც მასთან დადიოდა.

სიმონმა დაიჭირა თავი იმაში, რომ ეს სიტყვა ეკუთვნოდა ორივე მხარეს:
კუკ-კოლისსაც და მათაც, ვინც დადიოდა ინგლისელ ლენერალ კუკ-კოლისთან
ასეთის მოკძალებით. უყვირდა სიმონს: რამ ათქმევინა მას ეს სიტყვა. ვერ გა-
არკვია. შესწუხდა. წავიდა ნელა წინ. გაპყვა გზას თეატრისაკენ. გაპყვა ფიქრი
ფიქრს... დატრიალდა კორიანტელი მზეში...

— ანდრეი შენიე, ანდრეი შენიე. როგორ გადაგორდა შენი ლამაზი თა-
ვი გილიოტინაზე...

..ბრუნავს მორგევი. იფუშება. ირღვევა. ჩქარა... ჩქარა... სახეები. სახელე-
ბი... საფლავეები... წიწამური... ყიზლარი... ილიამ გამოიგონა საქართველო... და-
ასაკურისა ჟორდანიამ... გაპყვა. გაპყვა. უცნაური ფიქრები. უცნაური მოგონე-
ბანი. ასოციაციები.

— სძულს საქართველოს კაცური კაცი. საქართველო ვერ ითმენს დიდ
კაცს.

და ყოველი დიდი კაცი ებრძოდა საქართველოს. საქართველოს სძულს ყვე-
ლაფერი და სძულს საკუთარი თავიც ყველაფერთან ერთად. ჯოჯია უმწყესოთ.
უძალდო. ჯოჯი სჭამს ძალსაც და მწყემსაც. მოწამლული, ტყემალსა და ძმარ-
ში ჩადებული ტვინი...

— რა სულელი ფიქრებია... გააეროლა სიმონს.—

-- მაღარია, მაღარია—სთქვა მან. მაციებს. საჭიროა ქინა. უთუოდ სა-
ჭიროა, იქნებ ჩვენებს აქვს... საქმელი იყიდა ცოტაოდენი საგზალისთვის. წა-
ვიდა ბინაზე.

ძალზე მოძრაობდა ქუჩა. ცაბცახებდა სიჩქარეში. მიზეზი იყო მრავალი.
და ერთი უმთავრესი: მიტინგი (მოედანი „აზიზე“) იზიდავდა ყველას. დანიშ-
ნულ დროს მთელი საათი აკლდა. მაინც იდგა ხალხი მოედანზე. შეიძლება
ნელა წასვლა—ხალხი კი მიიჭქარებოდა. ამ დღეს შეუცვარდა ყველას ერთი მე-
ორე. არ სცილდებოდენ ერთი მეორეს. ყველა ერთად დადიოდა. ენატრებოდათ
შეგროვებულათ ყოფნა.

შემოხვდა ჯგუფი სიმონს. გაპყვა უკან მას. გზაც იქით ჰქონდა. დაუგდო
კური...

— ჰო და, გავიდენ თურმე სოფლად, რომ გავეკოთ ხალხის სულიერი გან-
წყობილება.—„რა შეგეცება ჩვენაო“.—სთქვეს თურმე გლეხებმა. ბოლშევიკი
მოერია მენშევიკს და ანასუნ მის საქმესო“... აზობდა ერთი.

— ხალხი, კაცი, თბაა,—სთქვა მეორემ.

— თბა კი არა კეჟიანია. თბები ჩვენ ვართ, რომ წამოყვინდით...

გადუხვია სიმონმა სასტუმროსკენ. ჩაუჯდა თავში სიტყვა—ანასუნ.

— რა არის—ანასუნ. ანა—სუნ... ცუდი სუნი კი უდის ამ სიტყვას. ანა-



სუნ მის საქმეს... გაიცინა მან და შევიდა სასტუმროში. ამხანაგებზე უფრო დიდნენ.

— რა გიჭირს, ჩვენ ჩამოვტყავეთ ქალაქი საგზალისთვის, შენ კი დადიხარ, დასეირნობ. ხომ იცი, ძმაო, ეხლა კომუნისშია. ბატონუმოხა დაეშხო, — შესცივნეს მას ამხანაგებმა.

— მეც მოვიტანე, — სთქვა სიმონმა. მიაგლო მაგიდაზე — ორი გირვანტა ხმელი ქლიავი, სარდინკა და თხელი მჭადი.

— სხვანაირდება ქვეყანა. წითელი საქართველო. საბჭოების. როგორ მოგწონთ.

— საქართველო ხომ არის და წითელი იყოს თუ გინდ ყვითელი სულ ერთია. —

— აღარაა, ჩემო ძმაო, საქართველო, თუ არა კარგი შენ, — ამოიხრა მეორემ და ჩამოასხა ღვინო ბატარა ტიკიდან. აღარაა თუ დამიჯერებ და...

— სანამ ამ ღვინოს სვამ, სანამ სული გვიდგია და ქართულად ვლაპარაკობთ — მანამდე საქართველოცაა. ესაა საქართველო და სხვა გვარი ის არასოდეს არ ყოფილა. აი მაგალითად, რომ მოხდეს მიწის ძვრა, ხელმეორეთ ჩაეარდეს გორი, გაეარდეს ფსკერი ტფილისის — ეს სხვა საქმეა. ამისი მართლა მეშინია. ისე რა გვიჭირს...

— რუსები რომ მოვიდნენ!..

უცბად შესწყდა ლაპარაკი. სხვა და სხვა ფიქრი და აზრი იყო თვითფულის გულში ამის საპასუხოდ. მაგრამ ყველამ არჩია — შეენახა თავის აზრი საკუთრად. სიმონი უყურებდა ამ კამათს, რომელიც უცბად შესწყდა. წამოეშველა — სთქვა:

— ა, ბატონო, ა. წაფიდეთ და ენახოთ. რას იტყვიან ეს რუსები. ეხლა მიტიინგი იწყება.

აღაგეს მაგიდა: შეხვიეს მაგიდაზე გადაფენილი გაზეთები — „ერთობა“ და „ეხო ბატუმა“. გამოიტანეს ქუჩაში — გადააგდეს.

მოედანი საესე იყო. სამიტიინგოთ ჩამდგარი იყო მრავალი, სალაპარაკოთ კი — სამი სული: მაღალი ხმელი ქალი. გრძელ წვერა ქართველი მოხუცი და თოფიანი რუსი. ჰქროდა ქარი. მოხუცი ეხვეოდა საკუთარ წვერებში (თვითონ ბატარა იყო. მოკლე. წვერები დიდი) ქალი და ჯარისკაცი კი ეხვეოდენ წითელ ბაირალში.

ლაპარაკობდენ ქართულად და რუსულად. ტკბილი იყო და შემარიგებელი საუბარი ძმობა-ერთობაზე. თავისუფლებაზე. პროლეტარიატზე და იდეალებზე. ეტყობოდა — „ამგენმა“ ლაპარაკი მენშევიკებზე უკეთ იციან, მაგრამ უნდა სთქვას კაცმა სიმართლე კარგად იცოდენ ლაპარაკი მენშევიკებმაც.

ბერს — მოხუცი კაცის კაცანა ლაპარაკი არ მოსწონდა. სხვა დროს შეიძლება მოეწონებოდა ვინმეს ეს ლაპარაკი — ქართველ ერზე, მაკედონელ ალექსანდრეზე და ბუტყეალებზე, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ამ წვერიან კაცს გვერდში თოფიანი რუსი უდგა, რომელიც აგრეთვე ლაპარაკობდა. თოფიან რუსს თოფი ჰქონდა ხელში და ეს აფუჭებდა ბებერი კაცის საქმეს. აღამიანი



ყოველთვის ორში ირჩევს ერთს. მოქალაქემ აირჩია რუსის (ჯანაშვილი) ვინაიდან ის საქმის კაცია (თოფი მაგას კილია და ზარბაზანი.) ვინაიდან ძალა უთუოდ მის ხელშია. ზურგი აქცია მოქალაქემ ბებერ კაცს, თუმცა გულდასმით არც რუსის ლაპარაკი მოუსმენია მაინც და მაინც. ან და რათ იანტერესებდა მოქალაქეს წვრილმანები. უმთავრესი იყო საქმიანობა და ეს იყო საინტერესო სწორეთ. ეს უმთავრესი კი მან უკვე იცოდა. უმთავრესი კი იყო—

— გადავჩი...

მოაწია საღამომ. ცის კიდეზე მოსჩანდა ცალთვალა მზე. იხედებოდა წითელი მზე წითელის თვალით. აჭარის მთებზე ჩამოჯდა ბანჯელლიანი ღამე მობიხანეთ გადახედა მხეს. თითქოს— გაიპარე აქედან ჩქარაო. მზემ ჩაუყინთა ზღვაში. მოვიდა მსუბუქი ღამე. და ღამეს მიეგება ქალაქი (მოქალაქე) ასეთის ფიქრით:

— ვავიდა მთელი დღე (მთელი დღე) ბოლშევიკების ხელში. თუხე ვდგავარ მთელი დღე. ეყავი რეგვომში. ვნახე ჯარი. ვნახე მიტინგი. ვნახე ყველაფერი და მაინც ცოცხალი ვარ... ხომ ცოცხალი ვარ... ვარ ცოცხალი... ვარ. ვარ. ცოცხალი ვარ...

ნიტინგიდან ეს გრძნობა გადაიფანტა ქალაქში. დაღამებისას მოქალაქეს უკვე ჰქონდა გეგმა და გამოწყობილი შეხედულება საქმეზე. მოქალაქემ უკვე იცოდა ბევრი რამ. ცოტა კი არა— ბევრი რამ. მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელდა რამეს. გამოურკვეველად კი იტყოდა:

— თუ კაცი ჰკუთხ იქნება... მოენო.

უკანასკნელ სიტყვას მოქალაქე იტყოდა რუსულად. იტყოდა ისეთის ტონით, ისეთი მიმიჭერი გრძეხით და ხელის გაშლით, რომ ამ სიტყვის შემდეგ იგულისხმებოდა ყველაფერი.

— შეიძლებაო... იტყოდა მხოლოდ. და რა შეიძლებაო— იცოდა მხოლოდ მან, მოქალაქემ, რომელმაც გაატარა მთელი დღე ბოლშევიკების ხელში და მაინც ცოცხალი დარჩა. შეიძლებაო ცხოვრება. შეიძლება... მუშაობა. შეიძლება.. იქნება მოქალაქე ამ სიტყვას იქით გულისხმობდა: შეიძლება... საქმეების გამოჭახრაკებაც კიო.

ვინ იცის. ვინ ჩაუძვრება ადამიანს გულში.

ბევრი რამე იგულისხმებოდა ამ სიტყვას— „მოენო“-ს იქით.

ასე დაღამდა ეს დღე. და ამ დღემ სთქვა:

— მოენო.

VI

მეორე დღეს შუადღით ტფილისისკენ მიდიოდა საგანგებო მატარებელი.

მატარებელი დაინიშნა, რომ წაეყვანა ტფილისში—

გამოქცეული მოსამსახურეები.

ჩვეულებრივი მოქალაქენი (ლტოლეილნი).

და უჩვეულო და არაჩვეულებრივი ხალხი.

დილით უკვე გაზეთები გამოვიდა ბათომში ახალი მთავრობისა. გაზეთი ამწვიდებდა ხალხს— მოუწოდებდა— შემოერთდით ყველანი ჩვენს გარშემო.



დაიკავით წესიერება და სიმშვიდე. ნუ შეშინდებით—ჩვენ ხალხს კანონი არაშინა საკმყო.

ენერა გაზეთში აგრეთვე—ტყუილია ქორები, თითქო ჩვენ ვატყავებთ მოქალაქეს. თითქოს ვხდით მას ტანსაცმელს. კარგი ჩაცმა-დაბურვა ჩვენც გვოყვარს, ამის წინააღმდეგი ახალი მთავრობა არააო. ჩაიცივით, დაიხურეთ, ნუ შეშინდებითო.

ეს ამბავი ბევრს ესიანოენა, რადგანაც ბევრმა ვაიხადა რაც კარგი რამ ეცვა. ძველებში დადიოდა ყველანი, ამ განცხადებამ კი ოდნავ დაამშვიდა მოქალაქე. მაგრამ ოქროს საათი მაინც შენახული ჰქონდათ საიშედო ადგილას. ვინ იცის რა მოხდება. ერთიც ენახოთ და...

ოქროს ძეწვიან საათზე ყაითანი მოაბა. შავი ყაითანიც კარგია ძეწკვათ, მშვენივრად ამავრებს საათს. ჰო, და შემდეგ—ენახოთ. იქნება საათმაც მიიღოს ეშხი. ჯერ-ჯერობით კი იაროს საათმა პროლეტარულად. მოითმინოს. დიდხანს ნებბერობდა ბურჟუაზიულ ძეწკვზე ჩამოკიდებული...

დაბარგული მიეშურებოდა ყველა სადგურისაკენ.

სადგურის ახლო ფორტებზე დიდიდან ბრძოლა იყო. იბრძოდა ქართველი ჯარი.

ფორტებში იჯდა თათარი, არ იქნა მისი გამოდენა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდევაც ქალაქში—ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილებიც. ჩაჯდენ სახლებში. გამოჰკიდეს ანგორის მთვარე და ვამავრდენ არ გამოდიოდენ გარეთ. სახლის წინ კი იდგა ხიშტიანი წითელი რუსი ძაბრის ქუდით. იდგა და არ იცვლიდა ფეხს. არ უშვებდა თათარს გარეთ. შიგნი ვერ შედიოდა რუსი—სახლი უმბარებით იყო საესე. ამიტომ იჯდა თათარი ალყა შემორტყმული, სანამ სურსათი არ გამოეღია. სამავიეროთ თათარი იბრძოდა ფორტებზე.

თათრის კუნძულები იდგა ქალაქში ერთი კვირა.

მაგრამ ფორტებზე მოფშენეს თათარი ერთ დღეს.

ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამოირკვა სანგრებიდან მტერი. ამოყარა და გააქცოა.

შუადღისას ბრძოლა შესწყდა.

სადგურზე ქონიავდა მატარებელი. ხალხი ემატებოდა სადგურს თანდათან.

ემზადებოდა წასასვლელად. ახალის იმედიო. ახალის შიშით. და ახალის მღელვარებით—ვინ იცის რა შეხედება კაცს გზაში.

მიედივართ კი—მიედივართ. მაგრამ ერთიც ენახოთ: დაგვწყვიტონ გზაში ბოლშევიკებმა. ან ტფილისში დაგვემართოს ფაფერაკი.

ასეთი ფიქრი აწუხებდა ყველას. და იმედი იყო მხოლოდ ერთი—ყველა მიდის მეტ ვიქნები ყველასთან ერთად. ბათომს გადურჩი—წინ ამხელა გზაა. შემდეგ—ტფილისი. იქ ხომ არის და არის.

ბედზე ლოცულობდა მოქალაქე—ტფილისისათვის გამზადილი. ამ ბედს ჩაბარებდა საკუთარ თავს.



ერკინული

განკარგული

იყო ლაპარაკი:

— აფეთქებულია ხიდები. ჩაგრებით ვხაში. საშიშოა. დაწვლანებით.

დაიძრა მატარებელი. წააქივლა სადგურს და წაიღო ტვირთი აღმოსავლეთისკენ.

ყველამ გაიკრა ხელი ჯიბეზე—

ხომ თავის ალაგას არის ბილეთი. ხომ არ დაკარგულა ვარსკვლავიანი მოწმობა. (არ დაკარგულა. რიგზეა ყველაფერი).

ფიქრში. (გუნებაში) გადიწერა პირჯვარი ყველამ. ამ ნიშნის სატყვეყნოდ გამოსახვა სირცხვილი იყო კულტურული კაცისთვის. ერიდებოდათ. გულში კი ყველამ ახსენა ღმერთი: ეხლა იწყება რაც იწყება. გადამარჩინე ღმერთო. მეთუფო.

ნელა მიდიოდა მატარებელი დაბევილ გზებზე. მხოლოდ საღამოს მიაღწია აფეთქებულ ხიდს. გადმოსხა მგზავრები და დაბრუნდა უკან. დამხდური მატარებელი არ იყო. დარჩა მგზავრები ცის ქვეშ.

ლამე. შიში. გამოურკვევლობა.

ჯარის ნაწილები დახეტიალობს ამ ადგილებში. შეგვეფეთოს რომელიმე. ეხლა ხომ აღარაა უფროს-უნტროსობა. მიგახევეს შენს ვარსკვლავიან მოწმობას. გაგატყავებს და მიგახვრეტს სადმე თხმელის ძირას. წადი და ეძიე მერე შენი უკანონოთ დაღუპული სული.

შეიტნა თათბირი—რა გქნათ. და ლამეში უეცრათ—მეხივით გაეარდა საშინელი სიტყვა:

— ეძებენ.

შიში დაეცა გულს ლაზვარივით. გაიარა მთელი ტანი და გაჩერდა ფეხებში. ფეხებმა შიში ვერ სძლია და ფეხები აკანკალდა.

ვის ეძებენ, რას ეძებენ. ვინ ეძებს.

— დაიწყო... ფიქრობდა ზოგი.

— ეს არი—ამზობდა მეორე.

ალყათ შემოთეგია ძაბრიანი ჯარისკაცები მგზავრებს. ჯარისკაცები მეტად თავაზიანი იყვნენ. ამიტომ ზოგი თამბაქოს აწოდებდა მათ. ზოგი პურს (ზოგი ჩუმათ შეასწევდა ლენოს).

ეძებდენ იარაღს. იარაღი არ აღმოჩნდა. წავიდნენ.

გლებებს მოეწყობათ ახალი ორგანიზაცია—სატრანსპორტო საზოგადოება. მუშაობდა ასამდე გლები. ხიდი აფეთქებული იყო. მატარებელი არ გადიოდა. ეზიდებოდა ურმები შემდეგ სადგურამდე. უცდიდა ამზანაგობა მსხვერპლს (ჩაგიყვან, ბატონო, სამტრედიამდე). მიეარდა მგზავრი გლებთან—შეტრიალდა დაპწვარივით. უკან.—გლებმა დაიფისა მომენტი. მომენტი უდრის წელიწადს. მომენტი უდრის საუკუნეს. იცის გლებმა მომენტის დაფასება. ამისათვის არაა საჭირო მინისტრობა.

ბრძანა ფასი გლებმა ასტრონომიული. დაესო ამ ფასზე და არ მოიცვილა ფები. გაატყავა გლებმა ინტელიგენტი, გაუცქენა და აიკიდა ზურგზე.

სიმონი მოყვებოდა ურემს გვერდით. რიონის ველზე ამ ცოვ ლამეში საში-



ერყენსული

ნელი ყვირილი იღვა. გარემო სდუმდა გაციებული, დაფარულ ფეხქრისხლით. მთვარე ასხამდა რძეს ნოტიო ველზე. ხმები სჭრიდა ცივ ჰაერს. გადიოდა ტყეში. იშლებოდა ველზე. ტლაშა-ტლუში სახრებების არ სცხრებოდა. ჭრმები მიდიოდა ნაყანებში (გზა არ იყო) ჭრმის ბორბალი ღერძამდე ევლებოდა აფუნებულ მიწაში. და შუალამეზე ქარაიანი დაეფლა ქაობში:

უცაბედათ გადუბვიეს გზას. შესტოპა წინა ჭრემში, მიყვა უკანა. დაეფლო მთელი ქარაიანი. დაიკარგა მიმართულება. შორიდან ყვიროდენ გზის საძებრად გაგზავნილი გლეხები (ეშინოდათ—შორს ხომ არ წავედითო).

გაჩერდა გველა შორიახლოს. უცდიდენ რალაცას. ზოგი ფიქრობდა გათენებანდე აქ დარჩენას. მაშინ უნდა გამოეხსნათ ხარები. გასულიყვენ ტყეში. ტყის ეშინოდა ყველას. ზოგი არაფერსაც არ ჰფიქრობდა (რა დროს ფიქრია). ღამეს ახელუნდა ძაღლის ყეფა (წამოგვეყანა ვილაცას თეთრი მეძებარი) ბტოდა ძაღლი. ეძებდა რალაცას. ცეცხლს უჭიდებდა. უცბათ გაგებანა. აყუფთა საშინლად. მიხედა ყველა—რალაც ამბავი მოდის, რალაც აბლოვდება ღამეში. მოისმა ხმა—ბრაგუნი (ცხენის ფეხის ხმა) ატყაცანდა ჩაღის ღეროები.

წეშინებულის ხმით წამოიძახა ვილაცამ—

— რუსები.

ვილაცამ შეჰკივლა.

ვილაცამ დაიყვირა—თავს უშველეთ.

თავის შევლა გვიან იყო: ხუთი ცხენოსანი ყაზახი შემოურტყა ქარაიანს ირგვლივ.

— Вы кто такие будете...

დამუნჯდა ყველა. გაციედა ენები. მღუმარებაში გაისმა ვილაცას ხმა:—

— Мы, товарищ, советские... Едем на службу в Тифлис...

— А, нува, скидывай чемоданы...

— დავიღუპეთ იფიქრა მგზავრმა.

ყაზახი მოითხოვდა ჩემოდნების გახსნას—ვეძებთ ფეხსაცმელებს (სახელმწიფო ქონებას). ვიცით, თქვენ ფეხსაცმელები მივაქვთ. მგზავრებმა იცოდენ, თუ გაიხსნებოდა ჩემოდნები—ფეხსაცმელებს თან წაყუებოდა მრავალი სხვა რამეც. გამოსავალი არ იყო. დამინებული, დამფრთხალი მგზავრი მოელოდა ყოველგვარ უბედურებას.

შუუძღებელი იყო ასე უხმოთ გაჩერება და შეიძლება ამიტომ დაარღვია სიჩუმე ვილაცამ—

— Господа, пожалуйста сюда...

შებტა ყაზახი. გაგულისდა—

— Какие тут такие—господа. Господ мы в черное море...

— Правильно, товарищ...

გაისმა აქ-იქ ნაძალადევი სიცილი. გამოეკიდა ამ სიტყვას.. მაგრამ სერიოზული განზრახვით იყო მოსული ყაზახი—რუსი. გადაკრა მათრახი ცხენს. ცხენი შებტა. წამოიწია წინ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— Ну-ка...

გასწირა თავი ერთმა და გამოელაპარაკა ყაზახს:

— ჩვენ ლარიბი მოსამსახურეები ვართ. სახელმწიფო (კახიონი) თუ რამ იყო თან წაიღო მენშევიკებმა.

ყაზახი ჯინიანობდა. გამოსწია თეხი აბეანდიდან—

— აი, ზედავ რითი ვიბრძვი... და უჩვენა გახეული წულა.

— რა ვქნათ, ამხანაგო. აი, მე ჩეკმები მაქვს. ვავიხდი, მოგცემ, თუ ვნებავთ...

— თქვენ ხომ ვერ ივლით ფეხშიშველი... (პირდაპირ ასე ქათქვა ყაზახმა— თქვენ ხომ ვერ ივლით ფეხშიშველი) —

— მაშ, რა ვქნათ, იყიდეთ, ამხანაგო...

— რითი? სად უნდა ვიშოვნო ფული.

— აი, ამხანაგო— მგზავრი მიუახლოვდა ცხენოსანს. (დადგა განკითხვის წლთი) აი, ამხანაგო... ჩეკმისთვის ფულს მე მოგართმევთ. მეც ლარიბი კაცი ვარ, მაგრამ თქვენი მდგომარეობაც ხომ ძნელია. აი— მგზავრმა ამოიღო პალტოს ჯიბიდან ფულის კონა. ვაჰყო შუაზე. ამ დროს წამოიწია ზევიდან მხედარმა. მოეხარა მგზავრს ამ საქმეში. ნახად დაადო ფულს თითი— მესამედი მგზავრის მხარეზე დასტოვა. დანარჩენი ასწია ზევით. ჩაიღო ჯიბეში.

მღუმარება...

— Едем, ребята!

დაიძაბა ყაზახმა და მოწყდა ცხენი. ატკაცანდა ჩალის ღეროები. თეთრი ძაღლის გულმოსული ყეფა შეფეროდა ამ ხმას და მალე ყველაფერი დამთავრდა —

— გადავრჩით.

— მადლობა ღმერთს.

გაჩნდა სალაპარაკო. გამოირკვა მრავალი ახალი გარემოება ამ საქმეში. ყოველი მგზავრი მოვალეთ სთვლიდა თავს წვეტანა წვლილი ამ ზეპირ გადმოცემაში, რომელსაც ჰქვიოდა— საშინელი შემთხვევა რიონის ველზე.

შემდეგ გაჩნდა კითხვები —

— რამდენი წაიღეს. ვის წაართვეს. რა წაართვეს.

გამოირკვა— ადვილად გამოვსულვართ.

ვილაცამ გაიკინა. ვილაცამ დალოცა ზდილობიანი ყაჩაღები. ვილაცამ მათ სასარგებლოთ შეწირულების მოგროვება განიზრახა.

ამ შემთხვევამ თითქოს ხარებსაც შემატა ძალა. გლეხების სახრებესაც მგზავრებსაც.

— ჰეო... ჰო... ჰუ... აბა ბიჭო.. ოო... ხიი— ოოო...

დაიძრა ქარავანი.

დილით მიადგენ ორპირის ბორანს.

შუადღეზე შევიდენ სამტრედიისში. ქალაქი სამტრედია (ქალაქი სამტრედია) გაფხვილი, შემწვარი ტარანივით.

ეხლა კი გაცივებული და ტალახში გასერილი.

აქ იყო რეკომი. აქ იყო ახალი კომენდანტი— (სადგურის) ყველაზე უფრო

საშინელი და საკირო კაცი. აქედან იწყებოდა ახალი ურთიერთობის ახალი მთავრობისთან.

გაიწურა მგზავრები სამტრედიის ქუჩებში.

ყოველ მათგანს ყველაფერზე უფრო აქ დასჭირდა ერთი სიტყვა.

— ამხანაგო...

გაეჩვია მოქალაქე ამ საქმეში...

— ამხანაგო, ეს რა ღირს. ამხანაგო, ეს რა არის...

გულში იცინის მოქალაქე. ეხალისება, რომ ეს სიტყვა— „ამხანაგო“, ასე კარგად გამოუღის.

„ამხანაგო.“ „ამხანაგო.“

ადვილი ყოფილა ამხანაგობა...

VII.

ტფილისი. ტფილისი.

ეს სიტყვა ითქვა ერთი კვირის შემდეგ.

მთელი კვირა გრძელდებოდა მოგზაურობა (ბათომიდან ტფილისამდე) სიტყვა ტფილისი ითქვა მ ე დღეს—დილით.

უცნაური გრძნობით აიესო მგზავრები.

ალბათ ასეთი გრძნობა იღვლებდა კალუმბის მეზღვაურს, გემის ანძაზე რომ იჯდა, პირველათ რომ დაინახა შორეული ნაპირი, პირველმა რომ იყვირა — მიწა. მიწა.

ტფილისი.

ჯველა ვცა ფანჯრებს: ნისლში (თეთრ ნისლში) მოსჩანდა ტფილისი. მტრედიებით დამჯდარიყო მთის კალთებზე მამა-დავითი.

ტფილისი.

ალბათ, ვერასოდეს ვერ დახსნის ქართველი კაცი ამ საიდუმლო სიტყვას. ტფილისი ნარტო სითბოსგან წარმოშობილი როდია. მასშია კიდევ სხვა რაიმეც—რომელიც ამოფარებულია ლანდივით ამ სიტყვის უკან. და ის მეორე, ის ლანდი ამ სიტყვისა—იდუმალათ ჩასრესილია ქართულ ბუნებაში. ქართულ სისხლში. აზრის გარდა აქ არის კიდევ უაზრობა, გაუგებარი, მიუზღვეელი რაღაც, რომლის შესახებ ვერ ფიქრობ გარკვეულის ფიქრით, მაგრამ რომელიც მუდამ გახვევია, რომელსაც სუნთქამ, სვამ, გრძნობ ყოველის გრძნობით და იმავე დროს ვერ ვგრძნობ, ვერ ხედავ—მიუცილებელს და ხელუხლებელს.

ეს სიტყვა ჩალესილია ქართულ სხეულში, რადგანაც პირველი ჰაერის წონა, რომელიც შესუნთქა ამ ადგილას პირველმა ქართველმა—ეს ჰაერი შთამამაელობით სდის ყოველი ქართველის ცისფერ ძარღვში. და როდესაც ითქმის სიტყვა—ტფილისი—ქართველ კაცში ადღვდება სისხლი საუკუნეების, ილაპარაკდება ხმები, აქ რომ ისმოდა ათასი წლის წინეთ.

ტფილისი როდია გეოგრაფიული ტერმინი. ტფილისი პატოლოგიაა. ტფილისი ისტორიული ბგერაა ქართველი სისხლის. ეს არის ატმოსფერა, ფლიუი-



დი საუკუნეების—ზინარად რომ დადიან ქართულ ჰერში და ქართველ ქართველ ფიქრს, ქართულ საქმეს, ქართულ აზროვნებას.

ტფილისი—მარადიული სითბოა ერის.

ეს სითბო უწყვეტელ ჩქერათ მოდის იმ დროიდან—აქ რომ პირველმა ქართველმა დაიძაბა ეს სიტყვა.

და ტფილისი არ გაცივდება. არ გაცივდება საქართველოც, რადგან—ტფილისი გამთბარია ორი ათასი წლის განმავლობაში დაღვრილი თბილი სისხლით. ეს თბილი სისხლი გადმოდის ტფილისში, როგორც სამკურნალო წყალი. და გვათბობს ეგ სითბო ჩვენ.

განა, დააკვირდით ამ სიტყვას. თითქოს დედა-ქალაქს წინეთ ვრჭვა „თბილი სისხლი“. და როდესაც, სადღაც, ამ სიტყვას მოსტებია ბოლო. დარჩა მართო—თბილისი...

ამ სითბომ გაუარა ყველას როდესაც დაიძაბა ვიღაცამ ამზელა საბელი. ახსოვდა სიმონს.—

ერთი თვის წინეთ სტოვებდა ტფილისს.

ერთი თვის წინეთ—ცეცხლის წითელი არშია ევლებოდა ქალაქს გარშემო. დაისის წითელი ალავეთ იდგა ცეცხლი მათებზე. და ჰფიქრობდა სიმონი ებლა—ასი წლის წინეთ ეს მიდამოები უკანასკნელად განოყიერდა ქართველი სისხლით. ვათბა ტფილისი და ვათბო ამ სისხლის მიდღმა საქართველო. ალბათ—დრო იყო ახალი შემობრუნვის. ახალი სითბოს დაცლის. ალბათ საქირო იყო მოღალღული ჩქერის გაცხოველება.

საქირო იყო, ალბათ, სისხლი.

ერთი თვის წინეთ სისხლი ღულიდა ამ ქალაქს. აწვეთდა მას თავზე, როგორც ვახსნილი ქრისტეს მკერდიდან—ცხელი წვეთები. ასეთია საქართველო ჰფიქრობდა სიმონი; ესაა ქართული გზა—საქართველო, გამწურავი საკუთარი ძარღვების. საქართველო სთესავს სისხლის ხორბალს და ხორბალი ამოდის ოქროდ. და სიმბოლიური არის ამბავი:—ვიღაცამ, ოდესღაც მოიტანა აქ ქრისტეს კვართი. წითელი პერანგი ქრისტესი, ჩახატული იყო ქართულ ღერბში ძველათ. წითელი კვართი. წითელი ფერი—ნიშანი უკანასკნელი წამების, გოლგოთისა და ნიშანი ამაღლებისა და აღდგომის.

აგონდებოდა სიმონს უკანასკნელი ღამე—წასვლისა ქალაქიდან.

სადგური. ჩუმი ხალხი და მკვდარი მატარებლები. იღუმალი ხმები. დაბუთული გუგუნე სადგურისა და საზარლათ მღუმაზე გზა.

მცხეთა. სვეტიცხოველი.

სვეტიცხოველი. იქვე—ხიდი მაკედონელის დროიდან. ვის არ გაუვლია ამ ხიდზე. ვინ არ მოსულა ამ გზით. რამდენმა საუკუნემ განელო მას შემდეგ. განვლო და გადაიარა.

სდგას ხიდი. სდგას სვეტიცხოველი.

მაშინ იყო—იტირა სიმონმა. იმ ღამეს იყო (ტფილისიდან მიმავალმა) მოიხადა ქუდი ჩუმიდ ვაგონში. მიაკრა ცხელი სახე ცივ ფანჯარას და ფანჯარა ჩამოხაზა ადუღებულმა ცრემლმა...



სდუმდა მაშინ სვეტიცხოველი. სდუმა მცხეთა. თითქოს მარტო ვაძღვარა-
რიყო ტაძარი. თითქოს იმ ცივ ღამეში, როდესაც სვეტიცხოველი ასრულებდა
მარადიულ რიტუალს, არ ფიქრობდა ტაძარი, თუ რად ღელავდა ადამიანი, მა-
ტარებელი, რად ჩამოხაზა ფანჯარის შინა კრემლმა.

ეხლა კი—მიხედვა სიმონი—სულმოკლე იყო ადამიანი. მართალი იყო სიმ-
შვიდე ტაძრისა იმ ღამეს. მართალი იყო ის ხიდის მოდრეკილი ზურგი—პირ-
ველად რომ გადაატარა მაკედონელის ლაშქარი. მართალი იყო კიდევ ეს მღვრიე
მტკვარი—რომილიც ისევ წყნარი და შურდულად მსვლელი იყო, როგორც მა-
შინ—პირველად რომ დალია ეს წყალი რტა მაღალ ირემში.

ღიახ, ისევ ტფილისი. ტფილისი ხელახლა.

ფიქრობდა სიმონი წინეთ, რომ აღარ იქნება ამიერიდან ტფილისი. რომ
აღარ არსებობს იგი. ყოველ შემთხვევაში იმ ღამეს, როდესაც ამ ქალაქს შორ-
დებოდა, მისი ფიქრი იყო—აღარ იქნება აწი ტფილისი. შეიძლება დარჩეს
ნანგრევები, როგორც მიწისძვრის შემდეგ. სხვა რამე კი იქ აღარ დარჩება. ხსე-
ნება იქნება მხოლოდ ამ ქალაქის. ეხლა—ხედავს: ტფილისია. უთუოდ ტფი-
ლისი. აი—სკორავს მსუბუქ ნისლში ქალაქი. ნისლი ქრება თანდათან. ქალა-
ქი იხატება რელიეფად, ცხადად. ღიახ, ტფილისია და სიხარული. სიხარული
კიდევ იმ გრძობით გადამეტებული, რომ არის ტფილისი და მეც ცოცხალი
ყარ. ორივენი ვართ. აი, შევხედებით. მალე. მალე.

სდვას ვაგონის კიბეზე სიმონი. და ლურჯი თვალის უპედან ოდნავ ახელს
თვალს. დალაულს, უძრლობისაგან დამძიმებულ თვალს.

ვაჭერდა მატარებელი.

სადგური. ვაგონები. ჯავშნოსნები. წითელარმიელი. პლაკატები. ზარი. გაი-
ფიქრმა—ჩვენ რომ მივიდოდით არ დარეკილა ზარი, მხოლოდ ორთქლშავალის
წითელმა თვალმა დაისტვინა ერთხელ. ისევ ეკიდა სადგურზე ძველი ზარს-
აღბათ რეკს. აღბათ მღერის ძველებზეათ

მაგრამ სასიმილო სხვა რამ შეხვდა სიმონს: სადგურის დიდი დარბაზი
გადაქცეული იყო ამ სასიმილო ოთახად. ზედ ეწერა—

—აგიტუნქტი.

შიგ იდგა—პიანინო. სკამები. კედლები გაკრული იყო სურათებით. (ლე-
ნინი, ტროცკი, წითელი ჩოხა—გაშლილი მთებზე) გრამაფონი.

ვაყვა. გავიდნ ქუჩისკენ მგზავრები.

იყო ფიქრი.—დააკავებდნ ყველას აქ. მაგრამ ეს არ მოხდა. თითქოს არა-
ვის შეუშინებია ახლად ჩამოსულნი. თავისუფლად მიდიოდნ. და მათი ბედის
მონაწილე თეთრი ძაღლიც თავისუფლად შევიდა სადგურში. შევიდა და შეაყ-
და—კარებში შეხვდა მეორე ძაღლი.

—ზღაფოთს გადაგვიკიდებს ეს ძაღლი,—სთქვა ვიღაცამ ნერვიულად.—ვი-
სი ჯანდაბისა...

მართლაც—ყეფაზედ ძაღლს წითელარმიელი. გამოენთო. ძაღლი თამამად
შეხვდა. მასაც მოაყეფა სხამა-სხუპით და გაჩერდა გასავალ კარებში გულმოსუ-
ლი. არმიელმა გაიცინა, გააქნია თავი და გავიდა პერონზე.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ძალღები კი ერთიმეორეს შეეხალა. რალაც წაილაპარაკეს ძალღებრად.
გამოეცნაურენ ერთი-მეორეს.

ეტყობდა დამხდური;

—ვინა ხარ, ჩემო ძმაო, ასეთ ამბებს რომ ჩადიხარ. გეტყობა ახალი კაცი უნდა იყო. აღბად, ახლა ჩამოსულხარ. აქ მასეთები აღარ გადის. სულ სხვა ამბებია. საიდან მოდიხარ. ვინ ხარ. კონტრრევოლიუციონერი უნდა იყო უთუოდ, გეტყობა.

მოსულმა არ ჩააგდო ჭკუაში დამხდურის ნათქვამი. თითქოს უბასუხებდა—

—აქაურობა შენზე კარგად ვიცი მე, ჩემო ძმაო. რა უნდა ვქნა—ისიც კარგად გამეგება. ჭკუას ნუ მისწავლი.

და ჩამოსულმა ძალღმა უდიერად მისაყვლა კიბის ყურე.

მეგობრული საუბარი დაიწყო ძალღებმა.

შერიგდენ.

და შემდეგ იქვე მგზავრების წინაშე ორმა, ახლად გაცნობილმა წყვილმა საქმით გამოხატა თავისი ინტიმური გრძნობანი...

(პირველი ნაწილის დასასრული).

თბილისის კონსტაბანდისტები.

მოხუტილას მოგონება.

მე მაინც და მაინც არ მიყვარს თბილისის ის ნაწილი, რომელსაც ევროპიული ჰქვია. ის არ გამოსახავს ქალაქის ინდივიდუალობას. ეტნოგრაფიული კოლორიტი, რომელიც ყოველ ქალაქს თავის განსაკუთრებულ სახეს აძლევს, მის აქლია.

რუსთველის პროსპექტი ბევრით არაფრით განირჩევა მაგალ. ნევის პროსპექტიდან, ან სხვა რომელიმე ევროპიულ საშუალო ქალაქის ქუჩიდან, მის არ აკრავს ნაციონალური ელფერი და უცხოელ-სათვის ის ალბად საინტერესო სანახაობას არ წარმოადგენს.

მაგრამ, ყოველი ბანალური მოვლენა საზოგადოების უმრავლესობას აკმაყოფილებს...

რუსთველის პროსპექტი—თბილისის ღერბია, მისი სიმშენე, მისი კულტურის და თანამედროობის მაჩვენებელი. გარდა ამისა ის—თბილისელ საზოგადოების სანაფარდოა: აქ კეთდება ყოველივე საქმე; აქ იწყება კარიერა; აქ ნაღდება ფულზე ყოველგვარი ნიჭი; აქ წყდება საქართველოს და მსოფლიოს პრობლემები სადილის ჭამის და პაპიროსის წვეის დროს... დაბოლოს, აქ იხვევენ საბელს, კეთილშობილურ საშუალებას, რომელიც მათ აძლევს უფლებას დაიკავონ კარგი ბინა, იყოლიონ საკუთარი მშარეული, საკუთარი ვანა, განებივრებული ცოლი, რომელიც ბავშვის ყოლას სკეპტიურად უყურებს, იკეთებს სისტემატიურად ყოველ შაბათს მანიკიურს, ხოლო ზაფხულობით დასასვენებლად სააგარაკოთ წასვლას მოითხოვს.

აქ პოულობენ უფლებას ატარონ პორტფელი მიშინაც კი, როდესაც ის არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ააცურონ თვალი უღირს, ან ცუდად ჩაცმულ ნაცნობებს, რომელთა მდგომარეობა არ ხდის სავალდებულოდ მათ ცნობას და არ იწვევს სახეზე თავზიან და გულისმოსივებ ღიმილს...

მე არაფერი არ მაქვს რუსთველის პროსპექტის საწინააღმდეგო. ყოველ შემთხვევაში, ძრიელ ხშირად მიხდება იქ ყოფნა და, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, მეც მხედება წილად საქმარისი რაოდენობა თვალის არიდების, გაჭირვებულ შეცნობის...



მე შირჩევნია თბილისის ძველი ნაწილი, რომელსაც ახლანდელი ქუჩები და ნაწილს თან და თან ანგრევენ და ამ ნანგრევებს თან მიაქვს თბილისის თავისებური და განუმეორებელი სახე, რომელიც მე ასე მიყვარს.

მაგრამ კიდევ ეხლაც შეგიძლიათ დაინახოთ ნანდვილი სახე თბილისისა, იგრძნოთ მისი ორიგინალური მშვენიერება, დაიჭიროთ გარდასულ დროების სურნელება და აღადგინოთ ოცნებაში მისი, საუკუნეებში გაფანტულ ცხოვრების რომანტიკა, ტკბილი და დამათრობელი, როგორც ძველი ღვინო.

აქ, თითქმის ყოველი სახლი ცოცხლობს თავის საკუთარ სიცოცხლით და წლებით დატვირთული სცდილობს გიაშობთ გადანახული საიდუმლოება, ფერითული, როგორც ზღაპარი...

ვიწრო, გველივით დაკლანილი ქუჩები, ძველი არხიტექტურის თავისებურ უცნაურობით ფანტასტიურ თემაზე დაწერილ დეკორაციების შთაბეჭდილებას იძლევიან.

საერთო, გადამწვარი, გაბუნებული ფერი ქმნის მთლიან კოლორიტს, რომელსაც ნარიყალას ხავსიანი ქვები, თეთრი და საუკუნოების სიმძინით მიწაში ჩასული სიონი, პირქუში მეტეხი და აბანოების გოგირდის სუნი ასრულებენ ისე, როგორც ვიწრო ქუჩებს— მომავალი აქლემი, გაფენილი ნობები, გამხმარი ხილი და სპარსელების წითლად წებებილი წვერ ულაში და მოღუნული ფრჩხილები.

აქ ცხოვრობს თბილისის უღარიბესი ნაწილი, რომელიც როგორც ყოველ ქვეყანაში, ისე აქაც, თავის ელფერს აძლევს ქალაქს და მის ეგზოტიკას შეადგენს, აქ თქვენ ნახავთ ძველ ქართულ ოჯახებს, რომლებიც თანამედროვე პირობებშიც ახერხებენ პატრიარქალურ ცხოვრებას, ძველი ადამის შენახვით.

აქ ნახავთ სომხებს, რომელთა დაუცხრომელი ვაჭრობა, მათ ერთგვარ ეკონომიურ წარმატებას აძლევთ. შაბათობით და კვირა დღით სომხის ქალები ნაციონალურ ტანისამოსებში განაწყობილნი გამოეფინებიან ქუჩებში. მათ ადვილად იცნობთ მოოქრულ ვერცხლის ფულებით მოჭედილ ჩიხტაკოპებით და კაკილებით ხელში.

აქ ნახავთ უმდიდრეს და უღარიბეს სპარსელებს გამხმარი ხილით, საღებავებით, ნობებით და აღმოსავლეთურ სურნელებით მოყაქრებს. აქ ცხოვრობენ სპარსელ მუსუბის ქალები აუტანელ შრომით დაბერებულნი და დამახინჯებულნი, აბანოებიდან გამოსულ ჭუჭყიან წყალში სარეცხს რომ რეცხავენ და მაღლიდან ქიმერებს რომ ჰგვანან.

უკანასკნელად— აქ კიდევ შეიძლება დაიჭიროთ კინტოს ტიპური სახე, რომელიც თან და თან გვარდება, ფერმკრთალდება და რამოდენიმე წლის შემდეგ შეიძლება სრულებით გაქრეს, თუმცა ხალხის ოცნებაში ის მუდამ დარჩება გარდაუვალ და საყვარელ სახეთ.

ჩემ დაულაგებელ ცხოვრებაში მე ყველაზე ცოტა ხანი თბილისში მიცხოვრია. მე არ ვენანობ. მე ვივონებ იმ დროს, რომელიც თბილისის გარეთ გაფანტარე და ვრწმუნდები, რომ არაფერი არ დამიკარგავს. ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო ცოტა, ვიდრე შემძენია, თუ მხედველობაში არ ვიჭონიებთ



სიკვდილის და პატარა იმედების დაკარგვას, რომლითაც გვიმასპინძლდება ცხოვრება...

მე უფრო ჩემ თავს, სოფელს და მარტოობას ვეჭოფებოდი. ამაში არის თავისებური მშვენიერება. ბოლოს და ბოლოს, ხანდახან ღირს ასე ცხოვრება! დღეები შეუმჩნეველად მიდიან. არც ერთი ვრივალი არ გაიარს სულში. მერცხლები ჩეკენ ბარტყებს. ყურძენი მწიფდება. უძირო ლაგვარდში ჩენათ მიცურავენ ღრუბლები...

II.

ზომენატრა თბილისი. მომინდა მეგობრების ნახვა, რომელთა რიცხვის შემცირებას ასე მწარედ გრძობს ადამიანი მხოლოდ სიცოცხლის შემოდგომის დღეებში.

მე სრულებით არაფერი არ მაკავებდა იქ, სადაც უკანასკნელ ხანებში ვცხოვრობდი. თავისუფალი ვიყავი, როგორც ფრინველი, სრული ბატონი ჩემი თავის. არავითარი კავშირი, ვალდებულება, ზრუნვა! არაფერი ის, რაც ადამიანისათვის შეჩვეულ ალაგვიდან წასვლას სატყენად ხდის და სევდას იწვევს.

სექტემბრის უფრო დილით შემეგება თბილისი, როდესაც მე, მეტად მჩატედ ჩაცმულმა დავტოვე მყარალი და უსუფთაო როზოდა.

შეძველებული სანდლებით მივდავარ თბილისის ქუჩებზე პატარა საკვიოებით ხელში. გრილა. აჩქარებული ნაბიჯით სადღაც მიიჩქარის ხალხი. ავტომობილების ღრიალი, მაწენის, ნაბშირის, კვერცხების და ხილის გამყიდველების ყვირილი, ტრამვაის ზარის ხმები და საერთო ქუჩის ხმაურში არეული, მართობს და მახალისებს.

მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ვხედავ თფილისს, მის ქუჩებს, სახლებს და ვისმენ თფილისურ ქარაულ კილოს.

მე არაფერ არ მიცნობს, მე ყველასათვის უცხო ვარ. არავითარი დორდი და ჯავრი მე არ მაწუხებს. მე არაფისთან არაფისთარი საქმე არა მაქვს! სამაგოეროდ—არც არაფის ჩემთან. მადლობა ღმერთს! მე მდიდარი არა ვარ მაგრამ რაც მაქვს საკმარისია იმისათვის, რომ მიმშვილით არ მოგვედვ და ქუჩაში ღამე არ გავათიო. ორი წლის ნაშრომი, ჩემი ოფლით ნაშოვი ფული ჩემ ჯიბეს დევს. ვის აქვს უფლება დამიშალოს თავისუფლად ვისუნთქო, ვუცქირო მზეს, ხალხს, სახლებს ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი, უდარდელი დიმილით?!

მე შემძლია გავჩერდე ერთ ალაგას და მთელი დღის განმავლობაში ვუპზირო ქუჩის მოძრაობას, უყარო პურის მარცვლები ბელურებს და მტრედებს. ან უბატონო ბავშვებს დაურთიგო მთელი ჩემი ფული, პურის ყიდვა რომ შესძლონ. ყოველივე ეს მე შემძლია, და არაფის არა აქვს ნება დამიშალოს, მისაყვედუროს ან დამცინოს.

მე შემძლია გავჩერდე ხიდზე უცქირო მტკვარს, შემდეგ ნელ-ნელა ვილო, ფული და ვყარო წყალში უკანასკნელ გროშამდე, რომ მერე ვითხოვო რამოდენიმე კაპეიკი პურისათვის და ისევ დავბრუნდე. სახლში, თუნდაც ფეხშიწველი. რატომაც არა?!



აი ამ გლეხის ქალს ვერ გაუყვიდია მამალი, ბებერი მამალი და ბებრები, რომლის ხორცი ქვაზე უფრო მავარი იქნება. ის უფულოდ ბრუნდება როგორც სხანს, სახლში. ან ვინ იყიდიდა გადაბერებულ მამალს?

— დედი, მომიყიდე მაგ მამალი! მე მამალი მეტად მჭირდება... ჩემ სახლში ქათმები დაუმამლავ კვერცხებსა სდებენ—ეს არაფერად არ ვარგა!

ქალი სიხარულით მიწედის მამალს. ღმერთო, რა რიგ უხარია ამ ქალს პატიოსან შრომით ხელემ დაკოყრილ დედაიკაცს, ესლა რომ თეთრი შურის საყილათ ფურნეში მიეჩქარება...

— პატარა ბავშო, მოდი აქ, ნუ გეწინია! მე შენ ფულს მოგცემ: წაილე ეს მამალი და სადმე ქუჩაში გაუშვი. აი, თუ ვინდა ამ ხიდიდან გადააფრინე მტკვარში. შეეხედოთ როგორ გაფრინდება. აბა! გაუშვი, და ეს ათწიურიათი წაილე. მამალი მიფრინავს... ბებერ, სულელ მამალს ცურვა არ სცოდნია.

III

ტანშორჩილ სომხის ტერტერას, მოკლე გახუნებულ ანაფორით, რგვალად შეცნაქილ წვერით და ფართე შავი თვალებით, მთელი თბილისი იცნობს. ის ცნობილი მაკლერია, თავისუფლების მოედანი მისი მოღვაწეობის ასპარეზია, სადაც ის ჰუმანიურ საქმეს ეწევა; შოულობს ოთახებს უბინო, ჩამოსულ მოქალაქეებისთვის.

ის ძრიელ დაბელოვნებულია თავის საქმეში, და არაფერში არ მოტყუილდება. მუშტართან ლაპარაკის დროს გვერდზე გადახრის თავს და გულმოდგინეთ უსმენს მოლაპარაკეს. მარცხენა ხელის ორი თითით ქვედა ტუჩის კიდეს ისრესს და საეკვო გამვლელებს ფრთხილად ადევნებს თვალუყს.

თუ ვინმე მის ახლოს გაჩერდა—ის ღელავს, მორიდებით კიდებს თავის მუშტარს მკლავში ხელს და სხვა ალაგას მიჰყავს სალაპარაკოდ.

მის დაეთრის წიგნაკში მთელი ტფილისის საბინაო საკითხია გადაქრილი. არ არსებობს არც ერთ უბანში ისეთი ბინა და სახლი, რომ ამ წიგნაკში მისი დახასიათება ამოწურული არ იყოს.

— თქვენ როგორი ოთახი გსურთ, მოწყობილობით? დედი თუ პატარა?

— რამდენი შეგიძლიათ ოთახისათვის გადასდოთ?

— რომელ უბანში ვნებაეთ? მარტო ბრძანდებით თუ ცოლით?

— აი კითხვები, რომელსაც ის პირველად დაგისვამთ, თუ თქვენმა გარეგნობამ მასზე ცუდი შთაბეჭდილება არ იქონია. შემდეგ ჩემად და ცბიერად დაგეკითხებათ:

— თქვენ რა მოხელე ბრძანდებით? მსახურობთ?

თუ უკანასკნელ საკითხზე თქვენ ვერ უპასუხეთ, როგორც საჭიროა, ე. ი დაუფიქრებლად წამოგცდათ, რომ მსახურობთ—თქვენი აქციები 50% ეცემა მირს და ოთახის შოვნა მეტის-მეტად პრობლემატიური და უიმედო ხდება. ამ შემთხვევაში, თავიდან რომ მოვიშროთ, ის დამწუხრებული ხმით გეტყვით:

— აი, ერთი დღით აღრე რომ მობრძანებულიყავით სწორედ თქვენ რომ



გსურთ ისეთი ოთახი მქონდა, მივეცი... ძრიელ იაფად... სოღოლაჯმა წაწილში
თვეში თხუთმეტი მანეთი. მხოლოდ ორი თვის წინ და წინ. *«Безостынных!»*

შემდეგ შეიკუმშავს შუბლს და ნაღვლიანად განაგრძობს:

— მაქვს... მხოლოდ ორი ოთახი. არ არის ზორს... თქვენ ამ დროს გე-
ჩვენებთ, თითქოს ოთახები მას ჯიბეებში ულაგია და ყოველ წუთში, როგორ
ოთახსაც კი მოისურვებთ — შეუძლია ჯიბიდან ამოიღოს და ხელში ჩაგაბაროს.

— მაგრამ... — განაგრძობს ის — თვეში ხუთი თუმანი ღირს. ექვსი თვის წინ
და წინ, ორასი მანეთი „ოტსტუპნიე“ და ხუთი თუმანიც ჩემი გასამსჯელო.

უმეტეს შემთხვევაში აქ ყოველივე მოლაპარაკება წყდება.

ჩემი საუბარი მასთან მალე გათავდა — მე მინდა ერთი ოთახი, პატარა.
სულ ერთია რომელ ნაწილში. ცოლი არა მყავს, არ ვმსახურობ. ტფილისში
დაერჩები მხოლოდ ორი თვე. შემძლია გადავიხადო თვეში ოც მანეთამდე და
ორი თვის მივეცი წინ და წინ. თქვენ მოგცემთ ეხლავე ერთ თუმანს თქვენი
შრომისათვის. არავეითარი *«отстужных!»* შეგძლიათ?

ტერტერა ჩაფიქრდა. შემდეგ ცოტა გაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

— ფული ჯიბეზე გაქვთ?

— დიალ. ოთახს გყოფა.

— წავიდეთ!

მან გამომდგა მკლავში ხელი და ჩქარი ნაბიჯით წამიყვანა სწორედ ქა-
ლაქის იმ ნაწილისაკენ, სადაც მე ყველაზე უფრო მინდოდა მეცხეორა.

— ერთი უხერხულობა არის-მითხრა მან, როდესაც ჩვენ საკმარისად გავ-
ცილდით თავისუფლების მოედანს. შეეჩერდით.

— როგორი?

— თქვენ დიასახლისის ოთახი უნდა გაიაროთ, ვიდრე თქვენ ოთახში
შეხვიდოდეთ.

მე ეს არ მომეწონა.

— ვინ იქნება ჩემი დიასახლისი?

მან ვერ გაიგო. ჩემი კითხვა არ არკვევდა მდგომარეობას.

— თქვენ გსურთ გაიგოთ რა გვარია ოთახის გამჭირავებელი?

— არა, მე მინდა ვიკოდე, თუ რამდენად არა უხერხული იქნება ჩემთვის
დიასახლისის ოთახში გარება. მე, ალბად, ხშირად მომიხდება გვიან სახლში
დაბრუნება. დღისით მე იშვიათად ვიქნები სახლში მხოლოდ ღამით...


— ო, ამის შესახებ თქვენ უთუოდ მორიგდებით. ისინი მშრომელი ხალ-
ხია... მან სწრაფად შემომხედა და მის თვალეებში უცნაურმა ღიმილმა გაიელვა.

— გვიან იძინებენ... თქვენ არავის არ შეაწუხებთ.

— მე თანახმა ვარ, წავიდეთ.

IV

ძველი, ორსართულიანი სახლი იერუსალიმის ქუჩაზე, რომელსაც ჩვენ
მივადექით იყო ცისფრად შეღებილი. ალაყაფის კარები გავიარეთ. ვიწრო, გა-
ლანჯულ კარების წინ ჩემი წინამძღოლი შეჩერდა და ფრთხილად ზედი-ზედ
სამჯერ დაუკაკუნა, არავეითარი პასუხი.



— ვა, სძინავით? წაილაპარაკა მან და ხელმეორედ უფრო მაკრებდა დააკა-
კუნა, მოისმა ფოსტლების ხმა, მჩატე ნაბიჯი. კარი კრიალით გაიხილა. ჩაღაც
პატარა და შავი გამოჩნდა კარებში.

— გამარჯობა დედი ჯან, მიესალმა ტერტურა. შემდეგ რაღაც სომხურად
უთხრა. კარებში მდგომმა წაიჩიფჩიფა:

— მნე... მობრძანდით.

ჩვენ შევედით. საშუალო, ოდნავ ბნელი ოთახი დაულაგებელი იყო, ნივთები
უთავბოლოდ ეყარა ერთი მეორეზე. შესავალ კარების პირდაპირ ვიწრო ფან-
ჯარა იყო, თითქმის ქუჩის ქვეფენილის სისწორეზე, რომელშიდაც გამვლელების
მხოლოდ მუცელი და მკერდი მოსჩანდა. დიდი, რვეალი მაგიდა საკერავე მაშინ-
ნით იდგა შუა ოთახში. ძველებური ბის საწოლი, აუარებელი მუთაქებით და
ბალიშებით მორთული, ერთ კედელზე იყო სივრცით მიდგმული. მარჯვნივ მე-
ორე კარები, ოდნავ ღია, საიდანაც სომხური ლაპარაკი და ჩურჩული მოის-
მოდა. ფანჯარას გვერდით, კუთხეში, დიდი, კრელი ქალაღლის ვარდებით მომ-
კული ხატი ეკიდა, რომლის წინ ლამპარი ოდნავ ბეჭუტავდა. ხატის გარჩევა
შეუძლებელი იყო სიშავის გამო.

საწოლის თავზე ჩამოკიდებული იყო, ვიღაც უზომოდ ფართე მხრებიანი
და მსხვილ ულვაშებიანი კაცის პორტრეტი, რომელიც მუქის ოდენა თვალებით
უაზროთ იყურებოდა ზვეიდან. შავი, ხუთ სართულიანი კამოდი და რამოდენიმე
სკამი ასრულებდა ოთახის მოწყობილობას.

მე დავაკვირდი შავებში გამოწყობილ არსებას და შევკრთი; ჩემ სიცო-
ცხლეში არაფერი მენახა ამაზე უფრო საზიზღარი, საძაგელი და მახინჯი! ეს
იყო რაღაც საშინელება, ნამდვილი „Баба Яра“, სიმახინჯის შედეგრი, რო-
მელსაც ისეთივე განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი, როგორც არაჩვეულებრივ
სილამაზეს. მე ვერ წარმომედგინა, თუ სინამდვილეს შეეძლო ისეთ ნაირად
ადამიანის გამახსრება და ისეთ არსების შექმნა, რომლის შედარებით დონა-
ტოს „მოხუცი მარია მაგდალინელი“ და როდენის „ბებერი ქალი“ კარგავენ თა-
ვის ექსპრესიას.

წარმოიდგინეთ მუქის ოდენა, შავებში ჩაცმული ქალი, წელში მოხრილი,
უზარმაზარი კუნთით ზურგზე, გვერდზე თავ მოქცეული და რაღაც ნაირად ცალი
გვერდზე ერთბაშად მოღრანჯული, რომლის სახეზე ერთი თვალი, აღზად დაფ-
სებულ—დახტულია—ხოლო მეორეს, ქვედა უპე, წითლათ ჩამოხეული აქვს და
იკრემლება. ეს თვალი თქვენ ირიბულად გიმზერთ და არ ინძრევა.

დამკენარი, შავ წერტილებით დაფარული ლოყები, წინ წამოწეული, წვე-
ტიანი და გრძელი ბაღნებით შემოსილი ნიკაპი, რომელსაც ზვეიდან უზარმა-
ზარი, მოლუნული და აგრეთვე ბაღნებით შემოსილი ცხვირი დაჰყურებს... მოუ-
მატეთ ყოველივე ამას დიდი ჩიყვი, რომელიც მის წვრილ კისერს საზიზღრად
ფუჟავს და სულის თქმას უშლის.

მნე... მნე... მითხარით, გენაცვა, თქვენა რა საქმის კაცი უნდა იყოთ?
მომესმა, თითქოს შორიდან, დედაბერის ლულულული.



მე... თავისუფალი კაცი ვარ... ვაჭარი გახლავართ საქონლის სავაჭრო
ქალაქში ჩამოველ.

— მნე... ჭარბიველი...

— დიად.

— მნე... მნე...

— მინდა თქვენი ოთახი ვიქირაო.

მნე... მე მსმელი ხალხი არ მინდა... ჩემი შვილი... მნე... გრიქოლიკა..

— დედი, გაიწყვეტია დედაბერს ლაპარაკი ტერტერამ, ამით სურთ ორი
თვით თქვენი ოთახი. ფულს წინდა-წინ გადაიხდის. მოახსენეთ თქვენი ფასი.
დედაბერი ჩაფიქრდა.

— მნე... ოთახი ორი თუმანი ღირსა... ჩემ ქალიშვილს არ უშანას დაუძა-
ხომ... ვკითხომ.

დედაბერი აიბზუხა და მონგრეული სიარულით წავიდა იმ კარებისაკენ,
საიდანაც სომხური ლაპარაკი და ჩურჩული მოისმოდა.

ნუ თუ ამ ჯოჯოს შვილები ჰყავს? გავიფიქრე მე და უნებურად ტერტერ-
რას გადავხედე. ის ცალ გვერდზე თავ დახრილი იჯდა სკამზე და საკერავ მა-
შინის ბორბალს უსვამდა თითს.

სად მომიყვანა ბედმა—ვფიქრობდი მე. როგორი იქნება ჩემი ცხოვრება
ორი თვის განმავლობაში ამ ხალხთან, ამ სახლში, სადაც სიმახინჯე და სილა-
რიბე ასე უცნაურად შეერთებულა? ნუ თუ ყოველ დღე ეს ოთახი უნდა გავიარ-
ო, შევხედო ამ მახინჯ დედაკაცს და ვისმინო მისი ხმა?

— ეგებ სჯობდეს სულ დავანებო თავი და წავიდე?—არა, ენახოთ რა იქ-
ნება! განა ჩემთვის სულ ერთი არ არის სადაც არ უნდა ვიყო? ცხოვრების აუ-
ცილებლობაში ხომ არავითარი წარმატება არ არსებობს, ყოველი ანგარიში
მკდარია, ყოველი სიმტკიცე დროითი, ყოველი სიბრძნე—ლანდური...

მეორე ოთახიდან ხმამაღალი სომხური ლაპარაკი მოისმა. შემდეგ ვილაკამ
სომხურად დაიძახა. ტერტერა წამოდგა.

— წავიდეთ ოთახის სანახავად, მითხრა მან და კარები გააღო. ჩვენ შე-
ვედით. ოთახში დედაბერის მეტი აღარაფერ არ იყო.

სად წავიდენ ისინი, ვინც აქ წინად ლაპარაკობდა? ოთახს თვალი გადა-
ვაკლე. მეტად დაბალი და პატარა იყო, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე მისი
აღება.

— ოთახს არა უშავს რა. მე მას ვქირაობ. ორი თვის ქირას წინდა წინ
მოვართმევთ. როცა ვადა გათავდება—ოთახს ისევ თქვენ ჩაგაბარებთ.

ისევ მეორე ოთახში გავედით. პირობა დავწერეთ. ტერტერა გავისტუმრე
და დედაბერს ოთხი თუმანი გადავეცი. მან ფრთხილად მოკიდა ფულს ხელი
და თულა დაუწყო. მე შევანჩინე, რომ მას პატარა, ყვითელი და ლამაზი ხელები
ქონდა.

— მე საღამოს დავბრუნდები. ქალაქში ცოტა საქმე მაქვს. გთხოვთ
ოთახი დამილაგოთ. ნახვამდის.



წასვლის დროს ჩემ ოთახისაკენ გავიხედე. ღრიკოთ დაუფრთხელ ვეცდებიდან. მე ვილაყ შევეკრემანი და შეავთვალუბიანი ქალი მიყურებდა. ჩემი მხარეზე კარი ნელა მოიხურა.

V

სექტემბერი დადნა ქარვის დღეებათ. ერთი თვეა რაც ან ოთახში ვცხოვრობ. არაფერი არ მომხდარა ჩემ ცხოვრებაში. დღით ქალაქში დავდივარ, მგვობრებს ვნახულობ. ხშირად ერთად ვსადილობთ. საღამოობით ჩემ ოთახში რამოდენიმე საათით ვბრუნდები. ხან ვკითხულობ, ხან უაზროდ თანჯარაში ვიყუყუები და გამვლულებს ვათვალეირებ. შემდეგ ისევ ქალაქში მივდივარ. ასე მიდის დრო.

ხეებს ფოთლები შეუყვითლდათ. მერცხლები წაყიდნენ. ყვავების ყვირილი გაისმის საღამოობით ქალაქზე. ბელურები ხარბად ესევიან ქუჩებში ცხელ ფუნას და მოუსვენრად დაფრინავენ.

დღეს მეორე დღეა, რაც ჩემ ოთახიდან არ გამოვსულვარ: განუწყვეტლივ წვიმს, ქუჩები ატალახებულია, ტელეფონის მავთულები იცრემლებიან, ცივა. გამვლულები აჩქარებული ნაბიჯით სახლებისკენ მიიჩქარიან. თანჯრების მინები დაორთქლილია.

დაღამდა. ლამპის ანთება მეზარება. გაორთქლილ მინებში ქუჩა ლანდურად მოსჩანს. დიასახლისის ოთახში სიჩუმეა.

ვაუგებარია ჩემთვის ჩემი მეზობლების ცხოვრება. ბევრი რამ მე მაფიქრებს.

დედაბერი მუდამ კარტს შლის და, ალბად, თავის თავს, ან თავის შვილებს ბედს უკითხავს.

საშინელი სანახავია, როდესაც ის საღამოობით, ვიდრე სულ ჩამოლამდებოდეს, რვეალ მავიდას უზის და მის წინ გაშლილ კარტებს ყორანივით ზევიდან დაპყრებს. კარტები გაშვეებულია დროით და ჭუჭყით. დედაბერი მათ ზევიდან დასცქერის, რაღაცას თავისთვის ჩურჩულებს და ჩუმად იცინის.

მისი ქალიშვილი, არუშან, საკერავ მაშინას უზის და თეჩალუნული კერავს. ის იშვიათად ასწევს თავს ზევით, როდესაც მათ ოთახში გავდივარ და ჩემ მისალმებაზე თავის დაქვევით მიპასუხებს ხოლმე.

საითობით სხედან დედა და ქალიშვილი ერთ ოთახში ჩუმით. მდუმარებას საკერავ მაშინის ხრიალი, დახველების ხმა, ან გაწეულ სკამის ხმაური არღვევს მხოლოდ.

არუშან—ტანმორჩილი, შევეკრემანი ქალია მეტის-მეტად შავი და ფართე თვალებით. მის ზედა ტუჩს შავი ღინღლი ოდნავ ფარავს და ახავერდებს. მკერდები მას თითქმის სულ არა აქვს. ლაპარაკის დროს ხშირად რუსულ სიტყვებს ხმარობს. ის არ არის ლამაზი, მაგრამ მე ყოველთვის შეკავებულ და დამალულ ვენებას ვგრძნობ მასში. მე ორჯერ ვცადე მასთან ლაპარაკი, მაგრამ ის ყოველთვის მოკლე პასუხით ახერხებდა ჩემთან საუბარის შეწყვეტას.

არუშან ხშირად მოწყენილია და ჩაფიქრებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც



დღეა ოთახში არ არის, მოისმის მისი სიმღერა, ის მღერის, ხმით ყოველთვის ერთ და იგივე ვულგარულ სიმღერას:

„Полюбил всей душой я девицу
За нее жизнь готов я отдать.
Вирюзой разукрашу светлицу,
Золотую поставлю кровать“.

ყოველ ღამე, თავის ძმის „გრიქოლიკას“ მოსვლის შემდეგ, არუშან სახლიდან მიდის და ძრიელ გვიან ბრუნდება. მას რაღაც გაზეთის ქაღალდში გამოხეველი ფუთა თან წიაჭეს. ხელცალიერო ის არსად არ დადის, ხოლო ხელცალიერო კი ბრუნდება სახლში.

* მე ხშირად მიფიქრია თუ სად დაიარება არუშან, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივსულვარ.

ბოლოს და ბოლოს, როგორ ცხოვრობს ეს ხალხი? არა ერთხელ დავეკითხე ჩემ თავს. მხოლოდ ამ ოთახის ქირით? გრიგოლიკა ხომ არაფერ საქმეში არ არის!

— ან შეიძლება არუშანა იმდენს შოულობს თავის კერვით, რომ ოჯახს აკმაყოფილებს? ვინ იცის. შესაძლებელია ასედაც იყოს.

რამოდენიმე დღის წინად მე შევამჩნიე მის ხელზე ჯვარისწერის ბეჭედი.

— როგორც სჩანს არუშანა ვათხოვლია. მაგრამ ქმართან რომ არ ცხოვრობს?

— შეიძლება ქმარი მოუკვდა?

არა, ქვრივ ქალს არუშანა არ გავს. მე გადავწყვიტე, რომ მისი ქმარი ან დაკვრილი, ან სადმე შორს წასული არის, რადგან არუშანა თუმცა მოწყვნილია, მაგრამ არც ისე, რომ ხან და ხან არ იმღეროს.

გუშინ დედაბერმა მის ქმარზე მელაპარაკა. ეშინოდა, რომ ქალიშვილი არ შემოსწრებოდა და წამ და უწუმ კარებისკენ იხედებოდა.

მნე... ათი თვეა რომა... მნე... რაღაც წაფიდა. მოსკოვში... მნე... საქონელი გაიტანა... ჩემი არუშანაი... მნე... დარდობსა... დარდობსა...

— არაფერს არ იწერება? დავეკითხე მე.

— არა სწერსა... ფულსა... მნე... არა გზავნისა. ჩემსა არუშანასა რუბენაი მნე... მნე... ერთობ უყვარსა... ღამ-ღამ სტირისა...

დედაბერმა ღამპარაკი ააჩქარა, აქლოშინდა, ჩივი გაეხერა. საწოლის ზევით ჩამოკიდებულ სურათს შეხედა. მალლიდან მუჭის ოდენა თვალებით ისევე ისე უაზროდ იყურებოდა ყიდაც სქელ ბეჭებიანი კაცი მსხვილი და ზევით აგრესილი უღვაშებით. ჩვენ ღამპარაკს ის, თითქოს, გაკვირვებით უსმენდა.

— ჩემი შვილი გრიქოლიკაი... მნე... მნე... უსამსახუროდ დადისა... ლოთობსა...

არუშანის შემოსულამ დედაბერს ღამპარაკი გააწვევტია.

— მაშ არუშან თავის ქმარზე დარდობს?

აი ახლაც მოისმის მისი სიმღერის სევდიანი ხმა:



„С своей верной оравой поеду.
И разграблю я сто городов.
И с дарами я к милой приеду.
И отдам это все за любовь“.

მალე მისი ელამი ძმა „გრიგოლიკა“ მოვა და არუშან ჩვეულებრივად ქალაქში წავა თავის საიდუმლო ფუთით ხელში.

სინამდვილეში სხვადასხვა სახის დიდებულებასთან და დიდებულთა შორის ჩამოშლილია ოთახში გაჩერება შეუძლებელი ხდება...

VI

„გრიგოლიკა“ 19—20 წლის ბიჭია, მალალი, ვიწრო ბეჭებიანი და მკერდ ჩაფარნილი. ის ყოველთვის აეარულ სიმღერებს სტვენს, ატარებს გახუნებულ ყავისფერ ფოკეს, რომელიც მას თვალზე აქვს ჩამოწეული. ის მუდამ ერთნაირია: ჩემი, უმზიარლო. მისი სახე დანის პირით თხელია და ვიწრო. ტუჩების მაგივრად—წერილი, უფრო ხაზია გასმული. დიდი, კაკუტა ცხვირი მარცხნივ არის მოქცეული. მისი პატარა, ელამი თვალები მუდამ წითელია და ამოკირწყლული.

ეს მოკლე ხანია გრიგოლიკა გამოიკვალა. ის აღარ დაიარება ისე ხშირად ქალაქში და უფრო მეტ დროს სახლში ატარებს. მისმა ულამაზო, ბიის ფრად გაყვითლებულმა სახემ, რომელიც ფერისკამელებით არის დახორკლილი, რაღაც სხვა გამომეტყველება მიიღო, თითქოს მან მოულოდნელი და უცნაური რაღაც დაინახა და გაოცდა.

ელამი თვალები საწყლად გამოიყურებიან. მთელ სახეს გაქვნივით ეტყობა ხშირად გრიგოლიკა ალაყაფის კარებთან საათობით დგას და მოწყენით ქუჩას გაპურებს, თითქოს ვინმეს მოსვლას უტყუდებს.

დედამისმა შემომჩივლა.

— ჩემი გრიგოლიკა... მნე... დარდობსა... გრიგოლიკას ზაფრა სკანსა...

მართლაც რა დანებარა საცოდავ გრიგოლიკას? რა ჯავრი აწუხებს?

გრიგოლიკა უმეტესად მთავარი ბრუნდება სახლში. ალბად მას უსაყვედურებენ და უწყრებიან, რადგან ხშირად მისი ხმა მაღალი, გულმოსული ლაპარაკი მოისმის. ის დიდხანს არ იძინებს და ჩქარი ნაბიჯით დაიარება ოთახში. წუხელის ყვირილმა და ხმაურობამ გამოვლევია. ღამის სამი საათი იქნებოდა. გრიგოლიკას ყვირილი და მაგიდაზე მუჭის ცემის ხმა შემომგსმა. შემდეგ არუშანას და დედაბრის ჩურჩული, რომლებიც ეტყობოდა მის ამშვიდებულდ. გრიგოლიკა განაგრძობდა ყვირილს, ქართული, რუსული და სომხური სიტყვები ერთმანეთში იყო არეული. არუშანა თან და თან უმატებდა ხმას. რამდენიმე წუთის შემდეგ არუშანას კაპასი ყვირილი მოისმია. ვილაცამ სკამი მიწაზე დაახეთქა. მერე ყველაფერი შეწყდა და საკვირველი სინამდვილე ჩამოვარდა.

მე დაინტერესებული წამოვდექი, კარებთან მიველ და გასაღების კერტიმალაში ვავიხედე.

ოთახში სინათლე ენთო. ფანტასტიკური სურათი გადაიშალა ჩემ წინ: დე-



დაბერი და არუშანა ნამძინარები და თმებგაწეწილი, პერანგისა მშაჩა მსგავსის-თან იდგენ და არაჩვეულებრივ ყურადღებით რალაცას დასცქეროდენ. გრიგო-ლიკაც იქვე იყო.

მე შევამჩნიე, რომ არუშანას და გრიგოლიკას პატარა შავი წიგნი ძაღზე ჩამოკიდებული ეკავათ ხელში. ძაღვი კლიტზე იყო მიბმული. წიგნი თავდაღმა ეკიდა, ზურგით ზევით. ამოდებული ძაღვი მას შუაში ჰყოფდა. გასაღების თავე-ბი არუშანას და გრიგოლიკას საჩვენებელ თითზე ეღვათ. დედაბერმა მოკიდა წიგნს ხელი, დაიჩოქა, თავი ჩაღუნა და თავისთვის ბუტბუტი დაიწყო. მერე აღგა, პირჯვარი გადისახა და წიგნი დაატრიალა.

მე სულგანაბული ვუმზერდი ყოველივეს. რალაც გამოუთქმელმა, შიშის მზგავსმა გრძნობამ, შემიაპრო.

ეს არ იყო ის შიში, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ მაშინ, როდესაც ჩვენ სიციკცხლეს რამე ემუქრება და თავდაცვის ინსტიქტით, თავის გადარჩენას ვცდილობთ.

ეს უფრო იმ მდგომარეობას გავდა, როდესაც ადამიანის არსებას, ყოველ ლოლიკის გარეშე, რალაც ერთი, საბედისწერო და გარდაუევალ ამბის აუცილებ-ლობა დაიმონებს და დაიპყრობს.

არავეთარი აზროვნება, ლოლიკა და ნებისყოფა აქ არ შველის. ადამიანი ჰკარგავს იმ გარკვეულ მთლიანობას, რომელიც მის სულიერ თანასწორობას შუადგენს.

გრიგოლიკა და არუშან მანეკენბივით ერთ პოზაში გაქვავებულნი, დე-დაბერი საშინელი და გაფანტასტიურებული ლამპის სინათლით, რომელიც მას მილიდან ცაბცაბით ეცემოდა და დაკიდებული წიგნი—ყოველივე ეს უცნაურ ფანტასმაგორიას ჰქმნიდა.

მე მივხედი, რომ ჩემი მეზობლები დავეითნს ატრიალებდენ. მაგრამ რათ დასკირდათ ეს მათ, და ისიც ლამის სამ საათზე?

მომავინდა, რომ ბავშობაში მინახავს დავეითნის დატრიალება; მხოლოდ ჩვენში ამას უფრო სხვანაირად აწყობენ. მახსოვს—ამისათვის ხმარობდენ კიდევ საცერს და მაგრატელს.

ასე თუ ისე—რალაც არა ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო დღეს მათ ცხოვრებაში, რაიმე ძვირფასი უნდა დაკარგულიყო, ან ერთმანეთისათვის დიდ-ლირებული საგანი უნდა მოეპარათ, რომ მათ ამ საშუალებისთვის მიემართათ.

მაგრამ რა?

ცხადია, რომ გრიგოლიკას და არუშანას ამბზე ჰქონდათ ჩხუბი. ალბად ქურდობას ერთმანეთს აბრალებდენ, და როდესაც ჩხუბით ვერაფერს ვახდენ, ამ ზომას მიმართეს სიშარტლის გამოსარკვევად.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ქურდობა გრიგოლიკას ბრალდებოდა.

დედაბერმა წიგნი საჩუქრ დაატრიალა, მაგრამ ის არც ერთზე არ გაჩერდა. დავეითნი შეინახეს. დედაბერმა შვილს დამშვიდება დაუწყო, მაგრამ გრიგოლი-კა ეტყობოდა ძრიელ ნაწყენი იყო და გულმოსული, რადგან დედას არავეთარი



ყურადღება არ მიაქცია, რაღაც სომხურად დაიძუჭრა და კაზანის მარჯვენით ოთახიდან გავიდა.

მე გადავწყვიტე ყველაფრის ვაგება, თუმცა არ ვიცოდი, როგორ უნდა მომეხერხებია ეს და მომეწყუ.

VII

მეორე დღეს, ნასადილევეს, ჩემ ოთახს დაუკაუნეს. კარები გავაღე. ოთახში შემოვიდა ჩემი მრეცხავის ქალიშვილი—ლამაზი, რუსი ახალგაზრდა ქალი 18—19 წლისა ზოია.

მას ხშირად დაჰქონდა ჩემთან საცვლები, დედის მაგიერ, რომელიც ანგარიშის გასასწორებლათ ყოველ კვირას დაიარებოდა.

— გაპარჯობა, ზოია! კარგია რომ მოხვედი. რათ დაიგვიანე?

მე განგებ ველაპარაკებოდი მას ქართულათ: მომწონდა მისი რუსული კილოთი ქართული სიტყვების გამოთქმა. ეს მას მეტად შვენიოდა. ზოია ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა და წითლდებოდა ლაპარაკის დროს. მე შევატყვე, რომ მას ჩემთან მოსვლა და ლაპარაკი ეხალისებოდა, თავს მაწონებდა.

— შე დედა შიტბრამ ქვირას ვერ მოვალ... у нее много работы.

— ზოია, მელაპარაკე ქართულად! დედაშენი ვერ მოვა? მაშ. ფულს შენ გადმოგცემ.

— ქო.

— მითხარი რა გერგებათ. დედამ ხომ დაგაბარა?

ზოია მორცხვი ღიმილით კაბას იტუტუნის.

— ზოია, ნუ ვცხენია, მითხარი. ღმერთმანი არ მახსოვს.

პატარა დაკეცილ ქალალდს უბიდან იღებს და მძაღვეს. ქალალდი ვამთბარია მისი ტანით.

ფულის მიცემის დროს ჩემ ფანჯარაში გრიგოლიკა გამოჩნდა. მან ერთის წამით შემოიხედა ოთახში და გაქრა, მე არ მივატყეი ამას ყურადღება, მაგრამ როდესაც გრიგოლიკამ მეორეჯერ გამოიარა და ფანჯარაში ფრთხილად ჩამოიხედა—მე დავინტერესდი. იქვეა გამიელევა გულში.

ზოიას შეეხედე. ის ერთი თითით კეკლუცად ითვლიდა ვერცხლის ფულს, რომელიც მას ხელის გულზე ეყარა. მეტად ლამაზი იყო ამ დროს. პატარა, წითელი პირი მას ოდნავ ღია ჰქონდა და ტუტები თვლის დროს უხმოდ ინძრეოდენ.

ზოია შენ ძლიერ ლამაზი ხარ. შენ პატარა, წითელი პირი გაქვს და ცისფერი თვალები. შენ, ალბად, ვინმეს უყვარხარ.

ზოია ეშმაკურად იცინის და არ იღებს ხმას.

— ზოია მე შენ მომწონხარ... მომეცი შენი ხელი.

მე ვკიდებ მას ხელს. ის არ მეწინააღმდეგება, წითლდება და მორცხვი ღიმილით ხრის თავს. ტანის სიახლოვე მათობს. მაღალი მკერდები მძიმედ ირხვეიან. მე ეხვევ მას ხელს და ეკოცნი პირში. თბილი მკლავები ნელა შემოეხვიენ ჩემ კისერს...



ქუჩებში ელექტრონის ფანრები ანთებული იყო, როდესაც ჩვენ ორიხიდან გავედით. ალაყაფის კარებთან, ბნელ კუთხეში ვილაც ატუხული იდგა, სახის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ მე მაინც ვიცანი გრიგოლიკა. ზოიამ ის შეამჩნია და შეკრთა. მე ეს ვიგრძენი მის მკლავზე, რომელიც იმ დროს ხელში მგებია. იქვე თან და თან იზრდება ჩემში...

— საცოდავი გრიგოლიკა!

ქუჩაში გავედით. ყურძენი ვიყიდეთ და ტრამვაის მოსვლას უცდით.

— ზოია, შენ ერთობ ზორს ცხოვრობ, ჩემო კარგო. ნიკოლოზის სასაფლაოსთან ცხოვრება სასიამოვნო არ არის როცა მოგეწყინოს ჩემთან მოდი. ზოია მემშვიდობება და ტრამვაის კიბეზე აღის. უკანასკნელად მისი ლამაზი და მაგარი წივები მოსჩანს აწეული კაბიდან...

მშვიდობით, ზოია!

ნელი ნაბიჯით ვბრუნდები სახლში. თბილი ღამეა. როგორც შევ ხავერდზე მოღანტული აღმასები ისე ელავენ ვარსკვლავები ცაზე. სახლების ფანჯრები გაღებულა. ისმის მხიარული ლაპარაკი და როიალის ხმები. სადღაც ინტერნაციონალს უტრავენ. ჩახრენწილი ხმით ვილაც მღერის:

„Я па бочке сижу, лопая варенье

Муж мой на войне, а я вполуженьи.

ფუნქციონირის ბრილიანტებით გაკედლილი ჯვარი მოსჩანს მაღლა, თითქოს დაკიდებული ციდან. მამა დაფითი თეთრ ოცნებასავით დაჰყურებს თბილისს, მუდამ მოუსვენარს და მრავალხმიანს.

გრიგოლიკა თავ ჩაქინდრული მხედება ვზაში. ის უქუდოთ არი. მე უცბათ გადაეწყვიტე მასთან ლაპარაკი და შეეჩერდი.

— გრიგოლ გამარჯობა! საით მიდიხარ ასე ჩაფიქრებული? გული ხომ არავის მოუყვანიწყებია?

გრიგოლიკა შეჩერდა. ის არ მოელოდა, თუ მე მას ლაპარაკს დაუწყებდი. და არ იცის რა მიპასუზოს.

— არა მე ისე... ნომინდა გასეირნება. სახლში ერთობ მომწყინდა.

— ჩემო გრიგოლ, მეც ძრიელ ცუდ ხასიათზე ვარ. დღეს ერთი საქმე ვერ მოვაწყვეე—პირი შემოშალეს, სახლში წასვლა შეზარება.

წავიდეთ, თითო კიკა ღვინო დაელიოთ. მე გაბატეებ. ძალიან მაღლობელი ვიქნები, თუ წამოხვალ. ჩვენ მეზობლები ვართ. ერთმანეთს კირი და ლხინი, შეძლების დაგვარად, უნდა გაუზიაროთ.

გრიგოლიკას ჩემი წინადადება ჯერ ავირეებს, მაგრამ პატარა ყოყმანის შემდეგ—მთანხმდება.

— გრიგოლ ჯან, შენ თბილისის ნოქალაქე ხარ, აღბად მუედრო სარდაფი გგულება, სადაც კარგ ღვინოს ჰყიდიან. გამიმტებ; მე აქაურობის არაფერი არ ვიცი.

გრიგოლიკა თავმომწონეთ მიმყვება. თავისუფლების მოედანზე ერთ სარდაფში ჩავდივართ. პატარა მაგიდა ამოვირჩიეთ. მოვითხოვეთ მწეადი და ღვინო. გრიგოლიკა მოწყენილია, მას რაღაც აწუხებს.



პირველი კვარტი თითქმის უხმოდ დავლიეთ. ნახევარზე მაკვირდა, შემიძღვროდესაც გრიგოლიკას ღვინო საგრძნობლად მოეკიდა, მე კკითხე მას:

— გრიგოლ, რა არის ეს მოკლე ხანია სულ რომ გეჩხუბებიან? დედაშენმა დღეს შენზე ერთი რალაც მითხრა... მაგრამ...

გრიგოლიკა გაწითლდა. ელამი თვალები აენტენ.

— რაო? ფულს ხარჯავსო? სვამსო? ჩემს ნაშოვნს რასაც მინდა იმას უხამ მაგათ ვინ კითხავს! ჩემი გამოტანილი საქონელის პატრონი მე ვარ. მორჩა და გათავდა!

— შენი „გამოტანილი“ საქონელიც რომ იყოს.. მაინც გრიგოლ ჩემო... მე ვაჭარი კაცი ვარ. საქმე კარგად მესმის. რაც არ უნდა იყოს — დედაა, უფროსი დაა, ანგარიში უნდა გაუწიო.

— ანგარიშ უწემო მა რა! ორი წელიწადი მამ კინ ეხმარებოდა მაგათ? ერთიც ენახოთ დაევიტყუოთ—როგორ იქნებოდა მაგათი საქმე? მე მოსაპარავი არაფერი მიჭირს რა! არუშანა რომ ფულებს რუბენასთან მოსკოვში წასასვლელად აგროვებდეს—ეს მე ფეხზეც არა მკიდიან, ჩემ გამოტანილ საქონელს მუქთად არიგებს.

— როგორ თუ მუქთად? შევეკითხე მე ისეთი სახით, თითქოს მათი ცხოვრების უკვე ყველაფერი ვიცოდი. მე ვხედებოდი თუ რაშიდაც იყო საქმე.

— დედა შენმა მითხრა, რომ არუშანა გამოცდილი და ერთგული არისო.

— დედაზემმა რა იცის! ის ყველაფერში არუშანას უჯერის. გამოცდილობა არუშანას, მეც კარგად ვიცი, რომ არ აკლია. ოღონდაც აკლდეს—რუბენა განა ვერ შეისწავლის? კაცი რწყილებსა ატყავებს...

— მა, რაშია საქმე?

— რაშია და საქონელსა ფლანგავს, ოხრად არიგებს. ექვსი მეტრი „ანგლიცია“ ინდიგო ჩვიდმეტ მანეთად დაუიდა მეტრი. რა ენაღვლება! მეტს არ იძლევიანო! ორი „დუფინი“ პუდრი ლორიგან კოტი და ექვსი რწყვილი ჭულქი „ვიქტორია“ ორ და ათ შაურად ჩააპრანდალა. ოხრად რალა! თითქოს ზეციდან ცვიოდეს ჭულქებიც და ინდიგოცა!

„დუბერტირსკი ბაზარზე“ „პადელკებს“ სამ-სამ მანეთად ჰყიდიან. მაგან კი, მამა უცხონდა, ორ და ათშაურად „ნასტოიაში“ დაჰყიდა. ვითომ სულელი მნახეს რალა! რუბენასთან უფულოდ ხომ ვერ წავა! მე კი ჩემ გამოტანილ საქონელზე კანტროლს მიკეთებენ. ღვინოს რათა სვამო, გვიან სახლში რათ მოდიხარო, ბათუმში ხშირად რათ არ დაიარებო. თითქოს ბათუმში წასვლა და საქონელის გამოტანა აჯაფსანდალი იყოს!

მე ხარბად უსმენდი გრიგოლიკას. ეხლა ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო. გრიგოლიკას სახლიდან მთელი დღით წასვლა, არუშანას ღამ-ღამ ფუთით ჰალაქში სიარული, გვიან დაბრუნება და წუხანდელი ამბავიც.

— გრიგოლ ჩემო, გაავსე კიბები. წვადი გაცივდა. სხვათა შორის დიდებული ღვინოა. შენ ღვინის ამორჩევა აკოდნია გრიგოლ ჯან.

— აბა, გაუმარჯოს ჩვენს ტრთად ყოფნას. გადააფურთხე ყველაფერს ჩემო გრიგოლიკა და თავს ნურაფის დააჩავერიებ. გაგმარჯოს.



გრიგოლიკა ერთბაშად სკლის ჭიქას და კიდევ ასხამს ზეგანა-გრძობს.

წუხელ გვიან მიველ—ცოტა ნაღვინები ვიყავით. შოფერები და ჩვენ ვჭეი-ფობდით. სახლში ერთი ალიაქოთი დამაწიეს. თქვენც გაიგებდით... შენ პუდრი მოგიპარავსო. ლამის, ერთბაშად გავვიყდი, ეგრეც რომ ყოფილიყო ჩემი არ არის? როგორ ჩემ თავს ისევე მე მოვპარე? ოთხი „კარობკა“ გუშინ სალამოს მოვიტანე, ერთიც მე წავიღე. მჭირდებოდა და წავიღე. სამიც მაგათ დაუტოვე გასაყიდათ. ეხლა—შენ ორი წაიღეო და ჩვენ გვაბრაღი პუდრის დაკარგვსაო. დავითნიც კი დაატრიალეს...

მე გავაწყვეტიე მას ლაპარაკი.

— დედაშენი, გრიგოლ ჩემო, ლაპარაკობს, რომ შენ თითქო პუდრსა და ჩულქებს ვიღაც რუსის გოგოს, ვგონებ ზოიას, სთავაზობდე. ეს ჩვენში დარჩეს. შენ ვეკაკი ხარ და სიტყვას განდობ. იმედია არ გამცემ.

უკანასკნელ სიტყვებზე გრიგოლიკა ძრიელ გაწითლდა და გვერდზე უფრე-დაიწყო. თვალებმა საწყალი გამომეტყველება მიიღეს. შევატყვე, რომ მის მტკივან საკითხს შევებე. ხელი მშარეზე დაეარტყი და მეგობრული ღიმილით ვკითხე:

— ჩემო გრიგოლ, ნუ მიმამალავ, მე ამგვარი ამბები არ გამომეპარება, შენ ვგონებ ზოია მოგწონს. შეყვარებულებს გრიგოლჯან თვალებზე იცნობენ. შენ, ალბად, საქმეც გამოჩაღებული გექნება...

გრიგოლიკას სახე ჩამოლამდა. ელამი თვალები საწყალად იმწირებიან. ჩუ-მათ ავსებს ჭიქებს და, როცა ხედავს რომ ბოთლი გამოიცალა, ოფიციალტს უძახის:

— ერთი ბოთლიც ჩემი იყოს. თქვენ თუ არ გეწყინებათ.

— არა გრიგოლ. დღეს ჩემი დაპატრეებული ხარ. ეგ სხვა დროს. ხომ არ ვიკარგებთ. აწი ხშირად შევხედებით ერთმანეთს.

— ახანავო, ერთი ბოთლიც კიდევ მოგვიტანე. ღმერთს სამება უყვარსო. გრიგოლიკა თან და თან ითვრება. ეტყობა—მას დიდი სმა არ შეუძლია. მისი, ფერისკამელებით დახორკლილი, ულამაზო სახე, გაწითლდა. თვალები აემ-ღერა და კიდევ უფრო მოექცა.

— მაშ გრიგოლჯან, როგორ არის საქმე? რას გეუბნება ზოია? ხომ იცი რომ შენ ის მოგწონს?

— ჰო, იცის. მაგრამ...

— მაგრამ რაო?

— რაო და ვერ შეგიყვარებო.

— რათა, რისთვისო?

— იმისათვის რომაო, ჯერ ფული ბლამად იშოვეო და მერე კი სიყვა-რულზე შელაპარაკეო.

— მართლაც ასე ვითბრა?

— მართლა მა რა? მოსატყუარი რა არის.



— კარგი და, შენ რას ამირებ? ფულით ხომ ყველა შეგე შეგარებდა, ჩემო გრიგოლ!

— ეგ შართალია. მაგრამ... მაგრამ... ჰო, ენახოდ, არ ვიცი. მან თავი ჩაქინდრა, ამოიხუნენა და თვალები აეცრემლა. მე შემეცოდა ეს მოვრალი, საბრალო კონტრაბანდისტი, რომელიც, ალბად, გამდიდრებაზე, სიყვარულზე და უანგარო აღერსზე ოცნებობდა თავის პატარა დაკოდელ გულით.

— არა უნავს რა, ჩემო გრიგოლ. ყველაფერი მოგვარდება, ნუ ჯავრობ! გამოცალე ჭიქა. ყოჩაღად იყავი და ყველაფერი თავის თავად მოვა... ქალს კი ძლიერ ნუ აჭყეები.

მაგრამ გრიგოლივას ჩემი აღარ ესმის. ის თავის საკეთიარ ფიქრებს მისდევს და ამბობს:

— აღარ მინდა სახლი... წაველ, წაველ... აქ ცხოვრება აღარ მიღირს. აბა ენახოთ... ჩემ ვარსკვლავსაც გამოესცდი... დაიცადოს ზოიამ...

გრიგოლიკა მთლად ითვრება. თავს სუფრაზე დებს და ატირებული ხმით ჩუმად იწევს:

„Подлюбила всей душой я девину
за нее жизнь готов я отдать.
рауукрашу ее, как картинку
золотую поставлю кровать.“

გრიგოლიკა სახლამდის მივაცილვ.

მეორე დღეს გრიგოლიკა გაქრა, მაგრამ არავინ ამას ყურადღება არ მიაქცია. ალბად გადაწყვიტეს, რომ ის ან საჭეიფოთ, ან მოულოდნელად ბათომში წაივინდა.

VIII

თბილისში ყოფნა დამიმძიმდა. ოქტომბრის მწიფე დღეები, ეღალი, მოლალული მზე, ლურჯი, დამაპრებელი ცა, ხეხილის სურნელით ატბორებული ქუჩები და თავისებური შემოდგომის ჰაერი ბროლის ფერი და მათრობი—ყოველივე ეს მანატრებდა სოფელს და მხოცნებებდა მის ოქროსფერ დიდებაზე, რთველზე და ბედნიერებაზე.

მომინდა კახეთის ნახვა. მისი მშვენიერებით გაძლომა, დათრობა მისი სიუხვით.

ალავერდობა მოახლოვებული იყო. გადავწყვიტე საალავერდოთ წასვლა. გამოვეთხოვე ერთი კვირით ჩემ კონტრაბანდისტებს და გავემგზავრე. გრიგოლიკა არსად სჩანდა.

მშვენიერი დღე იყო, როდესაც თელავში ჩაველ. ირველივე მაქრის სუნით იდგა. არც ერთი ღრუბელი არ ამღვრებდა გამუქებულ ლაგვარდის უძირო სიღრმეს. გაბუნების და სიმწიფის მკვნირი სურნელია ტვირთავდა ჰაერს. გულში სასწაულის და უდიდეს ბედნიერების შესაძლებლობა იყო.

სალამი კახეთო, იშტიანო, მკერდ მაღალო და ბარაქიანო!

სალამი კახეთო, მზის ოქროთი გამოტენილო, გადახურულო უწმინდეს ზეით!



მარკინული

ხარბად ვიმზერენ ჩემი თვალები და გული უნაზეს ალერსად ჩქარა მადლიერი ჩემი ბედის, რომ ყოველი წვეთი ჩემი სისხლის, ყოველი კუნთი ჩემი სხეულის გვრძნობს შენ, ტკბილი ჯრიაშლით და ისეთი გამახვილებით, რომ შენი შეხედვის საშუალებაც საპუდამოთ რომ მომეგპოს, თვალთხედვა დამეკარგოს—ტანით მაინც ვიგრძნობ შენ სიახლოვეს, ყნოსვით მიეხედები შენ ჰაერს და ხელის შეხებით გავაჩრეე შენ მიწას, შენ ხეებს, შენ ქვებს, და შენ ყვავილებს...

თელავიდან ალავერდში ფეხით წაველ. კვირას ხალხის ზეიმს დავესწარი ენაზე ალავერდის ტაძარი—კახეთის გვირგვინი, გაშლილი სუფრები, ოქროს ღვინით ავისილი ყანწები, ჯირითი, ქართული თავაზიანი მასპინძლობა და დარბაისლობა.

კახეთში ათი დღე დაერჩი. გულის წყურვილი მოვიკალ და ისევ თბილისში დაებრუნდი.

ლამდებოდა, როდესაც ჩემ ბინას მივადექი და კარებზე დავაკაკუნე. არავითარი პასუხი. კარები გაველე და შევედი, არავინ არ დამხედა. სიჩუმე და ნგრეული ოთახი. არც დედაბერი, არც არწმან, არც გრიგოლიკა.

— სად წავიდნე? სად გაქრენ? ფეტიქობდი მე და ჩემ ოთახის კარებში გასაღები გაუყარე. კარების გაღება ვერ მოვახსარი. ულონო ქვითინი მომესმე და ოთახის ბნელ კუთხეში რაღაც შავად გაინძრა. ვერ წარმომედგინა, თუ ოთახში ვინმე იყო. შევკრთი და ერთ ალაგას გავშეშდი. რაღაც უბედურების წინათგრძნობამ გაიელვა გულში.

— ვინ არის მანდ?

არავითარი პასუხი.

— ვინ არის მანდ? თითქმის დავიყვირე მე და ერთი ნაბიჯი წინ გადავდგი.

კუთხეში ხელმეორედ რაღაც შავად გაინძრა და აღუღლულდა.

ხმა ვიციანი.

— დედი, ეს თქვენა ხართ? დავეკითხე მე და დამშვიდებულმა ამოვითქვი სული.

— მნე... მნე... მომესმა ატირებული ხმა.

— დედი, რა დაგემართად, რა მოხდა? ასანთი გავკარი. კუთხეს მიუახლოვდი და დედაბერი ავაკუნე. ის ჩვარივით ამყვა ხელში და ისევ მიწაზე დაეშვა.

— მითხარით რა მოხდა! რად ხართ ეგრე?

— მნე... ჩემი შვილი... გრიგოლიკაი...

— დაიჭირეს, თუ რა?

— ჩემი შვილი... მნე... მნე... გრიგოლიკაი... იღარა მყავსა... მნე... გრი-

გოლიკაი მომიკლეს...

— სადა, ვინ, როდის?!

მაგრამ დედაბერს ჩემი არ ესმის და თავისას ლულულდება. მას ცრემლები აღარ აქვს და ტირილის მაგიერ მშრალი სლოკანი მოისმის.



— ჩემი შვილი გრიჭოლიკაი... მნე... ბათუმში ტყვიით მამანტყეს... მნე... მნე... ჩემი შვილი გრიჭოლიკაი აღარა მყავსა... ბატონო... ჩემო მატონო! მიშველეთ რამე...

დედაბერი ჩემ მუხლებს ებლაუჭება და ხელებზე კოცნა უნდა, თითქოს მე შემეძლოს როგორმე შევლა.

— არ ვიცი სად დამარხეს ჩემი გრიჭოლიკაი... მნე... ვეგების ძალღებმაკი შეკამეს...

— საცოდაო დედი!

— ჩემო ბატონო... მნე... მიშველეთ...

— დედი, არუშან სადღა არის?... რაო? მოსკოვში წაივინდა?... გუშინ?... საბრალო დედი! ყველამ დაგტოვა!...

ოთახიდან ფეხ აკრეფით გაველ. კარები ჩემად მოვიხურე. უკანასკნელად კედელზე ჩამოკიდებული სურათი მომხედა თვალში. სახე გამურვილი იყო ღამით და აღარაფერი არ მოსჩანდა. დედაბერის ლულულული შეწყდა. ზურგს უკან სამარისებური სიწუმე რჩება. გრიგოლიკა მოკლეს... აღბად სხვა კონტრაბანდისტებთან ერთად. არუშან წმართან გაიქცა... საცოდავ დედაბერს მხოლოდ თავის სიმახინჯე, მარტოობა და სიღარიბე დარჩა...

მეორე დღეს, დილით, ნიკოლოზის სასაფლაოზე მიველ. საღამოს ცხრა საათზე თბილისიდან უნდა წავიდდე. ორი თვე შესრულებული არ არის, მაგრამ თბილისში ყოფნა აღარ მინდა. ზოიასთან ჩემი საცვლები რჩება. უნდა წამოვიღო და ანგარიში გავასწორო.

მზიანი დღეა, ცოტა ქარიანი. სასაფლაო გავიარე და პატარა ხის სახლს მივადექი. ზოია დაკაპიწებული, მოკლე კაბით, ბაწარზე სარეცხს აფენს. ჩემ დანახვაზე ეს წითლდება, იღიმება და კაბას ისწორებს.

— გამარჯობა ზოია! როგორ ხარ? ხომ კარგად, ჩემო ღამაზო? მოვედი შენთან. საცვლები უნდა წავიღო და გამოგემშვიდობო.

ზოიას სახეზე ღიმილი წაიშალა. გაბუტული მართმევს ხელს, და თვალბეში შემეცქერის. სახლში შევდივართ, ანგარიშს დედა მის უსწორებ და გაზეთში გამობევეულ საცვლებს ილღიაში ვიდებ. ზოია მომყევება.

— მშვიდობით ზოია, მე დღეს თბილისიდან მივდივარ. დიდხანს ვეღარ ვნახავ.

ზოია ჩემად მემშვიდობება და თავჩაღუნული სახლისკენ წასვლას აპირებს. თვალბეში ცრემლები უდგას.

— ზოია, დიკა, ერთი რაღაც მინდა გკითხო, ჩემო კარგო. პო. მართლა! შენ... გრიგოლიკა მთლათ დაგავიწყდა?

— მე ჩემად ვიციინი — აღბად კარგად იცის მისი ამბავი.

ზოიას სახეს ყვითელი ფერი ეკვრება. მეტის-მეტად აღელვებულია.

— მე... არაპერი არ ვიცი... მე გრიგოლიკა არ ვიცი. ჩემი საკმე არ არი...

Оставьте меня!



— ვიქ! ისმის დედა მისის ძახილი სახლიდან. ზოია არ მეუბნება და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ მიდის.

ბაწარზე ჩამოკიდებულ სარუცხს ქარი აფარაფატებს. პატარა თეთრი, ძალ-ლი სახლიდან გამორბის და კლდამოძებული მიყუფს. კიშკარზე თეთრი ასოგ-ბით დაწერილი განცხადება მოსჩანს.

Прачешная.

а также

Делаю кресты и ограды

спросить здесь.

წითელი ბაირაღები მოაქვთ. ქუდმოხდილი ხალხი მოდის—ვილაცას მარ-ხავენ. ძალი იხევ-იხევ კუდ ამოძებული მიყუფს და წამდა უწუმ სახლისკენ იმზირება.

— მშველობით ზოია. მაშ შენ გრიგოლიკასი არაფერი არ იცი? მართლა? მაგრამ გრიგოლიკას რომ ბევრი ფული ეშოვნა? მაშინ?...

ვმორღები თბილისს და ისევ პატიოსან შრომას და მარტოობას ვებრუნ-დები. ხსოვნაში გრიგოლიკას საწყალი თვალეები და დანის პირიკით თხელი გაკვირებული სახე რჩება. მაგონდება დედა მისი, რომელიც ყოჩანივით თავის შვილებს და თავის თავს კარტებზე ბედს უკითხავდა და ეხლა ბნელ კუთხეში, ალბად, უცრემლოდ ტირის. მაგონდება ალავერდის ტაძარი და კახეთის მშე-ვიგონებ ყოველ დღეს, რომელიც თბილისში გავატარე, ვიგონებ ჩემ ცხოვრე-ბას და....

მე ისევ თავისუფალი ვარ, ისევ ჩემ თავს ვეკუთვნი. მშვიდობა ყველას!

იმერეთში ახლა უფრო თბილა. იწყება შრომის და ნადირობის სეზონი.

კარგია, როდესაც ადამიანს შენი სამშობლო გაქვს და უცოდველი გული.

კარგია, თუ უდარდელმა ბავშვობამ შეგვასწავლა—შერიგებით უმზიროთ სიკოცხლეს და სიკვდილს და ბედნიერი ღიმილით ჩავასვენოთ თვალეები ცის მშვიდობიან სიღრმეში.

თბილისი. 1925 წ. ოქტომბერი.

კოეტი.

საკუთარ სისხლით გაზარდე ღმერთი
და უკვდავება მშობელ მიწაზე.
თავდავიწყებით თუ ვერ აღიერდი —
ვერ იენტები ვარსკვლავად ცაზე.

მიწას არ ჰყვარს მზდელი და კოშტი.
გამბედაობას დარჩი გირაოდ.
დაამშობილე ტენი და მუშტი
ბედის სასწორის დასაყირავეად.

ბრძოლა-აშკარა, თუ უსინდისო
და სიყვარულის აღარ დათმობა —
გამართლებია ყოველი დღისა
და გამარჯვების აღით გათბობა.

იყავი ყველას შენ ამხანაგი
და ამხანაგი არ გაიჩინო.
შენ თვითონ დარჩი შენი ბანაკი
და გაიტანე, რაც დაიგინო.

და თუ წაიქცე მწარე ნაღველში —
ნუ ეძებ ნახო მიწა ნაკურთხი:
წითელი სისხლის წითელ ნახველში
კბილებიც წითლად გამოაფურთხე.

100 ლექსი

პროლოგი

რა საოცარი დასრულდა წლები! მეფეთა წყება გაჰქრა ვით ლანდი
მოშორდენ ტახტებს: ვიღველში, კარლოს, ნიკოლოზი და ფერდინანდი
მავრამ მწუხარედ მათზე კი არა სხვაზე იფიქრებს მარტიროლოვი
იმ საშინელ წელს—პოეტი მეფე—გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი
ჰანგების მეფე—დიდი სენსანსი და დირიგორი ნიკიში მპლავრი.
ეკლიან ვხაზე დაეცა ბევრი—მხოლოდ შე ერთი გადაურჩა მუხავრი
რომ გამომეფლო ჯერარსმენილი ქართველები ეცხვლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადაორჩენისა.

ხად იყო ხმენა და გავონება?

ახალი ჰანგი ენატრება რკინის ანგელოზს
შე ვგრძნობდი მაშინ რომ სტოვებდა ზეშთავონება—
თვით მურილიოს, კაელიოს, მიკელ-ანჯელოს,
პოეტი მასსა, ხალხთა კოშკის დღეს უწინარეს
გადასცქეროდა ბოროტებას განარიღებო
თვალგადაუწვედენ ორმოებში სისხლის მდინარე
და ტრანშეების ლაბირინტები....

ბავშვები

მე არაერთი მინახავს ბავში პატარა, როგორც ოქროს წიწილი
ეტლში, სალონში, აკვანში, ბალში, გაისმის მათი ზარის სიცილი
მავრამ კონტრასტი არის ამ ბედის გულცივი მკაცრი და გამყიდველი
მშიერი სახით კათეში შედის ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი
მათი თვალები აღარ იციან, ზედვაში ხანჯლის არის ციება
არ ეპატიოს—კენესენ ისინი—ქვეყანას ჩვენზე შურისძიება.
მათ ნატყვიარი აკრავსთ წარბებზე, ვული საესე აქეთ შხამის წვეთებით
ამ დროს მოლხენით არის ღარბაზი, ორკესტრი გრვეინავს თავგამეტებით.



და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი.

ქარმა ბუდიდან ყვავის ბაზალა ზაფხულის ტყეებს გადაახალა ისმონდა ხეები ახალ-ახალი. დღე ტაძარივით იყო მალალი ველად ბალობი იყო კეცილი როგორც სიმშვიდე და სარეცელი. ტიროდა მწარედ ყვავის ბაზალა ქარმა ტყეებს რომ გადაახალა ატყდა ქუხილი, გავარდა მები—გაეხმაურა ტყე მეხის ტეხილს ხეში, ხრამებში ატყდა ხარხარი და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი.

დაბრუნდა გრძნობა და სისადავე

დაუნდობლად თვალზე აშკარა წინ მიდიოდა ცეცხლის კანკელი როცა დემონმა აალაშკარა უდაბურება და ღრიანკელი ძვირფასი შხამით საესე ფილა მე გამოუცალე ქვეყნად, მეგონა. სულში გრიგალმა გადიგრიალა, სამუმს სამუში გადაეკონა. ვერ დავუკავე მერანს სადავე, გულმა ხალისი ველარ დამალა მოვიდა გრძნობა და სისადავე! ისე დაბრუნდა ჩენი ამაღა!

ქაოსიდან გზებზე გავედით

როცა ცეცხლია და გადარევა, როცა ქარია და ამღერება, არც კაცთმოყვარე ხალხში გარევა არც გაჩოშება შეგვეფერება. ჭალაქს გვიღლისფერ ედება ბინდებო, ისე სხვენს დაონა ცა ვარსკვლავედით... ჩვენ ვავიარეთ ლაბიონტები და ქაოსიდან გზებზე გავედით. ამნაირ ღროში ვით არ მახაოყდეს შენი თვალბის წრფელი დიდება? ო, დამნაშავეს შენ არასოდეს მკაცრი სახელი არ გეკიდება.

თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი

თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება ელფარებს ლუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაილო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლევა ხელნაწერი ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი...

ბრძოლა ღმერთთან

ღმერთი არის თუ არა? არა. მაგრამ დიდება მის ბევრჯერ მსმენია. ძილი არ შეკიდება იგი, ლამის გენია ისე შემეჭიდება მე სხვა სულას ამარა, იგი—გაბედითება. ეიბრძვით და რამდენია დღე ის რომ ეზიდება რამდენი ჰო და არა—აღზე აღის კიდება ერთიც არ ამცდენია ცეცხლის არ დარიდება დილით მოსაწყენია ძილი და დამშვიდება.



ალვის ხის გადარჩენა

ო, ალვის ხის შეენება, ისევ იგი შეენია.
 ყოველ დღის გათენება მისთვის მოსალხენია.
 მოდის, ფეთქს და იზრდება სული მისი მზრობელი
 ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი.
 ტბის გულს გადახვევია მღუმარება ტოტემის
 ოცნება არ სჩვევია ქვეყნის გამოცოდების.
 არც შხამიან ლანდებით უცემს წვალოა გუბება.
 ის არ ქლექიანდება. ის არ დაილუბება.

შინდისის ქაღრებს

ორი ქადარო, წყვილო ქადარო, შემოხეულნო შექტა ბადრებით
 ო, მე არ ვიცი რას შეგადაროთ, ან უცხოეთში რად მენატრებით?
 კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი და შემოდგამის მკრთალი ბლონდები?
 მე, უთვისტომო და გარეწარი თქვენ გაგინხნებთ და დაელონდები.
 თქვენთან რბიოდენ წათელნი დღენი ლოცვა ბავშური, ფერი ვედური
 ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი როგორც ტირილი და საყვედური?

ხან უფსკრულები, ხან მწერვალები

ელვის ბილიკზე მიდის ფეხები და მეცემიან თოვლის ვარდები.
 ხან უფსკრულეთში ვადვიჩებები, ხან მწერვალებზე აღვიშართები.
 ხან ქარეშალი და ხან ნიავე მეტოლებოდა მაღალ სიონის
 არა მოსალხენ დღეთა სიავე და თეთრი კუბო კავკასიონის.
 მაგრამ უცებ სხვა მოყარდა შხამი, უცებ ორკესტრმა იპოვა წამი
 ვადასრიალდა მთელი ლანდეთი:
 ზემი ახალი შარავანდელი.

იარე, კაცი შენ აღარ გქვია

გასწიე! დამე ეშვება ზეწრათ, მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები
 მახლობელ დეიონს მიგაძნობ უცრად და შიშის ჩოდლით აკანკალდები.
 იარე! გაჰყვე გზას შორით შორისს, მაისთა ცეცხლი შენ არ ვაოსებს
 მწუხარებამთა უღვეთა შორის ისევე ხედავ ახალ ქაოსებს.
 გაახელ თვალებს—იქნება გვიან. დახუტავ მაინც ცა არ ენთება..
 იარე, კაცი შენ აღარ გქვია. შენთვის არასდროს არ გათენდება.
 რა უყავ შენს სულს ოდესმე კეთილს, ქვეყნად რომ სურდა ცეცხლის მოდება?
 ეხლა იმავე სულს დალოილს, დაფლეთილს დახედავ და არ შეგცოდება.
 იკივლებ შაშინ, მაგრამ არსიდან არ გიპასუხებს უდაბურება
 იარე! გზები უშინაარსო ისევ ბურუსით დაიბურება.

სამი ღრუბელი

მე არაერთხელ მინახავს რა ნახად დაუჯგუფებელი
 ჩემს ეფემერებს ინახავს სამი ფერადი ღრუბელი.



ღრუბელი ცაზე ენთება ლაქვარდი, ოქრორეული
ო. დროს! გამახსენდება შენი გზა სიზმარეული.
წითლად ელვარებს მეორე მრისხანე, ეფემერადი
ქარივით მომეტეორე და ცვალებადით ფერადი
და თეთრი, თეთრი ღრუბელი თითქო მარადი ქაფია
სიცოცხლე დაუფუბელი-და ეპიტაფია.

ყანები

გამოჩნდა რბევა მალალი ტანის. ნანგალით მკლავზე, მავალი ობლად
მისი სიმღერა ხმა არის ყანის სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად
სიმღერა სულით ეწევილობება გადამწკრივებულს ზღვისკენ წეროებს
მზე ეხუტება როგორც ობობა ზინდის დაქსელოლს ხის კენწეროებს.
სულმა არ იცის რა არის მონა, გზებზე ნახირო ისევე ბრუნდება
კრავებს მირეკავს სოფლის მადონა. მადონა ქოხებს დაუბრუნდება.

მე ერთად ერთი მქონდა წუხილი

მინდოდა წყაროს წყალი გემოთი და მშობლიურით სუნთქვა სიოთი
მე მივდიოდი და ვეცემოდი, ისე ვდგებოდი და მივდიოდი.
როცა თოფების ატყდა ქუხილი და ზარბაზნების გოგეინვა და ჰქეა
მე ერთადერთი მქონდა წუხილი: თქვენი სოფლების ღვია და დეკა.
შორს ერთად ერთი ენთო სანთელი, უუძველესი ბაღის ტოტებით
აქ კი გრიგალი, კორიანტელი და ტყე, მშფოთარე თავგამოდებით.

შემოდგომა

სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია, ეს წიგნი—ერთად ერთი წიგნია
მწეიდი, ფარული.
შემოდგომისთვის იგი იშლება, როგორც ფოთლების გადაშიწვლება
და სიხარული.
წავიდეთ ერთად ველებში, გიცდი! ვერ მოვიგონე ქვეყნად არტისტი
ქარის სადარი
რა აქვითინებს მინდვრებს ტრიალებს? ასე გულმწარედ რაზე შრიალებს
ძველი ჭადარი?
ო, ვიყოთ ერთად! გზა გულს ამრთელებს... ქვეყნად მომავალ კორიანტელებს
ვინ მოეკრძალოს?
ჩვენ, პოეტები მზიდან ვეშვებით—და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით
მზის სადღეგრძელოს!

გაპქრენ ზაფხულის დღენი

წარბგადახრილი მიდის შემოდგომისა ჩრდილი.
ზიდავს გამზდარი ცხენი ყვავილებიან ურემს.



ქართული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისას იგონებს რიდეს ის, როსინანტად ზრდილი
ამ დღეს ზამზახებს ყიდდა თიბათეფსავეთ ნახი,
მზე ლაქვარდებში სწუხდა, შუქს გავლებოდა ხახი
ბალში მუსიკა ქუხდა anganti amoroso-ს.

ხალხური მოტივებიდან

შენი თვალები—მაღლები სამხრეთის ზღვების ფერია.
კბილები—თეთრი ძაღლები მიღრენენ: არაფერია.
მოგონებებში წასული წენს ბაგეს დაეხარბები
ოცნების ორი ასული გადაწოლილან წარბები.
გადაუთიბავთ თივები, რომ გითხრა—დამემღუროები!
მთვარეს ჩვენი ხმა გავგო; თითქო შუქ-აკანკალებით
ჩვენს აივანზე დაეგო რჩეული ოქროს ხალები.

გახედე: კახეთი!

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი. რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი,
გარეულ ქალებში ტრიალებს ქათამი, ჭაობში იხვია მოწვევით მზირველი.
პირველ სექტემბრიდან სასარაკ, სავათა. იქ თმაზე მეტია გნოლი და კაკაბი
თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე სადაც კი ნისლია და ტყუა საკაფი
თოფის ხმა, კვილი. სისწრაფით მტყვარი. „დაეწი, ალხორა“ და მიჭრის მწე-
ვარი.
ალაზნის ველი სჩანს. დილაა მზიანი. გარშემო ბურია ლამენათევარი.

ლაქვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების

ლაქვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით.
უნაზესი ისმის ხმა საკრავების. ბალებს იქით. სადღაც. გადაშორებით.
მზის გადასვლამ სიფრცევები დაწმინდა. იბინდება, იბინდება მთაწმინდა.
აჰ, ეგ თმები, ჩემს სახეს რომ ეხება, შუქში კარგი მოგონებით შეღებმა.
იყო ომი. იყო ცეცხლის დროება. ლოდინია ეხლა და მყუდროება.
ციდან მთებზე ემწებანიან კრავები. დაღალული წყდება ხმა საკრავების.

არ ღირს იმ ერთ ცრემლად

მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების, დაუსრულებელი როცა კამათია—
არ ღირს იმ ერთ ცრემლად თვალს რომ მოედების და ღრმა მოგონებამ მე რომ
დამათია
მგვრამ დაცემული არვის ვენახები: თუმცა მრავალია გულში დაგუბული
როგორც ყვავილები, როგორც ვენახები, დაუსრულებელი სექტყვით დაღუპული.
შენ ნუ დაეცევი, შენ ხუ შეშინდება. გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს
ლა ამოა, ჯერ არ შებინდება. მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგობტეს სასაფლაოანი

სარკოფაგიდან დგება მუშია. რა სიჩუმეა. ჰაერი ღურჯი აბრეშუშია. ორხიდებები ეცემა ნილოსს, როს ნხურვალემა ქვიშაზე კენესის უნდა რომ სული არ შიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამხესის. ის იყო მეფე. ეხლა მტვერი. რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს არ შეუძლია იყოს პირფერი. არ შეუძლია მტვერი არ იყოს. და საუკუნეთ რიგს თელის მუშია: მზიანი დღეა თუ საშუშია?

ცხრაას ჩვიდმეტი

ცხრაას ჩვიდმეტი. ჰიხინებდა შავი მერანი ბარკადების მღვლეარება გებარა ოდეს ურიცხვ დროშების მოდიოდენ მოსიმღერენი ბეერი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს. უკანასკნელად გვილიმოდენ გზაზე ქალები: გახსოვდეთ მასსა... და შიხანი მისი გახსოვდეს. ბედნიერებას გვპირდებოდენ მათი თვალები. ბეერი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს. მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი თითქო ყველაფერს კარი შიმიედ ვადარაზოდეს! ო, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი. ცხრაას ჩვიდმეტი არ იფეთქებს კვლავ არასოდეს.

ხანატორია

ჰაერში დაკიდულს ვხედავ ტერსას და შემკრთალ ხეებს ვხედავ ცის რიდულს, ავადმყოფ რასას, სნეულ სახეებს. სნებას თქორიანს ვინ ვადლოჩება? ილღურება სახანატორია. და შეღამება შორი ლექსიყით კვდება წამებით და რეძელქსიით.

მთელი ხაუკუნე მიდის

სასაფლაო და რკინის გზები. მკვლელობათ რიცხვი აღამიანის სასიკვდილო ხრიალით სტკებება ოჭროთი მოვარაყებულ რ სირცხვილი ერთი ოჯახის ისტორია. სხვაგვარ წარსულის მქონე ტრიალი სახანატორია... ეს მომავლადეის არის ხრიალი. ქალი, რომელმაც გაბედა. ომი უცაბედათ. ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ზემად არიან... მთელი საუკუნე მიდის სხეებისთვის მინდვრების საიდუმლო, მთების საიდუმლო სასაფლაო და რკინის გზები... ეს მომავლადეის არის ხრიალი.



რა ღრიანცელში ვიღოდა გემი

დაღამდა ნისლი ვადეკრა შარას, ტყეს დაეფარა ღამის ბლონდები
 მაგრამ ვახედვე მთების იარას და უსათუოდ მოვაგონდები.
 რა ღრიანცელში ვიღოდა გემი, რა საშიშარი იყო ტყე-ველი
 ყველგან, ყოველში მარბია ჩემი სულის ნაწილი შეუძახეველი.

წერილიდან მისადმი

როს გამეარღება ხელით სადავე, გაქრება სული და სისადავე
 როს იმ უფავილებს ცრემლებს ვათოვებ, ვთხოვ: სასიკვდილოდ ნუ მიმატოვებ
 როს გამიმეტებს ჩემი დიდება და საქართველოს ვაბედითება
 როს წაერთმევა სუნთქვა იმედებს, ვთხოვ შენი ხელი ნუ გამიმეტებს.

მაისმა ისევ მოიტანა ლაქვარდი ზღვები

მაისმა ისევ მომიტანა ლაქვარდი ზღვები
 მოგონებათა სიხარული და უხვი გრძნობა
 წამომყვა ზვირთის მშუოთარება და მზეთა დნობა
 თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები
 მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული
 მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური
 ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური
 ისევ სიმშვიდის სიხარულით შემორკინული

წყნარი ზღვა

ღრუბელი იდგა როგორც ფრევატი. ზღვა იყო წყნარი, ცა იყო ლურჯი
 მიმაქანებდა ოცნება ურჩი, ფიქრებთან, სადაც დადგა ფრევატი.
 ფიქრებთან სადაც დადგა ფრევატი შორს ცისარტყელას განოჩნდა ბურჯი
 და იმედების დაახლო ხატი. ღრუბელი იდგა როგორც ფრევატი.

მეგობარს

ღრმაა გულის ზიანი; დაიბინდენ ზრახვები.
 მაგრამ თვალცრემლიანი ნურვის დაენახვები.
 აზვის ეტყვიით საყვიდღურს, მაგრამ განსოვს, იცოდე.
 ხელი იმ წამების დროს რომ არ გამოვიწოდეს.
 გრძნობა, ბედი, წვალება, რასაც ძალა მქონია
 ყველა უცხო თვალების სისასტიკე გგონია.
 წამი სანთლად იქნება, მღვრიე, ცეცხლის ტოტება
 ო, რა მწარე იქნება ლელვით გამბოროტება.



კაცი, რომელმაც გაბედა

როლაც გრძნეულად და უცაბედათ—ამ წიგნში არის და მიხარია კაცი, რომელმაც ასე გაბედა და ის, რაზედაც ჩუმად არიან. ამ წიგნს არა აქვს არც ერთი ნაკლი, ერთია ქვეყნად მისი წყაღება. მხოლოდ შენ იცი, ძმავო ძვირფასო უცნობი ქუჩის იღუმალება.

როდესაც მთვარე ანათებს დღისით

ცაზე მსუბუქი გვიანტის ტვინი, თეთრი ღრუბლების მიგორავს ზვინი განათებული ნათელით მზისით, რა საოცარი ჩნდა მთვარე დღისით თვისით ჰქროდა ხევიდან ზენა—ქარი ნიავეთ მოქროდა მისით მარად მკრთალია ლაქვარდთა ფენა როდესაც მთვარე ანათებს დღისით როდესაც მთვარე ანათებს დღისით, და სიხარული სცემს გრძნობით თვისით არ არის ლამე დედამიწაზე როდესაც მთვარე ანათებს დღისით.

რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიოს ლეღვებს

რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიოს ლეღვებს
ვიცი: ახლოა ის, ვისაც ველი.
მას სამოსელი ბრწყინვალეების და გამარჯვების
მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის
დასცხრით ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით
მზე მოდის არა ერთი და ორი
დამშვიდდით, როგორც მე ვარ მშვიდი ამ მოლოდინში,

ლამე ხეობაში

თეთრი და მზიანი გათავდა დღეობა. ახალი გრივალი მთებიდან ტრიალებს ლანდები გვიანი აესებენ ფიალებს, სივრცეა მაღალი და სულის ტყეობა. იალებს და ჰქრება და ისევე იალებს. ასე რომ ჰკივიან რა უნდათ ტრიალებს? მომაკვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს გრძნეული ხეობა.

მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით

ვარდების ფენით ტრიალებს ეინი, მთვრალი ვარ შენით, მთვრალია ლზინი. ოცნებას შვენი, ვით თვალნი შენი, შოპენი, ვერდი, და პავაინი. პოეტის ახლო გედება ალი; იგი, უსახლო, გიცქერის მკრთალი მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ლვინით ჰგონიან მთვრალი

ავადმყოფს

შეხედე: ვარდნი მშვიდი თვალებით სძლებენ ნარიდნი მსუბუქ ძალებით ვარდები უფრო კეთილშობილი კვდებიან სწრაფი ვარდაცვალებით.

გაყვითლებულა მიდამო—არც შემოძარცული მთებით შოარე...
 ფაენმა სიცილით მოვლო მთა-ველი და არა ერთი მოკლა ყვებელი
 შემოდგომა... ტკივილი ჩუბი და ხელის გულთა ნაზი ქავეილი.
 ყვითელო, ჩემო ყვითელო ვარდო, ზთენილხარ მარტო, სრულიად მარტო.
 რითმების გარდა არაფერი მაქვს... რითი გაგართო? როგორ გაგართო?

თუ ბრძოლა არ არის.

თუ ბრძოლა არ არის... ანაოებით, მათ ენატრებათ ისევე ძველი
 ფანტასტიური საღამოები... „ვიგონებ... ველი“.
 მრავალ სახეზე არის ობლობა, მრავალს აძფოთებს რაღაც მონობა:
 როგორ შევიძლოთ უღეთისმშობლობა? ვით ავიტანოთ ღმადონობა?
 გაქრა ზმანება, გაქრა ფერია. ნუ თუ ბოდღერიც არაფერია?
 შელოიც ჰიუგოს დაეგვანება? მიუსსე? ვერლენ? ლმერთი? კაინი?
 აჰა, ქალაქთა გვიანი ხებით ბურუსებში სჩანს აინშტაინი.

მატარებელში

მთები აჭრელდა როგორც ეირაფი. მატარებელი მიჭრის—ბინდებით
 ეხლა იწყება წიფის გვირაბი. თქვენ ხომ არაფრის შეგვეშინდებით?

ადრიანი გაზაფხული

როგორც შეთქმულებს ჩვენ არ გვაშინებს რომ არ ეტყობათ რტოებს რტობა.
 სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს სხვა მარტობა
 გაზაფხულია მაინც ასეთი, კეთილი, როგორც კარგი ხარება
 ახალგაზრდობით მოკისკასეთი ახარხარება.
 მალე გადნება ყინული ლოდის, მტკვარი ღრიალებს ტიფების ტყვით
 ამოდის მთვარე.. ჰეი ეინ მოდის? ხელები ზევით!

ბინდი ღამისა გაჰქრა

ბინდი ღამისა გაჰქრა ვით მოჩვენება მკრთალი
 აღმოსაფლეთმა გაჰქრა ყინეებს სხივების ალი.
 ხავერდოვანი მდელი, ხავერდოვანი მთები
 გატანილია ლელი და ალტაცებით ვთვრები.
 ო, რახიარად ერთო სულს გატაცებით ქროლა.
 მადლობელი ვარ მაინც, რომ განვიცადე ბრძოლა.

ვარ გენია რიმანელი

ვარ გენია რიმანელი მესმის ჭართა მჭუხარება.
 მეფინება წვიმა ნელი და დემონის მჭუხარება.



დავიწყებულ სიმების გვარ ფერით ოხრავს ვილანელი
მე მდუმარე გენია ვარ... და გენია რომანელი.
ყრულ ვუსმენდი ლიუციფერს, ის ბრძოლაში მივანელე
ვემობ სამაოვს და სიბერეს მე, გენია რომანელი.
ვარ გენია რომანელი მესმის გულთა მქუხარება
მეფინება წვიმა ნელი და დიდების მწუხარება.

რა დროს რომანხროა?

გაცრეცილ და მტვერიან ცას სინათლე კლებია.
ყვავილებზე მღეროიან... რა დროს ყვავილებია?
ცაზე ვხედავ წეროებს თითქო მწკრივი ღეროა.
მღერენ რომანხროებს... რა დროს რომანხროა?
წყარო ხევი ვალაღებს: გაქრა გივი ოცნება
კოცნი მე შენს დალაღებს, მაგრამ რა მეკოცნება?

პირიმზეს

მთელი ღამ ერთი ოხვრა ექსპრესის. გახედავ: ძველი ციხე-ტაძრები
გაბზარულ ზარში არავენ კვნესის: ეს ქარი ჰკივის და იკაწრება.
დილით სერებზე მივდივართ ცხენით, აქ ვერ მიატანს ზარი ტრამეიას
მე სიბარულით და გულისტკეხით ვემშვიდობები მშვენიერ მაისს.
მთებზე ნისლები არის ფენილი, და ყვავილები თვითულ სიმზე
სისმრები ასე აუბდნელი და მწუხარება შენი, პირიმზე.

მაინც დავიმსახურე

მთვარემ ღამემ გაათია, კრთება შუქთა დინება.
ღამის სამი საათია. შენ კი არ გეძინება.
გავაცურეთ საღლაც ნაფი სავსე ლურჯ ექსცესებით
შეგაყვარე კიდევ თავი ამ უბრალო ლექსებით.
უფინება გზებს სიმებად ლალთა ცეცხლი, საყურე
შენი კარგი გაღიმება, მაინც დავიმსახურე.

წარწერა წიგნზე

ზნობის სიტყვა ყრმას თუ შეფერის: გამოცდილი და შეუდრეკელი
სხვაგვარად ისმენს ოხვრა ბებურის, როგორც ნაზღვილად ამბობს გველი.
მეორე სიტყვა არით არეობს და შეგნებამდე მიყავს მთელივე
რომ ყოველივე მიმდინარეობს და იმავე დროს ღვას ყოველივე.
წმინდა ხათელში, ამბობს გველი, წმინდა სინათლის დიად ბადეში
ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყედიადეში.
შეღვება ფიქრი თეთრ აკლდამაზე გაუნელებულ ცეცხლის, ნაცარის.
სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე.. ლოგოსი.. აზრი მისი, რაც არის.



ქართველი
წიგლიერთა კავშირი

გაფთვრებული რომ იყოს ღომი

გაფთვრებული რომ იყოს ღომი, მკაცრ თვალთაცქერას გაიქცეს ვერსით და გაგიწვება ფეხებთან კედომით, დამონებული მშვიდი აღერსით. გულში ტროპიკის შუადღით ცხელა, ოცნება მიჭრის ველურ ცხენებით და მოკლულია ყოველგან ყველა, — დაუნდობელი ვადატენებით. ცხოვრება ბედთან ვადიჭკვა ბრძოლად. სულს კი მარადის სულს ციერება. გამარჯვებათა მე ვიგრძენ მხოლოდ ეს უდიდესი ბედნიერება.

ჩვენი დრო ისევ ჭუსთაველს ელის

ძველ სასახლეში ვეფხის ტყაფებით ფარავდა ვინმე გობელუნს, მანდილს. შევხონდა იგი ფერაყვავებით აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს. ელავდა როგორც შმანება წუთის ზურმუხტი, ლალი და იაგუნდი ძველი ნანგრევი ენაზე გვეგუთის და, უხმო დროო, შენ მომავონდი. გამაჩნდა მალალ სვეტთან თამარი, რეტროსპექტიკი, ლანდივით ჩუმი გამშრალთა ცრემლთა ნაწამწამარი, მიეფინება შთელი საწეში. არაბეთიდან მოსული მონა დვას, მოიტანა შორით ქარისი და სპარსეთიდან ლექსების კონა, მიზოდის როგორც ტოტი ქარისი. შორეულ დღეებს მახლობლად უზის მცოდნე ჰაუიზის, მცოდნე ვახულის ცივი ოცნება მხედავს აუზის. ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის.

მე არა ერთხელ მქონია ფრთები

მე არა ერთხელ მქონია ფრთები თავბრუდამხვევი სიმალით მჭროლი ლურჯი ტრიალით ბრუნავდენ მთები და ირყეოდა ლაივარდი ბროლი. და არა ერთხელ მიგრძენია მაშინ, რომ ის მიწები სხვა მიწებია დამეიწყებია მოწამლვი შხამით მაგრამ კივილში გამღვიძებია. ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად, ომში მინახავს ცეცხლის ვარდები ის სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად: არ მავიწყდება ის ლაივარდები.

იქ პოეტების ფრიალებს დროშა.

ზღვაში ვადვისვრი ბედითი ბადეს რომ ოქროს თევზი მოყვეს ცბიერი მისი დახახვა მრავალჯერ სკადეს, მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი. ზღვაში ჩაეიგებ საოცარს ანტესს, აპა, სირყანს ამოყვი გული იგი მომასმენს მშვენიერ ჰანგებს და მე ნამდვილად ვარ მოხიბლული. დღე გაუღებთილა ქროლვით მზიანი, საღლაც, სხვა მხარეს ვადანატანი ზღვა დღელავს ისევ ხალისიანი, დღე ელავს როგორც ცეცხლის მადანი. მისკურავს გემი. ტრიალებს ზვირთი ჩვენ გაყაყოლეთ ხომალდებს კვალი იქ პოეტების ფრიალებს დროშა. და დროშებს შურით გასცქვირის თვალი.

რაც იქნებ—იქნეს.

როს სიბნელეა და გზას ვერ ვიგნებ, მენატრებიან ფრთები თეთრები მაინც არივის არ ვევედრები: ვხა გამასწავლეთ, ვაეიღე იქნებ



იქ სასიკვდილო მახვილებს იქნეეს ყველა წონჩხები, ყველა ცხენდობა
მაგრამ არც კენესა, არც დაყვედრება: წინ, გაბედულათ! რაც იქნეს, იქნეს.

ერთი გავარდნილი კაცი

აშრილდა ნეშო ტყეში, წამოვიდა ციდან თქეში
ო, ასეთი სიხარული არ მიგრძენია მე ჩემს დღეში.
გადმოვარდნილ წვიმის სვეტებს მზე ღრუბლიდან შუქს უმეტებს
აელვარდა ცისარტყელა, სჩანს რომ ბედი არ მიმეტებს.
რა რისხვია თვალწარმტაცი, ამოვარდა ქარი მკაცრი
მე კი ხეებს ვეფარები ერთი გავარდნილი კაცი.

დადგა აგვისტო

დადგა აგვისტო. ცა რიდეული დაისიცხება ისევ დილდით
ქალაქს ედება მზე თვითიული ყაყაობებით, ტუხტით, პილპილით.
ისევე ჩქარი და უძლეველი ვიცი რადა ვარ ასე ქარული
ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული.
ეს სიხარული დააცხოობს გოლფას და გაგიყვებას უფრო უარესს
სურვილი ისევ უშენს რევოლვერს, ცას რომ ღრუბლებმა გადაუარეს.
ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო, მე ალტაცების ზღვაში შეველი
აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

ფანტასტიური იმპერატორი

ჰაერი, საესე საღაშოს ყინვით და მოვარდნილი ფიქრის გორები
ილანდებოდენ იღუმელ გრგვინვით ფანტასტიური ორატორები.
და მიტინგები იყო მრავალი. იქ აღის მონა—ტორეადორი.
თავდავიწყებით ნისდევს სიერცეებს ფანტასტიური იმპერატორი.

რუს პოეტს

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის.
ჩვენ სიერცეებში ვართ თანაბარი, პალადინები ერთი იმედის
თითქო ერთგვარად ხელავდა თვალი დაბინდებული ნისლით და ყინვით
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი: შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.
მიემართავ ბალმონტს, მიემართავ შელლის რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული
უდაბურება კალუგის ველის და მწუხარება ჩვენი, ქართული.

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლის ბავშობიდან ვარ მაყურებელი.
აჰა, გაიხსნა ლაქვარდი ბროლის, მზე უდაბნოს მახურებელი.



მზეებო, ღრუბლებს სხივებით ვარცხნიო. მზეებო, რამდენ ალივად გეგმე
 მზეები მარჯვნიო, მზეები მარცხნიო.. რამდენი მზეა, რამდენი მზეა
 ერთნი დასცქერენ ცის სიმალიდან, ჯოჯოხეთიდან ცას—მეორენი
 ანგელოსები პირველი ვერ ღლიდენ, ვერც დანაოჩენებს წავი ყოიანი.
 არავის ქვეყნად მე არ ვცემ თაყვანს, მაგრამ ერთია ორივე ჩრდილი
 თუ ანგელოზი გირწევდა აკვანს შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი.

ვისმენ დანატრულ ხმას

ალეა მწერელსა ხრის ნაზი ტანივით სწორს
 მთიდან ხიფი ქრის. შორს, უბოლოოდ შორს
 შევხვდით ისევე ჩვენ, გზით მიმავალი გზად
 კვლავ მოგონებებს მფენ, მაგრამ არ ვიცი: რად?
 მზე გიოქროვებს თმას ვით მონიავე რულს
 ვისმენ დანატრულ ხმას და ვერ ვიმშვიდებ გულს
 ფრთხილად აღული დღე კდება დასავალ ცას.
 გარინდებული ტყე ფიქრობს არ ვიცი: რას?

არ დაღუპულა.

მე გაღვიარე დღეს ჩვენი მთები ჩვენი მაისის წკრიალა წყარო
 შენი ნაზი ხმა და ოქროს თმები.. დაუვიწყარო, დაუვიწყარო.
 მე მომეხვია დღეს ჩვენი ქარი გადაქცეული ცად და მიწებად
 ქრის გახაფხულის ნიატვარივით ვნებათა ადრე გამოღვიძება
 არ დაღუპულა! ისევე იქავე სდგას ასწლოვანთა ხეთა ჩერება
 გულთ სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება.

წარწერები

ო, ქალო ძვირფასო, ნაზო ვით ფერია
 მრწამს მხოლოდ მაისი, არ მრწამს ისტერია.
 და ან ყალბ პოეტებს ვინმე ედავება?
 არ მინდა, ბატონო, მათი უკვდავება.
 ან ტომებს ბრიყვისას მე რა წამაკითხებს
 ისედაც კარგად ვქრი მსოფლიო საკითხებს.

შემოდგომის მოტივებიდან

სიცივემ ნაძვებს ძონძი გახადა, მოვიდა ნელი ქარვის ფერები
 მკოთალმა მზემ ქაობს გადაახატა გაყვითლებული ალვისღერები
 სულში სიმშვიდე არის ისეთი თითქო დროებით ართმევს დროებას
 ამ შემოდგომის სიმასეთი მოცემულ სითბოს და მყუდროებას.



წამი წამს ეზიდება

ვხედავ წამთარის ძონძები ხეებს ჩამოგკონა
 მე კი ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგობრა.
 ყველაფერი გათავდა, წამი წამს ეზიდება
 რა ამოთ ყოფილა წუთისოფლის დიდება
 ყინაეს. ისევ ღამეა. მოდის შიშა შორევი
 რა ამოთ ირევა წუთისოფლის მორევი.

ქალავ!

გულს, ოცნებას მალავ. ცაო. ღურჯდება ზოლი
 ვაგი:—დაიცა ქალავ! ქალი:—დაგებოდა თოლი!
 შორით ბრუნდება წყალი, ნისლი იცრება შთაში.
 არა:—ჩურჩულებს ქალი.—კარგი!—ამწვიდებს ვაგი—
 თუნდა წაიყვანა ჯოგი, კიდევ დაწარჩება მრავალ.
 ბროლ-ლიკილასაც მოგი, როცა ქალაქში ჩაეალ.

გზად ეშურება მგზავრი

გზად ვეშურები მგზავრი. ტყეს მიფენია თებო
 ჩემი სალაში მძლავრო კავკასიონის ბთებო.
 დარიალიდან გუშინ ღვარმა მოყარა ხერგი
 სალი კლდეების ღრუში მღვრიედ გრგვინავდა თერგი
 გაქრა ფიქრების ზეფი, მზიან ამიდსაც ველი.
 მთიდან ჩამოდის კრავი, მთისკენ მიილტვის შველი.

შუადღის გულმოდგინება

გულმოდგინებას შუადღე იჩენს იფენს რა ენებს ვით წითელ ინას.
 იწყებს ათასი კრიკინა კრიკინს და ჭეხაქნის ჭაერს, გაბზარულ მინას
 გახუწყვეტელი მათი კვარტეტი შუადღეს ათრობს მაისის ღვინით
 ცის უღმობელი მშრალი ვარდეთი გადაფარულა თეთრი პინგვინით
 და დასავლეთით ანთებულ ფერადს მალე სალამო აავსებს ღიღით
 ჩემი სალაში ახალ ქიშერას, თვალებამღვრეულს დასიცულ ძიღით.

მოგონება ჩვენი ქალისა

სალამოს ხანად ჩალანდრის ცხენი მე მაგონდება გორებს შორებელს
 ფშანში ლანდივით დაცქერდეს ხენი ბინდრს მეგობარს მოუშორებელს
 ცამ მოგონება გადუხალისა, მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები
 ეს იყო ქარი ჩვენი ქალისა და შემოდგომის ჩალისღერები.



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

ძველი ხელები წყდება კალიძოსს

მოვიდა ვილაც ცეცხლივით ზანტი, გადაულოცა გზას ამიდგინი
სადღაც წყვილიდში გაჰკრა ასანთი და ააფეთქა დინამიტენი,
აეარდა ალი, მთები იწვიან, აღმა შოთთიას ზღვას მიუწია
ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია და დროს დააოქვა—ოველოლუცია.
ძველი ხელები წყდება კალიძოსს. მიქრის მერანი ამოკალიძოსის.

მოგონება ურუ შესახვევის

უსაზღვრო ღამე, ღამე და ყინვა. ქუჩაზე მიდის სისხლი ღვირული
ამ სისხლში არის არა დაკინვა არამედ სითბო და სიყვარული.
სინჟით, შიშით, ვაგლახით ყოფით—ქუჩა და სახლი, როსმე მდიდარი,
ურუ შესახვევში დამდგარა თოფით ვით მოდარაჯო მოუსყიდარი,
უჯვირის ქალაქს: ხელები ზევით! და ისინი კენესა: შეჩერდი, ბნელა!
ცეცხლის შორევი მოეარდა რღვევით და მის შორევი შეეკურდა ყველა.

მშვიდობიანი სიმღერა დების

იფინებოდა ზღვების საბური ტალღათა შორის ნავთა მშოსავეთ,
გამოქროლება ზეინბური და სილაეკარდე უდაბნოსავით.
იფინებოდა ნათელ დღესავით ალერსიანი შუქის ფერება
ვადაკარგული და ნათესავი ძვირფასი დების ხმით ამღერება.
იმ ხმით ნათქვამი თეთრი გედები უმსუბუქესი ნისლით ფარული
ისმოდა როგორც შორი ედები და მზარევი ლეგენდარული
სალამოს ქარში ქროდა გონება, ღრუბლებში ქროდა ფერი ფარტების
ისმოდა გიმნი და მოგონება ჩემი ომების და გადარჩენის.

იქით ნუში აქეთ ნუში

იქით ნუში აქეთ ნუში დახეთქილი ბროწეული
ისეც აღუჩების ბუში და ატმების ძოწეული
გადაუვდე ნიავს ყელი, სიო მოქრის შებინდების
მოისმინე წინანდელი გაეგრეოლება სიმინდების.
შორით ელავს ჩვენი თეთრი კოშკის ძველი გალავანი
წინაპართა ჩვენთა ზვედრი მათი მიწა და საეანე
დავუბრუნდეთ. უნდობარ სულს თითქო კარი ღარაზოდეს
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს, არც მე მკითხავ არასოდეს.

ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი

ის იყო შვიდი წლის ბავშვი. მაისი. მინდორი. ჩიტო
სიმღერა ოქროსფერ ნავში. ზეცათა ლაგვარდი ჩითი,
ო, შვიდი.. ო, შვიდი წელი ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით
მოცარტი, შენიე, შელლი მოზავედენ ახალი ზეავით



გავიდა კვლავ წელი შეიდი იმ ნაევებს თან გაყვება რულიკი
 მშფოთარედ ვადიქცა მშვიდი, გემების გამოჩნდა სული
 დაიმსხვრა გემების წყებაც. ზღვა ქუხდა ბურუსში შავში.
 ტალღებმა გააბეს ყეფა, ტალღებმა წაიღეს ბავშვი.
 ბრძოლისგან დაღლილი სახე და ტყვია ჩამჯდარი თავში
 მე თვითონ დაქრილი ვნახე, ალუჩა, შეიდი წლის ბავშვი.

სალამო სოფლად

გზას ვერ პოულობენ მწკრივი წეროები, გზას ვერ პოულობენ წელი ნიავეები
 ოდნავ ირხევიან ისლის ლეროები მთების შეღამებით მონაიავეები.
 ყელი შეღანდება გადასაკონელი... რაღაც მომაგონდა, რაღაც დამავალე.
 გზებზე მიმავალი ბლავის საჭონელი და ცას ენაზება შუქი დამავალი.
 მღერიე ხაზოებში სძინავთ სანაოებს. შენ ხომ არაეისთვის არ ხარ შორებელი?
 ისევ სიხარული. მაგრამ ამაოა მოდის მეოცნებე გაუსწორებელი.

დროის უარყოფელი

ღამის ფოთლებმა დაფარა მთები და ძილს მიეცა მშვიდი - სოფელი
 შენ ისევ ისე ბუხართან თბები ახალი დროის უარყოფელი.
 შენ თან წაიღებ უცხო გრძნობაში ჯერ ყველაფერის უცნობ ფერებით
 ტყვილს, მონახულს უარყოფაში და სულს დადალულს ეფემერებით.
 მაგრამ როდესაც მიხედიდე შორეთს, გზაჯვარედინზე მე იქ დამიცა.
 გავიყოთ. გკონდეს ცა უმორეგო, მე კი დამეთმოს ეს დედამიწა.

აფიშა, როგორ...

აფიშა, როგორ უაზროდ გკემდა წვიმა და ქვიშა
 უცნობთა ზვირთთა. შორეულ გემთა დიდი აფიშა.
 მწარე შურისგან თვალები ბადრი ვადიქცა თალხი
 თითქო ყირაზე იღვა თეატრი და ქუხდა ხალხი
 შენ აამაღლე პოეტის ტახტი, დამკვიდრდი შიშად.
 შენ ისტორიულ აფიშად გახდი, უკვდავ აფიშად.



ო, გადავეშვათ უფიქრებლად

ო, გადავეშვათ უფიქრებლად 'ხლეების თამაშში
 ნუ გეშინია, არ დავკარგავეთ გზას აკლდამაში.
 ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული
 ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ ჩამორეული
 ათას სიტყვაში მხოლოდ ერთი მწუბარეს ბაძავს.
 რალაც კარგზე და მშვენიერზე ატარებს ძაძას.
 ვეძებ ამ ერთ ხმას, ამ ერთ სიტყვას უნდა მონება.
 მასზე ატარებს ძაძას ჩუმი გამოგონება.

მივდიოდით ალაზნის ველად

დაფიქრებული მივდიოდით ალაზნის ველად
 და აი თვალწინ გაიშალა ლურჯი იორი
 მიეშურება ველთა შორის გაწოლილ გველად
 უფრო დიადი არ მინახავს რამ მაგიერი
 მაგრამ შვენებათ ციურთათვის მე არ მეცალა
 ვეშურებოდი თელავისკენ რომ გაძარცული
 ციხეკოშვიდან საბუთავი გადამეცალა
 და ნახვრევებში დამენახა ჩვენი წარსული.
 ვბეტილობდი მთელი ღამე განწირულებით
 ჩუქურთმა თითქო სიძველეთა იყო ხუნდები.
 შორით მოსჩანდა დალესტანი ნისლის ქულებით
 სამი დღის შემდეგ ისევ ტფილისს დაუბრუნდები.

ყვავილების ქალი.

როგორც საღამო მკრთალი სდგას ყვავილების ქალი
 ელავს ჩამავალ მზეში იაგუნდი და ლალი.
 თვალწინ ეშლება მცხრალი სასაფლაოთა კვალი
 აი სამარეთ წყება და დახუჭული თვალი
 აი, ოდესმე მთვრალი—ებლა ჩამქრალი ალი
 აქ განისვენებს რწმენა სწუხს ყვავილების ქალი.
 სწუხს ყვავილების ქალი, სწუხს ყვავილების ქალი
 ხედავს დამარხულ იმედს და ებინდება თვალი.
 იყო მარადის მკრთალი, მისი ცოდვა და ბრალი
 აქ ძველი ხანა მოკვდა: სწუხს ყვავილების ქალი.

ლოცვაზე უფრო

ახლოვდება შორი მგზავრი, გზა სივრცეში გროვდება
 ელექტრონის სუნთქვა მძლავრი ჰაერს არ მოშორდება.
 აფეთქდება უცებ გაზი და კივილით შედგება
 რომ ლოცვაზე უფრო ნაზი იყოს ეს აფეთქება.



გეორგიანული
წიგლისწამბის
კავშირისა

სიხარული ბრძოლაში

თვალებს აღარ უჭრება ცეცხლიანი ბუგრები
ვიცი რად შენურობა, ვიცი რად ვენურობი
ციდან იასამანადღე ღამე უცდის აღიონს
ვეუბნები დამნებდეს, დაცხრეს, მოინანიოს.
კვლავდე, სიხარულით ვღებავდე -- მაინც უნდა შემგებს
მაინც გათენებამდე არ ვგოძაობ უღდეგობას.

ტფილის სძინავს შიშივე ძილით

ტფილისა სძინავს შიშივე ძილით, მხოლოდ მტკვარი ხმაურობს
ვარსკვლავების თეთრი თრთვილით ქარს სურს გვამოგზაუროს.
და ქრიჭიაა ჰაერს ბზარავს. შკათათევა. ლანდები.
არც ვოცნებობ, არც არავის ხოუნეას ვუგვიანდები
სულში კოშკი არ შენდებია, ეხლა აღარც ღმერთია
საცა არის გათენდება: ყველაფერი ერთია.

შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან.

მეოცნებესთვის ბედმა მოზიდა ახალი ქარი ცვალებად-შქროლი.
შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან ეფეძერებაში ხარ ასროლილი.
შენ საიდუმლო გადასაგები უფრო ვიტაცებს ნისლში გამჭრალი
ვინემ ახსნილი და გასაგები სიბრძნე დიადი და სიტყვა მშალი.
შენ მელოდიას უფრო იგონებ საქართველოზე თქმულს მზიერებით
ვინემ წიგნების უღრმეს სტრიქონებს ვერდატეული მეცნიერებით
სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს ვინემ დიდი მსჯელობა
დღის სინათლე კლავა ღამის სიქადეს და სიყვარულს კი მკეუმე ტყველობა
და ერთანტელით ისე ვით ბავში, შენ საუკუნე გიცქვიის შიშით
მიექანება ის ბრძოლის შეავეში ფხიხელი მიხნით და ანგარიშით.

ილიშებიან სახლები

ვარდებში ქარი ფათურებს, აფეთქებულან ბაღები
დღეს აღარ აქმადურებს გულცივი, წყალწასაღები.
ილიშებიან სახლები -- გაქრა შიმშილი, სიცივე
დამშვიდებული ძაღლები ქუჩებს ერთგულად იცავენ
ყველამ იპოვა საფარი -- ვინც ეხლა უმეზობლოა
გაქრა წარსული ზღაპარი, ეხლა დამშვიდდი, მსოფლიო.

ცაცხლი

გადაბიბინება, ცეცხლო, შენშიერი. ალთა ხვეულები სოფლებს მიანებეს
ქეყნად იფითრება მაინც მშენიერი მკვდარი სხეულები ადამიანების
ხმრბით საშენელი, თბრილში ჩაჩრილები ნისლი მოვრგებია სახე-ფითრებული



ესლა საშინელი გროვა დაჭრილებს თითქო მორგებია დასამარტოებელი მინდვრის ბალახები, იგრძნობს აღამიცა, ამეტისტებიან ხეთს მწვრთნაქსაქსა მოღის ქალაქები, მოღის დედამიწა, სადაც იზრდებიან რკინის ლეროები მაგრამ.. საათია: ხანა აღრიანი დაღლილ მოსანგრეებს სძინავთ დალაგებით სამოცდაათიან სანტიმეტრიანი თ მინვრ-მოანგრიეს იგი ქალაქები. ველი ქალაქს იქით, ომით დაირღვა-რა, ერთი მეორეში წვიმით იცომება განა სისასტიკით რაც აქ დაიღვარა სისხლის მორვევები, გამოიზომება? მზეცი თოკიანი დაჭრის უვნებელი ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი, დაღამ ოკეანე დაუსრულებელი.. ეს ხომ ცრენილება... მაგრამ ესოდენი?

უბინაო ბავშვები

დღეები თოვლით გადაბადება და როგორც თავზე ხელის აღება ფანტასტიურმა მოჯარა გემმა ბავშვების გროვა, მთელი ბოგემა. ო განწირული და დაღუპული. ო უბინაო, ფეხო, ჭფულო. არც სამოსელი, არც ხელთათმანი, ფეხსაცმელებში მთელი ბათმანი თოვლი და წვიმა. ღრმა გულიცემა... ბოგემა. როგორც წვიმაში ნახს სუბნული იგი დგას ცრემლში ანაწმუჭული ძალღებცი მათ ბედს არ შენატრიან მაგრამ გაისმის დილადრიან მათი თამაში, ხმაური, ცემა. იერიშებზე მიდის. ბოგემა.

ეჯახებიან პლანეტები ერთი მეორეს

რბიან დღეები. სული დაემებს უშორეს ხაზებს სიფრცევეს მხეთა უშორესთა სპექტრო ანაზებს მე ვცხოვრობ გულით შეფოთიანად მცემარეთ შორის. რომელმაც დაგმე სიმშვიდეთა მკრთალი სახება იქ სიმძაფრეთა და შეძახება: ეჯახებიან პლანეტები ერთი მეორეს.

სულ ადვილია რწმენა.

გავს შემოხაზულ ვახას შებინდებული ქერი სად მცენარეებს ხახავს სწორ ირისების ფერი სულ ადვილია რწმენა და დაჯერება იმის: არის ვაოდების ფეხი, ფენა მთვარეულ წვიმის. მოვა ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის. სულ ადვილია რწმენა აუბდენელი ზღაპრის

მხოლოდ ბრძოლების ხურვილით ხავსეს

მხოლოდ ბრძოლების ხურვილით ხავსეს დედამიწისთვის რა აქვს დასათმეო ხანდახან კლდესაც ედება ხავსი: ზიზლი მარადი და ყველასადმი. ო, ყველასადმი! გრძობით ასათვის ხმათაგან ესმის გველის სისინი.



ქართული

ყველა მისთვის და ის ყველასათვის უცხოა. მაგრამ სძლევს მხოლოდ როდესაც მას ვხედები, ძველი გრძნობით გაღვებთა ვული რკინისა გამახსენდება უდაბნო ვრცელი და სიამაყე ბედუნისა.

ორად გაიპო წითელი კლდე

ორად გაიპო წითელი კლდე, ავარდა რაში
წითელი რაში წითელი გზით, წითელ უნაგრით
წითელი კაცი.
მოახტა მერანს, გაიარა წითელი შარა
აპა, გამოჩნდა ზღვა წითელი, როგორც მარჯანი
შუა გააპო წითელი ზღვა.
ჩაპუო მის გულში სისხლიანი ხის ყაყარჯენი.
ზღვიდან სიცილით ამოიღო წითელი გველი
და წითელ გზაზე გადააგდო უზარმაზარი
ციდან წვეთწვეთად მოდიოდა ცეცხლები მწველი.
და მძრაერდებოდა დედამიწის ომი საზარი.

გადავიარეთ მრისხანე ზღვები

შხის აღუბლებით სავსე მტევნები გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად
მახარებს ჩემი თავისუფლება—და სიყვარული მახარებს მარად.
გადავიარეთ მრისხანე ზღვები, ქარიშხალის და ზღვის მონებაში
ვატაცებები სხვები და სხვები იფანტებიან მოგონე აწი
და მიიზიდენ მძლავრი გემები ვით ცხელ უდაბნოს ქვიშიან ველად
სიზმრები, ჰალმა და აქლებები, რაღაც მძიმედ და განუძრველად.

გრივალს. ქარიშხალს ესვამთ ამის შემდეგ

ბომალდს, ქათიან ქარებში მავალს: მან მოიტანა ოცნება დღემდე.
იგი გრივალს გადურჩა მრავალს: გრივალს, ქარიშხალს ესვამ ამის შემდეგ—



შემოდგომის უცაველები

სალამო ნახსოვს კარივით წუხდა, ამ ხმაში იყო ფარული ღარდი.
დაფნა და ვარდი მოჰქონდათ ქალებს, შემოდგომების დაფნა და ვარდი
მე კიდევ წავალ. მე კიდევ ვივლი. გათენებამდე უნდა ვიბრძოლო
აზა ერთი მსურს ვპოეო უცაველი და დამქნარები გადავიხროლო.

ბალახები.

ისევ აუწვევინ სურნელებას ბალახნი ველად,
მაგრამ არაინ მათ არ აგროვებს შესალოცველად
პარტახი. გზებზე იფინება შქერი, რა გინდა?
ვანებში ფშატა გადაბიბინდა. და წყალი წმინდა
ათას შხამიან ბალახებით გადაიხატა.
მაგრამ მე სულ სხვა შთაეისუნთქე ხალისით ზეცა
ვარდის ღრუბლებად სიერცეზე რომ გადაიღწეა.

მთვარე, კაში.

დაღლივით ხეზე მიწოლილა მოხუცი რაში
ნის წინ დევენი იღვრებენ ეშვებს და დინგებს
და თეთრი მთვარე საიდუმლოდ ჩასული კაში
ვანცვიფრებული უსურადებს მიმავალ კინკებს.
ამ სიჩქმეში ვინ დათვალოს გზანი ჰუნენი?
აქ წარსულშიაც და მომავალშიც
წერდებიან სიუქენენი.

მუხები

ვახები გახმა, აღარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს
გადაუვლია აქაც ქარტეხილს.
მაგრამ შეხედე: ძველისძველი დგანან მუხები,
რაც ბერდებიან ემატებათ თითქო სიახლე.
მომაკლისათვის სიახლე აქვთ ბელწეულები
ახალ ქართათვის აგებული მძღაერი სისახლე.

ქაჯები, ალები, კინკები და სხვ.

გაქრა ლანდების ქარი მრავალი: ხარხარით ტბიდან ამომავალი, აღი მომ ღლიო
ქაჯებს არ მალავს მსუბუქი ჯავი, მგზავრებს არ უცდის სული ვერავი მდინარის
ახლო
კინკები მცირე ეშნაკის ტანის, დასაბამიდან მტერნი წმინდანის, არ იქპარიან
და არ დაქრიან როგორც ზღაპრები, ცოცხები, ბზები და თავსაფრები ლამეს
მთვარიანს.



ფრთხიანთა გროვა ილღის წამლით არ ტირის სოფლად ნუქენ ნუქენამლით
 და ავი თვალის შელოცვით მკვდარი, არ უცქერს როგორ ელავს საყდარი
 უცქერთ კაობში ცვრით დანამული აღარ გაისწის ეს კრიამული: გაპქრა ზაბაში!
 არ სწვავენ ფიჭვებს, არ სცემენ ზარებს, გამტყდარი ზარი არვის აზარებს
 გათენდა, მორჩა. დაიწყო დიღამ სხივების თოვა
 და გაიფანტა უსივრცობაში კინეების გროვა

ცხოვრება ჩემი

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ღვრია
 იგი ელვარებს საბოლოოდ დაშრება ვიდრე
 მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე
 თეთრი დღეების ისე ისე მიმყვება დასი
 თქვენი, რომელიც გატაცება. . . ნოლოდ... ეინია.
 მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.

აუჩქარა ცხენმა გზაში

აუჩქარა ცხენმა გზაში, ქივერებმა დაჰკრეს ტაში
 დაიკვილა ელვამ ცაში, და ღრუბლები შეაჯერა
 აბა, ბრძოლა დაათივე. ნაპოვნია მზის სათავე
 დაუჭირე რაშს სადავე. ხედავთ? იგი შეაჩერე.

ზამთრის მოტივებიდან

ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა ხსენება
 იქ სადაც მეფობს მისი ძილი და განსვენება
 თოვლზე უაუთარესს მე არ ვიცი მას რა დაეარქვა
 იყო ახალი ყვავილების ცეცხლთა აქარგვა
 და იგი ნოლოდ ქვეყანაზე დარჩა წარმართი.

წიწამურში რომ მოკლეს ილია

წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოხა გათავდა დიდი.
 ძველი სიმღერა და იდილია, თანტასტიური გამოჩნდა ხიდი.
 მოქონდათ წინად პასტორალები ბაღთა მნათობით ვადამოვრება



როგორ ოხრავენ მათზე ქალები, რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება
 დრო იყო: ომით აღსახველი დღეებს იმედი ესაკიდება. **გეგლიჩიშვილი**
 რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი დიდება.
 დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი. ჩემთვის სიხარებაში უცნობია ჯერ
 მოვიდა წვიმა, ქარი, დალანდი და მთელი ხანა წიგნის: „Crain aux lieux“

ავერა! აჰანდე! დახასრული!

ავერა! აჰანდე! სულის შემხუთავი ქარი, უწყალოდ კენესის
 დასასვენებელ კუთხეს ეძებს თავგადაკლული.
 მიაქვს იერიში, მედგრად ეხეთქება რომ შერკრას და შეინგრიოს.
 ბზრიალებს თითისტარი... ავერა! აჰანდე! ნაკვერცხლებმა გადიკრეს ფერთლი,
 „დაილოცა სოფელი: სოფლის უირიმე! რაა ქალაქი?
 ქალაქი? მჭამელი და მაინც მშიერი. ავერა! აჰანდე!
 ბუხარში ცეცხლი გრიალებს. ისმის სიმღერა:

კაცის გული ისეთია
 ვით მორვეი შავი ზღვისა
 რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს
 მაინც ენატრება სხვისა.

გამგზავრება სოფელში

მალე ექსპრესი გვირავს გაივლის
 და შეუდგები აღმართით გორას.—
 მალე ქალებში ვეწვევი ივლისს—
 ვნახავ მწვანე მოლს და ყანის მორადს.
 დიდი ხანია სოფელს დაეშორდი!
 და შეაღებ მუდამ მყავდა მცველებათ:—
 ფართე ქუჩებში კვილი „ფორდის“
 და პროსპექტების სიწინელება.
 მაგრამ მე ვნახე მთების სიმაღლე
 და ვსთქვი:— დღეს მე აქ აღარ მაქვს ბინა—
 სოფელს სწყურია სულ სხვა სიახლე,
 ის აღარ არის რაც იყო წინად.
 გზა მიდის სერზე ქვეიდან ზევით:
 იი ცაცხვები, გაშლილი ზვარი.
 რა მხიარულად ხმაურობს ხევი—
 ყველგან დაღვრილა მზის ნიღვარი!
 როგორც მირაქის უცხო ზმანება
 გაპყვრიან ქედებს ნისლის ნოხები
 და უეცარი ატორტმანებით
 ძირს ორბებივით სხედან ქოხები.
 თითქოს ღმუილი დაქრილი მხეცის
 ეჭრება სიერცეს მძიმე ხრიალი
 და ორთქლმავალი ჩაკეცილ რეღსით
 მიჭქრის გიგანტურ ბორბლის ტრიალით.
 სავსეა წუთი ზვიადი განკდით:
 სხვა სიხარული გულში გუბდება:
 ვიცი მილიარდ კილოუატით
 აქ ტრაქტორები აგუგუნდება.
 და როცა ახლა სალამს ეუბნედავ
 და ვეუბნები სერებს: „მშვიდობით“!—
 ახალი სოფლის მე სახეს ვბედავ
 და მის ვადიდებ პინდარის ოდით!

ჩემი სხოვრების გზაჯად.

გაგრძელება*)

VX.

ამ შემთხვევის მიერ წარმოებულმა საგანგებო გამოძიებამ მრავალი მუშა დასვა საბრძანებლო სკაშხედ. ეს შემთხვევა იყო 1902-ის მარტში; რამოდენიმე თვის შემდეგ დანიშნული იყო საქმის გარჩევა. მუშების დამკველებათ გამოდით-ოდნენ რუსეთის საუკეთესო ვეჩილები, რიცხვით თორმეტი, იმ დროს კნობი-ლი ვეჩილი მურავიოვის შეთაფრობით. მოწმეთა რიცხვში მეც ვიყავი.

დანიშნულ დღეს საქმე არ გარჩეულა, რადგან ვეჩილებმა თავი ვერ მოი-ყარეს და ითხოვეს საქმის გარჩევის გადადება. სასამართლომ შეიწყნარა თხოე-ნა. საქმის გარჩევა გადაიდვა.

იანვარში მე მივლინებული ვიყავი ეგრედ წოდებულ მსროლელთა სკოლა-ში (ოფიცერსკაია სტრელკოვაია სკოლა) პეტერბურგში ათი თვით. ამ სკოლა-ში იგზავნიბოდნენ ამორჩეული კაპიტნები; სკოლაში სხვადასხვა ნაწილებიდან ყოველ წლობით აქ იყრიდა თავს ას სამოკამდე კაპიტანი. სწავლის საგანი ტაქ-ტიკა, სროლის თეორია და პრაქტიკა, ტაპოგრაფია იყო. სკოლა მოთავსებული იყო ორიენბაუში. ვხათ პეტერბურგში მოსკოვში დავრჩით ორი დღით. უნდა მენახა აქ მყოფი პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი და დავსწრებოდი სამ-ხატვრო თეატრში გორკის პიესის წარმოდგენას „ბსკერზედ“ (ნა დნე). რომელიც ის იყო დაიდგა და მთელი რუსეთი აახმაურა. მივადექი თეატრის კასსას, მონა-წოდეს გორკისავე „მეშანებზედ“ ბილეთი; „ბსკერზედ“ არ არისო.

— ღმერთო ჩემო! სამი ათასი ევრსტი გამოვიარე და სულ იმის ოცნება-ში ვიყავი რომ ენახავდი ამ პიესას და ახლა!.. და ეს ალბათ ისე სხვანაირათ ამომსკდა გულიდან, რომ მოლარე ქალმა გაიცინა და შემეკითხა:

— საიდან მოდიხარით?

— მე ბათუმიდან და ეს ჩემი ამხანაგი ტაშკენტიდან! ზეალ უნათლოთ პე-ტერბურგში უნდა წავიდეთ!.. გვიშველეთ რამერიგათ!

მოლარე ქალმა გაიცინა!

— მაქვს ორი ბილეთი ჩემი ნაცნობებისათვის გადადებული.. იმათ შემ-

*) იხ. „ნათობი“ 8-9 (16-17).



დღე მოგაწყობ... ინებეთ! და გადმომიწოდა ორი ბილეთი. ჩემსკიყვირულს საზღვარი არ ქონდა; მხურვალე მადლობა უთხარით მოლარე ქრისტეწამებულს შურე წარმოდგენამდა ხახანაშვილის სანახავათ. ის ცხოვრობდა ჩერნიშევის გადასახვევში. ავად იყო; სიხარულით შემომეცება; განიერი ოთახის კედლებზედ თაროები საესე იყო წიგნებით; მაგიდებზედაც მრავლად ეწყო წიგნები. ეს ნაზღვილი ბიბლიოთეკა იყო სასიამოვნო საიბრის შემდეგ, როცა წასვლა დაეპირე მან მითხრა ხვალ უნივერსიტეტში აქტია დილასო, მონაწილეობას იღებენ აკადემიკი ვესელოვსკი, ბობორიკინი, ზლატოვრატსკი, კორში და სხვებიო; მატარებლის წასვლამდი მოასწრებთო და უსათუოთ დაესწარიითო და გადმომეცა შესასვლელი ბარათი. საღამოს სამხატვრო თეატრში ვიყავი „ბსკერზედ“. შთაბეჭდილების აღწერას ავერიდებდი, ადგან ეს შორს გადამაგდებდა— ვიტყვი მხოლრდ: მთელი წარმოდგენა ისე გავატარე თითქო სიზმარში ვიყავი. მეორე დღეს დანიშნულ დროს უკვე უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ვიყავი, სადაც დამხვდა ხახანაშვილი და მიცნობდა იქაურობას.

აქტიც გათავდა და მეც საღვურისკენ გავეზურე ორიენბაუმში წასასვლელად.

სკოლაში სადაც უნდა მივსულიყავი ამას წინად სასტიკი დისციპლინა იყო დამყარებული; ჩემსობას სკოლის უმეტროსათ იყო გენერალი ბრილევიჩი, კაცი მეტად რივიანი. წესად იყო, რომ კავკასიიდან მოსული კაპიტნები უნდა წარდგომოდნენ ყოფილ მეფის მოადგილეს მიხაილ ნიკოლაევიჩს. ერთ დღეს ბრილევიჩმა წავვიყვანა მის სასახლეში. მიხაილ ნიკოლაევიჩმა მხიარულათ მიგივილო, ჩამოგვიარა და ყველას გვესაუბრა. სხვათა შორის მე შეითხა ვინაა თქვენი ნაწილის უფროსიო.

- პოლკოენიკი შერტენგერნი! მიუგე.
- ჩუხონეც! ერთიანი კლოზედ წამოიძახა მან.
- არა, რუსია! ვთქვი.
- მმ! ჩაიციანა მიხაილ ნიკოლაევიჩმა.

ეს ლაპარაკი მივწყრე ბათუმში ადიუტანტს (მეტად კარგი აფიცური იყო); ადიუტანტმა წაუკითხა შერტენგერნს მისი ჩუხონეცობა. წყენოდა (მეც ეს მინდოდა) და ეთქვა:

— საყვირველია!.. მე მიცნობდა მთავარი!

ამ ხანებში დიდი ამბები ქონდა მღვდელ გრიგორი პეტროვის; მისი საჯარო ლექციები აუარებელ ხალხს იზიდავდა პეტერბურგში; ეს ის პეტროვი იყო, რომელმაც ანაფორა გაიხადა და სახელმწიფო საბჭოს წევრად იყო, შემდეგ გაძევებულ იქნა რუსეთიდან. ორიენბაუმიდან მუდამ დავდიოდით პეტერბურგში ამგვარ ლექციებზედ მე და კიდევ სამი ჭართყელი, სკოლაში რომ ვიყავით. ამ ლექციებზედ ხშირათ საოცარი დაფრიდებლობით ფულებს კრებდნენ ახალგაზდა ქალები და ვალები „ცნობილი მიზნისათვის“ (დღია იზვესტნოი ცელი) როგორც ისინი ამბობდნენ.

ჩემი მისვლის რამოდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგში, საზოგადოების „პალმას“ დარბაზში ქართული წარმოდგენა იყო გამოცხადებული. რასაკვირვე-



ლია მე გავეჩანე აქეთ. დიდი დარბაზი საესე იყო ხალხით, მწიგნობარი პეტერბურგის ქართულ კოლონიას. წარმოდგენამ ჩინებულაი ჩინაი. მე შევხვდი ბერს ნაცნობებს და მრავალი ახალი გავიცანი, რომელთაგანს შემდეგში ძრიელ დაუახლოვდი. ამათში იყო ერთი ახალგაზდა ქართველი ტენიკი—გრიგოლ რევიშვილი, რომლის ბინაზედ თავს იყრიდა ხშირად ქართველობა—როგორც ივანე ჯავახიშვილი, ექიმი ობუხოვის საავადმყოფოსი დღეს ქართული უნივერსიტეტის პროფესორი სპირადონ ვირსალაძე, გურგენის გიმნაზიის მასწავლებელი ვიქტორ კანდელაკი, სიმონ ფორკოლაძე, ნიკო თავდგირიძე; ხანდახან მოდიოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მაშინ ახალგაზდა ვექილი, იგი იყო ჩვენი ინფორმატორი მთავრობის შესახებ, პლევეს შესახებ, რომლის წინაშე იმ დროს თრთოდა მთელი რუსეთი.

ერთ საღამოს ნიკო თავდგირიძემ, მაშინ იგი ოსტრგეტის ქალაქის თავი იყო და პეტერბურგში იყო მოსული, ნებადრთვა გამოეტანა ნატანებიდან ოსტრგეტამდი რკინიგზის გამოყვანაზე-მითხრა პრიატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ავით არისო და წაივდიეთ ვნახოთო მე არ ვიცნობდი პირადათ ჯავახიშვილს, მაგრამ დაუჯერე ნიკოს რომ იმას იამება ჩვენი ნახვას და წავედიოთ მასთან იგი მართლა ავადმყოფი დაგვიხვდა, მაგრამ ზეზე იყო. პატარა ოთახი, რომელშიც იგი ცხოვრობდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი. მალე მან მიივიწყა თავისი ავადმყოფობა და გავეცანო თავისი უკანასკნელი ნაშრომი გიორგი მთაწმინდელის შესახებ. მოხიბლული ახალგაზდა მეცნიერით, კარგა ხანს დავრჩით ჯავახიშვილთან. შემდეგში ხშირად ვხვდებოდით მას რევიშვილთან, ხშირათ, კვირა დღეებში, გამოვიდოდით ხოლმე ნეეის პროსპექტზედ და ვსიამოვნობდით მის ლაპარაკს რომ ყურს ვუგდებდი; თავისებური, ტკბილი ენით იგი ამ დროს ყუებოდა სინას მთაზედ მოგზაურობის ამბავს, იმ მდიდარ ქართულ მანუსკრიპტებზედ იქ რომ აღმოჩნდა; ამ დროს გავიგონე და გაფაციცებით ყურს ვუვდებდი გიორგი მერჩულის, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერიდან სხვადასხვა ადგილების გადმოცემას. ჩემს სიცოცხლეში არ დამაფიწყებდა ეს ტკბილი წამები: ღრმა სიყვარულით გამსჭვალეს ზემი გული ძვირუფას ივანესადმი; უნებლიეთ გიზიდავდა მისი სინაზე, მისი გულწრფელი სიტყვა ახრი—ალბათ ამ თვისებების გამო შემდეგში შეძლო უდიდესი საქმის მოგვარება-ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მშვენიებით მისი გაძლოლა-რამაც საქართველო დაამშენა და თვით ივანე ჯავახიშვილი საერთო სიყვარულით შემოხა.

სკოლაში ქალღალი მომივიდა—მიბარებდნენ ბათუმში მარტვი ნომხდარ ჯარსა და მუშების შორის შეტაკებაზედ სასამართლოში. სკოლიდან მიწერეს, რომ მე ვერ გამოეცხადებდი საქმის გარჩევაზედ სამსახურის გამო. მაგიერათ მე მოუყევი და დაწერილებით ვადავეცი ამ საქმის შესახებ ყველაფერი რაც ვიცოდი ბათუმში მიმავალ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელიც მუშების დამკველი ვექილებ შორის იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ანდრონიკაშვილი დაბრუნდა პეტერბურგში დიდათ გახარებული. საქმე მოიგეს, მუშები გაანართლეს. ამით, როგორც აღტაცებით ამბობდა ანდრონიკაშვილი საოცარი სიმტკიცე და გონი-



ერება გამოიჩინეს საქმის გარჩევის დროს, ყველას აკვირებდნენ მოსწრებულო. გონივრული პასუხებით და როცა გაანთავისუფლდნენ, ბაირალით წინ, მღერით შემოიარეს ქალაქის ქუჩები. ჩვენ ურჩევდითო არ გამოსულიყვნენ, რომ ახალი შეტაკება არ მოსელოდათ ჯართან, მაგრამ ვერ გადავთქმევინეთ, — მუშები ამბობდნენო ჩვენი გამარჯვება ყველას უნდა ვავაგვიზინოთ და ისეც ვავაგვიზინოთ მთავრობა რომ ჩვენ მხნეთა ვართ და არავითარ შიშს არ განვიცდითო. ადმინისტრაცია ბრძნულათ არიდებოდა ყოველ წინააღმდეგობას და ხელი არ შეუშლია დემონსტრაციისათვის. ვეჭილების საპატივცემოთ გამართულ ბანკეტზედ დასასრული არ ქონია მუშებისაგან თქმულ მხურვალე სიტყვებს.

ბათუმიდან დაბრუნებული ანდრონიკაშვილს დაევალა მოხსენება გაუკეთებინა ბათუმის შეტაკების შესახებ და აგრეთვე გურიის ამბების შესახებ-გურიის იმ ხანებში დიდი მოძრაობა წარმოებდა: ეს მოძრაობა მეტად აინტერესებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებას: ლევ ტოლსტოიმ ამის გასაცნობათ ტფილისიდან დაიბარა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიშო ყიფიანი, რომელმაც კარგა ხანი დაჰყო ტოლსტოისთან იასნო-პოლიანაში. მიშო ყიფიანის გარდა გურიის მოძრაობის შესახებ ინფორმაციას აძლევდა ტოლსტოის აგრეთვე ცნობილი ტოლსტოის მიმდევარი—ილია ნაკაშიძე.

როგორც ვთქვი ანდრონიკაშვილს დაევალა მოხსენება მოწინავე ჟურნალისტის ლიტერატურის და პოლიტიკური მოღვაწეების წარმომადგენლების წინაშე. კრება იყო საიდუმლო, ბასენის ქუჩაზედ, ჟურნალ „პრაიო“-ს რედაქტორ პოლინოვის ბინაზედ. კრებაზედ დასწრება შეიძლებოდა საჯანგებო რეკომენდაციით. ანდრონიკაშვილს ანება დართეს, როგორც მომხსენებელს თავის სახელზედ მიეყვანა ხუთი კაცი და ამ ხუთში ვხვდით ივანე ჯავახიშვილი მე და კუჭიკო გელოვანი (იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი). სამი დიდი ოთახი სავსე იყო ხალხით. ანდრონიკაშვილის ვრცელმა მოხსენებამ ბათუმის შეტაკების შესახებ, მათი მეორეთ გამოსვლის შესახებ და გურიის უკანასკნელ ამბების გადმოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. სთხოვეს გიორგი ზდანოვიჩს, რომელიც დაესწრო ამ კრებას და რომელსაც განსხვავებული პატივისცემით მიეგებნენ როცა იგი შემოვიდა, სთხოვეს დაემატებინა რაზე გურიის ამბებიდან. ზდანოვიჩმა სთქვა რომ ანდრონიკაშვილის გადმოცემა ისეთი იყო რომ დასამატებელი აღარა რჩება რაო. კრება თავდებოდა რომ ანდრონიკაშვილმა საზოგადოებას მიმართა:

— ბატონებო! ჩვენ შორის იმყოფება პირი, რომელიც იმ უბედურ დღეს ბათუმში რომ ქონდა ადგილი თავისი გუნდით პუნკტებზე იყო, მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსროლია და რომლის შესახებ ალტაცებით გველაპარაკებოდნენ ვეჭილებს ბათუმის მუშების... ეგერ ბძანდება ის პირი!...

გავშრი, თავს რეტი დამესხა. გარეშემო ტაშის ცემა, ხმაურობა. ზეზე წამომდგარი თავს ვუკრავ. მაგრამ აუწერელ მდგომარეობაში ვიმყოფები. გავჩუმდებ. არა ვთქვა რა—შევიფერე ნათქვამი—უგ თავის თავის რალაც გმირათ გამოსახვას დაემსგავსებოდა, — ეგ ყოველად შეუძლებელი იყო, ხმა ამოშლო!



საქირო იყო მოხდენილი, შესაფერისი სიტყვა, — ილაპარაკე მანამდე, ვიდრე შეწყვეტულ წრეში ისე რომ შერცხვენილი არ დარჩე!... ქართული წესდების ცვლილება მაჩვენე გატყვევის დაგანახებო. მოუჭირე მუხრუჭი გაჭირებებაში ნყოფმა ჩემს ტენის და ჩემდა იღბლად სანამ ტაშის ცემა შეწყდებოდა შევადგინე საპასუხო სიტყვა.

გულწრფელად ვთქვი რომ მე არავითარი გმირობა არ ვაპოინენია, რომ მე ბედისაგან შეზრალეული აღმოვინდი, ბედნიერი იმითთან, რომელმაც უნებურათ ხდებთან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე, რომ ბედმა ამარიდა საშინელებას, და არ განიხადა სატირლათ ჩემი ცხოვრება, რაც ბევრს ხედება ამ ხანებში ჩვენს სამხედრო სამსახურში მყოფთ. მოკლეთ ავწერე თუ როგორ განწყობილებით მივდიოდით პუნქტზედ, რა საშინელება გადიშალა ჩვენ თვალწინ და რა მადლობელი ვართ ბედის, რომ გადაგვარჩინა ხიფათს და ჩვენი ბედი საწყველათ არ გაგვიხადა, როგორც ეს დღეს ხედება ბევრს სამხედრო პირს.

დიახ, მე გულწრფელად ვამბობდი რომ ბედნიერმა შემთხვევამ შემიბრალა დამიხსნა, არ დამლუპა.

ჩემმა გულწრფელმა თქმამ მეტი მხურვალე ტაში გამოიწვია. როცა აიშალნენ ჩემთან წოვიდა იმ დროს ცნობილი ახალგაზდა ვეკილი ვოლკენშტეინი და მითხრა რომ მე მართალი არა ვარ, როცა ვამბობ რომ ბევრია სამხედრო წრეში ისეთი პირები, რომ უნებურად ჩადიოდნენ საზარელ დანაშაულობას ხალხთან და იტანჯებოდნენ თავიანთი მდგომარეობისაგან. მე მოვუყვანიე მრავალი ამის მაგალითი; ისიც ერთ რიგათ მეთანხმებოდა და ამბობდა: ეს არაა საკმარისი, ეს უფრო ძლიერი და ფართეთ უნდა იყოსო. მეკითხებოდნენ ჩვენი ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაზედ, მათ მდგომარეობაზედ, თუ როგორ ცხრდით მათ, როგორ ეუბნით, თუ ეუბნით, დღევანდელ ამბებს და ამგვარები.

რამდენიმე დღის შემდეგ ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ჩემს ახლოს თურმე მსხდარან ცნობილი პუბლიცისტები ანენსკი და პროკოპოვიჩი და ორივეს დიდი ალტაცება გამოთქვით ჩემი ნათქვამის გამო. ბედი ახლაც შემეწია — ჩემი ამ კრებაზედ ყოფნა ვაუგებელი დარჩა, თორემ კარგათ მომცხებდნენ რასაკვირველია.

ჩემს პეტერბურგში ყოფნის დროს გადიცვალა ვილიეს კლინიკაში მოთავსებული აეადმყოფი ახალგაზდა ჩვენი მგოსანი გრიშა აბაშიძე. საწყალი უკანასკნელ ხანებში ველარ ცნობილობდა თურმე ვერავის, როგორც ეს გვითხრა ექიმმა ვირსალაძემ, რომელიც ხშირად ნახულობდა აბაშიძეს. მთელათ ქართველობამ მოვიყარეთ თავი გასვენებაზედ; მიცვალებული დასაფლავებულ იქმნა ვოლკოვოს სასაფლაოზედ ვერედ წოდებულ ლიტერატორთა კიბეზე (ლიტერატორსკიე მოსტკი) ბელინსკის და პისარევის საფლავის მახლობლად.

ამ დროს უკვე მოხშირდა სხვა და სხვა პოლიტიკური შემთხვევები და სკოლაში გამოგვიცხადეს ავრიდნობით პეტერბურგში ხშირად სიარულს, რომ არ გადავყოლით რაიმე უწყისობას.



არც სკოლაში იყო სრული სიწყნარე—აქაც ემჩნეოდა გრძელწინაველები. განსაკუთრებით ეს აღელვებდა თვალსაჩინო გახდა მის შემდეგ, როცა სკოლის ლექტორმა, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკმა ვინმე რუბეცმა სკოლაში მოხსენება გააკეთა რუსეთი ჩინეთის ომის შესახებ. რუბეცმა გაბედულათ გადაშალა უბადრუტობა სამხედრო შეთაურების, მათი უნიკობა და ცუდლუტობა, სრული უფიცობა სამხედრო საქმის გაძღოლაში. ბევრი აცინა აუდიტორია რუბეცმა, როცა მოჰყვა ერთი გენერლის შესახებ. (დამაეიწყდა გვარი მისი). ამან ნოინდომა ჯილდოს მიღება და ამისათვის გამოყო თავის ჯარის ერთი ნაწილი. მისცა დისლოკაცია და გაგზავნა საჩაბრათ. გაგზავნილი ნაწილი გაემართა დანიშნული გზით, მეხუთე დღეზედ უნდა მისდგომოდა ჩინელების გამაგრებულ ქალაქს და აეღო იგი. რაზმმა იარა ერთი დღე, ორი... ოთხი, ხუთი; მოწინავე მხვერავებიდან არავითარი ცნობა არ არის; შეეჭვსე, მეშვიდე დღემ გაიარა—გამაგრებული ქალაქი არსად სჩანს. გენერალმა კი გამოგზავნისას აუწყრა რაზმს ეს სიმაგრე. მისი აღების მნიშვნელობა და რა დიდებით შეიმოსებოდა რაზმი მისი აღებით. მერვე დღეცა ვაიარა—ასალები ქალაქი მაინც არა სჩანს. გაგზავნეს გაძლიერებული მხვერავები—მოვიდა ამბავი რომ არსად ქალაქი არ არის ამ მხარეზედ, არის მხოლოდ ერთი პატარა სოფელი, ისიც თითქმის დაცარიელებული—შეშინებული მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ, სოფელში დაეტოვებინათ მოხუცებულები, რომელთ სიარული აღარ შეეძლოთ. რაზმის უფროსმა გადაწყვიტა ამ სოფლის აღება, შევიდა შიგ თავის რაზმით და მომხდარ თათბირის შემდეგ იმის შესახებ თუ რა მოხსენება გაეგზავნათ გენერლისათვის—უკანასკნელს უფორინეს მოხსენება რომ აეღოთ სიმაგრეო (სახელი არ უწოდებიათ, რომ არ შეერცხვინათ თავიანთი უფროსი) ჩვენი მხრით არავინ დაჭრილაო, ტყვეები მრავლათ გეყავსო. ასეთი მაგალითები არა ერთი და ორი იყო; ყველა ცუდლუტობდა, ტყუილებში იყო გაბმულიო, აშკარა იყო ჩვენი სუსტი ორგანიზაციაო. რომლის გამო ჩინეთსაც ძლიეს მოვერიეთ და რა დღე დაგვადგება, როცა უფრო ღონიერ მტერს შევეჯრებით, ეს ღწერთმა იცისო. ამ მოხსენებამ ერთი აღიაჭოთი ატება—ზოგი აღტაცებაში იყო ამ კრიტიკით, ზოგი კი შეურაცყოფათ თვლიდა ნათქვამს; საქმე იმ ზომანდი მივიდა რომ სამხედრო სამინისტრომ რუბეცს მოსთხოვა მოხსენების წარდგენა და გაბედული მომხსენებელი ძლიეს გადაარჩა ხიფათს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სკოლაში მოხსენებით გამოვიდა გენერალური აკადემიის პროფესორი გენერალი მიშლავესკი. ესეც ებებოდა რუსეთ-ჩინეთის ომის წარმოებას და თავისი მახვილი სიტყვით, ბასრი ფნით ისეთ სურათებს შლიდა რომ მთელი აუდიტორია გაოცებაში იყო. ეს მოხსენება იყო პირდაპირ დამსხვრევა, განადგურება იმ სამხედრო ჰარების, რომელთ საზოგადოებაში გმირების სახელი ქონდათ,—ლინევიჩი, სტესელი, ანისიმოვი. მიშლავესკი ამბობდა ასე იმიტომ ვლადპარაკობო, რომ გული მეწვისო, რომ ამათ მიიფურთხეს ყოველ ცოდნას, წინანდელ გამოწაცადს და გამოიჩინეს საოცარი თვითნებობა



და თავიანთი ველურობა, რის წყალობით ტყვილა უბრალოდ უნდა იქნებოდა მსხვერპლი შეეწირა სახელმწიფოსაგან.

ამანაც გამოიწვია ერთგვარი აღელვება. ხსნიდენ ზოგიერთი ამგვარ კილოს ნით, რომ მიშლავესკი ვითომ პოლონელი იყო, პოლონური ძულები უნებლიეთ ამგვარათ აღაპარაკებდნენ, ამცირებინებს რუსეთის საუკეთესო შვილებსო.

აგვისტოს დამლევს სკოლაში სწავლა დავათავეთ; სექტემბრის პირველ რიცხვებში პეტერგოფში წაგვიყვანეს—ხელმწიფეს უნდა წარედგომოდით. ჩაგვაყვანეს რიგში. ნოვიდა ხელმწიფე ალექსანდრიიდან (მეფის სააგარაკო ადგილი იყო). ახლდა მცირე ამაღა, ამათში იყო სამხედრო მინისტრი კუროპატკინი. ხელმწიფე იყო უბრალო სერთუყით; ხელში ეჭირა ზებარაო ქუდი; შუა ტანისაზედ ცოტათი დაბალი, კერა თმინი, ცისფერი თვალებით მორიდებულევით გამოიყურებოდა. ბევრი კაპიტანი განსხვავებულათ იყვნენ გამოწყობილი, ამ დღისათვის საგანგებოთ შეკერილი ფეხსაცმელები ეცვათ, საგანგებოთ ამ დღისათვის დამზადებული უკმელი საცულები.

ხელმწიფე ყველას ერთ და იგივე კითხვას აძლევდა: რამდენი წელიწადი მსახურობთ, რამდენი წელიწადი ვუნდს უფროსობთ, რამდენი წელიწადია რაც კაპიტანობა მიიღეთ. მეტი არაფერია. ბოლოს ეს ალბათ მახაც მოსწყინდა და მიანება თავი გამოიკითხვას, მხოლოდ ერთ კაპიტანს, რომელსაც წმ. გიორგის სალდათის ჯვარი ეკიდა გულზედ. მიმართა და შეეკითხა, როდის მიიღო მან ეს ჯვარი და დაჭრილი თუ არის. კაპიტანმა (გვარათ ვინმე ეიგმონტი იყო) მიუგო რომ რუს-ოსმალეთის ომში და იქ დავიჭერიო.

— გაწუხებთ ჭრილობა? კითხა ხელმწიფემ.

— როცა ავლელდები მაშინ მაწუხებს... აი ახლა რომ მაქვს ბედნიერება, მესაუბრება თქვენი უდიდებულესობა, ელეავ და ჭრილობაც მაწუხებს! მიუგო კაპიტანმა.

— წარადგინეთ პოდპოლკოვნიკობაზე; მიუბრუნდა ხელმწიფე კუროპატკინს.

— ეს როგორც განსაკუთრებული თქვენი წყალობა? შეეკითხა ხელმწიფეს კუროპატკინი, რომელსაც ეტყობოდა არ მოეწონა კაპიტანის სიტყვა.

— ჰო! როგორც განსაკუთრებული წყალობა! წაილაპარაკა ხელმწიფემ და გაშორდა კაპიტანს.

მიგვიწვიეს ოქროს დარბაზში გამლილ საუბზედ. კიბეზედ რომ ჩავდიოდით დავინახეთ—ხელმწიფე ჩამჯდარიყო ეტლში და ალექსანდრიაში წავიდა. ბევრს გვეოცა რომ ხელმწიფემ არ ინება დარბაზში შემოსვლა და მისკან გამართულ საუბზედ მისი ჯარის წარმომადგენლების სადღეგრძელოს წარმოთქმა.

ხელმწიფის განსაკუთრებული წყალობით გახარებულ კაპიტანს მალე ყურები ჩამოაყრევინა კუროპატკინმა. ამ უკანასკნელთან მივიდა კაპიტანი გასაგებათ თუ როდის იქნებოდა მისი პოდპოლკოვნიკობის შესახებ უმაღლესი ბრძანება და კუროპატკინმა იფრინა კაპიტანი და ისეთი სიტყვებით გამოავლო თავის კამინეტრიდან, რომ სულ დაივიწყებინა ყოველივე განსაკუთრებული მეფის წყალობაზედ ფიჭი. საწყალოა განსაკუთრებული მეფის წყალობა შემდეგ წე-



ლიწადს მიიღო მანჯურიაში—იპონელების ტყეებისა და ვანგურების კაპიტანი ჯიგმონტი გმირულათ მოკვდა.

ბათუმში რომ დაებრუნდით გარეგნულათ თითქოს მშვიდობიანობა ნამდვილ კი ჩემი-მიმალული მღელვარება იყო და მზადება. გურიის ამბები ყველას ენახე ეკერა. სხვანაირ ფუსფუსს შეამჩნევდა დაკვირვებული კაცი.

ერთხელ ქალაქიდან მოვდიოდი კაზარაში. ნობელის ქაობანა რომ გავიარე წამომეწია ერთი ახალგაზდა — ვიქტორ ფარცხალაძე. მას კარგათ ვიცნობდი, იგი მსახურობდა როტშილდის ქაობანაში და თან მასწავლებლობდა მუშებში.

— მოგილოცავთ მშვიდობით ჩამობრუნებას, პატრონო დავით! ხალისაანათ მომეგება იგი. — რა კაი ადგილს შეგხვდით! მითხრა მან ცოტა ხნის შემდეგ. — ერთ რამეს ვანახებთ, რაც უსათუოთ თქვენთვის საინტერესო იქნება. წამობძანდით!

გადაუხვიე გზას. გავიარეთ გზის ჰვერდით ყოფილი დუქნები და შევედით მივიარდნილ ოთახში. ოთახი სავსეა მაგილებით, რომელთან სხედან კმაწვილი ბიჭები, რიკებით კარგა ბლომათ: ყველას წინ წიგნები და რვეულები უდევთ, ხელში ზოგს ფანტარი, ზოგს კალმის ტარი კალმით.

— განაგრძე უთხრა ფარცხალაძემ ზუზე მდგარ ახალგაზდას, რომელიც აღბათ ასწავლიდა დანარჩენებს. — დავით, აქეთ მობძანდი!

გააღო კარი და შეორე ოთახში შენიკვანა. ბავშვები, ათი-თორმეტი წლის სხედან მაგილებთან, წიგნები უდევთ და რვეულები, ბავშვები კარგა ბლომათა; თავს ადვია ახალგაზდა კაცი.

— ეს ჩვენი სკოლა! ღიმილით მითხრა ფარცხალაძემ. — წინა ოთახში რომ არიან ისინი შეიძლება მალე დაგვიკრიდნენ, ესენი შემდეგში გამოგვადგებიან! — გაიცინა მან. უნდა მოვემზადოთ... მზათ უნდა ვიყენეთ!

— რომ მოგაგნონ აქ? ვკითხე.

— ვერაფერ მოგვაგნებს! ჯამში ვერ შემოგვეპარება! — აქ უწიშრათ ვართ! ვანკებ აქ ამოვარჩიეთ ბინა — არავის არ მოუფა აზრათ თუ აქ ამგვარი რამ არის და ჩვენ წიგნსაც ვასწავლით და ვფხნით ნდგომარეობას... ვამზადებთ! ისევ სიცილით თქვა ფარცხალაძემ.

მზადება შესამჩნევი იყო, საყოველთაო, თავგანთავადი. საერთო სიყვარული ჭონდა დამსახურებული როტშილდის ქარხნის მუშას ს-იას. ორი წლის წინად მან გაათავა სამხედრო სამსახური და ქარხნის მუშებში მოექცა. ლამაზი, წარმოსადგევი, მზიარული, საამბანაგო ყმაწვილი — იგი ყველას იზიდავდა და ყველას უყვარდა. მშვენიერი მოლექურეს ალტაცებაში მოყავდა მაცურებელი, როცა თავისუფალ დროს ბარცხანის მინდორზედ მუშები და ახლო-მახლო მცხოვრებნი თავს მოიყრიდნენ ხოლმე. მოლაპარაკეც ჩინებული იყო ს-ია იმ მინდორის ახლოს, სადაც თავს იყრიდნენ ქარხნის მუშები, იყო არტილერიის ოფიცრების საცხოვრებელი სახლი. აქაურებიც მოდიოდნენ ლექურის მოთამაშეთა საყურებლად. ერთმა ქალიშვილმა, რუსი აფიცრის ბ-ვის დამ, მოხიბლულმა ს-იას თამაშით გაეცნო მას. გაეცნო და გაიტაცა; ახალგაზრდა მუშამ მოხიბლა ახალგაზრდა ქალი. საქმე იქამდისინ მივიდა რომ ყმაწვილი, ქალიშვილს რომ არი-



დებოდა მოიკვალა ბინა და მინდორზედ აღარ ჩნდებოდა. ს-იას ახალ ბინას მიაგნო ქალის ძმამ. მან უთხრა ს-იას რომ მისი და უკანასკნელ დღეშია, სიკვდილზედაა მიმდგარი დაავადებული მისი სიყვარულით; იგი ევედრებოდა ს-იას არ გაეწორა ყმაწვილი ქალი და ესხნა იგი სიკვდილისაგან— შეერთო იგი. ს-ია უარზედ იყო— უარის მიზეზი ის იყო რომ იგი არ აპირობდა ოჯახს მოკიდებოდა, რადგან ის ემზადება სხვა მოქმედებისათვის და არაფრის გულისათვის არ ჩამოშორდება თავის ამხანაგებს— დაოჯახიანება კი შებორკავს მას, ხელს შეუტრავს და მომავალ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას ააყენებს. აფიკური პატიოსან სიტყვებს აძლევდა, რომ ოღონდ მან შეიერთოს მისი და, ამით სიკვდილს გადაარჩინოს იგი, და არც ის, არც ცოლი, არც მათი მოხუცებული დედა ხელის შემშლელნი არ იქნებოდნენ მის მოქმედებაში; თუ ეს ასე არ იქნებოდა მას ნება ეძლეოდა მიეტოვებინა ქალი. ბ-ვის მიერ პატიოსანი სიტყვის მიცემის შემდეგ ჩამოდენივე ს-იას ამხანაგის წინაშე, ს-ია დასთანხმდა; შეერთო დადებული პირობით. სა-იასაც უყვარდა, როგორც მითხრეს, ქალიშვილი, მხოლოდ ეწინოდა მისი განზრახვების ხელისშემშლელი არ აღმოჩენილიყო.

პარტიის მეთაურებმა გადაწყვიტეს იარაღის შექმნა. საჭირო იყო ამისათვის ფული, რამე გზით იგი უნდა მონახულიყო. ყმაწვილმა მუშამ, გოგოტიძემ (სახელი დამავიწყდა) გაიგო რა ეს, წინადადება მისცა მეთაურებს, რომ იგი თავდასხმას მოახდენდა როტშილდის კარხნის არტელშიკზედ, როცა ეს გამოიტანდა ხაზინიდან ფულს. თავკამომეტებული ყმაწვილის წინადადება მიღებულ იქმნა; მოეწყო თავდასხმა გაბედული, ბლომად ფული გამოგლიჯა გოგოტიძემ არტელშიკს, გადასცა დანიშნულ პირს და თავათ ომდენი ახერხა, რომ ცოცხალი დარჩა და გაიქცა. გავაგრძელებ მის ამბავს.

გაქცეული გოგოტიძე გადავიდა გურიაში, აქედან უნდა გაეპარებინათ იგი საზღვარგარეთ. რომ აღმინისტრაციას არ ჩავარდნიდა როგორმე ხელში, ამაზედ ზრუნვა მიიღო თავზედ ბათუმის მილიციაში მსახურმა პრაპორშიკმა ლევან გურიელმა. გოგოტიძის ბავშობიდან ახლო ამხანაგმა. ეს ერთგვარი ტიპი იყო და ამიტომ შეეჭრებდები მასზედ. ლევანი იყო შვილი გურიაში ცნობრილი დიდი მემამულის, გვარდიის პოლკოვნიკის, თუმცა გვარდიაში მას არ უმსახურნია, იასე გურიელის. ეს ის იასე გურიელი იყო, რომელზეც შემდეგი ოსწჯობა უყო გავრცელებული. რუს-ოსმალეთის ომის დროს არდგენდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებთან დრუენებს, ერთ ერთ დრუენისათვის ეუთაისის გუბერნატორი მალაფეცი დაეძმდა უფროსს. უსახელბდნენ ორს—თავდას დ.—ე. და თავად იასე გურიელს. მალაფეცივა კითხა მასთან თარჯიმნათ მყოფ დავით ჯაფარიძეს რომელი სჯობია ამ ორნიოთ. ჯაფარიძე საოცარი მწარე ენის პატრონი იყო.—თქვენო აღმატებულობავ, იასე გურიელი ხუთი მინუტით თუ იქნება დ.—ე უფრო ჰკუთნა! მიუგო ჯაფარიძემ. გუბერნატორი გაკვირდა ამ პასუხით.

— დიამ! განმარტა თავის ზვეულებისდაგვარათ ჯაფარიძემ—როცა გამოელაპარაკებით დ.—ე იქვე შეატყობთ და იტყვით ღურაქიოთ; როცა იასე გურიელს გამოელაპარაკებით ხუთ მინუტს კიდევ უკუძანში იქნებით უწოდოთ მა-



საქ დურაქი, ხუთ მინუტს შემდეგ კი იმაზედაც იტყვის რომ ^{დურაქი} დურაქი გურიელს ჩაბარდა. ჩუბის შემდეგ იგი ბათუმში ცხოვრობდა; ქონდა გაშლილი ოჯახი, ყველა აქ თავს იყრიდა და ჩვენ ახალგაზრდებს აქ თავისი კუთხე გვექონდა, სადაც მშვენივრათ ვატარებდით დროს თავადის მშვენიერ, სახითაც და ხასიათითაც, გვრებთან. პირველი ცოლისაგან გურიელს ყავდა ორი ვაჟი, რომელთაც დედინაცვალი არაფრათ წყალობდა, სასწავლებელს აშორებდა და უნკროსი სოფლით ყავდა თავმინებებულა. როცა ყმაწვილი წამოიზარდა მამამ საჭიროთ დაინახა ვაზზედ დაეყენებია და რადგან იგი უსწავლელი იყო და სიმარდის ვარდა თან არა ახლდა რა, სამსახურში შეიყვანეს აღმინისტრაციისში—უბრალო ჩაურათ. ყმაწვილი უნდა გაწაბულიყო პოლიციურ საქმეებში და ამით მოეპოვა დაწინაურება ცხოვრებაში. ყმაწვილს წაფავდნენ ესე იგი რყენიდნენ და ჩაქურაში გამოწყობილი, იარაღში ჩამჯდარი შნოიანი ყმაწვილი ყველას გვეცოდებოდა რომ ვხედავდით როგორ იხიბლებოდა მისი სამსახურით და მდგომარეობით და ელოდა წარჩინებას. ამ უკანასკნელისათვის იგი მოკლე ხანში შეეჩვია გაურჩევლობას მოქმედებაში. ოხურგეთიდან იგი ბათუმში გადმოიყვანეს. აქ უფრო ფართე ასპარეზი იყო სამოქმედოთ და თავის გამოსაჩენათ, დაწინაურებისათვის. გულმოდგინე მსახური აღმინისტრაციის, ურიადნიკის ჩინით დაჯილდოებული, გადამეტებულ მეცადინობაში იყო პრაპოზორიკობა ღირსებოდა. ამასთანავე ყოველნაირათ შაცადინი იყო ქარხნის მუშებთან კარგი განწყობილება ჭონებოდა. ბევრი წინააღმდეგი იყო მისი დაახლოების, ბევრა კი ურიგდებოდა მას, რადგან აფრთხილებდნენ რომ თუ რაიმე ცუდლუტობაში დაიჭერდნენ არ დაზოგავდნენ და წუთი სოფელს გამოასაღმებდნენ.

აი ამ ლევანმა მიიღო თავის თავზედ გოგიტიძის სახლგარგაოეთ გაპარვა. ენდვენ მას, რადგან იცოდნენ რომ გურიელი და გოგიტიძე ბავშობიდან თან-შეზრდილნი იყვნენ, ძველი ამბანაგები. გოგიტიძე მიენდო გურიელს. ერთ გლეხის ოჯახში ღამის გასათევათ გოგიტიძეს თავს დაესხა მილიცია, გაანადგურეს სახლი და გოგიტიძეც მოკლეს. გურიელს დაბრალდა ღალატი და საქმე ისე დატრიალდა რომ იძულებული შეიქმნენ გამოძიება დაენიშნათ. გოგიტიძის გამწარებული დედა აღარ ზოგავდა გურიელს—მან გამოაშქარავა, რომ ლევანი შეპირდა მის შვილს გაპარვას, მაგრამ შემდეგ უღალატა რადგან მისი მოკვლით წარმატებას მოელოდა ინიც და მისი მამაც. გურიელი უარობდა ამას, იგი ამბობდა რომ გურიაში იმ დროს არც კი ყოვილა, რომ გოგიტიძესთან არავითარი კავშირი არ ჭონია და როგორც იცის გოგიტიძე შემთხვევით მოკლეს—ემებდნენ ყაჩად დარჩიას და წააწყდნენ გოგიტიძესო. გურიელი სასამართლოს ქვეშ მოექცა, სასამართლომ თუმცა გაამართლა იგი, მაგრამ სამსახურიდან მაინც დაითხოვეს. დიდი წვალების შემდეგ მან ისევ შერგო თავი ბათუმის მილიციაში და თავგადადებით ცდილობდა დამეტყიცებინა უფროსებისათვის თავისი ერთგულობა. ბევრი რამ მუშების საწინააღმდეგო ბრალდებოდა მას; მისდა საუბედუროთ მას წარჩინებაც მისცეს—მილიციის პრაპოზორიკობა, რაც ამტყიცებდა სიმართლეს იმ ბრალდებებში იმას რომ უყენებდნენ. გათავდა მისი ამბავი რომ ცხრაასხუთის ერთ ზამთრის დღეს, მარხილით მიმავალს, ესროლეს თოფი



ხალხით სავსე ქუჩაში და იქვე გააცხებიან სული. შევდაროქნილქი ქალაქის სააგადმყოფოში. რამოდენიმე დღის შემდეგ მისმა დედინაცვალმა მოინდომა მისი გასვენება. მუშებმა განაცხადეს რომ გურიელის კუბოს ქუჩებში არ გაატარებინებენ და დიდი თათბირის შემდეგ გადაწყვეტეს ღამით გამოსვენება სააგადმყოფოდან, დიდი სამხედრო ექსკორტით.

როტშილდის ქარხნის მუშებმა გადაწყვიტეს დრამატიული დასი შეედვინათ მუშებისაგან და კიდევ სისრულეში მოაყვანეს ეს განზრახვა. მათ სურდათ ერთგვარი პიესები მიეწვდინათ დანარჩენ მუშებისათვის. თავდაპირველში ხელმძღვანელათ, მიწვეულმა წეს. კალანდარაშვილმა, ვერ გაუძღვა საჭიროების დაგვარად საქმეს და მომმართვეს მე, მიმელო თავზედ მათი წრთენა. მართალი უნდა ვთქვა ამ მომართვამ დიდათ გამახარა და თავგადადებულათ შეუდექი მუშაობას. საჭირო იყო უოველმზრივი გაცნობა პიესის, მასში ასახული პიროვნებების გაგება, გათვალისწინება — და ეს იწვევდა ერთგვარ მსჯელობას, ერთგვარ ბასს მეტად საინტერესოს და საგულისხმიეროს. ამგვარი მზადება ისე იტაცებდა მოთამაშეთ, რომ გვიან ღამემდი რჩებოდნენ რეპეტიციებზედ. მუშა — არტისტებში ბევრი საინტერესო პირები აღმოჩნდნენ როგორც იყვნენ მოსე წეროძე, თალაკვაძე, ელენტი, სურგულაძე, ჩხენკელი, და სხვ. პიესებს არჩევდნენ თავათ. დაიდგა სხვათა შორის იბსენის „ხალხის მტერი“ ანუ „დოქტორი შტოკმანი“, „ციმბირელი“ ცაგარლის, მისივე „ქართველი დედა“, „ქოხნი“ ივ. გომართლის და სხვა.—

სიური ქარხანა.

მაღალი და ვრცელი არი
 ცის ქარხანა ლურჯი თაღით:
 და საყვირის მკვეთრი ზარი
 მტვერიანი ხმით იძახის.
 ეს საყვირის მხნე ქარია,
 რომ აერთებს მკედლებს გზნებით,
 ყოველ მხრიდან იჩქარიან
 გაკვარტლულ და სქელ ბლუზებით.
 (ა ერთბაშად დაიბურა,
 ურდოები შეკრბენ ბნელად.
 გაახურეს ელვის ქურა,
 დაჰკრეს ძმურად
 და ქარხანა შეარბიეს ულოდნელად,
 ასფუთიან ავ ჩაქუჩით,
 გრგვინვის დიად ავ ჩაქუჩით
 მკედლების ბრბო სცემს და სკედავს!
 ვეღარაფერს ვეღარ ზედავს,
 სცემს და სკედავს,
 ბლუზებიდან ოფლი სწვეთავს
 ნიაღვარად მოთქრილობს,
 და ქარხანა გრგვინავს, ალობს;
 ის ბრწყინვალეებს,
 ისვრის ალეგს,
 ანთებული ცეცხლის გზნებით
 და მშრომელის ალტაცებით.

ყინულთ დანა.

ვარ დუღეგატი ციური ჯარის
საგაზაფხულო ცეკადანა-ვარ
მე თვითონ მზე ვარ და თავმჯდომარე,
ცახე, მიწაზე მაქვს სანაეარდო.

ჩვენ ვმუშაობდით მინდორში გუშინ,
მე და აპრილი ერთად მოველით,
რომ განვატყვევოთ წყალი პირქუში
მთლათ გაყინული და დათოვლილი.

და ვერცხლისფერი მე რუინები
აუაელეარე სხივთა ჯარებით
თქვენ, ყინულეზო, მოველინებით.
უბეს დადულრულს თეთრ ხანძარებით.

-თქვენ დაიბანეთ სახე ტალღებით,
იწყეთ ბრწყინვალე თქვენი თარეში.
სიმღერის ბმაზე ნელა გალხვებით
ახალ სივრცეთა წითელ მხარეში!

თქვენ დაანგრით ზამთრის დარბაზი
გადაიშორეთ ქედიდან თოვლი,
ამხანაგებო! ყველა კრებაზე!
გაზაფხულს ზრახვა ჩვენი ყოველი!

ქ უ ღ ზ ე .

ბროცკის. ახალგაზდობას.

ჩენი დღეების ტოლია იგი,
და ჩენთვის გული მას მოუცია,
ვინც ყოველდღიურ წერილმანის იქით
ხედავს მსოფლიო რევოლუციას.

ერთი აღიდებს ქალს და სიამეს,
მეორეს ჰხიბლავს წარსულის ფუძე,
სხვას კიდევ რამე,
მე კი —
მე ვმღერო
კოტიკის ქუდზე.

რაღა ვარ ქუდით ამპარტავენი?
მის ქვეშ ელავენ თვალნი — მზის ფერი.
მე მოგონების მახსოვს სივანე:
მაჭვს მიღებული ქუდი
ორდერით.

მე ცხრამეტ წელში კიევში წაველ
დასასვენებლად, მთლად მოქანცული,
როცა კოტიკი მოვითქვი სული,
კვლავ გაბედულად სანგრებში ჩაველ.

ჩვენ მშიერები ცხოვრებას ვჭმნიდით,
და არ მახსოვდა მწარე შიმშილი,
იმ დღეს უტყვიოთ დაეიმორჩილეთ
აჯანყებულითა მეცხრე არმია.



დიახ, ვამბობდი ქუდის შესახებ...
 მე ბრძოლის,—შიშნის დიდხანს ვუძელი.
 ჩამოვეთრე მოსკოვს შიშველი
 და ცეკამ მომცა,
 ვით სასწაული,
 ორდერი ქუდზე.

მე ჩაეხუტე ორდერი გულში.
 გამწესრიგებელს შემდეგ მიემართე
 და იქ მივიღე მე გახატულში
 კოტიკის ქუდი,
 შესანიშნავი.

არის იმედი კარგი, თუ ცუდი,
 ისე, ვით დროშა, მე დამაჭეს ქუდი.
 ბრძოლის დღეების მოსაგონარად
 ჩემ ქუდს—მეგობარს ვატარებ მარად.

როცა მე ვირჩევ ნივთს რომელიმეს
 ყოფილ ორდერზე ვოცნებობ წმინდათ,
 და სხვა დ ეებზე—დაუდგრომელი
 როცა ვკითხვლობ ცნობას შესახებ
 ბანკოტებისა,
 ან და შესახებ მსოფლიო ბაზრის,
 მე ათრთოლებულ კოტიკს ვუცქერი
 და გავიფიქრებ ატეხილ აზრით:
 ერთს სასეირნოდ აქვს ჩუარი „ფორდი“,
 მეორე სცხოვრობს ათი ბინაში.
 მაგრამ დღე მოვა—ყველას წინაშე
 წარვადგენთ ორდერს.
 ქუდზე კი არა—
 თვით მსოფლიოზე

გეზუ ნახშირი.

რომანი

წიგნი პირველი.

გეზუ ნახშირის საგეზო.

(გავრძელება*)

§ 15

მოხუცი მიკე რემინიკისთან იდგა ბინათ. ვახშის შემდეგ ხოლმა მოსძებნა იგი. მასთან დაახლოვება ადვილი იყო და ის საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. მიკეს უყვარდა ლაპარაკი და ამის წყალობით ხოლს საშუალება მიეცა ფიქრით მაინც გასცნობოდა იმ ოლქის სხვა და სხვა ახლო მდებარე ნალარებს. მოხუცს ფიცები და მოლოცვები ხასიათი ჰქონდა, რომელსაც ის ვერაფრის გზით ვერ უკავებდა თავს; ამის მიზეზით მას სულ მედამ ადგილიდან ადგილზე, ერთი მალაროდან მეორე მალაროზე უხდებოდა გადანაცვლება; თუმცა, ამბობდა ის, ყველა ისინი ერთნაირი არიან; ყველგან ჭურდული საშუალებით ხელუფასს უმცირებენ მალაროს მუშას. მალაროს მუშა, მისი აზრით,—ეს ერთგვარი მრეწველია მთელი მისი მოკებით და ხარალით. ზედამხედველი უჩვენებდა მას უბანს და ისიც ხდებოდა ნახშირის ამომღებ მოიჯარადრედ; ერთ ტონა წმინდა ნახშირში ის იღებდა ორმოცდაბუთ ცენტს. ზოგიერთი უბანი ხელსაყრელი იყო, მაგრამ ზედებოდა ისეთიც, შეიძლებოდა მთელი კვირაობით გეზუ ხარა ნახშირი და საზრდოს ფასიც კი ვერ გეზოვნა.

ყველაფერი დამოკიდებული იყო ნახშირთან ამოსულ ქვისა და შიფერის ცოტა თუ მეტ რაოდენობაზე. თუ ფენი თბელი იყო, მაშინ საჭირო ხდებოდა ერთის ან ერთ ნახევარი ფუტის გადაცლა ზემოდან, რომელიც განსაკუთრებული ღრმებით გაჰქონდათ. ასეთ მუშაობას სახელად ერქვა „წმენდა“, და მასში არაფერს არ იძლეოდნენ. დროგამოშვებ საჭირო ხდებოდა ახალი გზების გაკრა, ან ჯიშის ამორჩევა, ან და რომოდებისათვის რელსების დაწყობა, ხანდახან ძარღვი კლდეს მიაღვებოდა—ადგილი, სადაც ნახშირის მაგიერ ქვის სქელი ფენი იყო; მუშას რომ ნახშირამდე მიეღწია, აუცილებელი ხდებოდა ამ ქვის თავიდან

* იხ. „წათობი“ 8—9 (16—17).



მოშორება, ყველა ასეთ საბუწაოს სახელად „მკვდარი მუშაკობა“ ვერძღობდა, და ის დაუსრულებელი ჩუბის წყარო იყო ხოლმე. წინადა კომპანია იხდიდა ფასს ასეთ სამუშაოში, ებლა კი, მას შემდეგ, რაც მან თავი ძალაში იგრძნო, უარს აცხადებდა მის გადახდაზე. ამიტომ მალაროს მუშისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი უბანი მიეღო, სადაც „მკვდარი საბუწაო“ რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო. ხოლო რადგან უბნის დანიშვნა ზედამხედველზე იყო დამოკიდებული, ამისათვის ხელად ჩნდებოდა სხვადასხვა ბოროტმოქმედების აუარებელი შესაძლებლობა. აქედან მუდმივი დავა ზედამხედველთან და მის წინაშე მლიქვნელობა. „როგორია ასეთ პირობებში—ეკითხებოდა გულგამწარებული მოხუცი—მდგომარეობა მოხუცი კაცის, რომელმაც ხეირიანად ინგლისურად ლაპარაკი არ იცის?“ ზედამხედველი იპარავს მის რონოდებს და ჩემად აძლევს სხვებს, იღებს ნახშირს რონოდების დატვირთვის დროს და გადასცემს მათ, ვინც მასთან სცხოვრობს ან არაყზე ჰპატივობს და, საერთოდ, სცდილობს ამა თუ იმ საწვავლებით მისი სიმპატიის დამახებურებას.

ხუთი დღე ველშობდი „სოუსტიტერში“ და, ღმერთს გვეცივები, ჩემო ძმაო, ამ ადგილიდანაც ნულარ ამდგარეარ თუ ესტუროდე, სულ ზეთმეტი ცენტი ავიღე ნხოლოდ! ქვა იყო სისქით თოთხმეტი თითის დადება. მე ვკითხე მისტერ ბიშოპს, მთავარ ზედამხედველს: „ქვის ფულს მომცემთ?“ „რაო?“ მითხრა მან. „ქარგი, ვეუბნები მე, თუ არ მომცემთ, მე მეტს აღარ ვმუშაობ. არც კი ვიცი რა მოხებრხო ამ ქვას“. „დაიქარგეთ აქედან!“—სთქვა მან,—და როდესაც მე გამოვედი მოთინებოდან, მათ თოფის ტუჩი მომადვეს ცხვირზე. გავსწიე სიდერბერგში, ზედამხედველმა მომცა საბუწაო: „წადით ნეოთხე ნომერში—მითხრა მან—იქ რკინის გზის ლიანდაგია გასაყვანი; რელსებს თქვენ ნახავთ შესავე ნომერში“. და დაუმატა: „როდესაც ყველაფერი მზად იქნება, ფულს მიიღებთ“. მე ვიწყებ რელსების თრევას, ვმუშაობ შეადღემდე, გავიყვანე სანი რწყელი რელსი, გამოვთალე სამი შვალი.

— შვალეები გამოთალეთ?—ჰკითხა ხოლნა.

— ჰო, ახალ შვალეებს არ იძლევიან და ძველების გამოყენება უზღებათ; შემდეგ მე ვეუბნები: „სად არის ნახევარი ზელფასი, რომელსაც თქვენ მე დამპირდით?“ ის კი მიპასუხებს: „თქვენ ჯერ კიდევ ნახშირი არ მოგითხრიათ“. „მისტერ, ვეუბნები მე—თქვენ დამპირდით რელსების გაყვანისათვის ქირის მოცემას.“ მან მითხრა: „კომპანია არ იხდის მკვდარი საბუწაოს“ ფასს, ხომ იცით თქვენ ეს.“ და მე არ მიმიღია არც ერთი ცენტი.

— არც ნახევარი დღის მიგილიათ?

— არაფერი, სრულიად არაფერი. ზედამხედველი ისე ექცევა მალაროს მუშას, როგორც მას მოეპრიანება.

§ 16

იყო კიდევ ერთი რამ, უხსნიდა ხოლს მოხუცი მიკე, რაშიაც მალაროს მუშა საყვებით დამოკიდებული იყო სხვისი კეთილი სურვილისაგან. ეს იყო დატვირთული რონოდების გამოპარვა. ყოველ მალაროს მუშას ჰქონდა ეტონე-



ბის განსაზღვრული რაოდენობა, რომელზედაც მისი ნომინალური ღირებულების ჩაბარების დროს ექტონს ჰკიდებდა მუშა რონოდის გარეკეცვლაზე. ხანდახან ხდებოდა ისე, რომ, სანამ ნახშირი გაივლიდა გრძელ გზას განტვირთავ პუნქტამდე, ექტონს მოხსნიდნენ ერთ რონოდას და ჩამოჰკიდებდნენ მეორეს, და ამ შემთხვევაში მალაროს მუშას შეეძლო თავისი რონოდა დაკარგულად ჩაეთვალა. ზოგიერთ მალაროებში ნომერი უბრალოდ იწერებოდა ცარცით და იმაზე ადვილი არაფერი იყო, რომ წაეშალათ ერთი და დაეწერათ მეორე ნომერი. ხოლმე შენიშნა, რომ ნომრების ჩამოხსნა ადვილი ასაკდენია თავიდან, თუ მათ ბოქლომით დაჰკეტდნენ. ამაზე მივესალა, რომ ეს კომპანიას დაახლოვებით ორასი დოლარი დაუჯდებოდა. არ იყო არავითარი საშუალება, რომ თავიდან აეცდინათ ეს ბოროტმოქმედება, რომელიც წლიდან წლობით სწარმოებდა.

— თქვენის აზრით რონოდებს ზედამხედველები იპარავენ? — ჰკითხა ხოლმე.

— ხან ზედამხედველები, ხან მათი მეგობრები, ხან კიდევ თვითონ კომპანია.

ნორტ-ვალში, მაგალითად, ირწმუნებოდა ბებერი სლოვაკი, თვითონ კომპანია იპარავს. მისი სიტყვით, არ ჰქონდა არავითარი აზრი ექვსზე მეტი რონოდის ჩაბარებას. — სულ ერთია, ექვსზე მეტს მიანიც არ ჩავითვლიდნენ ანგარიშში. აზრი არა ჰქონდა აგრეთვე რონოდაში ერთ ტონა ნახშირზე მეტის ჩაწყობას, ვინაიდან, სულ ერთია, მათ არასოდეს სწორედ არ სწონიდნენ — ამწონავი სწრაფად გაატარებდა მათ სასწორზე, მით უმეტეს, რომ მას განაკარგულება ჰქონდა არ აღენიშნა განსაზღვრულ წონაზე მეტი. მივე მოსყუა, თუ ერთმა იტალიელმა როგორ დატვირთა რონოდა მაგალითისათვის ისე ძლიერ, რომ ის ძლივს შევიდა შენობაში. მუშა მოუწორებლად მიჰყვებოდა 'ას თან გამტვირთავ პუნქტამდე და შენიშნა, რომ სასწორმა ექვსი ათას ხუთასი გირვანქა ატენა. მაგრამ მას კი მისცეს მხოლოდ სამი ათას ხუთასის ფასი. როდესაც მან პროტესტი განაცხადა, ის დააპატიმრეს. მივეს არ უნახავს, თუ როგორ დააპატიმრეს, მაგრამ როდესაც ის ამოვიდა მალაროდან, იმისი კვალი სადღაც გაჰქრა და მის შემდეგ ის აღარავის შეხვედრია. ამის შემდეგ გამტვირთავ პუნქტს კარები ახტეს და შეუძლებელი გახდა აწონისთვის თვალის დევნება.

რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ხოლი მალაროს მუშების ნაამბობს, მით უმეტესად რწმუნდებოდა იმაში, რომ მალაროს მუშა არის კონტრაგენტი, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი საშუალება მიეღწია პირობის წესიერად შესრულებისათვის და რომელსაც არ შეეძლო დანამდვილებით სკოდნოდა, თუ რამდენი სამუშაო შესრულა მან. კიდევ მეტი, მას ესაჭიროებოდა სამუშაოსათვის მასალები, რომლის რაოდენობა და ფასი სრულიად გამორეკვეცილი იყო მისთვის.

მას უნდოდა წამალი. ყოველი თვის ბოლოს მალაროს მუშის ანგარიშს ბოლოში მიეწერებოდა გარკვეული მინიმუმი დახარჯულ წამალზე. მაგრამ მინაწერი ხშირად არ ეთანხმებოდა ნამდვილად დახარჯულ რაოდენობას, ხოლო



ამის წინააღმდეგ პრძოლისათვის მუშა უძღური იყო. განსაზღვრულ თანხაზე უკერ-
დენ მუშას ჯამაგირიდან „სამშენებლო სამუშაოსთვის“ (მისი ინსტრუქციის შე-
საკეთებლად), ყოველთვიურად უნდა გადაეხადა მას ერთი ან ორი დოლარი,
იმისდა მიუხედავად, სარგებლობდა ის სამშენებლოთი თუ არა.

მონახეთ რომელი საქმიანი კაციც გინდათ მთელ ქვეყანაზე, ფიქრობდა
თავის გულში ხოლი, დასთანხმდება ის ასეთ პირობებში იკისროს რაიმე ვალ-
დებულება? ვინ დასთანხმდებოდა მაგალითად თბილისის გაკეთებაზე, თუ კი მას
საშუალება არ ექნებოდა მოეხდინა წინასწარი გაზომვა? რომელი ვაჭარი მიჰყი-
დიდა რამეს ისეთ მყიდველს, ვინც პირობად დაუდებს მას, რომ თვითონ ის
ასწონის საქონელს, ხოლო წონის დროს ვაჭარი მალაზიიდან უნდა გავიდეს?
თვით დაყენება ამგვარი კითხვების ამტკიცებდა არსებული წესების მთელ
აბსურდს. და მაინც, მიუხედავად ასეთი პირობებისა, ამ რაიონში მუშაობდა
ხუთმეტი ათასი კაცი.

კანონით მუშებს უფლება ჰქონდათ თავისი ინტერესების დასაცავად ხას-
წორთან კონტროლიორი დაეყენებიათ. ისინი ვალდებულნი იყვნენ შეენახათ ის
თავის ხარჯზე. როგორც კი სადმე საზოგადოებრივი აზრი კრიტიკულად შეეხე-
ბოდა მალაროების წესებს, მალაროების მენატრონენი დიდის ამბით მიუთი-
თებდნენ ამ კანონზე. მაგრამ ადგილობრივი უნდა ყოფილიყო, რომ დარწმუნე-
ბულიყო იმაში, თუ რა დაკინება და მასხარად ავდება იყო ეს მუშების.

ხოლს ჰყავდა სისადილოში მესობელი, ქერა ვეება ვაქაკი, შვედი, სახე-
ლად იოგანსენი, რომელიც დღეში ათ საათს მუშაობდა სამშენებლო ხე-ტყის
დატვირთვაზე. ეს გყუთნოდა იმ მუშების მცირე რიცხვს, რომლებიც თავის
თავს მეტად სასიამოვნო ნებას აძლევდნენ—საკუთარი შეხედულების აშკარად
გამოთქმის ნებას,—ის იყო ახალგაზნდა, საშინელი ფიზიკური ღონის პატრონი
და არ იყო დატვირთული ოჯახით. წლიდან წლობით ის იცვლიდა სამუშაოს—
ყანების დამუშავებიდან გადადიოდა მალაროებში და მალაროებიდან ისევ ყა-
ნებს დაუბრუნდებოდა ხოლმე. ვილაცამ ჩამოუგდო მას სიტყვა „წონის კონტ-
როლზე“, მან ისეთი გადიხარხარა რომ მთელი სუფრა შეანძრია.—აბა ერთი
სკადოს ვინემ კონტროლის მოთხოვნა.

— თქვენის აზრით, მას გააგდებენ მალაროებიდან?—შეეკითხა ხოლი.

— შეიძლება,—იყო პასუხი,—ან აიძულებენ თავისი ნებით მოშორდეს
იქაობას.

— რანიარად?

— ისეთ სიტყვებს დააყენებენ, რომ თვითონ ითხოვს განთავისუფლებას!

მაშ ასე, კონტროლიორების საქმე იმგვარადვე იყო, როგორც ბინების,
კომპანიის საქარხნო დუქნების და ყველა კანონის მიერ გათვალისწინებული
ზომებისა უბედური შემთხვევების დროს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა თავისი
კანონიერი უფლებების მოთხოვნა, მაგრამ ამ მოთხოვნილებათა შედეგი სავე-
ბით ზედამხედველზე იყო დამოკიდებული. მას შეეძლო „დაეყენებინა სიტყვ“
და აეძულებინა თავისი ნებით წათრეულიყო, ან და საწყაღს თავზე ლაშქვა-
გინების ნიაღვარი დაატყდებოდა, რასაც შენდევ მოჰყვებოდა ბრძანება: „მოს-

წყდი აქედან და ჩაუყვე კანონს თავდაღმა!" ხშირად ამ სიტყვებს ამბობდა პანდური ან შუბლზე მიდებული რევოლუერის ტუჩი.

გაბეჭდეს და
გაყიდა

§ 17

ყველა ეს პირობები ნახშირის ბასეინს ნამდვილ საშინელების საშვეოდ აქცევდა. მიუხედავად ამისა, მაინც იყვნენ ისეთები, რომლებიც ახერხებდნენ თავისი ცხოვრების ასე თუ ისე მოწყობას, ისინი ინახავდნენ ოჯახს და სცხოვრობდნენ გვირგვინ ოჯახურ პირობებში. თუ ვინმე მოახერხებდა ყოველგვარი შემთხვევების თავიდან კეთილად აცილებას, ან თუ მეტად ადრე არ დაქორწინდებოდა და ძალიან არ მოამზადებდა ბავშვებს, თუ შესძლებდა თავიდან აეკიდინა ლოთობა, რომელიც მეტად ბევრს იზადებდა დაქანცულობისა და ცხოვრების აუტანელი ერთფეროვნობის გამო, და, რაც უმთავრესია, თუ ის როგორმე ზედამხედველის გულს მოინადირებდა, — მაშინ შას საშუალება ჰქონდა გაეჩინა საკუთარი შინაური მეურნეობა და ცოტაოდენი თანხაც კი შეეგროვებინა.

ერთი ასეთი ბედნიერთაგანი ჯეროი მინეტტი იყო, რომელიც მალე ხოლის ერთ საოკეთესო მეგობრად გადაიქცა.

ჯეროი იყო დაახლოვებათ ოცდა ხუთის წლისა, იტალიელისათვის იგი მეტად მალალი, მზარ-ბეჭიანი იყო. მათ გაიცნეს ერთმანეთი ერთ-ერთ კვირადღეს. ხოლი ჩვეულებრივ კვირაობით იჩენდა ახალ ნაცნობებს. ჯეროი ახალი ამდგარი იყო, კარგად დაბანული, ახალ ლურჯ შარვალში, ის ძლიერი მზის შუქზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ის მიდიოდა თავაწვეული, უკან მბრებ გადაშლილი და ეტყობოდა, რომ მას არ აწუხებდა არაერთი საზრუნავი.

მაგრამ ხოლის უფრადლება იმდენად ჯეროის არ მიუხედავია, რამდენადაც იმ არსებას, რომელიც შას უკან მისდევდა: ჯეროის ნამდვილი ისლი, ახლად პირდაბანილი, ახალი ლურჯი შარვალი. ბავშვსაც მალე აეწია თავი, მბრები უკან გადაეყარა, და შეუძლებელი იყო არ დამტკბარიყო კაცი მისი მზერით, როდესაც ის ადგამდა თავის პატარა ნაბიჯებს და ცდილობდა რომ შამას არ ჩამორჩენოდა, რამდენადაც არა ცდილობდა ნაბიჯის გადიდებას, ის მაინც ჩამორჩებოდა ხოლმე შამას და მაშინ იგი სირბილით დაეწყოდა მას.

ხოლიც იმავე მიმართულებით მიდიოდა, რომლითაც ჯეროი თავის ბავშვით. მათმა შეხედულებამ ისე იმოქმედა შასზე, როგორც სამხედრო მუსიკამ, მანაც მოისურვა თავის მალე აწევა და მათთვის ფეხის შეწყობა. გამლელები მისტრებოდნენ მათ და მოციინარე ხოლს, მიბრუნდებოდნენ მათკენ და დაიწყებდნენ ისინიც სიცილს. ჯეროი ვერაფერს ამწყევდა და თავის გზას განაგრძობდა. შამა თავისი შვილით რომელიღაც სახლში შევიდა; ხოლს ამ დღეს სხვა არაფერი საჭმე ჰქონდა, თუ არ სიციოხლით დატკობა, და მან დაიკადა იქვე, სანამ შამა-შვილი უკან არ გამობრუნდნენ. ისინი გაემართნენ იმავე ნაბიჯით, როგორც წინად, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ეხლა შამას მბრებს უკან ტომარა ეკიდა, ხოლო ბავშვს, შამის მიბაძვით, პატარა ფუთა. ხოლს კიდევ გაეცინა და, როდესაც ისინი გაუქსნოდნენ მას, მან წარმოსთქვა: „აალოო!“



ერეკლე

„აიღო!“ — უპასუხა ჯერრიმ, რომელიც გაჩერდა და დაელოდა მოლოდინს. გიგანური ხალხი მოლოდინს შეეხებდა, გაიღიმა ბავშვმა. როდესაც ჯერრიმ მიხვდა ხალხის სიცილის მიზეზს მისი სახე უფრო მეტად გაშალა ღიმილმა. ასე იდგნენ სამივენი და შესვლიდან ერთმანეთს სრულიად უმიზეზოდ.

— რა მშვენიერი ბიჭია, — შენიშნა ხოლმა.

— ხო, კი, — სთქვა ჯერრიმ და დაუშვა მიწაზე ტომარა. ჯერრიმ ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა თავის შვილის ტეხას.

— თქვენი შვილია? — ჰკითხა ხოლმა.

— ჰო, კი, — გაიმეორა ჯერრიმ.

— აიღო, ბიჭუნო! — სთქვა ხოლმა.

— აიღო! — უპასუხა ბავშვმა.

მას აშკარად ეტყობოდა, რომ ის ამერიკის დიად სადნობ ქვაბში იყო დაბადებული.

— რა გექვიან? — ჰკითხა ხოლმა.

— ჯერრიმ.

— იმას რაღა ჰქვიან? — მიუთითა ხოლმა მამაზე.

— დიდი ჯერრიმ.

— არის რამე თქვენსას შენი მსგავსი?

— კიდევ ერთი, — სთქვა დიდმა ჯერრიმ: — პატარა ბები.

— ის სულ სხვა არის, — წამოიძახა პატარა ჯერრიმ.

— ის ნოღად პატარა არი.

— შენ კი დიდი ხარ თუ? — ჰკითხა ხოლმა.

— იმან სიარული არ იცის.

— შენაც არ იცი სიარული, — გაიცინა ხოლმა, აიყვანა ბავშვი და შეისვა მხრებზე. — აბა წაეიდეთ შემჯდარი.

დიდმა ჯერრიმ აიღო თავის ტომარა და წავიდა. ეხლა კი მას უკან მიჰყვებოდა ხოლი, ხტოდა და ქენობდა. პატარა ჯერრის ეს მეტად ართობდა, ის იცინოდა და სიამოვნებით თავის პატარა ღებებს აქნევდა.

ასე მივიდნენ ისინი ჯერრის პატარა სახლამდე. მათ შესახვედრად გამოვიდა ჯერრის ცოლი, შავთვალა, პატარა სიცილიელი ქალი, რომელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის ორი ბავშვის დედა იყო, მეტად ახალგაზდათ გამოიყურებოდა. შეხედეს ერთმანეთს და კიდევ გაეცინა ყველას, შემდეგ დიდმა ჯერრიმ ჰკითხა. „ხომ არ შამოხვალთ ჩვენთან?“

— სიამოვნებით, — უპასუხა ხოლმა.

— დარჩით ჩვენთან ვახშამზე, დღეს ჩვენ ვახშამს სპაგეტი გვექნება. *)

— დიდებულია, — სთქვა ხოლმა: — დიან, მე სიამოვნებით ვივამშებდი თქვენთან, მაგრამ ნება მომეცით ვახშმის ფასი გადავიხადო.

— არა, ჩემო ძმაო, ჩვენ მაგის უფლებას არ მოგცემთ! — უპასუხა დიდმა ჯერრიმ.

*) სპაგეტი — შავარშითა ერთგვარი.



— არა, არ დაგანებებთ!—თავის მხრივ წამოიძახა სინდორა ჯეროვნი და ენერგოულად გააქნია თავისი ლამაზი პატარა თავი.

— კეთილი,—დააჩქარა ხოლმე დათანხვება ამის შიშით, რომ შეურაცყოფა არ მიეცენებინა მათთვის.— მე სიამოვნებით დავრჩები, თუ არ დაგაქცევთ ამით და თუ თქვენ ნამდვილად გადავგრჩებათ ჩემს კერძი.

— რა თქმა უნდა გადავგრჩება,—სთქვენ ჯეროვნი.— ხომ როზა?

— მაშინ მე დავრჩები.

— შენ გიკვარს სპაგეტი, ცუდლუტო ბიჭუნო?—მიმართა ხოლმე ბავშვს.

— ო, ღმერთო, როგორ არ მიყვარს!—წამოიძახა პატარა ჯეროვნი.

ხოლი შეუდგა ბინის დათვალიერებას; ის საკვებით შეეფერებოდა კობტა დისახლისის გარეგნობას. ფანჯარაზე მოქსოვილი ფარდები გვიდა, კიდევ უფრო სუფთა, ვიდრე რაფერტისას; იატაკი ჭრელი ხალიჩით იყო დაფარული; კედლებზე ოლგოგრაფიები გვიდა—ვეზუვის პეიზაჟები და პარიზალდის სურათი. კაბინეტში ბევრი თავის შესაქცევი ნივთები იყო: მარჯნის ნატები და დიდი სადაფი, ინდოეთური ისრის წვეერი, სკვინჩა ჩიტის თოჯანა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა ხოლი სრულიად გულგრილად შეცქეროდა ასეთ საგნებს, მაგრამ ის იყო წინად, როდესაც ის ჯერ კიდევ ექვს დღეს მიწის წიაღში არ ატარებდა.

ის დაჯდა საეხშომოდ მასპინძლებთან ერთად. ეს ნამდვილი ვახშამი იყო. სპაგეტი ნამდვილი სპაგეტი აღმოჩნდა, ის იყო ცხელი და მას ზედ ესხა პამიდორის წყენი და ხორცის ნახარში. ხოლი სულ ტუჩებს ილოკავდა და პატარა ჯეროვის უღიმოდა, ისიც ილოკავდა პირს და ილიმებოდა. განსხვავება ამ ვახშამსა და რემინიციისთან მომზადებულ ღორის სასულუკავ შორის იმდენად საოცარი იყო, რომ ხოლს ეგონა, რომ არასოდეს მთელ თავის სიცოცხლეში მას ასეთი გემრიელი საკმელი არ უქამია. რაც შეეხებოდა ჯეროვის და მის ცოლს, ისინი ისე ამაყობდნენ თავისი მშვენიერი ბავშვით, რომელმაც როგორც პირწავარდნილმა ამერიკელმა, გინება საუკეთესო ინგლისურ ენაზე იცოდა, რომ მათ მეშვიდე ცაში ეგონათ თავისი თავი.

როდესაც ვახშამი გათავდა, ხოლი მიაწვა სკამის ზურგს და ამოიოხრა სწორედ ისე, როგორც რაფერტისას:—ღმერთო ჩემო რა კარგი იქნებოდა. რომ თქვენსას დამასახლა.

ჯეროვნი შეხედა ცოლს და სთქვა:

— მერე რა, ადგილი და ვადმოიბარგე. ხომ, როზა?

— რა თქმა უნდა,—უპასუხა როზამ.

ხოლი გაოცებული შეცქეროდა ორივეს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ ამის ნებას მოგცემენ?

— ნებას რომცემენ? ვის შეუძლია რომ დამიშალოს?

— არ ვიცი, ეგებ რემინიციის. უსიამოვნობა შეიძლება რომ შეგემთხვეთ; ჯეროს გაეცინა:

— მე არ მეშინია, მე მყვანან მეგობრები. კარმინო ჩემი ნათლიმამა არის.

თქვენ იცით ვინ არის კარმინო?



საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

— არა, — უთხრა ხოლმე.
— პირველი ნომერის მალაროს ზედამხედველი. ის გამოემქობაგება, თუ საჭირო იქნება, რემინიციკი ვინ ეშმაკია? ვადმოასხლდი ჩვენთან, კი ამ ოთახში დაგიდგამთ საწოლს. რას აძლევ რემინიციკის?

— ოცდა შვიდ დოლარს თვეში.

— კარგი, მეც იმდენი მომეცი, ჩვენ კი ვიზრუნებთ თქვენზე როგორც რიგია. ინელია აქ სადმე რიგიათი იჯრის შოვნა, მაგრამ როზან კარგი საქმე-ლის მზადება იცის.

ხოლის ახალი მეგობარი კაცი — ზედამხედველის პროტეჟე — „ამფეთქებელი“ იყო; მის მოვალეობას შეადგენდა ლამიამობით მალაროს დაფა და მუშე-ბის მიერ დღის განმავლობაში ჩაწყობილ წამლებს აფეთქება. ეს სამუშაო დიდ სამიშროებასთან იყო დაკავშირებული და განსაკუთრებულ სიმარჯვეს და ცოდნას მოითხოვდა, ამიტომ ხელფასსაც შედარებით კარგს აძლევდნენ. ჯერრი მოხერხებულათ აწყობდა თავის საქმეებს და არ ეშინოდა გარკვეულ საზღვარამ-დე აშკარად გამოეთქვა თავისი შეხედულებანი. იმ ვარემოებას, რომ ხოლი შეიძ-ლება ჯაშუში ყოფილიყო, ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მან გან-ცვიფრებაში მოიყვანა ხოლი თავისი საუცხოოო ლაპარაკით იმ ათასწიორ შე-ვიწროების განო, რომელსაც განიცდიან მუშეები ნორტ-ვალში და სხვა მალა-როებზე. ხოლმა ვაიგო მისგან, სხვათა შორის, რომ ის სოციალისტია და, იწერს იტალიანურ სოციალისტურ გაზეთს. ფოსტის უფროსმა იცოდა, თუ რა ვაზეთიც იყო ეს და აჯავრებდა ხოლმე ჯერრის. ხოლისათვის შესამჩნევი იყო აგრეთვე ის გარემოება, რომ სინაორა ჯერრიც სოციალისტი იყო. ჯერრიმ აუხსნა რომ ეს გარემოება მისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამის წყალობით მისი ცოლი დაზღვეულია სასულიერო პირთა გავლენისაგან.

§ 18.

ხოლი დაუყოვნებლივ გადავიდა ჯერჯინთან და შესწირა კიდევ რემი-ნიციკისთვის წინდაწინ მიცემული ფული, რომელიც საკმაოდ დიდი იყო. მაგ-რამ ხოლმა ჩაუქნია ხელი ამ გარემოებას, რადგან მას პერსპექტივაში სუფთა ოთახი და კარგი კამა-სმა ჰქონდა. მან ბევრი დაჰკარგა თავის ირლანდიელ მეგობრების თვალში იმით, რომ ის მინეტრისთან დაბინავდა, მაგრამ ეს გა-რემოება ხოლს არათბდა მხოლოდ. ნორტ-ვალში არსებობდა ერთგვარი სო-ციალური გამიჯვნა. ამერკელები, ინგლისელები და შოტლანდიელები ზიზლით უცქერდნენ ირლანდიელებს და უფლის ნებოვრებლებს, ამათ კი თავის მართთ იტალიელნი ეზიზღებოდათ. იტალიელები და ესპანელები ზერელედ უყურებდნენ პოლონელებს და რუსებს, რომლებიც თავის მართთ მტრულად ექცეოდნენ ბერძნებს, ბულგარელებს, მთაშაველებს, და ასე მისდევდა ერთი ეროვნება მეორეს.

ხოლმა იგრძნო თავისი დეგრადაცია რაფერტის ოჯახში პირველ მისვლის-თანავე. იქ იყო მერი ბარკი. როდესაც მერიმ დაინახა იგი, თვალეში ელვამ გაურბინა და განზრახ ჰქითხა:



ქართული

— როგორ სცხოვრობს სინაორ მინეტტი?
— თქვენ როგორღა სცხოვრობთ, სინაორა რონეტტი? — უკანასკნელმა მან მერი თავის მხრით.

— თქვენ გიყვართ სპაგეტი?

— თქვენ კი არ გიყვართ?

— ხომ გითხარით,— იცინოდა მერი,— რომ მე ბებერი ქართოფილიც მეყოფა.

— აღარ გახსოვთ,— კითხა ხოლმე,— რაც გიპასუხეთ მე თქვენ მავ სიტყვებზე?

— ო, რა თქმა უნდა, მას ახსოვდა; მისი ლოყები დაწითლდნენ ვარდის ფურცლებივით, რომლის შესახებაც მაშინ მას ხოლმე უთხრა, თითქოს ის იყოს მისი საკადრისი საკმელი.

შემდეგ მერის შეუერთდნენ აგრეთვე პატარა რაფერტები, რომლებთანაც ხოლმე უკვე მოასწრო დაშვებებდა.

— სინაორ მინეტტი! თქვენ გიყვართ სპაგეტი?

ხოლო მიხვდა საქმის ვითარებას, მას ენაზე ადგა აღსარება, რომ ჯერ მას უნდოდა ირლანდიელთან დაბინავება, და უარი მიიღო მათგან, მაგრამ შეეშინდა ნობუტ რაფერტების შეურაცყოფის და ამიტომ ამჯობინა განცხადებებინა, რომ რაფერტი მან იტალიელად მიიღო. ხოლმე დიდის ამბით მიმართა რაფერტის და უწოდა მას სინაორ რაფერტი, რაიც მან წმინდა იტალიანური კილოთი განოსთქვა. ამან ისე გაართო მოხუცი, რომ მთელი საათი იცინოდა გაუჭრებლივ. ის მალე შეეთვისა ახალგაზრდა კაცს, დაიფიქვა თავისი ეჭვენულობა და გადავარდა გულახდილობაში, როდესაც უნებობდა მალაროს მუშის, ამ შემთხვევაში თავისი საკუთარ, ცხოვრებას.

იყო მომენტი როდესაც იფიქრებდა კაცი, რომ რაფერტი შორს წავიდოდა. ის მსახურობდა ამწონავად „სან ხოზე“ს მალაროებში, მაგრამ იძულებული იყო თავი გაენებებინა სამსახურისათვის, რადგან უფროსების ყველა მოწერილობათა შესრულება არ ეგუებოდა მის რელიგიურ რწმენას. მისგან მოითხოვდნენ, რომ მას, რამდენი ნახშირიც არ უნდა ჩაებარებინათ მალაროს მუშებს, აღენიშნა მხოლოდ წინასწარ დადგენილი წონა. მაგრამ რაფერტიმ უფრო ადგილის დაკარგვა ამჯობინა, ვიდრე ასეთი მოწერილობის შესრულება. ამის მოპყვა ის, რომ იგი იძულებული შეიქნა მთლად წასულიყო მალაროებიდან, ვინაიდან ყველამ გაიგო მისი უარის მიზეზი, და ამიტომ მისი იქ გაჩერება ერთგვარი საბაბი შეიქნებოდა ათასნაირი უკმაყოფილებისა.

— თქვენის აზრით, პატიოსანი კომპანიები არ არსებობენ სრულებით? — შეეკითხა ხოლი.

— არის, რა თქმა უნდა, ასეთებიც, უპასუხა მოხუცმა: მაგრამ არც ისე ადვილი საქმეა იყო პატიოსანი, როგორც თქვენ ფიქრობთ. კომპანიები იძულებული არიან მოაწესრიგონ ურთიერთ შორის სამუშაო ხელფასი, და თუ ერთი მათგანი წონაში ატყუებს ნუშებს, სხვებმაც უნდა მიჰმაძონ მის მავალითს. ეს არის სამუშაო ხელფასის დაკლების ერთერთი საშუალება, რომელიც ნუშას



ახრადაც არ მოსდის. ხალხი კი საერთოდ, ყველაზე უფრო ვაჭრებს საჩუქებლო-
ბაზე ფიქრობს.

ხოლს უნებლიეთ პიტერ ხარიგანი მოაგონდა, რომელიც კომპანიის მთელ
საქმეებს ხელმძღვანელობდა; მან ერთხელ ასე სთქვა:—მე დიდი მოყვარული ვარ
დივიდენდის.

— მალაროს მუშების უბედურება იმაში მდგომარეობს,—დაუმატა მოხუცმა
რაფერტიმ,—რომ მათ არაფერი არ ესარჩლება. ისინი სრულებით მარტონი არიან.

საუბარის დროს ხოლი თვალს ადევნებდა „ქერა მერის“. ის იჯდა მოხ-
რილი და ხელები მაგიდაზე დაეწყო, მთელ მის ვარგნობაში დღისი მუშაობი-
საგან დაღლილობა მოსჩანდა. ეხლა ისიც ჩაერთა საუბარში, მის ხმაში უეცრად
ზიზილი გაისმა!—მალაროს მუშების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი
მონებად გრძნობენ თავს და იქცევიან ისე, როგორც მონები!

— მაგრამ, მერი!—განაცხადა მოხუცმა პროტესტი.

— მათ წინააღმდეგ მთელი ქვეყანა არის ამხედრებული, ამათ კი ქეჟა
არა ჰყოფნით იზისთვის, რომ შეეკრან ერთმანეთს მკიდროდ, დაარსონ მუშათა
კავშირი და დაიკვან თავიანთი ინტერესები.

ჩამოვარდა მძიმე სიჩუმე. ხოლაც კი დაფეთდა,—მას პირველად ესმოდა
სიტყვა „მუშათა კავშირი“ წარმოთქმული ხმამაღლა, ყველას გასაგონად.

— ვიცი,—სთქვა მერიმ და ბოროტმა ჯიუტობამ გაიფლავა იმის თვალე-
ში,—თქვენ არ მოგწონთ ეს სიტყვა. მიუხედავად ამისა ის მალე ეკერება ყვე-
ლას პირზე.

— ყველაფერი ეს მშვენიერია,—დაამშვიდა იგი მოხუცმა.—შენ კიდევ
ყმაწვილი ხარ, შენ ქალი ხარ...

— ქალი?განა მარტო ქალებს უნდა ჰქონდეთ ვაბედულება?

— რა, თქმა უნდა,—უპასუხა მოხუცმა და ირონიულად გაიღიმა.—ქალებს
ძალიან მოქნილი ენა აქვთ და არ შეიძლება აეკრძალოს მათ მისი ამოძრავება.
ეს ზედამხედველებმაც მშვენიერად იციან.

— დე ვერე იყოს,—სთქვა მერიმ,—შეიძლება იმიტომ, რომ მალაროებზე
სწორედ ქალები იტანჯებიან ყველაზე უფრო და ალბად ზედამხედველებმა ეს
კარგად იციან.

ახალგაზრდა ქალის ლაწევები მუქმა სიწითლემ დააფარა.

— შეიძლება,—სთქვა რაფერტიმ, გაჩუმდა და დაუწყო ჩიბუბს ბოლები.
აშკარა იყო, რომ მას არ უნდოდა ამ საგანზე საუბარის გაგრძელება და საერ-
თოდ არ სურდა, რომ მის სახლში მუშათა კავშირებზე ლაპარაკი გაებათ.

მისის რაფერტიმ მოხერხებულად შესცვალა საუბრის თემა. ის შეუდგა
მერის პატარა ავადმყოფი დის მდგომარეობის გამოკითხვას. დაიწყო ბაასი
სხვა და სხვა საშუალებებზე ბავშვების ავადმყოფობათა წინააღმდეგ. შემდეგ მერი
წამოვარდა: „დრო არის წასვლის“. წამოვარდა ხოლც:

— ნებას მომცემთ გავაცილოთ?



— რა თქმა უნდა, — გაიციინა ქალმა. ეტყობოდა თითქმის მხიარული კვანძით, — თუ შენც იტყვი, რომ ესაა მთელი მთა, მაშინ მეც ვიტყვი, რომ ესაა მთა. —

§ 19

როდესაც ისინი ქუჩაში მიდიოდნენ, ხოლმა შენიშნა:

— დღეს მე აქ პირველად გავიგონე, სიტყვა „მუშათა კავშირი“.

მერიმ შეკრთომით მიიხედა უკან:

— ჩემად, — წაიჩურჩულა მან: — ის, რაც მეგობრების სახლში ითქმის, ქუჩაში არ არის სათქმელი. უნდა გაუფრთხილდეთ თქვენი შრომის ხელფასს.

ხოლმა ჩურჩულით ჰკითხა:

— თქვენ მართლა გსურთ, რომ აქ მუშათა კავშირი შესდგეს?

— მართლა? განა თვითონ თქვენ ვერ დარწმუნდით წელან, თუ რამდენად მშინაა არის მისტერ რაფერტი? ყველანიც ეგეთები არიან. არა, არა, მე მხოლოდ მოთმინებიდან გამოვედი. მე დღეს საკმაოდ მაგრად ვერ მიქირავს თავი.

ხოლი მოელოდა, რომ ის განავითარებდა თავის აზრს, მაგრამ მან ვადიფიქრა აღბადა. მაშინ ხოლმა ჰკითხა ბოლოს:

— რა მოხდა მაინც?

— არა ღირს ამის შესახებ ლაპარაკი, — უპასუხა მერიმ. ერთხანს ისინი ჩემად მიდიოდნენ.

— თქვენ არა გსურთ მიამზოთ თუ რაშია საქმე? —

თბილმა, თანამგრობობმა ტონმა, რომლითაც იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, როგორც სჩანდა, შთაბეჭდილება მოახდინა ქალზე.

— რა სუსტი წარმოდგენა გაქვთ, ჯერ კიდევ თქვენ იმისი შესახებ, რაც მალაროებზე ხდება, ჯო სმიტ! — სთქვა მან. — ნუ თუ თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ რას ნიშნავს იყო აქ ქალი და მერმე ისეთი ქალი, რომელიც ყველას მოსწონს?

— ღი თურმე რაში ყოფილა საქმე! — წამოიძიხა მან. ისინი ისევ დაჩუმდნენ. დაბოლოს ხოლმა ჰკითხა:

— შეურაცყოფა მოგაყენათ ვინმემ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ, ქალებს, ყოველთვის ჩაგვიყენებია ვინმე. ყოველთვის, ერთი დღეც კი არ ვადის უამასოდ. საითაც არ მივიხედავთ, ყველგან დაგვდევენ თვალებით, ეესტით.

— მაინც ვინ დაგდევთ?

— ზედამხედველნი, მოხელეები, ყველა, ვინც კრახმალთან საყვარელს ატარებს და უფლებას აძლევს თავის თავს შესთავაზოს სხვებს ფული. ეს იწვება ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენ მოკლე კაბებში დადვითვართ და შემდეგ კი საშველს აღარ გვაძლევენ.

— ნუ თუ თქვენ არ შეგიძლიათ აგრძობინოთ მათ, რომ...



— მე კი ვაგრობობინე უკვე. მაგრამ ეხლა ჩემს მოხუცებულს დაეწესა წამება.

— შერმე თქვენი მამა...?—ხოლმა ერთბაშად გასწყვიტა სიტყვა: კითხვა შეუფერებლად ეჩვენა.

ქალი მიხვდა ხოლის დაბნევის მიზეზს:

— ერთ დროს ის რივიანი კაცი იყო, მაგრამ ცხოვრებამ ლაჩრად აქცია ბოლოს. რაც არ უნდა დაგჭირდეთ, საითაც არ უნდა მიტრიალდეთ—ყველაფერი ზედამხედველის განკარგულებაზეა დამოკიდებული: შეგჩრიან ხელში „მკვდარ სამუშაოს“ თუ არა, მოგცემენ თუ არა, კრედიტს ჭარხნის დუქანში, საექიმო დახმარებაც კი მათზე ჰქილია. ჩვენი სახლის სახურავში წვიმა ჩამოდის, ასე რომ წვიმიან ამინდში ჩვენსას ერთი მშრალი იდეგლი არ მოიძებნება, რომ დამშვიდებით დაიძინო ღამე.

— ჰო, —სთქვა ხოლმა,—მესმის. შერმე სახლი ვის ეკუთვნის?

— მისტერ კოხეჯის, საცხოვრებელი ბინების აგენტს. მაგრამ ჩვენ უკვე დიდი ხანია არაფრის გამო არ მიგვიმართავს მისთვის, ერთად ერთი, რასაც ის აკეთებს, ეს არის ბინის ქირის აწვევა. დღეს მამაჩემი მისტერ კოტონთან წავიდა, რომლის მოვალეობას შეადგენს მუშათა ცხოვრების ჰიგიენური პირობების თვალ-ყურის დევნება. მანებელია ბოლოს და ბოლოს ჯანმრთელობისათვის სველ ლოგინში წოლა.

შერი ისევ დაჩუმდა. ხოლმა ჰკითხა:

— შერმე რა უთხრა კოტონმა?

— თქვენ იცნობთ ზომ ჯეფ კოტონს და ამიტომ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი პასუხი: „თქვენ გყავთ ღამაში ქალი, ბარჯ. რატომ არ დაარწმუნებთ მას, რომ დრო არის უკვე მოვიდეს იგი ვონზე?“ თან გაიცინა და შენიშნა, თუ მამაჩემისათვის რამდენად ხელსაყრელი იქნება გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, მისი ვადაკრული სიტყვა, რომ ნესტიან სახლში წოლა მოხუცი კაცისათვის საზიანოა და საშიში,—ადვილად შეიძლება ფილტვების ანთება გაუჩნდეს და მოკვდეს.

ხოლმა ველარ შეიკავა თავი და ჰკითხა:

— შერმე როგორ მოიტყა მამათქვენი?

— თქვენ არ უნდა იფიქროთ მოხუცზე კულად,—სწრაფად სთქვა ქალმა. მან ყოველთვის იცოდა პასუხის ვაცება და თავის დაცვა, ვიდრე ოკალახანის კლანჭებში არ მოექცა. ეხლა კი ძალიან კარგად იცის მან, თუ რამდენი უსიამოვნობის მიყენება შეუძლია მალაროს მუშისათვის სამთო წარმოების უფროსს.

§ 20

შერი ბარკმა სთქვა, რომ კომპანიის არ ესაქმება, მთელი იქნება მისი მუშების ძეგლები თუ არა. მალე ხოლს შემთხვევა მიეცა დარწმუნებულიყო ამ სიტყვების სისწორეში.



მალაროს მუშის სიციცხლე სხვათა შორის იმაზედაც იყო დამოკიდებული. თუ რამდენად კარგად იყო გამაგრებული ის ორმო, სადაც ეს მუშაობდა. კომპანია, მართალია, აწვდიდა მალაროებს მარწუხებს, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ არასოდეს არ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მალაროში, და საპიროების დროს მუშას თითქმის მთელი მილის მანძილზე უხდებოდა წისვლა მათ მოსატანად. იქ ის ააჩვენებდა და დანიშნავდა მისთვის გამოსადეკ მარწუხებს და ელოდა, სანამ მათ მისი თანაშემწე მალაროში გადმოათრევდა. ამ დროს კი ხდებოდა ხოლმე, რომ მის მარწუხებს სხვა წაიღებდა—და მაშინ მალაროს მუშა ჰკარგავდა ერთს ან ორ სამუშაო დღეს. მისი დუქნის ვალები კი იზრდებოდა, ბავშვებს ხშირად ფეხსაცმელები არ ჰქონდათ და შკოლაში ველარ დადიოდნენ. ხანდახან მალაროს მუშას მოჰხებრდებოდა მარწუხების ლოდინი, დაიწყებდა თხრას და მაშინ ხდებოდა ხოლმე, რომ მიწა ჩამოიქცევოდა. კომისია გვამების შემოწმების შემდეგ კატასტროფის მიზეზად „დაუდევრობას“ ჩასთვლიდა, ხოლო მალაროების მებატონენი დიდის ამბით გააბამდნენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ შეუძლებელი ხდება ჩაგონო მუშებს სიფრთხილის საპიროება მუშაობის დროს. აგერ ამას წინად ხოლმა წაიკითხა ერთი გაზეთის კორესპონდენტის ინტერვიუ საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის თავმჯდომარესთან. ამ ინტერვიუში თავმჯდომარე გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ ვითომც ყველაზე უფრო სახიფათოა გამოყვანილ მალაროს მუშებთან საქმის დაქვრა, ვინაიდან ყველა ისინი დარწმუნებული არიან, რომ ყველაფერი სხვებზე უკეთ იციან, და არ აქცევენ არავითარ ურადლებას გამაფრთხილებელ ზომებს, რომლებსაც კომპანია მიმართავს.

— მალარო ნომერი მეორეს ზოგიერთ ადგილებში მუშაობა ეგრედ წოდებულ „ოთახურ-სვეტებიანი სისტემით“ სწარმოებდა, ესე იგი ნახშირის იმგვარად იღებდნენ, რომ ორმოს კედლები დასაყრდენ ფუძეებად რჩებოდა. ამ კედლებს სახელად ერქვა „სვეტები“. როდესაც მუშა ნახშირის ფენის დასასრულს მიალწვედა, ის ბრუნდებოდა შემდეგ უკან და „სტებდა“ გზადაგზა სვეტებს, ვიდრე დასასრულ მის უკან მთელი თალი არ ჩამოიქცევოდა. მალაროს მუშამ სულ მუდამ უნდა უკაუნოს ჩაქუჩი ქვას და ხმის ხასიათის მიხედვით სწორედ გამოიანგარიშოს ის მომენტი, როდესაც თალი ჩამოიქცევა, რომ თავის დროზე მოასწროს ვაცლა. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მალაროს მუშა ცოტა ხნით შეჩერდება რომელიმე თავისი ინსტრუმენტის ასაღებად, და მაშინ ის ველარ გაასწრებს, ხდება ისიც, რომ თალი მოულოდნელად ჩამოიქცევა. ქვეშ მოყოლილს იშვიათად თუ ამოსთხრიან,—ეს არის საუცუესო წესი დამარბვის.

სწორედ ამგვარად დაიღუპა ერთი მუშა მალაროში ნომერი ორი. მან წაიფორხილა, როდესაც უნდა გაესწრო, დაცვა და ნახევარი ტანით ჩამოქცეული თალის ქვეშ მოჰყვა. მოშველებული ექიმი ცდილობდა გასამაგრებელი ზომებით შეენარჩუნებინა მისთვის სიციცხლე, ვიდრე ამოსთხრიდნენ მას. ხოლმა გაიგო უბედური შემთხვევა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან შემთხვევით დაინახა ფიცრებზე ტომრებ გადაფარებული გვამი. არავინ არ დაინტერესებულა მკვდართ. როდესაც ხოლმა თავისი სამუშაოს გათავების შემდეგ ჰკითხა მის



შესახებ ჯორების გამრეც მადეიქს, მან უპასუხა: „ვიღაც ლატვიანელია კაცი“. ეს იყო და ეს, არაფერ იცნობდა, არც არაფერ დაიტყუებდა.

მომხდარი კატასტროფის ახლოს მუშაობდა მიკე სიკორია და ეშველებოდათ მუშის ვათხრაში. კატასტროფა მისმა თანაშემწე ზანგმა დაუდევრობით დაისაბიჩრა ხელი და რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობის უნარი დაკარგა. სიკორიამ მოჰყვა თავისი დამტკრებული ინგლისური, თუ როგორ მოხდა კატასტროფა. საშინელი სანახავი იყო ქვეშ მოქცეული, ის მაგრად იყო ჩაჭერილი, და გაფართოებული თვალებით ამაოდ ცდილობდა ჰაერის შესუნთქვას. საბედნიეროდ ახალგაზრდა ბიჭი იყო და ოჯახი არ დარჩენია.

ბოლმა ჰკითხა, რას უშვრებიან გვამს. „მეორე დღეს დამარხავენ“—იყო პასუხი. კომპანიას კანონში რალაც სასაფლაოს მაგვარი რამ ჰქონდა.

— ნუ თუ გვამს არ ვასინჯავენ და არ შეამოწმებენ?

— გვამის შემოწმება?—გაიმეორა მოსაუბრემ. ეგ რას ნიშნავს?

— ნუ თუ გამოძიებელი გვამს არ შეამოწმებს?

მოხუცმა სლოვაკმა მხრები აიჩენა. შეიძლება კიდევ არსებობდეს სადმე ამ რაიონში გამოძიებელი, მაგრამ მას ყოველ შემთხვევაში არასოდეს გაუგონია რამე იმის შესახებ, თუშეცა ის უკვე არა ერთი ათეული წელიწადი მუშაობს მიწის ქვეშ და ბევრი ამხანაგებიც დაასაფლავა.—მათ სდებენ ყუთში და მარხავენ ორმოში,—განუმარტა მიკემ.

— მღვდელი არ ესწრება დამარხვის დროს?

— მღვდელი ძალიან შორს სცხოვრობს აქედან.

შემდეგ ბოლმა შეიტყო ინგლისური ენის მცოდნე მალაროს მუშებისაგან, რომ გამოძიებელი გამოჩნდებოდა ბოლმე ოლქში იშვიათად. ის ნიშნავდა კონისისას, რომელშიც შედიოდნენ: სამთო წარმოების უფროსი ჯეფ კოტონი, კომპანიის დეჟნის გამგე პრედოვიჩი, გალიციელი ებრაელი, ორი ან სამი მოხელე და რამდენიმე მუშა-მექსიკანელი, რომლებსაც საერთოდ ამ საქმის არაფერი გაეგებოდათ. ეს კომისია გასინჯავდა გვამს, დაკითხავდა რამდენიმე მუშას კატასტროფის ზოგიერთ გარემოებათა შესახებ და, დასასრულ იძლეოდა ასეთ მოწმობას: „აწით ჩვენ ვადასტურებთ, რომ მიცვალებული დაიღუპა მალაროს ჩამოქცევით, რომელიც მისივე მიზეზით მოხდა.“ (ერთხელ ასეთ მოწმობას დამატებული ჰქონდა შენდები დამახასიათებელი დეტალი: „მიცვალებულს არ ჰყავდა ნათესავები, მეგობრები კი საკვირველად ცოტა.“)

ამ საშხახურის მოვალეობის შესრულებისათვის გამოძიებელი იღებდა განსაზღვრულ თანხას, ბოლო კომპანია კი-დოკუმენტებს, რომელიც მეტად სასარგებლო იყო ნისთვის იმ შემთხვევაში თუ რომელიმე უცხო ქვეყნის კონსულს აზრად მოუყიდოდა ზარალის განაღდების მოთხოვნა. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ისე მარჯვედ კეთდებოდა, რომ ვერაფერს ვერ ნორ-ტვალში ზარალის ანაზღაურება ვერ მოგებრებოდა. ბოლო უკანასკნელი ოცდასამი წლის განმავლობაში არც აღძრულა ასეთი პროცესი ამ ოლქის მალაროების მეპატრონეთა წინააღმდეგ.

ზემოაღწერილმა უბედურმა შემთხვევამ საშუალება მისცა ბოლს დააბ-



ლოცვებით გასცნობოდა ნამდვილ მუშაობას მალაროებში. თანამშრომლებმა მოხუცმა მიკემ ხოლს მისცა წინადადება, რომ დაექირა ეს ადგილი.

— მომცემს კი ნებას ზედამხედველი? — ჰკითხა ხოლმა.

— მიეცით მას ათი დოლარი და ყველაფერი მშვენივრად მოეწყობა.

— ძალიან ვსწუხვარ, — გაიცინა ხოლმა, — მაგრამ ათი დოლარი მე არა მაქვს.

— მიეცით მაშინ ათი დოლარის ბელწერილი.

ხოლმა ხელმოკრედ გაიცინა.

— განა შეიძლება ბელწერილებით ქრთამების მიცემა?

— ეჰ, რა თქმა უნდა შეიძლება.

— ეგებ ისე მოვახერხო, რომ უსასყიდლოდაც გამომიშვას, თუნდაც იმით რომ ცუდათ დაუწყებ ჯორებს ნოვლას?

— მაშინ ის შენ კისრის ტყბით გაგაგდებას აკედან, — უპასუხა მოხუცმა მიკემ. — თუ გააჯაგრეთ დაგეინინავს საძაგელ უბანს და კვირაში, სულ ცოტა ათ დოლარს მაინც დაეკარგავთ. არა, ისევე ისა სჯობს ერთი რიგიანად გამოათროთ არაყით, უთხრათ ბლომად ლამაზი სიტყვები და მაშინ ყველაფერზე თანახმა იქნება. თქვენ ხომ ლაპარაკობთ ამერიკულად, შეცუადეთ ეგებ დაარწმუნოთ.

§ 21

ხოლს უხაროდა კიდევ, რომ ზედამხედველთან უფრო დაახლოვებით გაცნობის შემთხვევა მიეცა. ალექ სტონი ექვსი ფუტი იყო სიმაღლით და შესაფერისად სრული. მისი ხელები მსუქანი იყო როგორც დაშაშხული ღორის ბარკლები, მაგრამ მათში საშინელი ღონე იფარებოდა. ის მსახურობდა ერთხელ ლუიზიანაში შაქრის პლანტაციებზე და იქ მან შეინიშნავლა ხელკვეითებთან მოპყრობის მანერა. როდესაც გაიგო ეს ამბავი ხოლმა, მისთვის ბევრი რამ შეიქნა ცხადი. მას ჩვეულება ჰქონდა მუშები ეროვნების მიხედვით დაესახელებინა, ისე როგორც რეისორს, რომელიც აქტიორებს როლებს მიხედვით გამოიძახებს ხოლმე: „შენ პოლონელო! წადი კვები დატვირთე!“ „ეი, იაპონელო, აბა ერთი ინსტრუმენტი მომიტანე!“ „ჩაიწყვიტე ხმა, დავო. და გასწი სამუშაოზე! თორემ ისეთი პანდურს მიიღებ, რომ შარვალი შამოგასკდება!“

ერთხელ ხოლის თანდასწრებით კამათი შეიქნა იმის შესახებ თუ ვის მოვალეობას შეადგენდა მარწუხების მილაგება. მიწაზე დიდი ხერხი იდო. სტონმა დააფლო მას ხელი და დაუწყო, როგორც ხმაღს, ქნევა მალაროს მუშის პატარა ჩების ცხვირის წინ.

— დატვირთე მარწუხები, ჩეხო! თორემ სულ წაწილ-წაწილად ავკუწავ! — შეშინებულმა ჩეხმა უკან დაიხია, მაგრამ სტონი განაგრძობდა მასზე შეტევას, მიაკრა კედელს და გაჭერდა მის წინ ხერხის აკეთ-იქით ქნევით. „ავკეპავ ნიკერ-ნაჭერ, გულიაშს გავაკეთებ მე შენგან!“ როდესაც, დასასრულ, ზედამხედველმა თავი მიანება მას, პატარა ჩეხი სწრაფად წამოხტა და დიფყო მარწუხების ტვირთვა.



ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ სტონი, მიუხედავად მისი ტლანქი მოპყრობისა, როგორც ეტყობოდა, გულკეთილი კაცი იყო. მისი მტკარას მეტად იშვიათად თუ მოიხვანდა სისრულეში. ჩვეულებრივ, როდესაც გაათავებდა ყვირილს ვინმეს მიმართ, ის უცბათ მოსდგებოდა ხარხარს, უმეტეს შემთხვევაში მასთან ერთად ხარხარებდა, არც თუ მთლად უშიშრად, ისიც რომელსაც ის უყვიროდა. ხერხის ამბავის შემდეგ ზედამხედველმა შენიშნა ხოლს, რომელიც ამ სურათს თვალს აღევნებდა: „აი როგორ უნდა მოექცე ამ უცხოეთის ძაღლსა და თხერს!“ ხოლმა ეს სიტყვები ისე მიიღო, როგორც ერთგვარი პატივისცემა მისი ამერიკელი სისხლისადმი, და მოხიბლულად იგრძნო თავი.

სალამოზე, მიქსთან საუბარის შემდეგ, ხოლი გაემართა ზედამხედველისაკენ. ზედამხედველი თავის სახლის წინ იჯდა და ფეხები ღობეზე შეეწყო.

— მისტერ სტონ, — სთქვა ხოლმა: — მე ვინდა პატარა მოგელაპარაკოთ.

— აბა, მითხარით, რაშია საქმე?

— არ წამყვებით, რომ ცოტაოდენი დავლიოთ?

— თქვენ ჩემგან რალაც ვინდათ, არა? — მე თქვენ ვერ მომატყუებთ. — მიუხედავად ამისა მან ჩამოიღო ღობიდან ფეხები, გამოძღერტა ჩიბუნი და გაყვა ხოლს.

— მე ვინდოდა საქმე გამომეცვალა, მისტერ სტონ.

— ოჰო, მართლა? ჯორჯები მოგებზრდენ უკვე?

— არა, მისტერ, მაგრამ მე საშუალება მაქვს უფრო ხელსაყრელი სამუშაო მივიღო. მიკე სიკორიას თანაშემწე ავად არის, და მე სიამოვნებით დავიჭერდი მის ადგილს თუ თქვენი თანხმობა იქნება.

— ზანგის ადგილი, ყმაწვილო? მერმედ არ გეშინიათ ზანგისთვის ადგილის წართმევის?

— რად უნდა მეშინოდეს?

— ნუ თქვენ არასოდეს გაგიგონიათ რამე ზოოდოს¹⁾ შესახებ?

— მე მხოლოდ ზანგის ჯამაგირი მინდა, — სთქვა ხოლმა.

— არა, — მოკლედ მოუჭრა ზედამხედველმა. — დარჩით ისევე თქვენს ჯორებთან. თქვენ კარგი შეგინიბებ ხართ და არ მინდა დაგკარგოთ. დარჩით შეგინიბედ და შემდეგში ჯამაგირს მოგიმატებთ. მაღაროში უკეთეს შემთხვევაში ქვის ნატები დაგეცემათ თავზე და მაშინ ძალიან ცოტა სარგებლობას მოგიტანთ თქვენ ზანგის ჯამაგირი.

ისინი სამიკიტნოში შევიდნენ. ხოლმა შენიშნა, თუ როგორი მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა ერთბაშად. ყოველი იქ მყოფი ჩქარობდა სალამი მიეცა მისთვის და ყველანი მათ აკვირდებოდნენ. სასიამოვნოა, როდესაც ზედამხედველის საზოგადოებაში გხედავენ.

ოკალახანი, მიკიტანი, თავაზიანი ღიმილით მოუჯდათ გვერდით. ხოლმა ვისკი შეუკვიათ.

— არა, არა, — განაგრძობდა ზედამხედველი — დარჩით ისევე თქვენს ჯორებ-

¹⁾ ზოადოს უწოდებენ ზანგები ჯადოქრებს, რომლებიც შელოცვით სიკვდილს უზნობენ თავის მტრების წინააღმდეგ.



ქართული

თან. როდესაც შევხვევით ჯორების მოპყრობას, მე გავხდეთ ზედამხედველად და ვასწავლით, თუ როგორ უნდა მოეპყროთ ადამიანებს.

რანდენიმე ახლო მდგომ მუსტარს გაეციან. ზედამხედველმა ერთბაშად გადაჭრა თავისი არაყი და დადგა ჭიქა.

— ეს უბრალო საქმე არ არის. — სთქვა მან ხმა მაღლა, ყველას რომ გაეგონა. — ამას მე დიდხანს ვსწავლობდი ზანგებზე. მე მაფრთხილებდნენ: „თუ ლმერთი გწამთ, ნუ ელაპარაკებით ევრე ჩვენს ზანგებს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ისინი ცეცხლს მოუჯიღებენ თქვენს სახლს.“ მე ვუპასუხებდი: „განებიერებული ზანგი — ეს არის ყოველად უვირგისი ზანგი,“ ზანგს კი ასე ვეუბნებოდი: „აჭრი მიკდე, შენ, ზანგო! საკმაოა უბრალოდ იფიქრო რამე, რომ ერთს ისეთს ამოგისვამ ფეხს, რომ შარვალი შემოგასყდეს.“ თქვენ უნდა გენახათ მხოლოდ, როგორ მუშაობდნენ ისინი ჩემს ხელში!

— დალიეთ კიდევ — უთხრა ხოლმე.

ზედამხედველი განაგრძობდა მსაშ. ის თანდათან მზიარულ გუნებაზე დადგა და დაიწყო ზანგებთან ათასნაირი შემთხვევის მოყოლა თავისი პრაქტიკიდან. შაქრის პლანტაციებზე სამუშაო სეზონი მეტად მძიმე იყო, მუშაობა ოც-ოცი საათი სწარმოებდა დღეში. თუ ზანგები შეეცდებოდნენ ტუმაკათილების გამოხატვას, მათ მაშინვე საძარბაშოში აძლევდნენ გინებინას და უწყესო ტყევის გამო, და მაშინ მათ დანაშაულის მოსახდელად უფასოთ უბედობლად მუშაობა. ზედამხედველმა უამბოთ, თუ როგორ მისცეს საძარბაშოში ერთი ზანგი „ნებადართველი შეტყუარებისათვის“, რომელსაც მოსამართლემ სამოცი დღის იძულებითი მძიმე სამუშაო მიუსაჯა. ამ ანეკდოტმა ყველა დამსწრენი გააცინა — ეტყობოდა რომ რასიული გრძნობა უფრო ძლიერი იყო მათში, ვიდრე კლასობრივი.

უკვე გვიან იყო. როდესაც ხოლი თავის თანამგზავრთან ერთად სამიკიტნოდან გამოვიდა. ზედამხედველი გულკეთილად იყო განწყობილი.

— მისტერ სტონ, — დაიწყო ხოლმე, — მე აზრს მინდა თავი მოგაბებოთ, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, კარგი ჯამაგირი რომ მქონდეს. თუ თქვენ ამაში ხელს შემეწყობთ მე სიამოვნებით გავინაწილებდით მას.

— გამინაწილებდით? — ჰკითხა სტონმა, — რას ნიშნავს ეს?

ხოლს ცოტა არ იყოს შეეშინდა, და, მიკეს რომ არ დაერწმუნებია იგი, რომ ქრთანი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, პასუხად სილის მოლოდინშია ციქი იქნებოდა.

— ესაქვიათ, რომ მე ერთი ხუთმეტრი დოლარით მეტს ვიშოვნე. მე, მართალია, ნაღდი ფული არა მაქვს. ნაგრამ თუ იმ ათი დოლარის კრედიტს, რომელითაც მე დუქანში ვსარგებლობ, თქვენს ანგარიშზე გადაიტანთ, ეს ჩემთვის ხელსაყრელი იქნება.

რამდენიმე ნაბიჯი მათ ხუმად გაიარეს.

— იცით რა გითხრათ, — დაიწყო ზედამხედველმა: — ეს ზებერი სლოვაკი დიდი წყეული ადამიანია, ერთი იმთავანი. რომლებიც ფიქრობენ თითქოს მაღარობენ მათ ისე შეჟღელიათ მოიქცენ, როგორც მოესურვებათ. თუ თქვენ მის



სიტყვებს ყურს დაუდგებთ და თქვენის მხრით უმეყოფილებით, გასაოცრებას მოს-
დგებით, მაშინ ღმერთს გვეუცებთ...

— მე მესმის მისტერ, — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა ხოლმა. — მე ამ შემ-
თხვევაში შემიძლია სამსახური გაგიწიოთ, მე შევეძლებ მის ჩაჩუმებას. თუ გინ-
დათ თვალის დევნებას დაუწყებ, ვის ელაპარაკება, რას შერება და, როგორც
კი რამეს მოვაფლებ ყურს, მაშინავე გაცნობებთ.

— აი ეგ მესმის, — სიტყვა ზედამხედველმა. — თუ აგრე, მაშინ თქვენ მე მზე-
დველობაში მეყოლებით და ემაყოფილიც იქნებით. არ იფიქროთ, რომ მე მაგ
უტყვინო ბებრის მეშინოდეს; მე უკვე უთხარი მას, რომ, თუ მან კიდევ არ მოი-
შალა თავისი, ერთს ისეთს ამოუსვამ ფეხს, რომ შარვალი შემოასკდეს. მაგრამ,
იციოთ, როდესაც საქმე რამდენიმე ათას უცხოელ ოხერთანა გაქვს, ყველაფერს
უნდა მოვლოდე; მათ შორის ანარქისტები ურევიან, არიან ბულგარელები და
მთაწველები, რომლებიც პირდაპირ ომიდან მოხედენ აქ...

— მესმის, — უთხრა ხოლმა. — მათ ფიზიკად უნდა ადევნოს კაცმა თვალი.

— ჰო, ყოველი შემთხვევისათვის, როდესაც თქვენ ილაპარაკებთ საწყობში
ხუთმეტრი დოლარის შესახებ. სიტყვით, რომ თქვენ მე ის პოკერში მოგივით.

— მე ვითხარით ათი, — საჩქაროდ გაუსწორა ხოლმა.

— ვიცი, — უპასუხა ზედამხედველმა. — მაგრამ მე ვითხარით ხუთმეტრი.

§ 22.

ის ასრი, რომ ის მალაროს მუშის ნამდვილ მუშაობას შეუდგება მეტად ახა-
რებდა ხოლს. იგი დიდხანს ართობდა ამით თავის ოცნებას, მაგრამ, როგორც
ეს ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში, სინამდვილეს — თან პირველმავე შეჯახე-
ბამ სრულიად მოსპო მისი ფანტაზიის ნაყოფი. ხოლმა მალე იგრძნო, რომ სა-
ჭიროა მთელი ფიზიკური და გონებრივი ჯანის მოკრება იმისათვის, რომ აი-
ტანო სამუშაო დღის მთელი სიმძიმე. რომ აეწერა ვინმეს მანამდე სიმაღლით
ხუთ ფუტთან ორმოში მუშაობის მთელი საშინელება, ის არაფრის გზით არ
დაუჯერებდა. ყველაფერი წამების იმ იარაღს წაავადდა, რომელსაც ევროპის
ძველ სასახლეებში უჩვენებენ, როგორც, მაგალითად, „რკინის ქალწული“ ან
„ესპანური საყვლოები“. ზურგი ეწოდა, თითქოს გახურებულ რკინას უსვამდენ
ზედ; ყოველი ნაკვით, თითოეული ძარღვი ტკივილისაგან სტებსდა. თითქოს ის
ვერასოდეს ვერ დასძლევს იმ ამოცანას, რომელსაც აწვდიდა მას იმას ზემოთ
გაშლილი, ამონატეხებით დახუნული ქვიანი თალი; ის დაფინებით ურტყამდა მას
წერაქვს. ვიდრე მისი კეფა ჭრილობებით და კოპებით არ დაიფარებოდა, თავის
ტკივილისაგან ისე უსკდებოდა თავი, რომ ხოლი ჰკარგავდა მხედველობას და
კენესით ეცემოდა პირქვე მიწაზე.

ზედური სიკოროა კი იცინოდა მხოლოდ: — ვიცი მე ეს. თქვენ სულ ახალ-
გაზდა ჩოჩოტს ჰგვებართ! არაფერია, შეჩვენეთ.

ხოლმა უნებურად გაიხსენა თავისი ჯორების სქელი კანი, რომელიც გა-
ხეცდა ცხოველების გვერდებზე იქ, სადაც მას მოსართავები ხედებოდა. „ჰო, მე
მართლაც გეო კიდევ სულ გამოუტყდელი, ერთი წლის ჩოჩორი ვარ.“



ნახშირის დატვირთვას თან სდევდა უთვალავი და სრულყოფილი მშენებელი კრილობები სხვა და სხვა ადგილზე და კერძოდ თითებზე. ხარბმა სკანდახელთათნანების ჩაცმა, მაგრამ ისინი იმავე დღეს ნაფლეთებად ვადაიქცენ. 'ყველა ამ მშვენიერებას ემატებოდა თან გაზი, წამლის მზროლოავი კვამლი, აუტანელი წვა თვალების, რომლებსაც სტანჯავდა მტვერი და მკრთალი განათება. იმავე დროს ავადმყოფი თვალების მოშშუშენის შესაძლებლობაც კი არ იყო, ვინაიდან ხელები იმავე მტვერით იყო დაფარული. ვის შეუძლია წარმოიდგინოს მთელი ეს წამება? ეგებ იმ მაღალი წრის ქალებს, რომლებიც მოგზაურობენ რბილი სალონ-ვაგონებით, ან გემის ბაქანზე საქანელაში მწოლთ და თვალის მომპრულად მოელვარე ტროპიკულ ზღვებზე მცურავთ?

მოხუცი მიკე კარგად ექცეოდა თავის თანაშემწეს. ორმოცი წლის მუშაობამ მოდრიკა მისი ზურგის ზერებმალი, გაუტლანქა და დაუკოერა ხელები. ის ორი კაცის საქმეს ასრულებდა და კიდევ თავის მეგობარს ეხმარებოდა. მოხუცს ჰქონდა წმინდა ბავშურა ჩვეულება განუწყვეტელი ლაპარაკის: ის ელაპარაკებოდა თანაშემწეს, თავის თავს, თავის ინსტრუმენტებს. უკანასკნელებისათვის მას ჰქონდა ყოვლად წარმოუდგენელი, უწმაწური სიტყვები სახელებად, მაგრამ ყოველივე ეს რაღაც მხიარულად და გულკეთილად გაისმოდა. ის მთელ ლექციებს უკითხავდა ხოლს მილაროს მუშის მუშაობის შესახებ, უყვებოდა თავის საუკეთესო დღეების ამბავს და სხვა და სხვა უბედურ შემთხვევებს. მაგრამ ყველაზე მეტს ის ლაპარაკობდა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის გაიდევრულ მოქმედებათა შესახებ და თან მზურვალედ სწყველიდა როგორც თვით კომპანიას, ისე მის ზედამხედველებს, მთავარ ინსპექტორებს, მოხელეებს, დირექტორებს, აქციონერებს და საერთოდ მთელ იმ წესწყობილებას, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ისეთ ბოროტმოქმედ წარმოებას ადგილი ჰქონოდა ქვეყნად.

მოვიდა სადილობის დრო. ხოლი იწვა გულაღმა და ისე დაღლილად გრძნობდა თავს, რომ ჭამა არ შეეძლო. მოხუცი მიკე მის გვერდით დამჯდარიყო და ილეკებოდა. თავისი წვეტიანი წვერებით და მოძრავი ყბებით მიკე თხას ჩამოჰგავდა. მაგრამ ის კეთილი და გულშემატკივარი თხა იყო; ის ცდილობდა შეეცდინა თავისი თანაშემწე ყველის ნაჭერით ან ყავით. მას ღრმად სწამდა საქმლის ცხოველმყოფლობა: აუცილებელი იყო ღუმელში ცეცხლის ნთება, რომ ადამიანში ორთქლი არ გამოლეულიყო. თუ კი ვერ მოახერხებდა ხოლის მადის გაღვიძებას, ის იწყებდა მის გართობას ამერიკელ და რუს მალაროს მუშათა ცხოვრებიდან ამბების მოყოლით. მიკე ძლიერ ამაცობდა მით, რომ მისი თანაშემწე „ნამდვილი ამერიკელი“ იყო და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა მისი შრომის შემსუბუქებას, რათა მას ხელიდან არ გამოსცლოდა ხოლი.

მაგრამ ხოლი სრულებითაც არ ფიქრობდა მის მოშორებას. ის დაღამებამდე მუშაობდა, რის შემდეგ, წარმოუდგენლად დაღალული, ნამჯასავით ჩაეარდებოდა ამყვან ბადიაში. ის სთვლემდა ვახშამზე; თითქმის უგანოდ მიეგდებოდა იგი საწოლზე და მკედარივით დაიძინებდა. ო, რა საშინელება არის, როდესაც კაცს განთიადზე გამოგადვიებენ! რა სამძიმო იყო გამოღვიძება, დაქან-



ცული ხელ-ფეხის განძრევა, თვალბში წვის და ხელებზე ^{სრულყოფილად} განახლებული გრძნობა!

მთელი კვირა იყო საჭირო იმისათვის, რომ შესთვისებოდა ხოლი ყოველგვარ ტკივილებს, ის ვერაფრის გზით ვერ ახერხებდა თავის სამუშაოს შეჩვევას. არავის არ შეეძლო ასეთი მძიმე შრომის დროს თავგადისავალთა უბრალო მძებნელად დარჩენა, — საჭირო იყო საბოლოოდ მანქანად გადაქცევა. ხოლს არა ერთხელ გაუფონია გამოთქმა „მასიური უილაჯობა“ და ყოველთვის აკვირვებდა მას ეს სიტყვები. ებლა კი როდილა უკვირდა ეს, ყველაფერი გასაგები იყო მისთვის. მართლაც და, განა შეეძლო დაღლილობისაგან სრულებით ჯანგამოლულ ადამიანს თავისი პროტესტი განეცხადებინა მაღაროების ზედამხედველისათვის? განა შეეძლო ვინმეს, ვისი სულიერი ცხოვრებაც სრულიად ჩაკლული იყო ფიზიკური დამტყვევებით, ეფიქრნა თავის უფლებების და მისთვის მიყენებულ უსამართლობათა შესახებ?

ხოლი აქ ამ ადამიანის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც შუაგულ ოკეანეში ბაქანზე ადის იმისთვის, რომ შტორმს თვალი ადევნოს.

ამ სოციალური უბედურების, უმცირების და უკიდურესი წამების ზღვაზე მოსჩანდნენ ტანჯვით დასახიჩრებული ამოტყევივებული სხეულები, დამანქნული სახეები, გაშვებული ხელები; ჩივილის ტალღა ეხეთქებოდა ყურს, მაღლა მიეჭანებოდა, და მიყურებლის ლოყებს აწყდებოდა ცრემლებისა და სისხლის ქაფი. ხოლმა იგრძნო, რომ ის ისე ღრმად ჩაიძირა ამ ოკეანეში, რომ არაფერს აღარ შეეძლო ნუგეში ეცა მისთვის, ის მზად იყო, როდესაც გნებათ, ამოეყვინთა იქედან და ეთქვა საკუთარი თავისთვის: ეს სამწუხაროა, ეს საშინელე-ბაა. მაგრამ, მაღლობა დმერთს, მე შემძლია ყოველივე ეს თავიდან ავიცილინო, მე შემიძლია დაებრუნდე თბილ, გაირიდლებულ კაიუტ-კომპანიაში და უამბო მგზავრებს თუ რა ლამაზი სანახავი იყო ეს და რა საინტერესო განცდა დამ-ქარგეს იმათ.

§ 23

ამ აუტანელი დღეების განმავლობაში მას ერთხელაც არ მოუნახულებია მერი. თუმცა ერთ მშვენიერ საღამოს მერი ესტუმრა შინეტტის: ის მივიდა იქ ავად გამხდარი ბების სანახავად და მიუტანა მას გოგოლ-მოგოლი. ხოლი უნდობლად უტკეპროდა ადამიანთა უმეტეს ნაწილს, განსაკუთრებით საქმის კაცებს! მაგრამ ქალებისადმი მისი დამოკიდებულება საესებით გულკეთილი იყო. მას სრულებით არ აკვირვებდა, რომ ახალგაზდა ირლანდიელი ქალი, საკუთარი ოჯახზე ზრუნვით საქმაოდ დატვირთული, მზრუნველობას იჩენს ვიდაც „და-გოს“ ბავშვის მიმართ. ხოლს თავშიაც არ მოსდიოდა, რომ ნახშირის რაიონში საქმაოდ იქნებოდნენ ავადმყოფი ირლანდიელი ბავშვები, რომელბსაც არ აწყენდათ მერის გოგოლ-მოგოლი, როზა, რომელსაც მერი სრულებით არ შეხედ-რია მანამდე, გაცეხული იყო მისი ყურადღებით, ხოლი კი ხედავდა ამაში მხოლოდ ღარიბთა გულთბილობას.

მართლაც კალები საოკრად განსხვავდებიან თავიანთ ხასიათით, არც



მ ა რ ტ ე ნ ს უ ლ ი

ერთ მამაკაცს არ შეუძლია გაიგოს ყველა ისინი, ხოლს უკვე ზრდასწავილებულნი იყვნენ. ეჭვითხევა ყურადღება მიექცია მოვაჭრე ქალიშვილების ტიპისათვის, რომლებიც გულზე ლენტებ და ქსოვილებ დაბნეულნი, იმზირებოდნენ აქეთ იქეთ და გამოშვავად იცინოდნენ, რომ მამაკაცთა ყურადღება თავისკენწმეიზიდანათ. ის იცნობდა აკრთივე ახალგაზდა დამის ტიპს, რომელიც არსებითად იმავე მიზნის მიღწევის ცდილობდა, მხოლოდ უფრო მეტი ხერხით და მოხდენილობით. და უკბად აღმოჩნდა, რომ არსებობს კიდევ ერთგვარი ქალის ტიპი, რომელიც მუხლებზე ისევან „დაგოს“ ბავშვებს, ეუბნება მათ მოსაფერებელ ირლანდიელ სიტყვებს და კოვზით საჭმელს უდებს პირში. ასეთი ქალის შესახებ ხოლს არაფერი ვაგონა, და ისე უცქეროდა მერის, როგორც მშვენიერ სურათს, როგორც კულტურ მაღონას სიცილიელი ბავშვით მკლავზე.

მან ყურადღება მიიქცია იმ გარემოებას, რომ მერის ისევე ის გახუნებული მხარზე დაკერილი ღურჯი ჩითის კაბა ეცვა. თუმცა ის მამაკაცი იყო, მაგრამ მას მაინც ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალისათვის ტანსაცმელს. ხოლს უნებურად მოსდიოდა აზრად, რომ ეს ღურჯი ჩითის კაბა მერის ერთადერთ კოსტიუმს უნდა შეადგენდეს, მაგრამ, ვინაიდან ის ხედავდა მას ყოველთვის ახლად გაუთოვებულს, ამიტომ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მერის კიდევ სხვა კაბაც ექნება ალბად. ასე თუ ისე, მერი იჯდა ეხლა იტვე მის გვერდით სუფთად ჩაცმული, ცოცხალი საბით, „ზრდილი ნაწერებით“ შეიარაღებული, ზუმრობდა, იცინოდა სრულებით ისე, როგორც შალაღი საზოგადოების გამოჩენილი ლამაზი ქალი, შეპუდრული და მორთული ბაღზე ვასამგ ზაერებლად.

თავის უკანასკნელ შეხვედრების დროს ხოლთან, მერი სულ მოღუშულ გუნებაზე იყო და წუწუნის ხასიათზე, რამაც, მისი აზრით, დააფრთხო მისგან ეს საინტერესო ახალგაზდა ვაგი. ის ისევე ცდილობდა მოეხიბლა ხოლი, ქალური მანერებით და მზიარული ტყვეით.

მერიმ დაუწყო მას ვახელება მით, რომ ის თავის კოპებით თავზე და ტყვილებისაგან მოგრებილი ზურგით მთელი ათი წლით უფროსი გამოიყურება—და ხოლიც საესებით თანახმა იყო ამ აზრის. ის ზუმრობდა იმის გამო, რომ ხოლი სლოვაკის ხელქვეითი იყო, რაიც ალბად ახალ დეგრადაციას ნიშნავდა მისთვის კასტური თვალსაზრისით. მინეტტიც ოხუნჯობდა ამ საგანზე, განსაკუთრებით კი პატარა ჯეროი, რომელიც დიდი მოყვარული იყო ყოველგვარი ოხუნჯობის. პატარამ ჯეროიმ მაშინვე უამბო მერის, რომ ახალი ადგილი დაუჯდა ხოლს ზუთნეტი დოლარი და ოკალახანის რანდენიმი ქიქა ვისკი, და რომ მიცე სიკორიამ ხოლს „ერთი წლის ჩოჩორი“ უწოდა. გარდა ამისა პატარა ჯეროი მწარედ სჩიოდა ხოლში მომხდარი ცვლილებების გამო; წინად ის იმას სხვადასხვა თამაშობას უჭყენებდა ხოლზე, ეხლა კი ყოველთვის დაღალული ბრუნდება სახლში და თამაშობისთვის აღარ სცხვლა. წინად მისი დიდი მეგობარი მზიარულ სიმღერებს მღეროდა, სხვათაშორის, სიმღერას „ბაობაბის“ შესახებ. პატარა ჯეროის უნდოდა ვაეგო, ჰქონდა თუ არა ნახული მერის ასეთი ხე; ის სულ იმაზე ოცნებობდა.

პატარა იტალიელი სერიოზული თვალით უცქეროდა მერის იმ დროს, რო-

დესაც ის ბების აკმევედა, ხოლო როცა მან იმისაც გაუწოდა, რომელიც კილი გოგოლ-მოგოლით, ჯეროიმ უართოდ გაილო პირი და ტუჩებზე დაეკრებოდა!

როდესაც შეკმული აღმოჩნდა უკანასკნელი კოვზი, ის მიანტერდა მერის ოქროსფერ თმას, რომელიც მძიმე გვირგვინივით იდო მის თავზე: „მითხარი,— უთხრა მან,— ყოველთვის მაგვარი თმები გქონდა?“

ხოლს და მერის გაეცინათ, როზა კი ცდილობდა გაეჩუმებინა ენა-ტიკტიკა ბავშვი, ვინაიდან არავინ იცოდა, თუ ხოლოს რა მოადგებოდა მას პირზე.

— რა თქმა უნდა,— უპასუხა მერიმ,— შენ გგონია, რომ მე ის შევიღებე?

— რა ვიცი,— შენიშნა პატარა ჯეროიმ,— ძალიან ლამაზი კი არის და, ხომ მართალია?— მიმართა მან ხოლს.

— უეჭველად,— უპასუხა ხოლმა.— განაგრძე მაგგვარად, ქალებს უყვართ ქათინაურები.

— ქათინაურები?— გაიძეორა პატარა ჯეროიმ.— ეგ რას ნიშნავს?

— აი რას,— უთხრა ხოლმა,— თუ შენ ეტყვი მას, რომ მისი თმები მზის ამოსულის წიაგავს, მისი თვალები მშვენიერია, ხოლო თვითონ კი ველურ ვარდს ჩამოგავს ფრიალო კლდის თაყზე.

— ო!— სიტყვა დავთარ დაბნეულმა იტალიელმა ბავშვმა.— ყოველ შემთხვევაში მას საუცხოვო გოგოლ-მოგოლის გაკეთება სცოდნია!

§ 24.

მერი სახლში წასასვლელად მოემზადა, და ხელი, რომელიც სხეულის ყველა ნაწილებში ტკივილსა გრძნობდა, წამოდგა მის ვასაცილებლად. ქალმა დაკვირვებით და სერიოზულად შეხედა მას და მხოლოდ ეხლა გაიგო, თუ როგორ იტანჯებოდა იგი. როდესაც ისინი გავიდნენ გარედ, მერიმ უთხრა:

— რათ მოჰქიდეთ ხელი მაგ საქვებს? თქვენ ხომ ეგ სრულებით არ გინდათ.

— არა, მე მინდა ეს; მე უნდა ვიშოვო ის, რაც საცხოვრებლად მჭირდება.

— მაგრამ არა ასეთი გზით. თქვენ ეგეთი განათლებული ვაეი ხართ,— თანაც კიდევ ამერიკელი!

— ჩემთვის საინტერესო იყო გავსცნობოდი მალაროებში მუშაობას.

— ჰო და თქვენ უკვე გავეცანიანთ საქმოდ,— უთხრა ქალმა,— ეხლა კი შეგიძლიათ თავი დაანებოთ.

— მე სრულებით არ მაწყენს, თუ, ცოტა არ იყოს, მძიმე შრომას მოეკიდებ ხელს.

— ვინ იცის. ყოველდღე შესაძლებელია, რომ თქვენ საქაცეზე მოექცეთ. მერის „ზრდილი მანერები“ გაქვრენ, მის ხმაში სიმწარე გაისმა, როგორც ყოველთვის, როდესაც ის ნორტ-ვალის შესახებ ლაპარაკობდა.

— მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, ჯო სმიტ. ორი ჩემი ძმა დაიღუპა მა-



ლაროებში, ორი ლამაზი ჯანსაღი ახალგაზნდა. მე ცოტანი ვარ, მაგრამ ისეთები, რომლებიც სიცილით ჩაშვებულან მალაროში და ზევით კი გვეაქვები ან, კიდევ უარესი, დასახიზრებულები დაბრუნებულან. ხანდახან მე რალაც ძალა მიზიდავს დაედევ მალაროში ჩასავალ ადგილთან და უყვირო ყველას: უკან! უკან! გაემართეთ აქედან ქვევით კანიონით. იშომშილეთ, თუ სიქიროა, იმთხოვრეთ, თუ სხვაბრე არ შეიძლება, მაგრამ ეძიეთ სხვა სამუშაო, შორს მალაროებისაგან!

მისი ხმა მხურვალე პროტესტამდე მალღებოდა, და მასში გაისმა კიდევ სხვა ნოტი, პირადი შიშის პატარა ნოტი:

— ეხლა, მას შემდეგ რაც თქვენ გაჩნდით, კიდევ უარესი, ჯო! მე არ შემიძლია უტკირო, თუ თქვენ, ახალგაზნდა, ჯან-ლონით გაესილი, სრულიად განსხვავებული სხვებისაგან, როგორ ჰკიდებთ ხელს მალაროს მუშაობას! წადით აქედან, ჯო, წადით, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის.

მისმა მხურვალე ტონმა გააოცა ხოლი.

— ჩემზე ნუ შიშობთ, მერი, — უთხრა მან. — მე არაფერი არ შემემთხვევა. ამასთანავე მე მალე წავეალ აქედან.

გზა უსწორ-მასწორი იყო და დამქანცავი. ხოლმა მოჰკიდა მას მკლავში ხელი. მან იგრძნო, რომ ის ერთიან კანკალებდა და საჩქაროდ განაგრძო: მე კი არა, თქვენ უნდა წახედით აქედან მერი. თქვენ გძაგთ და გტანჯავთ აქ ცხოვრება. ნუ თუ თქვენ არ მოგსვლიათ არასოდეს აქედან წისელის სურვილი?

ქალი გაჩუმდა ერთი წამით, შემდეგ უპასუხა ნელი, სასომიხილილი ხმით:

— ზედმეტია ამაზე ოცნება. რა შემიძლია მე, რომ გავაკეთო ამისათვის; და საერთოდ რა შეუძლია ლარიბ ახალგაზნდა ქალს? მე ვსცადე უკვე რამდენჯერმე, მაგრამ ყოველთვის ჩემს წინ გაუვალე კედელი იმართებოდა. მე იმდენიც კი არ შემიძლია, რომ გზის ფული მოეგვროვო. აი უკვე ორი წელიწადია ვაგროვებ და, როგორ ფიქრობთ, ჯო, რამდენი მოეგვარა შემეგროვებინა ამ ხნის განმავლობაში? — შეიძინე დოლარი! შეიძინე დოლარი ორ წელიწადში! არა, ფულის შეგროვებაზე ფიქრს თავი უნდა გაანებო, როდესაც გარშემო ამდენ გულის გამგმირავ ამბებს ზედავ. შეიძლება ვეზიზღებოდეს და გძულდეს ადამიანები იმის გამო, რომ ისინი ლაჩრები არიან, მაგრამ არ შეიძლება არ დაეზმარო მათ, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მალაროს მუშა იღუპება, ხოლო მისი ოჯახი კი ქუჩაში რჩება და სიცივისაგან თავის დასაფარავი ადგილი არსადა აქვს.

— თქვენ მეტად გულშემატკივარი ხართ, მერი.

— არა, ეგ კი არა. მაგრამ ხომ არ შემიძლია რომ წავიდე და ღვთის ანბარა მივატოვო ჩემი პატარა და-ძმა, რომლებიც თავის ერთადერთ დასაყრდენს ჩემში ხედავენ?

— თქვენ შეგიძლიათ იმუშაოთ, იშოვოთ ფული და გამოუვჩაენოთ მათ.

— მე აქაც ბევრს ვერას ვშოვობ, მე ვკირავდები ოთახების დამლაგებლად, აუადმყოფების მომვლელად.

— სხვაგან თქვენ მეტის შოვნას შესძლებდით.



— მე შემეძლო, რა თქმა უნდა, შევსულიყავ რესტორანში და მხოლოდ კვირაში შეიდი—რვა დოლარი, მაგრამ სავაგიეროდ ცხოვრება შეტი დამიჯდებოდა და სახლში ძალიან ცოტას გაგზავნას შეეძლებდი. მე შემეძლო კვირაში დაედგომოდი რომელიმე დიასახლისს, მემუშავნა დღეში თოთხმეტი საათი. მაგრამ არ მინდა კიდევ უფრო დავეტვირთო მუშაობით, ჯო, მე მსურს ლამაზი სიცოცხლე, და რომ ის ჩემი საკუთარი სიცოცხლე იყოს! მან ააქნია ხელები ისე, თითქოს სული ეხუთებოდა:

— ო, მე მწყურია რაღაც უმშვენიერესი და უწმინდესი!

ხოლმა ისევ იგრძნო, როგორ ათრთოლდა მერი. ეხლა გზა კიდევ უფრო უსწორ-მასწორი იყო; ის დაემორჩილა აღძრულ სიშპატიის გრძნობას და ხელი მოხვია ქალს წელზე. სიზარმაცის და სიზანტის ქვეყანაში ის სწორედ ასევე მოიქცეოდა და იფიქრებდა, რომ დამშვიდებული სინდისით შეუძლია მოხვიოს ხელი მაღაროს ბუშის ქალიშვილს. მან მიიზიდა მერი ახლოს, და უფრო იგრძნო. ვიდრე გაიგონა, რომ იგი ტიროდა.

— მერი, — წაიხურჩულა მან. ორივე გაჩერდნენ. თითქმის ანგარიშ მიუცემლად მოხვია მან ქალს მეორე ზელიც; ხოლმა იგრძნო სახეზე მისი თბილი სუნთქვა: ის ტიროდა და თრთოდა იმის მკლავებში.

— ჯო, — ქეითინებდა იგი. — ჯო! შენ მომეხმარე, რომ გავშორდე როგორმე ამ ადგილს!

ის აყვავილებული ვარდი იყო მაღაროებ შორის, და ხოლმა იგრძნო, რომ მისი არსება ჭრმეხსნა მღელღარებამ მოიცვა. ზაფხულის თბილ ღამეში მისი თვალის წინ გაიელვა სიყვარულის ბილიკმა გაშუქებულმა მთვარიით, რომელიც აქაც იმავე გრძნობებს აღიქმებდა, როგორცაც უსაქმურობის სამეფოს იტალიანურ ბალებში. მაგრამ მალე ცივმა საშინელებამ შეებუთა ხოლი. იქ, შორს აჭედან, სახლში საცოლე ელოდა მას; გარდა ამისა, უკანასკნელი კვირეები მასში მომწიფდა მტკიცე გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება, რომ ყველა ამ ლიტაკთა საბედნიეროდ შესწიროს მან თავისი დაუმსახურებელი თავისუფლება და კულტუროსნობა, აღარ მიიღოს მონაწილეობა იმათი სისხლის წოვაში, — უკანასკნელ საკმევს წარმატებით ასრულებენ ყოველგვარი ჯეფ კოტონები.

— მერი, — ედრებით წარმოისთქვა მან. — ეს შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე... თავისუფალი არა ვარ. არის მეორე ქალი...

მერი შეშინებული შეკრთა, მაგრამ განაგრძობდა მის მკლავებში ყოფნას.

— სად? — ჰკითხა მან ჩუმაღ.

— სახლში, ის უცდის ჩემს დაბრუნებას.

— რატომ წინააღდე არ მითხარი?

— არ ვიცო.

ხოლი მიხვდა, რომ მერის საფუძველი ჰქონდა შეურაცყოფილად ეგრძნო თავი. მისი წრის, ზებრალო ხალხის თვალში მან ბევრი დაუშვებელი რამ ჩაიღინა; ხედავდნენ, რომ ისინი ყოველთვის ერთად სეირნობდნენ, მას ისე უცქე-როდნენ, როგორც „სიყვარულის საგანს“. მან გამოიწვია მასში გულახდილობა.



ის ენდო მას, უამბო თავის საკუთარი ცხოვრება. ამ უბრალოდ, ხელმძღვანელებს მოდა ფაქიზი ნიუანსები ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, მანაც ცხოვრებაში არ ჰქონდა ადგილი ინტელექტუალურ ცნობის მოყვარეობას, პლატონიზმსა და უსაქმურ ფლირტს.

— მაპატიე, მერი, — ნახიდ უთხრა მან.

პასუხის ნაცვლად მერი ზემად ატირდა და შემდეგ ნელა, ნელინელ განთავისუფლდა მისი მკლავებიდან. ხოლმა სძლია მისი ზელმეორედ მიზიდვის ცდუნებას. მერი ღამაში იყო, მთლად სიცოცხლით სუნთქავდა — და ისე მზურვალედ მიისწრაფოდა ბედნიერებისაკენ. ხოლმა შეიკაფა თავი. რამდენიმე ხანი ისინი ზემად იდგნენ ერთი მეორის პირდაპირ. შემდეგ მან მორჩილად და წყნარად ჰკითხა მერის:

— ეს ხელს არ შეგვიშლის ჩვენ, რომ ისევე მეგობრები დავრჩეთ, ხომ მერი? თქვენ იცით, თუ რა გულსატკენია ეს ჩემთვის.

მერის ვერ აეცანა მისი ტანჯვა:

— არაფერია! მე მხოლოდ ვფიქრობდი, რომ როგორმე შევძლებდი მანაც აქედან განთავისუფლებას, — აი სულ, რასაც მე თქვენგან ველოდი.

§ 25.

ხოლი დაჰპირდა ალექსტონს თვალი ედევნებინა მათთვის, ვინც წესრიგს დაარღვევდა. ერთხელ ზედამხედველმა შეაჩერა ის გზაში და ჰკითხა, ხომ არაფერი აქვს მას მოსახსენებელი მისთვის. ხოლმა ისარგებლა შემთხვევით, რომ ცოტა გაერთო თავი.

— მიკე სიკორია სრულიად უვნებელი ადამიანია, — მოახსენა მან. — ის ფიციბია მხოლოდ, ხოლო თუ წააწყდა ისეთ ვინმეს, ვინც მოთმინებით დაუგდებს ყურს მის ლაუბობას, ისიც სრულიად კმაყოფილია, მეტი იმას არაფერი უნდა. ბებერია, რომელიც სულ წუწუნებს, სხვა არაფერი. მაგრამ არის მეორე, რომელიც არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული.

— ეგ ვინ არის? — ჰკითხა ზედამხედველმა.

— არ ვიცი დანამდვილებით რა ჰქვია; ის ცნობილია გესის სახელით და მუშაობს ამწვევ ბადიებთან. წითელი სახე აქვს.

— ვიცი, — ეგ გეს დარკინგია.

— მან სცადა სიტყვა ჩამოეგდო ჩემთვის მუშათა კავშირების შესახებ, ის ყოველთვის ცდილობს მეღაპარაკოს ამ თემაზე; ჩემის აზრით, ის ნამდვილად შემოჩენილი უნდა იყოს ვილაც.

— კარგი, — უთხრა ზედამხედველმა, — მე ჩავინიშნავ მაგ ამბავს.

— მაგრამ თქვენ ხომ არ შეამჩნევინებთ, რომ მე რამე გითხარით? — შემფოთებით ჰკითხა ხოლმა.

— ო, არა, რა თქმა უნდა, არა.

ოდნაე შესამჩნევმა ღიმილმა გაიგლეკა ზედამხედველის პირზე.

ხოლიც გაშორდა პირზე ღიმილით: „გესი, მოწითალო სახის ახალგაზრდა“.



სწორედ ის იყო, რომელზედაც ოდესღაც მადვიკმა მიუთითა, ეროვნულ-კომპანიის ჯაშუშზე.

თუმცა ჯაშუშების საკითხი მეტად რთული რამ იყო, ძველი იყო იმის გამოკვლევა, თუ ვინ არის ჯაშუში და ვინ არა, ერთ კვირა დილით ხოლი წავიდა ვასასიერებლად ზემოთ კინონით. გზაზე მას შეეყარა ვიღაც ახალგაზდა კაცი, რომელმაც ლაპარაკი დაუწყო მას. რამდენიმე ხნის შემდეგ უცნობმა საუბარი გადაიტანა მუშების მდგომარეობაზე ნორტ-ვალში. სულ ერთი კვირაა, რაც ის აქ მოვიდა და მას უკვე ყოველი მზობიდან ესმის ჩივილი, რომ გამტვირთავ პუნქტზე მათ წონაში იტყუებენ. მართალია, თუმცა ის პარადიდ ნახშირს არა სთხრის და ეს საქმე სრულებით არ ეხება მას, მაგრამ ამ გარემოებამ მანაც დააინტერესა იგი. მას ეინტერესებოდა ხოლის აზრი ამ საკითხის შესახებ.

ხოლის წინ დაისვა კითხვა: უცნობი მართლა მუშა იყო, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, თუ ის ალგე სტონისაგან იყო მოგზავნილი ხოლიან საჯაშუშოდ. ახალგაზდა კაცი ინტელიგენტურ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ის ამერიკელი იყო,—და ეს უკვე თავისთავად იძლეოდა ეჭვების საბაბს, ვინაიდან კომპანია აგროვებდა ახლ მუშებზე სუეცის არხის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან.

ხოლმა გადასწყვიტა რამდენიმე ხანი ურთხილად ყოფილიყო. ის არ ფიქრობდა, უთხრა მან, რომ აქაური პირობები უფრო ცუდია, ვიდრე სხვა ადგილებში. მუშები ყველგან ერთგვიანად სჩივიან!

უცნობი დაეთანხმა ხოლს, თუმცა მისი შეხედულებით აქაურ მალაროებში როგორც ეტყობა, განსაკუთრებით მძიმე პირობებია მუშებისათვის; შეიძლება ეს იმის გამო ხდებოდეს, რომ მალაროები მეტად დაშორებულია ცენტრისაგან, ხოლო ყველა გარშემო მდებარე მიწები კი კომპანიას ეკუთვნის.

—სად მუშაობდით წინაღ?—ჰკითხა ხოლმა, რომ თავის თანამგზავრი მახეში გაება. მაგრამ ის სრულებითაც არ დაბხეულა და მიშინვე უპასუხა; რო, გორც სჩანდა, მას მართლაც უმუშავნია ექვს სხვა და სხვა მალაროებზე. მატეოა ში მას უნდა ეხადნა თვეში თითო დოლარი აბანოთი სარგებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აბანოში არასოდეს არ იყო საკმაო წყალი, ამასთანავე მათ უხდებოდათ ერთი საერთო გობით სარგებლობა, რაც მეტად შესაძლებელი და არა ჰაგიენტური იყო. ფიჭვნარის მალაროებზე,—ხოლის გული შეკრთა ამ ნაცნობი სახელის გაგონებაზე,—უცნობი თავის ზედამხედველის ბინაზე სცხოვრობდა; სახლის სახურავში ისე ჩამოდიოდა წყალი, რომ ყველა მისი ნივთები გაფუჭებული იყო წვიმისაგან; ზედამხედველი არც კი ფიქრობდა სახურავის შეკეთებას, მაგრამ ბინის გამოცვლა მანაც არ შეიძლებოდა, ვინაიდან შეიძლება ამას ადგილის დაკარგვა მოჰყოლიყო თან, ისტ-რიჯში მან ორ აშხანაგთან ერთად იქირავა პატარა ორ ოთახიანი სახლი, და ცხოვრობდენ ოჯახურად, მიუხედავად იმისა, რომ საწყობში მათ უხდებოდათ ერთ ტომარა ქართოფილში ერთი დოლარისა და ორმოცდაათი ცენტის მიცემა, ხოლო გირვანჯა შაქარში კი თერთმეტი ცენტის. ისინი სცხოვრობდენ ასე, ვიდრე ერთ მშენებელ დღეს



უწყლოდ არ დარჩენ; მათ აღმოაჩინეს, რომ წყალს რომელსაც [წყვეთ უდიდო] დო-
ლარი უჯდებათ თვეში, ჯორების განაგებით და სხვა დასახელებების სახეს
ორმოდან იღებდენ.

ხოლზე არ მოქმედებდა არაფერი, ის მხოლოდ თავს აქნევდა და ზენიშნა,
რომ ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, მეტად ცუდია, მაგრამ ასეთი ყოფილა
თურმე ყველა მუშების ზედი და რას იხამ კაცი. ისინი გაბრუნდენ ისევ სო-
ფელში. ახალგაზდა კაცი ეტყობოდა ცოტა შეძრწუნებული იყო, ხოლს კი ეგო-
ნა, თითქოს მან წაიკითხა დეტექტიური რომანის პირველი თავი. ვინ არის ეს
ახალგაზდა კაცი? რომანის გმირი თუ მკვლელი? სიმართლის გასაგებად, რო-
გორც ეტყობა, რომანის ბოლომდე წაკითხვა არის საჭირო.

§ 26.

ხოლმა დაუწყო თვალ-ყურის დევნება თავის ახალ ნაცნობს და ზენიშნა,
რომ ის სხვა მუშებსაც ესაუბრება; ასე, მაგალითად, მან დაინახა, როგორ საუბ-
რობდა იგი მოხუც მიკესთან, რომელსაც არასოდეს არ შეეძლო გამაგრებოდა
თავისი უკმაყოფილების გამოსკვმის ცდუნებას, თუნდაც მისი მაცდუნებელი
თეიტონ ეშმაკი ყოფილიყო. ხოლმა გადასწყვიტა მიეღო რაიმე ზომები.

მან ითათბირა თავის მეგობარ ჯეროსთან რომელსაც, როგორც რადი-
კალურად მოაზროვნე ადამიანს, უნდა სცოდნოდა, მისი აზრით, თუ როგორი
საშუალებით შეიძლებოდა ნილაბის ჩამოკლა უცნობის პიროვნებიდან. სადი-
ლისათვის მუშაობის შეწყვეტის დროს ჯეროიმ გამართა საუბარი უცნობთან,
მაგრამ აღიარა შემდეგ, რომ, ისე როგორც ხოლმა, მან ვერაერთარ გარკვეულ
შედეგებს ვერ მიაღწია. საქმე ბუნდოვანად რჩებოდა. ერთი ორში, ან ახალ-
გაზდა კაცი ავტატორი იყო, რომელიც ცდილობდა „რალაც“ მოეწყო, ან ის
კომპანიის მიერ მიგზავნილი ჯაშუზი იყო. ერთი საშუალება დარჩენილიყო სი-
მართლის მისაღწევად: საჭირო იყო, რომ ეინმე გამოლაპარაკებოდა მას გულ-
ახდილად, მაშინ ყველაფერი გამოირკვეოდა.

* მცირე რაჟევის შემდეგ ხოლმა აიღო თავის თავზე შესაძლებელი მსხვერ-
ლის როლი. მთელმა ამ შემთხვევამ ისევ გააღვიძა მასში მძიმე მუშაობისაგან
როგორღაც ჩაშრეტილი წყურვილი სხვა და სხვა თავგადასავლის გამოცდისა.
საიდუმლო უცნობი მას მალაოს მუშის განსაკუთრებულ ტიპად ეჩვენებოდა.
ხოლი ჩასდებს კონტრა-ნაღმს და შეიძლება ააფეთქოს იგი, ყოველ შემთხვევა-
ში ის უკეთ მოახერხებს ამას, ვიდრე სხვები. მაგალითად, ვიდრე მისსის დევი-
დი, რომელთანაც უცნობი დაბინავდა და უტყველად გაიგო მისგან, რომ მისი
ქმარი ოდესღაც წვერი იყო ყველაზე უფრო რევოლუციონერი მალაროს მუ-
შათა კავშირის — „სამხრეთ უელსის ფედერაციის.“

შემდეგ კერის ხოლმა ჰკითხა უცნობს, ხომ არ ისიამოვნებდა ის გასეირ-
ნებას მასთან ერთად. მან ჯერ უარი სთქვა, მაგრამ, როდესაც ხოლმა უთხრა,
რომ მას ცოტა რამ სალაპარაკო აქვს მასთან, ის დასთანხმდა. როდესაც ისინი
ზევით მიდიოდენ კანიონით, ხოლმა უთხრა:

— შე ბევრსა ვფიქრობდი იმის გამო, რაც თქვენ მალაროს მუშათა მდგო-



მარეობის შესახებ ილაპარაკეთ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქალაქის მესაფერი იქნებოდა ნორტ-ვალის დაფერობვა ცოტაოდენ.

— მართლა?

— პირველ ხანებში, როდესაც მე აქ ახალად მოსული ვიყავი, ასე მეგონა თუ ხალხი სრულიად უსაფუძვლოდ სწიოდა; მას შემდეგ მე დაერწმუნდი წინააღმდეგში, სახელდობრ იმაში, რომ მუშების მიმართ სრული უსამართლობა არის გამუფებული მაგალითად, არავის არ აძლევენ იმდენს, რამდენიც მას იმის სრულ წონაში ერგება, ვგებ მხოლოდ მწონაგების მეგობრებს. მე ეს ვიცი დანამდილეებით. მე და ჩემმა ამხანაგმა გაეაკეთეთ ცდები. ჩვენ დავჯვრითეთ ერთი რონოდა სულ მწატიედ, — სასწორმა თვრამეტი უჩვენა; მეორე რონოდაზე ორჯერ მეტი ნახშირი დაეაწყვეთ, — ფურცელზე აღნიშნული იყო ოცდა სამი. ეს სრულიად გაუგებარი მოვლენაა, გვრჩება მხოლოდ ვიფიქროთ... სხვათა შორის, ყველამ კარგად იცის, რომ დიდ რონოდაში ორიდან სამ ტონამდე ნახშირი ეტყვა.

— შეც ვგრე ვფიქრობ, — შენიშნა თანამგზავრმა.

— ბოლოს კი აი რა გამოდის: ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ერთ ტონა ნახშირში ორმოცდახუთმეტ ცენტს ვიღებთ, ხოლო ნამდილეად კი, ასეთი თაღლითობის წყალობით ფასი დადის ოცდა ხუთმეტ ცენტამდე. გუშინ დუქანში მე მივეცი დოლარ ნახევარი ერთ წყვილ შალვარში, რომელიც პედროში სულ სამოცი ცენტი ღირს!

— თქვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ ის გარემოება, ჩაურთო თანამგზავრმა, — რომ კონპინია ხარჯებს ეწევა საქონლის გადმოზიდვაზე.

ხოლმა შეეცრად შენიშნა რომ საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა: ეხლა მისმა საიდუმლო უნობმა დაიწყო მის განსაპატიო მანძილზე თავის დაქვრა. ვინ იცის რა მიზეზით, ხოლის მოკლუდნელმა ინტერესმა ინდუსტრიალური სამართლიანობისადმი არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მასზე.

ასე სამარცხვინოდ დაბოლავდა ხოლის დებიუტი მაძიებელის როლში.

— მითხარით, — წამოიყრანტალა მან უცებ, — რა მიზნები გაქვთ ბოლოს და ბოლოს თქვენ?

— რა მიზნები მაქვს? — მშვიდათ გაიმეორა ბოლის კითხვა თანამგზავრმა.

— რა გსურთ, რომ სთქვათ თქვენ ამით?

— რისთვის მოსულხართ თქვენ აქ?

— იმისთვის, რისთვისაც თქვენ ალბად: რომ ვიმუშაო და ორი დოლარი ავიღო დღეში.

ხოლმა გაიცინა:

— მე და თქვენ თითქოს ორი წყალტვეშა ნაგები ვიყოთ, რომლებიც ზღვის სიღრმეში ერთმანეთს ზერავენ. მე ვფიქრობ, არა სჯობს ამოყვინთოთ და ზვეით ვიბრძოლოთ?

ჯცნობი დაფიქრდა ხოლის შედარებით, როგორც ეტყობოდა, მოეწონა იგი მას.

— ამოყვინთოთ ჯერ თქვენ, — უთხრა მან, და მის სახეზე ღიმილის ნახა-



ბიკ კი არ გამოჩენილა; ის სერიოზულად უცქეროდა ხოლმე ადგილისკენ შეიძლება ცისფერი თვალებით.

— კარგი, — უპასუხა ხოლმე. — ჩემი ამბავი დიდ ინტერესს არ წარმოადგენს, მე არა ვარ გამოქცეული კატორგელი და არც კომპანიის ჯაშუში, როგორც თქვენ შეიძლება ფიქრობთ. საჭმე უფრო მარტივია. სახლში მე მყვანან ძმა და რამდენიმე მეგობარი, რომლებმაც წარმოიდგინეს, რომ მათ მშვენივრად ესმით ყველაფერი, რაც ნახშირის მრეწველობას შეეხება. მათმა ასეთმა წარმოადგენამ თავის თავზე ბოლოს და ბოლოს მე წერებები ამიშალა, ვეღარ მოვიტომინე და წამოველი სახლიდან, რომ ჩემი თვალებით ვნახო საჭმის ვითარება. აი ეს არის სულ, ვარდა იმ გარემოებისა, რომ მე ნახშირის საჭმე მეტად საინტერესო საჭმედ მიმანია და სიამოვნებით დაეკრებოდი აქ კიდევ რამდენიმე ხანი. იმედი მაქვს, — თქვენ ჯაშუში არა ხართ?

თანამგზავრი განაგრძობდა ჩემად სიარულს. ის თითქოს ხოლის სიტყვებს სწონიდა.

— თქვენი ამბავი არც თუ მთლად ჩვეულებრივია, — შენიშნა მან ბოლოს.

— ვიცი, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ის თავიდან ბოლომდე სიმართლეს შეიცავს.

— კეთილი, — სიტყვა უცნობმა. გავსწვევ მეც რისკს, სულ ერთია უნდა გაუტყუდ ვინმეს, თუ კი მე რაიმეს მიღწევა მინდა. ჩემი არჩევანი თქვენზე მოვიტანე, მე მომწონს თქვენი სახე. — მან გამომცდელი თვალით შეხედა ხელს. — თქვენს ლიმილში არავითარი სიცრუე არ არის. მაგრამ თქვენ მედატ ახალგაზდა ხართ და ამიტომ მე უნდა გავაფრთხილოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიჩუმეს ამ საჭმეში.

— მე შევძლებ გაჩუმებას, — დაჰპირდა ხოლი.

მაშინ უცნობმა ამოიღო ჯიბიდან წერილი, რომლიდანაც სჩანდა, რომ მას ჰქვია სახელად ტომას ოლსონი და რომ ის არის „გაერთიანებული მალაროს მუშების“, — დიადი მუშათა ნაციონალური კავშირის, — ორგანიზატორი.

§ 27

ამ აღმოჩენამ ისე გააოცა ხოლი, რომ ის თვალზე გადმოკარკლული გაჩერდა. მას არა ერთხელ სძენია მალაროებში ვიღაც „მუედროების დამარღვეველთა“ შესახებ, მაგრამ აქამდე ის მხოლოდ ისეთებს შეხვედრია, რომლებიც თვით კომპანიის მიერ იყენებდნენ მოგზავნილი მუშების სახარალოდ. ეს კი მუშათა კავშირების ორგანიზატორი იყო! ჯერჯერობა, მართალია, დაუშვა ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ ხოლს სერიოზულად არ შეუხედავს ამ საკითხისათვის. ორგანიზატორი წარმოედგინა მას ყოველთვის როგორც მითოლოგიური პიროვნება, რომლის შესახებ მუშები მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, პიროვნება, რომელიც სძულდა ყველას და რომელსაც სწყველიდა ყველა, კომპანიაც, მისი მოხელეებიც და თვით ხოლის შინაური მეგობრებიც კი. შეამზობე, ცეცხლის წამკიდებელი, მოლაყუბე უპასუხისმგებლო არსება, რომელიც იწვევს მუშებში ბრძასა და საშიშო ვნებათა ლეღვას. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი



ბოროტება სრულიადაც არ მდგომარეობს სამთო ინსპექტორ შიგინსკის შეხვედრაში ან და შავ სიებში, არამედ იმათ თავებში, ვისი დახმარებაც უნდა ყოფილიყო დაგვი-სახავს. გიფიქრობთ თქვენ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ის, როდესაც თქვენ ცდილობთ აუხსნათ რამე ოც სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს?

— რა თქმა უნდა, — უთხრა ხოლმა. — მე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ უნდა შეუდგეთ თქვენ თქვენს მოღვაწეობას.

— ჩვეულებრივ მოიწვევ ხოლმე თარჯიმანს და არ იცი, ჯაშუში ხომ არ არის იგი? ადვილად შეიძლება რომ პირველნავე მუშამ, რომელსაც თქვენ დაე-ლაპარაკებით, ზედამხედველს აცნობოს ყველაფერი. უეჭველია, რომ ამდენ მუშებს შორის ყოველთვის მოიძებნებიან ლაჩრები და გამცემლები, რომლებიც მზად არიან გაჰყიდონ ამხანაგი უკეთეს სამუშაო უბანზე ან, კიდევ უარესი, ერთ ბოთლ ლუღზე.

— მე რე ასეთი შემთხვევები არ არსებენ თქვენს რწმენას?

— არა, — მშრალად მიუგო ორგანიზატორმა. — ხშირად გვიხდება იმედის გაცრუება, მაგრამ გამტყუნებაც არ შეიძლება იმ საბრალოების. ისინი სრუ-ლიად უმეცრები არიან, და მათ ასეთ უმეცრობას განზრახ უწყობენ ხელს. ზედამხედველები მორეკენ მათ აქ და ერთგვარი სისტემის დახმარებით ცალ-ცალკე აჩერებენ და საშუალებას არ ძლევენ რომ შეკავშირდნ. მასთანვე, ევროპიელებს ისედაც სთიშავს ერთმანეთისაგან ნაციონალური და რელიგიური უთანხმოება. ავიღოთ თუნდა ორი ადამიანი, რომლებიც ერთგვარად ცუდად სცხოვრობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითველ მათგანს სძავს მეორე, იმიტომ რომ თავის სამშობლოში ის ამა თუ იმ პრივილეგიით სარგებლობდა. ეს კი ზედამხედველებისათვის ხელსაყრელია.

§ 28.

მათ შიდალწიეს განმარტოებულ კუთხეს კანიონში და ჩამოჯდნენ ერთ პრტყელ ქვაზე.

— ჩაუკვირდით ამ ხალხის მდგომარეობას, — დაიწყო ორგანიზატორმა. — ისინი უცხო ქვეყანაში იმყოფებიან. ერთნი ეუბნებიან მათ ერთს, მეორენი — მეორეს. მეპატრონენი და ნათი აგენტები ეუბნებიან: უფროხილდით მუშათა კავშირების ორგანიზატორებს, ისინი მძარცველები და ლოთები არიან. ისინი გაბრძნებენ თქვენ თულს, გაქეზებენ, რომ გაფიცვები მოახდინოთ, რის გამო თქვენ სამუშაო ხელფასიც გიკარგებათ და თავშესაფარიც. ისინი კი დამშვი-დებული მიდიან, რომ თავიანთი სისაძაგლე შემდეგ სხვაგან გაიმეორონ. მუ-შებს, რა თქმა უნდა, სჯერა მთელი ეს მიჭარუა, მათ აკლიათ განვითარება იმის ვასაგებად, რომ, თუ კი მუშათა მოძრაობის თითო-ოროლა მეთაური აგებულა სადმე მოსყიდვის ანკესზე, ეს იხსნება მხოლოდ დიდი სასყიდლით მეპატრო-ნეების მხრივ. ამგვარად მუშას დაბნეული აქვს დავთარი და ვერ ახერხებს გარკვევას იმაში, თუ სად არის სინართლე.

ორგანიზატორი სრულიად დამშვიდებული ლაპარაკობდა, თუმცა მის სახეზე ოდნავ შესამჩნევი მღელვარება იხატებოდა.



— კომპანია სულ ამას ლაპარაკობს, რომ მე შენები, ვითარცა მშობლები არიან და მხოლოდ ჩვენ ვაღელვებთ მათ. სთქვით, მართლა კმაყოფილი არიან ისინი? ან თქვენ აქ კარგა ხანი დაგიყვით და უკეთ გეცოდინებათ ეს.

— ამის შესახებ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, — უპასუხა ხოლმა. — რა თქმა უნდა, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან. ისინი ახდენენ ჩემზე ხშირად იმ ბავშვების შთაბეჭდილებას, რომლებიც სიბნელეში დამჯდარას და ტირიან, — მათ არ იციან რა აკლია მათ, არ აციან ვისი მიზეზით განიცდიან ვაკუირვებას, არ იციან ვისა სთხოვონ დახმარება.

ხოლის უნდობლობა თანდათან გაქარწყლდა, მისი მოსაუბრე სრულიად შორს იდგა იმ მუშათა მოძრაობის ორგანიზატორის ფანტასტიკური სახისაგან, რომელიც წინად მის ოცნებაში იხატებოდა: ეს იყო ახალგაზდა კაცი, სუფთა გარეგნობის ამერიკელი. არა მყვირალა და ახმაურებელი, არამედ, პირიქით, მტკად მშვიდი და ოდნავ ნაღვლიანი. რა თქმა უნდა, აღშფოთების გრძობა ნასში ძლიერი იყო, მაგრამ ის არ განოსთქეამდა მას დეკლარაციის ან გაბერილი ფრაზების საშუალებით. თანამოსაუბრის თავდაპირველობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლზე, რომელშიაც, მიუხედავად მისი დემოკრატიული მიდრეკილებისა, ძლიერი იყო მისი კლასის ჩვეულებრივი მოუთმენლობა ყოველივე ხმაურისა და ფრაზიორობის მიმართ.

ხოლი დაინტერესდა ნასმა ასეთმა მიდგომამ მუშების სუსტი მხარეებისადმი. ხოლს მუდამ ესმოდა ჩივილი მუშათა კლასის „უიკმელობაზე“, რომელიც ბევრს სასოწარკვეთილებაში აგდებდა, მის სილაპარაკე და მერყეობაზე. — შეუძლებელია მათთვის დახმარების გაწევა, — ანობდნენ ჩვეულებრივ. — ისინი ბინძურები არიან, ზარმაცები, გულჩაბეყლები, ერთმანეთის გამკეციები. აქედან გამომდინარე ფორმულა: არ შეიძლება ადამიანის ბუნების გამოცვლა. თვით მერი ბარკიცი კი მუშათა კლასის შვილი, თავის ამბანაგებზე მრისხანე და ზიზღმორეული ტონით ლაპარაკობდა. მაგრამ ოლსონს ღრმად სწამდა მუშის ვაჟკაცობა და ისიც მიდიოდა მის გამოსათბიზლებლად და ვასანათლებლად.

მისი თვალის წინ ნათელი, სწორი გზა იშლებოდა.

— უწინარეს ყოვლისა მუშებმა უნდა ისწავლონ სოლიდარულად მოქმედება: როგორც ცალკე ინდივიდუალობა ისინი ყოველად უმწონი არიან მსხვილი ორგანიზაციების ხელში. მაგრამ საკმაოა ისინი შეკავშირდნენ და ერთმანეთთან შეთანხმებით შესთავაზონ თავიანთი შრომა, — მათ ანგარიშს გაუწევენ. — ის გაჩემდა და კითხვით შეხედა ხოლს:

— როგორ უცქერით თქვენ მუშათა კავშირებს?

ხოლმა უპასუხა:

— ეს ერთი იმ მოვლენათაგანია, რომლებიც ჩემთვის ჯერ კიდევ სავსებით ნათელი როდია. მათ შესახებ ლაპარაკობენ და ისეც წინასწარ აღებულნი აზრი ემჩნევა როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს. მე მინდა დახმარება გაუწიო მათ, ვინც უფრო სუსტია, მაგრამ მე ამისათვის ვისურვებდი სწორე გზა ამერიკაში.



— განა არსებობს მეორე გზა? — ოლსონი გაჩუმდა ერთი წუთის განმავლობაში. ეგებ თქვენ გინდათ მალაროების მებატრონეთა კეთილ გულს მიმართოთ?

— რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ნუ თუ არ შეიძლება მიმართონ მთელ ქვეყანას, საჩივარი წააყენო საზოგადოებრივი აზრის წინაშე? შეიძლება, თუ მუშები პოლიტიკური გზით შეეცდებიან...

— პოლიტიკური გზით! — წამოიძახა ოლსონმა. ღმერთო ჩემო, რამდენი ხანი ხართ თქვენ აქ?

— სულ რამდენიმე თვე.

— მაშ აბა დაჩიოთ ნოემბრამდე, და თქვენ დაინახავთ, თუ რას უშვრებდნენ აქ საარჩევნო ბიულეტენებს.

— მე შემიძლია წარმოვიდგინო...

— არა თქვენ არ შეგიძლიათ წარმოვიდგინოთ ისევე, როგორც წინად არ შეგეძლოთ წარმოგედგინათ მთელი ის საწინელება და ექსპლოატაცია, რომელიც აქ ხდება.

— მაგრამ თუ კი მუშები ყველანი ერთად მისცემენ ხმას...

— როგორ შეუძლიათ მათ ხმის ერთად მიცემა? — პირველს, რომელიც ხმას ამოიღებს ამის შესახებ, დაუყოვნებლივ გააგდებენ სამუშაოდან. მათ ისიც კი არ შეუძლიათ — თქვენ ამას ყოველ დღის გადადგმაზე შეხედებით, — რომ ამერიკის მოქალაქობის მოწმობა აიღონ, თუ კი ეს რაიმე მიზეზით უხერხულია კომპანიისათვის; მათი ხმები მიიღება ანგარიშში ზედამხედველის ნებართვით, რას ვააქეთებთ თქვენ აქ, თუ მუშათა კავშირები არ იქნა?

ხოლმა კიდევ ერთი ზედმეტი არგუმენტი დაინახა ამ სიტყვებში:

— აი კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ჯერ ყველას ვერ შეუგნია: ხალხისათვის საჭიროა ორგანიზაციული შეკავშირება, რომ თავიანთი კანონიერი უფლებები მოიპოვონ!

ოლსონმა დაცინვით ხელები შემოჰკრა ერთმანეთს: — ღმერთო ჩემო! თქვენ გინდათ, ვგონებ, მალაროს მუშის გარემოებათა მთელი სია შეადგინოთ.

§ 29

ოლსონი მეტად დაინტერესებული იყო იმაში, რომ ხოლი თავის მხარეზე გადაეყვანა და ამიტომ განავრძობდა თავისი მოღვაწეობის საიდუმლოებათა გადაშლას მის წინ. ყოველ ადგილას, სადაც კი შეხვედრია მას მუშაობა, ის, უწინარეს ყოვლისა, მუშების პატარა ჯგუფის შექმნას ცდილობდა, რომელთადაც შემდეგ არა ჰკარგავდა კავშირს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მას წასვლა მოუხდებოდა იმ ადგილიდან. ამგვარად იქმნებოდა ორგანიზაციის უჯრედი. ერთი ორი წლის შემდეგ ასეთი უჯრედი ეკოლება ყოველ მალაროს. მაშინ შეიძლება აშკარად მუშაობა, დაბა-ქალაქებში მუშათა მიტინგების მოწყობა, რომლებშიც სამთო-მადნო მუშებიც მიიღებენ მონაწილეობას. იფეთქებს აჯანყების ალი, ნოდრაობა სწრაფად მოედება მუშებს, ასე რომ მალაროების მებატრონეები ვერ მოასწრებენ თავიანთი მუშებისათვის ანგარიშის გასწორებას. საერთო გაფიცვით დამუტრებული მუშები მოიპოვებენ თავის უფლებებს.



— ჩვენ გვაქვს შეკავშირების კანონიერი უფლება—და მრეწველი კავშირები საწინააღმდეგო შეხედულებების იყვნენ, გესმით? თქვენც არ უნდა დადგეთ მოძაობის გარეშე იმის შიშით, რომ ვითომც რაიმე უკანონო მოქმედებებს ჩაიდინთ.

— სრული ჭეშმარიტება არის,—სთქვა ხოლმა.—მაგრამ, მე ვგონებ, სწორედ აქ, ნორტ-ვალში, ნაკლებად საკამათო, ტაქტიკის არჩევა აჯობებდა. რატომ არ უნდა დარაზმობთ, მავალითად, მთელი თქვენი ძალები იმის გარეშე, რომ ცხოვრებაში გაატაროთ წონის კონტროლიორების ინსტიტუტი?

მისმა თანაზოსაუბრემ გაიღიმა:

— აბა, ჩვენ ზურგს უკან მუშათა კავშირი უნდა გვედგას.

— ინგარიში უნდა გაუწიოთ ხალხის სულიერ განწყობილებას. ზოგიერთებს სძაგს კავშირების იდეა, ასინი ფიქრობენ, რომ მასთან დაკავშირებულია ძალდატანება, დესპოტიზმი...

ორგანიზატორს გაეცინა:

— მართალი გითხრათ, თქვენც იმავე აზრისა ხართ. მაგრამ, გაძლევთ სიტყვას, მე ხელს არ შეგიშლით, თუ თქვენი საკუთარი ძალღონით თქვენ კონტროლიორების ინსტიტუტის გაყვანას შესძლებთ.

როგორი ბრწყინვალე აზრია! მას შემდეგ, რაც ხოლი მუშაობდა თანაშემწედ გამოქვამულში, რომელსაც ხუთი ფუტი ჰქონდა სულ სიმაღლე, ცხოვრება მის თვალში რალაც რუხი და მოღუენებული იყო. ეს ახალი იდეა ბევრ მღელვარე მომენტებს ჰპირდებოდა მას.

მაგრამ უნდოდა კი მას ნამდვილად ამ გეგმის შესრულება? აქამდე ის მალაოობზე უბრალო მეთვალყურის როლში იყო, ის დარწმუნდა იმაში, რომ მუშები საშინელ პირობებში იმყოფებიან, დარწმუნდა, რომ ეს პირობები გამოწვეული არა აუცილებლობით, არამედ თვითნებობის მიერ. მაგრამ, როდესაც საჭირო შეიქნა ფიქრიდან საქმეზე გადასვლა, ის მაინც კიდევ ყოყმანობდა, მასში იღვიძებდა წინანდელი შიში და წინასწარ ძვალ-რბილში გამჯდარი ყალბი წარმოდგენა. განა ყოველთვის არ არწმუნებდენ მას, რომ მუშათა კლასი ზარმაცებისა და „მეამბოხეებისაგან“ შესდგება და რომ საჭიროა მისთვის „მაგარი ლაგამის ამოდება“? და უცებ ეხლა თვითონ ის შეეცდება ამ „ლაგამის“ შესუსტებას და იმოქმედებს „უჩალებთან“ ერთად?

არა, აქ მაინც რალაც სხვა იყო.

ოლსონის გეგმა არსებითად განსხვავდებოდა იმ სამრეწველო კავშირებისაგან, რომლებიც, ხეობის გამხრწნელი ძალის სახით, ჩაავიწყებენ მუშებს მოთხოვნილებას მოთხოვნილებასზე მანამდე, ვიდრე ისინი ზოლოს მთელი მრეწველობის ხელში ჩაგდებას არ მოისურვებენ, აქ იყო უბრალო :ოწოდება კანონიერებისადმი, მოწოდება, რომ კომპანიის პატიოსნად და სამართლიანად შეესრულებია კანონიერი წესები, რომლებითაც ის ყოველთვის ტრახაზობდა. თუ მართალია, როგორც ირწმუნებოდენ თვით მალაროს მეპატრონენი, რომ მუშათა უფლებები ნამდვილად არის დაცული კანონით კონტროლიორების შესახებ, და რომ, როგორც ყვიროდენ ისინი ამის შესახებ მთელი ქვეყნის გასაგონად, აქ



მხოლოდ იმიტომ არ იყვნენ კონტროლიორები, რომ მათ არ მოეწონებოდათ თვითონ მუშები. მაშინ ყოველივე ამას არაერთიარო ცუდი შედეგებს უნდა სწავლობო-ლოდა.

მაგრამ, მეორე მხრით, თუ ზედამხედველები ამ არსებითად საეცებით კანონიერ და ზნეობრივ მოთხოვნებებში ბუნტს დაინახავენ კომპანიის წინააღმდეგ, — მაშინ ხოლისათვის სრულიად ვასაკები იქნება მუშათა კლასის „მოუსვენარი“ სული. და თუ ზედამხედველები, როგორც ირწმუნებოდნენ ბებერი მიკე და იოგანსონი, მართლა „აყენებენ სიკვხეს მუშას“, მანამდე ვიდრე ის თავის ნებით არ მოითხოვს ანგარიშის გასწორებას, მაშინ ის სიამოვნებით მზად არის, რომ მოღწამლოს მათ სიცოცხლის რამდენიმე საათი.

— ეს საინტერესო თავგადასავალი იქნებოდა. — სთქვა უკუბ ხოლში.

— ჩემის აზრითაც, — გაიციხა ოლსონმა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მე „ფიჭუნარის მალაროების“ ახალი ამბავი გადამხდება თავს? ალბად უნჯობესი იქნება, რომ ყველაფერში დავრწმუნდე და ყველაფერი გაეაყეთო პირადად თვითონ მე. იცით რა, მე სახლში მამა მყავს, და ყოველთვის, როგორც კი რევოლუციისკენ გადავიბრები, გუნებაში მისთან დავიწყებ კამათს. მე მინდა ვუთხრა მას: არავის თეორიებს არ ვუჯერებდი მე ბრმად, ყველაფერი პირადად გამოვსცადე, და აი, შეხედე აბა, როგორია შედეგები.

— კეთილი, — სთქვა ორგანიზატორმა. — თქვენ საეცებით მართალი ხართ, მაგრამ არ დავიწყეთ ერთი. თქვენ და თქვენი მამა ჯერ კიდევ სოციალური განათლების ძიებაში იმყოფებით, მე კი ის უკვე ხელთ მიპყრია. მე ვიცი რაც მოვლით მუშებს, თუ კი ისინი კონტროლიორებს მოითხოვენ, და მე არ შემიძლია უსარგებლოდ გავსწირო თაფი მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავამტკიცო ეს ჩემი ცოდნა.

— მე ამას არც მოვითხოვ თქვენგან, — გაიციხა ხოლმა. — თუ მე არ ვფერთდები თქვენს მოძრაობას, ის მაინც არ შემიძლია ვიფიქრო, რომ თქვენ შამოუერთდეთ ჩემსას. იმ შემთხვევაში, თუ მე შევძლებდი რამდენიმე მუშის შემოკრებას, რომლებიც გასწევდნენ ოსისს და მოითხოვდნენ კონტროლიორებს ხელს ხომ არ შეუშლიდნენ თქვენს საქმეს?

— სრულებითაც არა, — უპასუხა ოლსონმა. — პირიქით, ეს იქნებოდა მხოლოდ კარგი მაგალითი. აქ ხომ ისეთი მუშებიც კი არიან, რომლებმაც არ იციან, რომ მათ კანონის ძალით უფლება აქვთ მოითხოვონ კონტროლიორები; არიან ისეთებიც, რომლებმაც მშვენივრად იციან, თუ როგორ ატყუებენ მათ წინაშე, მაგრამ ვერ მიიხვდარიან, რომ თვითონ კომპანია ატყუებს იმათ. თუ ზედამხედველები კონტროლიორების დანიშვნის წინააღმდეგ გაბდებიან და ნოსდგებიან მოძრაობის ხელმძღვანელების დათხოვას, — ამ მაშინ კი საკმაო ახალი წევრები გამოჩნდება ჩემი ადგილობრივი მუშათა კავშირისათვის.

— კეთილი, — სთქვა ხოლმა. — მე არა ვფიქრობ თქვენი კავშირისათვის წევრების მოკრებას, მაგრამ თუ თვითონ კომპანია გამოვა მოწყობის როლში, — ეს უკვე მისი საქმე იქნება.

და თავიანთი ხელშეკრულების გასამტკიცებლად მათ მაგარად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

(ვაგრძელება იქნება).

კრიტიკა, მხატვრობა
== ღა მემუარები ==

დ. ი. ბენდალაევი და მარქსიზმი*)

კულტურულ მემკვიდრეობის წახი.

თქვენი ყრილობა და ზეიმი მეცნიერებათა აკადემიის 200 წლის იუბილეს გამო ერთსა და იმავე დროს ხდება. კავშირი მათ შორის უფრო მეტად მკიდროვდება, რადგან აკადემიის დიდების გვირგვინში რუსულ ქიმიას, ოლონდაც, უკანასკნელი ადგილი არ ერგება. შეიძლება ამ ყრილობაზე შესაფერიც იყოს, რომ ჩვენსავე თავს ვკითხოთ: როგორია შინაგანი ისტორიული აზრი აკადემიის გაგრძელებულ დღესასწაულისა? ასეთი აზრი უეჭველად არსებობს. იგი ვერასგვით ვერ ამოიწურება მუზეუმების, თეატრებისა და ზანკეტების ნახვით. მას სად არის ეს აზრი? რა თქმა უნდა, იმაში კი არ არის იგი, რომ უცხოელმა სტუმრებმა, რომელთაც კეთილ ინებებს და გვესტუმრნენ, შემთხვევა მიიღეს და ადასტურონ, რომ რევოლუციამ მეცნიერული დაწესებულებანი კი არ დაანგრია, არამედ, პირიქით, გაამრავლა კიდევაც. უცხოელ მეცნიერების ამ დასტურს თავის თავადაც აქვს ფასი. მაინც აკადემიური ზეიმის აზრი ამაზე უფრო ფართოდ არის და ღრმაც. მე ესე ვიტყვოდი: ახალი სახელმწიფო, ახალი საზოგადოება, დაურდობილი ოქტომბრის რევოლუციის უფლებაზე, მთელი ქვეყნის თვალწინ ზეიმით შედის წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მფლობელობაში. რაკი მემკვიდრეობა ვახსენე, ისიც უნდა განვმარტო, რათა იქვე არ დაიბადოს, თუ რა აზრით არის აქ ეს სიტყვა ნახმარი. პატივ დაუდებლობა იქნებოდა მომავლისთვის, რომელიც ყოველ ჩვენგანისთვის წარსულზე უფრო ძვირფასია, და აგრეთვე უპატიეობა იქნებოდა წარსულისთვისაც, რომელსაც ზოგი მხრით უფლება აქვს ღრმა პატივცემებაზე, ჩვენ რომ განუჩეველად გველაპარაკნა მემკვიდრეობაზე. მომავალს არ არგებს წარსულის ყველაფერი. კაცობრიობის კულტურის მოძრაობა უბრალო დაგროვებით არ იქმნის. მას აქვს პერიოდები ორგანიული ზრდის და პერიოდებიც მკაცრი შემოწმების, გადარჩევისა და შერჩევის. ძნელი სათქმელია, კულტურის საერთო განვითარებაში ამ პერიოდებიდან რომელი უფრო ნაყოფიერია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გადარჩევის და შერჩევის ხანაში ვცხოვრობთ.

*) მოხსენება წაკითხულ იქნა მენდელეევის სახელობის კომიკოსთა მე-IV ყრილობაზე.



რომის უფლებამ იუსტინიანის დროიდან დაამკვიდრა კანონმდებლობა მემკვიდრეობისა. ნანამდე კანონი უფლებას აძლევდა მემკვიდრეობის მემკვიდრეობა მხოლოდ ყველა ვალებით და ვალდებულებით. ხოლო ინვენტარულმა მემკვიდრეობამ აოჩივის უფლება მისცა მემკვიდრეს, რეკლამაციური სახელმწიფო, ახალი კლასის სახიერება, წარმოადგენს ასეთს ინვენტარულ მემკვიდრეს კულტურის დაგროვებისთვის.

პირდაპირ ვიტყვი: თვისი არსებობის 200 წლის განმავლობაში აკადემიამ გამოსცა 15,000 ტომი, მაგრამ ყველა ეს წიგნები არ შევლენ სოციალიზმის ინვენტარში: წარსულის მეცნიერულ შემოქმედებას, რომლითაც ებლა ვცხოვრობთ და ვამყობთ კიდევაც, ორი სხვა და სხვა ღირებულების მხარე ჰქონდათ. მთლიანად რომ ავიღოთ, იგი ეძიებდა მსოფლიოს კანონებს და მატერიის თვისებებს და ხარისხებს, რათა უკეთესად დაეპყრო იგი. მაგრამ შემეცნება ლაბორატორიების და აუდიტორიების ჩაქტილ არეში არ ვითარდებოდა, არა, — იგი იყო ფუნქცია ადამიანთა საზოგადოებისა და მისი სტრუქტურის ანარეკლი. საზოგადოება ბუნების შემეცნებას თავის საპირობისთვის მოითხოვდა. მაგრამ ამავე დროს საზოგადოება იმასაც მოითხოვდა, რომ იგი დამტკიცებულ ყოფილიყო თავის უფლებებში, რომ გამართლებულ ყოფილიყო მისი დაწესებულებანი, ე. ი. უწინარეს ყოვლისა, დამკვიდრებულიყო კლასობრივი ბატონობა, ხოლო ამაზე უფრო ადრე — ბატონყმობა, წოდებრივი უპირატესობანი, მონარქიული პრეროგატივები, ეროვნული განკერძოება და სხ. და სხ. სოციალისტური საზოგადოება განსაკუთრებული მადლობით იღებს დადებითი მეცნიერების უზარმაზარ მემკვიდრეობას, და ამავე დროს, თანახმად ინვენტარულ არჩევანისა, გააგვის ყოველივეს, რაც ბუნების შემეცნებას კი არ ემსახურებოდა, არამედ კლასობრივ უთანასწორობისა და ყოველგვარ ისტორიულ უსამართლობის განართლებას.

ყოველი ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება წარსულისგან კულტურულ მემკვიდრეობას სავსებით კი არ მიიღებდა, არამედ მას თავისი სტრუქტურის მიხედვით გადაარჩევდა ხოლმე. მაგალითად: საშუალო საუკუნოების საზოგადოებამ ანტიურ ფილოსოფიის მრავალი ელემენტი შეიტანა ქრისტიანობაში, ეს ელემენტები ფეოდალურ რეჟიმს დაუმორჩილა და ლეთისმეტყველების მოახლე სქოლასტიკად გადააქცია. ასე დაიმკვიდრა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ საშუალო საუკუნოებისგან, სხვათა გარდა, ქრისტიანობა. მაგრამ მან თავისებურად გარდაქანა იგი: ამბოხური — პროტესტანტიზმად, ხოლო მწვიდობიანი — კათოლიციზმი — ახალ რეჟიმს შეათვისა. რაც უნდა იყოს, ბურჟუაზიული ეპოქის ქრისტიანობას იმდენად უნდა გაეფ-გამოეწია, რომ ადგილი დაეთმო მეცნიერულ კლდეა-ძიებისათვის, — ყოველ შემთხვევაში ისეთ ჩარჩოებში უნდა ჩამდგარიყო, რომელსაც მოითხოვდა საწარმოო ძალთა განვითარება.

სოციალისტური საზოგადოების დამოკიდებულება მეცნიერულ და, საერთოდ, კულტურულ მემკვიდრეობისადმი განურჩეველ, პასიურ მიმდობად არ ჩაითვლება. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მეტის ნდობით ეპყრობა სოციალიზმი იმ მეცნიერებათ, რომელნიც ბუნების უშუალო შენწივლას ემსახურე-



ბიან, იმდენად მეტის კრიტიკულ იქვიანობით უდგება იგი მსგავს მემკვიდრეობას და მსგავს მემკვიდრეობას, რომელნიც მკიდროდ არიან ვადეტირებული მემკვიდრეობისა საზოგადოების სტრუქტურასთან, იმის ეკონომიურ ორგანიზაციასთან, სახელმწიფოსთან, უფლებასთან, ზნეობასთან და სხ. რა თქმა უნდა, ეს ორი სფერო ერთმანეთისაგან გადაღობილი არ არიან ვაუვალ დაარბებით. მაგრამ ისიც უცილობელია, რომ უფრო სრულფასოვანი იხეთი მემკვიდრეობა-მემკვიდრეობა, რომელსაც აღამიანთა საზოგადოებასთან კი არა აქვს საქმე, არამედ „მატერიალსთან“. მე ვვულისხმობ ბუნების მემკვიდრეობათა რიგს, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, და მათ შორის, რა თქმა უნდა, კიმიასაც.

აღამიანს ბუნების შემეცნებას უკარნახებს საკიროება მისი დამორჩილებისა. აქ განდგომა ობიექტიურ ურთერთობისგან, რომელიც განიშარტება თვითონ ნატურის თვისებებით ისჯება პრაქტიკის გამოცდილებით. მარტო ესეც აძლევის ბუნებრივ-ისტორიულს, და კერძოდ კიმიურ კვლევა-ძიებას, გარანტიას ნეფსითი და უნებლიეთი დამახინჯებისგან და ფალსიფიკაციისგან. ხოლო საზოგადოებრივი კვლევა-ძიება, უწინარეს ყოველისა, იქით იყო მიმართული, რომ გამართლებულ ყოფილიყო ისტორიულად შექმნილი და დამკვიდრებული საზოგადოება, რომ იგი დაცული ყოფილიყო „გამანადგურებელ თვოვებისაგან“ და სხ. მათს მიხწევებს მცირედი ფასი ჰქონდათ, რადგან მათ იქისრეს აბოლოგეტობა ბურჟუაზიულ საზოგადოების ოფიციალურ მემკვიდრეობისა.

სანამ საერთოდ მემკვიდრეობა აღვთის მეტყველებას მოახლედ* ედგა, ღირსეული შედეგის მოცემა მას მხოლოდ კონტრახანდის გზით შეეძლო. ასე იყო საშუალო საუკუნოებში. ბუნების მეტყველებამ, როგორც ვთქვი, ბურჟუაზიულ რეჟიმის დროს ფართე განვითარების შესაძლება მოიპოვეს. ხოლო საზოგადოებრივი მემკვიდრეობა მოახლედ დაუდგა კაპიტალს. ნათქვამის დიდი ნაწილი შეეცება ფსიხოლოგიასაც, რომელმაც საზოგადოებრივი მემკვიდრეობანი ბუნების-მეტყველებას გადააბა, და აგრეთვე ფილოსოფიასაც, რომელიც სისტემად აღაგებს ყველა მემკვიდრეობათა საზოგადოებულ შედეგებს.

მე ვთქვი, რომ ოფიციალურმა საზოგადოებრივმა მემკვიდრეობამ მცირედი მოგვცა ნეთქი. ზემო ნათქვამი უკვე კარგად გამოჩნდა, და ესლაც ცხადდება: ბურჟუაზიულ მემკვიდრეობას იმდენი ნიქი და ძალა არ შესწევს, რომ ხეაღინდელი დღე გამოიქნოს. ეს უკვე ენახეთ იმპერიალისტურ ომის და მისი შედეგების დროს. იგივე გნახეთ ოქტომბრის რევოლუციის დროსაც. ამასვე ეხედავთ ესლაც: ოფიციალური საზოგადოებრივი მემკვიდრეობა სრულიად უძლურია და აფასოს მდგომარეობა ევროპაში, მისი ურთერთობა ამერიკასთან, საბჭოთა კავშირთან. და მას ხეაღინდელის შესახებ არ შეუძლიან როგორინე შედეგს დაადგეს. მემკვიდრეობის მნიშვნელობაც ხომ ამაშია: იცოდე, რათა წინდაწინვე გაიგო და დაინახო.

მემკვიდრეობის ყველაზე ძვირფასი ნაწილი, უცილობლად ბუნებისმეტყველება არის, ხოლო ბუნებისმეტყველებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კიმიას აქვს მიჩნეული თქვენი ყრილობა მენდელეევის დროშის ქვეშ სდგას. იგი იყო და დარჩა რუსული მემკვიდრეობის სიმაყვდ.


კოდნა—მომაველის დანახვისა და



ოსტატობისთვის.

ქართული
ენციკლოპედია

მომავლის დანახვა და სისწორე სხვა და სხვა მეცნიერებაში სხვა და სხვანაირია. იგი ზოგჯერ პასიურია, მაგალითად ასტრონომიაში, ზოგჯერ კი აქტიურია, მაგალითად ქიმიკში და ქიმიურ ტექნოლოგიაში. მომავლის განჭვრეტით მეცნიერება ამოწმებს თავის თავს და ამართლებს თავის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. კერძო მეცნიერება შეიძლება არ იფიქროს თავისი კვლევა-ძიების პრაქტიკულ შედეგზე. რამდენადაც უფრო ფართოა, გაბედულია და დამოუკიდებელია მისი აზრი ყოველდღიურ პრაქტიკულ მოთხოვნილებებისა, მით უკეთესია მისთვის. მაგრამ მეცნიერება კერძო ადამიანის ფუნქცია კი არ არის, არამედ მთელი საზოგადოებისა. ხოლო მისი საზოგადოებრივი და ისტორიული დავასება იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად შეუძლიან მას ვაადილოს ადამიანის ძალოვანება, შეაიარაღოს იგი მომავლის განჭვრეტით და ბუნების დაპყრობით. მეცნიერება არის ცოდნა ოსტატობისათვის. როდესაც ლევერიე მნათობ ურანის მოძრაობის „უსწორობას“ დაეყრდნო და გამოიცნო არსებობა რომელიღაც სხვა მნათობისა, რომელიც ურანის მოძრაობას „აღელვებდა“; როდესაც ლევერიემ, თანახმად თავისი წმინდა მათემატიკურ გამოკვლევებისა მიმართა გერმანულ ასტრონომს ჰალლეს და სთხოვა, რომ მას მოეძებნა ცაში ნაჩვენები მისამართით უპასპორტო სხეული; როდესაც ჰალლემ ნაჩვენებ ალაგს თავისი დურბინდი დაჰმჩინა და იქ ახალი მნათობი ნებტუნი აღმოაჩინა, — იმ წუთს ნიუტონის სამყაროს მექანიკა თავის უუდიდეს გამარჯვებას ზეიმობდა. ეს მოხდა 1846 წელს შემოდგომაზე. 1848 წ. ევროპაზე გრიგალივით გადაიარა რევოლიუციამ, რომელმაც „ამაღელვებელი“ გავლენა მოახდინა ხალხებისა და სახელმწიფოების მოძრაობაზე. ხოლო ნებტუნის აღმოჩენიდან 1848 წ. რევოლიუციამდე ორმა ახალგაზრდა მეცნიერმა, — მარქსმა და ენგელსმა, — დასწერეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელშიაც წინდაწინვე ნაჩვენები იყო მახლობელ მომავალში რევოლიუციის აუცილებლობა და აგრეთვე წინდაწინვე მოკემული იყო ანალიზი მისი ძალების, ლოლიკა მისი მომავალი განვითარების, აუცილებელი გამარჯვება პროლეტარიატისა და მისი დიქტატურის დამყარებისა. ცუდი არ იქნებოდა, რომ ამისთვის დაგვეპირდაპირებინა იმავე წლის წინასწარმეტყველება ჰოპენცოლერების, რომანოვების და ლუი ფილიპეს ოფიციალურ-საზოგადოებრივი მეცნიერებისა. მენდელეევი სწავლობდა და ფიქრობდა ატომის წონას. 1869 წ. მან დაამყარა თავისი „ელემენტების პერიოდული სისტემა“. ატომის წონას, როგორც უფრო ურყევს დახასიათებას, მენდელეევი გადააბა სხვა თვისებათა რიგი. ვარკვეულ რიგზე დალაგა ელემენტები და შემდეგ ამავე რიგში აღმოაჩინა ერთგვარი უწყისობა: ზოგი ელემენტი არ მოსჩანდა. ეს უპოვნელი ელემენტები, — ან — როგორც ზოგჯერ მენდელეევი ამბობდა — ქიმიური ინდივიდუუმები, — თანახმად „სისტემისა“ უნდა თავიან კლასიკულ კვადრატში მოთავსებულ იყვნენ. მენდელეევი თვითმორწმუნე მკვლევარის მძლავრი ხელით დაუკაუნა ბუნების მანამდე დაკეტილ ერთ-ერთ კარებს და იქიდან ხმა მოესმა: „არის!“ და ერთის შავივრად სამმა ხმამ უპა-



სუბა, ვინაიდან მენდელეევის მიერ ნაჩვენებ ადგილებში აღმოჩნდა სამი ახალი ელემენტი, რომლებსაც დაარქვეს ჰელიუმი, სკანდიუმი და გერმანიუმი. ეს სამი ელემენტი, რომლებსაც დაარქვეს ჰელიუმი, სკანდიუმი და გერმანიუმი, საუცხოო გამარჯვებაა მადიებელი და გაზოგადებული აზრისა! მენდელეევი თავის „ქიმიის საფუძვლებში“ იძლევა მეცნიერულ შემოქმედების სურათოვან დახასიათებას და აქ შემოქმედებას ადარებს უძირო ხრამზე ხიდის გადებას: ამისთვის საჭირო არ არის ხრამში ჩასვლა და იმის ძირში საფუძვლის მოძებნა. საკმარისია ხიდს ეუპოვნოთ ერთ ნაპირზე ფეხმოსაკიდი და შემდეგ გადავაწვინოთ სწორედ გამიანგარიშებული კამარა, რომელიც უკვე მეორე ნაპირზე იპოვნის მეორე ფეხმოსაკიდს. ასევე ემართება მეცნიერულ აზრსაც. მას შეუძლიან დაემყაროს მხოლოდ ცდის მტკიცე საძირკველს. მაგრამ იგი—აზრი—ხიდის კამარასავით ფაქტების ქვეყანას სწუდება და შემდეგ წინდაწინვე გამოანგარიშებულ მეორე წერტილში ეჯვარედინება მას. და მეცნიერულ შემოქმედების ის მომენტი, როდესაც გაზოგადება გადადის წინასწარ ხილვაში, ხოლო უკანასკნელი გამარჯვებით შეამოწმებს თავის თავს ცდის საშუალებით, ეს მომენტი ყოველთვის აძლევს ადამიანის აზრს უმაღლესად ამაყურს და ასეთსავე სამართლიან კმაყოფილებას! ასე მოხდა ქიმიის, როდესაც აღმოჩნდნენ ახალი ელემენტები თანახმად პერიოდულ სისტემისა.

მენდელეევის აღმოჩენამ (1871 წ.) შემდეგ ში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფრიდრიხ ენგელსზე. იმავე წელს საფრანგეთში დატრიალდა პარიზის კომუნის მძლავრი ტრაგედია, როგორ ეპყრობოდა ჩვენი დიდი ქიმიკოსი ამ ამბავს,—ეს სჩანს იქიდან, რომ ის საერთოდ ემტერებოდა „ლათინური“ იმის ძალადობას და რევოლუციებს. რუსეთის, ევროპისა და მთელი ქვეყნის გაბატონებული კლასების ოფიციალურ აზრთან ერთად არც მენდელეევი ეკითხებოდა თავის თავს შესახებ პარიზის კომუნის შინაგანი დედააზრის, ახალი კლასის გაზრდისა ძველ კლასიდან, რომელმაც (ახალმა კლასმა) თავის მოძრაობით ისეთივე „ამღვლელები“ გავლენა იქონია ძველ საზოგადოების ორბიტაზე, როგორც მოახდინა უცნობმა მნათობმა ურანის ორბიტაზე. ამავე დროს გერმანიიდან განდევნილმა მარქსმა მოგვცა ინალიზმი პარიზის კომუნის მიზეზებისა და შინაგანი შექაჩვის. და ამ მეცნიერულ პროექტორის სხივები ჩვენს ოქტომბერსაც აღწევენ და მისი შუქი იმის იქითაც გადადის.

ქიმიურ მოვლენების ასახსნელათ დიდი ხანია საჭირო აღარ არის იღუმალი სუბსტანცია, რომელსაც ფლოგისტონს უწოდებდნენ. არსებითად, ფლოგისტონი გაზოგადებული სახელი იყო ქიმიის უკოდინარობისთვის. დიდი ხანია ვგრძნობთ, რომ ფიზიოლოგიაში აღარ გვესაჭიროება მისტიური სუბსტანცია, ვგრძნობთ, რომელიც სასიცოცხლო ძალა, რომელიც ცოცხალი მატერიის ფლოგისტონი იყო. მარქსიზმში ეხლა ჩვენთვის საკმარისია ფიზიკა და ქიმია ყოველი ფიზიოლოგიური მოვლენის ახსნისათვის. შეცნობის მოვლენებში ჩვენთვის საჭირო აღარ არის სულის სუბსტანცია, რომელიც რეაქციონურ ფილოსოფიაში ასრულებს ფიქტიურ მოვლენების ფლოგისტონის მავიერობას. ბილხ და ბილხ ჩვენთვის პსიქოლოგია იგივე ფიზიოლოგიაა, ხოლო ფიზიოლოგია იგივე ქიმიაა ფიზიკა და მექანიკა არის. ფლოგისტონის თეორია უფრო გამძლე გამოდგა სა-



ზოგადოებრივ მეცნიერებაში. აქ ფლოვისტონი სხედასხვა ტანისკმისა და გამოდის: ხან „ისტორიული მისიის“, ხან უცვლელი „ეროვნული ტანისკმის“, ზოგჯერ უხორცო იდეა „პროგრესი“ გვევლინება, ან ეგრედ წოდებული „კრიტიკული აზრი“, და სხედასხვა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ცდილობენ იპოვნონ რაღაც ზესაზოგადოებრივი სუბსტანცია საზოგადოებრივი მოვლენების ასახსნელად. თქმა არ უნდა: ისეთი იდეალისტური სუბსტანციები მხოლოდ ქრელი ნილაბები არიან სოციოლოგიურ უმეცრების დისამალავად. მარქსიზმა უარყო ზებუნებრივი არსებები, როგორც ფიზიოლოგიამ—სასიცოცხლო ძალა, და ქიმიამ—ფლოვისტონი.

სწორედ იმაში მდგომარეობს მარქსიზმის არსება, რომ იგი საბოლოოდ ისე მიუღდა საზოგადოებას, როგორც ობიექტიურ კვლევა-ძიების საგანს და ისე განიხილა კაცობრიობის ისტორია, როგორც გიგანტური ლაბორატორიული დღიური. მარქსიზმი ისე აფასებს იდეოლოგიას, როგორც მატერიალურ საზოგადოებრივ სტრუქტურის დამხმარე ელემენტს. საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას მარქსიზმი განიხილავს როგორც საწარმოო ორგანიზაციის ისტორიულად განსაზღვრულ ფორმას. საზოგადოების საწარმოო ორგანიზაცია მარქსიზმს გამოჰყავს ადამიანთა საზოგადოებისა და გარემოცული ბუნების ურთერთობისაგან, რომელნიც თავის მხრით ამა თუ იმ ისტორიულ საფეხურზე განიმარტებიან ადამიანის ტენზიკით, იარაღით და ბუნებასთან საბრძოლველ შეთოდებით და საშეაღებებით. სწორედ ასეთი ობიექტიური მიდგომა აძლევს მარქსიზმს ისტორიული წინაპყრეტის გარდღველ ძალას.

აიღეთ მარქსიზმის ისტორია თუნდაც მხოლოდ რუსეთის ეროვნულ საზომით და განიხილეთ იგი,—თქვენი საკუთარის პოლიტიკურ სინაპტიკა-ანტიპატიის თვალთ კი არა; არამედ მენდელეევიისებურის მეცნიერულ განმარტების თვალთ:—იკოდე, რათა წინდაწინვე დაინახო და იოსტატოო. მთელი პირვანდელი ისტორია მარქსიზმისა რუსულ ნიადავზე არის ბრძოლის ისტორია საზოგადოებრივ-ისტორიული სწორი პროგნოზისთვის (განპყრეტა მომავლისა) წინააღმდეგ მთავრობის მსოფლ-მხედველობისა და აგრეთვე ოფიციალურ-ოპოზიციონურისაც; გაიხსენეთ შეთანხმოციანთ წლები, მაშინ ოფიციალური იდეოლოგია ცხოვრობდა სამებით (თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხოსნობა); ლიბერალიზმი ოცნებობდა საერო კრებაზე (ი земство ცინოე), ე. ი. ნახევრად კონსტიტუციურ მონარქიაზე, ხოლო ხალხოსნები ერთად ათავსებდნენ ვაცრეცილ სოციალისტურ ფანტაზიებს და ეკონომიურ რეაქციონორობას. იმავე დროს მარქსისტული აზრი უკვე ხედავდა კაპიტალიზმის პროგრესიულ მუშაობას, პროლეტარიატის ისტორიულ როლში და იმავე პროლეტარიატის შეგემონიას ხალხურ მასსების ბრძოლაში და დიქტატურას პროლეტარიატისას, რომელსაც მიჰყავს გლუბობაც.

საზოგადოებრივი ანალიზის მარქსისტულ შეთოდის და იმ თეორიების შორის, რომელსაც ის ებრძოდა, ნაკლები განსხეავება არ არის, ვიდრე მენდელეევის პერიოდულ სისტემისა—მისი თანამედროვე ცვლილებით—და ალქიმიკოსების ბოღდათა შორის.



ბუნებისმეტყველება და მარქსიზმი

ქართული
ბუნებისმეტყველება

ქიმიური რეაქციების მიზეზი მდგომარეობს ნაწილაკთა ფიზიკა-მექანიკურ თვისებებში („ქიმიის საფუძვლები“, გვ. 35). მენდელეევის ეს ფორმულა თავით-ბოლომდე გაცლენილია მატერიალისტური ხასიათით. თავისი მოვლენების ასახსნელად ქიმია არ მიჰპართავს ხოლმე რომელიმე ახალს ზემექანიკურს და ზეთიზიკურ ძალას. იგი ქიმიურ პროცესებს—ხსნის ნაწილაკთა მექანიკურ ფიზიკური თვისებებით.

ასეთივე ურთიერთობა აქვს ბიოლოგიას ქიმიასთან. მეცნიერულს, ე. ი. მატერიალისტურ ფიზიოლოგიას არ ესაჭიროება ზემექიმიური სასაცოცხლო ძალა (ვიტალისტების და ნევიტალისტების მოძღვრებით) თვისი მოვლენების ასახსნელად.

ბოლოს და ბოლოს, ფიზიოლოგიური პროცესები უდრიან ქიმიურ პროცესებს, ხოლო უკანასკნელი—მექანიკურსა და ფიზიკურს.

ასეთივე ფსიქოლოგიის დამოკიდებულება ფიზიოლოგიასთან. ტყვილად კი არ უწოდებენ ფიზიოლოგიას ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებითი ქიმიის როგორც არ არსებობას განსაკუთრებული ფიზიოლოგიური ძალა, ასევე მეცნიერული, ე. ი. მატერიალისტურ პსიქოლოგიასაც არ ესაჭიროება თვისი მოვლენათა ასახსნელად გაურკვეველი ძალა—ხული, არამედ იგი, ბოლოს და ბოლოს, ფიზიოლოგიურ მოვლენებს ეთანაბრება. ასეთია სკოლა იკადემიკოს პაელოვისა. ეგრედ წოდებული სული მისთვის არის პირობითი რეფლექსების რთული სისტემა. ეს სისტემა საესებით ჩაფესვებულია ფიზიოლოგიის პირვანდელ რეფლექსებში, ხოლო ფიზიოლოგია თავის მხრით ქიმიის მძლავრ ნაკეცს გაივლის და თავის ფესვებს ფიზიკისა და მექანიკის ქვედაპირს ჩასჭიდავს.

იგივე ითქმის სოციოლოგიაზედაც. საზოგადოებრივ მოვლენების ასახსნელად საჭირო არ არის მოწვევა რომელიმე მარადიულ ან გადაღმელ ძალებისა. საზოგადოება ისეთივე შედეგია პირვანდელი მატერიის განვითარებისა, როგორც დედამიწის ზურგი ან ამიობა. ამრიგად, მეცნიერული აზრი, საზოგადოებრივი იდეოლოგიის უფროთულეს მოვლენებიდან მოყოლებული, თვისი აღმაზებური ამოღარვის მეთოდით აღწევს მატერიას, იმის შემადგენელ ელემენტებს; ნაწილაკებს და მათს ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ შეიძლებოდეს ქიმიის ყოველი მოვლენა უშუალოდ გადავიდეს მექანიკაში; მით უფრო იმასაც არ ნიშნავს, ვითომ შეიძლებოდეს ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა გადავიდეს ფიზიოლოგიურ მოვლენაში, და შემდეგ—ქიმიურ-მექანიკურ კანონებში. ასეთია, შეიძლება ვთქვათ, უკანასკნელი ზღვარი მეცნიერების მიზნისა. მაგრამ სულ სხვანაირია მეფ.ოდი თანდათანური და ხანგრძლივი მიახლოვებისა ამ მიზანთან. ქიმიას აქვს თავისებური მიდგომა მატერიასთან, თავისებური ხერზი კვლევა-ძიების და საკუთარი კანონებიც. ერთი მხრით, ვინც არ იცის, რომ ბოლოს და ბოლოს, ქიმიური რეაქციები უდრიან მატერიის ელემენტარული ნაწილაკების მექანიკურ თვისებათა გამოაშკარავებას, იმას არა აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს



დასრულებული მსოფლმხედველობა, რომელიც ყველა მოვლენებზე ეყრდნობოდა სისტემაში ჰქვანდავს. ამავე დროს, მეორე მხრით, მარტონ ხმის წყნება, რომ ქიმიის მოვლენებს ფესვები ფიზიკაში და მექანიკაში აქვთ, თავის თავად არ იძლევა გასაღებს, რომლითაც თუნდ ერთი ქიმიური რეაქციის გახსნა შეიძლება. ქიმიას ხაკუთარი გასაღები აქვს. მისი შერჩევა შეიძლება მხოლოდ გამოყენებით ცდისა, გაზოგადებისა, ქიმიურ ლაბორატორიისა, ქიმიურ პიპოტეზისა და ქიმიურ თეორიისა.

იგივე ითქმის ყოველგვარ მეცნიერებაზე. ქიმიის უმძლავრესი დასაბჯენია ფიზიოლოგიისთვის, რომელთანაც პარდაპირ არის ვიდაბული ორგანიზმული და ფიზიოლოგიური ქიმიის არხებით. მაგრამ ქიმიის ფიზიოლოგიის მაგიერობას არ ეწევა. ყოველი მეცნიერება დასაბჯენს ეძებს სხვა მეცნიერებათა კანონებში მხოლოდ ვგრედ წოდებულ უკანასკნელ ანგარიშში.

მაგრამ ამავე დროს მეცნიერებათა განკვეთა ერთმანეთისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ყოველი მეცნიერება მოვლენების იმდენად თავისებურ სფეროს იფარგლავს, ე. ი. ელემენტარულ მოვლენების და კანონების ისეთი რთული ხლართის სფეროს იზომავს, რომ იგი სფერო მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, განსაკუთრებულ კვლევა-ძიების ხერხების პიპოტეზებს და მეთოდებს.

მათემატიკურ და ბუნებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა დარგებში ამ აზრის დაბეჯითება უდრის ღია კარების შემტყრევას. სულ სხვა გახლავთ მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ყველაზე დიდი მეცნიერები, — ბუნებისმეტყველები, რომელნიც, ვთქვათ, ფიზიოლოგიის დარგში ნაბიჯს არ გადადგამენ, თუ არ მოახდინეს მკაცრი გამოცდა, შემოწმება, პიპოტეტური გაზოგადება, ხელახალი შემოწმება და სხ., — უფრო მეტს ვაბედულებით უდგებიან საზოგადოებრივ მოვლენებს. თითქო თავის თავად გულისხმობენ, რომ ამ უფროსულ მოვლენათა სფეროში სრულიად საკმარისია ცხოვრების ალღო, ყოველდღიური დაკვირვება, ოჯახური შეპირისიტყვაობა და აგრეთვე საზოგადოებრივ ცრუმორწმუნოების დიდი მარაგი.

აღამიანთა საზოგადოება ერთი რომელიმე გვეგვით, ან წინდაწინვე დახაზულ სისტემით კი არ ვითარდებოდა, არამედ ემპირიულად. მას აქვს პროცესი ხანგრძლივის, რთულის და ურთიერთ წინააღმდეგის ბრძოლისა არსებობისათვის და აგრეთვე ბუნების თანდათანობითი დაპყრობისათვის.

აღამიანთა საზოგადოების იდეოლოგია შენდებოდა, — როგორც ამ პროცესის იარაღი და ანარკლი, — დაგვიანებით, ნაგლეჯ-ნაგლეჯად პირობითი საზოგადოებრივ რეფორმების რიგით, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, ეთანაბრებიან კოლექტიური აღამიანის ბრძოლის საჭიროებას ბუნებასთან. არ შეიძლება მსჯელობა აღამიანთა საზოგადოების განვითარების გამეგე კანონებზე იდეოლოგიური ანარკლების მიხედვით, ან ვგრედ წოდებულ საზოგადოებრივ აზრის მდგომარეობით, ესეთი მსჯელობა თითქმის უდრის იმათს აზროვნებას, რომელნიც ხელიკის ანატომიურსა და ფიზიოლოგიურ სტრუქტურას იმით ასაბუთებენ, რომ იგი დარში მშებზე თბება, ხოლო ავღარში სოროს ეტანება. მართალია, ხელიკის




შეგრძნობასა და მისი ორგანიულ სტრუქტურას შორის, დიდი უშუალო კავშირია. მაგრამ ეს კავშირი უნდა განხილულ იქნეს მხოლოდ მეტოდებით. ადამიანთა საზოგადოების ახსნა-დაფასების საქმეში ჩვენ უუკიდურეს სუბიექტივიზმს მივდევთ ხოლმე, როცა საზოგადოების ეგრედ წოდებულ თვით-შემეცნების მიხედვით ვმსჯელობთ იმ სტრუქტურისა და კანონების შესახებ, რომელნიც განაგებენ იმის განვითარებას. ხოლო ეს იდეოლოგია აშენებულია წინააღმდეგობაზე; იგი აწეწილ-დაწეწილია, კონსერვატიული და შეუმოწმებელი. შეიძლება წყევნით მიპსუხონ: საზოგადოებრივი იდეოლოგია მაინც ხელიკის შეგრძნებაზე მალა სდგასო. ეს თვალზეა დამაკვიდრებელი. პარადოქსი არ უნდა იყოს, თუ ვთქვით: რომ შეგვეძლოს ხელიკის შეგრძნობის გაგება, იმის სტრუქტურის და ორგანოთა ფუნქციების შესახებაც უფრო უშუალო დასკვნების გამოტანასაც შევიძლებდით, ვიდრე შესახებ საზოგადოების სტრუქტურისა და მისი დინამიკისა იდეოლოგიურ ანარეკლების მიხედვით; მაგალითად, რელიგიურ წარმოდგენებით, რომელთაც ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ადრეც ეჭირათ და ეზღაც უჭირავთ უზარმაზრი ალაგი; ან წინააღმდეგობაზე და პირმოთინეობაზე აშენებულ ოფიციალური მორალის კოდექსებით; ან, დასასრულ, იდეალისტურ ფილოსოფიურ კონცეპციებით, რომელნიც ადამიანის რთული, ორგანიული პროცესების ასახნელად პასუხისგებაში აძლევენ ბუნდოვანსა და ნისლოვან ვინმე არსებას, და იმ არსებას არკმევენ სულს და მიუძღვნიან მას შეუცნობელობისა და მარადიულობის თვისებას.

შენდელუევი უბღვერდა და ზიზღითაც კი იხსენებდა საზოგადოებრივ გარდაქმნის პრობლემას, და ამტკიცებდა, რომ ამისგან უუძველეს დროიდანაც არასოდეს არავითარი სიკეთე არ გამოსულაო. ამის ნაცვლად მენდელუევი უკეთეს მომავალს მოელის დადებითი მეცნიერებისგან, და თავდაპირველად—ქიმიისგან, რომელმაც ბუნების ყველა საიდუმლოებანი უნდა გადაგვიშალოსო.

საინტერესოა იქნება, რომ ამას დაეუპირდაპიროთ თვალსაზრისი ჩვენი გამოჩენილი ფიზიოლოგის პავლოვისა, რომელსაც ომები და რევოლუციები რალაც შეძთხვევითი მოვლენები და ადამიანის უმეცრების ნაყოფი ჰგონია. ის დარწმუნებულია, ვითომ ომსაც და რევოლუციასაც მოსპობს მხოლოდ ღრმა შემეცნება „ადამიანის ბუნებისა“.

აქვე უნდა გავიხსენო დარვინიც. ამ გენიალურმა ბიოლოგმა დაგვანახვა, რომ პატარა რაოდენობრივი გადახრები, როცა დაგროვდებიან, სრულიად ახალს ბიოლოგიურ ხარისხობრიობას იძლევიან. დარვინმა ამით ახსნა სახეთა წარმოშობა და შეუგნებლად გვაჩვენა დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდები ორგანიულ ცხოვრების სფეროში. ჰეგელის კანონი რაოდენობრიობის გადასვლისა ხარისხობრიობაში დარვინმა გენიალურად გამოიყენა, თუმცა ფილოსოფიურად არ ვააშუქა. ამავე დროს დარვინი,—ხოლო დარვინისტები მით უფრო,—ზშირად ცდილობს გულუბრყვილოდ და არამეცნიერულად გადაიტანოს ბიოლოგიის შედეგები საზოგადოებაში. კონკურენციას ახსნა ისე, ვითომ იგი არსებობისათვის ბიოლოგიური ბრძოლის ერთი მხარე ყოფილიყოს, მომავლენებს იმას, ვისაც შეუღლების ფიზიოლოგია მხოლოდ მექანიკა ჰგონია.




ყველა ამ შემთხვევებში ერთსა და იმავე პრინციპიალურ, მტკიცედ დამყარებულ ვებ-დავით: ქიმიისა და ფიზიოლოგიის მეთოდები და მიღწევებში ისტორიულად აღამიანთა საზოგადოებაზე, რომ გვერდს უხვევენ ყველა ინსტანციებს. თუმცა მოლექსულა ატომებისგან შესდგება, მაგრამ არა მგონია რომელიმე ბუნებისმეტყველმა ატომების მოძრაობის გამგე კანონები უცვლელად გადაიტანოს მოლექსულებზე, რომლებსაც სხვა კანონები განაგებენ. მრავალი ბუნებისმეტყველი სულ სხვანაირად ეპყრობა სოციოლოგიის საკითხებს. საზოგადოების ისტორიულად განსაზღვრულ სტრუქტურას მტკად ზმირად გამოავლენენ ხოლმე ანგარიშიდან ნივთიერების ატომიურ სტრუქტურის საბაბით, ან რეფლექსების ფიზიოგიური სტრუქტურის, ან კიდევ არსებობისათვის ბიოლოგიური ბრძოლის მიზეზით. რა თქმა უნდა, მატერიალურ პირობებში მიმდინარე ცხოვრება ადამიანთა საზოგადოებისა ყველა მხრით გარემოცულია ქიმიურ პროცესებით, და ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ქიმიურ პროცესების შენაღ�ღლია. მაგრამ მეორე მხრით საზოგადოება ინდივიდუუმებისგან შესდგება, რომელთა ფსიქიური მექანიზმი რეფლექსების სისტემად არის დანაწილებული. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ქიმიური ან ფიზიოლოგიური პროცესი არ არის. იგი იქნის თაგისი საკუთარი კანონებით, რომელნიც, საზოგადოების ბედის განკერტისა და დაპყრობისათვის, შესწავლილ უნდა იქმნეს ობიექტიურად და სოციოლოგიურად.

მენდელეევის ფილოსოფია.

სავანთა მეცნიერულ შესწავლას, — ამბობს მენდელეევი თავის „ქიმიის საფუძვლებზე“-ის შენიშვნებში — ორი ძირითადი ან საბოლოო მიზანი აქვს: წინასწარი ხილვა და სარგებლიანობა. მეცნიერულ წინასწარმეტყველების გამარჯვებას მტკად მცირედი მნიშვნელობა ექნებოდა ადამიანისათვის, თუ იგი, ბოლოს და ბოლოს, არ მიიყვანდა მას პირდაპირ საერთო სარგებლიანობასთან. შესწავლაზედ დამყარებულნი მეცნიერული წინასწარმეტყველებანი ისეთს თვითარწმუნას აძლევენ ადამიანს, რომელთა დახმარებით სავანთა ბუნებას შეიძლება მიეცეს სასურველი მიმართულება. შემდეგ მენდელეევი ფრთხილად დამატებს: „რელიგიური და ფილოსოფიური მცნებანი უკვე მრავალი ადასის წლობით ცოცხლობენ, ხოლო ის მცნებანი, რომლითაც ხელმძღვანელობს სწორად წინამეტყველი მეცნიერება, აღსდგნენ მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინ და მხოლოდ მტკად მცირედის დაპყრობა მოასწრეს. ხოლო ქიმიის, ამ მეცნიერებათა რიგში მხოლოდ ორიოდ საუკუნის წინ შევიდა. ასეთ მეცნიერებისგან, აღბად გერ კიდევ მრავალი მოგველის, — წინასწარმეტყველებაც და სარგებლობაც.

მენდელეევის მტკად ფრთხილ და გადაკერით ნათქვამი ფრთხილ სავულისხმონი არიან მისთვის. მათი აზრი, ნახევრად გადაშლილი, ცხადად არის მიმართული წინაღმდეგ რელიგიისა და სპეკულიატიური ფილოსოფიისა. მენდელეევი მათ უპირდაპირებს მეცნიერებას. რელიგიური იდეები, — ამბობს ის, — ათასი წლობით ბატონობდნენ, ხოლო სარგებლობა მათგან არც ისე დიდი გვაქვს; აი,



დაზხედეთ, რამდენი რამ მოგვეცა მცირე ხანში მეცნიერებამ, და ამით გაზომეთ მისი მომავალი სიკეთე. ასეთია უცილობელი დედააზრი ამ წინადადებისა, რომელიც მენდელეევი ჩაურთო უუმცირესი შრიფტით ერთერთ შენიშვნას მე-403 გვ. თავის ქიმიის „საფუძვლებში.“ მეტად ფრთხილი იყო დიმიტრი ივანეს ძე და ოფიციალურ საზოგადოებრივ აზრთან შეხლა-შემოხლას არ აპირებდა!

ქიმიის რევოლუციონერ აზროვნების სკოლაა, — იმიტომ კი არა რომ არსებობს ასაფეთქებელ მასალათა ქიმიის, — ასაფეთქებელი მასალები ყოველთვის რევოლუციონურნი როდი არიან, — არამედ იმიტომ, რომ ქიმიის არის თავდაპირველად მეცნიერება შესახებ საკანთა ვარდაქმნისა. ქიმიის სახიფათოა კონსერვატიულ აზროვნებისათვის შესახებ უცვლელი კატეგორიებისა.

მეტად საგულისხმაოა, რომ კონსერვატიულ საზოგადოებრივ შეგონების გავლენით მენდელეევი ქიმიურ გარდაქმნათა დიდ პროცესში იცავდა უცვლელობისა და ურყევობის დისაბამს. დიდი მეცნიერი იშვიათი შეუბოვრობით იცავდა ქიმიურ ელემენტების უცვლელობას და მათს გარდუქმნელობას ერთერთთანეთში. მას სჭირდებოდა საიმედო და სამყარი წერტილები. ის ამბობდა: „მე დიმიტრი ივანეს ძე ვარ, თქვენ კი ივანე პეტრეს ძე ბრძანდებით. ყველასთვის ინიციულია გვაქვს, ჩვენც და ელემენტებაც.“

მენდელეევი მრავალჯერ ათვალისწინებით იხსენიებდა დიალექტიკას. ამ სიტყვაში ის ჰგვლისა და მარქსის დიალექტიკას კი არ ჰგულისხმობდა, არამედ ზედაპირულ ხელოვნურ თამაშს მცნებებით, ნაწილობრივ — სოფისტიკას, ნაწილობრივ კი, სქოლასტიკას. მეცნიერული დიალექტიკა გარემოიციავს საზოგადო მეთოდებს, რომელნიც აზროვნების კანონებს ანარეკლობენ. ერთერთ ასეთ კანონად გვევლინება გარდაქმნა რიცხობრიობისა ხარისხობრიობაში. ქიმიის ამ კანონით თავით ფეხამდნა გაელენთილი. ამაზეა საყვებით აშენებული მენდელეევის სისტემა, რომელსაც ატომის წონის რაოდენობითი სხვაობიდან გამოაქვს ელემენტების ხარისხული სხვაობა. სწორედ ამ თვლით დააფასა ენგელსმა მენდელეევის აღმოჩენა ახალი ელემენტებისა. თავის შენიშვნებში „ზოგადი ხასიათი დიალექტიკისა, როგორც მეცნიერებისა“ ენგელსი სწერდა: „მენდელეევი გვაჩვენა, რომ ნათესაურ ელემენტების რიგებშიც, რომელნიც ჩარეგებულნი არიან ატომის წონით, მოიპოვებინა სხვა-და-სხვა ხარვეზები. ეს ხარვეზები გვარწმუნებენ, რომ აქ კიდევ უნდა იქნეს აღმოჩენილი ახალი ელემენტები. მან წინდაწინვე ასწერა საზოგადო ქიმიური თვისებანი ერთ-ერთის ამ უცნობი ელემენტისა და დაახლოვებით იწინასწარმეტყველა მისი სპეციფიური და ატომიური წონა და ატომის მოცულობა. მენდელეევი შეუგნებლად იხმარა ჰეველის კანონი შესახებ რიცხობრიობის ხარისხობრიობაში გარდაქმნისა და გამოიჩინა მეცნიერული გმირობა, რომელიც თამამად შეგვიძლიან ამოუყენოთ გვერდით ლევერიეს აღმოჩენას. მან, ლევერიემ განაოიანგარიშა ორბიტი ჯერ კიდევ უცნობი მნათობის ნეპტუნისა.“ („არქივი ე. მარქსის და ფ. ენგელსის, წ. 11, გვ. 227“).

პერიოდულ სისტემის ლოლიკა, თუმცა იგი შემდეგ გარდაქმნილ იქნა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კონსერვატიული შეკვეციები, რომელნიც



უნდოდა შეეტანა მასში იმის საკუთარს შემომქმედს. ელემენტების ერთ-ერთ ნათესაობა და მათი ურთ-ერთი გარდაქმნა შეიძლება ჩაითვალოს უპირატესად დამტკიცებულად იმ დროიდან, როდესაც რადიო აქტიური ნივთების დახმარებით მოხერხდა ატომების დანგრევა. პერიოდული სისტემით, რადიო აქტიური ნივთების კიმიით დიალექტიკა ზეიმობს თავის შესანიშნავ გამარჯვებას!

მენდელეევის არ ჰქონდა მთლიანი, დასრულებული ფილოსოფიური სისტემა. მას იგი, შეიძლება ვთქვათ, არც უნდოდა, რადგან იგი ამ მეცნიერს აუცილებლად დააჯახებდა იმის საკუთარს კონსერვატიულ ჩვეულებებს და სიმ-პატიებს.

მენდელეევის შემეცნების ძირითად საკითხებში იხმის ორმაგობა. მაგალითად: ის თითქოს გადაიხარა აგნოსტიკებისკენ, რადგან განაცხადა, რომ ნივთიერების არსება ჩვენთვის შეუცნობელია, ვინაიდან იგი „არ ეგუება ჩვენს შეცნობას და სულს“ (!) (დ. მენდელეევის „ქიმიის საფუძვლები“ გვ. 406). მაგრამ ის აქვე იძლევა შემეცნების საუცხოვო ფორმულას, რომელიც ერთის შეხებვით ჰუანტავს აგნოსტიციზმს.—მენდელეევი ამბობს იმავე შენიშნაში: „ადამიანი თან და თან სწავლობს და იპყრობს ნივთიერებას; იგი მას უფრო და უფრო გარკვევით წინასწარმეტყველობს, რომელიც მართლდება ნამდვილში; უფრო ფართოდ და ხშირად იყენებს მას თავის მოთხოვნილებისთვის, და არ არსებობს საბუთი, რომ სადმე დავინახოთ საზღვარი შემეცნებისა და ნივთიერების დაპყრობისა“.

თუ არ არსებობს საზღვარი შემეცნებისა და ნივთიერების დაპყრობისა, სავსებით ცხადია, რომ არც შეუმეცნებელი „არსი“ ყოფილა. შემეცნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს წინასწარ დავინახოთ ნივთიერების ყოველი შესაძლებელი ცვლილება, და აგრეთვე ამ ცვლილებათა გამოწვევის ძალასაც გვაძლევს,—ასეთი შემეცნება ამოსწურავს მატერიის არსებას. ეგრედ წოდებული შეუცნობელი „არსი“ არის მხოლოდ გაზოგადებული საბე ნივთიერების ჩვენი უყოვინარობისა. ეს ასევედონიშნა ჩვენი უმეცრებისა. დუალისტური განსაზღვრა შეუცნობელ მატერიისა და მისი შეცნობილი თვისებისა ძალიან ჰგავს ოქროს ბეჭდის ანგდოტურ დახასიათებას,—ვითომ ოქროს ბეჭედი ნახვრეტი იყოს, რომელსაც შემორტყმული აქვს ძვირფასი ლითონი: სრულიად ცხადია: თუ ჩვენ შევიცნობთ მოყვნიათა ძვირფას ლითონს და შევისწავლით იმის გამოყენებას, არსის ნახვრეტი დარჩება ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელო და ჩვენ დიდის ხალისით დაუთმობთ მას ძველ ფილოსოფოსებს და ლეთისმეტყველებს.

დიდი შეცდომაჲი.

მიუხედავად იმისა, რომ მენდელეემა აგნოსტიციზმს სიტყვით დაუთმო („არის შეუცნობელობა“) ის მაინც დიალექტიური მატერიალისტია ბუნებისმეტყველებაში და, უწინარეს ყოვლისა, ქიმიაში—თავისი მეთოდებით და უმაღლესი მიღწევებით. მაგრამ იმის მატერიალიზმს თითქო გადადარებული აქვს კონსერვატიული გარსი, რომელიც იცავს იმის მეცნიერულ აზრს ოფიციალურ



იდეოლოგიასთან მეტად უბეშე შეჯახებისგან. ეს იმას კი არ ენერწინება, ვითომ მენდელეევი ხელოვნურად შექმნას თავის მეთოდებისთვის კონსერვატიული გადასაფარებელი.

თვითონ მეცნიერი საკმაოდ მჭიდროდ იყო გადაბმული ოფიციალურ იდეოლოგიასთან და ამიტომ, უძველესი განიციდიდა შინაგან მოთხოვნილებას, რომ დაეჭლუნებინა დიალექტიური მატერიალიზმის მეტად წვეტიანი კუთხეები, სოციოლოგიურ დარგში სხვანაირი ურთერთობა იყო: მენდელეევის საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ძირითადი სარჩული კონსერვატიული იყო. მაგრამ ამ სარჩულიდან დროგამოწვევით ამოხეთქავენდნენ ხოლმე ბრწყინვალე მიხედვრები, მატერიალისტურნი თავიანთი საფუძვლებით და რევოლიუციონურნი—თავიანთი ტენდენციებით. და ამ მიხედვრების გვერდით—შეცდომები, ისიც როგორი! მრავალ მავალითიდან ორს დავასახელებ: მენდელეევი უარპყოდდა საზოგადოებრივ გარდაქმნის ყოველგვარ გვეგმებს, როგორც უტოპიებს და „ლათინურს“. იგი ისახავდა უკეთეს მოშავალს მხოლოდ მეცნიერულ ტენიკასთან გადაბმულს. მაგრამ იმასაც აღმოუჩნდა თავისი საზოგადოებრივი უტოპია. მენდელეევის აზრით, უკეთესი დროება მაშინ დადგება, როდესაც მთელი ქვეყნის უდიდესი სახელმწიფოების მთავრობანი შეიგნებენ საჭიროებას, რათა იქმნენ ძლიერნი და საკმაოდ შეთანხმებულნი მოსასპობად ყოველგვარი ომების, რევოლიუციებისა და უტოპიური ცდისა. ყოველი მხრიდან: ანარხისტების, კომუნისტების და ყოველნაირ „დიდი მუშტებისა“, რომელთაც არ ესმით მთელ კაცობრიობაში არსებული პროგრესიული ევოლიუცია. განთიადი სახალხო მთავრობათა ასეთი საერთო შეთანხმებისა უკვე მოსჩანს ჰაავის, პორტსმუტისა და მაროკოს კონფერენციებში“. ეს ამონაწერი გვიმტკიცებს დიდი ადამიანის დიდ შეცდომას. ისტორიამ სასტიკი შემოწმებით შეამოწმა მენდელეევის საზოგადოებრივი უტოპია. პორტსმუტის და ჰაავის კონფერენციებიდან აღმოცენდნენ რუსეთ-იაპონიის ომი, ბალკანეთის ომი, დიდი იმპერიალისტური ჟღერა ხალხთა და მკაცრი დაქვეითება ევროპის მეურნეობისა, ხოლო კერძოთ მაროკოს კონფერენციიდან წარმოიშვა ის საზიზღარი სისხლის ღერა მაროკოში, რომელიც ეხლა ხდება ევროპიულ ცივილიზაციის დაცვის საბაბით. მენდელეევი ვერ ხედავდა საზოგადოებრივი მოვლენების შინაგან ლოლიკას, ანუ, უკეთ, საზოგადოებრივი პროცესების შინაგან დიალექტიკას, და ამიტომ წინდაწინვე ვერ დაინახა ჰაავის კონფერენციის შედეგი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მეცნიერების ფასი, უწინარეს ყოვლისა, წინასწარ ხილვაშია. ხოლო თუ თვალს გადაავლებთ მარქსისტების ნაწერებს შესახებ ჰაავის კონფერენციისა, როდესაც მას იწვევდნენ და აწყობდნენ, ადვილად დარწმუნდებით, რომ მარქსისტებმა ნათლად და წინდაწინვე დაინახეს მისი შედეგი. ამიტომ მოხდა, რომ ისტორიის უმალესად კრიტიკულ მომენტის დროს შეიარაღებულნი აღმოჩნდნენ „დიდი მუშტით“. მართალი რომ ვთქვათ, არც ისე ცუდია, რომ ისტორიულად ამომავალი კლასი, შეიარაღებული საზოგადოებრივი შემეცნებით და მოშავალის განკურებით, აღმოჩნდა ბოლოს ასხმული აგრეთვე საკმაო დიდი მუშტით, რათა გაეხსნა კაცობრიობის აწვითარების ახალი ეპოქა.



ნება მიბოძეთ კიდევ ერთი შეცდომა აღენიშნო. „უფრო მეტად შეშინიან, —სწერდა მენდელეევი თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხაზაში,— მეცნიერების ზნე-ხასიათის, საერთოდ განათლებისა და საზოგადო ეთიკისათვის „სახელმწიფო სოციალიზმის“ დროს. ვითომ მართალია? მენდელეევის შორმეკვრეტი მოწაფეები ებღავე ხედავენ მეცნიერულსა და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარების ბუმბერაზულ შესაძლოებას,—იმის წყალობით სკვრეტენ, რომ ეს აზრი, ესე ვსთქვათ გაეროვნებული, ამოგლეჯილია კერძო საკუთრების ჩარჩოებიდან და იჯარით კი არ მიეცა კერძო თაოსნობას, არამედ ემსახურება მთელი ხალხის სამეურნეო განვითარებას. მეცნიერულ-ტექნიკური ინსტიტუტების ქსელი, რომელსაც ებღავესოვთ, არის მხოლოდ მცირედი და, ვთქვათ, ჩვენს წინაშე გადაშლილ თვალწივდენ შესაძლოებათა ნატურიალური სიმპტომი.

იმისთვის კი არ აღენიშნე ეს შეცდომები დიმიტრი ივანეს ძისა, რომ დაეამდაბლო მისი დიდებული სახელი უმთავრესი სადავო საგნის გამო, ისტორიკამ უკვე სთქვა თვისი სიტყვა და ამიტომ საჭირო არ არის დავის განახლება. მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ დიდი ადამიანის დიდი შეცდომებში იმის მოწაფეებისათვის დიდი გაკვეთილიც არის. ქიმიის დარგიდან არ არსებობს პირდაპირი და უშუალო გამოსავალი საზოგადოებრივ პერსპექტივებთან. აქ საკმარისი არ არის მარტო თვალთახედველი, თუნდ ისეთი გენიალურიც, როგორც მენდელეევის ჰქონდა. საჭიროა თანეიტური მეთოდი საზოგადოებრივი შემეცნებისა. ასეთი მეთოდი მარქსიზმია. როდესაც რომელიმე მარქსისტი ცდილობდა, რომ მარქსის თეორია გადაეჭია საყოველთაო გასაღებად და გადაეტიჯებინა ცოდნის დანარჩენ დარგებისათვის, ვლადიმერ ილიჩი უკან დასწევდა ზოლმე მეტყველი სიტყვით „კომმუნისტო.“ კერძოთ ეს სიტყვა იმას ნიშნავდა, რომ კომუნისში ქიმიის მაგირობას ვერ გასწევს. მაგრამ პირუკულმა თეორემაც მართალია. ცდა მარქსისმის გადაბიჯებისა იმ საბაბით, რომ ქიმიამ (ან ბუნებისმეტყველებამ საერთოდ) უნდა გადასჭრას ყველა საკითხები, თავისებური „ქიმიანისტო“ გახლავთ და იგი თეორიულად სრულებით არ არის ნაკლებ შემცდარი, ზოლო პრაქტიკულად სრულებით არ არის უფრო მეტად სიმპატიური ვიდრე „კომმუნისტო“.

დიდი ენხედრები.

მენდელეევის არ ჰქონდა საზოგადოების შემეცნებისა და მისი განვითარების მეცნიერული მეთოდი. ის განსაკუთრებით სიფრთხილეს იჩენდა მიმდევრობაში და მრავალჯერ შეამოწმებდა ზოლმე თავის თავს, სანამ ნააზრევს ნებას მისცემდა, რომ იგი საზოგადოების გენიალობაში ვადამტარიყო. მაგრამ ის ამავე დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში ემპირიკი იყო და მიხვედრას წარსულისგან მემკვიდრეობით მიღებულ მსოფლმხედველობას უუარდებდა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ეს მიხვედრა მენდელეევისებური იყო, უფრო კი იქ. სადაც ამას მოითხოვდა მეცნიერულ-სამრეწველო ინტერესები დიდი მეცნიერისა

მენდელეევის მსოფლმხედველობის დედამბოძს შეიძლება დავარკვათ მეცნი-



ერულ-ტენიკური ოპტიმიზმი. მისი ოპტიმიზმი და კაპიტალიზმის განვითარების გეზი ერთმანეთს ჰკედებოდნენ. ეს ოპტიმიზმი მენდელეევის მარქსიზმის ანტიპოდს წარმოადგენდა. მენდელეევი ზეპირად აკრიტიკებდა მარქსის თეორიას, მისი ოპტიმიზმი კი მარქსის თეორიას უპირისუპირდებოდა.

მენდელეევი სწამდა, რომ ადამიანი გაიმარჯვებს ბუნების ყოველ ძალეზე. ამით უნდა აიხსნას მისი მძულვარება მალთუზიანობისა, ეს ხაზი შესანიშნავად ახასიათებს მენდელეევს. იგი წითელ ზოლივით მოსხანს ყოველ იმის ნაწერზე: წმინდა მეცნიერულს, საზოგადოებრივ-პუბლიცისტურსა და გამოყენებითი საკითხებშიც.

მენდელეევი სიხარულით აღნიშნავდა, რომ რუსეთის მოსახლეობის წლიური შენამატი ($1\frac{1}{2}$ პროც.) სკარბობს მთელი ქვეყნის შენამატის საშუალო ნორმას. მისი ანგარიშით 150-200 წლის შემდეგ მთელი ქვეყნის მოსახლეობა 10 მილიარდ სულს მიაღწევს. ამის გამო მენდელეევი არ შიშობს. „10 მილიარდი კი არა, — სწერს ის, — რამდენჯერმე მეტიც რომ იყოს, — შრომით და ხერხით, ცოდნის მეათურობით, — ყველანი იშოვნიან საკმაო საკვებს. იმისი შიში, ვითომ ეს ქვეყანა იმოდენა ხალხს ვერ გამოკვებავდეს, სრულ უაზრობად მიმაჩნია, — თუ, რა თქმა უნდა, უსრულესყოფელი იქნება ხალხთა მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთერთობა“.

ჩვენი აკადემიის ზეიმის დროს ინგლისელმა პროფესორმა კეინსმა რჩევა დარიგება მოგვართვა: მოსახლეობის შენამატის შემცირებაზე იზრუნეთო. ჩვენი დიდი ქიმიკოსი და სამრეწველო ოპტიმისტი კეინის რჩევას არ გაიხიარებდა. მენდელეევი მხოლოდ გაიშოვრებდა თავის ძველს ნათქვამს: „ახალ მალთუსებს ამ ზრდის შეჩერება ხომ არ უნდათ? ხოლო ჩემი კვებით მოსახლეობის მჭიდრობას სულიერი მჭიდროობა და ერთსულობა მოსდევს.“ მენდელეევის ბებრული ეშმაკობა ხშირად გამოისახებოდა ხოლმე განგებ გამარტივებულ ასეთ ფორმულებში.

იმვე სამრეწველო ოპტიმიზმის თვალთ უღებოდა მენდელეევი კონსერვატიული იდეალიზმის ფეტიშს, ვერცე წოდებულ ეროვნულ ხასიათს. „სადაც გაბატონებულია პირვანდელი ფორმა სასოფლო მეურნეობისა, — სწერდა დ. ი. ძე, — იქაურ ხალხს არ ძალუძს გამოიზინოს შრომის შეუპოვობა და უჯიათობა. იგი მუშაობს ნახტომებით, ტანჯვით. ამას კი უმკველი გავლენა აქვს ხალხის ხასიათზე. ასეთ ხალხს არა აქვს სიღინჯე, სიმშვიდე და მომკირნეობა. ყველაფერში ეტყობა ფაცა-ფუცობა, აჩქარება, როგორმეობა. ყველგან და ყველაფერში — ან სიმუწე, ან ფლანგველობა. ხოლო სადაც სამეურნეო მრეწველობის გვერდით უკვე ფართედ განვითარდა საქარზო წარმოება, სადაც ყველას თვალწინ უდგა სასოფლო-სამეურნეო ფაცა-ფუცობის გარდა აგრეთვე შეუპოვარი, დინჯი და შეუწყვეტილი საქარზო შრომა, — იქ სწორედ აფასებენ შრომის მნიშვნელობას“ და სხ. და სხ. ამ სტრიქონებში განსაკუთრებული ფასი აქვს ეროვნული ხასიათის შეფასებას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, პირვანდელი და ძირითადი ელემენტი კი არ არის, არამედ პროდუქტია ისტორიულ



პირობების, უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—წარმოების საზოგადოებრივი წარმოების. ეს კი უშუალოდ (თუმცა ნაწილობრივი) მიახლოებაა მარქსიზმის ისტორიულ ფილოსოფიასთან.

მენდელეევის აზრით, მრეწველობის განვითარება საშვალბაა ეროვნული აღზრდის გარდაქმნისა და ახალი ეროვნული ზასიათის შექმნისა,— უფრო მტკიცე, გამძლე, დისციპლინით აღჭურვილისა და გამოკვეთილი ტიპისა. მართლაც, ერთმანეთს რომ დაეფუძრებაპროთ ზასიათები გლეხური-რევოლუციური მოძრაობათა მუშურ მოძრაობებს, ხოლო განსაკუთრებით პროლეტარიატის როლი ოქტომბერში და ეხლაც, მენდელეევის მატერიალისტური წინასწარი ზილვა ძლიერი ზუქით განათდება.

ჩვენმა ინდუსტრიალურმა ოპტიმიზტმა საუცხოვო სინათლით გამოსთქვა თვისი აზრი შესახებ ქალაქისა და სოფლის შორის წინააღმდეგობის მოსპობისა. იმის ფორმულას ყოველი კომუნისტი მიიღებს. „დიდძალი რუსის ზალზი მოაწყდა ქალაქს,—სწერდა მენდელეევი.—ეს ისეთი ევოლუტკიაა, რომელთანაც ბრძოლა, ჩემის აზრით, სასაცილოა, იგი, ერთი მზრივ, მაშინ დასრულდება, როცა ქალაქები გაიზრდებიან; როცა ქალაქებში გაჩნდებიან დიდი ქალები, ბალები და სხ. ე. ი., როცა ქალაქები შეეცდებიან, რომ შექმნან ჯანმრთელი ცხოვრება ყველასთვის; რომ მარტო ზეშეშებისთვის კი არ იყოს ზალგათი ბალები და სასპორტო მოედნები, არამედ ყველასთვის. მეორე მზრივ, სოფლებში, ფერმებში და ქალაქების მიდამოებშიც იმდენი ზალზი დაგროვდება, რომ საჭირო გახდება იმათთვისაც აშენება მრავალ სართულიანი სახლების, და გაჩნდება საჭიროება წყალსადენების, განათების და სხვა ქალაქურ მოწყობის. ეს კი, დროთა განმავლობაში, იქამდე მიიყვანს ქვეყანას, რომ იგი გაივსება მოსახლეობით. სახლების შუა გაშენდება ბალები და ბოსტნები, რომელნიც ზალზს საკვებს მისცემენ, და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები, რომელნიც შექმნიან და გარდაქმნიან ასეთ მასილას. (დ. მენდელეევი, „რუსეთის გაცნობისათვის“, 1906 წ. გვ. 61—62).

აქ მენდელეევი დაბეჯითებით აღასტურებს სოციალიზმის ძველ თეზისს: სოფელსა და ქალაქის შორის წინააღმდეგობის მოსპობას. მაგრამ აქ მენდელეევი არ ეხება მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმების გარდაქმნას. ის ფიქრობს, რომ კაპიტალიზმი შექმნის ადამიანთა მოსახლეობის უფრო მაღალს, პიგიურს, კულტურულ ფორმებს და ამ გზით გაათანასწორებს ქალაქურსა და სოფლურ პირობებს. აქ მენდელეევი სცდება. და ამ შეცდომას უფრო ცხადად გვიჩვენებს ინგლისის მაგალითი, რომელზედაც მენდელეევი ასეთის იმედით გვითითებდა. დიდი ხნით აღრე, სანამ ინგლისი მიღწევედა სოფლისა და ქალაქის წინააღმდეგობის მოსპობას, მისი ეკონომიური განვითარება ჩიხში მოექცა. უშუალოდ ლრდნის იმის მეურნეობას. ინგლისის მრეწველობის ზელმძლავანელები საზოგადოების ხსნას ზელავენ ემიგრაციაში, ზედმეტი მოსახლეობის განდევნაში. ყველაზედ „პროგრესიული“ ეკონომისტი კენსიცი კი რამდენიმე დღის წინათ გვიმტკიცებდა, ვითომ მხოლოდ მაღლუსიანიზმს, შეეძლოს ინგლისის



მეურნეობის გადარჩენა! ინგლისისთვისაც სოფლისა და ქალაქის ინტენსივობის დასაძლევად გზა სოციალიზმზე გადის.

აი, კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც იმავე ინდუსტრიულმა ოპტიმიზმმა გეიკარნახა.

თავის უქანასკნელ წიგნში მენდელეევი სწერდა: „სამრეწველო ეპოქის შეიძლება მომავალში უფროთუფრო ეპოქა მოჰყვეს. ამ ეპოქის ნიშნად შეგვიძლიან მივიჩნიოთ შემსუბუქება ან უუკიდურესი გამარტივება საკვების, ტანსაცმელის და ბინის შოვნის საშუალებათა. ასეთ უუკიდურეს განმარტივებისკენ უნდა იყოს მიმართული საცდელი მეცნიერება, რომელიც უქანასკნელ ათეულ წლებში ნაწილობრივ უკვე აქვით მიიზარტება. (დ. მენდელეევი. „რუსეთის გაცნობასათვის“. 1906 წ. გვ. 78, შენიშ.)

ეს სიტყვებიც შეესაბამება. თუმცა მენდელეევი მეორე ადგილას გვაფრთხილებს; ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ოდესმე, სადმე სოციალისტების და კომუნისტების უტოპიები განხორციელდესო, მაინც ამ სიტყვებში მოცემული გვაქვს კომუნისმის მეცნიერულ-ტექნიკური პერსპექტივები. საწარმოო ძალების ასეთი განვითარება, რომელიც უუკიდურესობამდე გაამარტივებს საკვების, ტანსაცმელისა და ბინის შოვნის საშუალებებს, უძველესად ხელს მოგვეცემს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მინიმუმამდე დავეწიოთ იტულების ელემენტები. საზოგადოებრივ ურთიერთობიდან სრულიად განიღვენება ანგარება, — რადგან იგი საჭირო აღარ იქნება, — და შრომის ფორმა და განაწილება კომუნისტურ ხასიათს მიიღებენ. სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლას არ ესაჭიროება რევოლუცია, რადგან იგი სავსებით დამოკიდებული იქნება საზოგადოების ტენჯერ ძალოვანებისგან.

მენდელეევის ინდუსტრიულ ოპტიმიზმს მუდამ გადაჰყავდა მისი აზრი პრაქტიკულ სამრეწველო საკითხების გზაზე. თვისი წმინდა თეორიულ ნამუშევარიდან მასვე თითქმის ყოველთვის გაჰყავდა არხები მეურნეობის პრობლემებში. თვისი დისერტაცია მენდელეევი მიუძღვნა სპირტისა და წყლის წვერთების საკითხს, რომელსაც დღესაც ვხვდეთ სამეურნეო მნიშვნელობა. სახელმწიფო საჭიროებისთვის მენდელეევი გამოიკონა ახალი უცვამლო თოფის წამალი-პიროკოლოდი. ნავთის საკითხებიც მეტად ეინტერესებოდა ორი მხრივ: წმინდა თეორიულად-წარმოშობა ნავთისა, და სამრეწველო-ტექნოლოგიურად. სწორედ ესაა უნდა გავისხენოთ მენდელეევის გალაშქრება წინააღმდეგ ნავთის დაწვისა, როგორც უბრალო საწვავი მასალისა. „საწვევ მასალად შეიძლება ქაღალდის ფულიც გამოვიყენოთ! — წამოიძიხა ჩვენმა კიბიკოსმა. მენდელეევი მორწმუნე პროტექციონისტი იყო; ხელმძღვანელობას უწყვედა საბაჟო პოლიტიკის საკითხების დამუშავებას და დასწერა ცალკე წიგნი ტარიფების შესახებ, საიდგანაც შეიძლება სოციალისტმა პროტექციონისტმაც მრავალი სასარგებლო რამ ამოიკეთაოს. ჩრდილოეთის საზღვაო გზების საკითხებიც აღიღებდნენ



იმის აზრს სიკვდილის წინ. მაგრამ ამ საქმეში ახალგაზრდა მწვინეებებს და მოგზაურებს ის ურჩევდა თავდაპირველად აღმოჩინათ ჩრდილოეთის პოლარული რასაც გზადაგზა მოპყვებოდა სავაჭრო გზების აღმოჩენაც, „იმ ყინულებთან ბევრია ოქროც და სხვა სიმდიდრეც. საკუთარი ამერიკა გვექნება. გამეხარდებოდა იქ, პოლარუსთან სიკვდილი,—არ დავლმებოდი.“ ამ სატყუებს ახალის იერი აქვთ: გაიხსენა ძველმა ქიმიკოსმა სიკვდილი: გაიხსენა, გახრწნის პროცესის თვალთ შებხედა და გზადაგზა გააჟვია ოცნებას მარადიულ სიცივეში სიკვდილზე.

მენდელეევი დაჟღავნავდა იმეორებდა, რომ შემეცნება „სარგებლობას“ ენსახურებაო. სხვანიარად რომ ვთქვათ, მეცნიერებას უტილიტარიზმის თვალთ აფასებდა, და იმავე დროს, როგორც ვხედავთ, დაბეჯითებით ამბობდა, რომ შემეცნების უანგაგარო ეინს შემოქმედებითი ძალა აქვსო. ერთი ვიკითხოთ, რად უნდა ვეძებოთ სავაჭრო გზები შორიდან მოვლით, ჩრდილო პოლარუსით? იმიტომ, რომ პოლარუსის მიღწევა არის უანგაგარო ძიების საქმე, რომელსაც შეუძლიან უუდიდესი მეცნიერული და სპორტული ძიების ეინის ვალეიდება. ეს აზრი ხომ არ ეწინააღმდეგება მეორე აზრს, რომ მეცნიერებას მიზნად სარგებლობა აქვსო? არა, აქ წინააღმდეგობა არ არის. მეცნიერება ერთ-ერთი ადამიანის ფუნქცია კი არ არის, არამედ საზოგადოებისა. საზოგადოებრივ-ისტორიულ თვალთ მეცნიერება უტილიტარულია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ეითომ ყოველი მეცნიერი უტილიტარულად უდგებოდეს თავის გამოკვლევას. არა! უფრო ხშირად მეცნიერი წინ მიჰყავს შემეცნების ეინს. და რამდენადაც უფრო მეტი ფასი აქვს იმის აღმოჩენას, იმდენად უფრო გაუძნელდება,—ასეთია საერთო წესი,—წინასწარი დანახვა მისი შესაძლებელი პრაქტიკული შედეგებისა. ამ რიგად, მეცნიერის უანგაგარო ეინი ისევე ნაკლებად ეწინააღმდეგება ყოველი მეცნიერების უტილიტარულ დანიშნულებას, როგორც რეკოლიუციის ეინის მებრძოლის პირადი თავგანწირვა ნაკლებად ეწინააღმდეგება იმ კლასების აღმოცანების უტილიტარობას, რომელთაც ის ემსახურება.

ეინი შემეცნების შემეცნების ეინის მენდელეევა საუცხოოდ შეუთავსა განუწყვეტელ ზრუნვას ადამიანის ტენიკურ ძალოვანების ეინის. აი, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი ყრილობის ორივე ფრთა—წარმომადგენლები წმინდა ქიმიისა და გამოყენებითი ქიმიისა ერთნაირის უფლებით სდგანან მენდელეევის დროშის ქვეშ. ჩვენ უნდა ჰარმონიულად შეუთავსოთ წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიებას სამრეწველო აღმოცანები და ამ ნიადაგზე უნდა აღეზარდოთ მეცნიერთა ახალი თაობა. მენდელეევის რწმენა შემეცნების უსაზღვრო შესაძობებისა, წინასწარი ხილვისა და მატერიის დაპყრობისა უნდა მეცნიერულ მრწამსად გადაიქცეს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ქიმიკოსების ეინის. მიმავალი კლასის ფილოსოფიურმა აზრმა თავისი ერთ ერთი მეცნიერის დაფუძა—რაიზონის პირით წარმოსთქვა: Ignorabimus!, ე. ი. ვერ შევიცნობთ, ვერ გავიგებთ, ვერ მივაგებთ.—მართალი არ არის,—პასუხს აძლევს მეცნიერული აზრი, რომელსაც თვისი ბედი გადააბა ამომავალი კლასის ბედს,—შემცნობი აზრის ეინის მიუგნებელი არ არსებობს. ყოველივეს მივაგნებთ! ყოველივეს დავიპყრობთ! ყოველივეს გარდაეკმინთ!

ფორმალური ხელოვნებაში.

ფუნქციონირების თეორეტიკოსი და ფორმალურ სკოლის მეთაური—ვიკტორ შკლოვსკი—ენებური თავდავიწყებით და ფანატიკური რწმენით მოელის იმ დღეს, როდესაც „პოეტებს ლექსებში მხოლოდ და მხოლოდ ბგერები დაინტერესებენ.“*) შკლოვსკის ამ სიტყვებში მოცემულია ფორმალისმის მთელი, პრინციპიალური არაება. ბგერითი ელემენტის გამონახვა სიტყვაში, აქედან: სიტყვის კულტი—აი ის ზოგადი ფონი, რომელზედაც იშლება ფორმალისტების შემოქმედებითი მუშაობა. თეორეტიკულათ, ფორმალისტების ცნობიერებაში მხატვრული შემოქმედების წინაარსი არაარობას უდრის: აქ ფორმა წინაარსს კი არ უპირდაპირდება, არამედ ფორმა თვით არის მასალა, წინაარსი, იდეა მხატვრული შემოქმედებისათვის: „პოეზიის მასალა არის არა სახეები და ემოციები, არამედ სიტყვა“ (ეირმუნსკი); სახეები ვერ გამოდგებიან მასალათ, რადგანაც ისინი „უალრესათ სუბიექტიური არიან და, როგორც ასეთი დამოკიდებულნი ამთვისებელის პსიქოლოგიისაგან, მისი ინდივიდუალობისა და განწყობილების ცვლილებებისაგან. ასეთ სახეებზე შეუძლებელია ხელოვნების გაშლა. ხელოვნება უნდა იყოს დამთავრებული, გარკვეული და ამიტომაც ის არ უნდა ვაქცეს მკითხველის ფანტაზიის თვისებობას: არა მკითხველი, არამედ პოეტი ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს“ (ეირმუნსკი „Задачи поэтики“). ასეთივე აზრისაა აგრეთვე რ. იაკბსონიც: „Поэзия — это язык в его эстетической функции“. ამ მთავარ მოსაზრებას ფორმალისტები საფუძვლათ უდებენ თავის პოეტიკის ლინგვისტურ თეორიას: „პოეზია სიტყვის ხელოვნებაა,“ ხოლო სიტყვის მეცნიერებას ლინგვისტიკა წარმოადგენს. მართალია ლინგვისტიკისა და პოეტიკის კავშირის დროს ფორმალისტები (მაგ. ბ. ვიხენბაუმი) თეორეტიკულათ ჰქადაგებენ პოეტიკის ავტონომიას, მაგრამ ამის და მიუხედავათ მათ შემოქმედებაში ლინგვისტიკის ძლიერი და საგრძნობი გავლენა პოეტიკაზე უდაო ფაქტად არის ცნობილი (ამის შესახებ პ. საკულინის საყურადღებო შრომა „к вопросу о построении поэтики.“), ეს მით უფროტ ცხადია, რომ პოეტიკის უმთავრესი ნაწილი—სტილისტიკა—ორგანიულათ ლინგვისტიკას უკავშირდება.

ფორმის აბსოლიტური პრიმატის მიღება, წინაარსის, როგორც განსაზღვრული ესთეტიური კატეგორიის განიავების ხარჯზე, ლოლიკური დასკვნაა ფორმალისტების ძირითად შეხედულებისა ხელოვნებაზე. რას წარმოადგენს მათის აზრით ხელოვნება საზოგადოთ და კერძოთ კი პოეზია?

*) В. Шкловский. „О поэзии и звуном языке“



ვ. შკლოვსკი ეკავათება ამ საკითხში პოეტებთან. ამ კონკრეტული აზრით „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“. „სახეების გარეშე აღიქმება ხელოვნება“. სახეებით აზროვნება—შკლოვსკის აზრით, სახეების შექმნას უდრის. მაგრამ, გამოდის, რომ სახეები უცვლელია: საუკუნიდან საუკუნემდე, პოეტიდან პოეტამდე სახეები მიმდინარეობენ სრულიად უცვლელად. ამიტომაც პოეტურ სკოლათა მთელი მუშაობა უდრის ფაქტიურათ ახალ ხერხების (прием) გამოყენებას, რომელნიც საჭიროა სიტყვიერ მასალის დახამუშავებათ და განაწესრიგებათ (მაზი ჩემია—შ. დ.) სახეები იქ უნდა განაწესრიგდეს და არა შეიქმნას. სახეები მოცემულია, მაგრამ პოეზიაში უფრო მეტია გახსენება მათ შესახებ, ვინემ აზროვნება მათით *).

ასეთია შკლოვსკის შეხედულება კერძოთ და ფორმალისტების საზოგადოთ. სიტყვიერ მასალის (словесный материал) დამუშავებამ, ე. ი. სიტყვების სათანადო განაწესრიგებამ უნდა გამოამჯავნოს სიტყვის ის „მაგიური“ თვისება. რასაც ფორმალისტების აზრით განუზომელი მნიშვნელობა აქვს პოეტურ ენისათვის; ეს „მაგიური“ თვისება არის ბგერა (звук). მაშასადამე არა სახეების შექმნა და აზროვნება მათით, არამედ სიტყვების ისეთი დალაგება, რომ შესაძლებელი გახდეს ბგერითი ელემენტის გამომჯავნება, რამაც „მაგიურობის“ დონემდე უნდა აიყვანოს პოეტური შემოქმედება—აი, რა არის ფორმალისტების შეხედულებით პოეზია.

შინაარსის დამახინჯება არაფერია თუ კი შენახულია ბგერა—ამ დებულების საილლიუსტრაციოთ ვ. შკლოვსკის მოჰყავს ასეთი შემთხვევა დაკავშირებული პუშკინის ერთ-ერთ ხელთნაწერთან: „პუშკინის ერთ-ერთ გამოცემაში იმის მაგიერათ რომ დაბეჭდოდა „Завешан был тенистый вход“ დაბეჭდეს—ხელთ-ნაწერის გაუგებრობის გამო—„Завешан берег тенистых вод“—გამოვიდა სრული უაზრობა, მაგრამ ის სრულიად შეუსწონებელი გადადიოდა ერთი გამოცემიდან მეორე გამოცემაში. ის გაუგებრობა აღმოაჩინა მხოლოდ ხელთნაწერის ერთმა მკვლევარმა. მიზეზი იმისა რომ, ის უაზრობა დიდხანს ვერ შეეჩინეს, გახლდათ ის გარემოება, რომ აზრის დამახინჯებისას, არ დამახინჯდა ბგერა“ **). ბგერის საშუალებით სიტყვას უაღრესად ემოციონალური აზრი ეძლევა. ვერ კიდევ 1900 წელში კიტარმანი სწერდა: შესაძლებლობა სიტყვის ემოციონალური ზემოქმედებისა ნათელი გახდება ჩვენთვის, გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ხმოვანი ასო ჩვენში იწვევს წარმოდგენას რაღაცა დახუნღებულია და პირქუშის—ასეთია ხმოვანი ა და განსაკუთრებით კი უ, სხვა ასოები იწვევენ ჩვენში საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას, შთაბეჭდილება სინათლისა და გარკვეულობისა, ასეთია ი და ვ. („Многочисленный смысл слова“. 1900 წ) ამრიგად ყოველი ბგერა იწვევს სპეციფიურ ემოციებს. ამ ემოციებით განსაზღვრავს შკლოვსკი მხატვრულ შემოქმედებათა ესთეტიურ ღირებულებას; აქ ისიშველიებს გიორტსაც, რომელიც ლაპარაკობს: მხატვრული ნაწარმოები იწვევს ჩვენში აღტაცებას სახელდობრ სწორეთ იმ ნაწილით, რასაც ვერ დაიჭერს ჩვე-

* ვ. შკლოვსკი: „Искусство, как прием“.

** ვ. შკლოვსკი: „О поэзии и заимном языке“.

ნი ინტელექტი. ამისგანაა დამოკიდებული მშვენიერების უძლიერესი ზემოქმედება, და არა იმ ნაწილიდან რომლის ანალიზი იდეალურად შეიძლება მოვახდინოთ*.

ბგერითი ელემენტით გატაცებამ რუსი ფუტურისტების ერთი ნაწილი „ზაუშნიკობამდის“ მიიყვანა. „ზაუშნიკური“ სიტყვა ისეთი სიტყვაა, რომელსაც არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ გააჩნია. ის არის ასოების უბრალო კონბინაცია, რომელიც იძლევა სრულიად უშინაარსო და უაზრო ბგერას. „ზაუშნიკი“ კრუჩონიხი სწერს: „სიტყვები კვდებიან, ქვეყნიერება კი მარად ჭაბუკია. მხატვარმა შეხედა მსოფლიოს ახლათ და მისცა მას ახალი სახელი. „ლილია“ მშვენიურია, მაგრამ სიტყვა „ლილია“ მახინჯი და „გაუბატურებულა“, ამიტომ „ლილიას“ მე ვუწოდებ „სცი“—ამით პირველყოფილი სიწმინდე აღდგენილია.“ (Крученых). ბუნებრივია, რომ მათ არ აკმაყოფილებთ მთელი წარსული პოეზია, ეს უკანასკნელი მათ მეშინურ სიბინძურეთ აქვთ წარმოდგენილი- მაგალითად, ლერმონტოვი თავის თავათ ცხადია უარყოფილი უნდა იქმნეს, რადგანაც ვის დააკმაყოფილებს ესლა ისეთი ლექსთა წყობა, როგორც მაგალითად:

„Но пелу полуночи ангел летел
и тихую песню он пел“...

ასეთი ლექსთაწყობის მაგივრათ იმათ შექმნეს სულ სხვა ტიპი ლექსისა:
„дыр, бур, шил
убещур“ და სხ. და სხ.

„ზაუშნიკობა“ აქ უაღრესობამდის აყვანილია.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ „ზაუშნიკობა“ ლიტერატურული აბსურდია. დღეს თითქმის აღარავინ იცავს თეორეტიულათ მაინც „ზაუშნიკურ პოეზიას“. მაგრამ თუ დრო გამოშვებით იძულებული ვხდებით ფორმალბში და „ზაუშნიკობას“ შორის იგვეგობის ნიშანი დავსვათ, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფორმალბში უშვებს ერთს უდიდეს შეცდომას, რაიც გამოიბატება ფორმისა და შინაარსის გაიგივებაში.

ხელოვნება მონოლიტური ერთიანობაა ფორმისა და შინაარსის. თავის თავათ ცხადია, რომ არა მარტო ხელოვნებაში, არამედ შემეცნების ყოველ დარგშიაც ეს ორი მომენტი მოცემულია. მაშასადამე ხელოვნების კონსტრუქტიულ ნიშნათ უნდა მივიჩნიოთ არა ფორმისა და შინაარსის სინთეზი, არამედ მასალის ის ემოციონალური ხასიათი, რაიც ბუნებრივსა საშარათლიანი თქმის ორ იყვეს უპირდაპირდება ინტელექტუალურს: „Организуемым материалом для искусства является чувственный элемент в противоположность условному интеллектуальному“ („Красная поля“ № 3 1925 г.) მასალის ემოციონალობა ნიშნავს მასალის განცდას, რაიც განსაზღვრული გზით და განსაზღვრული ბერებით სწარმოებს. მაშასადამე მახალა განცდის და თითონ ხერხი ამ განცდის ქმნის ფორმისა და შინაარსის ესთეტიურ ერთიანობას.

მართლაც და რა არის ფორმა? ის არის მხოლოდ ხერხი, საშუალება იმისი, რაც უნდა გამოითქვას, შეიგრძნოს და განიცადოს. ამ რივად ფორმა მხოლოდ „მნათობი“ № 10 (18).



ლოდ ხერხია გამოთქმისა და განცდის, მაგრამ თუ არ არის ეს, რა უნდა გამოითქვას და განიცადოს, მაშინ ფორმა ცალიერი და „ზაუნნიკურია“.

ფორმალისტების შეხედულებით ლიტერატურის ისტორია სხვა არაა, გარდა ფორმათა ისტორიისა. ახალი ფორმა აწესებს მთელ ლიტერატურულ მიმართულებას და მით ჰქმნის ახალს საფეხურს ლიტერატურის ისტორიაში. არსებითად კი ფორმალისტში შეუძლებლად ჰხდის მხატვრულ ლიტერატურის ისტორიას.

ჯერ კიდევ ძველათ არისტოტელი ჰუიქრობდა, რომ ფორმა იჭერს შინაარსს, შინაარსი ილტვის ფორმისაკენ. ამ ორი მომენტის ორგანიული კავშირის გარეშე შეუძლებელია როგორც ერთის, ისე მეორეს პროგრესი: თუ არსებული ფორმა სავსებით აკმაყოფილებს არსებულ შინაარსს, მაშინ განახლებულ ფორმაში არავითარი საჭიროება არ არის. განახლებული ფორმა მაშინ არის საჭირო, როდესაც შინაარსი ვერ ეტყევა არსებულ ფორმებში. შინაარსის განვითარება იწვევს ფორმის განახლებას, ხოლო თავის მხრივ ეს უკანასკნელი ჰგულისხმობს განვითარებულ შინაარსს. ურბანისტული კულტურის ფორმები თავის თავათ ცხადია ვერ ეგუება და ვერც შეეგუება სოფლის იდილიის განცდას; ან და ისტორიული ლეგენდების მხატვრული გაშლა ურბანისტულ ფორმებში მეტის მეტათ ხელოვნურობა იქნება, რის გამოც ადგილი დაუჩიბოდა მხატვრულობის პროფანაციას.

ფორმალისტში ფორმის პროგრესს სავსებით აბარებს შინაარსის პროგრესს, რის გამოც ფაქტიურათ შეუძლებლათ ხდის ლიტერატურის ისტორიას. ისტორიის უარყოფა ნიშნავს ხელოვნების განვითარების შეუძლებლობას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ უდრის ხელოვნების თვითმკვლელობას. ასეთია დასკვნა, რომელზედაც მიდის ფორმალისტში. გამოსავალ გზას ფორმალისტში მხოლოდ „ზაუნნიკობაში“ ვხედავს, მაგრამ... „ზაუნნიკურ“ პოეზიას მხოლოდ და მხოლოდ „ზაუნნიკური“ ღირებულება თუ აქვს.

უდაოა ის მოსაზრება, რომ ესთეტიურ ფორმებს მხატვრულ შემოქმედებაში განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ფორმის გარეშე არ არსებობს მხატვრული შემოქმედება. ფორმა ის, რაც იწვევს ჩვენში ესთეტიურ ემოციებს; ამ მომენტის უკუგდებით მხატვრულ შემოქმედებაში რჩება მხოლოდ პუბლიცისტიკა ან ლალიკური კანცეპტია და მეტი არაფერი. თანამედროვე პროლეტარული პოეზიის მთელი ტრადიციონალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ესთეტიურ ფორმებს ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. პოეზიის ზოგი „თეორეტიკოსი“ მეტის მეტათ კურიოზულ დებულებასაც აყენებს: ჩვენთვის უმთავრესია შინაარსი და არა ფორმა. ამ დებულებაში ცოცხლათ არის მოცემული ხელოვნების ბუნების აბსოლიუტური არგაგება. შეუძლებელია საკითხის ასე დაყენება: რა უფრო უმთავრესია პოეზიაში (და ხელოვნებაში საზოგადოათ) ფორმა თუ შინაარსი. შინაარსის გარეშე არ არსებობს ფორმა, ხოლო ეს უკანასკნელი ლალიკურად ჰგულისხმობს პირველს. ამ რიგად ეს ორი მომენტი მონოლიტურ მთლიანობას წარმოადგენს. ფორმის პრიმატი ფორმალისტსა და „ზაუნნიკობას“ ნიშნავს, ხოლო შინაარსის-კი მხატვრული ნაწარმოების, როგორც მხატვრული



ნაწარმოების განიხივებს, ხელოვნებას სჭირია ერთიც და მეორეც. მანამდე ხელოვნება მთლიანობა და მონოლიტიკაა. გიოტეს ფაუსტი ჩვენთვის სანტიტურესოა არა მარტო როგორც ისეთი ნაწარმოები, რომელიც გვაძლევს პესიმისმს მიცემულ ინტელიგენტის სულსკვეთების სურათს, არამედ ის ჩვენთვის საინტიტურესოა აგრეთვე, როგორც უდიდესი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც იწვევს ჩვენში უაღრეს ესთეტიურ ემოციებს.

პოლემტიკული პოეზია მაშინ დააღწევს თავს თავის ტრადიციულ მდგომარეობას, როდესაც იმ პრიმიტიულ ფორმას, რომელშიც ის შლის თავის შემოქმედების, უკუაგდებს და ურბანისტულ სტილს შეიტანს თავის შემოქმედებაში.

ოქტომბრის რევოლიუციამ წარმოშო ახალი ადამიანი, შეიქმნა ადამიანის ახალი ტიპი და ამით გაუნოყიერა ნიადაგი ახალ ყოფას. რა ახასიათებს თანამედროვე ყოფას?—დინამიურობა. დინამიკა ნივთში, დინამიკა საგანში, დინამიკა განცდაში—ი რა ახასიათებს რევოლიუციონურ თანადროულობას. მხატვრული შემოქმედება სინამდვილის განცდაა და ამიტომაც სინამდვილის სპეციფიური მომენტები ჰპოებენ თვის გამონატულებას ხელოვნებაში. პოლიტიკურ რევოლიუციას უნდა მოჰყვეს რევოლიუცია პოეზიაშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ანაქოონისმათ და ისტორიულ დოკუმენტათ იქცევა. როგორაა პოეზიის რევოლიუცია შესაძლებელი? დღეს რევოლიუციაზე ლაპარაკობს მაიკოვსკიც და... გერასიმოვიც. ამის და მიუხედავთ მათ პოეზიას შორის დიდი ზღვარია. მაიკოვსკი რევოლიუციას განიცდის, ხოლო გერასიმოვი რევოლიუციაზე აზროვნებს პოეზიაში. მაშასადამე ხელოვნებისათვის მთავარია არა ის, თუ რას ლაპარაკობ (საგანი ლაპარაკისა, როგორც შინაარსი თავის თავათ იგულისხმება) არამედ ის თუ როგორ ლაპარაკობ. ამიტომაც სიტყვას უდიდესი როლს მნიშვნელობა აქვს: სიტყვა ყოფა-ცხოვრების სახეა. ამ უკანასკნელის განვითარებამ უნდა წარმოშოს შესაფერისი სიტყვა. სიტყვის დამუშავების მხრივ ფორმალისმს უდიდესი დამახებრება მიუძღვის. არ იქნება გადამეტება თუ ვიტყვი, რომ რევოლიუციონური პოეზიის ნამდვილი ამოცანა სწორად გაიგეს ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ ფუტურისტებმა (მაიკოვსკის ყადის ფუტურისტებმა). თუ რამდენათ სწორათ არის გადაჭრილი ეს ამოცანა მათ შემოქმედებაში—ეს სხვა საკითხია, ეს კერძო გამოკვლევის საგანია. მაგრამ ისინი რომ სწორად ჩასწვდენ ახალი პოეზიის ნამდვილს ამოცანის არსებას, ამას ნათელს ჰყოფს მათი ენერგიული მუშაობა, რომელიც მიმართულია სიტყვის დამუშავებისაკენ. მაგრამ სიტყვას შესაფერისი ახრი სჭირია, ეს კი აკლია ფუტურისტს, ამდენათ ის ცალმხრივობის შთაბეჭდილებას ახდენს. თანადროულობის დინამიურობამ უნდა ჰპოვოს თვისი გამონატულება პოეტურ ენაშიაც, ეს კი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბევრათი ელემენტები სიტყვისა ორგანიულად დაუკავშირდება სიტყვის აზრს. ეს იქნება ფორმალისმის შინაგანი ანტინომიის ძლევა და ახალი გზა ნამდვილ რევოლიუციონურ პოეზიისათვის. პოეზიის რევოლიუცია მხოლოდ ამ გზით უნდა წარმართოს.

ქველი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე.

„დღე თავს ნურავინ მოიტყუილებს, რევოლუცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. უაზროთ დაიწყო ის თუ არა, დამარცხება მიიღო მან თუ პირიქით, იძლევა იმედს, არის მსოფლიო რევოლუციის შესაძლებელი თუ უბრალო აჯანყება ბრბოსი ერთ ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში კრიზისი კვლავ გრძელდება და როგორც ყოველი ორგანიული პროცესი, როგორც ავადმყოფობა, იღებს ტიპური მიმდინარეობის მეტ თუ ნაკლებ ხარისხს და არ ითმენს შივ ჩარევას, რომელიც მას დაამსხვრევდა“.

ოსვალდ შპენგლერი.

ოქტომბრის რევოლუცია მდიდარ მასალას წარმოადგენს სოციალოგური კვლევისათვის. ოქტომბერმა დაიწყო კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმის შენების გიგანტიური პროცესი. საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა მზგავსი პროცესი თავისი სირთულით, სიფართოვეთა და სიღრმით. გადასვლა მონათმფლობელური წყობილებიდან ფეოდალურზე, ფეოდალურიდან კაპიტალისტურზე ხდებოდა შედარებით მცირე ბრძოლებით, მცირე ტენილებითა და ტკივილებით. საზოგადოებრივ ფორმათა ბრძოლა პირველად იღებს მასობრივ ხასიათს, როდესაც საზოგადოება უნდა აეგოს შრომის პრინციპზე ე. ი. მასში უნდა იყო გატარებული აბსოლიუტური უმრავლესობის ინტერესი და ნებისყოფა.

ევროპის კონტინენტზე ბურჟუაზიულ რევოლუციათა ციკლი დასრულდა 19 საუკუნეში. თებერვლის რევოლუცია თავის შინაგანი ბუნებით არ შეიძლება შებენილიყო ბურჟუაზიულ რევოლუციის ფარგლებში. მისი ამოძრავებელი ძალები გაცილებით მეტი მაქსიმალიზმის დამტევი იყო, ვიდრე მისი



ოფიციალური წარმონაღებენი. ამიტომ ოქტომბერი თებერვლისათვის მოსალოდნელია დასკვნა იყო ისტორიული აუცილებლობის ნიადაგზე აღმოცენებული.

გარდამავალი პერიოდი, რომლის შესავალია ოქტომბრის რევოლუცია, წარმოადგენს სრულიად ახალ ხანას, რომლის საზოგადოებრივ მოვლენათა კონტექსტი თავისებურ ფიზიანომიას ატარებს. ეს პერიოდი ეკონომიური საზომით არის კაპიტალისტური მეურნეობის ფორმების თანდათან ლიკვიდაცია სოციალისტური მეურნეობის ფორმების თანდათან გამტკიცების გზით. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ განვითარების ფონზეა აღმოცენებული. პოლიტიკური საზომით გარდამავალი პერიოდი წარმოადგენს ახალ პოლიტიკურ წყობილებას, სახელმწიფოს სრულიად ახალი ფორმის წარმოშობას, რომელიც თავისი კლასობრივი შინაარსით პროლეტარიატისა და გლეხობის ბატონობის იარაღია, ხოლო თავისი იურიდიული კონსტიტუციით დიქტატორულ ფორმაში მოცემული, რომლის დროს ექსპლუატატორთა კლასს წართმეული აქვს პუბლიკური, საჯარო უფლებები. სოციოლოგიური აზრით გარდამავალი პერიოდი საზოგადოებრივ ფორმათა სწრაფი ცვლის არენაა, სადაც გარდაქმნის პროცესშია მოქცეული, როგორც „საფუძველი“ მეურნეობა, ისე „ზედნაშენები“ იდეოლოგიის და უფა-ცხოვრების ყველა ფორმები.

როგორ სოციალ პირობებშია შესაძლებელი ასეთი რთული პროცესი? რა სოციალ ფერმენტებს ემყარება საზოგადოებრივ ფორმათა ტრანსფორმაცია? სად არის ოქტომბრის წყარო და მისი გაფართოების საფუძვლები?

ოქტომბრის რევოლუცია წარმოიშვა მსოფლიო მეურნეობის განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მეტროპოლიათა ფინანსიურმა კაპიტალმა ამოსწორა კოლონიათა სიმდიდრენი და ურთიერთ ინტერესთა დაპირისპირებამ წამოაყენა საკითხი მსოფლიოს ხელ-ახალი გადაყოფის მილიტარიზმისა და მარინიზმის მეთოდებით. ამ მეთოდთა რეალ გამოცენებამ, მსოფლიოს ეკონომიურ კონიუნქტურის თანამედროვე ხასიათის გამო, რევოლუციის ცეცხლი დაანთო ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც უზარმაზარი იმპერია, ნახევრათ კოლონიის მდგომარეობაში ჩაყენებული, განიცდიდა ეკონომიური მონობისა და მილიტარული სიმძიმის მთელი საშინელებას.

ოქტომბრის იდეოლოგიები და მესვეურნი კაპიტალიზმის დეგრადაციის ნიადაგზე აგებდნენ რევოლუციონური ბრძოლის მეთოდებს. რევოლუციის რვა წლის თავზე, როდესაც ჯერ კიდევ ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზია მეფობს, საკითხავია ზომ არ არის შემცდარი ოქტომბრის საერთო ნიადაგი ე. ი. ზომ არ არის ჩვენს წინაშე ჯანსაღი კაპიტალიზმი?

დღეს ევროპაში აღარ ვდგევართ ისეთ ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისების წინაშე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინეთ. საერთაშორისო კრედიტის აღორძინება კაპიტალის ექსპორტის გაძლიერების გზით, საფინანსო სისტემის გაუმჯობესება და სავალდებულო ანარქიის დაძლევა, თითქოს კაპიტალიზმის რენესანსის ნიშნებია, თითქოს ევროპის ბურჟუაზიამ თავი დააბწია რევოლუციის საფრთხეს. მაგრამ ეს არ არის სწორი. ეს მოვლენა ააშკარავებს მხოლოდ იმ დებულებას, რომ გარდასვლა ერთი სოციოლოგიური ეპოქიდან



მეორეში არ ხდება სწრაფად და ერთბაშით. ამ ეპოქათა შარსს მსაზრისებრი ბუნებრივი პერიოდი, პერიოდი გარდაქმნის, გარდასვლის, სტრატეგიის. ბურჟუაზიული მეურნეობა არ იშლება ერთბაშით სოციალისტური მეურნეობის სასარგებლოდ. ისტორიულად არც ერთი სოციოლოგიური ეპოქა არ წარმოადგენს წმინდა ფორმას, სადაც არ იყო ძველი, მემკვიდრეობით მიღებული ნაშთი, და ახალი, მომავლის ჩანასახი. ფეოდალიზმი დამძიმებული იყო მონათმფლობელური მეურნეობის ნაშთებით, რომელიც მან მიიღო წარსულის მემკვიდრეობით და თავის განვითარების მეორე ნახევრის დასასრულს ის დატვირთული იყო კაპიტალისტური მეურნეობის ჩანასახებით, როდესაც კაპიტალის პირველი დაგროვების ნიადაგზე სავაჭრო და სავაზო კაპიტალიზმმა იწყო განვითარება. პოლიტიკურადაც ფეოდალური არისტოკრატისა და სავაჭრო კაპიტალის ბურჟუაზიის ძალთა წინასწარობამ შექმნა კონსტიტუციონური მონარქიის ფორმა, სადაც ფეოდალიზმის ატრიბუტს მონარქი წარმოადგენდა, ხოლო კაპიტალიზმისას კი საკანონმდებლო ორგანო და მეფის უფლების კონსტიტუციონური შეზღუდვა. განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაშიაც ჩვენ ვხვდებით ფეოდალიზმის ნაშთებს, როგორც მეურნეობაში (წერილი ხელოსნობა, გლეხური მეურნეობა და სხ.) ისე პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც (სახელმწიფოთა მონარქიული ფორმა, ადმინისტრაციული სამართლის პოლიტიკური სახელმწიფოს ნაშთებით დატვირთვა და სხ.) ევროპაში ყველაზე უფრო ინგლისმა შეინარჩუნა ფეოდალური ნაშთები თავის სოციალ-პოლიტიკურ წყობაში (მონარქი, ლორდთა პალატა და სხ.)

მოკლეთ—არც ერთი სოციოლოგიური ეპოქა არ ემორჩილება სწრაფ ქრონოლოგიურ გარდასვლას ერთი დატიდან მეორეში. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ ევროპის კაპიტალიზმი ისევე ცოცხალია ოქტომბრის რეა წლის იაგზე; აქ არსებითია ის გარემოება, რომ ევროპის კაპიტალიზმის გამოცოცხლება არ არის მისი აღორძინება. ევროპის კაპიტალის სტაბილიზაცია ხდება ამერიკის ფინანსიური დახმარების საშუალებით, რაც ერთსა და იმავე დროს უდრის, როგორც ევროპის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებას, ისე მის დამორჩილებას და დამონებას ამერიკის კაპიტალისადმი. ევროპისათვის ეს არის კრიზისიდან გამოსასვლელი დროებითი ეკონომიურ-პოლიტიკური კომპინაცია, ამერიკისათვის კი ეს არის მთლიანი, მიზანშეწონილი სისტემა საგარეო პოლიტიკის დარგში. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ძირითადი ფაქტორი კაპიტალიზმის დევრდაციაა. როგორც ხანგრძლივი პროცესი, ძალაში რჩება.

შეიძლება კაპიტალისტური კულტურა, მთლიანთ აღებული, არ განიცდის გადაგვარებას? შეიძლება მხოლოდ მეურნეობისა და პოლიტიკის დარგში შეაჩუთა იგი მილიტარიზმის სიმამარემ?

ჩვენს წინაშეა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის უტყუარი ნიშნები, რომელნიც მოწმობენ, რომ ოქტომბრის რევოლუცია ისტორიული შემთხვევა კი არ არის, არამედ ახალი ეპოქის დამწყები, მოსული არა მარტო ბურჟუაზიული მეურნეობის, არამედ ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის შემდეგ.



ლიტერატურაში სადაც უფრო რელიეფურად გამოკრთის ბურჟუაზიული მომენტები, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში—ჩვენ ვხვდებით ბურჟუაზიული კულტურის დაკემის უტყუარ ნიშნებს, ახალ ლიტერატურაში ჩვენს წინაშეა დეკადენტურ-სიმბოლისტური ხანა ერთი მხრივ, ფუტურისტული მეორე მხრივ. პირველი ხანა უფრო დიდი შინაარსის დამტყვევა და ხანგრძლივი, ვიდრე მეორე. სიმბოლიზმია ამ ხანის უმთავრესი მიმართულება. იგი აღმოცენებულია ბურჟუაზიის საჭიროების გაუქმების ნიადაგზე.

ბურჟუაზიული კულტურის განვითარების პირველ საფეხურზე, ბურჟუაზია—რევოლიუციონური კლასია. ის ასრულებს ისტორიის განვითარების ერთი ეპოქის ნებისყოფას. იგი მეურნეობაში გამოდის, როგორც კაპიტალისტი მოსაქმე. ის ენერგიული საჭიანი, მოხერხებული და სიცოცხლის მქონეა. ის უმკლავდება რეაქციონური არისტოკრატის კონტრ შეტყვეს, სცდილობს მთელი საზოგადოების ჩაბმას რევოლიუციონურ მოძრაობაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ის ახდენს ბუნებრივ სიმდიდრეთა უტილიზაციას და ჰქმნის თავის ბატონობის მატერიალურ ბაზას. ამიტომ იგი გამოდის წარმოების პროცესში, როგორც მოსაქმე, აქტიური ხელმძღვანელი. ამიტომ იგი მთელ თავის მოხერხებას, ენერგიას, გათქვრებას და ცოდნას იხმარს ბრძოლის პროცესის სასურველად დამთავრებისათვის.

ამ პერიოდში ბურჟუაზიას არ შეიძლება ჰქონდეს პესიმისტური გრძობები, იფიქროს სიკვდილზე, იოცნებოს „ოცნებაზე“, გამოიგონოს მისტიური მირაჟები, გააღრმავოს უმოძრაობა, მელანქოლია და აპატია. ამიტომ ჩვენ ვხვდებით ხელოვნებაში რეალისტურ მიმართულებას, რომელიც მძლავრად ატარებს რევოლიუციონურ ტენდენციებს. ბურჟუაზიული ინტელიგენცია წარმომადგენელია „საკაცობრიო იდეალების“ იგი გამოხატავს ახალ ძალის სულისკვეთებას და ზოგჯერ კიდევ უსწრებს „ჯიბის“ ზრახვებს, კაპიტალისტთა ინტერესებს.

კაპიტალიზმის განვითარება ჰქმნის სულ სხვა პირობებს. ბურჟუაზიის პროგრესიული რაღი შესრულებულია. მისი სოციალური ფუნქცია ჰქრება. მეურნეობას ის აღარ ხელმძღვანელობს. კაპიტალისტი—მოსაქმეს სცვლის. კაპიტალისტი აქციონერი, კაპიტალისტი რანტიე, რომელიც ხელს არ ანძრევს, არაფერს ჰქმნის, დივიდენდით, „წმინდა მოგებით“ სცხოვრობს. ბურჟუა ერთი მხრივ მოკლილია და უზრუნველყოფილი, მეორე მხრივ ის გრძობს თავის არსებობის დასასრულს, რომელშიაც ხშირად ქვეყნის დასასრულსაც ხედავს. ამიტომ მას სურს გართობა, იგი ნერვიულობს, მისი ფსიქო-ფიზიკური ბუნება დაევალებულია. ჭლექი და ნერვისტენია, სიგიჟე და შეშლილობა, გართობა და დათრობა—აი სიკვდილით განწირული ბურჟუაზიის სულისკვეთება. ბურჟუაზიის ფსიქო-სოციალური კომპლექსი პროგრესიული იდეებით დაკულია, მას არაფერი აღარა სწამს, მისთვის წმინდათა წმინდა აღარ არსებობს. რეალისტური იდეალების ადგილს მეტაფიზიკური ბეტიალი იჭერს, ზნეობრივი შეშენების ნაცვლით ამორალიზმში და იმპორალიზმში გამოდის. ასეთ ფსიქო-სოციალურ ვითარებაში გამოდის ლიტერატურული მიმართულება, რომელიც უაილდის ენით



ამბობს — უნდა გავეცე მუშათა მოძრაობას, პოლიტიკას, მოკლად, რთონდ მოიპოვო კმაყოფილება, სიამოვნება. სიმართლეზე მეტად სილამაზე უნდა გიყვარდეს, უნდა სცხოვრობდე წუთიერი განცდებით და სხ. მიდის ნადლიერი ფორმის უალრესი განვითარებით, რომელშიაც მოთავსებულია სიგიჟე, ნერვოსტენია: თვისთმეკვლელობის, ეშმაკებთან ლაპარაკის, ავადმყოფობის აზრები. არავითარი იდეალი, მხოლოდ უცნაური და ახირებული განცდების ლამაზათ გადმოცემა. აქვეა ვერლენი — დეკადენტი, ავადმყოფიური, სიფილიტიკი, ყავახანების მუდმივი სტუმარი, მოხეტიალე, პოეტი მუსიკალური, მისტიური, კათოლიციზმით შეღერებული, გაუგებარი ლექსით განვითარებული ფორმით, დაცდილი შინაარსით. აქვეა რემბო — ბოდლერისა და ვერლენის გავლენით სიმბოლიზმში გადასული, რომლის ლექსი რბუსია ძნელად ამოსაცნობი და უმრავლეს შემთხვევაში გაუგებარი. პოეზიის უარის მყოფელიც და აფრიკაში ბედის მამიებლად გაქრილი. საერთოდ და მთლიანად სიმბოლისტური შიმართლება, გადაგვარებული ბურჟუაზიის სულისკვეთების გამოშატეველია.

მოვისმინათ ექსპრესიონისტებიც. **მარკს მარტერშტეიგი** გვეუბნება — მხოლოდ სულის შესწავლას, არა მატერიალური ობიექტის — ე. ი. რაღაც სრულიად სუბიექტური, უწოდებთ ჩვენ მხატვრული აზრით მშვენიერს, ვითვისებთ როგორც უმაღლეს ყოველ კემშარიტ ხელოვნურ ნაწარმოებში. განსაკუთრებით. თანამედროვე ექსპრესიონისტულ ხელოვნების ნაწარმოების წინაშე მრავალადამიანს გაუჭრება ერთობის გრძნობის ძალა. ექსპრესიონიზმი უარყოფს ობიექტის ყოველგვარ კონტროლს, ამ შემთხვევაში ამ თვისების წარმოდგენათა სამყაროს. ხელოვანს შეუძლია ხის გამოხატვა, რომელიც სახვე იქნება შინაგანი სიცოცხლით და რომელიც მოცემული იქნება წერტილებში ცოცხის მსგავსათ. **ფრიდრიხ მარკუს გიუნზერი** დასძენს — ექსპრესიონიზმი ბუნებას მტრულად უცქერის. იგი სცნობს მის ძლიერებას, როგორც ძალისას, მაგრამ ეჭვი ეპარება მის კემშარიტებაში. მან დაამტკიცა, რომ მეცნიერება — კი მხოლოდ კემშარიტების დამახინჯებაა, რომ ის არ იძლევა ურყევ აღმოჩენებს, არამედ მხოლოდ სუსტ ჰიპოტეზებს. ექსპრესიონიზმი — უტოპისტური მსოფლ-მხედველობაა. იგი ადამიანს იღებს კმედლობის ცენტრიად, რომ მან ამოავსოს სიცალიერე თავისი სურვილის მიხედვით, ფერებით, ხაზებით, ხმებით, მხეცებით, ღმერთით და საკუთარი „მე“-თი. მაკს კრული გვეუბნება — ექსპრესიონიზმი არის გრძნობისა და კერეტის შემკრებელი ცნება და არა პროგრამა. არსებობს კავშირი აქტივისტების და არა ექსპრესიონისტების. დღე მკვავხეთ გაისმას, რომ არ არსებობს ექსპრესიონისტული სკოლა — ჩვენ უნდა გვაჩვენოთ არა ხილული, არამედ განჭვრეტილი, არა ობიექტი არამედ სუბიექტი დაფარული ობიექტში. ხელოვნება არის მეტაფიზიკური სახეების ცხადი გამოხატვა...

კაიზიმირ ელშმიდტი გვარწმუნებს — ექტებს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ხელოვნების ხელი იქერს მას რაც მათ იქეთ იმალება. **იულიუს ბაბი** აცხადებს — ხელოვნური შემოქმედების ნება, რომელიც თავის ფორმებს იღებს მხოლოდ შემოქმედების სულიდან, ხელოვნება, რომელიც სცოც-



ხლობს იმ რწმენით, რომ ადამიანს აქვს საიდუმლო ძალები და მხოლოდ ისინი კქმნიან სამყაროს, ეს არის ექსპრესიონიზმის შინაარსი.

ახალ ლიტერატურაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ჩვენ ვხვდებით არა მარტო აბატიისა და თვითმკვლელობისა, არა მარტო ნერვასტენიისა და და გართობისა, არამედ მოძრაობის, ხმაურობის და ბრძოლის რიტმის გამოხატველ მიმართულებასაც, ეს ფუტურისზმია. იგი იმპერიალისტური ეტაპის „იდეოლოგიური ზედნაშენია“.

ბურჟუაზია იძულებული ხდება გადავიდეს შეტევაზე როგორც ზიგნით მუშათა კლასის წინააღმდეგ, ისე გარეთ დამონებულ ქვეყნების მიმართ, ან „კულტურულ ქვეყნების“ წინააღმდეგ მსოფლიოს ხელახლად გადაყოფისათვის. ამ მიზნით მთელი კაპიტალისტური ტექნიკა ამზადებს ომებს, საშინელი ხმაურობით, დინამიკით, სისწრაფით, სიგიჟითა და სიკვდილით. ფუტურისში ხდება ამ ეპოქის ლიტერატურულ მიმართულებათ, რომელიც სკდილობს ეს რიტმი დიქიროს და ასახოს. კიპლინგი ინგლისში, მარინეტი იტალიეთში თუ მათი მიმდევრები სხვა ქვეყნებში ამ ხმაურობის ფილოსოფიით გამოდიან. ეს მიმართულება, შინაარსისაგან დაცლილი, ურიგდება იტალიეთში ფაშისტებს, ხოლო რუსეთში კომუნისტებს. ერთი რგოლია ახალ ლიტერატურული პერიოდის, რომელიც კაპიტალისტური კულტურის დეკადანსის შედეგია.

ფუტურისში მართალია, როდესაც ის სკდილობს თანამედროობის რიტმის ასახვას. აქ მისი ფორმალური მეთოდები სწორია, იმპერიალიზმისა და რევოლიუციის პერიოდში არ შეიძლება ბუღბუღისა და მთეარის პოეზია, ნახშირის, ნავთის, რკინის, ფოლადის, ელექტრონისა, რადიოსა და ავიაციის ხანა სხვა ფერადებს, სხვა სახეებს, სხვა რიტმსა და ფორმას მოითხოვს, ვიდრე არსებობდა აქამდე. ფუტურისში ამ მზრივ უკიდურესობამდე მიდის და მექანიკურად სურს ახალი ლექსიკონის შექმნა. მართალია იდეოლოგიურად ჩვენში იგი განიცდის რევოლიუციის ზეგავლენას. ეს არის რევოლიუციონური ქვეყნების მთელი ცხოვრებისა და ბრძოლის ზეგავლენა ბურჟუაზიულ მიმართულებაზე.

ზემოაღნიშნულ მიმართულებებში მოცემულია ინდივიდუალიზმი, სუბიექტივიზმი, და მისტიციზმი, რაც აბასიათებს ხელოვნურ შემოქმედებას საზოგადოებრივი ორგანიული მთლიანობის დაშლის დროს. მაგრამ აქ არის კიდევ მეტი. აქ, როგორც მთელს თანამედროვე ბურჟუაზიულ სულიერ კულტურაში, არის ფორმალური მხარის განვითარების უაღრესობა შინაარსის გალატაკებისა და გაღარიბების ხარჯზე.

რატომ არის ასე? იმიტომ, რომ მიმავალი საზოგადოებრივობა, მიმავალი სოციალური ერთეული. რომელიც ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, დაცლილია შინაგანი შემოქმედებითი პოტენციით. მას იდეათა მარაგი დაღეულა აქვს, მას პროგრესიული, სოციალურათ ღირებული და მისაღები არაფერი გააჩნია. ამიტომ ხდება მისი სულიერი კულტურის გადაგვირება იდეური მზრით და შეჭრება ფორმალურ მხარეზე, მიმავალ საზოგადოებრივობას აქვს განვითარებული ფორმა გაცვეთილი და გალატაკებული შინაარსით. ამიტომ ის შინაარს სულ გვერდს უვლის, რადგან გაცვეთილი შინაარსი არავის მოიყვანს ეს-



თეტიურ ექსტაზში, და თავის განვითარებას ცდილობს ფორმის მემკვიდრეობის ხაზით. აქედან არის დღევანდელი ბურჟუაზიული კულტურის მანინიზმი, ამერიკანიზმი, უახრო ტრიუფიზმი, უკიდურესი ფორმალისმი. ეს არის ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსის პერიოდი. ბურჟუაზია, როგორც კლასი დეგრადაციულია, ასეთივეა მისი კულტურაც.

ამას ადასტურებს არა მარტო ხელოვნების სფეროში მომხდარი ტენილები, არამედ მეცნიერების განვითარებაც. ცხადია გეომეტრია არ შეიძლება იყოს ბურჟუაზიული და პროლეტარული, მაგრამ სოციალური მეცნიერებათა დარგი, სადაც თელეოლოგიურ აზრს ფართო გასაქანი ეძლევა, ყოველთვის ყოფილა კლასობრივი. თვალსაზრისის სამეფო. სანიმუშოთ აეილოთ პოლიტიკური ეკონომია. ეს მეცნიერება კაპიტალიზმის განვითარებამ წარმოშვა და ალბათ ამ უკანასკნელის მოსპობა მასთან სრულიად გააუქმებს, ან საეცებით გადაახალისებს მოხმარების თვალსაზრისით. ბურჟუაზიამ პოლიტიკურ ეკონომიის დარგში, ამ მეცნიერების დასაწყისს უდიდესი გიგანტები მოკვცა. სმიტი და რიკარდო ეკონომიურ მეცნიერების გოლიათებია. დღეს კი ბურჟუაზია ოფიციალურ საკათედრო პროფესორებს თუ გვაძლევს, თორემ სმიტებისა და რიკარდოების ამრდილებიც არ სჩანს. რატომ? იმიტომ, რომ სმიტი და რიკარდოს ეპოქა არ იყო ბურჟუაზიის, როგორც კლასის, დაცემის პერიოდი. მათი შემოქმედება არ ისახლდებოდა კლასობრივი სიკედილის შიშით, რუტინით, ინტერესით. სმიტს შეეძლო კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ხელფასის სიდიდეს წარმოედგინა, ბურჟუაზიული მოაზროვნეც ყოფილიყო და სინდისიერი მკვლევარიც. რიკარდოს არ აფრთხობდა, რომ ღირებულების საფუძვლად შრომას და იშვიათობას აღიარებდა და ამით ღირებულების შრომის თეორიას უყარდა საფუძველს, რომლის ლოკური განვითარება თავებში სცემს ბურჟუაზიას, როგორც უშრომო უმოქმედო კლასს. მაშინ ასპარეზი აზროვნებისათვის, თეორიული ძიებისათვის არ იყო მომწყვდეული კლასობრივი სიკედილის შიშში. მათ შეეძლოთ შორს გახედვა, რადგან ბურჟუაზიის სასიცოცხლო მანძილი კიდევ დიდი იყო. დღეს კი ბურჟუაზიული მოაზროვნე კლასობრივ ინტერესს შემოქმედების კანონათ სთვლიან. მათი აზროვნება სიცოცხლე დაღუულ ბურჟუაზიის ფარგლებშია მომწყვდეული. იმიტომ ეხლა განოდის უფრო უარესი სისაძაგლე, ვიდრე მატყუარა ბუცვის მალტუსის სწავლა სიღარიბეზე, ან ბასტიას ჭხეირო სოფიზმები ბურჟუაზიის დასაცავად. ეს ტიპიური მოვლენაა მეცნიერების დარგში. ბურჟუაზიული მეცნიერება დაცემის გზაზე დამდგარი. ისე როგორც ბურჟუაზიული ხელოვნება.

შენგლერის შრომა „ვეროპის დაღუბვა“ არ არის შემთხვევითი მოვლენა. ის კრიტიკულ ეპოქის ნაყოფია, მთელი ეპოქის კრიზისის იდეოლოგიური გამოსახევა ბურჟუაზიული მოაზროვნის მიერ. აქ არის ბურჟუაზიული აზროვნების უაღრესი კრიზისი მოცემული, როდესაც ყოველგვარი აბსოლუტური იკარგება და რელატიური აზრი პარტიკულიარულ ქვეწარმრთებათა აღიარებამდე მიდის.

მოკლეთ—კაპიტალისტური საზოგადოება განიცდის კრიზისს ათა მარტო



ეკონომიკისა და პოლიტიკის, არამედ მეცნიერების და ხელოვნების დარგში. ეს მთელ ეპოქის ფსიქო-მატერიალური კრიზისია. ოქტომბრის რევოლუციით იწყება ახალი სოციოლოგიური ეპოქა, რომელსაც წინ უძღვის ხანგრძლივი პროცესის საბით გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში. როგორც დაიღუბა ძველი ცივილიზაციათა საბლი—აღმართული მონადმფლობელური და ფეოდალური ცხოვრების ნიადაგზე, ისევე ჩვენს თვალ წინ იხრწნება, იშლება, კედება ევროპიული ცივილიზაცია დამყარებული კაპიტალისტური მეურნეობის საფუძველზე.

ასე გვეხატება ძველი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციის მე-8 წლის თავზე.

ლიბიტრი ყაზგების და ალექსანდრა ყაზგების გიორგაშვიის მასალები.


ნაწილი მეორე

თავი პირველი

ჩამოყალიბდა ჩვენი სანდრო! 24—25 წლ. ქაბუჯისათვის ისეთი წლოვანებაა, როდესაც ახალწვერულეაშ აშლილს დაეაეკაცებულს უმაწვილკაცს, თავისი საკუთარი ელფერი, თავისი მიმართულების კვალი უნდა ემჩნეოდეს. [ხელა ჩვენ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ არა განებიერებული, უსუსური ბაშვი, არამედ დაეაეკაცებული ნასტუდენტარი უმაწვილი კაცი, რომელიც სწავლა-განათლებაზე ოცნებობდა და როგორც თვითონ გვამცნევს სხვა და სხვა მაღალ იდეებს ეპოტიალებოდა.

როგორც ის მოწიფდა, ისე ჩვენი მოთხრობა გართულდა, გაძნელდა და იმდენადაც, რომ ამ ძღაერს ტალღებს, რომელთაც იმისი ცხოვრების მოგონება ერთს მეორეზე ისერის—არ ვიცი როგორ მოვერევი, როგორ დავსძლევ?... მაგრამ რა გაეწყობა: თავის თავის წამება თუმცა ძნელია, ხომ შესაძლებელია?... მეც ბედმა მარგუნა, უნდა ვებრძოლო ამ აზვირთებულს ტალღებს...

გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ ამ ხანიდან სანდროს ანბის გავრძელება, იმისი მწერლობის, მოღვაწეობის აღწერა, ძალიან მეჩოთირება! იქნება იმიტომ უფრო, რომ ის არის ჩემი ხორციელი ძმა და მართლის თქმა თავისიანზე, იმის ანბის საჯაროთ გამოთქმა—ძალიან ძნელი და სათუთია. მე მინდა დავსძლიო ცრუ ტრადიციის წარმოდგენას, მინდა შევხედო იმას, როგორც გარეშე პირს, დავივიწყო ყოველი გვარი მიდგომა—ნათლ.ა.ობა და აესწერო როგორც საზოგადო მოღვაწე, მწერალი, რომელიც ნათესავეებს კი არ ეკუთვნის, არამედ საზოგადოებას. მაგრამ... საზოგადოება მართლის თქმას მომიტეებს?... მართლის თქმა ხომ საზოგადოთ საბიფათოა, იტყვიან: „მართლის მოქმელს ცხენი უნდა მზათა ჰყვინდეს, თქვას, შეჯდეს და წავიდეს!“ მე?!... მე უსათუოთ წავად, მაგრამ თუ ტაროსი დაუდგა ეს განძი კი უნდა დავსტოვო. მშვენიერათა ვგრძნობ, რომ რის თქმასაც სიმართლე მავალებს, იმისი თქმა ძრიელ უხერხულია;



ზოგი რამ ისეთი დაუფერებელი მოხდა და ის **ეჭვი** ვაი თუ **მეცხრონი** მეთქი—სათაკილოთ მიმაჩნია!.. მაგრამ რა გაეწყობა?!.. ერძიხელ... დასწყობილი საქმე, ხომ უნდა გათავდეს კიდეცა. თუნდ რომ სიციცხლეთ დამიჯდეს, მაინც უნდა ვსთქვა ის, რაც **სიმართლეთ** მიმაჩნია!..

ეს სტრიქონები, რომ მოჩუბარიძის სიციცხლის დროს დამეწერა, მაშინ მე არ შევკრთებოდი: სიმართლის ღალატისთვის არავის შეეუბოვებოდი, მაგრამ ჩემდა საუბედროოთ დავაგვიანე!... საზოგადოთ შემოღებულა: მკვდარზე ან სულ არას იტყვიან, და თუ იტყვიან, ყველაფერს კარგს და მოსაწონს. მე არც ერთს და არც მეორეს ვერ ვიხამე: გაჩუმება არ შემიძლიან, რადგანაც ეს არის ჩემი მრწამსი, ჩემი რწმენა **სიმართლეთ** მონათლული ჩემთან შესისლხორკებული, რომელზედაც დიდი ხანია ვფიქრობ და ამ საქმით გატაცებულიცა ვარ!.. ყველაფერს კარგსაც ვერ ვიტყვი, რადგანაც ბევრი სიმრუდევ, სისაძაგლევ ენახე და ყველა ეს ადამიანის დამამცირებელ სიმართლის შემბლაღველ გარემოებათ მიმაჩნია. ცხადზე უცხადესია, რომ მე ამ ანგების გამოთქმით, იმ ფაქტების დასურათებით რომლებსაც მე აღენიშნავ, არავის ძალდატანებით კისერზე არ ვახვევ და მოწყალეებით ვითხოვ, ისრე დამშვიდებით, მოთმინებით მომისმინონ როგორც სამსჯავროს წინაშე, მოწაწეს მოუხსნენ ხოლმე, რომლის ჩვენებაშიც მოსამართლენი ჰკრეფენ და ისმენენ, მხოლოთ **იმას**, რაც იმათ კანონიერის მსჯავრის დასადებლად საჭიროთ მიაჩნიათ,

ნამდვილათ ვიცი, რომ ამ სიმართლის თქმით, ბევრს ვაწყენინებ. გულის წყრომას ვამოვიწვევ... მაგრამ... რა გაეწყობა? ხათროთ, სხვის სიამოვნებისათვის მიდგომით ლაპარაკი—დამამცირებელს მოქმედებათ მიმაჩნია...

... მაშ მოვიკრებ უკიდურესობამდენ მიღწევულს ძალღონეს, რომ სასწორი ხელში არ გავამრუდო... ამ მოქმედების სინამდვილეში. სხვებს დავარწმუნებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, მე მრწამს, რომ ამ სისწორეს ისეთის გულწრფელობით ვეკიდები; ეს წადილი ისეთი მძლავრი და სანეტაროა ჩემთვის, რომ არ შეიძლება სიმართლეს შუქი არ მივაყენო!..

მოჩუბარიძის ცხოვრება, სხვა მწერლების ცხოვრებას არა ჰვავს და ვინც ცნობის მოყვარეობით გატაცებულია, სინამდვილის კოდნით გამსჭვალული, — დააკვირდება მწერლის მოქმედებას. იმის ცხოვრებას, გაითვალისწინებს თუ იმ მოკლე ხნის მღვაწეობაში რასა და როგორ მოქმედებდა და როცა სისწორის ზადიებელ კოტაც არის შეახამ—შეაფერხებს ნახულს და გავიანის, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს **გამოცანას** დიანახავს და ამ გამოცანების გამოცნებას უსაკიროვს გარემოებად მიიჩნევს. იმისი ბიოგრაფია უნდა დაიწეროს დიდის სიფრთხილით, დასაბუთებით, სანდროს საცხებით, ზედ მიწვევით არავინ იცნობდა: დედაც კი რომელიც დაჰკანალებდა და აღმერთებდა, მათაყვანებელს დედის ცრეპლით თხოვნა-ღალადიც-კი ვერ ჩასწვდა სანდროს გულს (იბილეთ, გადაიკითხეთ და დააკვირდით იმათ წერილებს). მაშ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ უცხოებმა ვერა სცნეს იგი?!..

სანდროს თითქოს „უჩინ-მაჩინის“ ქუდი ეხურა!

ჩვენ შორის სცხოვრობდა, მოქმედებდა, მაგრამ ვერავინ ხედავდა **რასა**



და როგორ?.. იქნება ამ გარემოებას ის უწყობდა ხელს, ^{ეროვნული} რომ ^{საქართველოს} სამ-
შობლო სოფელი მივარდნილ მთა ალაგას მდებარეობდა და იმის მოვლენამდენ
არავის აინტერესებდა.

მისთვის, რომ იმისი მოქმედების სურათი ნათლად წარმოვიდგინოთ, სა-
ჭიროა თვალი გადავავლოთ იმის ცხოვრებას და მოქმედებას.

სანდრო, როგორც ზემოთა ვსთქვით, 1870 წ. ოქტომბრის ვასულს დაბ-
რუნდა სტეფანწმინდას (იხ. ფურძანის წერილი აქვე მოყვანილი) სადაც დახვე-
და ბებერი დედა და შერყეული ოჯახი. თითონ ავითმოყვით და ძალზე გამხმა-
რა. რაღა თქმა უნდა, რომ ძალუა კეკეს ჩაშამდა წუთი სოფელი: გაუქრა
წარმოდგენილი ტკბილი იმედები და საზარელმა აწმყომ, ცხოვრების სინამდვი-
ლემ საწყალს მოხუცს, შეუხუთა სული... ძალუა კეკეს შერყეული ოჯახი თან-
დათან ენგროდა, საქონელს უყიდდნენ, (ქმარი რომ მოუკვდა ვალი არ დარჩა) ^{და}
მამულებს უხუთადნენ, ერთი სიტყვით სანდროს მოვალეები სხვა და სხვა ნაი-
რათ ავიწროვებდნენ... გაჭირებაში იყო საწყალი!..

სანდრო რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც დაჰყო სამი წელიწადი
(წავიდა 1867 დაბრუნდა 1870 წ.)—ავითმოყვობდა და თუმცა სტეფანწმინდას
მცხოვრებათ ითვლებოდა, მაგრამ თბილისში და კავკასიში ხშირათ დაიარბო-
და თავისი შინაური საქმეების მოსაგვარებლათ. შინ სულ მუდამ ფათურობდა:
პოდრადებს იღებდა, ცხენებს და ურმებს ამუშავებდა და სხ. და სხ. ამ გვარ
საქმესა ჰკიდებდა ხელსა მაგრამ... ვერა ეწველა რა, იმის საქმეები მუდამ დაუს-
რულებელი და უნაყოფო რჩებოდნენ: ვერ გამიგრდა მუხლში, ვერ მოიკიდა
წიადაგი.

სწორედ ამ ხანებში სანდროს (1871 წ.--1879 წ.) მღვთმარეობა ისეთი
სადაგელი და დომხალივით არეული იყო, რომ არამც თუ ვარეშე პირი, უუჭ-
ველია, თითონაც წინასწარ ვერ იტყოდა, თუ ეს აუარებელი აწეწილ-დაწეწილი
საქმეები როდის და ან როგორ დამთავრდებოდა?..

ჩვენს საყვარელს სანდროს 8—9 წელიწადი სხვა და სხვა ტომის, ხნობის
და ხელობის ჩარჩ-პოდრაობიკებთან ჰქონდა საქმე დატყერილი და რაღა ჩიზინი
უნდა, ერთმანერთი ზერზივით უნდა გაეტან-გამოეტანათ...

რადგანაც ამისთანა უსიამოვნო დროს აღწერას აღარ მინდა დაუბრუნდე
ამისთვის აქვე აღწერსხავ თუ რა საქმეებში და მღვთმარეობაში იყო რუსეთიდან
დაბრუნების შემდეგ იმ დღემდე, როდესაც მწერლათ გამოგვეცხადა.

ჩვენთვის ეს დრო ფრიად საინტერესოა, რადგანაც მწერლის ფსიხალოგია
დიდი განმათ მიგვანჩია. ომიანობის დროს (1876, 1877, 1878 წ.წ.), როდესაც
ჩვენს მხარეს ე. ი. სახელმწიფო ვხატეცილზე მომატებული მოძრაობა შეიქნა
და მუშაობა და ფულის შოვნა შესაძლებელი გახდა, მაშინ, ალბათ, სანდროსაც
იმედი მიეცა თავის მღვთმარეობის გაუმჯობესებისა. როგორც საქმის კალა-
ღებიდანა სჩანს სანდროს ამისი დიდი სურვილი ჰქონდა: თავისებურათ დაფა-
თურდა, ურმები და ცხენები ბლომით გააწყო, რამდენიმე ფოდრათი აიღო,
მაგრამ თავის ჩვეულებას არ უმტყუნა: ვერც ერთი საქმე ვერ შეასრულა, მო-
გების მაგივრად პასუხისკებაში ჩაეარდა.



სანდროს ქალაქებში ბლომად არის შერჩენილები პოდრადადის პოდრადადის წერილები, სუდიების პოდრადადის, გარდაწვეტილება და სხვა, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სხვა და სხვა პირებთანაა ჰქონდა საქმე დაქვრივლი და თითქმის ყველასთან დამნაშავედ გამოვიდა: ვერ შეასრულა პირობები, სასულოთ საქმეები გაუხადეს და თუმცა ზოგიერთი მორიგებით გაათავა, მაგრამ შინაც ბევრმა ჯარიმა გარდაცხადებინა, აი რამდენი პოდრადადი ჰქონდა აღებული: (ქალაქები ინახება წ.—კ. სახ.).

1) 1876 წ.—ომიანობის მხადების დროს პოდრადადი აქვს აღებული.

2) 1876 წ.—ქეშმარიტოვისაგანა აქვს პოდრადადი აღებული, სპირტების ბოჭკები გარდმოაქვს.

3) 1877 წ. ვილაც რუსის მეშინებისაგან ბაშმაკოვის და ჩულკოვისაგან აქვს პოდრადადი აღებული (მოგონილი გვარები ნურავის ეგონება).

4) ამავე 1877 წ. ვილაც კაჩაროეთთან და კლემონთანა აქვს საქმე დაქვრივლი. შაქარს და ზეთს ეზიდებიან.

5) 1878 წ. კილიჩევისაგან აქვს პოდრადადი აღებული: სპირტის ბოჭკები უნდა გარდმოეტანა. სასულოთ გაუხდა საქმე და ბოლოს მორიგდნენ.

6) ამავე წელიწადს დედისაგან აქვს რწმუნების წერილი და იმის სახელზე ამუწავებს 65-ს ცხენს და ჭრუმებს.

7) 1879 წ. ფრიდონოვისაგანაა ჰქონდა პოდრადადი აღებული. სანდრომ ვერ შეუსრულა, ფრიდონოვმა უჩივლა და სულმა ფრიდონოვის სასარგებლოთ გადაწვევითა 3000 მან, შემდეგ მორიგდნენ.

ყველა ნაირს საქმეებში თუ ადამიანი დიდხანსა ვარჯიშობს, მოსალოდნელია, რომ დახელოვნდება; სანდროს მოქმედებაში კი შესანიშნავი ეს არის, რომ თუმცა შეუწყვეტლათ სხ. და სხ. საქმეებში იყო გართული, მაგრამ გამოცდილება იმას არ ეკარებოდა, არაფერს ვაგულენას არ ახდენდა იმაზე და ყველა იმისი დაწვებული საქმე აწეწილ დაწეწილი დაუშთაერებელი რჩებოდა.

ამ დროების შესახებ აი რა მიანბო ერთმა იმასთან ნახლებმა ბიჭმა:

„დალოცვილი დრო იყო ომიანობა! მუშა კაცისთვის სანატრელი დრო იყო: ვინც კუთვით მოიქცა, ალაღათ იმუშავა, იმან ბევრიც შეიძინა... მე კი ცარიელი დაერჩი... არ ვაყვედრებ კი განსვენებულს ბატონს ალექსანდრეს, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ცუდებრალათ დრო დამაქარვეინა, ჩემი ამაგი ეშმაკს წააღებინა... თორემ ესლა არ გამიჭირდებოდა, ორიოდვე გროში შექნებოდა და ჩემს საწყალს ოჯახს უზრუნველათ გამოვცვებავდი.“

„ხუთი საკუთარი ურემი გავიჩინე და კაცკაციდან თბილისს ბარგი ჩამაქონდა: სულ ოთხი—ხუთი დღე გზაში ვრჩებოდი, როგორცვე ბარგს ჩაეზარებდი, ფულს მაშინვე გვაძლევდნენ ისე რომ ხარჯს გარდა თითო ურემზე სამ თუმანზე მეტი ნაღდი ფული მრჩებოდა. რამდენიმე ამხანაგი ბიჭები ერთათ თავისუფლათ ემუშაობდით და დრო მზიარულათ მიდიოდა, რომ დალაღვასაც ვერა ვგრძნობდით. ამგვარად ორი გზობა რომ ჩამოვიტანე და მესამედ რომ მოვდიოდი გუდაურის სტანციასთან სანდრო ნომეწია და მიბრძანა: „შენ ურემები ამხანაგებს ჩააბარე და შენ თითონ კაცკავს დაბრუნდიო!“ რათა? მეთქი




კეთებ. „იმითაო, რომ პოდრაღები ავიღე, ორმოცი ურეი განაწილდა“ შენის-
თანა ერთგული ბიჭი შეგირება—შენ უნდა ჩემი ცხენები ^{განაწილდა} ^{მეუზარეთი} ვერა
მეთქი! ორმოცს ურემს, როგორ აუვალ მეთქი? ვერ შევსძლებ მეთქი! აღარ
პომეშვა, ძალით დამბარუნა. „შენის გულისთვის ტროიკით ვებთქეო“ ჩამისვა
და წამიყვანა. ძაუგნი (კავკავში) რომ ჩავედით ბევრი ურჩიე: ბევრს ურმებს
ნუ გავიჩენთ, ცოტა იყვეს უფრო თავს აუვალთ, სწორე სარგებელსა ვნახავთ.
იმ დალოცვილმა ჩოტკი აჩხაკუნა და ათას თუმნობით სარგებელი გამოიყვანა.
რალას გაეაწყობდი დავეცე, დამიყოლია. დაუწყეთ ურმებს ერთი პოდრაჩიკის
საქონელი და გამოვემგზავრენით. სანდრომ მიბძანა: „ბოლთას (თხუთმეტი
ფერსია კავკავიდან) აიტანეთ და იქ დაყარეთო, თქვენ კი ე. ი. ურმები და-
აბრუნეთო“. რათა მეთქი? „იმიტომაო, რომ შეოჩის პოდრაღიც ავიღეო და
პირობა მაქვს ზეალვე გავიტანოვო.“ ავიაიმე და ბარგი გზაზე როგორ დავყარო
მეთქი?! რომ დაიკარგოს რამე მეთქი? „არა უშვავს რაო!“ ბოლთას დაეყარეთ
ბარგი ღვთის ანაბარა, და დაბრუნდით! მეორე დღეს ცხო პოდრაჩიკის ბარგი
გამოვიტანეთ, სტუჟანწმინდას დავეყარეთ, კიდევ დაგვაბრუნა, მესამის პოდრაღით
დაგვეტვირთა და გუდაურის სტანციაში დაგვაყრევინა... რალა გავავრძელო
კავკავიდან თბილისამდენ ყველა სტანციაში ჩვენგან ამოტანილი ბარგი ეყარა!
სანდრომ ყველასაგან რამდენიც შეიძლებოდა მეტი ფული აიღო. იმათ ეგონათ
ერთხელ გამოტანილი ბარგი პირდაპირ თბილისს ჩაგვეტონდა და არხინათ
იყვენ. ჩვენ ველარ ვერეოღით, ბარგი იგვიანებდა, სტანციებში ფუჭუჭებოდა-
იკარგებოდა, ამითი პოდრაჩიკებს ზარალი ეძლეოდათ და სამართალს სუდებში
ეძებდნენ. ან კი ვინ გაამტყუნებდათ? ომიანობის დროს საქონელი დროზე
უნდა ჩაებარებინათ, თითონაც პასუხის ვებაში ვარდებოდნენ.

„აი ბატონო, ამ გვარად ავწინდავწიეთ ჩვენი საქმე, პირნათლად ველარ
შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და მოგების მაგიერათ, წავავეთ! ამა იმ და-
ლოცვილს ჩემთვის რომ დაეჯერებინა: ორმოცის მაგიერათ ოცი ურეი გავვენ-
ყო, ათისა და ოცი პოდრაღის მაგიერათ, ერთისა და ორისა გვეკისრნა—ის
არ გვერჩინა? პირნათლად გამოვიდოდით და არც საქმეს წავავებდით.“

ამდენი უსარგებლო პოდრაღების საქმე, სანდროს უნარს არ უკარგავს:
იმავე წელს ე. ი. 1879 წ. მაისის 30-ს თბილისის მოქალაქემ დერვიჩმა და
სამღვდელო წოდებისა არსენ ივანიჩმა კალანტაძემ გარდასწყვიტეს სანდროსთან
ერთათ ტიპოგრაფიის ვახსნა. ტიპოგრაფია უნდა გაეხსნათ ელისაბედ ყაზბეგის
და კომპანიის სახელზე (სანდროს დედის). 1879 წ. კიდევ დ. ყიფიანის
კანტორაში პირობა შეჰკრეს ასტრახნის მეშჩანინთან ილინთან ტიპოგრაფიის
გარსახსნელათ და პირობა დასდეს, რომ ამავე წელს სეკტემბერში ყველა-
ფერი მზათ უნდა ყოფილიყო.

ამავე 1879 წ. ივლისში სანდროს თავისი დედა აძლევს რწმუნების
წერილს, რუსეთში უნდა წასულიყო რალაც შინაური საქმეების მოსაწყობათ.

ეს ამდენა პირობები, პოდრაღები ერთსა და იმავე დროს აკვირვებს
ადამიანს: ეს ქაღალდები მშვენიერათ არის შენახული, ყველა იმათგანი ნატა-



როესით დამტკიცებული და ინახება წ. კ. საზოგადოებაში, ფუნქციონირებს შემოწმებას—შესაძლებელია.

ესენი ვიკმაროთ, სხვა და სხვა გაგონილს და ნანახს საქმეებს ნულარ გამოუდგებიო: ესენიც საკმარისია მისთვის, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ თუ ამ აღნიშნულ დროს სანდრო რა მდგომარეობაში იყო და უმეტეს დროს რა საქმეებს ანდომებდა.

ყველასთვის ცხადია, რომ როდესაც ადამიანი ამგვარ საქმეებს ხელსა ჰკიდებს, მაშინ ის მოვალეთა ხდება შეასრულოს კიდევაც; ამ გვარ პირობების შესრულება უსათუოთ ვასჯას, მუყაითობის მოითხოვს და ეს უკანასკნელი კი ადამიანის დროსა სქამს, ჩანსთქამს. მაშ ერთს წამს წარმოვიდგინოთ მწერალი— მოჩხუბარიძის მდგომარეობა: რამოდენა დრო დასჭირდებოდა ამოდენა სახიფათო პოდრადების ასასრულებლათ და ამოდენა სხვა და სხვა ჯურის ხალხის შესაჯერებლად?...

ღიახ... ამგვარი გაბმულ—გაჩხაფული საქმეები, სიტყვა კაბმულ მწერლობისთვის ყოვლად მოუხერხებელია...

ჩვენთვის ისიც ფრიად სინტერესოა და დიდათ საჭიროცაა ვიცოდეთ: თუ ყველა დაწყებული საქმე ასე უხერხულად, უსიამოვნოთ რათ მიჰყვანდა და როგორც შემოთაცა ესთქვით გამოცდილება რატომ ასე უფროთხოდა?... სანდრო ბედნიერი კაცო იყო (ამაზე ბოლოს უფრო დაერწმუნდებით) და ნუ თუ ამოდენა უკომარტობა უბედურ შემთხვევებს მიეწერება?! ჰე დაწმუნებული ვარ, რომ აქ სხვა და სხვა უბედური შემთხვევები არა შეაშიო: ამ ყველა აწეწილ-დაწეწილ საქმეებს სხვა რამ დუდაბოძი წინაურბოდა (მოვიგონოთ ზემო მოყვანილი ბიჭის ნაანბობი)... ზნეობის სიკაქიზე ..

ამ წესით მიჰყვინდა სანდროს თავისი საქმეები, მაგრამ თითონ როგორ ესმოდა თავისი მდგომარეობა, ამას არავის უზიარებდა. სანდროს იმისთანა დაფარული ხასიათი ჰქონდა, რომ თავის დღეში სიმართლით და გულაბდით — არავის არას ეტყოდა. ვისაც იმისი საქმის სისწოროთ გაგება სურდა, ის უნდა თითონ მიმხედარიყო: ეთვალთვალა, აქა იქა უჭრი დაეკლო... და ვისაც იმისთან არათერი საქმე არა ჰქონდა დაქერილი, ის დროს რათ დაჰკარგავდა ამგვარ გამოცანებზე?!

აი, ასე ბურუსით მოცული დაიარებოდა ჩვენ შორის ისა, ვის მოქმედებასაც ეხლა ჩვენ ვეძიებთ...

მე ვერა ებედავ სისრულით მკითხველს განუზიარო, დაუსტრათო, მაშინდელი სანდროს შინაური უნუგეშო მდგომარეობა და ამის გამო მინდა ვისარგებლო სანდროსთან მოწერილის წერილით, რომელიც იმის ქალაღებში ინახება. გიგო ყარანაგოზიშვილი მშვენიერათ ახასიათებს იმის მდგომარეობას და სისწოროთ და მკაფიოთ ელაპარაკება. ის სწერს დუშეთიდან 10-ს სექტემბრის თარიღით 1877 წ. მე მინდა ამ წერილიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ამოვგლიჯო გარემოების დამასურათებელი:

„შაო სანდრო!

„მე კაცკაეში ვიყავ და როდესაც ჩამოვიარე იქიდგან დაეპირდი დედა-



შენს, რომ უთუოთ მოგწერ წიგნსა და მე ისე ვიცი, რომ ^{დავხვდნენ} დაუპირდები—ავასრულებ ხოლმე. თუნდ გეწყინოს, მაინც მოგწერ.

«ცხვარი გაგიყიდეს ნახევარ ფასათ და შენი უძრავი მამული იწერილი არის. რატომ არ მოხედავ ძმაო, და შენს თავს არ უშველი? სწორე ვითხრა ძალიანა მწყინს მეცა და ყოველს შენს მოკეთეს და მეგობარსაც ეს ანბავი. თუ რომ შენ არ შეგიძლიან აწარმოვო და როგორც იყოს ვაათათ ეს საქმე ერთი დავერენოსტი მაინც გამომიგზავნე» და სხ. და სხ. საყვედურებით და მოაზრებით არის წერილი გაქრელებული.

ის კი ამისთანა დროს თბილისს—ქვეყნში დაიარებოდა, თუმცა ქსელივით გაბმული იყო თავის პოდრადების საქმეებში, მაგრამ გარეგნობით უზრუნველათ და უჯავრელათ გამოიყურებოდა. ამ დროს ე. ი. 1877 წ. როგორც თითონ თავისთავს, ისრე სხვებიც—მწერლათ არავინა სცნობდა.

ზემოთა ვსთქვი, რომ მოჩუბარძის ანბავი, სხვის ცხოვრების ანბავს არა გაეს მთავი: ანას ვიმეორებ ღრმა რწმენით და მგონიან უმთავრესობა დამეთანხმება კიდევ. ის მწერალი, რომელიც 1880 წ. „დროების“ რედაქციაში დიდის ქება-ქუხილით, ძრიელის კალმით უეცრათ ელუასავით გამოგვეცხადა და გულწარმეტაცის ფერადებით მოქარგული მწერლობის დროში ააფრიალა, ის მოღვაწე ღირსია განსაკუთრებულს ყურადღებისა!..

ეს ხომ კარგათ ვიცი, რომ შეგნებულის საზოგადოებისთვის ძვირფასი და საუკეთესო სამკაულია, რომ ჰყვანდეს თავის ფიქრების და მისწრაფებათა გამომთქმელი და თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ამავე საზოგადოებისათვის მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი სავსებით შეუზორცსულდეს თავის საყვარელს მწერალს, აღიაროს ის თავის საზოგადოებისა საპატიო წევრად, როდესაც იმას ღრმით და საფუძვლიანათ შეისწავლის; ესეც ხომ ცხადია, რომ როგორც მწერალს ევალება თავისი წერილის სავანი ზედმიწევნით შეისწავლოს, ისეც საზოგადოებამ თავის სასიამოვნო მოვალეობათ უნდა ჩასთვალოს ზედმიწევნით სცნობდეს თავის მისწრაფებათა გამომთქმელს!..

თუ ეს აზრი მარათლია და სხვა ხალხებიც მიხედვენ ამ ჩვეულებას, მაშ ჩვენც ნუ ჩანოვრებთ, ჩვენც ნუ აუხვევთ სიმაართლის გზას, მაშინაც კი, როდესაც წინ სიმწიარე და უსიამოვნოება გარდაგველობება. ჩვენ უნდა საძირკველიანათ, გულდადებით გამოვიკვლიოთ ჩვენის მწერლის ვინაობა: რა დროს, სადა და რას აკეთებდა? ამის ცოდნა ჩვენთვის უსაკიროესი იარაღია, მისთვის, რომ სწორე და ნათელი მსჯელობა ვიქონიოთ იმის ნაწარმოებზე და აგრეთვე ზნეობაზე, მოღვაწეობაზე.

მათთვის, რომ ეს ჩვენი სურვილი სისრულეში მოვიყვანათ, უპირველეს ყოვლისა ნათლიაობაზე უნდა ბელი ავიღოთ: მიუდგომლათ, პირუთენელათ დინჯათ ყველა გარემოება აესწონ-დაესწონათ და ისე დავადოთ ჩენი მსჯავრი. ამგვარი დაკვირვებითი მსჯელობა ძალიან ძნელია.... რადგანაც აღამიანი უნებურათაც ზოგ რასმე გარემოებას შეცდომაში შეჭკავენ.. მაგამ, სიმნელემ კი არ უნდა დაგვაფრთხოს, უნდა წაგვახალისოს კიდევც!.. სიმაართლის ცოდნის სურვილმა უნდა მიგვიზიდოს, გაგვაძინოს....



ვინც გაირჯება ნოჩხუბარძის დაწერილებითი ბიოგრაფიკულ-მედიკალურ-კვლევებზე, იმას უნდა ავადღინოთ ის შეცდომები, საქმის უტოდინარობა, რომელიც ისე ნათლათ გამოჰმელავნდა სანდროს მიცვლის შემდეგ: მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები საესე იყო სხვა და სხვა ავტორებისაგან, სხვა და სხვა გარემოებათა აღწერა მოთხრობებით, რომლებიც სანდროს შევიწროებას და იმასთან უსამართლოთ მოქცევაზე ლაღადებდნენ. მე ყოვლად სარწმუნო ვარ, რომ ისინი ყველანი აღიარებდნენ გულწრფელად იმას, რაზედაც ამ დროს დარწმუნებულიები იყვნენ მაგრამ... იმათი შეცდომა ნათლათა სჩანდა თუმცა მხოლოდ მათთვის, ვინც საქმეში ჩახედული იყვნენ... ახლა კი ცხადია, რომ ყველა მითქმამოთქმა წარმოხდვა მხოლოთ ცრუ წარმოდგენით, რადგანაც სანდროს ზედმიწევნით არავინა სცნობდა...

თ ა ვ ი მ ე ო რ ა ა

აქ ცოტა უნდა შეეჩრდეთ, უკან უნდა დავიბიოთ და დიმიტრის ცხოვრებაც ამ ათის წლის განმავლობაში გადავითვალისწინოთ.

1868 წ. შემოდგომაზე მამაჩემი უცრათ მძიმე ავითმყოფი შეიქნა და ზუთის დღის განმავლობაში მიიცვალა კიდევ. დიმიტრი იმ დროს დუშეთში იყო, დეიშით შეეატყობინეთ და ის მსწრაულად მოიჭრა. მამაჩემს სხვა ვაჟის-შვილები რუსეთში ჰყვანდა შემოფანტული და კირის უფლობა ბედმა დიმიტრის არგუნა.

დიმიტრი იყო ჩენი უფროსი ძმა და ოჯახში დატრიალება იმას გუთნოდა. მთაში უფროს უმცროსობის ძალიან მიზღვევენ და ჩვენც დავემორჩილეთ მთის ჩვეულებას: დიმიტრი ახდენდა ყველაფერს განკარგულებას, ზრუნავდა, რომ ყველაფერი გარემოების შესაფერათ მოეწყო.

მამაჩემის დაკრძალვის დროს თითქმის ყველა ის განმეორდა, რაც ბიძი ჩემის დამარხვის დროს იყო, მხოლოდ დიმიტრამ ხარჯები შეამცირა და უფრო აზროვანი ჩვეულებები შეიტანა: აუკრძალა თავ-პირში ცემა-ტყეპა, გადაპეტებული ხარჯები მოსპო. ეს პირველი მაგალითი იყო მთაში და შემდეგში დაკანონდა კიდევ ისევ დიმიტრის მეთაურობით.

მე აღარ დაგლაღავთ სხვა და სხვა გარემოებათა აღწერით და მხოლოდ აღწინავე იმას, რაც დიმიტრისა და სანდროს ხასიათებს და მიმართულებას დაგესურათებს, ამ ორი ადამიანის შედარება, იმათი ზნეობრივი და სულიერი განსხვავება - ჩენთვის საყურადღებოა.

მთაში საზოგადოთ, დიდხანს იცოდნენ მკედრის ზეზე დატოვება, აღბათ იმისთვის, რომ დიდი მომზადება სჭირდებოდათ: მრავალი მატირალი სოველელი ხალხის გასამასპინძლებლათ. 7-8 დღე ცხედრის გვერდით ტირილი და ვაი ვაგლახი კირისუფლებს საშინლათა ღალავდა. ჩვენც, რასაკვირველია, არ აგვედა ეს ტანჯვა: მხოლოთ საღამოობით, როდესაც მომსველელი ხალხის ფეხი მიწყდებოდა ხოლმე, მხოლოთ მაშინ შეგვეძლო დასვენება და შინაურს საქმეებზე ზრუნვა. მე როგორც უფროსი ქალიშვილი დიმიტრისა ვშველოდი: ოჯახში ვდიასაბლისობდი, თავდარიგს ვაძლევდი.



ფუსფუსისა და შესვლა-გასვლის დროს იმ რა სურათს წარმოადგენს. შუა ღამე გარდასული იყო, საშინელს დაღალვასა მკვრივად, მაგრამ მაინც საჭიროთ დაეინახე სამყოფო სახლისაკენ გავლა და იქაობის დათვლიერება. მთელი ჯალაბი დაქანცულები აქა-იქ მიწოლილიყვნენ და შოლოდ მარტო პურის მცობელი დედაკაცები, თავ წაკრულენი და ბოლისაგან თვალუბ დასიებულები (ჩვენში მაშინ კეცზე აცობდნენ პურსა, რომელმაც საშინელი ბოლი იცის)—შედიოდნენ და გამოდიოდნენ. ეზო გამოვიარე, ჩვენს გრძელ აივანს ანათებდნენ ზალის ფანჯრები, სადაც ცხედარი ესვენა. თბილი შემოდგომა იყო და ფანჯრები შალად ღია. ფანჯრებს მიუახლოვდი, ოთახში წვეიხედე და ის იყო გამობრუნებას რომ ვაპირებდი, მოულოდნელათ ყური მოვკარჩუმათ თავდაპირით ქვითინს. ამან ძალიან დამაინტერესა და დაუყოვნებლივ შევედი. ჩემს თვალებს წარმოუდგა შემდეგი სურათი: ცხედრის ფეხთით ნიკუნქულიყო ერთი ჩვენი ღრმათ მოხუცი გლეხის დედაკაცი, სახელათ ასთა, იაკა დედა. გვერდ მისჯდომიყო დიმიტრი, თავს ადგა ალოშკა შადური და თურნე ისინი ქვითინებდნენ.... ასთამ მწვენიერის გულმოსაკლავის სიტყვებით იკოდა მოთქმით ტირილი და აი ეს პატივცემული მოხუცი მიუწვია დიმიტრის, რომლის მოთქმასაც თათონ ქვითინით ბანს აიღევდა!... მე ჩემს დღეში მოტირალი მამაკაცი არ შენახა და ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ წვერულეაშინი ვაეკაცი—დაცსავით ცრემლით ვერ იტირებდა; მე მეგონა, რომ ვაეკაცის ბუნება მოკლებულია ამ გვარ სისუსტეს ე. ი. ცრემლის ფრქვევას. დიმიტრი, რომ მოტირალი ვნახე, მაშინ აზრი შევიცვალე. იმისი ღამაში თვალები სეტყვასავით ისროდნენ მდულარებას, გულ ამომჯდარი სლოკინითა ტირიდა.... დიმიტრის თავს ადგა ალოშკა შადური, კედელზე მიუღებულს, ჩონის სახელო პირზე მიუფარებინა, მისთვის რომ არავის გაეგონა იმისი ტირილი, პირმოკლული, სულ შეხუთული მდულარებას აფრქვევდა!... მე ამითმა ნახვამ ისე გამაეკირვა, რომ რამდენსამე წაშს გაჩერებული ვიდეგ: ხან ერთს შეეკრებდო, ხან მეორეს. გონს როცა მოვედი დიმიტრის მოვებეიე, მოვსწმინდე ცრემლები, მეც გული ამომიხდა და იმათთან ერთათ მწარეთ ქვითინი დავიწყე..

იმ ორს ჩემს სავეარელს ძმებში, რომლებსაც ეხლა მე დავსტარი იმ რამოდენა ზნეობრივი და სულიერი განსტეაგება იყო: ერთი მამის დამარბვის დროს თავპირში საჯაროთ იცემდა, კისერზე ტყავს იძრობდა და როგორც თათონ აღიარა—შოლოდ იმიტომ მოიქცა ასე, რომ ხალხისთვის თავისი მწუხარება დაენახებინა. მეორე ხალხს არ აჩვენებდა თავის ცრემლსა, თავპირში ცემის შინაურებასაც და გარეულებასაც ერთნაირად უშლიდა, მაგრამ თათონ კი ცალკე, ფარულად, როდესაც არავინა ხედავდა გულმტკინეულად ესალმებოდა თავის მამას და ცხარე ცრემლს აფრქვევდა იმის გაცხებულს გეამზე. დიმიტრამ და სანდრომ ჩემის იქ დასწრებით დამარბეს მამები და მათსადამე ეს ნაანბობი ჩემის თვალითა ვნახე და ამ ნახულმა ჩემში დიდი დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია სანდროსა და დიმიტრის წლოვანებაშიც დიდი განსტეაგება იყო, როდესაც მამები დაეხოცათ, მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ 18—19 წლის ადამიანი უფრო გულწვილია, ცხოვრების ღელვისაგან უფრო შე-

ურყეველია მინამ 30-ს წ. ვაჟაკი: მაშასადამე თვალთმაქცობა ^{ქარკინულს} ^{საყურადღებო} ვერ ვეღონებ. უფრო არ მიეტყვება, ვინამ მეორეს.

ეს ორი ბიძაშვილი როგორცვე მამები დამარხეს, თვითოველი მათგანი სოფელში მეოჯახე შეიქნა. განსხვავება იმათ ბუნება—მიმართულების გარდა კიდევ ის იყო, რომ სანდრო ერთი შემკვიდრე იყო თავისი მამისა და მაშასადამე სრული, კანონიერი, თავისუფალი ბატონი იყო თავის ოჯახისა. დიმიტრის კი თავის ცოლშვილს გარდა 7 სული და-ძმა ჰყვანდა, ოჯახი ვაკი-ლებით უფრო ღარიბი და მშშასადამე ქონებრივ უფრო შევიწროვებული იყო.

სანდრომ ხომ კარგათ გაიციანით, თუ როგორ დაიწყო მეოჯახობა: ჯერ მდღეუქნობა, მეცხეარეობა, შემდეგ მრავალი პოდრადები რომლებიც ათის წლის განმავლობაში მეზობლებს და მაყურებლებს შრავალს მისალას აძლევდა სალა-პარაკით. სუდებში იმაზე საქმეები ირჩეოდა, რომლის გამოც კავკავიდან თბი-ლისში ადიოდ-ჩამოდიოდა. სანდროს ამისთანა მოუსვენარ დროს, იმავე სო-ფელში, იმასთან ერთს და იგივე ეზოში სცხოვრებდა ერთი „მწიონი“, ერთი „განდეგილი“ კაცი, ყველასგან მივიწყებული... ამ „განდეგილს“ ჯერ კიდევ ყმაწვილ კაცს, ფიზიკურათ და სულიერათ მართალს და ძლიერს—ზურგი შა-ექცია ყველა იმ საქმეებისთვის, რისაც **საქმიანობას** უწოდებენ..... ამბანაგები-საგან დავიწყებული, თავისი და-ძმისაგან თეოდანებებული თავის საკუთარს გულის სიღრმეში ეძებდა სამყაროს და ამ სამყაროშივე შეგებას. დიდ ბუნებო-ვანი კაცი, თავის ბუნებურაზის კეთის საღაროს, ძუნწივით, გაშმაგებული დასწაფებიყო და სხვებისაგან შეუშინებლათ, ჩუმათ დაჰკენესოდა ხალბის უმეც-რებას.... ეს ადამიანი რას აკეთებდა? არავინ იცოდა და არც არავინ საქირო-ვებდა გაეგო: თუ რას უჯდა თავისგანვე გამოქვამულს, თავისგანვე შექმნილს ჯურღნულში?...

მით უფრო საკვირველია ამ გვარი ადამიანის მივიწყება, რომ ვინც კი იცნობდა ყველასა სწამდა იმისი ნიჭი, იმისი მუშაობის უნარი, იცოდნენ, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლიან, მაგრამ... ყველამ მივიწყა და **არაფერმა არ გამოიწვია სამოქმედო!** ნაცნობებმა და მეგობრებმა ზედმიწევნით იცოდნენ, რომ ეს ყველასაგან მოწყვეტილი ადამიანი ცოდნით, ჰკუვით, ზნეობით და ყველა იმით, რაც კი რომ ადამიანის დამამშვენებელ ღირსებად ჩითვლება, ყველა ამითი სრული და უნაკლულო იყო.... ეს ადამიანი თავისი შედეგით საბრალო იყო და ამას ერქვა დიმიტრი!

დიახ, საკვირველმა, მიუ დომელმა, ძალუმმა ქარიშხალმა ჩანსთქა ეს კაცი!... და არამც თუ იმის გასაგონებლად შევერჩა რამე, იმისი კვალიც კი აიგავა!...

თ ა ვ ი მ ა ს ა მ ე

მე ცოტა ხნობით მოეშორდი ჩემს ოჯახს, რუსეთში წავედი ჩემი დიდის ხნის სურვილის ასასრულებლათ: მინდოდა ცოტა რამ შეემსწავლა და გამეცნო სატახტო ქალაქი, სწავლა-ცოდნის მსურველ ყმაწვილ მოსწავლეთა ცხოვრება. შინ სანდრო და დიმიტრი დაესტოვე ზემოთ აწერილს მდგომარეობაში.

სამი-ოთხი წლის შემდეგ შემთხვევა მომეცა გზათ გამეველო ჩემს სამშობლო



სოფელზე. ვეწვიე დიმიტრის, რომელიც დიდის სიამოვნებით მღვდელმთავრად რაც შეეძლო სტუმრათ მოყვარეობა არ დაგვაკლო. რადგანაც მივეშურებოდი ჩემის თანამგზავრებით, ამისათვის ერთი დღის მეტი ვერ დავარჩი.

დიმიტრი და სანდრო, რადგანაც დიდი ხანია არ მენახა, ისეთის ინტერესით ვათვლიერებდი, თითქოს სულ უცხონი იყვნენ...

ჩემზე არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ორივემ: როგორც გარეგნობით, ისე შინაურ ცხოვრებითაც უსიამოვნო შეცვლილიყვნენ.

სანდრო თავისი დედით ქონებრივ შევიწროვებულები, შემწოთებულები, ერთმანეთს უბუზღუნებდნენ. ძალიან მკრთალათ, გაუბედავთ გამოსთქვამდნენ თავიანთ სურვილებს მომავალზე: სატახტო ქალაქში უნდა წაეიდეთ, როგორც სამსახურის კაცის კოლხა და ზენი მეფეების ნათესავს, ვეცდები, ეგება პოსობიები და ვანიშნინო. „ჩემი (ძალუა ამბობდა) ალექსანდრე უნდა წარედგინო... სასახლის ვარზე ბევრი ნაცნობი და ნათესავებიცა მყავს და ლეთის მოწყალებით და იმათი შემწევობით ეგების ჩემი საქმეები წინ წავსწიო.“ ეხლანდელმა ჩემს ოჯახის მდგომარეობამ მეტის მეტათ სული შემიხუთა, შემავეწროვა და სასოწარკვეთილებამდენ მიმიყენა — იმეორებდა საწყალი ძალუა.

მართლა რომ ძრიელ შევიწროვებული და დაუბუღრებული იყო!

სანდრო ჩვეულისამებრ დედის სიტყვებს დაკინვის კილოთი აქარწყლებდა. საშინლათ არ უყვარდა იმის რუსეთში ყოფნაზე ლაპარაკი, ნამეტნავათ დიმიტრის დასწრებით. დიმიტრი ხანდახან მახვილობდა: მოაგონებდა იმის რუსეთში ყოფნის დროს, ცოლის შერთვის სურვილს და იმის შედეგს. ეს მოგონება სანდროს ძალიან ეჩოთიერებოდა.


ერთხელ დრო შეურჩიე და სანდროს შეეცითხე:

— რამ მოგაწყრინა მაგისთანა უცნაური ტყუელი ანბავი უნი ცოლის შერთვის შესახებ? საწყალი ძალუა კიკე სიხარულით კინალამ გადაიჩია!...

— დედას თავისი პენსია ეთხოვე, უარი მითხრა! მეც მაგისთანა ხერხი უხერხე!... დედამ სადაც თავისი შორსმხედველობა დაიკეხოს, იქ მეც მომიგონოს ხოლმე!... სთქვა ღიმილით და საჩქაროთ სხვა საგანზე გადავიდა.

დიმიტრიც ძრიელ გამოცვლილი იყო: ორმოცდა ორის წლის ეაკაცს სიბერე შეჰპარებიყო, მოტეხილიყო! ძალიან იამა ჩემი ნახვა, დაფათურდა და განსაკუთრებით სიამოვნებით მიალერსებდა. მე ზემოთვე აღენიშნე, რომ დიმიტრის ჩვეულებათ არა ჰქონდა ადამიანის ხვეწნა-ტყლოვნა და იმისი ალერსი ყოველთვის დინჯათ, სხვანაირის ფარულის გრძნობით გამოითქმოდა ხოლმე. ებლა პირველად შევამჩნიე, რომ კიდევ აბალი რამ ზედმეტი დართოდა: რაღაც გამოუთქმელი მძიმე დარდი და ვარამი გულს უფიწროვებდა, რომლის გამოთქმა თავის დამამცირებელ საგნად მიიჩნდა. დიმიტრის საშინელი ეჭვიანი ხასიათი ჰქონდა და ეს იყო იმისი დიდი და მძიმე ნაკლი!... იმისი გადაჭარბებული მწვერვალამდენ მიღწეული თავმოყვარეობა ხომ დიდს ნაკლებებათ უნდა ჩაითვალოს! ამ ნაკლს დიდათ უსიამოვნო და დამღუპავი შედეგი მოყვა: ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ყველას დაშორდა, ყველასაგან მოისხლიტა.

შინაურებმა სისწორით არაიენ იცოდა დიმიტრის სულიერი მდგომარეობა.



ბა, ვერაინ უბედავდა შეხებიუო, ცნობის მოყვარეობა გამოეჩინა, ვმცნე შენაჲრს საოჯახო საქმეებში. და-ძმათ გვიყვარდა დიმიტრი და ამასთან !! გვეწმინდებდა კიდევ: ვერაინ გაუთამამდებოდა იმდენათ, რომ გულ ახდით ეკითხნა თუ რა გარემოება სჩაგრაედა რამ შეაბორკილა ასე, რომ ვე-ლარაფერი მოეხერხებინა? ... ყველანი ვხედავდით იმის ჭონებრივ შევიწროებას, იმის გარვეწულ ცხოვრების შეუფერებლობას, მაგრამ ვერაინ ვერას ვახერხებდით რამე გვეშველა და მხოლოდ ზოდნით გჯალი გვემსებოდა და ვაკვირებნას ვეძლეოდით... ჩვენ თვალწინ იდგა ჯან-ლონით საესე, ჭკვიანი, ნასწავლი კაცი, რომელიც ასე უნაყოფოთ, უტემურათა ჰკარგავდა თავის ძალ-ლონეს, მაგამ გარეშე პირი რას გააწყობდა? იმისი დარიგება და ჭკუვის სწავლა უჩრბული იყო, უფნოთ, მუნჯურათ ვერაინ მიხვდა; შეემთხვა იმისთანა გარემოება, რომ დიმიტრიც ჩაება სხვა ნაირს ფერხულში.

შინაურების მდგომარეობა უსიამოვნო და სახიფათო იყო: ჩვენ უფთხილდებოდით, რომ უნლაგო კითხვებით არ შეეხებოდა იმის გულის იარებს და ამით უნებურათ იმისი გულის წყენა და ტკენა არ გამოგვეწვია. იმას, შეიძლება, ჩვენი სიჩუმე, თავის მინებება სხვა ნაიოდ ესმოდა. ესლა ხშირათა ვფიქრობდა და მწამს, რომ ამისთანა მორიდებულის ჭკვეით და; შორდით ერთმანეთს, ველარა ვსწვდებოდით იმის გულის სიღრმეს, რომელიც ჩვენთვის უფსკრულათ შეიქნა. მე ამას ყველას მაგიურათ ვანაობ, რადგანაც ყველაფერში (ჩვენ და-ძმანი) დიმიტრის უპირატესობას ვაძლეოდით და ვეწამდა კიდევ, რომ სადაც იმისი ჭკუა არ გასჭრიდა, იქ ჩვენი ცდა უბრალო იქნებოდა.

მე კერძოთ ჩემ თავზე ვიტყვი: გული მიკედებოდა, როდესაც დიმიტრის დაფიქრებულს ვხედავდი, მაგრამ ვლუმდი, რადგანაც თითონვე, თავისი ჭკვეით ამას მიბრძანებდა ამას მავალეზდა

თუმცა დიმიტრი ჩვენ არავის გვიმხელდა რა დარდი და ვარამი უწამლაედა სიციცხლეს, მაგრამ მიხდომა შესაძლებელი გახდა, რადგანაც აქა-იქა გვესმოდა, ჩვენის ნეზობლებისაგან, რომ ტასო დიმიტრის დიდს უსიამოვნოებას აყენებდა და რაც დრო და ხანი გადიოდა, ეს უსიამოვნოება უფრო მძლავრი და აუტანელი ხდებოდა. იმათი ჩუბისა და აურხაურის მიზეზი ის იყო, რომ დიმიტრი ჯვარს არ იწერდა. ტასო კი ამას დაეინებით თხოულობდა.

ტასო სამშობლოში წასვლას და შეიღების წართმევას დღე მუდამ თურმე ექადიდა, გააფრთებული მანდილოსანი აღარაფრით თურმე ზოგავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ტასოს მოშორება დიმიტრის დიდათ არ შეაწუხებდა, მაგრამ იმისი ვარამი, იმისი შვადი შეიღი იყო, რომოების სიყვარული და სიბრალული სჩაგრაედა... ჯვარი დაიწერეო დაეინებით ებრძოდა ტასო და ეს ჯვარის წერა დიმიტრისათვის იმდენად ძნელი იყო, რომ შეიღების სიყვარულმაც კი ვერ გააბედინა ამისთანა მსხვერპლის შეწირვა...

დიმიტრი თავის გულის სიღრმეში ჩახედვის ნებას არავის აძლევდა, იმისი ფსიხოლოგია ჩვენთვის გაუგებარი დარჩა და ამისათვის უნდა ჩვენი საკუთარი მოაზრება წარმოვსთქვათ.

უნდა ვიფიქროთ: ტასომ ვერ შესძლო, ვერ დაიმსახურა დიმიტრისაგან პატივისცემა, ვერ ჩაუნერგა იმისთანა ღრმა სიყვარული, რომ იმას უარ ეყო



თავისთან ერთათ შესისხლ-ხორცებული წმინდათა წმინდათა ოცნებები; ღრმათ მორწმუნე ფანატრის ვერ მიიყვანა იმ წერტილამდე, რომ თავი დაეცა და თავის მიმართულებისთვის ელაღატნა... დიმიტრი გარყვნილი კაცი არ იყო, დედაკაცთან კავშირი იმას კანონიერ მოვლენათ მიაჩნდა და როგორც თითონ არ ერთბელ უთქვამს, **ჯვარის წერა** გარეგან ფორმათ მიაჩნდა, რომელსაც თავისი ღრმა რწმენით უარსა აყოფდა. დიმიტრი ამ შემთხვევაში მართალი იყო თუ მტყუანი, სწორე შეხედულება ჰქონდა ამ საგანზე თუ მრუდე — ამას თავი დავანებოთ, მე ნინდა ვსთქვა მხოლოდ ის, რომ დიმიტრის თავისი სატიკელი ბუნებრივად და კანონიერათ მიაჩნდა და მაშასადამე ჯვარის დაუწერლობა ცუდის ახრით და ცოლშვილისადმი ღალატით არ მოსვლია. ტასოს შეხედულება არ ეთანხმებოდა დიმიტრის რწმენას და გაუთლელი, ხებრე დედაკაცი ჩანთქა ჯვარის წერის წადილმა... დიმიტრი ცხადათა ხედავდა, რომ ტასოსა სწადდა კანონის ფრთის ქვეშ ქალბატონობა! დიმიტრის ამა სწორეთ ეს მხარე ჰირივით ეჯავრებოდა!... საკუდავს დიმიტრის თითონ თავისი ნებით კარგა ხანია ბატონობაზე ხელი აეღო: არც წინაურის და არც გარეგნულის ცხოვრებით იქაურს ვლტებში არ ერჩოდა. ბატონობაზე უარ ყოფილს ბატონს განა შეეძლო ქალბატონობაზე მადა მოსული მანდილოსანი დაეკმაყოფილებინა?! მაშასადამე რასაც ტასო თხოვდა, რისთვისაც ებრძოდა — იმას დიმიტრი ვერ მიანქებდა!.. ტასოს თავისი ბატონიშვილის ცოლობა იმიტომ ენატრებოდა, რომ ისეთივე ქალბატონი განბდარიყო, როგორცსაც თითონ ხედავდა, როგორი წარმოდგენაცა ჰქონდა **ქალბატონობაზე**, დიმიტრის კი ამგვარი ქალბატონობა ეჯავრებოდა, ეთაკლებოდა!

ამ სიტყვების გაძგონე გულბრყვილოთ იკითხავს: მაშ თუ ასეა, იმისთანა მტკიცე ხასიათის და განვითარებულ კაცს რათ გაუჭირდა მოესპო ყოველივე კავშირი იმ დედაკაცთან, რომელთანაც ვერ შეხდა? ამისთანა კითხვისაგან ფერფლიც აღარ დარჩება, როდესაც მოვიკანებთ, რომ დიმიტრის ტასოსთან შეიღი შეიღი ჰყენდა და საბრალო მამას იმათი სიყვარული და სიბრალული სატანჯველათ გარდაჰქცეოდა...

ამისთანა მდგომარეობაში ჩაქედილი კაცი რბილი ხასიათისა, რომ ყოფილყო ასე მოიქცეოდა: შევიდოდა სამსახურში, აიღებდა კარგს ჯამაგირს, ტასოს ტიკინასავით მორთავდა-მოჰპრანკავდა, და ამით **ქალბატონობის** წყურვილს მოუტლავდა. დიმიტრის რომ ასე მოეწყო თავისი ცხოვრება, მაშინ ტასო და ბევრნი სხვანიც სცნობდნენ **რიგიან კაცათ**, ისეთ კაცად, როგორებიც ყოველ ნაბიჯზე შეგვეფეთებთან ხოლმე. რა გაეწყო, დიმიტრი სრულებით არა გვანდა ამისთანა **რიგიან** კაცებს: იმათზე უფოო ბევრით მაღლა იდგა, ცოლქრმობის კავშირზე და იდეების სიმტკიცეზე თავისებური რწმენა ჰქონდა.

ადამიანის ბუნების ღრმად მცოდნემ უნდა დაასურათოს იმისი ფსიხოლოგია, იმისი ცხოვრების და მოვლენის ბნელი მხარე გაგვიანათლოს, რომ ვაიცი-ნოთ მისი გაუგებარი ხასიათი. ეს საგანი ჩემთვის მეტად რთულია. მე მხოლოდ გულწაწვეტილი გაკვირვებით შევნიშნავ და დიდათ საინტერესოდ მიმაჩნია თუ: დიმიტრისთანა მტკიცე ხასიათის მქონე, მცოდნე და განვითარებული კაცი,



ნეტა რა მიზეზით შეიქნა დღიურ ეპოგრებაში სუსტი და უნაყოფო, როდესაც შეეძლო მშვენიერ ყვავილათ გადაშლილიყო.

„ჰე, სოფელი რა ზიანს ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირს?“

დიმიტრი უდროვით დაბერდა, მაღალი შუბლი ღრმით დაესერა, გულჩათხრობილი ნაღვლიანთ დაიარებოდა.

დიმიტრის კარგათ იცოდა, რომ შინაურები იმის მდგომარეობით უკმაყოფილონი ვიყავით და იმისი ექვები თანდათან უფრო და უფრო იღვიძებდნენ. ასე რომ ძალიან სიფრთხილით გვეჭირებოდა ლაპარაკი, რადგანაც წყნის მეტი არა გამოდიოდა. რამდენჯერმე დაუბირო დამეწყო ლაპარაკი იმის საკუთარს საქმეზე, მაგრამ ვერ ვაუბედე. თითონაც სდუმდა... მოგაკედეს ჩემი თავი დიმიტრი! რატომ მუხლებზე არ მოგებე, რატომ ცრემლით თებები არ დაგვანე, რატომ ცრემლითა და ღალადით არ გავარღვიე მაგ შენი მღუმარება და არ მოვიპოვე შენი ნდობა, რომ ორიოდ სიტყვით შეგეტყობინებინა შენი სულიერი მდგომარეობა? ნუ თუ შენი თავმოყვარეობა შეიბღალე-ბოდა რომ ჩემთვის გემცნო ორიოდ სიტყვით შენი გულნადები? ვაიმე, და ვაგლახე!.. რატომ შენმა ბუმბერაზმა კეჟამ არ გიწინასწარმეტყველა...

სტეფან წმინდიდან ჩენი წასვლის გამოც დადგა, ჩენი ეტლი მზათ კარებზე იდგა, მოსამსახურეები ფაციფუციტ ბარგს ალაგებდნენ. ჩენის ოჯახის უერთგულეს, დიმიტრის ყმაწვილობიდანვე მეგობარს ალოშკა შადურს ბატონის მწვადები შინიხით შამფურებით შემოჰჭონდა და ჩენ კალისავით თავს ვესხმოდით, შავეკეცვოდით. მე და ჩემი თანამოგზაურები საუზნის შემდეგ გამოვეთხოვეთ ძალუა-კეცეს და ყველა შინაურებს და ჩავსხედით ეტლში წასასვლელათ. დიმიტრის და სანდროს მოინდომეს ჩხერის წყალამდე გამოცილება (ერთი ვერსი იქნება ჩენიდან) აქეთ იქით საფეხურებზე შემოდგნენ, ცხენები ნელა მიდიოდნენ და ჩენ ერთმანეთს ტკბილი ლაპარაკით ვეთხოვებოდით, როდესაც ჩხერის პირს ეტლი შეაჩერეს, ყმაწვილები გადმოხტნენ, მაშინ ხელახლა ხვეენა-კოცნა, გამოსალმება შეიქნა: გამოვესალმე კოცნით და აღერსით სანდროს, მივიკარ გულთან დაღონებული დიმიტრი... გარდაუკონე თავ-პირი, დიდი ბრწინვალე შუბლი, ისიც გაშმაგებული მკოცნიდა. საკვირველობა მოხდა! კოცნის და აღერსის დროს ორივე მხრიდან ნაკადულმა გადმოხეთქა!.. ორივეს პირისახე დაგვისვლდა ცრემლი შერთდა, აირია... თუმცა დიმიტრი ბაგეს არა სძრავდა, მაგრამ გულმა უმტყუნა... „ნეტავი შენ ერთი ორი კვირა აქ დარჩენილიყავი!“ — ამოხეთქა შეგუბებულმა ფიქრთა დენამ!.. მე შევეკრთი ამ გაგებით, პირდაპირ, ახლო შევხედე იმის ღრმად გამოთქმულს თვალებს, რომლებიც ისე ჩასცივინოდა, თითქოს ძირები ლურჯი ღილით ჰჭონდა გამოსურმული თვალეში მორღვეოდა... ამ ხვეენა აღერსის დროს მე საყვედურით მივმართე: მერე აქამდინ რატო არ მითხარ? ორი სამი საათის წინაც რომ ვეთებვა, ხომ დაფრჩებოდი!.. ეს სიტყვები გულწრფელად წარმოვსთქვი. გულმა მიგრძნო რაღაც უბედურება: დიმიტრის სიტყვებმა და ქცევამ გული ჩამწყვიტეს, შემებრა-ლა, თითქო უფრო მეტად შემიყვარდა... მართლაც, იმას წასვლის წინათ ერთი ორი სიტყვა რომ ვთქვა ე. ი. გამოთქვა ესევე სლოგილი წინათ, მაშინ უბე-



ლია დაერჩებოდი! იმან არა მითხრა-რა, მე ვერ მივხვდი ემის...
 ლა ვნანობ, მაგრამ რაღას მოვეწვევი.

მე რომ მაშინ იქ დაერჩინილიყავ, ვგრძნობ, რომ საქმე სხვანაირათ დატ-
 რიალდებოდა... ეს მძიმე მოგონება სამუდამოთ დამრჩა სანანულიად...

ორივე ხელი მაგრა კისერზე მოვხვიე, აღერსით მიუხალოვდი და საყვე-
 დურის კილოთი უთხარი:—გენაცვალე დიმიტრი, რას აკეთებ აქ მუდამ მარტო?
 (იმ დროს ტასო თავის შვილებით სამშობლოში წასულიყო) რადგანაც ამ წამს
 მე აქ ვეღარ დაერჩები, გაძლევ პატროსან სიტყვას, რომ ჩქარა დაებრუნდები,
 მოვალ შენთან და რამდენ ზანსაც გესიამოვნები, იმდენ ზანს შენთან დავრჩები,
 შენთან ვიცხოვრებ...

ენა გაგვეხსნა! გულმა შეება იგრძნო, რადგანაც შეგუბებულმა გრძნობამ
 შემთხვევა იპოვნა გამოათქმისა. ასე განოყვითხოვეთ ერთმანეთს, ამ პირობაზე
 დავედგეთ.

ვაიმე და ვაგლახმე ძმაო, რომ ჩემს თვალებს ვეღარ ეღარა შენი ნახვა..
 ვაიმე და ათასჯერ ვაიმე, რომ ეს ნახვა-გამოსალმება თურმე უკანასკნელი იყო..
 გული რომ რაღაც უცნაურათ შემომცვენესოდა, რატომ არ მივხვევ იმის წინას-
 წარმეტყველობას, რატომ არ გადმოვიქერ ეტლიდან და სირბილით რატომ არ
 მოგყევ ჩვენის საწყალის მაისის სახლამდენ?.. რატომ ეს უკანასკნელი დღეები
 შენთან არ დავყევ, რატომ შენ არ გემსახურე, რატომ კირი არ მოგქამე... რა-
 ტომ და რატომ?!! ცრემლი თვალთ მიბნელებს, გული ნიწუხს, როცა ამ შავსა
 და ბნელს დროს ვიკონებ... და ეს მოგონება ხომ ჩემის სიცოცხლის უმწარეს
 წამებათ მიმაჩნია...

მე ამ სიტყვებს ოცდა ხუთის წლის შემდეგ ვსწერ... ეხლაც შენი სახე
 ცოცხლათ მეხატება, სწორეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეს უკანასკნელი
 სიტყვები წარმოსთქვი... ამ გრძელმა ხანმა ვერ შეამსუბუქა ჩემი ცრემლი და
 ვაება... ოცდა ხუთის წლის განმავლობაში დედა საყვარელს შეიღს დაივიწყებს
 ცოლს საყვარელი ქმარი დაავიწყდება, მაგრამ მე შენ დას, უფრო და უფრო
 მიმწვავდება, ამისთანა დანაკლისით, უდროვოთ სიკვდილი! მე მგონია, რომ ამის-
 თანა განსაკუთრებული, მიზეზი ამისთანა მწეავის გრძნობისა, უნდა ავხსნა
 იმით, რომ შენ მგონიხარ დაჩაგრული: შენზედ ძალადობა იხმარეს, შენი უფ-
 ლება შელახეს... მე, შენი ერთგული და თუმცა ბურუსით მოცული, მაგრამ
 მაინც ახლოს ვიდევ და ვერაფრით დაგეხმარე... ეს არის ჩემი ვაება და დაუ-
 შრეტელი წყარო ჩემის ტანჯვისა...

მე არ მავიწყდება დიმიტრის უდროვოთ დაბერება, იმისი აეთამყარვისე-
 ბური სანახაობა. იმისი სიტყვები ღრმად გულში ჩამეჭრა: „ნეტაეი შენ აქ
 დარჩენილიყავ!“ მოუთმენლად ველოდი იმ დროს, როდესაც დიმიტრის სურ-
 ვილს დაეაკმაყოფილებდი, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ისე მოეწყო, რომ სისრუ-
 ლეში ვერ მომხვანდა, დრო გრძელდებოდა, იზრდებოდა.

ჩემი ძმა გიორგი გროზნაში პოლკსა ჰკამანდრობდა და მე იმის სახლო-
 ბასთან ერთათ გროზნაში მოვემწყვედე, თითონ გიორგი კი სამსახურის გამო
 გუმბრში მოემწყვედა. ეს იყო 1879-ს წელს დეკემბერიში.

ერქენულნი

1880 წელს 7-ს თებერვალს დილის 11 საათზე სანდროს დეპუტატი მივიდა: დიმიტრი „შეწუებული ავითმყოფია, შოდი და ექიმიც მოიყვანეო“, თავზარი დამეცა!.. „დიმიტრი ავით არის, შოდი და ექიმიც მოიყვანეო... ადვილი სათქმელია, მაგრამ რა საშინელი წარმოსადგენია, რომ ეს ჩემთვის შეუძლებელი იყო! უცხო ქვეყანაში, სადაც მარტო დედაკაცები და ბალები რამდენიმე სახარჯო შანეთით ვისხედით, ვერ მომეფიქრებინა; ვისგან გამემართა ხელი, რომელი წყაროდან მეშოვნა საგზაო ფული?.. დავლონდი... 105 ვერსი გროზნიდან კავკაემდენ უნდა გამეყოფო ფოსტის ცხენებით, ქისტებისა და ჩაჩნების შუაგულ ალაგს და კავკაიდან ყაზბეგამდე კიდევ 45 ვერსი. გროზნიდან არც დილიჯანი არც რკინის გზა არ მიდიოდა, მაშასადამე საკუთარი ეტლით უნდა წაესულიყავ. დალონებულმა აღარ ვიცოდა რა და როგორ მომეხერხებინა, როგორ მომეწყო ჩემი გზაჯრობა, ვგრძნობდი რომ დიმიტრი ძალიან ავით უნდა ყოფილიყო რომ დეპეშამდე საქმე მივიდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდი მტკიცედ გადაწყვიტეო, რომ ყოველი ღონისძიება მემზარა ფულის შოვნისათვის და ხელე წასვლისათვის. ჯერ საქმე ვერ მომეწყო წასასვლელად, როდესაც იმივე დღეს სანდროსაგან მეორე დეპეშა მივიღე: „დიმიტრი გარდაიცვალა და რა განკარგულებას მოახდენთო?“

თქვენ მტერსაც ვაუჯონია იმისთანა სამწუხარო ხმა! აქ საჭირო აღარის ესთქვა და განვიმეორო ის, რაც თავისთავით ცხადია: რა საჭიროა იმისი ნოთხობა თუ, რა სიტყვებით დაფიქრებით დავსტიროდი დიმიტრის უდროვოდ დაკარგვას?!...

მეორე დეპეშამ სრულებით შესცვალა ჩემი აზრები: დიმიტრი მინამ ცოცხალი მეგულებოდა, ჩემი მისწრაფება იყო შენახა, და ამ მიზნისთვის თავში ქვასაც ვიხლიდი, შვემზადებოდი, ქვევითიც გავიქრებოდი, მაგრამ ეხლა, როდესაც ჩემი მისვლა და მიუსვლელობა იმისთვის სულ ერთი იყო, მაშ რაღა აზრი ჰქონდა ჩემს სისწრაფით გაჭრას, ჩემს სულის კვეთებას?.. მართალია დიმიტრი გვერდით არ ვახლდით ძვირფასს მცხედარს, მაგრამ სანდრო? ისიც ხომ ძმა არის დაეიშვებოდა ამით გული, რომ სანდრო და მისი დედა პატრონობას გაუწევენ იმის საბრალო გვამს და წესიერათ შეამზადებენ დასაკრძალავათ. მე როგორც მოვახერხებ ისე წივალ მეთქი, ვფიქრობდი. ანკი რას ძალიან მივეშურებოდი? განა დიმიტრი კიდევ ცოცხალი მეგულებოდა? განა ჩემის ჩქარა მისვლით რაიმე შევებას მივსცემდი?... სანდრო უნდა იყვეს ჭირისუფალი, იმის ხედვრათ არგუნა ღმერთმა დიმიტრის ჭირისუფლობა!...

სანდროს დეპეშა მივსწერე: ჩემს მოსვლას ნუ მოუცდით, შეამზადეთ დასაკრძალავათ-მეთქი. ტირილით დაღალული, მიღუშვილი მივეშვი მდივანზე დასასვენებლათ; ცოტა რომ დავაკვირდი საქმის გარემოებას, გველნაკბენივით წამოვიქერ და მეორე დეპეშა დავკარ ისევ სანდროს სახელზე. აღოშვა შადურისთვის გარდასაცემათ (მოურავათ იყო). „დიმიტრის ქალაღები ხელუხლებლათ აღბეჭდეთ“.

ორის დღის შემდეგ მოვახერხე სტეფანწმინდას წასვლა. რადგანაც მთაში



შემოღებული იყო მცხედრის დიხბანს შენახვა, მეგონა დაკრწქაზე დაკრწქაზე წყნარობა-
დი. ის გზა, რომელიც ორის თვის წინათ მხიარულმა გაეიარე, ეხლა უკანვე
მივეშურებოდი თვალკრემლიანი; დიმიტრის ნახვის იმედი აღარა მქონდა, თურ-
მე საუკუნოთ გამოესალმებოდა და ჩემი თვალები ვეღარა ნახვან ენაწყლიანს,
ზნეობით ფაქიზს ქმნილებას... მე ეხლა მივეშურებოდი იმის ცხედრის წინ მუხ-
ლის მოსადრეკლათ, იმ მიწაზე დასახნობლათ, რომელმაც ის უნდა ჩინსაქის...
მწა-ე იყო ჩემთვის ეს წუთები!...

რამდენათაც უფრო უახლოვდებოდი სტეფანწმინდას, იმდენათ უფრო გუ-
ლი მიდღვდა. დარიელის ხასტაეასთან ეტლი რომ გაანერეს, ჩვენებური მეურ-
მეები შეენიშნე, იმათაც მიცნეს. მოვიდნენ ჩემთან სამძიმრის სათქმელად. სამ-
ძიმარის შემდეგ იმათგანვე შევიტყე, რომ „დღეს დიმიტრი დაეასაფლავეთო“.
სხვათა შორის იმათვე მითხრეს, რომ „თუმცა ტასამ ექვსი თვე მეტია თავი
დაანება მიტკასა, მაგრამ ეხლა, როგორც სიკვდილი გაიგო შავები ჩაიკვა და
დიმიტრის სახლში იმის ჭერივით დაედაო!“ შეესწუხდი, ვითაიღე, გარ-
დავსწყვიტე სანდროს სახლში ჩამოხტომა, მისთვის, რომ ჩემი გულისწყრომა
უხერხულად არ გამოშეთქვა, მიზეზიც დიდი მქონდა წყრომისა: იანვარში სტე-
ფან-წმინდის ყინვები რუსეთის ყინვებს არ ჩამოურჩებიან და ფილტვების ანთე-
ბით ავადმყოფი დიმიტრი ციეს ოთახში, უპატრონოთ იყო მიტოვებული და
აბა რა სასწაულს უნდა მოერჩინა. დიმიტრის ავადმყოფობის დროს არავისი
შეწუხება არ უყვარდა და ეხლა ამისთანა გაკირვების დროს წყლის მიმწოდე-
ბელიც თურმე არა ჰქვანდა... ვაიშე და ვაგლახმე, რა ლატაკით დალია სული!

მეტის მეტათ აღშფოთებული ვიყავი ჩენი სოფელელების ნაანბობით... ის
მანდილოსანთ, რომლის კაეშირსაც მრავალი მსხვერპლი ნიართავა, რომელთანაც
შეიდი შეილი შეიძინა; რომელსაც არა ლალატობდა, და თავის შემღების და
გვარად არას აკლებდა, ის ადამიანი გვერდით არ ახლდა გაკირვების დროს,
დასტოვა ავადმყოფი, დაუძღვრებულ და ეს მოახდინა მხოლოთ იმისთვის,
რომ დიმიტრი ჯვარს არ იწერდა....

მე ყველა ეს ფიქრები საშინლათ მალეღებდნენ და იმ უჯულო დედაკა-
ცის ნახვა, რომელიც ჩემს მას ასე უსამართლოთ მოექცა, ვგრძნობდი, რომ არ
შემეძლო! მე ვგრძნობდი რომ იმისი დანახვაც კი ჩემში ჯოჯოხეთს გამოიწვევ-
და, დამაკარგვინებდა მოთზინებას და ამასთანავე დედათა-ზდილობას. ამისთანა
უსიამოვნოების ასაცდენათ სანდროს ვესტუმრე.

პირველი დღეები ტირილსა და ვაებაში გაეატარე; სოფელელები მოდიოდ-
ნენ სამძიმარის სათქმელათ და მთელი დრო იმათ მიღების-გაცილებას უნდებ-
ოდი. ჩემი მდგომარეობა მეტის მეტი მძიმე და სულის შემეხუთავი იყო: ძალუა
ქვემ თავის ოთახში შემიწვია და ამით არც დღე და არც ღამე ერთი წუთი
თავისუფალი დრო არ მომცა. ზამთარი იყო, ეზოები ფანჯრებამდინ თოვლით
იყო ამოქოლილი, შეშის დაზოგვის გამო თავის საწოლის გარდა სხვა ოთახებს
არ ათბობდა და ამის გამო 24 საათი მუდამ ერთს ოთახში ვიყავი გამომწ-
ყდებული. სანდრო თუმცა შინ იყო, მაგრამ თავს მარიდებდა, სრულებით ვერა
ვხედავდი, პირველ ხანებში სანდროს ამ გვარ ქცევას არაფერი მნიშვნელობა



არ მივეცი, რადგანაც მეგონა მგლოვიარე დედაკაცების წყურქულად მი-
თქი. შემდეგში, როდესაც მამაგონდა და შეეადარე ჩემი მამა-ბიძის სიკვდი-
ლის დროს თუ როგორ მზრუნველობას გვიწყებდა მე და ჩემს დას და როდესაც
კარგათ დავაკვირდი საქმეს, მაშინ კი შევსწუხდი და მწყინდა იმისი გულ-
გრილობა: ეხლა იმდროსთან შედარებით ბევრით უარეს მდგომარეობაში ვიყავ
ჩავარდნილი მარტობაში იმის მეტი პატრონათ არავინ შეგულებოდა და ამი-
სთანა შეწუხების დროს იმისაგან მიტოვება ძალიანა მჩაგრავდა. მივირბა,
რომ ერთხელაც არ მიიწვია თავის ოთახში, რომელიც ზემოთ სართულში იყო
და მაშასადამე ხმარობაზე გამოჩენილი. უსიამოვნოებისაგან გაბრუნებულს აღა-
რა მქონდა მოახრების სახსარი, ყუბები მიგრიალებდა, გული მიწუხდა....

ჩემს საყვარელს და ერთგულს ალოშკა შეადურსაც ვერა ვხედავდი: იმდენი
თავისუფლება არა მქონდა, რომ იმასთან ჩვენ საკუთარ საქმეებზე მონებაპა-
რაკნა; ძალუას და იმის მრავალ მხლებლების თანადასწრებით კი არ მებალი-
სებოდა იმასთან გულ ახლილი ლაპარაკი, რაღა გავაგრძელო საზოგადოთ გარს
იმისთანა პირობები მკვია, იმისთანა მდგომარეობაში ვიყავ შეკოკილი, შება-
წრული, რომ არც ბავის დაძვრა შამეძლო თავისუფლათ, უმოწმოთ და არც
ხელის განძრევა. გულით და სულით ველტოდი ალოშკას საზოგადოებას. ორ-
ჯულ-სამჯურ დაეპირე იმასთან ცალკე დარჩომა, მაგრამ დრო არ მომცეს,
ასასებებით თავს დამადგენ....

ერთი კვირა ამგვარად გავატარე სტეფანწმინდას და სულ თავისუფალ
დროს ამაოდ ვეძებდი.

ეროს საღამოს ძალუას გამოველაპარაკე და რამდენიმე კითხვა მივეც დი-
მიტრის შესახებ. იმან მცამბო თუ რა სახით „განდევილათა“ სტეფრობდა არა-
ვის ეკარებოდა. ცოტა არ იყოს ზოდინის კილო ისმოდა ამ ლაპარაკში: რომ
დიმიტრის ავითყოფომა დროზე არ შემატყობინეს.

— ქალო, არ გვეკარებოდა, ავითყოფომაც არ შეგვატყობინა. ჩვენთან
იწვიათათ დადიოდა: სულ გლებებთინ იყო და ჩვენ ვერაფრით მოვიკარეთ....

რადგანაც დეპეშა მქონდა მოწერილი, რომ დიმიტრის ქაღალდები ხელ-
უხლებლათ შენახათ, აღებეჭდათ, ამის გამო ფიქრათ არ მომდიოდა შევკით-
ხოდი ალოშკას, რადგანაც ვიცოდი იმის ხასიათი, რომ უთუოთ აასრულებდა
ჩემს თხოვნას, დიმიტრის ოთახში კედლის განჯინა იყო და ქაღალდები ყო-
ველთვის იქ ელაგა ზოლზე. იმათი აღებეჭდვა და შენახვა ძალიან ადვილი იყო.
ვისაც არ გამოუცდია თავის ოჯახში უბედურება, თავისი ღვიძლის—მამლობე-
ლის სიკვდილი, იმას ღმერთმა ნუ გამოაკდევინოს და ვისაც გამოუცდია იმან
კარგათ რცის, თუ პირველ ხანებში ნამკედრევის კუთხეების დაელა, ბოხჩების
წეწვა, ბარათების ძებნა-ჩხრეკა თუ რა ძნელია... მეც ამ სიძინელესა ვგრძნობდი
და ზანტად ვეკიდებოდი ოჯახის შევლას, ჩემის უფლების დაკვას ე. ი. დი-
მიტრის ღარიბი ქობის ცნობაში მოყვანას. რადგანაც იმის და-ძმათა შორის
პირველი მე მივედი, მაშასადამე ეს მოვალეობაც მე შემეძდა წილად.

შემდეგ რამდენიმე დღისა, როდესაც ალოშკას თავისუფლათ ნახვა ძლიერ
მოვანებრზე, შევეკითხე: დიმიტრის თუ ქაღალდები მქონდა რამე, ხომ აღებეჭდი-



ერეკლე

ლია? იმან მიპასუხა: დიახ! დალაგებულა. იმისმა პასუხმა დანაშაული და-
მაკმაყოფილა.

ალოშკა წადური, როგორც ჩენი (და არა სანდროს) მოჭრაეი, ყოველ
დღე ჩამოდოდა ჩემთან: მიტრიალ-მოტრიალდებოდა: ხომ არას მიბრძანებთო?
და წავიდოდა, ჩემი დაბრუნების წინა დღესაც ჩვეულებისამებრ ჩამოვიდა, მე
ველარ მოვითმინე: ვაეიხმე ცალკე ოთახში და უთხარ:

დიმიტრის ქალაღებს წახვლის წინათ თვალი მინდა გადაეფლო, მაგ-
რამ ტასოს ნახეა და შეხვედრა ნეძნელება,.. მამიხერხე როგორმე, რომ იმას
არ შევხდე და ქალაღები გადავითვალეირო...

— და, ტასოსთან რაი გინდა? დიმიტრის რაც ქალაღები დარჩა ხუღ
ხანდროსთან არის შენახული.

... მე შევეკრთი, არ მიამა. ალოშკამ შემატყო.

— როგორ თუ სანდროსთან?... რატომ როგორც მე მოგწერე ისე არ
მოიქციე? მე როგორც ვაეიგე დემტრის მიცვლა იმ დღესვე დებეშა მოგწერე:
დიმიტრის რაც ქალაღები დარჩა აღებუდე შეთქი! შენ კი მეუბნები. სანდროს-
თან არის შენახულიო,...

— ჩემთვის შენი დებეშა არავის გადმოუცია!... იმართლებდა თავს
ალოშკა. ჩემთვის აღებუდევა არავის უთქვამს!... როგორცვე დიმიტრი მიი-
ცვალა, იმ წამსვე სანდრომ ბძანა: ხაოხი დეას დაიწყებსო, ტასოც მოვარ და
ქალაღები დაიფანტებო, სჯობს ჩემს ოთახში ჩაეიტანოეო. მე და სანდრომ
ერთათ გადმოვალაგეთ განჯინიდან და ყუთში ჩავალაგეთ. სანდრომ თავის
ოთახში ავვატანინა, არა უშავდა რა, რათა სწუხარ, არაფერი დაიკარ-
გება: დაკეტილს ყუთში ალაგია და ვასალეუბი სანდროსა აქეს.—მამშვიდებდა
ალოშკა.

... მე გველ ნაკებნივით ვშფოთაუდი...

— ღმერთო ჩემო; და განა არ იცი სანდროს ბინძური ზნეობა, იმისი იუდა-
სებური ხასიათი?!.. ვეჩუბებოდი ალოშკას და ვიგომენ ინსტიქტიურათ ჩემი
დანაშაული, რომ მოსვლის უშალ ამ საქმეს არ მოვკიდე ხელი... სისუსტე
გამოვიჩინე.

— რა ქალაღები იყო... ეზლა ვილა ვაარჩევს?... როგორ უნდა ვაეიგოთ
შენ ხომ კითხვა არ იცი და აბა როგორ მიხედები რა იყო და რა არაა? არ
უნდა დაეკრათ ბინიდან, არა! რატომ მამსახალისი არ მოიყვანე, ბეკედი არ
დაასმევიენე?...

ალოშკას გაუკვირდა ჩემი უნდობლობა, შეწუბება შევატყე, ალოშკა თი-
თონაც ეკვიანი იყო და მასთან მტკიცე და პატიოსანი ხასიათისა.

— დიდება შენთვის ღმერთო, როგორ არ ვიცი რა იყო?!.. თითქო ვერ
მიხვდა სანდროს მოქმედების მნიშვნელობას და თავის გულის წყრომა ჩემკენ
მოპართა: ჩემის ხელით რომ ყუთში ჩავალაგე, მაშ არ ვიცი რა და რამდენი
იყო? ხუღ დიმიტრის ნაწერები იყო და თქვენ კი მიბრძანეთ რა იცი რა
იყოო!... მთელი ყუთი რომ ავაგებ, მაშ არ ვიცი რამდენი იყო?!... ნუ გე-



ჯავროს, სად წაეა? მე აქ არა ვარ? მანამ მე ცოცხალი ვარ, ვერცხველს ვიძულებს არ დაეკარგაე!...

ხან მიჯავრდებოდა უნდობლობისათვის ალოშკა და ხან დამიტკებოდა — ნუგეშსა მცემდა, მამშვიდებდა...

მე სანდროს სხეებზე კარგათ ვიცნობდი: სუფთა ზნეობის კაცი ვერ იყო და ამისთვის ვფიქრობდი: მაშულის ქალაღებებს, გაყრისას, რაც და როგორც მოეწონება ამოარჩევს მეთქი, ზოგსაც გახევედა... საოჯახო ქალაღების გარდა სხვა არაფერი ფიქრათ არ მომსულია და ალოშკას სიტყვებს: **სულ დიმიტრის ხელით იყო ნაწერი** არაფერი მნიშვნელობა არ მივეცი, დიმიტრის, როგორც მწერალს ისე არ ვიცნობდი და ჩემდა სამწუხაროთ შორს მხედველობა კი ვერ გამოვიჩინე, ალოშკაც მწიგნობარი არ იყო და ვიფიქრე, ვისი დაწერილი ან რა იყო შეიძლება არ იცოდეს მეთქი.

ცოტა ხანი ამ გვგარად ვისაუბრე და ის დასკვნა მოვახდინეთ, რომ დაუყოვნებლივ სანდროს გამოვართვათ ის **სავსე ყუთი** რომელშიც დიმიტრის ქალაღები ჩაალაგეს.

ალოშკას ვსთხოვე, დაუყოვნებლივ ასულიყო სანდროსთან, გაეგო შინ არის თუ არა: მინდა **დიმიტრის ქალაღები** გავარჩიო მეთქი. ალოშკამ ფიცხლავ აასრულა ჩემი სურვილი და ჩქარა პასუხიც მომიტანა: შინ არ არის და ოთახის კარები დაკეტულიაო. მე ვსთხოვე უპარაულოს და როგორცვე სანდრო შინ მოვა, მაშინვე შემატყობინოს — ვერცკი აბძანდები კიბეზე — მითხრა ალოშკამ — კიბის მოაჯირო ვილასაც მოუძვრია და მეც ძლივს ავედი.

— არა უშაკს რა, ხელი მოამკიდე და ამიყვანე. უთუოთ უნდა დავათვალიერო დიმიტრის ნაოხრალი ქალაღები.

ქვემო სართულიდან იმის ოთახში ვიწრო ხის კიბე ადიოდა. იმ დღეებში რაღაც მანქანებით შეირყა და ხელის მოსაკიდები მოაჯირო მოსძრობოდა. იმას გარდა, რამდენსამე ალაგას თითო საფეხური გამოეძროთ, ასე რომ ყველას არ შეეძლია იმოღენა დიდი ნაბიჯის ადგმა კიბეზე. ალოშკამ მითხრა: მე კლდეებზე ბობლვას ჩეუული ვარ, და ძლივს ავედიო, და თქვენთვის შეუძლებლით მიმანიაო. მე ვსთხოვე ეშველა ჩემთვის და როგორც იყო ავეყვანე, რადგანაც უსათუოთ ქალაღები უნდა გადამეთვალიერებინა, ისიც დამპირდა, მხოლოდ სანდრო უნდა ჩაგვეგდო ხელში, რადგანაც როგორც ოთახისა ისე ყუთის გასაღები იმასა ჰქონდა.

ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოვიყვანეთ, რადგანაც სანდრო ხელში ვერ ჩავიგდეთ, მიუხედავით იმისა, რომ ალოშკა მეძებარივით გულმოდგინეთ ეძებდა. ამ დღეებში ალოშკას სანდრო მხოლოდ ერთხელ შეხვედროდა სტანციისთან და ეთქვა: ღიზა წასელას აპირებს და შენი ნახვა უნდაო: ქალაღები უნდა დაათვალიეროს, კარგო. ეთქვა, მაგრამ არ მოგვეკარა; მე იმისი მალულობა საიქვოთ მივიჩინე და ალოშკასაც გაუხიარე, მაგრამ იმან კვლავ დამამშვიდა! ქალაღები როგორ დაიკარგება? მე აქ არა ვარო!...

იღარ ვიცოდი როგორ მოვტკეულებო... დღე დღეზე მიდიოდა ერთს სოფელში და ერთსავე სახლში ვცხოვრებდით მე და ჩემი ბიძაშვილი და ველარ



ვიპოვნე! ცხადი იყო რომ მემაღლებოდა. მე დიდხანს დარჩენარს მამაკელო და ან კი რალა გამოვიდოდა: მე ვვრძნობდი, რომ რაკი სანდროს ხელში ჩვეარდა ქალაღდები, იმათი გამოტანა უკლებლათ, ადვილი არ იყო... ავხირებოდავ ჩხუბი დამეწყო?... ეისთან, რაზედ, და როგორ?! საკმე ისე უხერხულათ მოეწყო, რომ ველარაფერი მოვაგვარე: ბიძაშვილმა, ბიძაშვილის ნაობრალი ქალაღდები თავის საწოლში იატანა, მიეპატრონა, დაალაგა, სხვა რომ არა დაუშაგე-ბია რა,—მეტყვიან მეთქი, ვეთქობდღი; იქნება მართალიც იყოს: მე ქალი ვარ გამოტყდელი, მამულებისა არა გამეკება რა, ძალიან ბევრაც რომ ვილაპარაკო ვერას გაგბდები: რა ვსთხოვო? ყველაფერი სვინდისის საქმეა მეთქი. ისევე სჯობს მოვიცადო უფროსი ძმის მოსვლა, რომელსაც დღე დღეზე ველოდით: სანდრო რასაც მე დამიზალაეს, იმას ვერ გაუბედავს დამალვას, მე თუ მატყუებს იმას ვერ მოატყუებს... მე რომ ეხლა ავხირდე, აუალ-მაყალი გაეაჩინო, სანდროც აპიხირდეს და მართლა დაიკარგოს რამე, ჩემი და-ძმა, ხომ მე დამდებენ ბრალსა... მოდი მაშ ჩემი ძმის მოსვლამდე მოვიციდი და იმედს არ დავკარგავ, რომ იმათ ვერ აიგდებს ასრე აბუჩათა მეთქი. საკმე რომ ასე დატროიალებულიყო, რომ სანდროს ხელში არ ჩაცვიენთულიყენენ ქალაღდები მაშინ მე ვიციოდი: ავაცდენდი ხიფათს, მაგრამ ეხლა... როდესაც თაფლში ხელი ჰქონდა, რასაკვირველია, როგორც პატროსნება შესწევდა, ისე მოიქცეოდა... გარდავსწვიტე წასვლა.

გროხნაში დასაბრუნებლათ ეტლი კარებზე მედგა, ყველას ვესალმებოდი, მაგრამ სანდრო კი არსად სჩანდა: როგორცე ეტლში ფეხი შევსვდი, უეცრად სანდროც გამოჩნდა: მოიბრინა ჩემთან, ზრუნვით გამასწორა, გამომეშვიდობა. მე ჩემი უსიამოვნობა არ დაუშაღე იმაზე, რომ ერთი კვირა მეტია საქმის გამო გეძებ და ვერ ვპოულობ, მემალბა!.. უსაყვედურე უსამართლობა, რომ დიმიტრის ქალაღდების გადათვლიერება მიწდოდა და იმან გზები შემიბუთა. ამას დავატანე, რომ დიდი იმედი მაქვს, ქალაღდები ხელუხლებლები იქნება, არ დაიკარგება.

— ნუ გეშინიან ქალო, დალაგებულებია! მე ჩემს ოთახში იმიტომ ავიტანე, რომ არ დაკარგულიყენენ, გაფი ხილებით მომივიდა. როდესაც ამ ზაფხულს მოხვალ, ხელუხლებლათ ჩავაბარებ, ეხლა მომიტყეე: სოფელში საქმეები მქონდა და იქ დავიარებოდი...

ეს სიტყვები წარმოსთქვა სხაპასხუპით, მაკოცა და დამაყვედრა კიდევ: ნუ თუ არ მენდობია?!
 ამ ლაპარაკის დამსწრენი ბევრნი იყენენ, თუმცა ვვრძნობ, არავინ გამოეკიდა იმ ახრს, თუ რა ხელწერილებზე ვლაპარაკობდით; ამ დამსწრეთ ზორის იდგა ალოშკა შადურიც, რომელიც პირში შემოგვეყურებდა, დიდს მონაწილეობას იღებდა ჩვენს ლაპარაკში და ეტყობოდა რომ ლაპარაკის საგანი გულამდენ სწვდებოდა.

ალოშკა შადურმა იქვე დიდის უნარით წარმოსთქვა:
 — ჩემის ხელით ჩალაგებულს ქალაღდებს კარგათ ვიცნობ და ჩემის სიცოცხლით არაფერი დაიკარგებიაო.

წავედი მაგრამ უკან მოხედვა მცხვენია... ჩვენმა პატივემულმა პოეტმა



აკაკიმ სთქვა: „უმიცარს რაც თვალში არ ეჩხირობა და ყურში მკვებელი არ მოხედებდა, არაფერად მიაჩნიაო“.

მეც ასე მომივიდა...

თავი მართხა

ამავე წელიწადს ე. ი. 1880 წელს მაისში, ოთხი თვის შემდეგ დიმიტრის დამარბვისა, მოვედი სტეფანწმინდას. სანდრო შინ აღარ დამხვდა: პეტერბურგში წასვლის მაგიერად თბილისში ამოჰყო თავი... ძალუა კეკე სწულხა სანდროს უანობას: სწერდა, იზარებდა, მაგრამ ამაოდ, არ იცოდა სად იყო ან რას აკეთებდა... არაფერი ანბაგი მოზლიოდა...

ჩვენს ოჯახში დიმიტრის ალაკი მე დავიჭირე; დაეტრიალდით მე და ალოშკა შადური: ის როგორც — მოურავი, მე როგორც დიასახლისი, ვშველოდით ერთმანეთს და ისე ვარიგებდით ჩვენს სოფლის საქმეებს.

ალოშკა შადური თუმცა რამდენჯერმე ეახსენე, მაგრამ იმის პიროვნებაზე ჯერ არა მითქვამს რა. ალოშკა შადური ერთი იმ პირთაგანია, რომელზედაც ლაპარაკი ფუჟ სიტყვით არ ჩაითვლება და მისი ბოლო და ბედ-იღბალი ხომ ყოვლად საინტერესოა. მაშ ამ გლეხზედაც მოისმინეთ ორიოდ სიტყვა.

ამ ბუნებით კვიანსა და პატიოსან გლეხს, ერთი სოფლის კაცი არ სჯობდა: საკვირველი მანე და ძლიერი მუშა იყო. სოფლური მუშაობა ხენათესა, ურემი და ხარი, იმათი შევლა-ზრუნვა თავის საყვარელ ხელობათ გაეხადნა: ერთგული იყო ყოველივე თავის მოვალეობისა და კერძოთ ჩვენის ოჯახისა. დიმიტრის მშათ ნათცი იყო და ეს გარემოება თითქოს უფრო ააბლოვებდა ჩვენს ოჯახს. ეს პატიოსანი გლეხი მე განსაკუთრებით მიყვარდა და ყველაფერში ვენდობოდი. იმისმა ცოლმა და შეილებმა ჩემი ნდობა და პატივისცემა დაიხსახურეს, მითა რომ მუშანი და საქმის მუყაითნი იყვნენ.

რადგანაც მე და ჩემს მოურავს საქმეების გამო მუდამ ერთ-ერთის ნახვა გვეჭირდებოდა ამისგამო შეეთანხმდით და კოლმეილით გადმოსახლდა ჩვენს სახლში. ამ დღიდან ერთს ოჯახს შევადგენდით.

ალოშკა შადურს თუ საემე ჰქონდა (ან კი როდის არა ჰქონდა?) კვირა-უქმეს არ დახდევდა: დღე-ღამეს ასწორებდა და თავდავიწყებით მუშაობდა ხოლმე. „საქმემ კაცი კი არ უნდა დალალოს, კაცმა საემე უნდა დალიოსო“ იტყოდა ხოლმე საწყალი. სხვა გლეხებსავეთ ცრუმორწმუნე არ იყო, მკითხაობა არა სწამდა. „ამა და ამ ილაგას ნუ გაივლი ეშმაკი დაგიხედებაო“ „ამა და ამ ტყეს ნუ მოსჭრი ხატი გიწვენსო“ ამ გვარ ვაბთილებას ყურს არ უკვდებდა და როცა საჭიროება მოითხოვდა აღკრძაულს ტყესაც მოსჭრიდა და საშიშს ილაგასაც, უშიშრათ გაივლიდა ხოლმე. სოფლებში ხომ მეტათ ხშირია ეშმაკებზე ლაპარაკი და იმათი ზღაპრული წარმოდგენა; ცრუმორწმუნებს სოფლებში ყველგან ღრმა ფესვები აქვს ვადგმული. ალოშკა სოფელში განთქმული იყო თავისი უშიშრობით. ყველა ცრუმორწმუნებს სიცილით და ზიზღით მიუგებებოდა ხოლმე. პატარა ნიშუშს მოგიტხრობთ:

ერთი თრუსოს ხვეული ოსი, სახელათ ასაბე ყველას არწმუნებდა, რომ ფრანალი „მნათობი“ № 10 (18).



იმას ეშმაკებთან კავშირი ჰქონდა: წამიყვანენ ხოლმეო, მამყენებენ¹—²იპვიანთ სადგომსა, გელაპარაკებრანო, ყველა საქმეებში იხინი მეწყვიანო, წინასწარ მეტყვიან ყველაფერს ჩემგან არაფერი დაიძალემა, ყველაფერს მივაგნებო. მკითხაობდა კიდევ. ბეგრსა სწამდა იმისი ტრაბახობა და ამასთან ეშინოდათ კიდევ იმისი: ეშმაკიან-ასაბეს ეძახდნენ. ეს კაცი ჩვენს სოფელში სამუშაოთ დაიარებოდა.

სხვათა შორის ალოშკასთანაც დაესურათებინა თავისი ეშმაკებთან შეგობრობა; ის ჩასციებოიყო „ერთხელ თვლით დამანახე ეშმაკებოო“. ასაბე თუმცა დაპკრდა მაგრამ თავის დაპირებას აგვიანებდა, რადგანაც იცოდა რომ ალოშკა უშიშარი ხასიათისა იყო, ცდილობდა როგორმე თავიდან მოეშორებინა. ჯიუტი ალოშკაც აღარ ეშვებოდა. გაიძვრა ოსი სხვა და სხვა მიზეზებს არ უღევდა; ხან მთვარიან ღამეს მოიღებდა მიზეზათ; ეშმაკები არაფის ეჩვენებინაო, ხან ეტყოდა: კვირა—უქმე დღეს ეშმაკები დამალულები არიანო და სხ. და სხ. ამგვარ მიზეზს არ უღევდა. ერთხელ ალოშკამ საშინელ ბნელ ღამეში ასაბე მობერხებულათ ხელში ჩაიგდო: ენინიანი ვადაეკიდა, აღარ მოეშვა, წამიყვანე და ეშმაკები მახვენო. ოსს ეგონა ბნელა ღამეში, ფრიალო კლდეზე ასვლით, ის ალოშკას წარმოდგენაზე იმოქმედებდა და ეშმაკების არსებობაზე დაარწმუნებდა. ამისთანა იმედებით აღფრთოვანებული ასაბე, ძალიან გულადათ ყურო მთისაკენ გაიძღვა ალოშკას, აიყვანა ერთს მალალს ფრიალო კლდეზე და გაიძვრა ოსმა, ვითომდა ეშმაკებს ძახილი დაუწყო, ოსი რომ დაიკიელებდა, რასაკვირველია, მთები გრილით ბანს აძლევდნენ, მაგრამ ეშმაკები კი არ მოდიოდნენ. ოსი თავის ენაზე სხვა და სხვა აღთქმას უღებდა ეშმაკებს, ებეწებოდა, მაგრამ ეშმაკები არ ენორჩილებოდნენ.... როცა ასაბე დაიღალა კივილით, მასთან დარწმუნდა, რომ ალოშკას არც ბნელი ღამისა ეშინიან, არც ეს ხმაურობა და წყვედიადი მოქმედებს იმის წარმოდგენაზე, მაშინ ღიმილით უთხრა: „ამალამ ერთს უფროსს ეშმაკს ქორწილი აქვს და სხვა ყველანი ეშმაკები იმასთან არიან მიწვეულები..... მიკვირს შენ რათ დავიწყებინარ და არ მიუწყვეიხართ?!“

ალოშკამ მეორე დღეს მიანბო ოსისს დამარცხება და იმისი მახვილობის ანბავი.

ამგვარი ჯიუტი და შეუბოვარი იყო ალოშკა.

ალოშკას გარეგანი შეხედულება მკვახე და მოუბეშავი ჰქონდა: შუა ტანის კაცი იყო, მხარბეჭიანი, მაგრა შეყრილი. იმისი დედა თარუა მთელს სოფელში ცნობილი იყო, როგორც მოუსვენარი, შეუბოვარი, მოხუბარი ხასიათისა, მაგრამ ძლიერ ყოჩაღ და მღჷმა დედაკაცათ იყო ცნობილი: თარუისი ყველას ეშინოდა, მაგრამ დიდათ პატივსა სცემდნენ. ისევე ყმაწვილობაში დაქვრივებულ იყო, უსახსროთ, უკაცო ოჯახში. თავისი ვაჟი (ალოშკა) და სამი ქალი თავისი მარჯვენით და უნარით გამოეზარდა. ლუღუშაურის ქალობით თავი მოჰქონდა (კარგ გვარით ითვლებიან). მკვერ-მეტყველმა, გამჭოიანე და უნარით სავსე დედამ, თავის ერთათ-ერთს ვაჟიშვილს ალოშკას, იმის ურწმუნოების და უმორჩილების დასასურათებლათ **ხაუღენტი** უწოდა. თითქო ეს მეტი სახელი



სოფლებს მოეწონათო: **საბუდენის** უწოდებდნენ, რადგანაც *საბუდენი* და ურწმუნოთ იყო ცნობილი.

ალოშკა ძალიან ნუხლ მიგარი, მთაში მონადირე ბიჭი იყო. თვალები მუდამ უცინოდა (წყლიანი ჰქონდა), დიმიტრი ჯიხვის თვალებიანს ეძახოდა და გვარწმუნებდა რომ ჯიხვსაც ამისთანა თვალების გამოთქმა აქვსო. ალოშკას სიმრუდე, ავკაცობა, ქურდობა, ტყველის თქმა არავის გაუგონია და მთელს სოფელში სამავალითათ, თითოთ საჩვენებლათა ჰყვანდათ. კეთილი მეზობელი იყო არა მარტო თავისი სოფლისა, მთელი ხევისაც და როგორც ლხინში ისე ჰირშიც, ერთგულს მეზობლობას და გულმტკივნეულობას იჩენდა. ამ ყველა ღირსებასთან დიდი ვაჟკაცი, გულადიც იყო! უწინდელს დროში მთის ხალხს შემოღებულნი ჰქონდა: ვინც ვაჟკაცობით თავს ისახელებდა, იმის მოქმედებას გალექსავდნენ ხოლმე, და ეს ლექსი შთამომავლობიდან, შთამომავლობაზე გარდადიოდა. ალოშკას სიმამაცეც გალექსილია და ებღაც სოფელელი ბიჭები მღერაინ:

„ანზობენ სტეფან-წმინდასა, სოფელი არის გზისაო,
 მაგათ უქირავსთ სიმალლე ყუროისა და ხდისაო.
 ჩუმათ იციან მდეგარი, წინაის მოვლა მტრისაო.
 გამოვლენ აბაღაზდანი, ანგელოზნია ცისაო!
 ორ პირათ უსხედსთ ერობა, მაღლი ტრიალებს ღეთისაო
 მაგათი ბერი კაცები—სუღია ხელმწიფისაო!
 მაგათ რიგსა და საქმესა, ყველაი კაცი ჰყვრისაო:
 ოსმალთა, თუშ-ხეცსურებსა საანდაზოთ აქვსთ ისაო.
 ალოშკას კოდიანთასა ყველგან სახელი ზღვესაო:
 შორით გავარდა ანბავე ქება მაგ კარგი ყმისაო
 ემაგისთანა ანბავე არ გადმოსულა მთისაო!
 სახელის გულისათვისა ჰყრიდა ცოლსა და შვილსაო:
 სოფელს სახელი ვაჟშია გული გატება მტრისაო.“
 წინდაწინ ქომელსა (ა.) აასწრო არწივი არის მთისაო!
 ბელდახელ თოფი ესროლა გაანბა ბეჭის პირსაო.
 მალ მალ შემოზღის ანბავე, თავის დაჭრილის მტრისაო.
 დედაი ეუბნებოდა: ებღაც არ მოგხვდია ჰყვისაო?!
 ნუ გეშინიან დედაო, ეგ საქმე არად ღირსაო!
 ჩემი ნაქნარი საქმეა, ველარ ვიკადრებ ტყვილსაო:
ერთხელ თქმა მერე გადათქმა ვაჟკაცს არ შეშვენისაო.
 ალოშკას დედა ვაცხონე, ის ნათქვამს გააცხადებსო:
 შახდება სანადიროში, ჯიხვს თოფს ჰკრავს გაავგორებსო,
 გააძლობს ამხანაგებსა, შინ ჯალაბს გაახარებსო.

ამისთანა სოფლოურს, მდაბიო კილოთი გალექსილს თქმულებას უნდა ვერწმუნოთ: ამის მოქმელს არა რაი პრეტენზია არა ქონია პოეტობაზე, მხოლოდ თავისებურათ გაულექსავს ის გრძნობა და შეხედულობა, რომელიც მთელს მეზობლობას ალოშკაზე შეურდგენიათ.

(ა) ქისტე.



ამ ჩვენს **სტუდენტს** ალოშკას, ამოდენა ღირსებასთან **ნაყოფიერება** უკვალ-საჩინო ჰქონდა: მეტიც მეტი მკვახე, ახირებული, ჰირვეული **ნასიათისა** იყო! საშინელი ჯიუტი: ვისაც გარდაეკიდებოდა, რჯულამდენ ჩაჰყვებოდა! ოჯახში ყველაფერი ისე უნდა მოწყობილიყო, როგორც თითონ მოიწყადინებდა. იმის ცოლ-შვილს იმის ძრიელ ეშინოდათ და სასტიკ მამათ და ჰრმათ ითვლებოდა. თუმცა გარეგნობით ეს ასე იყო მიღებული, მაგრამ მე ბევრჯერ მომეცა შემთხვევა დავრწმუნებულეყავ, იმაზე რომ ალოშკა ძალიან მზრუნველი ქმარი და მამა იყო: იმათთვის ყველანაირი სიკეთე ემეტებოდა, ცდილობდა შვილების გაზდა-განათლებას, ცოლის რიგიანათ შენახვას, მაგრამ თავისებური ჯიუტი მთის კაცი, ყველა ნაზს გრძობდას თავისებურათ ჯიუტათ, მოუხეშავათ გამოსთქვამდა ხოლმე. ჩემთან ერთს ჰერს ჰვეშ იღვნენ და კარგათ ვიცი, რომ შეძლებისა და გვარად ცოლ-შვილს კარგათ ინახავდა: შვილებს ასწავლიდა, ჰამა-სმა რიგიანი ჰქონდათ, კარგათ აცმეედა, გარყენილი და ლოთი აო იყო. იმისი დიდი წუნი: **ჰირვეული და ჯიუტი ხასიათი იყო!**

ნურავის გაუყვირდება, რომ იმის მოგონების, იმის ხასიათის დასურათებას ასე წვრილათა ვსწერ, ამოდენა ილაგს ვაძღვე: ალოშკას ცხოვრება და შემდეგ სიკვდილი დიდათ საგულისხმოა. იმისი პიროვნების სურათი დიდათ საჰიროა ჩემის მოთხრობისთვის და ეს მამედვინებს ცოტა დრო შეეწიროთ იმის პიროვნებას. ამას და ვარდა, ეს იყო დიმიტრის სიკვდილის დროს იქ დამსწრე და იმისი განჯინიდან ხელნაწერების გადამამლაგებელი. ამ კაცის ზნეობის ცოდნა ჩვენთვის ფრიად საჰიროა: რაც ერთს დაეჯერება, იმას მეორეს ვერ ერწმუნება კაცი. ალოშკა შდური ყველასაგან ცნობილი ჰეშმარიტ კაცით მართლა რომ ჰქვიანი და მართალი კაცი იყო და ასე უნდა ვიცნობდეთ.


სტუდენ-წმინდას ჩემს ოთახში მარტოკა დაფიქრებული ვიჯექა; ჩემდა სასიამოვნოთ ალოშკა შემოვიდა. თუმცა ყოველთვის ვსახოვდი, რომ ზნირათ მწვევიყო, სკამზე დამჯდარიყო რომ მეგობრულათ დალაგებით გვემუსაიფნა, მაგრამ როცა მეწვეოდა თავის მთის კაცის ზდილობას არა ჰჰარგავდა, მუდამ თავს მადგა და ისე მემუსაიფებოდა ხოლმე. ეხლაც ესევე მოიქცა, გაეპბით ლამარაკი; ჯერ საერთო ოჯახის საქმეებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ დიმიტრი მოვიგონეთ და იმის პიროვნებაზე და საქმეებზე გადავედით. იმისთანა წამი დადგა, რომ ორნივენი ვაეწუმდით, თითქო რალაც მწვაფი საგანი მოგვაგონდა. — საყიროულია დიმიტრის ქაღალდები რა იქნა?... ველარა ვაფიგერა... მკითხა თავჩაკინძულმა ალოშკამ.

— რა ქაღალდები?

— და ის ქაღალდები, იმისი ხელნაწერები?... ჩაციებით ჩამაკტერდა ალოშკა....

მეც გამახსენდა მწვაფი საგანი, რომელიც სანდროს თბილისში წასვლით თითქოს დაეიწყებას მივეცი....

— მე ერთხელ სანდროს შავეკითხე და იმან მიპასუხა: არა იყო რათ, უბრალო ქაღალდები იყოფო....



— დიდება შენთვის ღმერთო! და მაშ ის კაცი იმდენს ^{დასწრებულა?} არაფერსა?...
 შიშვრაც

— რა ვქნა ჩემო ალოშკავ, შენ რომ დიმიტრის აეთმოყოფობა დროთი შეგეტყობინებინა, და მე ცოცხალისათვის მომესწრო, მაშინ აღბათ მე მეცოდინებოდა.... ეხლა კი მხოლოთ სანდრომ იცის და იმისმა სვინდისმა.... სანდრო ანბობს: არა შინაბავს რა, არა იყო რაო! რაღა მოხერხდება ეხლა? გულ ჩათუთქულმა უსაყვედურე გამწარებულს ალოშკას.

— ეგ მართალია!.. აბა რას ვიქმოდო, რომ მეც გვიანლა შემატყობინათავისი აეთმოყოფობა იმ კურთხეულმა!.. მე როგორცვე გავიგე, მაშინვე ჩამოვედი, რომ დაეხედე, მიეხედი, რომ საჩვენო აღარ იყო, ჩავედი სანდროსთან და შენთან დუბეშა დავაკრევენი. აღბათ ღმერთს ასრე ემეტებოდა დიმიტრისთვის!, მაგრამ მაინც.... რა იქნა ის ქალაღდები?!.. რა იქნა ის ქალაღდები!... თავისებურის ყინიანობით იმეორებდა ალოშკა....

— მე რაღა ვქნა ჩემო ალოშკავ: შენ თითონ კარგათ იცი, რომ მე მაშინ ვერა ვნახერა. ეხლა იმედი მტონდა, რომ სანდრო შინ დამხედებოდა და იმ ქალაღდებს ჩამაბარებდა.... მაგრამ ზომ ხედავ მისაფრა!

— ახ, მეც მაგაზე მისკდება გული!.. ამის თქმაზე ალოშკამ მაგრა მუშტი ჩაიკრა გულზე და თავი რამდენჯერმე გაიქნია.

მე ვიგარძენ ალოშკას სიმართლეს, მაგრამ ქეშმარიტებასთან კიდევ შორს ვიყავ.

— მაშ არ გაჩვენათ? უნდა დაიკარგოს?.. შეუძლებელია! მანამ პირში სული მიდგას ვეძიებ, მე იმას არ შევარჩენ მიტკას ხელწერიღებს!... თავისებურის უნართ დაამატა ალოშკამ.

— ათასიც რომ ვიფავროთ, ეხლა აბა რაღა გავიგოთ? სანდრომ იცის და იმისმა სვინდისმა....

— მე ზომ ერთხელა ვეითხე სანდროსა: დიმიტრის ქალაღდები ჩააბარე მეტუნი? იცი რა მითხრა?... უბრალო ქალაღდები იყოვო! მე როცა ჩაციებით და ნიშნობლივით დაუსახელე ხელნაწერები და თავგამოდებით უთხარ, რომ იმათი ღირსება კარგათ ვიცი მეტუნი, მაშინ მითხრა: მართალია, მაგრამ მაჩუქესო!.. აი ის უსვინდისო.. მაშ თქვენთვის არ უჩვენებია და მე კი მომატყუევა?!.. ა-ა-ახ!.. გამიწურა ღმერთი, რომ მე ის აქედან გამისხლტა.... მე იმას ვიბოჯნი, რჯულამდენ ჩავეყები! არ მოვეშვები ვინამ არ ვათქმევივებ: რა უყო ის იმდენი დიმიტრის ნაწერები?... შეოთავდა ალოშკა და იყო სულის კვეთებაში.

ჩაფიქრდით, ორივეს შეწუხება გვეტყობოდა.

ა-ახ!.. კიდევ და კიდევ იმეორებდა თავის სიტყვებს. ნეტავი ეხლა აქ იყვეს, რომ მე შენთან ძალათაც ამომეყვანა, მე იმას თითონვე ამოვატანინებდი იმ ქალაღდებს წავიდა აქიდან, როდესაც მე შინ არ ვიყავი, ანბობენ რაღაც ყუთი წაიღოვო: იქნება ის ქალაღდები თან წაიღო?!....

პატარა ხანი გაჩუმებულები ვიყავით, თითქო ფიქრები უნდა მოგვეკრიფა. სიჩუმე მე დავარღვიე:

— ახლა რომ დავიყინია: ის განჯინიდან ვადმოლაგებული ქალაღდები,



დამიტრის ხელნაწერები იყოფო, შენ მწიგნობარი არა ხარ და ჩემს ბავშვს რომ სწორედ დამიტრის ხელით ნაწერები, იმისი თხუზულეობა იყო, იმისი და არა სხვისა? შენ საიდან იცი ყველა ეს?!...

ალოშკა წელში გასწორდა, გაკვირვებით დამაკტერდა: თითქოს ეუცხოვა, რომ იმის სიტყვას არ ვერწმუნებოდი, დაკადილი ლომივით ღრმად ამოიხვნეშა და ხმა მალა თავისებურის ენერგიით მითხრა:

— შე ვიცი იმიტომ, რომ ბევრჯელ გვერდით უჯექი იმ ქალღღებებს წერის დროს და ბევრჯელ ჩემთვის წაუეთხნია კიდევ!.. ღინჯა სულელი ასის წლის მოხუცი იყო რომ მე თითონ ჩამოვიყვანე და დგორის (დუქანი) პატარა ოთახიგა, ჩემის იქ დასწრებით, „ხევის ბერი“ გოჩის ამბავი რომ ჩასწერა, მაშ არ-ვიცი?! სულ მუდამ ჩვენებურს ანებებს, რომ იკვლევდის დასწერდის-მაშ არ ვიცი?!... თქვენ რომ კითხულობდით ხოლმე „მიტკაი საღ არისო?“ და გიპასუხებდნენთ დუქანიჩი არისო! მაშ შენც სხვებსავით თუ გეგონა, რომ მიტკაი დგორჩი სულ სასმელათ იჯდა? არა! ჩვენს დგორჩი, რომ პატარა ოთახია, იქ მუდამ კარჩაკეტილში სწერდის. შენ რა იციო, მეუბნებით... ვიცი იმისმა კურთხევამა და გულიც იმიტომ უფრო მისკდება ჯავრით, რომ იმის ხელწერილების ვადმომლაგებელი მე თითონ ვიყავ და იმათი დაკარგვა ჩემი სიკვდილი იქნება! ხომ იცი მიტკაი ჩემი ძმით ნაფიცია და თუ თქვენ არ გამოეკიდებით იმის, ხელწერილებსა, მაშინ მეც შეკუთენის თავის გამოდება... მე იმას ვარ უღალატებ! ამ საქმეში მე რომ ვავჭმდე, მეც მონაწილე ვხდები იმ ქალღღებების დაკარგვაში... წესი არ არის ძმით ნაფიცის ლალატი..... ა-ა-ა-ახ!!!—გაიქნია თავი, მაშ ეხლაკი მე ვიცი!... აბა ეხლა რომ სანდრო შინ დაბრუნდება, მაშინ ნახავთ თუ ცხვირიდან არ ამოვიადენ ჩემგან ვადმოლაცებულს ქალღღებსა! მანამ პირში სული მიდგას, მე იმას არ შევარჩენ მიტკას ქალღღებსა!...

ალოშკას ლაპარაკმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაშტერვებით უყურებდი: მიკვირდა იმისი გაშმაგება და იმის გულიდან ამოხეთქილი ძალა, რომელსაც ცეცხლსა და მახვილსავით აფრქვევდა. ჩემს თვალწინ იდგა ნამდვილი მეგობარი, ძალით და ღონით სივსე მთის კაცი: ძმით ნაფიცი ვარო და ამისთვის თავის თავს ვაღდებულათა ხდიდა არ ეღალატნა იმის ხსოვნისთვის მის წმინდათა წმინდას შეარდგენდა ეს დაკარგული ხელწერილები.

მეც ზოგი რამ გამახსენდა: უკანასკნელ ხანებში მესმოდა დამიტრის ძალიან სმა დაიწყოვო, სულ მუდამ დუქანში ზისო! შინაური ცხოვრება ისე ჰქონდა მოწყობილი, თითქოს უბრალო ბარათის დაწერაც დაეიწყებოდა. დიდება შენ უფალო! ეხლა ალოშკა მამხუცდა: თურმე დუქნის ოთახი თავის სამუშაო ოთახით გარდაუქცევია... ენით გამოუთქმელმა მწუხარებამ გამარინდა... ახალ ახალი კითხვები მომწოდდა თავში, გული მიშუთავდა, ენა აღარ მემორჩილებოდა... ამისთანა მძიმე ფიქრებით დატვირთულს, —ვარდა ალოშკას სიტყვებისა არაუფერი საბუთი არ მეჭირა ხელთა მისთვის, რომ ვანგაში მომერთო: იი რა მოხდა მეთქი! ვამჯობინე მედროვნა, სანდროს შინ მოსვლა მომეცაღნა, რადგანაც სარწმუნოთ არ ვიცოდი, ის ქალღღებით ხავსე ყუთი-თან წაიღო, თუ აქვე ჰქონდა შენახული!...



— იმ დალოცვილმა რატომ ერთხელ არავის გვითხრა, არაქნენ უკვანდო, აგრე რათა მალაედა თავის პატიოსანს შრომას? მე ხომ არც ვარ... უკვანდო-ზე“ გამიგონია რამე და არც დიმიტრის მწერლობაზე. მე რომ მცოდნოდა, აზრი ამელო, იმ ქალაღდებს ზედ დეაკედებოდი... ეხლა... რალა ეშველება გაფუკებულს საქმეს?... აი ამისთანა მდგომარეობაზე არის ნათქვამი: ყოველი კაცი თითონვე არის მქედელი თავის ბედისაო!

— სიკედლის დროს შენი ნახვა ძალიან უნდოდა... მე რომ ჩამოვედი და ისეთი შეწუხებული ავთიმყოფი ვნახე, უთხარი: ღიზას შევატყობინოთ მეთქი? „ჰოვო ძალიან კარგი იქნებაო.“ უკანასკნელ დღეს, სულ შენს ლოდინში იყო... წამდაუწუმ იტყოდა: „გაიბედეთ, ღიზა ხომ არ მოვიდაო?“ „გაკეცენიაო, ღიზა მოვიდაო.“ „ღიზას ბატკანი დაუკალით კარგათ დაუბედითო“... ბეჭავი დიმიტრი! უკანასკნელ წუთებში აქა იქ აწყდებოდა... ერთხელ გაიღიმა, ვკითხე, რას იცინი მეთქი? „მადლობა ღმერთსა, ღიზა მოვიდაო, ეხლა აღარა მიშავს რაო, რამდენსამე საათის შემდეგ სულიც დალია...“

მე ალოშეას ღაპარაკმა ცრემლები მალერეგინა, თითონაც ტიროდა, საწყალო ჩემო დიმიტრი! პატრონი არავინ გკვანდა, გულის შემბატკივარს ელოდი? განა ვრძნობდი, რომ შენი საუნჯე უნდა გაწეწილიყო? იქნება იმედი გჭონდა, რომ ცოცხალს მოგისწრობდი? მოვიღბობდი იარებს... ვაი მე. და ვავლახ მე საყვარელო ძმაო... ომიანობის დროს მე გადმობეწილ სალდათებს უვლიდი თავინათი დედების და დების მოშორებულთ ზედ ვაკედებოდი, აბა როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემი ღვიძლი ძმა ამგვართ უმოწყალოთ, მარტოკა, გლახაკივით სულს დაღეედა... არ ვიცი რა ცოდვები მიკითხა: ბედმა რათ მიგემა ამ გვარი სანუღამოთ დამშავრავი სიწიარე...

როგორც ალოშეამ გადმოცა დიმიტრის ანბავი, ის მიემგზავსებოდა ძუნწს, რომელიც აგროვებს საუნჯეს, ყველასაგან მალაეს, ინახავს სადმე თხრილში, და ბუნებით მდიდარი, გარეგანათ ძონძებში გამოხვეული სლატაკეში სკლსა ღეეს. დრო იცვლება, იმის შემდეგ, იმაზე ბედნიერი, შემთხვევით იმის საუნჯესა ჰპოულობს და ფართოთა სარგებლობს... ნუთუ ეს ფაქტი, ეს იშვიათი სურათი, საგულსხმო მასალათ არ ჩაითვლება მწერლობისათვის? ნუ თუ დიმიტრის ფსიხოლოგია, — სანდროს სულიერი ბრძოლა — ძვირფასი კანვა არ არის, რომელიც პირწყლიანს, ენამახვილს მწერალს შეუძლიან თვალწარმტაცის ხელოვნებით მოქარგოს?... ამისთანა მოვლენა გამოსახსნელი ნასკვია და ამ საგანს არ მოესპობა ინტერესი. იმედი მაქვს ჩემს საყვარელს სამშობლოში ახლათ გამოიჩეკებინ დახელოვნებული მწერალნი, რომელნიც მარჯვედ მოიხმარებენ ამისთანა იშვიათს და ნამდვილს მასალას:

.....დიმიტრის ხელწერილებს ბედ-იღბალი გახდა მე და ალოშეას შემაერთებელი საგანი: ეს იყო დაუშრეტელი წყარო, რომელსაც ხარბათ ვეწაფებოდი. ყოველს ვამს, როგორცვე მარტო დავრჩებოდი — ამაზე ვღაპარაკობდი. ბევრი იმისთანა ვარემოება დამისურათა ალოშეამ, ბევრი იმისთანა ანმბავი მიანბო, რომლებიც მე არ ვიცოდი — სხვათა შორის იმაზე დამარწმუნა, რომ სანდრომ ნამდვილათ იცოდა დიმიტრის ხელწერილების არსება და იმის მიცვლის



უმალ იმიტომ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება: გამოიჩინა მისი მნიშვნელობა და დაუყოვნებლივ დაეპატონა.

სანდროს მოქმედებას თანდათანობით ფარდა ეხდებოდა, ყველაფერი ირკვევოდა და ჩვენ მოუთმენლათ ველოდით იმის შინ დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. სტეფანწმინდას ისიც კი არავენ იცოდა, თუ დროებით წასული კაცი, აქამდენ სად იყო და რას აკეთებდა?

იმ დროს როდესაც იმის დედამ და გამძლემა ქვეყანა შეაჯერეს იმის ძებნით: ეძებდნენ და კითხულობდნენ იმის ანბაეს, ბინას, მაშინ იმას თურმე არხეინათ „დროების“ რედაქციაში მოეკალოაენა სტატიის-სტატიაზე ჰბეჭდავდა და ქართველი საზოგადოება აღტაცებაში მოჰყვანდა.

ჩვენდა სამარცხენოთ ქართულს ეურნალ ვაზეთებს არავენა ვკითხულობდით და მაშასადამე არ ვიცოდით სანდროს ახალი ხელობა-მწერლობა.

...ჩვენამდე ჯერ არ მოედწია სანდროს ქება—დიდებას!

მირბოდა დღე-დღეზე, კვირა-კვირაზე, ძველი წელიწადი ახალით იცვლებოდა, დიმიტრის ქალღმერთის მწვავე კითხვა თანდათან დუნდებოდა, საღათის ძილს ეძლეოდა...

ჩვენ ვდუმდით, მაგრამ ამავე დროს თბილისის სტამბებში კი თურმე მოჩხუბარიძის სახელით მკადის კვრებივით მარდათა ცხვებოდა, მოთხრობა-მოთხრობაზე იბეჭდებოდა, საზოგადოება ვაშას ძახილით ეგებებოდა და ამითი მწერლის სახელი დღე და დღე იზღებოდა.

...ჩვენი სანდრო გადაიქცა მოჩხუბარიძეთ, მარდათ ჩადგა მწერლების რაზმში და იმის ბრწყინვალე საფეხურებზე დიდის სიჩქარით ადიოდა...

კერძოთ ჩემი საქმეები ისე დატრიალდა, რომ განვიზრახე სამსახურში შესვლა: ბებია ქალს შამქლო ჩემი ხელობისთვის მიმეყო ხელი და ჩემი შრომით თავი მერჩინა.

მე შევუდექი საგზაოთ მზადებას. ალოშკა დაღონდა.—აბაიმე, შენი კირიმე, აბა მარტოკა როგორ წახვალ? მითხრა გულმტკივნეულად ალოშკამ.

— რა მიშავს? მე მარტოობას შაჩვეული ვარ!

როდესაც დარწმუნდა, რომ აღარ ვიშლი და ორბ ს-ში დღის შემდეგ გარდავწყვეტე წასვლა, მაშინ მითხრა:—მე წამოგყვებოდი, მაგრამ აქაობას რა უყო, უპატრონოთ როგორ დავიგდო? ეანია წაიყვანე, გემსახურება.

მე დაეთანახმდი.

როგორც ზემოთა ვთქვი, საზოგადოთ ალოშკას შვილები ძალიან ნიჭიერნი და მუსიანი იყვნენ. ეანია იყო იმის უფროსი ვაჟი 14—15 წლისა, რომელიც განსაკუთრებით ჩემს ყურადღებას იტაცებდა; ალოშკას სიყვარული და პატივისცემა მინდოდა იმის შვილებზედაც გარდამეტანა, მინდოდა რითმე დაეხმარებოდა წერილ-შვილს ალოშკას; ეანიას წაყვანა და იმაზე ზრუნვა განსაკუთრებით მესიამოვნა. სიამოვნებით მოვხეივ ხელი ეანია შადლოს და წაიყვანე თბილისში. ჩემს პატარა თანამგზავს ვიგულედი მეგობრათ... ესასიკები, სარწმუნო ვიყავ, რომ კეთილი თესლი, კეთილს ნაყოფს გამოიღებდა.



1881 წელის გასულბში თბილისს ჩამოვედი. პირველ ნაბიჯს ნანდროს ბინას ვერ მივხვდი: სწორეთ არავინ იცოდა იმასი ნამდვილი ბინა, მაგრამ იმისი მწერლობის სახელი კი, ყველას გაეგონა. ჩემთვის ეს ხმა ახალი ვასავონი იყო! ჩემდა სავალალოდ და სამარცხვინოდ უნდა აღვიარო როგორც ზემოთაც აღვნიშნე — რომ ქართულს ლიტერატურას თურნალ ვაზეთებს თვალსურს არ ვადევნებდი და როგორც უმეტესობა იმ დროს იტელიგენციისა, ისე მეც, ქართულის მაგივრად უფრო რუსულს ვეტიანებოდი. ამის გამო ახალი ქართველი მწერლებისა და იმათი ვინაობისა არა გამეგებოდა რა. აი ამგვარს ცოდნის საფეხურზე ვიდევ, როდესაც აქა იქა დაიწვეს ლაპარაკი მოჩხუბარიძის მწერლობაზე. პირველს ხანებში ყურს ვიყრუებდნი, როდესაც იმის საკვირველს მწერლობაზე იტკოდენ რასმე: იმის ასე უეცრათ ვირდაუნა, ნიჭიერი მწერლობა არა მჯეროდა. სანდროს რომ ხანდახან წერის ხალისი ძოუვიდოდა ხოლმე და უფრო მეტჯერ უწმაწური ლექსებისა, — ეს კარგათ ვიცოდი. მწერალს ხომ ვარდა წერის სურვილისა, სხვაც ბებერი რამ ღირსება უნდა ჰქონდეს ე. ი. ცოდნა, რომელსაც სანდროში ვერა ვხედავდი და ამიტომ იმის მწერლობას ეჭვის თვალით უყურებდი. მწერალს და იმის მოძღვრებას თუ ცოდნით შეკვთავიერებული საძირკველი არა აქვს, მაშინ მკითხველთა შორის მწერლის სახელი მკვიდრს და ბრწყინვალე ძეგლს ვერ აიშენებს მეოქი. ამ ციურს მანანას სანდრო მოკლებული იყო. იმისი მწერლობის ნიმუშები არა ვრთხელ მენახა და რადგანაც არაფერს საინტერესოს არა ვხედავდი, აქაც კვლავინდებურათ არაფერი ყურადღება მივაქციე იმ ქება-დიდებას, რომელსაც ნაცნობები უძღვნიდნენ ხოლმე.

როდესაც მოსაიფინს დროს სანდროს ნიუს გუნდრუკის კმევას დაუწყებდნენ, მაშინ მე შემოცხვებოდა, თითქოს მომიპარავს რამეო, თავს ჩაელუნავდი.

— თქვენი რა ნათესაია მოჩხუბარიძე? — მკითხავდნენ.

— ბიძაშვილია, — უპასუხებდი.

-- ახ, რა ნიჭიანი მწერალია! რა მშვენიერათა სწერს!! რა მშვენიერის ხელოვნურის, ძრიელის კალმით გვიხატავს ჩვენის შთის ხალხის ცხოვრებას, ჩვეულებას... — ერთი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ახტაცებულნი მწერლის ხელოვნებით და აღფრთოვანებულნი ქართულის ლიტერატურის წინსვლით და იმისი წარმატებით.

მე გაჩუმებული ყურს უგდებდა.

— რა მშვენიერია იმისი „ელგუჯა“ რა საბით ღრმითა სწვდება ადამიანის გულს, იმისი მადლიან კალამი!

მე გაშტერებული, თითქოს ბურანში ვიყავი, ყურს უგდებდი, მაგრამ კი არა მესმოდა რა!...

— არა, მე „ელისო“ უფრო მომწონს — განაგრძობდნენ მესაუბრენი. იმისი გოდება — ლილინი ადამიანს ძვალსა და ლბილში უგდება და იმის გრძობაზე გასაშტერებლათ მოკმედებს. იმისი ხელოვნურათ აწერილი სურათები, ადამიანს ცხადათ თვალწინ უხატავს ჩვენის სამშობლოს მშვენიერებას და ამასთან იმ ძრიელს — შეგნებულს სიყვარულს სამშობლოსადმი, როგორათაც იყვნენ გამსკვალულნი კაცკახის შვილები. „ელისოს“ მკითხველი უნებურათ, ანგარიშ მიუ-



ცემლათ, სულგანაბული ყურს უგდებს იმ ხალხის გულისცემას, რომელიც თავისი სამშობლო ქვეყნიდან უსამარცლოთ, ძალდატანებით მიგრეკებიან, იმის ძუბუდანა პგლეგენ!.. მკითხველს ძარღვები ეშლება და ტანჯულის ხალხის მაჯისცემას უერთებს თავის შერუხებულის გულის ძგერას!...

— ამბობენ, რომ სავსე ყუთები უდგას თავის ხელწერილებით და დღე და ღამე გასაშტერებელის ენერგიით ნუშაობსო!...

მე გონს ვერ მოვდიოდი...

— შენ რომელი თხუზულება უფრო მოგწონს?— მომმართა კითხვით ერთმა ჩემმა დიდი ხნის ნაცნობმა.

მე შეეკრთი, შემრცხვა.

— მგონი შენ არც კი წაგიკითხავს?!.. გააკვირვებით მკითხა. ვგრძნობდი, რომ სხვების ყურადღებაც ჩემკენ იყო მოქცეული.

— მართალია, არ წამიკითხავს ეს უკანასკნელი თხუზულებანი... მე იმისი დაუნთავრებელი ხელწერილები წამიკითხავს, მაგალითათ „აღმზრდებლები“ სხვა და სხვა ლექსები... წერის სურვილი ყოველთვისა ჰქონდა, მაგრამ ნიჭი კი არ ვიცი რამდენათ შესწევს...

— რას ანობო ქალო, წაიკითხე და გაშტერდები!— ერთხნათ მიკითვინებდნენ მესაუბრენი.

მე შემრცხვა, რომ უღალავოდ ამისთანა ეჭვი წარმოვსთქვი და ლიტერატურაში ამისთანა უერცობა გამოვიჩინე, იმათავან შევიტყე, რომ ჩვენის დროის საუკეთესო მწერალი არის სანდრო, და რომ იმის ნაწერებს მკითხველი საზოგადოება ალტაცებაში მოჰყავს.

შინათკენ დაებრუნდი გაშტერებული... ქართველები რომ იტყვიან: „კაცი გუდა ხომ არ არის, რომ გადმობრუნდესო?“ მაშ ეს რა არის? ვფიქრობდი: ხანდრო ნიჭიერი მწერალია?.. ნუთუ მართლა შინაურებმა ვერ ესცანიო? რამდენსამე თვეს ისე გამოცვლილა კაცი, რომ პირველ ხარისხოვან მწერლების რაზმში ჩამდგარა... დიდება შენთვის ღმერთო! ნუ თუ მეტამორფოზა მოხდა? გადაიქნია—გადადუღდა?!.. ეს ჩემი გულწრფელბ გაკვირება თანდათან სიამოვნებით იცვლებოდა: თუ მართალია დისთვის საკვებურათ უნდა ჩაითვალოს, რომ ძმამ ასეთი დამამშვენებელი სახელი მოიხვეჭა.

ერთს დღეს უერცობათ სანდროს შეეხვდი. ჩოხით და თუშური ქლით, უსწორ-მასწორათ ჩაქმული, ბულვარზე დაიარებოდა. ჩოხის ერთი კალთა მხარზე ჰქონდა შეგდებული და თითქოს უბეში რაღაც საგანი ეჭირა. შიამა იმის ნახვა და შორიდანვე შეფსკინე, გამოყვებულურე—იმან ბეცობის გამო ჯერ ვერ მიცნო და შემდეგ კი მომეხვია, მაკოცა.

— სანდროჯან, რამდენი ხანია შენი ნახვა მინდა და ვერ ნოვაგენი, სადა დგებარ?

— მე? „დროების“ რედაქციაში ვსდგევარ, ვისაც ჩემი ნახვა უნდა იქ მომნახოს.

სანდრო ძალიან მხიარულათ იყო, დიდი კმაყოფილება ეტყობოდა: იცინო-



და მახვილობდა. ახლოს დაგაცქვრდი და სახე მოსერილი ჰქონდა კონსტრუქციებით.

— ჯა, რა დაგნართვია სანდროჯან? სახე რათა ვაქვს შეღებილი?

— რას ანბობ, მართლა?!.. წუხელ ტეატრში ვთამაშობდი, და ალბათ გრიმროგვა ისევ ზედვე შემრჩა... დამაეიწყდება ხოლმე ქალო, პირი კარგათ ვერ დამიბანია, საქმე ბევრი მაქვს ვერ ვიცლი...

— ეგ ზბეში რალა ვიკირავს?

— ეს არის ჩემი უპირველესი მეგობარი!— ჩამოიგდო მხრიდან ჩოხის კალთა და დამანახვა პატარა მაიმუნი, რომელიც ცქვიტათ გამოიყურებოდა. ამ პატარა სულიერს ისე უყვარვარ, რომ უჩემოთ ველარ სძლებს. ეხლა სასადილოთ მიედივარ და თან მიშყავს.

მიმითითა მაიმუნზე და მითხრა:

— ეს გახლავს ჩემი მეგობარი ეაკო! ვთხოვთ სწყალობდეთ. ვიცინეთ, ვიოხუნჯეთ და პატარა მანძილი ერთათ გაეიარეთ, მე გულმოდგინეთ ვაკვირდებოდი, თითქოს პირველათა ვხედავდი ჩემს სანდროს.

— ბიჭო, გარეგან შეხედულუბით ისევ ის რომა ხარ, ისევ ის ტყავი გასხია, მაგრამ შენს არსებაში დიდი ცვლილება მომხდარა: დიდი მწერლობის სახელი მოგიხვეჭია! ეს თუ მართალია მიხარიათ, მაგრამ დიდათაც მიკვირს....

ჩემმა გულწრფელმა კითხვამ სანდრო უფრო მეტათ გამახიარულა, ცმუკვა დაიწყა.

— შენ ხომ წაიკითხე ჩემი „ელგუჯა“? რომ იცოდეთ რა სახით, ალტაცებითა კითხულობენ! „დროების“ რედაქციას ძალიან დიდი სამსახური გაუწიე: ნომრები არამც თუ გასაყიდი რჩება— არც კი ჰკოდნის კითხვის მსურველებს!..

— წარმოიდგინე სანდროჯან, რომ მე არც ერთი შენი თხუხულუბა არ წამიკითხავს გარდა იმ რვეულუბისა, რომლებიც ყაზბეგში მქონდა. იმათში კი გასაგიჟებელი არა იყო რა...

— არ წაგიკითხავს „ელგუჯა“!.. ვაინე!.. იმისთანა საფუძვლიანათ ქართული ენის მკოდნენი, როგორნიც არიან გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე და კიდევ სხვანიც— ალტაცებაში მოდიან „ელგუჯას“ კითხვით! იცი გრიგოლ ორბელიანმა რა თქვა? „სხვა ქართველი ესრე ვერ იტყვისო!“ მე მოგიტან, წაიკითხე.— მეუბნებოდა სანდრო თითონაც ალტაცებული თავის გამარჯვებით.

— შენი ბინა „დროების“ რედაქცია არის? უთხარი მე გამოსალმების დროს.

— არა შენ ნუ მოხვალ! ჩემს გარდა იქ სხვა ყმაწვილებიცა დგანან... ისინი შეევიწროვდებიან და შენც უხერხულათ იგრძნობ შენს თავს. ახალს სახში გადაეიდა რედაქცია... ნუ მოხვალ ისევ მე განახე...

კუკიაში დავიქირავე სადგომი და ჩემის პატარა ანბანაგით, ვანია ზადურით დაებინავდი. მინდოდა მეშუაგანა, მაგრამ სამუშაოს ვერა ვმოულობდი, ცხოვრება მიქირდა, რადგანაც ვანიას სწავლის სურვილი დიდი ჰქონდა და ნი-



ერეკნული

ტიც შესწევდა. განვიზრახე ჩემის სიანოვნების გულისთვის ფრულსა და მკაცრ-გვიწინა და ბევრზე სკოლაში მიმებარებინა. თუმცა იმისმა მაშამ ალოშკამ მოთხრა; „იმსახურეო“ მაგრამ ვანიასთვის მე მეტი მემეტებოდა და შეუდგე იმისთვის ზრუნვას: ცოტა ცდის და მისელა მოსელის შემდეგ, მოვახერხე ქალაქის სახელოსნო სკოლაში მიბარება. შინ ბევრი საქმე არ აწუხებდი შადურს: დილით სამოვარს დამიდგანდა, ჩემის საწოლის კარებთან დასდგამდა, თითონ ისაუბრებდა და გასწევდა ხოლმე სკოლაში! იქიდან როცა დაბრუნდებოდა, თუ რომ ჯიბეში ფული მიქყოდა კარგათ ვისადილებდით ხოლმე; დაეახვედრებდი მოხარშულს მაკარონს, ერბოკვერცხს, შვეანელულობას (ეს ჩვენთვის სადღესასწაულო სადილი იყო!) და როცა ამისთანა კარგს სადილს ვერ მოვახერხებდით, მაშინ პურსა და ყველსაც ისევე მზიარულად და გემრიელათ მივამღებოდი ხოლმე. მე და ჩემი პატარა მეგობარი კმაყოფილნი ვიყავით: არც ბედსა და არც ერთმანეთს არ ვემდროოდით (მომიტევეთ ამ წვრილმანის მოთბრობა: შემდეგ საქირო იქნება).

სანდროს შეხვედრის შემდეგ, ორი-სამი დღე იმის ლოდნაში ვავატარე: მოუთმენლათ, ველოდი, ნესწრაფებოდა იმის ნახვა, მაგრამ ვერა და ვერა მეშველარა, არსად გამოჩნდა! თუმცა სანდრომ ჩემთვის გაუგებარის მიზეზების გამო ამიკრძალა რედაქციაში მისელა, მაგრამ იმის ნახვის სურვილმა დამძლია და ერთს დღეს გავწიე სანდროსაყენ.

რედაქციის წეს-წყობილების არა გამეგებოდა რა უფიცი ვაყავ; რედაქცია წარმოდგენილი მქონდა სალოცავ ტაძრათ: სადაც მარტო საქმისთვის უნდა შესულყო ადამიანი, როგორც ეკლესიაში სალოცველად. ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ სულ ჰკვიანი და ნასწავლი ქურუმები სხედან, ადამიანთა სისუსტე ნაკულეგანებას მოკლებულნი, სულ მუშაობენ და მარტო სიმართლეს ემსახურებიან. მაშასადამე უცხო ადამიანისაგან უსაქნოთ, სალაცხოთ შელახვა ამისთანა სიწინდისა, მე უალაგოთ მიმანდა და ამის გამო შიშით და დიდის კრძალვით რედაქციის კარები შევადე, კითხვით მივაგენ სანდროს ოთახს. მოსამსახურემ შემიწვია ცოტა დაბალს და ბნელს ოთახში, ოთახი საქმოდ დიდი იყო, ღარიბად მოწყობილი... არა, ღარიბად მოწყობა, ეს წარმოსადგენათ ადვილია...“ მაგრამ იქ არაფერი მოწყობილობა არ იყო, არც ღარიბისთვის და არც მდიდრისთვის. აქ ყველაფერი აყრილ-დაყრილი, აწეწილ დაწეწილი იყო. სანდროს დაღლარობა, იმისი დაუდევარი ცხოვრება კარგათ მქონდა შესწავლილი და ამიტომ სრულებითაც არ გამეკვირვებია: აქა-იქა მიყრილ-მოყრილ-ტანისამოსი, გაყვანტული წიგნები... ეს სანდროს წესი იყო და მაშინვე მივხედი, რომ იმის საკუთარი ოთახი უნდა ყოფილიყო.

მე აქ მეუცხოვა და გამეკვირვა ერთმა სანახაობამ: შლა ოთახში იდგა დიდი უბრალო ხის მაგიდა, რომელზედაც ეყარა აუარებელი, დომბალივით არეულ-ლი, დაფურცნული ხელით ნაწერი—რეკლემები!... გულმოდგინეთ, დაკვირვებით დაუწყე თვალთვრება ამ სამუშაო ტაძრის კუთხეს, სადაც მოთაყსებუიყო ჩენნი მოჩუბარბი.

როგორც ზემოთა ვსთქვი, სოფელმა ქალმა გულმოდგინეთ დაუწყე თვა-



ნაირი დარდი უნდა ჰქონდეს, ითასი მოვილეობა აწუხებს, სანდრო არ მენახა, გარემოება ისრე შეიცვალა, რომ საზოგადოებამ ერთ ხმით მარცხსწვალე ეარსკვლავათ სცნეს და მეც უნებურათ შემიპყო ამ აზრმა და დამავიწყა წარსული და კიდევ... ზემოთ აღნიშნული ანგარიშები... უეცრათ შევხებე განთქმულს მწერალს და მე, უშეცარი სოფლის გოგო, როგორ უნდა მივხედა-რიყავ იმის ღრმა აზრებს? მე რათ მეტყვის მეთქი, რა აწუხებს, ან როგორ განუზიარებ იმის მრავალ ფეროვან აზრებს, მე უცოდინარი, უციცი?... მე ასე ვფიქრობდი, როდესაც სანდროს შემკრთალს შემოვთავებულს უყურებდი.

რედაქციაში ბევრი ხელნაწერები ვნახე, მეორე აქ რა არის საკვირველი? სანდრო ჭართველმა საზოგადოებამ ენაწყლიან დაკეთილ მუშაკათა სცნო და მე რათ უნდა გამკვირვებიყო იმის ხელში, იმის სამუშაო მაგიდაზე ხელნაწერები?... რუსული ანდაზა მაშაგონდა: „ადამიანი თავის სამშობლოში ვერ იწინასწარმეტყველებსო“ ვფიქრობდი: იქნება ეს ანდაზა სანდროზე მართლდებოდეს? ჩვენ ვერ ვიცანით, ქვეყანამა სცნო, ჩვენც უნდა გავჩუმდეთ, აღვიაროთ!

მე იმის შემდეგაც კარგა ხანს დარწმუნებული ვიყავ, რომ, როგორც მე არ მიმაკარა, იმ დომხალივით არეულს ხელწერილებს, ისევე სხვასაც არავის მიაკარებს მეთქი: უფრთხილდება თავის თვალის ჩინსავითა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რათ უნდა გამკვირვებიყო, რომ ხელწერილებს არ მიმაკარა: მწერლისთვის, თავისი ხელნაწერები, დიდი და ძვირფასი საუნჯეა. მინამ არ შეასრულებს, არ შეასწორებს, რათ უნდა აჩვენოს ვისმე. მე ასე მესმოდა მწერლობის წესი და ამისთანა დასკვნა მოვახდინე.

სადარბაზო ლაპარაკის დროს, როდესაც მოსაუბრენი უხერხულათა გრძნობენ თავიანთ თავს, მაშინ ტაროსზე დაიწყებენ ხოლმე ლაპარაკს—ჩვენ უკეთ მოვეყენით: ჩვენი ლაპარაკის საგანი გახდა მიიშინი—ყაქო.

— საკვირველათ შემომტყვია ჩემი მეგობარი ყაქო: უჩუოთ აღარა დგება არც დღე და არც ღამე, ველარ გაუძლია! რა ვქნა, მეც თავი ველარ დამინებებია, სადაც წავალ ესეც თან დამყავს. ვერ წარმოადგენ, ქალო, ამ კვირია რა სახით შემაშინა: სპიჩკებით თავი მოიწამლა! მე ტეატრში ვიყავ, რეპერტია გექონდა, ბიჭიც არ იყო შინა, ყაქო კარებ დაკეტულ ოთახში დაეტოვე. გამწყრალ-გაჯავრებული ჩემი ყაქო, მაგიდაზე ასულა, დაუგლეჯია ჩემი ხელწერილები, გაკაპასებულს რაც მოხვედრია, სულ უღრღნია და გაუნადგურებია. (იგულისხმე მკითხველო!) ხომ იცი მიიშინებს ადამიანის წარმოდგენა უყვარსთ: როგორც მე ვსწევ პაპეროზს, წერის დროს სპიჩკით პაპეროზს უკიდებ, ალბათ ეს ყველა იმასაც მოუქმედნია. შემდეგ ყველა ამისა მელანი ჩემს ხელნაწერებზე დაუტყვეია, კალამი გარდაუტყორცნია, მთელი კოლოფი სპიჩკები დაუღრღნია და ამითი თავი მოუწამლავს. მე რომ შემოვედი ჩემი სამუშაო მაგიდა ასე ალაფული და ყაქო ცოცხალ მკვდარი დამხვდა... მაშინვე გაიქცევი ექიმთან და ძლივს გადაეარჩინე სიკვდილს.

ამ ლაპარაკის დროს ყაქო მზარზე შეახტა და ერთმანერთს ლოკვა დაუწყეს.

— გენაცვალე სანდრო, მიკვირს, რომ არ გეზიზღება?... აბა დახედე კული



ისევ გასვრილი აქვს და შენ კი მხარზე გიზის... უფურე შენსა...
გებს? ნახე რა გაუხლია!

წამოვიწიე ზიზლით, მინდოდა მოეშორებოდა იმ აყროლებულს კუთხეს, მაგრამ სანდრომ ნკვიდროთ მომხეია ხელი, არ გამიშვა (ეშინოდა მაგიდასთან არ მიესულიყავ?) და ისევ თავის კრაოტზე დანსვა.

კოტა ხანი ასე ვისაუბრეთ. სანდრო ისევ დაფიქრდა და შემდეგ მითხრა:

— მე ცენზორთან საქმე მაქვს, უნდა წავიდე, რადგანაც ჩემი ერთი მოთხრობა შეაჩერა... მე ამ დღეებში შენთან მოვალ და დაპირებულს წიგნებს მოგიტან... ეხლა ნუ დამემდურები, შენც ხომ წახვალ და ბარემ ერთათ გავიდე...

მე და სანდრო ხელიხელ გაყრილები ერთათ გამოვედით ოთახიდან. ამის შემდეგ სანდროს ოთახი და თითონ სანდროც ამისთანა პირობებში აღარ მინახავს. მე რედაქციას შევეჭრე, რედაქტორიც გავიციან და რამდენჯერმე უფრო თამაშათ და შინაურულათ შევსულვარ რედაქციაში, მაგრამ სანდრო თავის ოთახში ან კიდევ იმ გვარ გარემოებაში რომ შემძლებოდა ჩვენ ჰქონ ვარამზე ლაპარაკი აღარ მინახავს. მე ძალიან მენატრებოდა კიდევ ერთხელ დანახვა იმ საშუაო მაგიდისა, მაგრამ ამაოდ: ყრველთვის სანდრო ისე მომხიბლავდა ხოლმე, ისეთ ნაირათ მომიხერხებდა რითიმე ვართობას, რომ თავის ოთახში დეჭი აღარ შევადგმენინა.. ამისთანა მომხიბლავს მოქმედებაში სანდროს ერთი კაცი ვერ აჯობებდა: ყველაფერს ისრე მოახერხებდა, კაცს ისრე გარდაიდებდა კისერზე, რომ მერე ვერ მიუხედებოდა. ამაში იყო სანდროს დიდი ძალა, ამისთანა ხერხით გაიარა თავისი მწერლობის მოკლე, მაგრამ თვალსაჩინო გზა...

მისთვის, რომ ჩემი მოხსენება უფრო ცხადი, და დასაბუთებული იყეს, მე აქვე მოვიყვან ბ. პ. ცხვილელის ნაანზობს „ივერიის“ ფურცლებზე.

აი ბ. ცხვილელი როგორ გვისურათებს სანდროს ოთახს და საშუაო მაგიდის წესს როგს, სწორეთ იმ დროებისას, რომელიც ეხლა მე აღენიშნე. სანდროს სიკვდილის შემდეგ ქართული დარუსული ალაგობრივი გაზეთები სხვა და სხვა პირებისაგან მოგონებებს სტამბადედნ და სხ. შორის ბ. ცხვილელი გაზეთ „ივერიის“ №-ში 265, 1893 წელს მოგვითხრობს:

„პირველად ყაზბეგი გავიციანი 1881 წ. და ამ დროიდგანვე ერთათ ვსცხოვრობდით, ერთს ოთახში, ვალაენის პროსპექტზე მუხრან ბატონის სახლში (სწორეთ ამ სახლში ენახე აღნიშნული გარემოება).

დილით რომ ოთახიდან გავიდოდა, იმისი ავლა დიდება უნდა გენახათრა ყოფაში იყო: ქვეშაგები არეულ-დარეული, აყრილ დაყრილი. წიგნები და ქაღალდები აქა-იქა გაფანტული. საწერ სტოლზე ისე იყო ყოველივე მირეულ-მორეული, გეგონებოდათ პატარა ბავშვებს უთამაშნათ აქ, უკელქნიათ და თავი ისე დაუნებებიათო. შემოვიდოდა მოსამსახურე და შემოაპირავდა ხელს თავის ქნევით: ე რა ღეთის წყრომაა, როდის უნდა მივალაგ-მოვალაგოვო?!.. თუ სანდრო შინ დახვდებოდა, მოსამსახურის ბუზღუნზე გაიციინებდა და ანუგეშებდა ხოლმე: „არა უშავს რა ჩემო ფილიბე, რა ვქნა ვერე მომიხდება ხოლმე; მიალაგ-მოალაგე და საჩუქარს მიიღებ.“ იმავე ხანებში ბათუმიდან ვილამაც საჩუქრით



მოუყვანა მაიმუნე „ჯაკო“ მეტად გაეშმაკებული და მასხარამანსანდროს რომ მოუყენილს დაინახავდა იმდენს იეშმაკებდა, რომ გააციუნებდა. წეროს დროს ხსრე გატაკებით მუშაობდა ხოლმე, რომ ფეხის ხმა, რახა-რუხი, სიციხე, სიციხე მისთვის არ გაეჩინა ღმერთსა: სწერდა და განუწყვეტლივ. ხშირათ ჯაკო შეიხატებოდა კისერზედ, მოიკალათებდა და დაიძინებდა, სანდრო წერას რომ გაათავებდა, მაშინლა ვაიგებდა ე კის კისერზე ყოფნას.“

ბატ. ცხვილელი „ივერიის“ 270 № კვლავ მოგვითხრობს:

„ერთხელ შინ რომ დაებრუნდით მოგვეგება ჯაკო სიცილით და ხარხარით. ძილით რომ გამძღარიყო, სახლი ისე მიელუფხ-მოელუფხა, რომ ძალი პატრონს ველარ იცნობდა: რაგინდართი სავსე საწერი სტოლი, ცოცხ-მოსმული იყო; საწერელი, კალამი, კარანდაში, მელნის-საწრობი, ქალიღები, წიგნები, რვეულები, —ერთიანათ აქეთ იქით იყო ნატყორცი და დაღრღნილი. სანდროს არამც თუ არ ეწყინა ჯაკოს ესრეთი თავებდობა, არამცდ პირიქით დაუწყო კოცნა და გულში მიიკრა.“

ბატ. ცხვილელის ნაანბობი, რომელიც სანდროს სიცივდილ შემდეგ დაისტამბა ისეთის წმინთი გრძნობით არის გამოთქმული, რომ არავის შეუძლიან ეპვი შეიტანოს იმაზე, რომ მის მთქმელს უნდა დაეწრდილა სანდროს მწერლობის სახელი. ბატ. ცხვილელს სწორეთ ამ მაგიდასთან მიგვევართ, რომელიც მე ვნახე და რომელმაც ისე გამაკვირვა...

ერთს საღამოს სანდრო ჩემთან მოვიდა და მამიტანა დაპირებული „დროების“ ნომრები. ბოდიში მოიხადა, რომ მოუცლელობის გამო დაივიანა.

— ვერ წარმოიდგენ ქალო, რამდენი საქმეები მაქვს! ტეატრში უჩემოთ ველარაფერი რიგდება და ვახეთის რედაქციაში ბევრსა ვმუშაობ... გეთაყვა ნუ დამემდღრები, რომ აქამდენ ვერ მოვახერხე შენი ნახვა. აი, მოგიტანე ჩემი დიდება „ელგუჯა“ და მინდა ზოგიერთი ალაგი მე თითონვე წაგიკითხო...

— წაკითხვით მე თითონვე წაგიკითხავ— მიუგე მე და მოტანისთვის კი დიდს მადლობას გწირავ. ძალიან კარგი ქენი, რომ მოხვედი... დაჯგუტი ცოტა ხანს მეგობრულათ ვილაპარაკოთ, ძველებურათ...

სანდრო ჩვეულებისამებრ, პირდაპირ პასუხს არაფერზე იძლეოდა, სიტყვას ბანზე აგდებდა და „დროების“ ნომრების ფურცლებს ატრიალებდა. ორივენი დაეფიქრდით, ლაპარაკი ვერ ჩარბდებოდა... სანდრომ ორივე ხელეში მაგიდაზე დააბჯინა, ვახეთის ფურცლებს ახლო დაუწყო ყურება, თუმცა არა კითხულობდა, მაგრამ რაღაცასა აზრობდა, ღონეს იკრეფდა... შემდეგ ჩემთვის მოულოდნელათ ამ კილოზე დაიწყო ლაპარაკი:

— ერთი მთხარა გეთაყვა—(თანაც ვახეთის ნომრებსა ფურცლავდა) დი-მიტრის ხელწერილები ხომ არა დარჩარა? იმახ უნდა მქონიყო ხელწერილები...

მე გამაკვირვა ამ თავხედმა კითხვამ, შეგვრთი გამახსენდა მიძინებული გრძნობა, მიწიდან ამოძვრა ალოშკას მრისხანე აჩრდილი... ყველაფერი მომაგონდა... თვალეში გაშტერებით დაუწყე ყურება; ის თავ დაღუნული დაბლა იკურებოდა, თითქოს ძიწაში აპირებდა ჩაძრომას...



— მე სანდრო მაკვირებებს შენი კითხვა: რაც შე უნდა, ^{მეტი} ~~მეტი~~ და-
მასწარი! შენ იყავ დიმიტრის კირისუფალი, შენის მეტი პატრონი არავინა
ჰყავდა, შე შენ უნდა გკითხო: რა უყავ იმისი ხელწერილები? რაც იყო, რა
უყავ? ან რა იყო რატომ არ გვაჩვენე?.

— ... მე არ მინახავსრა!.. მე შენა გკითხავ, ხომ არა იცი რა? ხომ არა
გაგოგონია რა?... მე... მე კი არა ვიცი რა!... იმეორებდა სანდრო და დიდის
ენერგიით ფურცლავდა ვაჭუთის ნომრებს.

... მე გაშტერებით შევსტკვროდი...

— შენ და ალოშკამ, დიმიტრის მიცელის შემდეგ, იმისა ხელნაწერები,
რომ გადმოალაგეთ და შენ, შენს ოთახში სავსე ყუთი რომ ჩაიტანე, რა უყავ?
მე რატომ არ მაჩვენე? რათ ხელში მიჭრებოდი... ბედმა შენ გარგუნა დიმიტ-
რის კირისუფლობა და შენ ისე არ მოიქეცი, როგორც უნდა მოქცეულიყავ:
რათ დასძარ ადგილიდან იმის ნაოხრალი ქაღალდები? რატომ იქვე განჯინაში
არ აღბეჭდე? როდესაც ეს ყოვლად შესაძლებელი იყო... მე ვიმედოვნებდი, რომ
სტეფანწმინდას დამხვდებოდი და რასაკვირველია ხელწერილებსაც ჩამაბარიდი...
ახლა მითხარი რა უყავ?

მე ჩაიცივით უყურებდი, პასუხს ველოდი; ის თავს მალდა არ იღებდა,
ხელებს აფითურებდა, პასუხს აგვიანებდა...

— ალოშკამ რა იცის? რა დაეჯერება უსწავლელს გლეხსა?... რომ არა
იყო რა, რა უნდა მჩრეწებინა?... მე შენა გკითხავ... თუ იყო რამე, შენ უნდა
გცოდე...

— ახა ღმერთო! ანბობ არა იყო რაო! დი რაც იყო ხელუხლებლათ
რატომ არ ჩამაბარე? რათ ნიხლართავდი გზებსა: შენი ოთახის კარები რათ
დამიხშე?... გახსოვს შენ თითონ მითხარ: დიმიტრის ქაღალდები მე მაქვს შე-
ნახულიო. დაგავიწყდა?! ახლა კი ანბობ არაფერი იყოვო!... არა მინახავსრაო!!
ხომ იცი ალოშკას მკაცრი და ჯილტი ხასიათი? ის ამტკიცებს, რომ დიმიტრის
ბევრი ხელწერილები ჰქონდა და იმითი ზინარსიც კარგათ იცის, რადგანაც
თითონ დიმიტრის ალოშკასთვის ბევრჯელ წაუკითხავს. იმათი დაკარგვა ყოე-
ლად შეუძლებელია!..

სანდრომ თმეკი უარი ჰყო ხელწერილების იმასთან დარჩენაზე, ბევრჯელ
განიმეორა: არა მინახავსრაო, მაგრამ არც თავი გამოიღო ცილისწამებაზე.
მოსალოდნელი იყო, რომ ჩემი ექვები იმას აამღერევენ, თავს გამოიღებდა,
თავს იმართლებდა, მაგრამ იმან ყველა ამაზე ენა შეიკვნითა, საბრძოლველად
მომხადება ეტყობოდა: მოსაგერებელი სიტყვები ვავარჯიშებული ჰქონდა; მსა-
ხიობს თავის როლი კარგათ შევსწავლა: თამამათ და სხაბასხუბით წარმოსთქვამ-
და... იმას სრულენითაც არ ეტყობოვა ჩემი ლაპარაკი: იმისმა სახემ არც გაკ-
ვირება, არც შეწუხება არ გამოსთქვა...

ამ გვარ შემთხვევაში, უეჭველია. სხვა ადამიანი და ნამეტნავათ მწერა-
ლი თავს გამოიღებდა, შეერთებოდა, შესწუხდებოდა ამ გვარის ცილის წამებით
მაგრამ სანდრომ კი როგორც გამოცდილმა კაცმა, ვითომ ლაპარაკის აზრი არც



კი ესმისო, **სხვათა შორის**, გაკვრით, რამდენიმეჯერმე, ბუტყულებს უწამეოა: „მე არა მინახავს რა“ „მე არა ვიცი რა!“


რუსული ატკაზი აბა ეს არის!!.. შე სტეფანწმინდას მითხრა, ალოშკას და კიდევ სხვა პირთა დასწრებით: **დიმიტრის ქალაღები ჩემთან არისო**, ნუ გეშინიან **არ დაიკარგებთ**, და ებლა კი მეუბნება: **მე არა მინახავს რა**, **მე არა ვიცი რაო!**.. ნუ თუ შეიძლება ადამიანი ამაზე მეტათ ზნეობით დამახინჯდეს?.. არა! ეს არის წრეს გადასული თავხედობა!.. ურცობა...

ამ ლაპარაკის დროს, არ დაეზოვე სიტყვები, მისთვის რომ სანდროსთვის დანემტკიცებინა, რომ სიპართლყ გვიან თუ ჩქარა თავს ამოპყოფს, რომ მანამ ალოშკა ცოცხალია, ის უწემოთაც იპოვნის იმ ხელწერილებს და სხ. და სხ. მე ძალიან შეხალისებოდა ჩვენის ლაპარაკის გაგძელება; მაგრამ სანდროს აღარა **სურდა** ამ **უსარგებლო** საგანზე ლაპარაკი: სიტყვის ბანზე ავდებდა და მოსაუბრეს ვხა და კვალს მიბწვედა. ლაპარაკი ველარა ხერხდებოდა... სანდროს ხერხმა აქაც გაიმარჯვა: მარჯვეთ მოსპო ლაპარაკი: „ელგუჯას“ კითხვა დაიწყო. ჩემს განმეორებულს კითხვებზე, ვითომც თანაგრძნობით ტასოზე მიმითითა: „, იმას უნდა ეკითხოს, იმას ეცოდინებაო“.

ამ საგანზე ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეჯახება: რაკი რომ შემატყო რომ დასამტკიცებელი საბუთი, ხელთ არაფერი მქონდა სიტყვა ველარ მივუყარე! აღარას მეპოვებოდა... ჩემი იმედი ალოშკაზედა ტრიალებდა: თუ გამოსტებდა და სწორეს ათქმეეინებდა, შოლოთ ისა... ან კი წაზნდარს საქმეს მარტო ღრიალით რალა ეშველებოდა... არაფერი! უნდა გავჩუმებულვიყავ და დროსთვის და გარემოებისთვის მიმენდო საქმე.

ამ ლაპარაკის შემდეგ სანდრო და იმისი მწერლობა გამოცანათ ვარდამეტკა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ალოშკას თქმა მართალი იყო და ის უფრო მიკლავდა გულსა, რომ ყველა გარემოებამ ასრე მარჯვეთ შეუწყეს ხელი დიმიტროს ხელწერილების დაკარგვას. ჩემს თავს ყველაზე უფრო ვემდუროდი: ჩემს უფიკობას, გულუბრყვილობას, რომ დროზე ფხა ვერ გამოვიჩინე. ებლა კი ეძვი, სიფრთხილე, მკედრის და ცოცხლების წინაშე მოვალეობა—ერთი მეორეს სდევნიდა, სიბრაზე მახრჩობდა და ველარა მომეხერხებინა. სანდროს სიყვარულით, ამ გვარი ეჭვი ვერავისთან წარმომეტქვა, სირცხვილათ მიმანდა.. მაგრამ გული ტიელი კი არ ისვენებდა: ამ გარემოების დამახასიათებელს ყველა საექვო სიტყვას, ანუ საქმეს, ჩემს ფიჭებში ღრმა შთაბეჭდილება შემოაქონდა. ფარდა ნელ-ნელა ეხდებოდა საიდუმლო გარემოებას.

მთელს თბილისში სანდროს ქება ისმოდა, მთელს საქართველოში მოხუბარიძის მწერლობის ხმა ქუხდა და ელადა. მე კი „ფიცი მწამდა, ბოლო მაკვრებდა!... ან კი იმ დროს თავს ვინ გაიტტბდა: ეჭვს ვინ წაროსთქვამდა? გიეს დაუძახებდნენ, ქვით ჩაქოლავდნენ !... იმას ვინც სანდროს დაახლოვებით იცნობდნენ—ხმა ვაეკებინდათ, პირში წყალი დაეგუებინათ და ძალა უნებურათ საერთოთ აზრის მიმდინარეობას ნაფოტი რომ წყალს მიაქვს ისრე მისდევდნენ. ორიოდვე ჩვენმა მწერალმა სუბუტი კრიტიკით, თითო-ოროლა აზრი წარმოსთქვეს, მაგრამ... ყურს არაფინ უგდებდა... სანდროს ნიჭის თავყანისმცემლები თან-




დათან მრავლდებოდნენ. მოჩხუბარიძის ნაწერებს, მთელი საქართველოში უმცირესობადა, მკითხველი საზოგადოება ამათ აღტაცებაში მოჰყვანდა.

ჩემმა სანდრომ აიურილა გულწარმეტაცი, მწვენიერი ფერადით ნახატი დროშა და ჩადგა საპატიო აღავას მწერლების რაზმში. ყაზბეგის მწერლობამ ქართველებს მოაგონა ერთი თავისი სხეულის ნაწილი, დაეიწყებულ საქართველოს კუთხე: მკითხველები მიიწვია მთისკენ, მიუთითა, დაანახა ძველებური წეს-წყობილება, თუ როგორ ბჭობდა თემი, როგორ ირჩეოდი სათემო საქმეები. იმან დაეიწყებულ მოგვაგონა, და მძლავრის კალმით, სისწორით დაგვიხატა ის შეურყეველი მშობა-ერთობა, რომელიც ძველ დროს საქართველოში სუფევდა გაურჩევლათ სქესისა და წოდებისა. წიგნების კითხვას შეგვაჩეია: თურმე უსიკოლოგი ყოფილა და აღამიანის გულის მოძრაობა მწვენიერთა ბჭონია შესწავლილი. იმის მოთხრობების კითხვის დროს, ბევრს ჩვენგანს ცრემლი უფრქვევია... „თუ რომ ნაწერები ვაღელვებთ—უთქვამს გამოჩენილს მწერალს—და კეთილშობილურს და დიდსულოვან გრძნობებს ვიღვიძებთ, ამაზე მეტი დამტკიცება საჭირო აღარ არის, რომ ნაწარმოები მწვენიერია და დიდის ხელოვნებით შექმნილი“. მეორე მწერალს უთქვამს: „ქეშარიტათ დიდი ნაწარმოები მხოლოდ ის არის, რომელიც როგორც მკოდნეთ, ისე ხალხსაც ერთნაირათ აწყალოვებებს. ამ გვარი მიუღდომელი, მეცნიერული მწერლების აზრი ცოტა არ იყოს გვისურათხატებს ყაზბეგის თხუზულების მნიშვნელობას; რადგანაც დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი დიდის სიამოვნებითა ვკითხულობდით და ამ აღტაცებით წაითხულს მოთხრობებს სარგებელიც დიდი მოჰქონდა, მაშასადამე ყაზბეგის თხუზულება დიდის ხელოვნებით არის დაწერილი.

მე ისრე არ ვავთამადებდი რომ ყაზბეგის თხუზულების გარჩევას შეუდგე, მაგრამ ამას კი სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ იმისმა მადლიანის კალმის მნიშვნელობამ და იმისმა ნაყოფიერმა მწერლობამ, თვალსაჩინო კვალი დასტოვა. მოვა დრო, როდესაც მწერლის ღვაწლს, კრიტიკა გაარჩევს, ვასკოის—გამტკიცავს და მაშინ საზოგადოებაც თავის მსჯავრს დასდებს. ჩვენ-კი, ჩვენს მოთხრობას დაუბრუნდეთ.

მართლა რომ ვასაოცარი მოვლენა იყო: თითქოს უფეროთ გაიღვია, იქქა სანდროს ნიქმა და მთელი საქართველო სმენად გარდიქცა! სანდროს 4—5 წელიწადი მარჯვედ ეჭირა თავისი კეკლუცი დროშა; ქართველობა აღტაცებით ვაშას ძაბილათ ეგებებოდა, ვაშა, ვაშა ჩენო სანდრო! მართლა, რომ დიდათ გვასიამოვნე; მართო შენი ერთი თხუზულება კპაროდა სახელის მოსახვეჭათ და შენ კი იმდენი შემოგვთავაზე, რომ ჩვენ კითხვისაც ვეღარ ვასწრობდით... მარჯვე დიასახლისი ისრე მაზდათ მკადის კერებს ვერ დააცხობს, როგორის სისწრაფითაც, შენ, სტატის სტატიზე ამზადებდი! მწერლებს სიჩენე უყვარსთ, წერის დროს მყუდროებას ეძებენ, შენ კი რედაქციის ოთახში, როგორც მნახველნი მოგვიმოხრობენ—თურმე ლაპარაკის და ყაყანის დროს სწერდი შენს საუკეთესო მოთხრობებს, და ამითი არც შინაარსის სკეითე, არც გარეგანი სილამაზე არ მოჰკლებით! ნუ თუ ეს სასწაული არ არის? ეგრე წყლიანი და მარ-



ან როგორი სენდისიერი აღმასრულებელი იყო თავის მოვალეობას სწავლა სხვა სალაპარაკო საგანია, მაგრამ რომ თავს არა ზოგავდა ეს კი მართლაც!

ერთი სიტყვით სანდროს გულით და სულით უყვარდა ქართული სცენა და ყოველს თავისი ღონით ემსახურებოდა. წარმოდგენების დროს ისა ცმუკავდა, მზიარულეზდა და დიდთა სწამდა კიდევ, რომ ის იყო უსაკიროესი სცენის მოსართავი და კეთილ ნაყოფიერი მუშაკი.

ერთხელ იმის ბენიფის ჰეც დავესწარ, კულისებს იქით მიმალული ვეყავ და იმითი საშუალება მომეცა დაწვრილებით ყველაფერი დამეთვალვიერებინა, მენახა დაახლოებით რაც იქა ხდებოდა, მაშასადამე მოწამე გაეხედი სანდროს სცენაზე ტევეისა და იმის მოქმედებისა. აი რა შთაბეჭდილება გამოვიტანე:

სხვა ყველა მოთამაშეებს მღელვარება ეტყობოდათ და სანდროს კი მხოლოდ მზიარულობა, უზომო თამამობა, უნდა გენახათ პატარა ბავშვივით რა სახითა ცმუკავდა, ბტოდა! სცენაზე გამოსვლის დროს დაფიქრება, აზრების მოკრეფა არ ეტყობოდა; გამოდიოდა თამამათ, სადაც როლი არ იცოდა, თავისით უმატებდა და ამითი ხშირად აზრს ამახინჯებდა. საზოგადოება გულკეთილია, მომთმენია და ამის გამო თავის საყვარელს **მოჩხუბარიძეს** ვაშას ძახილით ამხნევებდა. მოხვეის (ამ სახელითა თამაშობდა ტეატრში) თამაში საზოგადოებას არ მოსწონდა, მაგრამ რადგანაც **მოხვეე** იგივე **მოჩხუბარიძე** იყო, საზოგადოება უყვავებდა, შეძლებისა დაგვარად ავიღლოვებდა. ლეკურის თამაშობა საშინლად უყვარდა, მაგრამ შნოიანათ ვერა თამაშობდა და თავის ლეკურს **ჩაჩნურს** უწოდებდა. იმის ბენიფისშიც ლეკურის თამაში იყო.

ლეკურის დრო, რომ მოვიდოდა... გამოვიდოდა ჩემი სანდრო ჩობით, კალთებ აყუცილი, წუთდა პაუკით მორთული და მედგრად მოეკადა სცენას!... დოუ-არა მიაწყდა, მოაწყდა, შეხტა, შემოტრიალდა, როგორც ისურვა უწესსრივით, ისრე შეისრულა თავისი **ჩაჩნური თამაში**, საზოგადოება ყურებით ილაღებოდა, მაგრამ სანდრო კი აღარ ათავებდა!...

ძლივს ფარდა დაეშვა, განმეორებას არავინა სთხოვდა, სანდროს თითონაც ხეთქი გადასდიოდა, მაგრას სცენას და კულისებს მაინც ბტომით ურბენდა, თამაშობის აღარ ათავებდა. მე სულ შეხუთულმა ძლივს ამოვისუნთქე, როდესაც ეს წამება გათავდა!... მე სანდროს არ დაუბაღე ჩემი გაყვირება, რომ სცენაზე თამაშს ეტანებოდა; ჩემს გარდა ბევრი სხვანიც ურბედნენ, რომ სცენისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ თავისი თავი (როგორც ზემოთა ვსთქვი) სცენის მოსართავი სამკაული ევონა და არავის რჩევის ყურს არ უგდებდა.

საწყალი სანდრო! ამ გვარი ოფლის დენით მაინც ბევრს ვერას აგროვებდა თავის ბენიფისზე და უმაღური რჩებოდა. საზოგადოება იმის თამაშს არ ეტანებოდა და სანდრო კი ამ მოვლენას ქართველების **გულგრილობას** აწერდა...

ერთის სიტყვით. სცენაზე ვერც ამხანაგებისაგან და ვერც საზოგადოებისაგან ვერ დაიმსახურა **ნაქიფერი** მსახიობის სახელი, მაგრამ მიუხედავით ამისა უკანასკნელ დრომდენ თავდავიწყებით ემსახურებოდა სცენას.

სანდროს მწერლობის და იმის წერის მინდინარეობას რომ დავაკვირდეთ, ბევრი რამ იყო ვაუგებარი სიბნელით მოცული: ყველა საქნეს, ხელობას თავი-



სი სამუშაო იარაღი, წესიერება მოზღვეს სანდროს მწერლობის მწიგნობები კი სხვანაირით იყო. წერის დროს იმისი ყოფაქცევა საგულისნმო იყო, მაგრამ ვის მოუვიდოდა ფიქრათ რამე ეპვი შეეტანა?! ანუ განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმის მწერლობის წესს-რიგს.

სანდროს სიკვდილის შემდეგ იმისმა ახლო ნათესაებმა და ყმაწვილობიდანვე ჩემმა მეგობარმა საგულისნმო გარემოება გარდმომცია.

ამ ჩემს მეგობართან სტუმრათ მივედი. იმ დროს თბილისში სასიამოვნო საგნათ ითვლებოდა მწერალ ა. ყაზბეგზე საუბარი. ჩვენც ვერ აღუხვიეთ გზა ამ დროთა შეფობას, მით უფრო, რომ სანდრო ჩვენი მახლობელი იყო და მანასა-და მე უფრო გვეინტერესებოდა გაგვეგო ყველაფერი წვრიმიანი იმის ცხოვრებისა! სხვათაშორის დიასახლისმა აი რა მიანმო:

— სტეფან წინდიდან რომ ჩამოვიდა, რამდენიმე ხანი სანდრო ჩემთან იდგა. ხომ შენც კარგათ გახსოვს, რომ სულ მუდამ სიყმაწვილიდგანვე სანდრო უცნაურის ხასიათისა იყო, მაგრამ იმ დროს სულ შეცვლილიყო; ადამიანი იმის საქმეს ვერ მიხედებოდა, თუმცა იმისი მოქმედება ნამეტნავათ ზოგიერთი, ძალიან აკვირებდა ადამიანს და ინტერესსაც უღვიძებდა...

— სანდრომ საუკეთესო მწერლის საბელი მოიბეჭკა—შევაწყვიტინე მე ლაპარაკი—და ალბათ თავის ფიქრებში იყო ხოლმე გართული და იმიტომ სხვანაირათ გეჩვენებოდათ.

— მადლობა ღმერთსა, რომ აქედან რედაქციაში გადავიდა! სოქვა მოლაპარაკემ და პირჯვარი გამოისახა. ქალო, გული მისქდებოდა მინამ ჩემთან იდგა: მეგონა ცეცხლს წაგვიკიდებს მეთქი!..

— როგორ?!

— ქალო, მთელი დღე და ღამე ხომ სულა სწერდა და მერე იცი რასა სხადიოდა?!.. სწვამდა თავის ხელნაწერებს!

— როგორ თუ სწვამდა?

— მართლა, მართლა!.. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ჩემი მასპინძლის პატარა შვილები. დედა მართალს ანბობს: მეცა ვნახე! მეცა ვნახე, რომ ძია სანდრომ თავისი რვეულები დასწვა.

მე გამიკვირდა, მაგრამ... რალაცა მენიშნა...

— ქალო,—განაგრძო მასპინძელმა—ერთს ღამეს გული გამიხეთქა: ბავშვი ავთაი მკვანდა და რამდენჯერმე ეზოში გასვლა მომიინდა. სანდროს განგებ, განსაკუთრებული ოთახი მივეცი, რომ ბაშვებს არ შეეწუხებინათ. ოთახის ფანჯარები ეზოში იყურებოდნენ, იმის ოთახს ბუხარი ჰქონდა. სანდრო მუშაობის დროს მუდამ ბუხარს ანთებდა და დაწერილს რვეულებს, სწვამდა! ამ ხსენებულს ღამეს 2—3 საათი იქნებოდა ეზოში გავედი და სწორეთ სანდროს ფანჯრიდან უეცრათ დიდი შუქი გამოაპკრთა. მე გული გამისქდა, ცეცხლი ხომ არ გაგვიჩნდა მეთქი და გულის ძვერით დაუახლოედი იმის ფანჯარას. და აი რა ვნახე: სანდრო დამშვიდებული ბუხართან იდგა, შავგლო ვეება რვეული და იმასა სწვამდა!.. უსსაყვედურე ჩემი შეშინება და იცი იმან საცილით რა მითხრა? „შემცივდომ და ბუხარი ქალაღლებით ავანთეო!“ ან კი სიცივე სად იყო? ზაფ-



ხული იყო და ჩვენ სიციხით სული ვეცხუთებოდა. რაღაც ნაირად დასწერდა. ი-
დებოდა თავის ხელნაწერებს: ჯერ დასწერდა, ზოგჯერაც ალბათ ვადასწერდა
და მერე დასწვამდა! და თუ სხვა ვინმე მიეკარებოდა იმის რვეულებს, მაშინ კი
ერთს ხეთისრისხეობას დააწვედა. ერთს დღეს ჩემი ბაშვი იქ შესწრობოდა რვე-
ულების დაწვის დროს, ბუხარში ხელი ეტაცა რვეულისათვის, კინალამ ხელეში
დაებუვა; სანდროს როგორცვე თვალი შესწრო მაშინვე წაერთმია და ხელმეო-
რეთ ცეცხლში შეგდო და მინამ მთლათ არ ჩაფერფლილიყო არ მოშორებოდა.

.... ესე ამზადებდა თურმე თავის საღაროს, მარტოკა, მკუდროებაში მი-
ნამ რედაქციაში წარზდგებოდა და იქ კი საჯაროს, ყაყან-ლაპარაკის დროს
თავაულებლათ მუშაობდა.... ამის მნახველები კი გაკვირვებას ეძლეოდნენ!..

მეც მაშინ მაკვირვებდა ეს ნაანბობი და ამ გვარი ქცევა იმის კუთისაგან
შერყევის მიეწერო, მაგრამ ეხლა.... როდესაც ცოტათი თარდა აეხადა იმის საი-
ღუმლოებით მოცულს მოქმედებას,ეხლა კი მესმის ამგვარის მოხერხებულის
მოქმედების აზრი და მნიშვნელობა....

(გაგრძელება იქნება)



ვახტანგ კოტეტიშვილი. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. XIX
დან დღევანდლამდე, ნაწ. 1, ტფილისი 1925, 232 გვ. ფასი 2 მანეთი.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შესწავლა პროფესორმა ა. ხახანაშვილმა დაიწყო მან საკმაო დაკვირვებით იმუშავა ამ დარგში. კიტა აბაშიძის ორტომიანი ეტიმოლოგი ამ მიზნის ემსახურებოდა. დღეს ჩვენს წინაშე ძვეს მესამე ავტორის ნაკვლევი. ახალმა წიგნმა ახალი სიტყვა უნდა სთქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამართლება შეუძლებელი იქნება.

ისტორიული მომენტის მიხედვით მწერლის შემოქმედებას სხვა და სხვა თაობა სხვადასხვახარად აფასებს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთ და იმავე მწერალს ერთ მომენტში აქებენ, მეორეში ამაყებენ. გასულ საუკუნის 40 წ. წ. პუსტინი რუსეთის სათაყვანო პოეტი იყო, 60 წ. წ. კი პისარევა მიწასთან გაასწორა ბელინსკის კერპი.

ხახანაშვილი და კ. აბაშიძე კოტეტიშვილთან შედარებით ძველი თაობის შეხედულებათა გამოშატავდნენ არიან, ამიტომ შეიძლება ვ. კოტეტიშვილი ახალის თვალსაზრისით უდგება ჩვენს ლიტერატურას, რომ გამართლებული იქნას მის მიერ წიგნის გამოშვება.

რა ახალ სიტყვას ამბობს ვ. კოტეტიშვილის ნაკვლევი? ორიგინალური თუ არა მისი თვალსაზრისი?

კოტეტიშვილის ნაშრომი შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად: თეორეტიკულ-მეთოდოლოგიურად და წმინდა კრიტიკულად. ავტორის აზრით „ლიტერატურა, როგორც ისეთ მოვლენათა წრე, რომელიც საზოგადოებრივ გუნება-განწყობილებით და აზრებით ისაზღვრებიან, ექვს გარემოთ, რომ ისტორიულ, მომენტთან არის დაკავშირებული. და ამ უკანასკნელის ცვლილებასთან ერთად, ლიტერატურაც პოზიციებს ინაცვლებს. იცვლება გარემო, ინტერესები, მსოფლმხედველობა, იდეები და სხვ.

ყველა ეს აღიბეჭდება ლიტერატურის ფორცლებზე“, სხვ. ამ მეთოდს ისტორიული ეწოდება, ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი მას გვერდს ვერ უვლის, ლიტერატურულ მოვლენათა დასათვისებლად ეს მეთოდი უსათუოდ სწორია. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ კოტეტიშვილს ისტორიული მეთოდი ერთად ზერეოეთ, მარტივად და ცალმხრივად ესმის. ამაში ამგვარად დაგვარწმუნა მისი წიგნის წაკითხვამ.

ნ 19 საუკუნის ლიტერატურა მისთვის მხოლოდ ერთის თვალსაზრისით განუყრელი მოვლენაა და რაღაც ერთფეროვანი მდინარეა, ეროვნული უბედურობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული გოდება-აი მხოლოდ რას ხედავს ჩვენს ლიტერატურაში კოტეტიშვილი. ეკვი არ არის, რომ ეს მორთვი მთავარია ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ყველაფერი მაინც არ არის.

გასული საუკუნის ჩვენი ცხოვრება უაღრესად მწიფე ეკონომიკური ეპოქაა ქართველი ერის ცხოვრებაში. იმის მაგვარი ცვლილებანი, რომელიც ამ საუკუნეში ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, შეიძლება მხოლოდ რამდენჯერ ენახოს მას. უმარჯულს ყოველისა უნდა გვახსოვდეს ის ძირითადი ცვლილება, რომელიც მოხდა ერის ეკონომიკურ ცხოვრებაში: დერდალიში მომსაღ და კაპიტალისტური წარმოება შემოვიდა. სხვა ერებისათვის ეს ფაქტი ისტორიულ მიჯნა ყოფილა და ჩვენთვისაც ასეთად უნდა ვაღიაროთ. ეს ცვლილება გამოიწვია ქართველი ერის აზიურ ვზებიდან რუსეთის საშვალეებით ევროპასთან დაკავშირებამ, ეს ცვლილებაც, ეკონომიკურად გარდაქმნის გვერდით, უდიდესი მწიფე ეკონომიკის იყო. ოსმალეთის მიერ 1453 წ. სტამბოლის დაპყრობით კარგმაჩვეტილი ჩვენი ქვეყანა ოთხი საუკუნე



ნის განმავლობაში უმოწყალოთ იხრატებოდა საკუთარ წევრნი და ბაულის ბუნებრივ გზებ დახშულმა სასაოწარკვეთით მოაშორა თვალი შეზღვევს და თავისი ცხოვრების განძახებულ ნაკადულებს ფინეთის ყურეს წყლებში დაუწყყო ძებნა.

პირველათ ამ მოვლენამ და შემდეგ ძირითადად ეკონომიურმა ცვლილებამ საშინლად გაართულა და გააძაბურა ჩვენი ხალხის პსიქოლოგია და აზროვნება, რამაც გამოხატულება პოვა ჩვენს ლიტერატურაში.

ჩვენი ლიტერატურის მკვლევარი დატრიალებულ ეროვნულ უბედურებასთან ერთად ამ რთულ მოვლენებსაც უნდა უცქერდნენ თვალებში; კოტეტი-შვილს კი თავისი ამოცანა ერთობ გაუადვილებია და საკითხს ყველა-სგან ნაცხობ თვალსაზრისით უდგება. ისტორიულ მეთოდით მუშაობა მას ცალ მხრივად აქვს გაავებული, ამიტომაც არის, რომ მისი წიგნის თეორეტიული ნაწილი სავახუთო შენიშვნების ხასიათს ატარებს. მაგრამ საჭმე იმაშია, რომ ჩვენი ავტორი არც ამ მეთოდს ადვია ბოლომდე და როდესაც ცხოვრების ობიექტური პირობების სირთულეს დაინახავს, მაშინ ერთიანად ივიწყებს ამ გზას და სხვა თვალსაზრისს იშველიებს. კოტეტი-შვილი ჯეროვანად ვერ გარკვეულა საქართველოს მე 18 საუკუნის დღეობაში (ეს მისი მორალიც არაა), ვერ მოუწინავეს „ვერცხლის ხანის“ ლიტერატურის საფუძვლები და ამიტომ საკითხის გადაჭრა სულ სხვა ნიადაგზე გადააქვს.

აქ ჩვენს წინ იშლება ფსიქოლოგიის ურცელი ქვეყანა და ამ მეორე შემთხვევათა ახსნის საშუალებაშიც ფსიქიურ ფაქტორების სამყაროში უნდა მოიძებნოს“ო ამბობს იგი.

ისტორიული მეთოდის ხელის ჩაკლებით კოტეტი-შვილი თითქოს იმედს იძლეოდა, რომ საფუძვლიანად გაარკვევდა თავის მიზანს, მაგრამ ამ უცქარი ნახტომით იდეალიზმის მორევში შესულრა და ერთის ხელის აქნევიით ვადაწავიტა ფოთლესი საკითხი. ეს არის

სრულა ეკლექტიზმი ექვეყნულობა. ერთ ადვილას ჩვენი ეკლექტიზმი ვადაწავიტა: კვლევის დროს ყოველგვარ მეთოდს ვიხმარო, ამის გამოა რომ იგი ასეთ წინააღმდეგობაში ვარდება და ვერც ერთი მეთოდი სათანადოდ ვერ გამოუყენებია.

რაც შეეხება თითონ მწერლების გარჩევას, აქ კოტეტი-შვილი ხშირად დაკვირვებული და მკოდნე მკვლევარია: პატრიოტული რომანტიზმის დასაწყისი მშენიერიად აქვს ვადაწავიტებული: დები-ბატონი-შვილები-მარიამ, თეკლე და ქეთევან მის მიერ შესაფერად არიან შეფასებულნი. ალექსანდრე ქავჭავაძის შემოქმედების შეფასებაშიც ჩვენს საესეებით ვეთანხმებით ავტორს. ამ მგოსნის შემოქმედების დედა ძარღვი უსათუოდ ემოქსათან არის შეკავშირებული და თუ „ლოთებო ნეტავი ჩვენა“ს დამღერება ზოგ ჩვენს კრიტიკოსს აღ. ქავჭავაძის უღარდულობა ეგონა, დღეს კოტეტი-შვილი აშკარად ამტკიცებს, რომ ეს იყო „ეპიპანოზის დროის ქეიფი“, ძველი საქართველოს დეკადანსის ტრავიული შერძობა.

გვ. ორბელიანის გაორებული პიროვნება კარვად აქვს ავტორს ვამორკვეული, თუმც მისი შემოქმედების დაფასებაში ორიგინალობას ვერ იჩენს, ჩვენის აზრით ვრიგოლ ორბელიანი პატრიოტული რომანტიზმის კარიფეცია, მის მიერ ვაკვალული გზა ისე ღრმა შეიქინა, რომ აკაცია და ილიაც კი ზოგ მოექწყედნენ. მე ვაკონია ამ აზრის უფულებყოფით კოტეტი-შვილი ღირსეულად ვერ აფასებს დიდი მგოსნის მნიშვნელობას.

რაც შეეხება ვახტანგ ორბელიანს, აქ მე მგონია კოტეტი-შვილი ვადაჭარბებულ თავიანობობას იჩენს: ეს მწერალი არ არის ისეთი ღრმა ინდივიდუალობის მატარებელი, როგორც კოტეტი-შვილი ფიქრობს, ამიტომ ზოგ ადვილას მისი აზრი „ნატიაგვას“ ვავს.

ნიკოლოზ ბარათა-შვილის დაფასებაშიც ბევრი რამ ჩვენთვის მიუღებელია: მართლაც ბარათა-შვილის შემოქმედებაში ეროვნული მომენტიც შედის, მაგრამ არ შეიძლება ამ დებულების ისე ვაფარ-



თოვბა, როგორც ამას კოტეტიშვილი შეემა. ბარათაშვილი რომ მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს დასტრიალებს, ეს ცხადზე უცხადესია. ამას ვერც კოტეტიშვილი უარყოფს. ხოლო საქმე იმაშია, თუ რა მოვლენამ გააძლიერა ბარათაშვილში ესეთი მსოფლ-შეგრძნობა და აზროვნება. ყოველ ადამიანში ზის პატარა ფილოსოფოსი, ჩენი ფსიქიკა მუდამ ატარებს სხვადასხვა შესაძლებლობათ, ხოლო საქმე იმაშია თუ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში რომელ მხარეს ეძლევა ფრთის გასაშლელი საშუალება. მართალია, ბარათაშვილი განუყენებელი აზროვნების ვაზზე ჩვენმა სამიწელმა სინამდვილემ შეაყენა, ამ საშინელმა ყოფამ ჩაქვეტა იგი თავის „მე“ში. მაგრამ ეროვნული ქნარი, როგორც ეს ჩვენ გვესმის, მას არ აუღლებია. ორბელიანებსა და სხვებთან მისი მითანასწორება შეუძლებელია.

ბაც ზეზურაძე და ვაჩაშვილი უფროადა მოგვაჩინა. აქ არ უყენებენ ეროვნების ის უნარი, რომელსაც ხშირად იწენს ხოლნე კოტეტიშვილი. დასასრულ ჩენი გაკვირვებას იწვევენ კოტეტიშვილის შემდეგი ფრაზები: „ბატონუმბის წინააღმდეგ სიტყვის თქმა პირველად აღუქსანდრე ჭავჭავაძეა ეყუთენისო“. ამანვე აზრს ის გამოსთქვამს გ. ერისთავის შესახებაც. ვინ დავნო ბატონუმობა—პირველმა თუ მეორემ? არც ერთმა და არც მეორემ. ერისთავის ერთი გმირი ამბობს: კაკაია პოეზია ბიტ ხატია ბედნიმ, მა დობრიმ პომეშიკომ. აქ არა სჩანს ბატონუმობის უარყოფა პრინციპილურად. კოტეტიშვილის მოსაზრებას უყარყვარე ათაბაგის“ შესახებ უფრო მეტი დამტკიცება უნდა, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოერთმევა კონკაქეს ამ საქმეში პირველობა.

კოტეტიშვილის ენა კარგია და მხატვრული, წიგნი თავისუფლად იკითხება გ. ხ.

ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო სალიტერატურო აღმანახი № 1 1925 წ. 121 გვ.

ამ აღმანახზე არ ღირდა შეჩერება, რომ მისი გამოსვლა ერთგვარ ლიტერატურულ კადნიერებას არ წარმოადგენდეს ჩვენს დროში. საქმე იმაშია რომ ამ აღმანახში დაგროვილია აუარებელი ბალასტი, რომელსაც ლიტერატურულად დღეს არც მასი აქვს და არც გამართლება. იქ ჩვენ ვცხდებიან უმთავრესად ძველი სახელები, ამითგან ბევრი უკვე აღარ სწერს.

აღმანახის ინიციატორებს ესმით, რომ „ცხოვრება აჩქარებული ტემპით მიდის წინ“ მაგრამ მათი შემოქმედება აშკარად ამტკიცებს რომ ისინი იძულებულნი არიან განაგრძონ ძველი გზით სიბაჟული. მათთვის თანამედროვე ცხოვრების ბრძოლით და იმედებით საესკედლები „შეუძინეველი“ რჩებიან. შეიძლება განძრახათაც არ უნდათ შეამჩნიონ მათ ეს, მაგრამ ამისაც რომ თავი

დაეანებოთ ვერ გავგვივია, რა აზრი აქვს მაინც მწერალ ქალთა გაერთიანების განუჩეველად მათი ლიტერატურული შემოქმედებისა? და ისიც აღმანახში? ან რას წარმოადგენს თვით ეს ლიტერატურა?

მივიმართოთ ფაქტებს. პირველად ნიდის დ. ახელედიანის ორი ლექსი: „დათოვლილი სმთელი“ და „ვივიწვებ ყველას“. ავტორი ამ ლექსებში „სწრუს მარტოობას“ იღღმალ ხმებში“ იგონებს ბავშობას და „იღრუბლება“. ვერ გავგვივია ვის აინტერესებს ახლა ნისი „ობოლი სულის ყოუ მისწრაფება“?

უკეთესია თარიშვილის ლექსი: „როდღემდის“. თარიშვილს აქვს მუსიკალური სმენა. კარგია თქმა: „აივსო ვნებუბით მკერდების ზეობა“. ელენე მამაცაშვილის „ორ ადამიან-



ში“ ასეთი უპრობაა: “ერთი ფურცლავს ცხოვრებას გაშვებით, მეორე მარცვლავს ბას და რწყევს საკუთარი სისხლის წვეთებით“.

მარიჯანი წარმოდგენილია ორი ლექსით: „ბორცის კულტი“ და „ყვარულში“. უკანასკნელი ლექსი დაწერილია ი. გრიწაშვილის გავლენით: („და პოეზიაც ისე მიცქერის როგორც ილიას დაჭრილი შებლი“). ორივე ლექსი ბელეტრისტიკაა.

საფო მგელაძის ლექსს: „პრელიუდები“ აქლია ხერხემალი. ტრაფარეტულია: „ცა ბროლის ნაქრებს ისროდა პეშეთ“.

პროზაში იმარჯუებენ უფრო ძველები.

„იასამანთა ხეივანი“ ცუთენის „ქართლის პეიზაჟი“ს საუცხოო მხატვარს— ეკ. ვაბაშვილს. ეს ნაწარმოები (ეკ. მესხის მოთხრობის გამოკლებით) ერთად ერთი რიგშიან პროზაა აღმანახში.

„იასამანთა ხეივანში“ მოთხრობილია ამბავი ქართლის ერთერთ მიყრდნულ ადვოკატს მღებარე „სასახლის“, რომლის ეზოშიაც ერთ დროს კაკლის ხეების ფართე ჩრდილში გაისმოდა უდარდელი თავადების „შეჩასტა“, „რაბი“ და „ბაიათები“. მოთხრობა შეეხება რევოლუციის წინა დროს. გადაჭრავს გარდასულ დროის შორეული ნაღველი.

ან. ერისთავ-ბოშტარისა „ნაწყვეტი“ წარმოადგენს დაუბეჭდავ რომანის პატარა ეპიზოდს, აქ მოთხრობილია წყალდიდობის ამბავი. „მოლიძულ გზახედ“-ის აეტორი ღღეს ასეთი სტილით სწერს: „მდინარემ გაიღვიძა, თვალები მოიფშენიტა, კალთები შემოიკრინდა, გაღონიერდა, საბედომ დაუდევრათ შეხედა, მდინარემ ხმა აიმაღლა, ფრთები გაშალა, აიშლურა, იირია, სახლდარს გადასცდა, გარემოს შეუბღვირა, უბანს შეუტია“.

საფო მგელაძის მოთხრობა „ნანა“ში მოცემულია ჩვეულებრივ „პროვინციულური“ სიყვარულის ამბავი. პროვინციულ ქალიშვილს ნანას უყვარს სამხედრო პირი ბეგლარ. ეს სიყვარული თავ-

დება სამწუხარო ფინალს და დაქვლევდა სიყვარულით დასრულდა.

ეკ. მესხის „ღღის სულის ცვეთება“ აგვიწერს ძველი „დროის სოფლის არისტოკრატის ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს.

წ. ნაკაშიძის მოთხრობა „საღდათი“ წარმოადგენს გურული მუშების ცხოვრების სურათს. აქაც წარსული ამბავია მოცემული. მოთხრობა ნაწყვეტია და ამიტომ მთლიანად მის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. თორმალღო მხარის დასახისითაუბლად კი მოვიტანთ შემდეგ სტრიქონებს:

„არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი (ლაპარაკია ქალაქის გარე უბანზე. ვ. გ.) არ სჩანდა აქ და მხოლოდ უბნის სიახლოვეს ამართული ვეება ნაცრისფერი ნეთის საწყობები და უზარმაზარი შენობების თუჯის მიღები სხვადასხვა ნაირადაფერადებდა გზის ნაპირებზე სოკოებივით გაფხატულ ფიცრულ ქონახების ერთგვარობას“.

თეთ მოთხრობის შესავალი ასე იწყება: „ჩვენ გავყვეთ ერთ ახალგაზდა, ცისფერ ჩითის კაბით გამოწყობილ, თავზე შალ მოხვეულ ქალს, რომელიც სწრაფის, მსუბუქის ნაბიჯით თითქოს მიფრინავდა ქუჩის კიდკიდზე“.

აქვე „ნადსონის მანერით“ დაწერილი მოკლე „ლექსები პროზად“:— სევდიას, ტყეშელაშვილის, ცქვიტის, ჯ—ძის, ჯანტურისა და სხ ამით თავდება აღმანახის პირველი ნაწილი: „მხატვრული“ ლიტერატურა.

შემდეგ მიდის მეორე ნაწილი — მემუარები და კრიტიკული წერილები.

ეს ნაწილი იხსნება ან. თუნანიშვილი — წერეთლის წერილით— „ბარბარე ჯორჯაძისა“. ამ წერილში თუნანიშვილს მოჰყავს აკაკის სიტყვები ბ. ჯორჯაძის შესახებ, სადაც აკაკი ამბობს რომ: (ბაბო ჯორჯაძე), შევნიერი ლექსებით: თავადველი თავის ვულის პასუხებსო“. ჩვენ არ ვიცით რა მოსწონდა აკაკის ბ. ჯორჯაძის ლექსებში. მაგრამ მაინც გვიკვირს რა საჭირო იყო ახლა ამისთანა სიძველის ლიტერატურაში გამოტანა?



თუმანიშვილის წერილს მიჰყვება ან. ლეინიაშვილის: „მივიწყებული კალამი“ და ანლანის—„ფსიქოლოგიური სინამდვილე ჯაყოს ბიზნებში“, რომლებიც უფრო მოწოდებების ეარჯიშობას მოგავიწყებთ.

ბოლოს, ეურნალს დართული აქვს ბიბლიოგრაფია „საყმაწვილო წიგნებზე“. ასეთია ამ აღმანახის „ლიტერატუ-

რული“ სახე. ჩვენის ^{ქართული} ჟურნალის სჯობდა იგი სრულებით არ გამოსულიყო.

ამ აღმანახით ქარ. მწერალ ქაღმბმა გვიჩვენეს ის, თუ რამდენათ ჩამორჩენ ისინი არა მარტო თანამედროვე ცხოვრებას, არამედ, თანამედროვე ლიტერატურულ გემოვნებასაც.

ვახო გორგაძე

კ. კ. ვობლი. სტატისტიკა.

(სახელმძღვანელო ლექციებისა და თვითგანვითარებისათვის) 12 დიაგრამით ტექსტში. თარგმანი იასონ ვაბილაიასი (მე-4-ე გამოცემიდან) ქუთაისი, საბჭოთა პირველი სტამბა 1922 წ. გვერდი 336.

ამ უკანასკნელ ხანებში სპეციალური ხასიათის მეცნიერული შრომების გამოქვეყნება ქართულ ენაზე, როგორც ორგინალურის ისე ნათარგმნის, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაზე არც ერთი სახელმძღვანელო არ არსებობს ამ დარგში, ვობლის სტატისტიკის თარგმანი აუცილებლად საჭირო იყო და მთარგმნელიც ამასავე აცხადებს წიგნის პირველ ფურცელზევე.

ვობლის წიგნი, რომელიც დაწერილია უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტობისათვის, შესდგება ორი განყოფილებისაგან; პირველ განყოფილებაში, სადაც შედის წიგნის პირველი და მეორე ნაწილი-განხილულია სტატისტიკის ისტორია და თეორია; მეორე განყოფილებაში კი განხილულია მოსახლეობა და მთავარდანაშაულობის სტატისტიკა.

პირველ განყოფილებას—სტატისტიკის ისტორიაში ავტორს საკმაოდ ვრცლად აქვს განხილული სტატისტიკის წარმოშობის მიზეზები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა არსებული მხედველება მასზე, სტატისტიკური დაკვირვების ხერხი ძველ დროში, საშუალო საუკუნეებში და მას შემდეგ; ამავე განყოფილებაში განხილუ-

ლია სხვადასხვა მიმართულებები, დაწყებული აბენვალიდან მთელი ინგლისის მათემატიკური სკოლის დასახელებით—თანამედროვეობამდე, თითქმის ყველა სტატისტიკოსების მხედველებები და მათი როლი ამ საგნის განვითარებაში-საკმაოდ ვრცლათაა მოყვანილი. ამავე ნაწილშია აღმინისტრაციული სტატისტიკის განვითარების განხილვა.

უნდა ითქვას რომ ვობლის სტატისტიკა, ერთერთია რუსულ სახელმძღვანელოთა შორის, სადაც ასე დაწერილებით და სრული სურათის აღწახებით მოკმეულია სტატისტიკის განვითარების ისტორია.

უფრო სუსტად არის განხილული მეორე ნაწილში სტატისტიკის თეორია.

იმ დავაში, რომელიც არსებობდა და არსებობს დღესაც სტატისტიკოსთა შორის, იმის შესახებ, სტატისტიკა დაზოჯიდებელი მეცნიერებაა თუ უზოჯილო მეთოდი—ხეობი, სხვადასხვა მეცნიერებას და განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მეცნიერებაში—ვობლი ემხრობა პირველს, და რადგან სრულებით მისაღწეა ისეთი მეცნიერის აზრი, როგორცაა კაუფმანი, რომელიც ფიქრობს რომ სტატისტიკას არა აქვს თავისი არე, თავისი დამოუკიდებელი მოქმედების (გამოკვლევის) სფერო, ამავე ავტორის თქმის არ იყოს, ზოგიერთ



სტატისტიკოს მეცნიერებს (ამ შემთხვევაში ვობლს) უმთელდება იმის დაჯერება, რომ სტატისტიკა არ არის დამოუკიდებელი მეცნიერება.

მეორე განყოფილების პირველ ნაწილში განხილულია მოსახლეობის მდგომარეობა. აქ ავტორი ვრცლად ეხება: მოსახლეობის ამსოლუტურ რიცხვს დემიწის ცალკე ნაწილებსა და უმთავრეს ქვეყნებში, მოსახლეობის განაწილებას, სიძვიდროს, განაწილებას სქესის მიხედვით, ასაკის მიხედვით, მათ საოჯახო შემადგენლობას და განაწილებას ხელობის მიხედვით.

მეორე ნაწილშია მოსახლეობის მოძრაობა: ქორწინების განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, ასაკის მიხედვით, დაბადება, ქორწინების გარეშე მომხდარი დაბადება, დაბადებულთა განაწილება სქესის მიხედვით, დაბადებაში ცვლილების მოხდენა დროის მიხედვით, მოკვდაობა, მოკვდაობა ასაკის მიხედვით, სქესის მიხედვით, ხელობის და კეთილმდგომარეობის გავლენა მოკვდაობაზე, მოკვდაობის ცვალებადობა დროთა მიხედვით, მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, შინაგანი გადასახლება, ემიგრაცია, ბუნებრივი და ნამდვილი ზრდა მოსახლეობის.

წიგნის ამ ნაწილში გამოკვეთულია ის ეკონომიური და სოციალური ხასიათის მიხეზები, რომელიც არის საბაზი ერთი ქვეყნის შვილის მეორე ქვე-

ყნისაყენ ლტოლვისა, ექორწინებასა და ექორწინებაზე ხელის აღებისა და ექორწინების შექმნის უარყოფისა—უფრო ნაკლებ პასუხისმგებლობით ყოფნის სურვილის გამო თავისი თავის წინაშე და სხვა.

და ბოლოს, მთავარდანაშაულობის სტატისტიკის თავში ავტორი აორჩევს იმ მიხეზებს, რომელიც საბაზია დანაშაულობისა, და იმ საოცარ პარალელურობას, რომელიც არსებობს ეკონომიური მდგომარეობის და დანაშაულობის რაოდენობის ცვალებადობათა შორის.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წიგნი თარგმნილია 1922 წელში, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართულ საენათმეცნიერო თერძინოლოგია ძიების და ჩამოყალიბების პროცესში იყო, და რომ ბევრი ისეთი სპეციფიური ხასიათის განმთქმები არის ამ დარგში, რომლისათვის დიდი დაკვირვება და ძიება დასჭირდებოდა ავტორს,—უნდა ითქვას, რომ ეს თარგმანი სრულებით დამაკმაყოფილებელია; ამ წიგნის ქართულ ენაზე შეორედ გამოცემის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ახალი თერძინოლოგია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდა ქართულ უნივერსიტეტის პრაქტიკაში.

ა. ან—ლაძე.

ს. დანელია. ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში.

(დემოკრიტე). ტფლისი 1925 წ.

თუმცაღა საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში ერთობ გაიზარდა გამოცელობის საქმე, მაგრამ დღემდე ვერ განხდა ჩვენში პოპულიარულ—მეცნიერული ლიტერატურა. პოპულიარული—მეცნიერული ლიტერატურა კი ის საშუალება არის, რაიც მეცნიერების დიდ ნაამაგარს ფართო მასების საზრდათ აქცევს. ასეთი ლიტერატურის გაჩენა ჩვენში დღის წესრიგის აუცილებელი

მორიგი საკითხი არის. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება სერგ. დანელიას დასახლებული წიგნი. მას სურს ყველასათვის გასაცემ ფორმებში გადმოგვეცეს ანტიკური აზროვნების დიდი კლასიკოსის, თანამედროვე სწორი მეცნიერების მამამთავრის და მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველამყარელი, დემოკრიტეს მოძღვრება. დღეს ჩვენში ყოველი მესამე თავის



თავს მატერიალისტს უწოდებს და გვეგონია, რომ ამ სახელწოდების გამართლებებისთვის საჭიროა იცოდეთ თუ რა არის მატერიალიზმი, რა იყო ის წარსულში და ვინ არის მისი ავტორი. ამისათვის კი ამ მოძღვრების პირველ დამაარსებელის ნააზრების შესწავლა საუკეთესო საშუალება იქნება. დემოკრიტეს გენია დღემდე თავს ახვევია მოაზროვნე და კულტურულ კაცობრიობას და მის ჯეოოვან შესწავლას დღემდე აუცილებელი მნიშვნელობა აქვს.

ამას ისიც დაუმატოთ რომ სერგ. დანელია საუცხოო მკვლევარი ძველი ბერძნული ფილოსოფიის ისტორიისა, რაიც მის დემოკრიტეს სწავლის დაღაგება—გადმოცემას ერთი ათად აკეთებს.

წმინდა მეციხოვრი პრეტენზია ამ წიგნს არა აქვს და არც მის ავტორს ჰქონია ასეთი. მას სურს მხოლოდ დამწეებისათვის იყოს ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო და ეს მიზანი უსათულოდ გამართლებულია. რასაფიციველია ერთად მწელი, საქმე იყო ყველასათვის გასაგები და თან მეციხოვრულ სისწორეს არ უღალატო და ამ საერთო სენს აქა იქ ამ წიგნისათვისაც თავისი დალი დაუსვამს. განსაჯთრებით შეიძლება ეს პატიმცემულ ავტორს ზოგ ისტორიულ შედარებების დროს შევამჩნიოთ, ასე მაგ. ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად პარმენიდეს კრიტიკა. მკითხველს ეგონება, რომ პარმენიდეს თავში ფილოსოფიური დედაპრობლემები თანამედროვე იმპინენტისშის სახით ყოფილა ვადაქროლით, ეგონება, რომ ისე, როგორც თანამედროვე იდეალიზმს, ასევე ანტიურ ელიატიზმსაც საფუძვლად ე. წ. ცნობიერების დებულობა ედოს (der Satz des Bewusstseins). მაგრამ ს. დანელიას კარგათ უნდა მოეხსენებოდეს ის აზრი, რომ ელვატულითა ფილოსოფია ჯერ კიდევ არ ამაღლებულიყო თვითცნობიერების იდეალისტურ ცდუნებად და მასში ასეთი იდეალიზმი, სადაც ცნება წარმოდგენას გაუთანასწორდება კიდევ არ იყო მოცემული. მე აგრეთვე მზარ-

თებულად არ მიმაჩნია ქვემოთ მოლეშიკა ჰეგელის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ამაზე პატარა წერილში ლაპარაკი შეუძლებელია. მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს ეს, რომ ავტორის მიერ გადმოცემული მარქსის ნებედულება დემოკრიტის შესახებ ფაქტებთან შეგუებული არ არის. ახალგაზრდა მარქსმა უნივერსიტეტის ვათავებისას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მისაღებად ქ. იენის უნივერსიტეტს წარუდგინა დისერტაცია (რომელიც არც კი დაბეჭდილა უკანასკნელ დრომდე) სათაურით: *Differenzen zwischen Demokr. und Epikuz. Naturphilosophie*. სადაც მარქსი სწორედ დემოკრიტეს დაფასების საქმეში შეცდა. მარქსს ეგონა, რომ ის მეციხოვრული განძი რაიც ანტირმა ატომისტიკან ჩვენი დროის მეციხოვრებს დაუტოვია, ეპიკურის ხელით არის შექმნილიო. ეს მართა მარქსის შეცდომა კი არ იყო, არამედ იმდროინდელი საერთო შეხედულების ამ სავანზე. მარქსის ეს შეცდომა ალიარებულია მისი უცვდავი გამომცემი და ბიოგრაფი ფ. მერიგის მიერ, დღეს კი მეციხოვრულ კვლევა - მიეზის მიერ უღალაპრკოთ დამტკიცებულია ის აზრი რომ თანამედროვე მექანიკის საფუძვლები უნაკლოთ დემოკრიტეს მიერ მოცემული იყო და ეპიკური მხოლოდ მისი საშუალო ნიჭის ეპიკონი არის. ყოველ შემთხვევაში იმ მარქსს, რომელმაც მეციხოვრული სოციალიზმი და ისტორიული მატერიალიზმი მოგვცა არაფერი საერთო არ აქვს იმ ახალგა, რდა ჰეგელთანელ მარქსთან, რომელიც თავის სადოქტორო დისერტაციას სწერდა.

რაც შეეხება წიგნის დაღაგება გადმოცემას ჩვენ ის თითქმის უნაკლოდ მიეგანია. პოპულიარობის ყველა მომენტი შესრულებულია და თან გადმოცემულია ატომიზმის მთელი შერობა დაწყებული დემოკრიტეს პირველ პრინციპიალურ დებულებიდან მისი ეთიკის საფუძვლებამდე; გადმოცემულია ყველაფერი, თუმცაღა ჩემი აზრით საჭირო იყო ხაზის გასმა იმ გარემოებისა, თუ როგორ და რისთვის შეიქნა დემოკრი-



პ რ ა კ ტ ი კ ა

ტე ახალ-დროში განახლებული მეცნიერების მანა-მთავარი. ავტორს ვითომცვერდი აუვლია ე. წ. ბუნების ქვანთიფიკაციის და დემოკრიტეს ამასთან დამოკიდებულების საკითხისათვის.

განსაკუთრებით არ შეგვიძლია დავეთანხმეთ ჩვენ პატივეულ ავტორს დემოკრიტეს ეთიკის გადმოცემა-კრიტიკაში. ჩვენთვის პირდაპირ გაუგებარია ის ამბავი, რომ დემოკრიტე, კაცი, რომელმაც პირველად საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებას და მესამე ათასი წელია რაც კაცობრიობის აზროვნებას ეფუძლება, — გაუგებარია რომ ეს უდიდესი ოპტიმისტი და „მცინარე ფილოსოფოსი“ — გარკვენილების და სიკვდილის ეთიკის ამოღებები უნდა ყოფილიყო. ჩემთვის გაუგებარია ის ამბავიც, რომ როგორ შეიძლება საბერძნეთის გენიალურ ხალხს პირველ თავის

ეთიკურ-სისტემატურს ნახოს (დემოკრიტეს შრომა ხომ ასეთი იყო, მან პირველათ დასწერა ეთიკა) უკვე იმპორტაციის და სიკვდილის მორალი მოეცა. შეიძლება პატივეულმა ს. დანელიამ პოპულიარულ ბროშურაში ბოლომდე ვერ გადმოგვცა ის, რის თქმა უნდოდა. ამისათვის საჭირო იყო უფრო მეცნიერული შეხლა-შემოხლა. საერთოდ აღებული ეს ნაშრომი დასახულ მიზანს სავსებით და უნაკლოთ აღწევს. მკითხველს, რომელსაც სურს სერიოზულად გაიგოს მატერიალიზმის მანამთავრის მოძღვრება, შეუძლია ამ წიგნში არამც თუ მწყობრად დალაგებული და სწორედ გადმოცემული აზრები ნახოს, არამედ ის აქ ნახავს მასალას საკუთარი აზროვნების გაგრძელებისათვისაც.

მ. გ—ძე.

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

230-

საპარტიზოლო

- | | |
|---|-----|
| 1. გრიგოლ რობაქიძე — გველის პერანგი | 5 |
| 2. ნიკოლოზ მიწიშვილი — თებერვალი | 47 |
| 3. კოლაუ ნადირაძე — თბილისის კონტრაბანდისტები | 77 |
| 4. ნიკოლოზ მიწიშვილი — პოეტს | 96 |
| 5. გალაქტიონ ტაბიძე — 100 ლექსი | 97 |
| 6. მასო გორგაძე — გამგზავრება სოფელში | 120 |
| ✓ 7. დავ. კლდიაშვილი — ჩემი ცხოვრების ვზახუდ (გაგრძელება) | 121 |

რუსეთი.

- | | |
|--|-----|
| 8. ვ. კაზინი — ციური ქარხანა. თარგ. ვ. გ — ისა | 132 |
| 9. ა. შაროვი — ყინულთ დენა. თარგმ. ვ. გ — ისა | 133 |
| 10. ა. ბეზიმენსკი — ქუდზე. თარგმ. ვ. გ — ისა | 134 |

დასავლეთი

- | | |
|---|-----|
| 11. უბტონ სინკლერი — მეფე ნახშირი. (გაგრძელ.) თარგ. კ. კიკინაძისა | 136 |
|---|-----|

ქართობა, მხატვრობა და მემუარები

- | | |
|---|-----|
| 12. ლევ ტროცკი — დ. ა. მენდელეევი და მარქსიზმი | 173 |
| 13. შ. დუდუჩავა — ფორმალისში ხელოვნებათა | 191 |
| 14. ს. ამაღლობელი — ძველი ქვეყანა ოქტომ. რევოლ. მე-მ წლის თავზე | 196 |
| ✓ 15. ელიხაბედ ყაზბეგი — დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრ. მასალები (მეორე ნაწილი) | 204 |

გიგლიოგრაფია

- | | |
|---|-----|
| ✓ 16. ვ. ზ. — ვახტანგ კოტეტიშვილი. ქართული ლიტერატ. ისტორია მე-XIX-დან დღევანდლამდე, ნაწ. I | 248 |
| ✓ 17. ვასო გორგაძე — ქართ. მწერალ ქალთა სამხატვრო აღმანახი № 1925 წ. | 250 |
| 18. აკ. ან — ლაძე — კ. კ. ვობლი. სტატისტიკა თარ. ი. ვაბილიაძისა | 252 |
| ✓ 19. შ. გ — ძე — ს. დანელია: ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში | 253 |